

ბ. დ. ჭანუყვიანი

**ბურჟუაზიული
პოლიტიკური
ეკონომიის
კრიტიკა**

ნაწილი IV

**თანამედროვე ეკონომიური
მოძღვრებანი**

თბილისი 1969

ნაშრომი მიზნად ისახავს მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტეკონომიის წარმომადგენელთა (ლ. მიზესი, ფ. ჰაიეკი, გ. ჰაბერლერი, ი. შუმპეტერი, ფ. მახლუპი და სხვ.) მოძღვრებების (ნეო-მარქინალიზმი, მაკროეკონომია და მაკრომოდელები, მულტიპლიკატორ-აქსელერატორი, ტოტალიტარიზმი, შუმპეტერიანელობა, ციკლისა და ეკონომიური კრიზისების თეორიები, ეკონომეტრია, ფურასტიერიზმი, ტექნოლოგიური თეორიები და სხვ.) კრიტიკულ ანალიზს.

წიგნი განკუთვნილია დამხმარე სახელმძღვანელოდ ეკონომიური ფაქულტეტის სტუდენტებისათვის.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

წინამდებარე ნაშრომი ნაწილია ჩვენი საკვლევი პრობლემისა „თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტეკონომია და მისი კრიტიკა“.

ნეოავესტრიული სკოლა (ახალგაზრდა ავესტრიული სკოლა), როგორც თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტეკონომიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებების — ნეოლიბერალიზმის (უფრო სწორად, „სოციალურ-რევიზიონისტული ლიბერალიზმის“) განშტოება, ნაკლებად ან თითქმის არაა დამუშავებული და შესწავლილი საზღვარგარეთულ მარქსისტულ ეკონომიურ ლიტერატურაში, მით უმეტეს — ჩვენში. მართალია, არის კრიტიკული გამოკვლევები, რომლებშიც სხვა საკითხებთან ერთად გაკვირვებით განხილულია ლ. მიზესის, ფ. ჰაიეკის, გ. ჰაბერლერის, ი. შუმპეტერის, ფ. მახლუპისა და სხვ. ცალკეული შეხედულებები, მაგრამ ეს, ცხადია, არ ნიშნავს მთელი „ემიგრირებული ვენის სკოლისა“ და, მით უმეტეს, „ნეოავესტრიული სკოლის“ ეკონომიურ მოძღვრებათა სისტემის კომპლექსურ გამოკვლევას.

შრომში პირველადი წყაროების კრიტიკული განხილვის საფუძველზე ვრცლად არის დახასიათებული მთელი ნეოავესტრიული სკოლისა და მისი განშტოების ყველა გამოჩენილი წარმომადგენლის (გ. ჰაბერლერის, ი. შუმპეტერის, ფ. მახლუპისა და სხვ.) სოციოლოგიურ-ეკონომიური შეხედულებები. ეს საკითხები, მართალია, ჩვენ ნაწილობრივ განხილული გვაქვს 1962 — 1967 წწ. გამოქვეყნებულ შრომებში, მაგრამ ახალი მასალების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე საჭირო გახდა ზოგიერთი დებულების დაზუსტება და ახალი დასკვნების გამოტანაც. გარდა ამისა, ნაშრომში გაშუქებულია ისეთი საკითხები, რომლებიც არ ყოფილა ჩვენ მიერ განხილული ადრე გამოქვეყნებულ შრომებში (ტექნოლოგიური თეორიები, ფურასტიერიზმი, შუმპეტერიანელობა).

„ნეოავესტრიული სკოლის“ სრული დახასიათების აუცილებლობა იმითაცაა გაპირობებული, რომ ავესტრიული სკოლის (მენგერი,

ბემ-ბავერკი, ვიზერი), რომელიც დაახლოებით ერთი საუკუნის წინათ აღმოცენდა, თანამედროვე წარმომადგენლები დღესაც აგრძელებენ კაპიტალისტური „თავისუფალი მეწარმეობის“ დაცვას მოდერნიზებულ ფორმებში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ლ. მიზესი, ფ. ჰაიეკი, ი. შუმპეტერი და მათი მოწაფეები კაპიტალიზმის აპოლოგეტიკისა და ანტიკომუნისმის თეორეტიკოსთა ავანგარდში დგანან. მათ განუწყვეტელი იერიშები მიაქვთ მარქსიზმ-ლენინიზმისა და მეურნეობის სოციალისტური სისტემის წინააღმდეგ, ამიტომ, ბუნებრივია ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ენიჭება ნეოაგსტრიული სკოლისა და მისი განშტოებების მოძღვრებათა კრიტიკას.

შრომა წარმოადგენს ადრე გამოქვეყნებული სამი ნაწილისაგან შემდგარი ჩვენი გამოკვლევის¹ გაგრძელებას.

პირველ ნაწილში (1962 წ.) ზოგადადაა განხილული ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტეკონომია. მეორე ნაწილი (1967 წ.) ეთმობა პალეოლიბერალიზმის წარმოშობის ანალიზს, ხოლო მესამე ნაწილში (1964 წ.) ძირითადად დახასიათებულია დასავლეთგერმანული ნეოლიბერალიზმის (ნეო-ორდო-ლიბერალიზმის) თეორიები და ეკონომიური პოლიტიკა.

წინამდებარე მეოთხე ნაწილში განვიხილავთ თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტეკონომიის მოძღვრებების — ნეომარქინალიზმის, ციკლისა და ეკონომიური კრიზისების თეორიებს, ეკონომიური დინამიკის კონცეფციებს, შუმპეტერიანელობასა და სხვ., რომლებიც ფართოდ გავრცელდა არა მარტო აგსტრიაში, არამედ აშშ-ში, გფრ-ში, ინგლისში, იტალიაში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში. შვეიცარიასა და საფრანგეთში.

წიგნი განკუთვნილია დამხმარე სახელმძღვანელოდ ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. იგი ეძღვნება კ. მარქსის დაბადების 150 და „კაპიტალის“ I ტომის გამოქვეყნების 100 წლის-თავს.

¹ ამ გამოკვლევას თსუ სამეცნიერო საბჭომ პირველი საუნივერსიტეტო პრემია მიანიჭა (იხ. რეპტორის ბრძანება № 407, 1969 წ. 11 აპრილი).

**ავსტრიის სოციალურ-ეკონომიური ვითარება
კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში.
ნეოავსტრიული სკოლა**

**§1. ავსტრიის თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური
ეკონომიის ზოგადი დახასიათება. ნეოავსტრიული სკოლის
მოძღვრებათა წარმოშობა**

ავსტრია ეკონომიურად განვითარებული ინდუსტრიულ-აგრა-რული კაპიტალისტური ქვეყანაა. იმპერიალიზმის პერიოდში ავსტრიის მონოპოლიები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ ავსტრიაში 70-მდე კარტელი იყო, რომლებსაც გაბატონებული მდგომარეობა ეჭირათ მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში.

კაპიტალიზმის განვითარებას ავსტრიაში XX საუკუნის დასაწყისში ჰქონდა რიგი თავისებურებანი, რომლებიც იმით აიხსნება, რომ ქვეყნის მშრომელები განიცდიდნენ ექსპლოატაციას არა მარტო მონოპოლიების ბატონობით. არამედ ფეოდალიზმის ნაშთების არსებობითაც. ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, ავსტრო-უნგრეთი წარმოადგენდა ევროპის ერთ-ერთ უაღრესად ჩამორჩენილ ქვეყანას.

იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში განსაკუთრებით გაძლიერდა ავსტრო-უნგრეთის იმპერიალისტური მისწრაფება. ჰაბსბურგთა მონარქია გამოხატავდა მონოპოლისტური კაპიტალისა და ფეოდალური არისტოკრატის ინტერესებს. პირველ მსოფლიო იმპერიალისტურ ომში ავსტრია გერმანიასთან ერთად გამოდიოდა ანტანტის წინააღმდეგ. ომში ავსტრო-უნგრეთის არმიები მარცხს მარცხზე განიცდიდნენ.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ უდიდესი გავლენა მოახდინა მთელ მსოფლიოზე, ე. ი. ავსტრო-უნგრეთ-

ზეც. 1918 წ. ზაფხულში ავსტრო-უნგრეთის მდგომარეობა კატასტროფული გახდა, დაშლის წინაშე იდგა ავსტრო-უნგრეთის სახელმწიფო, ჰაბსბურგთა მრავალეროვანი რეაქციული მონარქია, რომლის ნანგრევებზე წარმოიშვა ბურჟუაზიული სახელმწიფოები: ავსტრია, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, პოლონეთი.

ავსტრო-უნგრეთის მონარქიის დაშლის შემდეგ. 1918 წ. 30 ოქტომბერს, ვენაში შეიქმნა დროებითი ეროვნული კრება, რომელშიც ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლებთან ერთად შევიდნენ სოციალ-დემოკრატიის ლიდერები: ოტო ბაუერი (1882--1932) --- II ინტერნაციონალის ერთ-ერთი ლიდერი, ავსტრო-მარქსიზმის გამოჩენილი იდეოლოგი, საერთაშორისო ოპორტუნიზმისა და რევიზიონიზმის წარმომადგენელი; კარლ რენერი (1870 --- 1950), ავსტრო-მარქსიზმის ცნობილი თეორეტიკოსი, იურიდიულ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მრავალი ოპორტუნიზტული წიგნის ავტორი და სხვ.

ო. ბაუერის მოთხოვნით მთავრობაში შევიდა აგრეთვე ცნობილი ბურჟუაზიული ეკონომისტი, ნეომარქუნალზმის თეორეტიკოსი ი. შუშკეტერი. იგი 1919 წ. 7 თვის მანძილზე იყო ავსტრიის ფინანსთა მინისტრი¹.

ავსტრო-მარქსიზმი მარქსიზმის რევიზიისა და ოპორტუნიზმის ერთ-ერთი ნაირსახეობაა, რომელსაც არავითარი საერთო არ აქვს რევოლუციურ მარქსიზმთან. ავსტრო-მარქსიზმმა რევიზია გაუკეთა მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიას. უარყო პროლეტარული რევოლუციის აუცილებლობა და თავის ღონუნგად გამოაცხადა კაპიტალისტური მეურნეობის „მშვიდობიანი სოციალიზაციის“ რეფორმისტული თეორია. ავსტრო-მარქსიზმის თეორეტიკოსები ილაშქრებდნენ კერძო კაპიტალისტური საკუთრების ლიკვიდაციის წინააღმდეგ და კმაყოფილდებოდნენ მიმოქცევის სფეროში ფსევდოსოციალიზაციის გატარებით (ე. წ. „ექსპროპრიაცია გადასახადებს მეშვეობით“).

ავსტრო-მარქსიზმმა ეროვნულ საკითხში წამოაყენა „კულტურულ-ეროვნული ავტონომიის“ თეორია. მისი თეორეტიკოსები გამოდიოდნენ ანტიმარქსისტული პოზიციებიდან ეროვნულ საკითხში და ამტკიცებდნენ, თითქოს ავსტრიას არ გააჩნდა დამოუკიდებლობის „სიცოცხლისუნარიანობა“. თანამედროვე ეტაპზე კვლავ გაისმის ხმები „ავსტრო-მარქსიზმის რენესანსის“² შესახებ. ავსტრო-

¹ Б. Селигмен, Основные течения современной экономической мысли, „Прогресс“, 1968, гл. 470.

² „Österreichische Monatshefte“, Hf. 2, 1965, гл. 1.

მარქსიზმის წარმომადგენლებმა მთლიანად უღალატეს მშრომელ მასებს და ბურჟუაზიასთან ერთად დაადგინენ პანგერმანიზმის იდეების პროპაგანდის გზას. ავსტრო-მარქსიზმის თეორეტიკოსთა პანგერმანიზმმა დააჩქარა ქვეყნის ფაშიზაციის პროცესი.

ავსტრია რესპუბლიკად გამოცხადდა. 1919 წ. თებერვალში ჩატარებული არჩევნების შედეგად შეიქმნა კოალიციური მთავრობა რომლის სათავეში ჩადგა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი კარლ რენერი. მუშათა კლასის რევოლუციურმა გამოსვლებმა აიძულა სოციალ-დემოკრატების ლიდერები დეტოკვინათ კოალიციურ კაბინეტი, თუმცა ძალაუფლება გადასცეს მემარჯვენე-ბურჟუაზიულ პარტიებს.

20-იანი წლების დასაწყისში განსაკუთრებით გამწვავდა ინფლაციური და ეკონომიური კრიზისი. ამას თან მოჰყვა მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის გაძლიერება. ქრისტიანულ-სოციალური პარტიის თავმჯდომარე ზეიპელი სათავეში ჩაუდგა მთავრობას. ზეიპელის კაბინეტი (1922 — 1924 და 1926—1929 წლებში) მტრულად იყო განწყობილი სსრ კავშირისა და საერთოდ მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის მიმართ.

1929 — 1933 წლების ეკონომიურმა კრიზისმა შეარყია ავსტრიის ეკონომიკა. 1929 წ. შობერის კაბინეტმა (1929—1930 წწ.) სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტული ფრთის მხარდაჭერით გზა გაუხსნა ფაშისტური დიქტატურის დამყარებას. ავსტრიელმა ჰიტლერელებმა მაღლწიეს იმას, რომ მთავრობას სათავეში ჩაუდგა რეაქციონერი დოლფუსი. რომელმაც 1933 წლიდან დაიწყო ჰიტლერის მეთოდების გამოყენება ავსტრიაში (სიტყვისა და ბეჭდვის, კრებებს თავისუფლების აკრძალვა და სხვ.). 1933 წ. 15 მარტს დათხოვნილ იქნა პარლამენტი და დამყარდა მმართველობის ფაშისტური ავტორიტარული სისტემა. რომელსაც სათავეში დოლფუსი ედგა. ჯერ აკრძალეს კომუნისტური პარტია, ხოლო შემდეგ სოციალ-დემოკრატიული პარტიაც.

ავსტრიელი ფაშისტების ერთი ნაწილი, რომელსაც მხარს უჭერდა დოლფუსი, ორიენტაციას იღებდა იტალიური ფაშიზმისაკენ, ხოლო მეორე (ჰიტლერელები) — გერმანიის ფაშიზმისაკენ. ჰიტლერელებმა მოკლეს დოლფუსი და წაპოიწყეს ნაციონალური პუტჩი. ავსტრიის მთავრობის ახალმა მეთაურმა შუშნიგმა ვატიკანის თანხმობის შემდეგ ხელშეკრულება დადო ნაციონალურ გერმანიასთან. კურტ შუშნიგმა, რომელიც ავსტრიის კანცლერი იყო 1934—1938 წლებში (იგი ამჟამად აშშ-ის სენ-ლუის უნივერსიტეტის პროფესორია). ნიადაგი მოუმზადა „ანშლუსის“ განხორციელებას. შუშნიგისა და

ზეიპელის ავსტროფაშიზმი ძვირად დაუჯდა ავსტრიის ხალხს. 1938 წელს შუშნიგი გამოიძაბა ჰიტლერმა და წაუყენა ულტიმატუმი. შუშნიგი ვადადგა და მოუწოდა ავსტრიის ჯარებს წინააღმდეგობა არ გაეწიათ ნაცისტებისათვის. 1938 წ. 11 მარტს გერმანელთა ფაშისტური ჯარები შეიჭრნენ ავსტრიაში. 13 მარტს ავსტრიის ახალმა კანცლერმა, ჰიტლერის აგენტმა ზეის-ინკვარტმა გამოაცხადა ავსტრიის „შეერთება“ ფაშისტურ გერმანიასთან.

ამრიგად, ფაშისტური „ანშლუსი“ სისრულეში იქნა მოყვანილი, ავსტრია დაიპყრო ფაშისტურმა გერმანიამ. ნაცისტების ბატონობის პერიოდში გაძლიერდა ფაშისტური ტოტალიტარიზმი. იგი შეეხო არა მარტო ეკონომიკას, პოლიტიკას. პოლიტიკურ ეკონომიას, არამედ მწერლობასა და ხელოვნებასაც. საკმარისია მოვიგონოთ მსოფლიოში ცნობილი მწერლის შტეფან ცვაიგის შემოქმედება, რომელიც ემყარებოდა ბიურგერული დემოკრატიზმისა და ლიბერალიზმის პოზიციებს. შ. ცვაიგმა ადრე იგრძნო ფაშიზმის გაბატონება ავსტრიაში და ემიგრაციაში წავიდა.

ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ ავსტრიაში დამყარდა საოკუპაციო რეჟიმი. ავსტრია დაიყო 4 საოკუპაციო ზონად: სსრ კავშირის, აშშ-ის, ბრიტანეთის, საფრანგეთის. 1945 წლის 27 აპრილს შეიქმნა დროებითი კოალიციური მთავრობა, რომელშიც შევიდნენ მემარჯვენე სოციალისტების, სახალხო პარტიისა და კომპარტიის წარმომადგენლები. მთავრობის სათავეში ჩადგა მემარჯვენე სოციალისტი კ. რენერი, რომელიც 1945 წ. არჩეულ იქნა ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტად, ხოლო მთავრობის მეთაური გახდა სახალხო პარტიის ლიდერი ფიგლი. კომუნისტები გამოვიდნენ მთავრობის შემადგენლობიდან რეაქციული პოლიტიკისადმი პროტესტის ნიშნად.

ავსტრიის მთავრობამ თავისი პოლიტიკა წარმართა „მარშალის გეგმის“ შესაბამისად. გაძლიერდა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი. 1946 — 1947 წლებში განხორციელდა მსხვილი ბანკების, შიძიმე მრეწველობის ძირითადი დარგების, ტრანსპორტის (რომლებიც გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალის კონტროლს ექვემდებარებოდა) ბურჟუაზიული ნაციონალიზაცია. ხელშეკრულების თანახმად ავსტრიის სახელმწიფოს გადაეცა ყოფილი ფაშისტური რაიხის მფლობელობაში მყოფი საკუთრება. მაშასადამე, ეკონომიკაში თვალსაჩინო როლის შესრულება იწყო სახელმწიფო სექტორმა. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ სსრ კავშირმა ავსტრიას გადასცა თავისი კუთვნილი 300-ზე მეტი საწარმო.

ავსტრიაში გატარებული ნაციონალიზაცია წმინდა ბურჟუაზიუ-

ლი ხასიათისაა. ინდივიდუალური კაპიტალისტის ადგილი დაიკავა ბურჟუაზიულმა სახელმწიფომ, ე. ი. ერთობლივმა, კოლექტიურმა კაპიტალისტმა. ავსტრიელი მარქსისტი თ. პრაგერი თავის შრომაში „მითი კაპიტალიზმის დაგეგმვისა“ სავსებით სწორად შენიშნავს, რომ ნაციონალიზებულ საწარმოებში გადაწყვეტ როლს ასრულებენ კვლავ ის პირები, რომლებსაც ეკუთვნოდათ ეს საწარმოები წინათ³.

სახალხო პარტიისა და სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ლიდერები თავიდანვე დაადგნენ ანტიკომუნიზმის, დასავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან აქტიური თანამშრომლობის გზას.

1929 წლის კონსტიტუციით ავსტრია ფედერაციული რესპუბლიკაა, იგი წარმოადგენს „მიწების“ (პროვინციების) ფედერაციას, რომლის სათავეში დგას პრეზიდენტი. 1951 — 1957 წლებში ავსტრიის პრეზიდენტი იყო თ. კერნერი, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა კანცლერი იულიუს რააბი. 1957 წ. პრეზიდენტად არჩეულ იქნა ა. შერფი (სოციალისტი).

აქ საჭიროა ხაზი გაესვას ერთ მომენტს. კანცლერი ი. რააბი და ფინანსთა მინისტრი პროფ. რ. კამიცი (ნეოლიბერალიზმის ნეოავსტრიული სკოლის წარმომადგენელი) ცხოვრებაში ატარებდნენ ნეოლიბერალურ პოლიტიკას, რომელიც ძალიან ახლოს დგას პროფ. ლ. ერჰარდის ორდოლიბერალურ პოლიტიკასთან. „ერჰარდიზმი“ და „რააბ-კამიცის კურსი“ დასავლეთევროპული ნეოლიბერალიზმის ნაირსახეობას შეადგენენ. ხოლო დასავლეთგერმანული „ეკონომიური სასწაული“ და ავსტრიული „ეკონომიური სასწაული“⁴ ნეოლიბერალური აპოლოგეტიკის სოციალურ-პოლიტიკური ტყუპებია.

შვეიცარიაში 1953 წ. გამოვიდა კრებული „ეკონომიკა უსასწაულოდ“, რომელშიც მოთავსებულია ცნობილი ბურჟუაზიული ეკონომისტების, მათ შორის ნეოავსტრიული სკოლის თეორეტიკოსების (ფ. ჰაიეკის, ფ. ნემშაკის) სტატიები. პროფ. ფრანც ნემშაკი (დაიბადა 1907 წ.), ომამდე მოღვაწეობდა ვენისა და გრაციის უნივერსიტეტებში, 1945 წ. სათავეში ჩაუდგა ავსტრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. იგი დაადგა ორდოლიბერალიზმის გზას

³ T. Prager, Das Märchen von der Planung im Kapitalismus, Wien, 33. 43—44.

⁴ „Raab-Kamitz-Kurs“; „Das österreichische Wirtschaftswunder“. — „Österreichische Monatshefte“, Hf. 4, 1965, 33. 66—67.

და თეორიულად „ასაბუთებდა“ ნეომარქინალური საბაზრო მეურ-
ნეობის აუცილებლობას. სტატიაში „ავსტრიის ეკონომიური პოლი-
ტიკის წყობის პრინციპები“⁵ იგი იცავს ავსტრიული ნეოლიბერა-
ლიზმის იდეებს, ავსტრიულ „ეკონომიურ სასწაულს“.

ფ. ნემშაკი აცხადებდა, რომ ავსტრიისათვის მისაღებია „შეჯიბრე-
ბის წყობილება“ და „მესამე გზა“. იგი იცავს „თავისუფალი საბაზ-
რო მეურნეობის“ ნეოლიბერალურ პრინციპებს და ილაშქრებს გეგ-
მიანი მეურნეობის წინააღმდეგ.

ავსტრიის თანამედროვე ბურჟუაზიულ და რეფორმისტულ ლი-
ბერალურებაში გატარებულია აზრი, რომლის მიხედვით 1920 — 1934
წლები განხილულია, როგორც ავსტრიის პირველი რესპუბლიკის
პერიოდი, ხოლო 1945 — 1965 წლები (დღემდე) — ავსტრიის მეო-
რე რესპუბლიკის პერიოდი. მითითებულია, რომ პირველი რესპუბ-
ლიკის პერიოდში ცხოვრებაში ტარდებოდა ქრისტიანული პოლი-
ტიკა. 1945 წლიდან ცხოვრებას კვლავ წარმართავს ავსტრიის სა-
სახლხო პარტია, ანუ ქრისტიანული პარტია“.

არც ავსტრიაში არ მომხდარა არავითარი ეკონომიური სასწაუ-
ლი. ავსტრიის სახალხო პარტიისა და მმართველი წრეების მიზანს
შეადგენდა და შეადგენს სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტა-
ლიზმის აპოლოგეტიზმი და ანტიკომუნისმი. სწორედ ამიტომ გაუ-
შვეს მიმოქცევაში სხვადასხვა აპოლოგეტური კონცეფციები: „ან-
ტიტოტალიტარიზმი“, „დემონოპოლიზაცია“ და „ანტიმონოპოლიზ-
მი“, „სახალხო აქცია“ და „სახალხო კაპიტალიზმი“, „სოციალური-
ანუ თავისუფალი საბაზრო მეურნეობა“ და „ეკონომიური სასწაუ-
ლი“, „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“ და მრავალი
სხვა.

დასახელებულ კონცეფციებს ჭადაგებდნენ და ჭადაგებენ ავსტ-
რიის მმართველი პარტიის—„სახალხო პარტიისა“ (დაარსდა 1945 წ.)
და სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ლიდერები და თეორეტიკოსე-
ბი. ამასთან ერთად მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ავსტრიის
თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის თეორეტიკო-
სები თავიანთ კონცეფციებს აყენებენ ორდოლიბერალიზმის დოქ-
ტრინაზე უფრო მაღლა.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში ავსტრიის ბურ-
ჟუაზიულმა პოლიტიკურმა ეკონომიამაც განიცადა ევოლუცია ისე-

⁵ F. Nemschak, Die Ordnungsprinzipien der Wirtschaftspolitik Österreichs.— „Wirtschaft ohne Wunder“, 1953, გვ. 187—203.

⁶ „Österreichische Monatshefte“, Hf. 2, 1935, გვ. 10.

ვე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში. ეს აიხსნება თვით მონოპოლისტური კაპიტალიზმის, ხოლო შემდეგ სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარებით.

თავისუფალი კონკურენციის ეპოქის კაპიტალიზმის მოძღვრებას ავსტრიაში წარმოადგენდა ავსტრიული სკოლა, რომელიც XIX საუკუნის 70-იან წლებში აღმოცენდა. ვულგარეკონომიის ავსტრიული სკოლის დანიშნულებას შეადგენდა Laisser faire-ს კაპიტალიზმის აპოლოგეტიკა და მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლა.

ავსტრიული სკოლის (კ. მენგერი, ფ. ვიზერი, ე. ბემ-ზავერკი) აღმოცენებამდე ავსტრიაში გავრცელებული იყო ვულგარეკონომიის გერმანული ისტორიული სკოლის (ე. როშერი, ბ. ჰილდებრანდი, კ. კნისი) კონცეფციები.

მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარებამ. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის დაწყებამ, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ სსრ კავშირში გამოიწვია ავსტრიული პალეოლიბერალიზმის კრიზისი. ვულგარული პალეოლიბერალიზმის ერთ-ერთი სკოლა იყო ავსტრიული სკოლა. დაიწყო ავსტრიული სკოლისა და მისი კონცეფციების (მარქინალიზმი, რობინზონადების მეთოდი, მიკროეკონომიის მეთოდი, სინგულარული მეურნეობა და სხვ.) რევიზია. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირველ ეტაპზე მარქინალიზმის ადგილი დაიკავა ნეომარქინალიზმმა, მიკროეკონომიისა — მიკროეკონომიამ, ავსტრიული სკოლისა — ნეოავსტრიულმა სკოლამ.

მიუხედავად ამ „ცვლილებებისა“, „რევიზიისა“ და „რევოლუციისა“, ავსტრიის ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის სტრატეგია, არსი. მიზანდასახულება იგივე დარჩა: აპოლოგეტიკაში, ვულგარიზმში, ანტიმარქსიზმი და ანტიკომუნისმი. შეიცვალა აპოლოგიის ფორმები და ხერხები. ნეოავსტრიულა, ანუ ახალი ავსტრიული სკოლის წარმომადგენლებმა მიზნად დაისახეს სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დაცვა.

ავსტრიელი ეკონომისტი, ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, ავსტრიის კომპარტიის წევრი, პროფკავშირული მოძრაობის ლიდერი თეოდორ პრაგერი ბერლინის 1958 წლის საერთაშორისო სამეცნიერო-ეკონომიურ კონფერენციაზე გაკეთებულ მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ ავსტრია შეიძლება მიჩნეულ იქნეს „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ თავისებურ კლასიკურ მაგალითად. ამ გარემოებას იგი ხსნიდა შემდეგი მომენტებით: 1. ეკონომიურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის (ინტერვენციონიზმის) მაღალი დონე, 2. გასახელმწიფოებრივობის დიდი მასშტაბი, 3. სა-

ხელმწიფო სექტორის დიდი ხვედრითი წონა და 4. სოციალური და შრომის კანონმდებლობის ფართო სისტემა.

„საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ იდეების ფართოდ გავრცელებას ავსტრიაში თ. პრაგერი იმით ხსნის, რომ ომის შემდგომ ავსტრიაში ერთგვარად ამაღლდა დასაქმებულობა, შემცირდა უმუშევრობა მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდთან შედარებით. ამ მომენტებს ჩასჭიდეს ხელი ავსტრიის ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა და სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე თეორეტიკოსებმა. მათ ავსტრიაში არსებულ შედარებით მაღალ კონიუნქტურას უწოდეს „ავსტრიული ეკონომიური სასწაული“, ხოლო საკუთრივ ავსტრიას — „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“. აი რას წერდა ავსტრიის სოციალისტური პარტიის გამგეობის წევრი კარლ ჩერნეცი: „ძველი კაპიტალიზმი მკვდარია. კაპიტალისტური საზოგადოება მთლიანად იცვლის სახეს. იგი ახლა ძირფესვიანად შეიცვალა“⁷. იგივე გაიჟეორა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახალი პროგრამის ავტორმა, ფილოსოფიის დოქტორმა, „კრედიტან-შტალტის“ ბანკის მთავარი დირექტორის შოადგილემ, კარლ კაუცკის შვილმა ბენედიქტე კაუცკიმ (1885 — 1965).

ავსტრიის პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარემ ბემმა განაცხადა, თითქოს მდიდარი ადამიანები ავსტრიაში მცირე რაოდენობითაა, ხოლო კანცლერმა რააბმა გააკეთა „ახალი აღმოჩენა“. ის რასაც საერთაშორისო ლექსიკონებში უწოდებენ „ბურჟუაზიას“, განაცხადა რააბმა, ავსტრიაში უცნობი ცნებაა. ავსტრიელი ბურჟუაზიული ეკონომისტები იცავენ აგრეთვე „დეპროლეტარიზაციის“ აპოლოგეტურ მოძღვრებას. მათი აზრით, თანამედროვე ავსტრიაში აღარაა არც ბურჟუაზია და არც პროლეტარიატი. ნაცვლად პროლეტარიატისა, ისინი ლაპარაკობენ „ნეო-პროლეტარიატის“ შესახებ. ამ საქმეში ისინი იყენებენ „თანამონაწილეობის“, „ხელფასის ინვესტირების“, „სახალხო აქციის“, ხელფასი — ფასი — სპირალისა და სხვა აპოლოგეტურ კონცეფციებს. ნეოავსტრიული სკოლის თეორეტიკოსი პროფ. ვ. ვებერი გულმოდგინედ იცავს ავსტრიის სახალხო პარტიის იდეას „სახალხო აქციის“ შესახებ და პრეტენზიას აცხადებს იმაზე, რომ ეს იდეა ეკუთვნის ავსტრიის სახალხო პარტიასა და მის ნეოლიბერალ თეორეტიკოსებს. ასეთივე აზრი გამოთქვა ო. კლუგმაც (დასავლეთი ბერლინი), თუმცა მან

⁷ Проблемы кризисов и обнищания рабочего класса после второй мировой войны, Москва, 1959, გვ. 590—591.

1962 წ. გამოცემულ წიგნში აღიარა „სახალხო აქციის ავსტრიული ექსპერიმენტის ფიასკო“⁹.

ავსტრიელი ბურჟუაზიული ეკონომისტები იყენებენ „საკუთრების დეკონცენტრაციის“ აპოლოგეტურ კონცეფციას. მათ ნაწერებში, ნაცვლად კაპიტალისტისა და მუშისა, ლაპარაკია „სამუშაოს მიმცემზე, სამუშაოს მიმღებსა და მომხმარებელზე“¹⁰.

1953 — 1957 წლები ავსტრიისათვის წარმოადგენდა წარმოების აღმავლობის პერიოდს. ამ წლებში, თ. პრაგერის განცხადებით, მუშათა ხელფასი გაიზარდა 17%-ით, მაგრამ ამას ავსტრიის მუშათა კლასმა მიაღწია არა „რააბ-კამიცის სახალხო კაპიტალიზმითა“ და „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ მეშვეობით, არამედ შეუპოვარი რევოლუციური და საგაფიცო ბრძოლით. ავსტრიის ეკონომიკის მუდმივი თანამგზავრია უმუშევრობა და ეკონომიური კრიზისები. საქმეს ვერ შველის ვერც „სახალხო აქციები“ და ვერც „სოციალური პარტნიორობა“. ხატოვნად შენიშნავდა თ. პრაგერი ავსტრიული „სოციალური პარტნიორობის“ თაობაზე: ერთ „სოციალურ პარტნიორს“ დივიდენდები და მაღალი მოგება ხოლო მეორეს (მუშას) — განთავისუფლება სამუშაოდან.

ავსტრიელი ეკონომისტი-მარქსისტი ვ. შტეინი მოსკოვის საერთაშორისო კონფერენციაზე (1962 წ.) თავის მოხსენებაში შეეხო ომის შემდეგდროინდელი ავსტრიის ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებს (სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ზრდა, სოციალიზაცია, ნაციონალიზაცია, რეპრივატიზაცია, დენაციონალიზაცია და სხვ.). მან მიუთითა, რომ ავსტრიის ბურჟუაზია და ბურჟუაზიული ეკონომისტები (მაგალითად, ნეოავსტრიული სკოლის თეორეტიკოსი პროფ. ვილჰელმ ვებერი) გამოვიდა ნაციონალიზაციის წინააღმდეგ, მსხვილმა კაპიტალმა 50-იან წლებში მოითხოვა ნაციონალიზებულ საწარმოთა რეპრივატიზაცია. ეს გასაგებიცაა, რადგან რეპრივატიზაციით მოგებულ რჩება მონოპოლისტური კაპიტალი, ხოლო მუშათა კლასის მიმართ რეპრივატიზაცია და „სახალხო აქცია“ წარმოადგენს პოლიტიკური სტერილიზაციის საშუალებას. ამიტომ ავსტრიის კომპარტიამ მოუწოდა მუშათა კლასს ნაციონალიზაციის დაცვისაკენ და დენაციონალიზაციის, აგრეთვე რეპრივატიზაციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ავსტრიელი ეკონომისტი კურტ როტშილდი (ვენა) ბერლინის

⁹ O. Klug, Volkskapitalismus durch Eigentumsstreuung, Stuttgart, 1932, გვ. 111.

¹⁰ J. Hicks, Einführung in die Volkswirtschaftslehre, 1962, გვ. 19 — 22.

1960 წლის საერთაშორისო კონფერენციაზე გამოვიდა მოხსენებით „თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომიური თეორიების შეფასებისათვის“. მან მკაცრად გააკრიტიკა არა მარტო ავსტრიული ნეოლიბერალიზმი და მისი თეორიები („სოციალური საბაზრო მეურნეობა“, „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“, „სავალუტო კურსის თეორია“, „ოლიგოპოლიის თეორია“, „input — output თეორია“, „სახალხო კაპიტალიზმი“ და სხვ.), არამედ მთელი ნეოლიბერალური მიმდინარეობა¹⁰.

კ. როტშილდმა გამოააშკარავე ნეოლიბერალიზმისა და თანამედროვე ვულგარეკონომიის სხვა უახლესი მიმდინარეობებისა და თეორიათა აპოლოგეტური ხასიათი. მან კრიტიკული მოსაზრება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ საჭიროა თანამედროვე ბურჟუაზიული მოძღვრებანი და თეორიები განხილულ იქნეს დიფერენცირებულად. მისი აზრით, ყველა დეტალში არ უნდა ვეძიოთ აპოლოგეტიზმი. ამის მაგალითად კ. როტშილდმა დაასახელა ეკონომიური ზრდის განტოლება

$$G = \frac{S}{C} \quad (G \text{ ზრდის ტემპია, } S \text{ — დაზოგვათა ეფექტურობის ნორმა, } C \text{ — კაპიტალის კოეფიციენტი, ანუ „კაპიტალის ნაყოფიერების“ შებრუნებული სიდიდე). „მეზინდოდა ხაზი გამესვა, — წერს კ. როტშილდი, — რომ ფორმულა (განტოლება) } G = \frac{S}{C}, \text{ როგორც ასეთი, იდეოლოგიურად ნეიტრალურია“ }^{11}.$$

კ. როტშილდი აქ ფაქტიურ შეცდომას უშვებს. ჯერ ერთი, ეკონომიური ზრდის თანამედროვე ბურჟუაზიული თეორია ყველა ვარიანტიტურთ (მათ შორის ნეოლიბერალურითაც) აპოლოგეტურია (ეკონომიური ზრდისა და დინამიკის ბურჟუაზიულ თეორიას ჩვენ ვრცლად განვიხილავთ ი. შუმპეტერის შეხედულებათა დახასიათებისას); მეორე, განა მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიაში შეიძლება ისეთი „კატეგორიების“ გამოყენება. როგორცაა „კაპიტალის ნაყოფიერება“ ან „დაზოგვა“? ეს ხომ ვულგარეკონომიის ცნებებია. რომლებშიც მიჩქმალულია კ. მარქსის შრომითი და ზედმეტი ღირებულების თეორიები, მაშასადამე, მათი დანიშნულებათა აპოლოგეტიზმი და მეტი არაფერი.

ამრიგად. თქმა იმისა, რომ ეკონომიური ზრდის ბურჟუაზიული

¹⁰ Новые явления в современной буржуазной политэкономии, т. 2, с. 274—278.

¹¹ იქვე, გვ. 277.

თეორიის განტოლება „იდეოლოგიურად ნეიტრალურია“, შეცდომა და, მაშასადამე, უკუსაგდებიც.

კ. როტშილდი მართებულად განიხილავს თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელთა (პირველ რიგში მას მხედველობაში ჰყავს ავსტრიელი ნეოლიბერალები) აპოლოგეტიზმის ძირითად ნიშნებს:

1. მისწრაფებას. გვერდი აუარონ კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობათა „ღრმა ანალიზს“. ამიტომ, სავსებით სწორად შენიშნავს კ. როტშილდი, რომ: თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომიური თეორიები განიხილავენ ზედაპირულ მოვლენებს და არ ძალუძთ ეკონომიური კანონების შეცნობა.

2. სინამდვილისადმი გვერდის ავლას. ახალ-ახალი რთული მოდელების შექმნას, რომლებსაც არავითარი კავშირი არ აქვთ რეალურ სინამდვილესთან. — ასეთ შემთხვევებში, — წერს კ. როტშილდი, — თურია გამოუყენებელი ხდება, გადაიქცევა „ხელოვნებად ხელოვნებისათვის“.

3. თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის თეორიებისათვის დამახასიათებელი ნიშანია აპოლოგეტური ტერმინოლოგიის ფართოდ გამოყენება.

4. თითქმის ყოველთვის, — აღნიშნავს კ. როტშილდი, — თანამედროვე მაკროეკონომიური თეორია ემყარება სახელმწიფოს მცდარ თეორიას. სახელმწიფო განიხილება. როგორც არაპარტიული ორგანო¹².

კ. როტშილდის მიერ მოცემული დახასიათება მთლიანად ეხება ავსტრიის თანამედროვე ბურჟუაზიულ ეკონომისტებსა და მთელ კულგარეკონომიას.

ავსტრიის თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია, რომელიც ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს ძირითადად ნეოავსტრიული სკოლის სახით, მიზნად ისახავს ორ ამოცანას: ი დ ე ო ლ ო გ ი უ რ ს (კაპიტალისტური წარმოების წესის აპოლოგეტიკა) და პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ს (ახალი მოვლენების გამოყენება სხვადასხვა მოდელების შექმნისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა შერბილებისათვის. კაპიტალიზმის „მკურნალობა სოციალური ნარკოტიკებით“, რაც საბოლოო ანგარიშით კიდევ უფრო ამძიმებს „პაციენტის მდგომარეობას“).

თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტი ე. პრაიზერი განსაკუთრებით წინა პლანზე აყენებს პრაქტიკული ფუნქციის შესრულე-

¹² Новые явления в современной капиталистической политэкономии, т. 2, гл. 275.

ბას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ნეომარქინალიზმი დიდ ადგილს უთმობს ეკონომიური პოლიტიკის საკითხებს, „პრაქტიკული ნაციონალ-ეკონომია, ანუ ეკონომიური პოლიტიკის თეორია“—წერს ნაკლებმომხმარებლის ბურჟუაზიული თეორეტიკოსი ე. პრაიზერი¹³.

ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ორივე ფუნქციის — იდეოლოგიურისა და პრაქტიკულის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა თანამედროვე პირობებში. „ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ორივე ფუნქციას აერთიანებს საერთო ამოცანა — კაპიტალიზმის შენარჩუნება და განმტკიცება. მაგრამ ამ ორ ფუნქციას შორის არის ღრმა წინააღმდეგობა: ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის აპოლოგეტური ფუნქცია მოითხოვს ეკონომიური კანონების ობიექტური შესწავლისაგან უკან დახევას და კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა მიჩქმალვას; პრაქტიკული ფუნქცია, პირიქით, რეალური ეკონომიური პროცესების შესწავლის აუცილებლობას იწვევს, არ იძლევა წინააღმდეგობებისათვის ზურგის შექცევის საშუალებას, მეტიც, მოითხოვს მხედველობაში მათ მიღებას, როგორც ამას აკეთებენ თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის მთავარი მიმართულებანი — კეინსელობა და ეკონომიური ზრდის თეორია¹⁴. თანამედროვე ავსტრიაში უპირატესობით სარგებლობს ნეოლიბერალური დირიჟიზმი. ეს გასაგებიცაა. ავსტრიის სოციალურ-ეკონომიურ ვითარებას დღევანდელ პირობებში უფრო მეტად „ლიბერალური ეკონომია“ შეესაბამება. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ავსტრია თავისუფალი ვაჭრობის ევროპის ასოციაციის („თავისუფალი ვაჭრობის მცირე ზონა“) წევრია. ასოციაციაში სულ ევროპის შეიდი კაპიტალისტური ქვეყანაა გაერთიანებული (აქედან სახელწოდება „შვიდეული“).

თანამედროვე ავსტრიის სოციალურ-ეკონომიური ვითარება ზემო დასახელებული ორი ფუნქციის შესრულებას აკისრებს ნეოავსტრიულ სკოლას. წინააღმდეგობა ამ ორ ფუნქციას შორის კიდევ უფრო აღრმავებს და აძლიერებს ავსტრიის თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიზისს. ამას ისიც ემატება, რომ „ემიგრირებული ვენის სკოლის“ თეორეტიკოსები ანტიკომუნისმის პროპაგანდისტთა ავანგარდში დგანან. ეს გარემოებაც ნათელს ხდის და ააშკარავებს ნეოავსტრიული სკოლის ნეოვულგარიზმსა და აპოლოგეტიზმს.

¹³ E. Preiser, Nationalökonomie heute. München. 1960, გვ. 31.

¹⁴ Новые тенденции в современной буржуазной политической экономии, София, 1965, გვ. 20.

§ 2. „კლაგენფურტის მანიფესტის“ კრიტიკა

ავსტრიის სახალხო პარტია და მისი თეორეტიკოსები არსებითად ჭადაგებენ იმას, რასაც დასავლეთ გერმანიაში ქრისტიან-დემოკრატიულ პარტია და მისი ლიდერები. ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებას წარმართავს ავსტრიის სახალხო პარტია, რომელმაც თავისი ნეოლიბერალური პროგრამა დასრულებული ფორმით ჩამოაყალიბა IX ყრილობაზე 1963 წ. კლაგენფურტში. ეს პროგრამა ცნობილია „კლაგენფურტის მანიფესტის“ სახელწოდებით. იგი მოიცავს ეკონომიურ, პოლიტიკურ, სოციალურ მომენტებს. საკმაოდ დიდი ადგილი უკავია ეკონომიური თეორიისა და პოლიტიკის საკითხებს („სოციალური საბაზრო მეურნეობა“, „სახალხო აქცია“, „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“, „სახალხო კაპიტალიზმი“ და მრავალი სხვა).

„კლაგენფურტის მანიფესტის“ საკითხებზე დისკუსია გამართა ავსტრიულმა გაზეთმა¹⁵. ავსტრიის სახალხო პარტიამ და მისმა გაზეთმა დიდი ყურადღება მიაქციეს „კლაგენფურტის მანიფესტის“ ეკონომიურ პროგრამას. დისკუსიის შედეგები შეჯამდა 1964 წლის დეკემბერში.

განვიხილოთ მოკლედ ავსტრიის სახალხო პარტიისა და მისი „კლაგენფურტის მანიფესტის“ ეკონომიური თეორიისა და პოლიტიკის მთავარი საკითხები. „კლაგენფურტის მანიფესტში“ აღნიშნულია:

1. ავსტრიის სახალხო პარტია აღიარებს თავის თავს, როგორც ქრისტიანულ პარტიას.

2. ავსტრიის სახალხო პარტია უწოდებს თავის თავს დემოკრატიულ პარტიას, ე. ი. „მთელი ხალხის პარტიას და პარტიას მთელი ხალხისათვის“.

3. ავსტრიის სახალხო პარტია წარმოადგენს ავსტრიულ პარტიას.

4. იგი აღიარებს თავის თავს „როგორც წარმატებათა პარტიას“.

5. ავსტრიის სახალხო პარტია იბრძვის ისეთი „საზოგადოებრივი წყობილებისათვის, რომელიც ემყარება ქრისტიანულ სოციალურ მოძღვრებას“.

6. „ავსტრიის სახალხო პარტია წარმოადგენს პირადი საკუთრებისათვის მებრძოლ პარტიას“.

¹⁵ „Österreichische Monatshefte“ (Blätter für Politik, Kultur und Wirtschaft).

7. იგი არის „პარტია თანამეგობრობის წარმოქმნისათვის“.

8. ის არის „დემოკრატიული თვითაღზრდის გაერთიანების პარტია“.

9. „ავსტრიის სახალხო პარტია თავისუფლების მოპოვების პასუხისმგებელია“.

10. მას თავი მოაქვს, „როგორც ოჯახის პარტიას“.

11. „კლაგენფურტის მანიფესტი“ აცხადებს, რომ ავსტრიის სახალხო პარტია გამოდის „როგორც პიროვნების თავისუფლად განვითარების პარტია“.

12. „ავსტრიის სახალხო პარტია აღიარებს თავის თავს, როგორც შეხედულებათა გაერთიანებას“¹⁶.

ასეთია ავსტრიის სახალხო პარტიის (OVP)¹⁷ „კლაგენფურტის მანიფესტის“ მოკლე შინაარსი, რომელიც 12 მუხლისაგან შედგება. გ. მიულერმა „კლაგენფურტის მანიფესტის“ 12 ძირითადი პრინციპი ასე ჩამოაყალიბა: ავსტრიის სახალხო პარტია არის: ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია, წარმატებათა პარტია, რომელიც ქრისტიანულ სოციალურ მოძღვრებას ემყარება; პირადი საკუთრებისა (ე. ი. კერძო საკუთრების) და თანამეგობრობისათვის („სოციალური პარტნიორობა“) მებრძოლი პარტია, ოჯახის, პიროვნების თავისუფლად განვითარების, თავისუფლებისათვის მებრძოლი პარტია.

ძნელი დასანახი არაა ის, თუ რა იმალება აღნიშნული ბურჟუაზიული „თავისუფლების“ უკან. „პარტიულ ბრძოლაში რომ გავერკვეთ, სიტყვებს კი არ უნდა ვენდოთ, არამედ შევისწავლოთ პარტიების ნამდვილი ისტორია, შევისწავლოთ არა იმდენად ის, რასაც პარტიები თავის თავზე ამბობენ, არამედ ის, რასაც ისინი აკეთებენ, როგორ იქცევიან სხვადასხვა პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტისას, როგორ უჭირავთ თავი ისეთ საქმეებში, რომლებიც ეხება საზოგადოების სხვადასხვა კლასების—მემამულეების, კაპიტალისტების, გლეხების, მუშებისა და სხვათა საარსებო ინტერესებს“¹⁸.

ავსტრიის ბურჟუაზია და მისი პარტიები ლამაზად მორთულ-მოჩუქურთმებულ პროგრამებს ადგენენ. ერთ-ერთ ასეთ პროგრამას წარმოადგენს სწორედ ავსტრიის სახალხო პარტიის „კლაგენფურტის მანიფესტი“, რომელიც იცავს კერძო საკუთრებას, კაპი-

¹⁶ „Österreichische Monatshefte“, Hf. 1, 1965, გვ. 18—19.

¹⁷ Österreichische Volkspartei—OVP.

¹⁸ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 18, გვ. 35.

ტალისტურ საქონელწარმოებას, კაპიტალს. ეს რომ ასეა, ჩვენ უკვე დავინახეთ ავსტრიის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის სქემატური ანალიზის დროსაც კი.

„კლაგენფურტის მანიფესტი“ წარმოადგენს „სოციალური საბაზრო მეურნეობის“, „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“, „სახალხო აქციების“, „სოციალური პარტნიორობის“, „სახალხო კაპიტალიზმის“ პროპაგანდას. საილუსტრაციოდ გვინდა მოვიშველიოთ ლოზუნგი, რომელიც „კლაგენფურტის მანიფესტის“ განხილვას წინ უძღვის. ზემოთ დასახელებული გაზეთის 1965 წლის პირველ ნომერში მოთავსებულია ასეთი ლოზუნგი: „ბანკირებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“.

„კლაგენფურტის მანიფესტი“ თავიდან ბოლომდე იცავს ნეოლიბერალურ „სოციალურ ანუ თავისუფალ საბაზრო მეურნეობას“.. გ. ციმერ-ლემანმა თავის სტატიაში „სოციალური საბაზრო მეურნეობა: თავისუფლება საზოგადოებრივ-ეკონომიურ წყობილებაში“ აღნიშნა, რომ „ავსტრიის სახალხო პარტიამ 1963 წ. კლაგენფურტის მანიფესტში აღიარა და მოიწონა სოციალური საბაზრო მეურნეობა“¹⁹. გ. მიულერიც მიუთითებს, რომ ავსტრიული „სოციალური საბაზრო მეურნეობა“ და „ეკონომიური სასწაული“ ეყრდნობა ქრისტიანულ სოციალურ ფილოსოფიასა და ორდოლიბერალიზმის დოქტრინას²⁰.

გ. მიულერი მაღალ შეფასებას აძლევს ავსტრიელი ნეოლიბერალების ერთ-ერთი ლიდერის რ. კამიციის მოღვაწეობას, რომელსაც აყენებს ლ. ერჰარდის გვერდით. „ორდოლიბერალიზმის, ანუ, როგორც უწოდებენ, ლიბერალიზმის ეს ახალი მოაზროვნეები — რეჰკე, რიუსტოვი, ოიკენი, რიუეფი, აინაუდი და სხვ. თავიანთ პრაქტიკულ ინტერპრეტაციას პოულობენ სახელმწიფო მოღვაწეებში: ერჰარდი, შუმანი, დე გასპერი და კამიცი“²¹.

ამრიგად, ავსტრიული „სოციალური საბაზრო მეურნეობა“ წარმოადგენს ორდოლიბერალიზმის „თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“ ნაირსახეობას. ამიტომ მას ჩვენ აქ აღარ განვიხილავთ. ამ შექმნის მიხედვით საჭიროდ მიგვაჩნია ავსტრიული „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ თეორიისა და პოლიტიკის ზოგიერთი თავისებურების ანალიზი. თავისი არსით ორდოლიბერალური და ავსტრიული საბაზრო მეურნეობა ერთტიპიურია. „სოციალური საბაზრო მეურნეობის

¹⁹ „Österreichische Monatshefte“, Hf. 2, 1965, გვ. 18.

²⁰ იქვე, გვ. 19.

²¹ იქვე, გვ. 18.

სოციალურ-პოლიტიკური კომპონენტია წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება შეჯიბრების საბაზრო-ეკონომიური წყობილების მხედველობაში გათვალისწინებით—წერს გ. ციმერ-ლემანი²².

ავსტრიელი გ. ციმერ-ლემანი შემდეგ განიხილავს საკითხს „სოციალური საბაზრო მეურნეობა და ავსტრია“ (ცალკე პარაგრაფადაა გამოყოფილი ეს საკითხი სტატიაში) და ჩამოთვლის ავსტრიული სოციალური საბაზრო მეურნეობის ძირითად პრინციპებსა და შვიდ კრიტერიუმს. „ამრიგად, წერს იგი, —სოციალური საბაზრო მეურნეობის ძირითადი პრინციპია მონეტარული სტაბილიზაციის შენარჩუნება. ეს ნიშნავს ამავე დროს ყველა ინფლაციონისტურ ტენდენციაზე უარის თქმას“²³. აქაც აშკარად ჩანს ავსტრიული ნეოლიბერალიზმის „ანტიციკლისმი“ და „ანტიინფლაციონიზმი“, რომელშიც ცოტა დემაგოგია როდია.

ავსტრიული „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ კრიტერიუმს, გ. ციმერ-ლემანის აზრით, შეადგენს:

1. „ფულადი ღირებულების სტაბილიზაციის“, „სრული დასაქმებისა და კონიუნქტურის სიმტკიცის შენარჩუნება“.

2. „სოციალური საბაზრო მეურნეობა თავის ამოცანას ხედავს საზოგადოებას, სახელმწიფოსა და ეკონომიკას შორის სწორი ურთიერთდამოკიდებულების შექმნაში“.

3. „სახელმწიფომ ხელმძღვანელობისა და მოწესრიგების ნაცვლად უნდა მოახდინოს ეკონომიკის სინქრონიზაცია“.

4. მეურნეობრივი ნაკადი უნდა იყოს საბაზრო, ე. ი. განთავისუფლებული სახელმწიფოს ღირიყისტული ჩარევისაგან;

5. ბაზრის მონოპოლიზაცია მონოპოლიებისა და კონცენტრაციის შედეგად აღკვეთილ უნდა იქნეს.

6. ბრძოლა გასახელმწიფოებრივობისა და კერძო პირთა ხელში საკუთრების გაფართოების წინააღმდეგ.

7. ავსტრიული „სოციალური საბაზრო მეურნეობა“ და „კლაგენფურტის მანიფესტი“ „ამ ძირითადი პრინციპებიდან“ გამომდინარე დასაშვებად თვლის „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ მიერ „ანტიციკლური“ და შემოსავლის განაწილების „მომწესრიგებელი“ ღონისძიებების გატარებას²⁴.

ავსტრიული „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ კრიტერიუმისა და ძირითადი პრინციპების უბრალო ჩამოთვლაც აშკარად მეტ-

²² „Österreichische Monatshefte“, Hf. 2, 1965, გვ. 19.

²³ იქვე, გვ. 20.

²⁴ იქვე.

ყველებს იდეურ ნათესაობაზე. რომელიც არსებობს დასავლეთგერმანულ და ავსტრიულ ნეოლიბერალიზმსა და მათ კონცეფციებს შორის. განსხვავება იმაშია, რომ ორდოლიბერალიზმის „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ საქესთან პროფ. ლ. ერჰარდი იდგა, ხოლო ავსტრიულ „სახალხო საბაზრო მეურნეობას“ პროფ. რ. კამიცი წარმართავდა. „სოციალური საბაზრო მეურნეობა“ დასავლეთ გერმანიაში ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის დევიზი გახდა, ხოლო ავსტრიაში მის შექმნას სახალხო პარტია ხელმძღვანელობდა.

ავსტრიელმა ა. ტაუჩერმა (გრაციდან) „ზოგადსახელმწიფოებრივ მეცნიერებათა ჟურნალში“ რომლის გამოცემას დასავლეთგერმანელი ნეოლიბერალი პროფ. ფ. ბემი ხელმძღვანელობს, გამოაქვეყნა სტატია „ეკონომიური ლევიათანი, ანუ სახელმწიფოს ეკონომიური ძალა“. ამ სტატიაში ავტორი ქება-დიდებას ასხამს ავსტრიულ „თავისუფალ საბაზრო მეურნეობას“. ა. ტაუჩერი წერს: „თავისუფალ საბაზრო მეურნეობაში ძირითადი პრინციპია: უშიშროების გარანტია თავისუფლებათა. სწორი საბაზრო ურთიერთობა იძლევა შემოსავლის და ამ ეკონომიური და სოციალური უშიშროების გარანტიას“. „უშიშროება არის თავისუფლების გარანტია“²⁵. ბურჟუაზიული „თავისუფლების“ ნეოლიბერალურ ტავტოლოგიასთან გვაქვს საქმე—პალეოლიბერალური Laissez faire-ს სენტიმენტალური კრიტიკა და ნეოლიბერალური ღირიყიზმისათვის ხოტბის შესხმა. „პოლიტიკური და ეკონომიური ლიბერალიზმის ხანაში, — წერს ა. ტაუჩერი. — სახელმწიფოს ამოცანები მინიმუმამდე იყო შეზღუდული... ეს ლიბერალური სახელმწიფო ვიწროდ ლიმიტირებული სახელმწიფოებრივი მიზნებით წარსულს ჩაბარდა“²⁶.

ა. ტაუჩერი იცავს ნეოლიბერალურ ინტერვენციონიზმს, ნეოლიბერალურ-ღირიყისტულ იდეებს. „სახელმწიფო თავისი კონიუნქტურული პოლიტიკით ხდება მოხმარების უძლიერესი წარმმართველი“. „სახელმწიფო თავისი პოლიტიკის მეშვეობით, — განაგრძობს ა. ტაუჩერი, — ხდება სახალხო მეურნეობრივი წარმოების პროცესის მთავარი ღირიყორი“²⁷.

„სოციალური საბაზრო მეურნეობის“ ავსტრიელი თეორეტიკოსები დიდ იმედებს ამყარებენ ნეოლიბერალურ ღირიყიზმზე. მათი იდეალია არა სტიქიური საბაზრო ავტომატიზმი, არამედ „მართული

²⁵ Zeitschrift für die gesamte Staatswissenschaft, Bd. 121, Hf. 1, Tübingen, 1965, გვ. 41—42.

²⁶ იქვე, გვ. 42 — 43.

²⁷ იქვე, გვ. 49 — 50.

საბაზრო ავტომატიზმი“. ეს უკანასკნელი, მათი აზრით, არის ნეო-ლიბერალური „შეჯიბრებისა“ და „ინტერვენციონიზმის“ სინთეზი. ვანსაკუთრებით მალლა აყენებენ ისინი ნეოლიბერალურ „შეჯიბრებას“. „შეჯიბრება, — წერს ა. ტაუჩერი, — ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის ღერძია“²⁸.

დიდ ადგილს უთმობს ნეომარქინალური ეკონომიური თეორიისა და პოლიტიკის პრინციპებისა და ინსტრუმენტების დახასიათებას პროფ. ე. ლიფმან-კაილი (გფრ) თავის შრომებში: „ორგანიზებული კონკურენციის ფასწარმოქმნა“, „სოციალ-პოლიტიკის ეკონომიური თეორია“, „პოლიტიკური ეკონომიის შესავალი“ და სხვ. ე. ლიფმან-კაილი, მართალია, არაა ავსტრიელი ეკონომისტი, მაგრამ მისი შრომები პატივისცემით სარგებლობს კაპიტალისტური დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა ფრაიბურგისა და საარლანდის უნივერსიტეტებში. 1948 წლიდან არის გფრ-ის ეკონომიკის სამინისტროს საბჭოს წევრი, ხოლო 1957 წლიდან — ამავე სამინისტროს „შრომისა და სოციალური წყობილების საბჭოს“ წევრი.

ე. ლიფმან-კაილი „აკონკრეტებს“ ნეომარქინალისტური ეკონომიური პოლიტიკის პრინციპებს. მისი აზრით, აქტიური ეკონომიური პოლიტიკის პრინციპებია: 1. ფულად-პოლიტიკური, 2. ფინანსურ-პოლიტიკური, 3. საგარეო-სავაჭრო პოლიტიკური, 4. სამართლებრივ-პოლიტიკური და 5. ფასების პოლიტიკის ინსტრუმენტები²⁹.

ავსტრიის თანამედროვე ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში პატივისცემით სარგებლობს აგრეთვე ორდოლიბერალების მეთაურის პროფ. ვალტერ ოიკენის მოწაფის ჰანს ჰერბერტ გეტცის სახელი. 1965 წელს ვენაში გამოვიდა ჰ. გეტცის წიგნი დამახასიათებელი სათაურით: „იმიტომ, რომ ყველას უკეთესად ცხოვრება სურს“. წიგნის ქვესათაურია „გერმანიის ეკონომიური პოლიტიკის სურათი“. ეს წიგნი, რომელშიც ნეომარქინალური ეკონომიური პოლიტიკის საკითხებია განხილული, ავტორმა უძღვნა თავის მასწავლებელს ე. ოიკენს.

ჰ. გეტცი (დაიბადა 1921 წ.) „საერთო ბაზრის“ ეკონომიური პოლიტიკის საკითხების მცოდნედ ითვლება, იგი იცავს ევროპის „ინტეგრაციის“ ნეოლიბერალურ ვარიანტს. ჰ. გეტცი ლიბერალური იდეების „რენესანსის“ პროპაგანდისტია და ნეომარქინალურ პოზი-

²⁸ Zeitschrift für die gesamte Staatswissenschaft, Bd. 121, Hf. 1. Tübingen, 1965, გვ. 60.

²⁹ E. Liefmann-Keil, Einführung in die politische Ökonomie, Basel — Wien, 1964, გვ. 206.

ციებზე დგას. იგი იწონებს ნეოლიბერალური დირიჟიზმის იდეებს... „საბაზრო მეურნეობა, — წერს ჰ. ვეტცი, — ნაგვის მილი არაა“³⁰. ადოლფ ნუსბაუმერმა (გრაციდან) ნეომარქინალურ საბაზრო მეურნეობას „კონკურენციული ეკონომიკა“ უწოდა, ხოლო ადოლფ კოცლიკი (ვენა) ვერ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ნეოლიბერალური „შეჯიბრების წყობილება“ „კონკურენციული ეკონომიკაა“. იგი წერს: „შეჯიბრება არის ბრძოლა“³¹. ა. ნუსბაუმგარტენი იმეორებს დასავლეთგერმანელი ნეოლიბერალების მსჯელობას საბაზრო ეკონომიკის ფორმების შესახებ. იგი მიუთითებს ორ ძირითად ფორმაზე: „ტოტალურად მართული საბაზრო მეურნეობა“ და „პლურალისტური ეკონომიური წყობილება“, ე. წ. „ეკონომიურ-პოლიტიკური პლურალიზმი“³².

პროფ. რ. კამიცი (ავსტრიის ფინანსთა მინისტრი) აღნიშნავს, რომ „მარტო საბაზრო მეურნეობა არაა საკმარისი“, რაკი ასეა, ისიც ამართლებს საბაზრო მეურნეობის ნეოლიბერალურ მართვას. რ. კამიცი ასახელებს „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ ორ ძირითად პრინციპს: 1. „შეჯიბრების პრინციპი“ და 2. „თავისუფალი ინიციატივა“ ნეოლიბერალური მართვით³³.

ამრიგად, ავსტრიელი ნეოლიბერალებიც დიდ ადგილს უთმობენ სახელმწიფოს ეკონომიურ პოლიტიკას, კონიუნქტურული პოლიტიკის მნიშვნელობას. ავსტრიული ნეოლიბერალიზმის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია სახელმწიფოს ეკონომიური როლი და ეკონომიური პოლიტიკა. ნეომარქინალიზმიც არასწორად განიხილავს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ეკონომიურ როლს. სახელმწიფოს ეკონომიური როლისა და პოლიტიკის სწორ განსაზღვრას მარქსიზმ-ლენინიზმი იძლევა. „პოლიტიკა. — წერს ვ. ი. ლენინი, — ეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატულებაა“³⁴. ფ. ენგელსი კი სახელმწიფოს ეკონომიურ როლს ასე განსაზღვრავდა: „სახელმწიფო ძალაუფლების უკუზემოქმედება ეკონომიურ განვითარებაზე შეიძლება იყოს სამგვარი: ის შეიძლება იმავე მიმართულებით მოქმედებდეს, მაშინ საქმე უფრო სწრაფად მიდის: ის შეიძლება ეკონო-

³⁰ H. G ö t z, Weil alle besser Leben wollen, Düsseldorf-Wien, 1965, 33. 334—336.

³¹ ib. Zeitschrift für Nationalökonomie, Bd. XXIV, Hf. 3, 1964, 33. 8, 312—313.

³² იქვე, 33. 4, 9, 10.

³³ „Wirtschaft, Gesellschaft und Kultur“. Berlin, 1961, 33. 12—13.

³⁴ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, 33. 87.

მიურო განვითარების საწინააღმდეგოდ მოქმედებდეს, მაშინ დღეს-დღეობით ყოველ დიდ ხალხში ის მარცხს განიცდის გარკვეული დროის განმავლობაში: ან მას შეუძლია ეკონომიურ განვითარებას გადაუჭრას გარკვეული მიმართულება და სხვა მიმართულება მოახვიოს თავზე. ეს შემთხვევა საბოლოოდ ზემოაღნიშნული იმ ორი შემთხვევიდან ერთ-ერთ შემთხვევაზე დაიყვანება. მაგრამ ცხადია, რომ მეორე და მესამე შემთხვევაში პოლიტიკურ ძალაუფლებას შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს ეკონომიურ განვითარებას და შეუძლია გამოიწვიოს ძალთა და საშუალებათა მასობრივი გაფლანგვა³⁵.

ავსტრიაში ფართოდ ვითარდება სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი. მსხვილი მონოპოლიების ინტერესები მოითხოვს კვლავწარმოების პროცესში სახელმწიფოს უშუალო ჩარევას. ფინანსური ოლიგარქიის ინტერესებისათვის ავსტრიის ბურჟუაზიული სახელმწიფო ახორციელებს სხვადასხვა მარეგულირებელ ღონისძიებებს, იყენებს ქვეყნის ცალკეული დარგების გასახელმწიფოებრობას. ამ საქმეში მას სამსახურს უწევს ნეოავსტრიული სკოლა.

§ 3. ნეოავსტრიული სკოლის — „ახალგაზრდა ავსტრიული სკოლის“ მეთოდოლოგია. მიკროეკონომია და მაკროეკონომია, ეკონომიური მარჟინალიზმი და ნეომარჟინალიზმი

ავსტრიული სკოლა ვულგარეკონომიის ერთ-ერთი მიმდინარეობაა. ამ სკოლის მოძღვრებაში ცენტრალური ადგილი უკავია „საზღვრითი, ანუ ზღვრული სარგებლიანობის თეორიას“ („მარჟინალიზმს“), რომელიც მიმართულია კ. მარქსის შრომითი ღირებულების მეცნიერული თეორიის წინააღმდეგ.

„საზღვრითი სარგებლიანობის თეორიამ“ ყველაზე უფრო დასრულებული სახე მიიღო ავსტრიაში, ინგლისსა და აშშ-ში. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიას დიდი საზრუნავი გაუჩნდა. საჭირო შეიქნა ისეთი აპოლოგეტური თეორიის შეკოწიწება, რომელიც დაუპირისპირდებოდა კ. მარქსის შრომითი ღირებულების თეორიას. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა ე. წ. ავსტრიულმა სკოლამ, რომელიც XIX საუკუნის 70-იან წლებში აღმოცენდა. ამ მიმდინარეობას ავსტრიული იმიტომ ეწოდება, რომ მისი წარმომადგენლები: კარლ მენგერი (1840 —

³⁵ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, 1949, გვ. 471 — 472.

1921), ფრიდრიხ ვიზერი (1851 — 1926) და ევგენი ბემ-ბავერკი (1851 — 1914) ავსტრიელი ეკონომისტები იყვნენ.

რ. შტოლბერგმა (გდრ) სოფიის საერთაშორისო კონფერენციაზე (1964 წ. მაისი) თავის მოხსენებაში „შენიშვნები საზღვრითი სარგებლიანობის თეორიის ტრანსფორმაციის შესახებ XX საუკუნეში“ შემდეგნაირად დაახასიათა მარჩინალიზმი: „თუმცა ამ თეორიის არსი — საზღვრითი სარგებლიანობის ცნება (marginal utility, final degree of utility, intensität du dernier besoin satisfait) იძლევა იმის საფუძველს, რომ ვილაპარაკოთ ერთიანი მოძღვრების შესახებ, ეს თეორია განვითარდა სხვადასხვა მიმართულების სახით: ავსტრიული სკოლა (მენგერი, ბემ-ბავერკი, ვიზერი), ლოზანის სკოლა (დ. ვალრასი, პარეტო), ამერიკული სკოლა (კლარკი), ხოლო ინგლისში მისი ერთადერთი მომხრე იყო ჯევონსი“³⁶. ამ სხვადასხვაობას რ. შტოლბერგი ხსნის ცალკეული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური და თეორიულ-ისტორიული თავისებურებებით.

ნეოლიბერალი ვ. რეპკე კი მარჩინალიზმის სკოლებს შემდეგი თანმიმდევრობით განიხილავს: „ავსტრიული სკოლა (მენგერი-ვიზერი), ლოზანის სკოლა (ვალრასი-პარეტო) და ინგლის-ამერიკული (ჯევონსი-მარშალი-კლარკი)“³⁷.

ავსტრიული სკოლისა და მისი მარჩინალიზმის წინამორბედია გერმანელი ი. ჰ. ტიუნენი³⁸ (1783 — 1850), აგრეთვე ჰერმან ჰენრიხ გოსენი (1810 — 1858) — ვულგარული ეკონომიური ლიბერალიზმის თეორეტიკოსი გერმანიაში. ავსტრიული სკოლის მარჩინალიზმის პრინციპებს იცავდნენ აგრეთვე ინგლისელი სტ. ჯევონსი (1835 — 1882), შვეიცარიელი ლეონ ვალრასი და სხვები.

ავსტრიული სკოლის კრიტიკული ანალიზი ჩვენ გაკეთებული გვაქვს სხვა შრომაში (იხ. „ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა“, ნაწ. I, თბ., 1962), ამიტომ აქ მას აღარ შევხვებით. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს: ავსტრიული სკოლა კაპიტალიზმის აპოლოგიას ეწეოდა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის დაწყებამ

³⁶ Ноз ле тенденция в современиой буржуазной политической экономии, София, 1965, გვ. 489; R. Stollberg, Zum vulgären Charakter der Methodologie der Grenznutzttheorie. — „Wirtschaftswissenschaft“, Hf. 1, 1964.

³⁷ W. Röpke, Die Lehre von der Wirtschaft, 1946, გვ. 36.

³⁸ ტიუნენის შესახებ იხ.: გ. ჰანუყვაძე, ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. II, თბ., 1967, გვ. 236 — 238, 321—322.

და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ თავდაყირა დააყენა „ძველი ეკონომიის“ თეორიები და სკოლები, ევოლუცია განიცადა მთელმა „ძველმა ეკონომიამ“, რა თქმა უნდა, ეს ცვლილება შეეხო ავსტრიულ სკოლასაც.

ავსტრიული სკოლის ადგილი დაიკავა ნეოავსტრიულმა სკოლამ. ფაქტურად არაფერი არ შეცვლილა. სტრატეგია და მეთოდი, მიზანი იგივე დარჩა. განსხვავება იმაშია, რომ ნეოავსტრიული სკოლა წარმოადგენს სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის აპოლოგიას, ავსტრიული სკოლის თეორიებისა და ეკონომიური პოლიტიკის მოდერნიზაციას კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში. ამდენად სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ნეოავსტრიული სკოლა ნეოვულგარიზმია და მეტი არაფერი. გამოთქმა „ნეო“ („ახალი“) ნიშნავს თანამედროვე კაპიტალიზმის აპოლოგეტიკას უახლესი ხერხებისა და საშუალებების გამოყენებით.

ავსტრიული სკოლის თანამედროვე წარმომადგენლებს ხშირად უწოდებენ ნეოავსტრიულ სკოლას (ლ. მიზესი, ფ. ჰაიეკი, ი. შუმპეტერი, ფ. მახლუპი და სხვ.). ნეოავსტრიული სკოლაც განიხილავს საზოგადოებას, როგორც სამეურნეო ატომების ჯამს, ხოლო სოციალურ კანონებს — როგორც ინდივიდუალურ ინტერესთა შეჯახების შედეგს. ნეოავსტრიული სკოლის წარმომადგენელი ლ. მიზესი საქონელწარმოებას, ფულად-საქონლურ კატეგორიებსა და კანონებს თვლის მარადიულად.

ნეოავსტრიული სკოლა იყენებს ფსიქოლოგიზმისა და მარკინალიზმის პრინციპებს, მოთხოვნა-მიწოდების კანონს და თავის მთავარ ცეცხლს, როგორც წესი, წარმართავს კ. მარქსის შრომითი ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების თეორიების წინააღმდეგ. ამ ასპექტში უნდა იქნეს განხილული ნეოავსტრიული სკოლის წარმოშობა, ევოლუცია და მისი შესაბამისი აპოლოგეტური კონცეფციების (ნეომარკინალიზმი, „ანტიმონოპოლიზმი“) გავრცელება.

ნეოავსტრიული სკოლა თანამედროვე ეკონომიურ ლიტერატურაში გვხვდება სხვადასხვა სახელწოდებით: „ახალგაზრდა ავსტრიული სკოლა“, „უმცროსი ავსტრიული სკოლა“, „ახალი ვენის სკოლა“, „ნეომარკინალიზმის სკოლა“. ე. უამსი წერს: „იქნებ საჭიროა, ფრანსუა პერუს მსგავსად, თანამედროვე მიმართულებებს, რომლებიც მენგერის, ბემ-ბავერკის, ვიზერისა და კლარკის ვენელი და ამერიკელი მოწაფეების სახითაა წარმოდგენილი, ეწოდოს „ნეომარკინალიზმი“. ისინი ნამდვილად ორიგინალური არიან თავიანთი მასწავლებლების თეორიათა კორექტივებში“³⁹.

³⁹ Э. Жамс, История экономической мысли XX в., гл. 52.

მართალია, ნეომარქინალისტებმა რევიზია გაუქმეს ავსტრიული სკოლის მარქინალიზმს, მაგრამ არსებითი ცვლილება არ მომხდარა. სტრატეგია და მიზანი, როგორც უკვე აღინიშნა, იგივე დარჩა. ეს რომ ასეა, ამას ე. ჟამსიცი ვერ უარყოფს. „უნდა აღინიშნოს, — წერს იგი, — რომ შესწორებებმა, რომლებიც ნეომარქინალისტებმა შეიტანეს თავიანთი მასწავლებლების შრომებში, ვერ დაიცვა მათი თეორიები მოწინააღმდეგეთა კრიტიკისაგან“⁴⁰.

ნეოავსტრიული, ანუ ახალგაზრდა ავსტრიული სკოლის ერთ-ერთ განშტოებას წარმოადგენს „ემიგრირებული ვენის სკოლა“. სახელწოდება „ემიგრირებული ვენის სკოლა“ ჩვენ შეგვხვდა დასავლეთგერმანელი ეკონომისტის რ. ბელკეს შრომაში. ვფიქრობთ, ასეთი სახელწოდება ზუსტად შეესატყვისება ნეოავსტრიული სკოლის იმ დაჯგუფებას. რომლის წარმომადგენლები ათეული წლების მანძილზე ავსტრიის ფარგლებს გარეთ (აშშ-ში, ინგლისში, შვეიცარიასა და სხვ. ქვეყნებში) იმყოფებოდნენ და ამჟამადაც იქ არიან. ასეთი არიან: ავსტრო-ამერიკელი ეკონომისტი ლუდვიგ ფონ მიზესი. ავსტრო-ინგლის-ამერიკელი და გერმანელი ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰაიეკი, ავსტრო-ამერიკელი გოტფრიდ ჰაბერლერი, ავსტრო-შვეიცარია-ამერიკელი ფრიც მახლუპი. ავსტრო-ამერიკელი ი. ა. შუმპეტერი და სხვ.

ნეოავსტრიული სკოლის. ანუ „ახალი ვენის სკოლის“ გამოჩენილი წარმომადგენლები არიან: ჰანს მაიერი, ლეო ილი, ვილჰელმ ვებერი. ალექსანდრე მარი, რაინჰარდ კამიცი და სხვ.

„ახალ ვენის სკოლას“ აქვს საკუთარი ბეჭდვითი ორგანო, თეორიული ჟურნალი „Zeitschrift für Nationalökonomie“. რომელიც ვენასა და ნიუ-იორკში გამოდის. ამ ჟურნალში ქვეყნდება მარქინალისტების შრომები, რომლებშიც შექმებულია ავსტრიული სკოლის ფუძემდებლების თეორიული ნააზრევო.

„ახალი ვენის სკოლის“ ჟურნალი „საერთაშორისო“ შინაარსის მატარებელია. მასში სტატიები იბეჭდება ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე. იგი ემსახურება არა მარტო ნეოავსტრიულ სკოლას („ახალ ვენის სკოლასა“ და „ემიგრირებულ ვენის სკოლას“), არამედ მთელ თანამედროვე ნეომარქინალურ პოლიტიკურ ეკონომიას, ე. ი. მას კოსმოპოლიტური ხასიათი აქვს. ჟურნალში თანამშრომლობენ გერმანელი, ავსტრიელი, ინგლისელი, ფრანგი, ამერიკელი, იტალიელი, იაპონელი და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების ცნობილი ბურჟუაზიული ეკონომისტები.

ეურნალის სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობა ასეთია: გოტფრიდ ჰაბერლერი, ვალტერ ადოლფ იირი, ჟან მარშალი, ჰანს მელერი, ოსკარ მორგენშტერნი. ჯუზეპე უგო პაპი, ვილჰელმ ვებერი. ეურნალის გამოცემას ხელმძღვანელობს ალექსანდრე მარი, ხოლო რედაქტორია ვილჰელმ ვებერი.

ამრიგად, ეურნალის საქმიანობაში წამყვანი როლი ეკუთვნით ნეოავსტრიული სკოლის წარმომადგენლებს (პ. მაიერი, ა. მარი, ვ. ვებერი, გ. ჰაბერლერი). ეურნალი დაარსებულია „ახალი ავსტრიული სკოლის“ თეორეტიკოსის ჰანს მაიერის მიერ.

ნეოავსტრიული, ანუ „ახალგაზრდა ავსტრიული სკოლა“, „ახალი ვენის სკოლა“ არაა ერთგვაროვანი. იგი აერთიანებს საკუთრივ „ახალი ვენის სკოლისა“ და „ემიგრირებული სკოლის“ წარმომადგენლებს.

როცა ლაპარაკია ნეოავსტრიულ სკოლაზე, მაშინ მხედველობაშია მისაღები შემდეგი გარემოებები: 1. საზღვარგარეთულ ეკონომიურ ლიტერატურაში ამ სკოლის მამამთავრად მიიჩნევენ ლ. მიზესს; 2. „მიზესის წრეს“ აქვს სამი განშტოება: საკუთრივ ავსტრიაში — ვენაში, ენევეასა და აშშ-ში. „ლუდვიგ ფონ მიზესის გარშემო, — წერს ე. ნავროტი, — ავსტრიაში ჩამოყალიბდა წრე. ვენაში, ენევეასა და ნიუ-იორკში, მიზესის აქტიური მოქმედების შედეგად, ფულის, ზოგადი მეურნეობისა და ნაციონალ-ეკონომიის თეორიის საკითხებზე მისი შრომების გავლენით შეიქმნა ჯგუფები. მიზესის მოწაფეთა რიცხვს მიეკუთვნება: გოტფრიდ ფონ ჰაბერლერი, ფრიც მახლუპი და ლიტერატურულად ძლიერ აქტიური მოღვაწე ფ. ა. ჰაიეკი, რომლებმაც აშშ-ში პოვეს სამოღვაწეო ასპარეზი“⁴¹. სწორედ ამიტომ ამ ჯგუფს რ. ბელკემ უწოდა „ემიგრირებული ვენის სკოლა“. ამ ჯგუფთან ერთად ე. ნავროტი ასახელებს აგრეთვე ავსტრიის ფინანსთა მინისტრს რ. კამიცს.

ნეოლიბერალ ფ. ბემის განცხადებით, ნეომარქინალური აზრის „საერთაშორისო-მეცნიერული და ეკონომიურ-პოლიტიკური“ მიმართულების ფუძემდებლები არიან: ლ. მიზესი, ფ. ჰაიეკი, ვ. რეპკე, ა. ჰანი, ე. რიუეფი, კ. ანტონი, ლ. აინაუდი, ფ. ნაიტი და სხვები⁴². ამრიგად, ოგი სათავეში აყენებს „ემიგრირებული ვენის სკოლის“ თეორეტიკოსებს — ლ. მიზესსა და ფ. ჰაიეკს.

⁴¹ E. Nawroth, Die Sozial- und Wirtschaftsphilosophie des Neoliberalismus, Heidelberg, 1962, გვ. 6.

⁴² F. Böhm, Reden und Schriften, Karlsruhe, 1960, გვ. 162.

„ემიგრირებული ვენის სკოლის“ წარმომადგენლად ე. ჟამსა ასახელებს აგრეთვე ი. შუმპეტერს, რომელიც, მისი აზრით, ნეო-მარკინალისტია⁴³. ავსტრიული სკოლის ყველა განშტოება და გაგრძელება თავიანთი არსით, სტრატეგიით, მიზანდასახულებით ერთია. ყველანი სათავეს იღებენ ავსტრიული სკოლას მარკინალიზმის პრინციპებიდან, მაგრამ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან ტაქტიკით, მეთოდოლოგიური ხერხებით, მარკინალიზმის ტრანსფორმაციის სხვადასხვაობით. ეს მომენტები რომ თვალნათლივ გამოჩნდეს, საჭირო იქნება პირველ რიგში ავსტრიული სკოლის მარკინალური მეთოდოლოგიის კრიტიკული ანალიზი.

ცნობილია, რომ ავსტრიული სკოლა პოლიტიკური ეკონომიის მთავარ ამოცანად მიიჩნევდა საგნებთან ინდივიდის დამოკიდებულების შესწავლას. ავსტრიული სკოლა იყენებდა რობინზონადების მეთოდს და განიხილავდა რობინზონის „მეურნეობას“, „სინგულარულ მეურნეობას“. საზღვრითი სარგებლიანობის, ანუ მარკინალიზმის ავსტრიული სკოლა მიზნად ისახავდა ცალკეული ეკონომიური სუბიექტის (კაპიტალისტის) მეურნეობის — „სინგულარული მეურნეობის“ აპოლოგეტიკას, რისთვისაც იყენებდა მიკროეკონომიის მეთოდს.

ავსტრიული სკოლის ფუძემდებელი, ვენის უნივერსიტეტის პროფესორი კ. მენგერი გამოვიდა ეკონომიური მეცნიერების რეფორმატორის როლში⁴⁴. „ისტორიული სკოლა იწყებდა თავის გამოკვლევას სახალხო მეურნეობით, ხოლო ზღვრული (საზღვრითი) სარგებლიანობის ავსტრიული სკოლა აყენებდა მოთხოვნას, რათა ჯერ შესწავლილიყო „სახალხო მეურნეობის ჰემმარიტი ელემენტები“, ე. ი. სინგულარული, ცალკეული მეურნეობანი; გამოკვლეულიყო კანონები, რომელთა მიხედვითაც ეს მეურნეობანი არსებობენ. სინგულარულ მეურნეობებს მენგერი უწოდებდა აგრეთვე ადამიანურ მეურნეობებს“⁴⁵.

ავსტრიული სკოლის წარმომადგენლები ეკონომიურ კანონებს დაეძებდნენ არა მატერიალური წარმოების სფეროში, არამედ „მეურნე სუბიექტის“ ფსიქოლოგიაში. „მეურნეობრივი სუბიექტი“, მარკინალისტების აზრით, საზოგადოებაში იზოლირებული ინდივი-

⁴³ Э. Жамс, История экономической мысли XX в., стр. 52.

⁴⁴ об. К. Менгер, Исследования о методах социальных наук и политической экономии в особенностях, СПб., 1893.

⁴⁵ Н. К. Каратаев, Economics — буржуазная политэкономия. Москва, 1966, стр. 20.

დღეუშია. ისტორიული სკოლის ემპირიზმის საპირისპიროდ კ. მენგერმა წამოაყენა „აბსტრაქტულ-დედუქციური მეთოდი“.

ამრიგად, მარქინალიზმ კ. მენგერის მთელი მეთოდოლოგია წარმოადგენს გადასვლას „ისტორიზმიდან“ (გერმანული ისტორიული სკოლა) სუბიექტივიზმისა და ფსიქოლოგიზმისაკენ. კ. მარქსი მკაცრად აკრიტიკებდა „რობინზონადების მეთოდს“. მარქინალიზმის პრინციპებს. „განცალკევებულ ინდივიდთა წარმოება საზოგადოების გარეშე. — წერს კ. მარქსი, — იშვიათი შემთხვევაა, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემთხვევით უდაბნოში მოხვედრილი ცივილიზებული ადამიანის მხრივ. რომელიც უკვე დინამიკურად ატარებს თავის თავში საზოგადოებრივ ძალებს, — ისეთივე უაზრობაა, როგორც ენის განვითარება ერთ ადამიანს და ერთმანეთთან მოლაპარაკე ინდივიდთა გარეშე. საჭირო არაა ამაზე მეტ ხანს შეჩერება. ამ პუნქტს შეიძლება სულაც არ შეეხებოდით, ბასტიას, კერის, პრუდონსა და სხვებს რომ ეს უაზრობა, რომელსაც მე-18 საუკუნის ადამიანთათვის აზრი და მნიშვნელობა ჰქონდა, სერიოზულად ხელახლა არ შემოეტანათ უახლეს ეკონომიაში“⁴⁶.

კ. მარქსი უაზრობას უწოდებდა რობინზონადებს და დასცინოდა რობინზონადების „მეთოდის“ გამოყენებას ეკონომიურ კვლევაში. ა. სმიტისა და დ. რიკარდოს მონადირესა და მეთევზეს იგი რობინზონადებს უწოდებდა. „ეს არის, — წერდა კ. მარქსი, — ილუზია და მხოლოდ ესთეტიკური ილუზია პატარა და დიდი რობინზონადებისა“⁴⁷.

ავსტრიული სკოლის მეთოდოლოგიისათვის დამახასიათებელია: 1. აშკარად გამოხატული იდეალიზმი (თუმცა ცნება „იდეალიზმს“ ავსტრიული სკოლის თეორეტიკოსები არც კი ახსენებენ თავიანთ წარმოდგენებში); 2. აშკარა, უკიდურესი ინდივიდუალიზმი; 3. წარმოების სრული უგულვებელყოფა. ამრიგად, „ავსტრიული სკოლის მეთოდოლოგიის თავისებურებებს ახასიათებს შემდეგი მომენტები: ჯერ ერთი, იდეალიზმი, მეორე, ინდივიდუუმის პრიმატისათვის ხაზის გასმა და, მესამე, წარმოების განმსაზღვრელი როლის უარყოფა, მოხმარების პრიმატის აღიარება“⁴⁸.

ავსტრიული სკოლის თეორეტიკოსთა აზრით, გამოსავალი პუნქტია „სამეურნეო სუბიექტის“ ფსიქოლოგია. ამ ასპექტში ხსნიან ისინი ეკონომიურ კატეგორიებსა და კანონებს, მათი გამოსავალი

⁴⁶ კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953, გვ. 257.

⁴⁷ იქვე, გვ. 256.

⁴⁸ И. Г. Блюмин, История экономических учений, 1961, гв. 111.

პუნქტია იზოლირებული სამეურნეო ერთეული, „რობინზონის მეურნეობა“, „სინგულარული“ მეურნეობა, მიკროეკონომია. აი ასეთი სუბიექტურ-იდეალისტური მეთოდოლოგიის საყრდენებზე დგას მარჟინალისტური მიკროეკონომია, რომლის წარმომადგენლები არიან: კ. მენგერი, ე. ბემ-ბავერკი, ჯ. ბ. კლარკი, ვ. პარეტო, ლ. ვალ-რასი, კ. ვიქსელი და ა. შ.

„მეთვრამეტე საუკუნის წინასწარმეტყველო, რომელთა მხრებზე ჯერ კიდევ სავსებით დგანან სმიტი და რიკარდო, ეს მეთვრამეტე საუკუნის ინდივიდი, — პროდუქტი, ერთი მხრივ, ფეოდალური საზოგადოებრივი ფორმების დაშლისა, ხოლო, მეორე მხრივ, მეთექვსმეტე საუკუნის შემდეგ ახლად განვითარებული მწარმოებლური ძალებისა, — წერს კ. მარქსი, — ეჩვენებათ იდეალად, რომლის არსებობაც წარსულ დროს ეკუთვნის; ეჩვენებათ არა ისტორიის შედეგად, არამედ — ისტორიის ამოსავალ პუნქტად და ეს იმიტომ, რომ, ადამიანის ბუნებაზე მათი შეხედულების თანახმად, ბუნების შესაბამისი ინდივიდი მათ წარმოუდგებათ არა ისტორიულად წარმოშობილ, არამედ თვით ბუნების მიერ მოცემულ ინდივიდად. ეს შეცდომა დღემდე დამახასიათებელი იყო ყოველი ახალი ეპოქისათვის“⁴⁹.

„რობინზონადების მეთოდოლოგია“ ინდივიდს განიხილავს იზოლირებულად, სოციალური წყობილებისაგან მოწყვეტილად. რათა დაამტკიცოს „სინგულარული“ მეურნეობის (კაპიტალისტური საქონელწარმოების) კატეგორიების მარადიულობა. ამრიგად, ანტი-ისტორიზმი აქ გამოყენებულია აპოლოგეტური მიზნით. ავსტრიელი მარჟინალისტების მიკროეკონომიურ მეთოდზე დამყარებული მეტაფიზიკური და ანტიისტორიული აბსტრაქციების დანიშნულებას შეადგენს კაპიტალისტური საქონელწარმოების, ფულად-საქონლური ურთიერთობების მარადიულობის დამტკიცება. „საზღვრითი სარგებლიანობის თეორიის მეთოდოლოგიის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია სუბიექტივიზმი და ფსიქოლოგიზმი“⁵⁰ — წერს რ. შტოლბერგი. ეკონომიური მარჟინალიზმი გვევლინება როგორც ავსტრიული სკოლის „ეკონომიური ფილოსოფია“ — განაცხადა მარქსისტთა სოფიის საერთაშორისო კონფერენციაზე (1964 წ.) ფრანგმა ეკონომისტმა მორის გოდელიემ. სწორედ ამიტომ საკითხი მარჟინალიზმის ტრანსფორმაციის შესახებ აგრეთვე განხილვას მოითხოვს.

მარჟინალიზმის თეორია (საზღვრითი სარგებლიანო-

⁴⁹ კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 256.

⁵⁰ იხ. „Wirtschaftswissenschaft“, Hf. 1. 1964, გვ. 104.

ბის თეორია), რ. შტოლბერგის აზრით, ტიპურია პერიოდისათვის. რომელიც მოიცავს 1870 — 1917 წლებს. მისი განცხადებით, მცდა-რაა მოსაზრება, რომლის მიხედვით თანამედროვე ეტაპზე მარქინა-ლიზმის არსებობა გამოიციხებულა. რ. შტოლბერგი არც იმ აზრს იზიარებს. რომ საზღვრითი სარგებლიანობის თეორია დღეს არსე-ბობს იმ სახით, რა სახითაც იგი ჩამოაყალიბეს მარქინალისტებმა. ამ-რიგად, დაასკვნის რ. შტოლბერგი, მარქინალიზმი დღეს არსებობს. მაგრამ მოდიფიცირებული და ტრანსფორმირებული და მის დანიშ-ნულებას შეადგენს ზედმეტი ღირებულების მარქისისტული თეო-რიის წინააღმდეგ ბრძოლა.

ჩვენს ხელთ არსებული მასალები საშუალებას გვაძლევენ გა-კეთდეს დასკვნა, რომ რ. შტოლბერგის მოსაზრება ძირითადად სწორია. პალეოლიბერალიზმის, „ძველი ეკონომიის“, „მიკროეკო-ნომიისა“ და Laissez faire-ს კრიზისთან ერთად კრაზი განიცადა ძველმა ავსტრიულმა მარქინალიზმმაც. ფაქტია, რომ მარქინალიზმის ადგილი დაიკავა „თანამედროვე ეკონომიურმა მარქინალიზმმა“ — ნეომარქინალიზმმა, პალეოლიბერალიზმისა — „ახალმა ეკონომიამ“ (ნეოლიბერალიზმი, ღირიეიზმი და სხვ.), „მიკროეკონომიისა — „მაკ-როეკონომიამ“, დაბოლოს, ავსტრიული სკოლისა — ნეოავსტრიულმა სკოლამ. ამ გარემოებას თვით ბურჟუაზიული ეკონომისტებიც აღ-ნიშნავენ. 1962 წ. კელნში გამოვიდა მათიას ჰაისტერის წიგნი „ინვესტიციათა რენტაბელობის ანალიზი“, რომლის მე-7 თავი ასეა დასათაურებული: „თანამედროვე მარქინალური თეორია და ეკონომიური პრინციპი“. ავტორი იწუნებს ძველ მარქინალიზმს და იცავს ნეომარქინალიზმის პრინციპებს. მ. ჰაისტერის ყურადღე-ბის ცენტრში დგას „მოდერნიზტული მარქინალური თეორია“⁵¹. ანალოგიური მოსაზრებანი გამოთქვა ე. პრაიზერმა, იგი წერს: „შრომითი ღირებულების თეორიის ბევრი საწინააღმდეგო მოსაზ-რება იქნა წამოყენებული, ზღერული სარგებლიანობის სკოლაც გვერდზე იქნა გადასროლილი“⁵².

3. სამუელსონი თავის წიგნში „ეკონომიკა“ წერს: „ახლა ეკო-ნომისტთა უმრავლესობა დასავლეთში ცდილობს იმის მიღწევას, რასაც ჩვენ ამ წიგნში ვუწოდებთ „ნეოკლასიკურ სინთეზს“, ე. ი. ისინი ცდილობენ ეფექტური საკრედიტო-ფულადი და ფისკალუ-

⁵¹ M. Heister, Rentabilitätsanalyse von Investitionen. Ein Beitrag zur Wirtschaftlichkeitsrechnung, Bd. 17, Köln und Opladen, 1962, 33. 129 — 146.

⁵² E. Preiser, Nationalökonomie heute, 33. 55.

რი პოლიტიკის გზით სმიტიისა და მარშალის კლასიკური მიკროეკონომიკის შეერთებას შემოსავლის დონის განსაზღვრის თანამედროვე მაკროეკონომიკასთან, ორივე მიდგომაში არსებული ყოველგვარი ჯანსაღის შეხამებით. ეკონომისტებს, რომლებიც იყენებენ ამავე მეთოდებს, მიეკუთვნებიან სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების ადამიანები, დაწყებული კონსერვატორებიდან, როგორც, მაგალითად, ლაიონელი რობინსი ლონდონის უნივერსიტეტიდან, და დამთავრებული „ახალი კურსის“ ამერიკელი მომხრეებით, როგორცაა, მაგალითად, ელვინ ჰანსენი, ან რომელიმე მესამე კურსის მომხრეები, მაგალითად, ჯეიმს ტობინი იელის უნივერსიტეტიდან. მაგრამ ყველანი ძირითადად ჰგვანან ერთიმეორეს“⁵².

სანამ ჩვენს საკითხებზე გავაგრძელებდეთ მსჯელობას, მანამდე რამდენიმე ფაქტიური შენიშვნა გვაქვს პ. სამუელსონის მისამართით:

ჯერ ერთა, ა. სმიტიისა და ა. მარშალის მიკროეკონომიკა პრინციპულად სხვადასხვაა: ა. სმიტი კლასიკური ეკონომიური ლიბერალიზმის წარმომადგენელია, ხოლო ა. მარშალი — ვულგარული ლიბერალიზმისა;

მეორე, თვით ცნება „ნეოკლასიკური სინთეზი“ (და „ნეოკლასიკური მეთოდი“) ნახარია დემაგოგიური განზრახვით. ფაქტიურად ა. მარშალის, პ. სამუელსონის, ვ. რეპკესა და სხვათა „ნეოკლასიკური სინთეზი“ წარმოადგენს ნეოვულგარისმის განსახიერებას;

მესამე, პ. სამუელსონის მიერ დასახელებული ეკონომისტები (ლ. რობინსი — ინგლისელი ნეოლიბერალი, ენანის სკოლის წარმომადგენელი; ამერიკელი კეინსელების ლიდერი ე. ჰანსენი, ჯ. ტობინი და სხვანი) არიან თანამედროვე ვულგარეკონომიის თეორეტიკოსები. მაშასადამე, მათი გამოცხადება „სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების ადამიანებად“ მოკლებულია რეალურ საფუძველს.

ახლა არსებითად ავსტრიული მარჩინალიზმის ტრანსფორმაციისა და ნეომარჩინალიზმის შესახებ.

სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ზრდამ დღის წესრიგში დასვა მიკროეკონომიისა და, მაშასადამე, მარჩინალიზმის „რევიზიის“ აუცილებლობა. პალეოლიბერალური მარჩინალიზმისათვის დამახასიათებელი იყო „პასივიზმი“, რასაც შეცდომად მიიჩნევს ნეოლიბერალი ალ. რიუსტოვი. საარ-ბრიუკენის სოციალური და ეკონომიური ინსტიტუტის ხელმძღვანელი ელიზაბეთ ლიფმანკაილიც შეცდომად თვლის პალეომარჩინალურ პასიურ ეკონომიურ

⁵² П. Самуэльсон, Экономика, гл. 796.

პოლიტიკას. მისი აზრით, თანამედროვე ეტაპზე მთავარია „ეკონომიური პოლიტიკის დიაგნოზი და თეორია“. „ექიმი, — წერს ე. ლიფმან-კაილი, — თავის საქმიანობაში საჭიროებს მედიცინის მეცნიერების, ხოლო სამეურნეო პოლიტიკოსი — ეკონომიური მეცნიერების ცოდნას“⁵⁴.

ძველი მარჩინალიზმი ვეღარ უპასუხებდა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის აპოლოგეტური დაცვის მოთხოვნებს. წინა პლანზე წამოიწია აგრეგატული საკითხების (საერთო დასაქმება, საზოგადოებრივი მოთხოვნა, ეროვნული შემოსავალი, საერთო ინვესტიციები, კოლექტიური მოთხოვნილება და დაგროვება, კოლექტიური დაზოგვა და სხვ.), მაკროეკონომიის პრობლემებმა. რალა თქმა უნდა, ამას თან მოჰყვა მიკროეკონომიის, მარჩინალიზმის უვარგისი ძველი პრინციპების გადასროლა ისტორიის სანაგვე ყუთში. ეს პროცესი ერთბაშად არ დამთავრებულა. კაპიტალიზმის საერთო კრიზისმა არეგ-დარევა შეიტანა არა მარტო მარჩინალისტებში, არამედ საერთოდ მთელ თანამედროვე ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში, რომელიც, ი. შუმპეტერის მწარე აღიარებით, ბედლამს (ბედლაში გიყების სახლია ლონდონში) დაემსგავსა.

ბურჟუაზიული ეკონომისტების, მათ შორის მარჩინალისტების დიდმა უმეტესობამ მოითხოვა „რობინზონადების მეთოდის“ — „სინგულარული“ მეურნეობის მარჩინალისტური შესწავლის შეცვლა მაკროეკონომიკითა და მაკროეკონომიური მეთოდით, ე. ი. ნეომარჩინალისტური მეთოდით, რასაც პ. სამუელსონმა „ნეოკლასიკური სინთეზი“ უწოდა.

საერთოდ დაყოფა — მიკროეკონომიკა და მაკროეკონომიკა. მიკროეკონომია და მაკროეკონომია, მიკროეკონომიური მეთოდი და მაკროეკონომიური მეთოდი — ძალიან გავრცელებულია ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში. გლაზგოს უნივერსიტეტის პროფესორი

კენკროსი ასეთ განმარტებას იძლევა: მიკროეკონომია „ინდივიდუალური მომხმარებლებისა და მწარმოებლების ქცევის (ყოფაქცევის)“ ანალიზია, ხოლო მაკროეკონომია სწავლობს გლობალურ ეკონომიურ პრობლემებს, ე. ი. ეკონომიკას დიდი მასშტაბით. მაგალითად, თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტი ჯ. ჰიკსი, რომელმაც სპეციალური შრომა — „სახალხო მეურნეობის თეორიის შესავალი“ მიუძღვნა ეროვნული შემოსავლის მოხმარების, დაგროვებისა და სხვა აგრეგატული საკითხების ანალიზს, წერს: „ეკონომი-

⁵⁴ E. Liefmann-Keil, Einführung in die politische Ökonomie, 23-202.

კის ანატომიის შესწავლა — აი ის, რაც ჩვენ ამ წიგნში დავისახეთ მიზნად“⁵⁵.

ამრიგად, ჯ. ჰიკსი ფაქტიურად იყენებს მაკროეკონომიის მე-
თოდს, რომელიც, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, გულისხმობს მთე-
ლი სახალხო მეურნეობის „ფსიქოლოგიისა“ და „ანატომიის“ შეს-
წავლას. მართალია, აქ იგი არ იყენებს გამოთქმას „მაკროეკონომიის
მეთოდი“, მაგრამ მისი „ანატომიური მეთოდი“ თავისი ბუნებით
იგივეა, რაც მაკროეკონომიის მეთოდი.

ასეთივე ხაზია გატარებული ე. პრაიზერის წიგნში „ნაციონალ-
ეკონომია დღეს“. ამ წიგნში განხილულია სამი მაკროეკონომიური
თემა: ფული, დასაქმება და ეკონომიური ზრდა, კვითხულობთ ანო-
ტაციაში.

ავსტრიელი ბურჟუაზიული ეკონომისტი თ. პუტცი კი წინა
პლანზე აყენებს ინტერნაციონალური კონიუნქტურული პოლიტიკის
გლობალურ პრობლემას. იგი ჩამოთვლის „კონიუნქტურული პო-
ლიტიკის ტიპურ ისტორიულ ფორმებს“; 1. „ინტერნაციონალის-
ტური კონიუნქტურული პოლიტიკა: დეფლაციისა და შრომის და-
საქმების პოლიტიკა; 2. სრული დასაქმების პოლიტიკა: დირიჟის-
ტული სრული დასაქმების პოლიტიკა და კონიუნქტურული პოლი-
ტიკა მართული საბაზრო მეურნეობის ჩარჩოებში (ანტიინფლაციუ-
რი სავალუტო პოლიტიკა, კონიუნქტურული პოლიტიკის კოორდი-
ნაცია და სხვ.); 3. ინტერნაციონალური კონიუნქტურული პოლი-
ტიკა“⁵⁶.

ყველა ამ მაკროეკონომიურ გამოკვლევაში კვლავ გამოიყენება
პალეომაჩინალური ფსიქოლოგიზმიც. „ადამიანთა ყოფაქცევის
ფსიქოლოგია, — წერს გ. ჰაბერლერი, — წარმოადგენს პოლიტიკუ-
რი ეკონომიის საგნის შემადგენელ ნაწილს“⁵⁷. „ანთროპოლოგიური
ფაქტორი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეკონომიური ფაქტო-
რი“⁵⁸ — აცხადებს ნეომაჩინალისტი პროფ. ა. რიუსტოვი.

ცვლილებები თანამედროვე ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონო-
მიაში, გადასვლა მაკროეკონომიიდან მაკროეკონომიისაკენ მინესო-
ტის უნივერსიტეტის პროფესორმა უ. ჰელერმა დაახასიათა თავის
წიგნში „პოლიტიკური ეკონომიის ახალი თავისებურებანი“. ამ
ცვლილების საფუძვლად მან გამოაცხადა „პოლიტიკასა და იდეო-

⁵⁵J. R. Hicks, Einführung in die Volkswirtschaftslehre, გვ.
257—258.

⁵⁶ Wirtschaft, Gesellschaft und Kultur, გვ. 180.

⁵⁷ Г. Хаберлер, Прцветание и депрессия, გვ. 165.

⁵⁸ A. Rüstow, Das Versagen des Wirtschaftsliberalismus, გვ. 91.

ლოგიაში მომხდარი რევოლუცია“, რომელიც 4 ეტაპადაა დაყოფილი: 1. ჯ. მ. კეინსის „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორიის“ გამოქვეყნება და „კეინსის ამერიკანიზაცია“ ე. ჰანსენის შრომებში; 2. კეინსური და ნეოკლასიკური მიმართულებების შეხამების ცდა და „ნეოკლასიკური სინთეზი“ (პ. სამუელსონი); 3. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ძირითადი კომპონენტების გამოანგარიშება და 4. ეკონომიური ანალიზის ახალი მეთოდების დამუშავება⁵⁹.

მიკროეკონომიკის (პროფ. ნ. კარატაევი „ეკონომიკის“ სინონიმად იყენებს „ეკონომიკს“) სამყაროა, უპირველესად ყოვლისა. ინდივიდუალური ბიზნესი, გადაწყვეტილებანი, რომლებიც რჩევის სახით ეძლევა კომერსანტსა და მრეწველს. მაკროეკონომიკა, ანუ მაკროეკონომიკისი. — წერს ლ. მორისი, — მიკროეკონომიურ მოვლენათა ერთგვაროვანი ზოდია. ფ. მახლუპი თავის წიგნში „ნარკვევები ეკონომიური სემანტიკის შესახებ“ აკეთებს დასკვნას, რომ მიკროთეორია შეისწავლის ინდივიდუალურ ყოფაქცევას, ხოლო მაკროთეორია აღამიანთა ჯგუფის ყოფაქცევას იკვლევსო. მაკროეკონომიკისი სამყარო ახლოსაა პოლიტიკური ეკონომიის პრობლემებთან. მაკროეკონომიკისი, — წერს პროფ. ნ. კარატაევი, — ფინანსთა მინისტრის საქმეა, ხოლო მიკროეკონომიკისი — ბიზნესმენის საქმე. ფინანსთა მინისტრი, — წერს ავსტრიელი ა. ტაუჩერი, — „არის სახალხო მეურნეობის ყოვლისშემძლე დირექტორი“, „სახალხო მეურნეობის მთავარი დირიჟორი“. „ფინანსთა მინისტრი საგადასახადო სისტემის გამოყენებით სახალხო მეურნეობის ყოვლადძლიერი წინამძღოლია“⁶⁰. „ბიზნესი, — პ. სამუელსონის განმარტებით, — მიმზიდველი საქმიანობაა“⁶¹.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში უპირატესობა ენიჭება მაკროეკონომიას, ე. ი. „პრობლემურ მოძღვრებათა და თეორიათა“ შექმნას. ამიტომ, — წერს რ. შტოლბერგი, — უკვე აღარ არსებობს საზღვრითი სარგებლიანობის თეორია ავსტრიული ან ლოზანის სკოლის გაგებით. საზღვრითი სარგებლიანობის თეორიამ უმალ უფრო მეტი ან ნაკლები გავლენა მოახდინა დღეს არსებულ მოძღვრებაზე და განიცადა ტრანსფორმაცია⁶².

მარჟინალიზმის ტრანსფორმაციისა და მოდერნიზაციის საკით-

⁵⁹ W. Heller, *New Dimensions of Political Economy*, 1966.

⁶⁰ *Zeitschrift für die gesamte Staatswissenschaft*, Bd. 121, Hf. 1, 1965, გვ. 50—52.

⁶¹ П. Самуэльсон, *Экономика*, გვ. 527.

⁶² „*Wirtschaftswissenschaft*“, Hf. 1, 1964, გვ. 105.

ხებზე დისკუსია დღესაც გრძელდება თანამედროვე ბურჟუაზიულ ეკონომისტებში, თვით ავსტრიელ მარქინალისტებს შორისაც კი. მაგალითად, ამის დადასტურებას წარმოადგენს ფრ. მახლუპის შრომა „კამათი მიკრო და მაკროთეორიებს შორის ნაციონალ-ეკონომიაში“⁶³, რომელიც 1960 წ. გამოაქვეყნა ტიუბინგენში ვალტერ ოიკენის სახელობის ინსტიტუტმა. ერთ-ერთი ფორმალური მიზეზი ეს გარემოებაც არის იმისა, რომ თანამედროვე ეტაპზე არსებობს მარქინალიზმისა და ნეომარქინალიზმის მომხრეთა რამდენიმე განშტოება და ვარიანტი: 1. ჯ. ჰიკის კონცეფცია; 2. „ახალგაზრდა ავსტრიული სკოლა“; 3. მარქინალიზმის ფუნქციონალისტური ვარიანტი; 4. შემოსავლის მარქინალისტური თეორია; 5. მარქინალისტური სამეურნეო ანგარიშის კონცეფცია და მრავალი სხვა.

ავსტრიული სკოლის მარქინალიზმის რევიზია XX საუკუნის დამდეგს დაიწყო შვედმა ეკონომისტმა კნუტ ვიქსელმა (1851 — 1926). მან მიზნად დაისახა ავსტრიული და ლოზანის სკოლების გაერთიანება და ერთიანი მარქინალური მოძღვრების შემუშავება. რომელიც მონოპოლისტური კაპიტალიზმის დაცვას მოემსახურებოდა. კ. ვიქსელმა თავის შრომებში: „ფულადი სარგებელი და საქონლის ფასები“ (1898 წ.), „პოლიტიკური ეკონომიის ლექციები“ (ტ. 1 — „ზოგადი თეორია“, 1901 წ. და ტ. II — „ფული“, 1906 წ.) შესწორება შეიტანა მარქინალიზმის ძველ პრინციპებში და დააჩქარა საზღვრითი სარგებლიანობის თეორიის ტრანსფორმაცია.

მარქინალიზმის რევიზიისა და ტრანსფორმაციის საქმეში აქტიური როლი შეასრულა კემბრიჯის სკოლამ და მისმა მეთაურმა ალფრედ მარშალმა. მან მარქინალიზმს მიუმატა რეალური ხარჯების (real cost) „თეორია“ და უწოდა მას „აღორძინებული, ნეოკლასიკური მარქინალიზმი“. ა. მარშალის „ნეოკლასიკური მარქინალიზმი“ იმით განსხვავდებოდა ძველი მარქინალიზმისაგან, რომ მასში ერთგვარად „დაძლეულ“ იქნა ტოტალური (დირიჟისტული) მარქინალიზმი და სამაგიეროდ დაემატა „მოთხოვნის ელასტიკურობის“ მომენტი. „ბოლოს, ნეომარქინალისტების მიერ დასახული ცდები სტატიკის დაძლევისა და დინამიკის კონსტრუქციის მოცემისა წარმოდგენილია კერძოდ იოზეფ შუმპეტერის პირველ დიდ შრომაში“⁶⁴. ი. შუმპეტერმა თავის შრომაში „ეკონომიური განვითარების თეო-

⁶³ F. Machlup, Der Wettstreit zwischen Mikro- und Makrotheorien, Tübingen, 1960. ობ. K. Wickseil, Vorlesungen über Nationalökonomie auf Grundlage des Marginalprinzips, Jena, 1913.

⁶⁴ Э. Жамс, История экономической мысли XX в., гл. 52.

რია“ (1912 წ.) მიზნად დაისახა პალეოლიბერალური სტატიკური თეორიის (წონასწორობის თეორიის) დინამიზაცია. შეიძლება ითქვას, რომ ი. შუმპეტერის მოძღვრება წარმოადგენს გადასვლას პალეომარკინალიზმიდან ნეომარკინალიზმისაკენ. „პირველი ავსტრიელი, რომელმაც სცადა ეკონომიური ცხოვრების დინამიკური ანალიზის მოცემა, წერს ე. ჯამსი, — იყო იოზეფ შუმპეტერი (1883 — 1950 წწ.)“⁶⁵.

მოთხოვნის შესწავლასა და ამ კუთხით მარკინალიზმის ტრანსფორმაციას ხელი მოჰკიდა ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა, ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა ჯონ რიჩარდ ჰიკსმა (დაიბადა 1904 წ.). ჰიკსმა საზღვრითი სარგებლიანობის თეორიაში შემოიტანა „ახალი კატეგორია“ — „სუბსტიტუციის ზღვრული ნორმა“ (Substitutio — ერთი რისამე შეცვლა მეორეთი), რომლითაც მან შეცვალა მარკინალიზმის ძველი ცნება „საზღვრითი სარგებლიანობა“. ასე ჩამოაყალიბა რ. ჰიკსმა „უპირატესობის მინიჭების თეორია“.

ჯ. ჰიკსი ლონდონის ეკონომიური სკოლის წარმომადგენელია, რომელმაც მრავალი შრომა გამოაქვეყნა, მაგალითად: „ხელფასის თეორია“ (1932 წ.), „ღირებულება და კაპიტალი“ (1939 წ.), „შენაძენი სავაჭრო ციკლის თეორიაში“ (1950 წ.), „სახალხო მეურნეობის თეორიის შესავალი“ (1962 წ.) და სხვ. მარკინალიზმის ტრანსფორმაციის პრობლემას კი მან სპეციალური შრომა „მოთხოვნის თეორიის გადახედვა“ (1956 წ.) მიუძღვნა.

ჯ. ჰიკსის მიერ გამოგონილი „სუბსტიტუციის ზღვრული ნორმა“ იმით განსხვავდება „საზღვრითი სარგებლიანობისაგან“, რომ პირველი („სუბსტიტუციის ზღვრული ნორმა“) გამოხატავს საქონელთა შეფარდებას და არა სარგებლიანობას. ამით ჯ. ჰიკსმა სახე შეუცვალა გოსენის პირველ კანონს: ნაცვლად „კლებადი საზღვრითი სარგებლიანობის კანონისა“, მან შემოიღო ხმარებაში ახალი ფორმულა „კლებადი საზღვრითი სუბსტიტუციის ნორმის კანონი“. ჯ. ჰობსონმა კი თავის წიგნში „თავისუფალი აზრი საზოგადოებრივ მეცნიერებაში“⁶⁶ მარკინალიზმს მცდარი თეორია უწოდა⁶⁷.

ჯ. ჰიკსმა და მისმა თანამოაზრეებმა გააკრიტიკეს ძველი მარკინალიზმის დოგმა ნივთის საზღვრითი სარგებლიანობის შესახებ.

⁶⁵ Э. Жамс, История экономической мысли XX в., гл. 73.

⁶⁶ J. Hobson, Free Thought in the Social Sciences, London, 1926.

⁶⁷ об. Б. Селигмен, Основные течения современной экономической мысли, гл. 127.

მათ განაცხადეს, რომ საერთოდ შეუძლებელია სუბიექტური სარგებლიანობის რაოდენობრივი გაზომვა. ნეომარჩინალისტები აცხადებენ, რომ საზღვრითი სარგებლიანობის ხარისხი მხოლოდ შედარებით შეიძლება განისაზღვროს, ე. ი. ისინი უარყოფენ ავსტრიული სკოლის დოგმას სარგებლიანობის გაზომვის შესახებ. ნეოავსტრიული სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ისევე შეუძლებელია დადგენა იმისა, თუ რამდენად მაღალია ერთი საქონლის სარგებლიანობა მეორე საქონლის სარგებლიანობაზე, როგორც, მაგალითად, შეუძლებელია თქმა იმისა, რომ ერთი პიროვნება მეორეზე 1,5-ჯერ უფრო ზრდილობიანიყო.

ამრიგად, ნეოავსტრიული სკოლის მარჩინალური თეორია განსხვავდება ძველისაგან, თუმცა ნეომარჩინალიზმიც არაა ერთგვაროვანი. მაგალითად, ლონდონის ეკონომიური სკოლის წარმომადგენელი, მათემატიკური ეკონომიის გამოჩენილი თეორეტიკოსი როი ალენი კვლავ ძველი მარჩინალიზმის პოზიციებიდან განიხილავს ღირებულებას. იგი აცხადებს, რომ ნივთის სარგებლიანობა შეიძლება მათემატიკური სიზუსტით გაიზომოსო. „ინდივიდუუმის დაკმაყოფილების დონე, ანუ სარგებლიანობა,—წერს რ. ალენი, — მოხმარების ფუნქციაა“⁶⁸. ამ განტოლებას კი ასე გამოხატავს: სარგებლიანობა = $f(u)$, სადაც f ნებისმიერი ფუნქციაა, რომელიც აკმაყოფილებს პირობას $f'(u) > 0$. ავსტრო-ამერიკელი ბურჟუაზიული პროფ. ლ. მიზესი კვლავ უპირატესობას ანიჭებს თავისი მასწავლებლების — მენგერის, ვიზერისა და ბემ-ბავერკის კონსერვატიულ მარჩინალისტურ შეხედულებებს, ხოლო ფ. ჰაიეკი უფრო მეტად ნეომარჩინალისტურ პოზიციებზე დგას. ლ. მიზესისა და მისი მოწაფეების საზღვრითი სარგებლიანობის თეორია და მეთოდოლოგია წარმოადგენს გარდამავალ ეტაპს ძველი ავსტრიული სკოლის მიკროეკონომიიდან ნეოავსტრიული სკოლის მაკროეკონომიისაკენ. ფ. ჰაიეკის მოძღვრებაში კი მაკროეკონომიის ელემენტები ჭარბობს.

მარჩინალიზმის თეორეტიკოსებს, რომლებიც კვლავ ებღაუჭებიან „საზღვრითი სარგებლიანობის“ ძველ პრინციპებს, უწოდებენ „კარდინალისტებს“, ხოლო მათ მოწინააღმდეგეებს, ე. ი. ჯ. ჰიკსის, ფ. ჰაიეკისა და მათი თანამოაზრეების მსგავს ეკონომისტებს, — „ორდინალისტებს“. „ორდინალისტები“ უმთავრესად ნეომარჩინალურ პრინციპებს იზიარებენ. ისინი იძულებული გახდნენ და აღიარეს, რომ ზღვრული სარგებლიანობის გაზომვა შეუძლებელია.

⁶⁸ P. Аллен, Математическая экономия, ИЛ, 1963, гл. 541.

ხაცვლად ძველი პრინციპებისა, ხმარებაში შემოაქვთ ახალი ცნება „რიგობრივი თანამიმდევრობის“ შესახებ.

„ახალგაზრდა ავსტრიული სკოლის“ წარმომადგენლები — ჰ. მაიერი, ლ. ილი, ვ. ვებერი, ა. მარი და სხვ. — პრეტენზიას აცხადებენ იმაზე, რომ არიან თავიანთი მასწავლებლების — ძველი მარქინალისტების შთამომავლები. მიუხედავად ამისა, ამათ შორისაც არაა აზრთა ერთიანობა. მაგალითად, ა. მარი ცდილობს საზღვრითი სარგებლიანობის ძველი ავსტრიული სკოლის ტრადიციების შენარჩუნებას, მაგრამ იძულებული ხდება და რევიზიას უკეთებს თავისი მასწავლებლების — ძველი ავსტრიელების ზოგიერთ დებულებას. მან ვენაში 1959 წ. გამოაქვეყნა წიგნი „სახალხო მეურნეობის თეორია“, რომელშიც კვლავ ცდილობს ძველი მარქინალური თავისუფალი კონკურენციის პრინციპების დაცვას. რა თქმა უნდა, მოდერნისტულ ფორმებში. თავისუფალი კონკურენცია ალექსანდრე მარის აზრით, „ძირითადად გაგებულ უნდა იქნეს, როგორც წარმოების აგენტთა ყოფაქცევა“⁶⁹. ვენის უნივერსიტეტის პროფესორი ვილჰელმ ვებერი, რომელიც „ლისტის სახელობის ინსტიტუტისა“ და „ლისტის საზოგადოების“ წევრია, ნეომარქინალიზმის პრინციპებს იყენებს „თანამონაწილეობის“, „სახალხო აქციებისა“ და რეპრივატიზაციის კონცეფციების პროპაგანდის საქმეში⁷⁰.

ჰ. მაიერი იცავს საზღვრითი სარგებლიანობის თეორიის საკუთარ ვარიანტს, „თავისუფალ სამყაროს“ და ილაშქრებს მარქინალიზმის ფუნქციონალისტური ვარიანტის წინააღმდეგ⁷¹.

ლ. ილი ცდილობს მარქინალიზმის ისეთი მოდელის შექმნას, რომელშიც ცენტრალური ადგილი დაეთმობა სამეურნეო ანგარიშს. ამ მხრივ იგი ლ. მიზესის პრინციპებს იზიარებს. მან მარქინალიზმი შეავსო ახალი „კატეგორიებით“: შემოსავლის ზღვრული სარგებლიანობა და ხარჯების ზღვრული სარგებლიანობა. ამრიგად, იგი უფრო ახლოსაა ძველ მარქინალისტებთან, ვიდრე ნეომარქინალისტებთან.

ნეომარქინალიზმის მოძღვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზღვრითი, ანუ ზღვრული ნაყოფიერების აპოლოგეტური კონცეფცია. თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტები ეკლექტიკურად აერთებენ მარქინალიზმის მოთხოვნა-მიწოდებისა და

⁶⁹ A. Mahr, Volkswirtschaftslehre, Wien, 1959, გვ. 115.

⁷⁰ იხ. Lohnpolitik und Vermögensbildung, Tübingen, 1964, გვ. 98, 192 — 208.

⁷¹ იხ. H. Maier, Politischen Ideen in der freien Welt, Stuttgart, 1959.

წარმოების ხარჯების აპოლოგეტურ თეორიებს. ამ სამი „თეორიის“ სინთეზირების ასპექტში განიხილავენ ნეომარჩინალისტები ფასებს, მოგებას, რენტას, ხელფასს. განსაკუთრებით დიდ ადგილს უთმობენ თავიანთ ნაწერებში სოციალიზმის დროს საქონლურ-ფულადი ურთიერთობის პრობლემას ე. პრაიზერი, ლ. მიზესი, რ. დანიელსი, გ. სმიტი, ა. ვებერი და სხვ. მათი მტკიცებით, სამეურნეო ანგარიში, „ნამდვილი (ბუნებრივი) ფასები“ და ფასწარმოქმნა, მოგება შესაძლებელია საბაზრო მეურნეობაში, ე. ი. კაპიტალისტურ საქონელწარმოებაში, სადაც, ე. პრაიზერის აზრით, მოქმედებს „მოთხოვნა-მიწოდების დინამიკური კანონი“ და „წარმოების ხარჯების სტატიკური კანონი“. „თვითმართულ საბაზრო მეურნეობაში, — წერს ე. პრაიზერი, — ანუ, როგორც მას ვუწოდებთ, თავისუფალი ფასწარმოქმნის დროს, ფასი მოთხოვნა-მიწოდების შედეგია და ჩვენ შეგვიძლია მოთხოვნა-მიწოდების კანონს დინამიკის კანონი ვუწოდოთ... მაგრამ ხარჯების კანონი სტატიკის კანონია“⁷².

ზღვრული სარგებლიანობის პრინციპებს იყენებდნენ და იყენებენ შემოსავლის განსაზღვრისას თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტები, ისინი ემყარებიან წარმოების ფაქტორთა ვულგარულ თეორიას, თუმცა ზოგიერთი დამატებაც შეიტანეს მასში. მაგალითად, ნაცვლად წარმოების სამი ფაქტორისა, ნაცვლად სამწევრიანი ფორმულისა, თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია იყენებს ოთხწევრიან ფორმულას: მეცნიერება, მიწა, კაპიტალი, შრომა.

აქ ჩვენ ვხედავთ „მეოთხე ფაქტორს“ — მეცნიერებას. ეს „ფაქტორი“ მიმოქცევაში გაუშვებს ტექნოკრატიული (ტექნოლოგიური) კონცეფციების ბურჟუაზიულმა თეორეტიკოსებმა. მაგალითად, კანადაში მცხოვრები ვ. მონსაროვი, რომელიც პროფესიით ინჟინერ-ქიმიკოსია, მოითხოვს მარჩინალიზმის ტრანსფორმაციას „წარმოების ოთხი ფაქტორის“ პოსტულატების გამოყენებით. „მონსაროვის თეორია“ ნეომარჩინალიზმის ტრანსფორმაციას ემსახურება. „მონსაროვის თეორია“ წარმოადგენს ვულგარული ეკონომისტის სეის „სამი ფაქტორის თეორიის“ გაგრძელებას. ამიტომ იგი ისევე უსაფუძვლოა, როგორც სეის ფაქტორთა თეორია.

ცნობილია, რომ მარჩინალისტები ნივთის კლებადი სარგებლიანობის კანონს უყენებდნენ წარმოების სამი ფაქტორის ვულგარულ თეორიას და ასე ღებულობდნენ ე. წ. კლებადი შემოსავლის კანონს. „ზღვრული ნაყოფიერების თეორია“ დღეს, — წერს რ. შტოლბერგი, — წარმოადგენს შემოსავლის საყოველთაოდ აღიარებულ თეო-

⁷² E. Preiser, Nationalökonomie heute, გვ. 53.

რასა“⁷³. რა თქმა უნდა, შემოსავლის ნეომარქინალური კონცეფციები ერთგვარად განსხვავდება ძველი სუბიექტური თეორიებისაგან და დიდადაა გავრცელებული. „ზღვრული ნაყოფიერების თეორია ყველაზე უფრო სიცოცხლისუნარიანი შემადგენელი ნაწილი აღმოჩნდა ზღვრული სარგებლიანობის თეორიისა“⁷⁴.

მონსაროვი მოდერნიზებულ ფორმებში იყენებს აღნიშნულ აპოლოგეტურ კონცეფციას და აცხადებს, რომ ერთდროულად შეიძლება გადიდდეს მეწარმის მოგება და მუშის ხელფასი. ზღვრული სარგებლიანობის თეორიის ტრანსფორმაცია აქ იმაში გამოიხატება, რომ ძველი მარქინალისტების აზრით, მუშის ხელფასის განსაზღვრელად ითვლებოდა „შრომის ზღვრული პროდუქტი“. ე. ი. თუ დასაქმება გაიზრდება, ხელფასი უნდა შემცირდეს, რადგან ხელფასის ოდენობას განსაზღვრავს ზღვრული (ბოლო) მუშის შრომით შექმნილი პროდუქტი (ჯ. ბ. კლარკი).

ზღვრული სარგებლიანობის თეორია ემყარება „სარგებლიანობის კლებადობის კანონს“. ამ „კანონის“ თანახმად, მოცემული დოვლათის მეორე ერთეულს მოაქვს უფრო ნაკლები სარგებლიანობა, ვიდრე პირველს, ხოლო მესამე ერთეულს — უფრო ნაკლები, ვიდრე მეორეს და ა. შ. გამოდის, რომ, რაც უფრო მეტია მოცემული სახის დოვლათი, მით უფრო ნაკლებია მისი უკანასკნელი ერთეულის სარგებლიანობა, და მაშასადამე, ღირებულება და, პირიქით, მარქინალიზმი ემყარება ვულგარული პალეოლიბერალიზმის (სეი, ბასტია, გოსენი, ბემ-ბავერკი) იშვიათობისა და მარაგის ზღვრულ სიდიდეებს. იშვიათობისა და მარაგის მარქინალისტური პრინციპებით ღირებულების განსაზღვრა აპოლოგეტური მსჯელობაა, რომელსაც მკაცრად აკრიტიკებდა კ. მარქსი. „რომელიმე საქონლის ღირებულებების სიდიდე, — წერს კ. მარქსი, — არაა იმაზე დამოკიდებული, არსებობს თუ არა, გარდა ამ საქონლისა, მცირე ან დიდი რაოდენობით სხვა სახის საქონელი“⁷⁵.

კ. მარქსი შრომითი ღირებულების მეცნიერული თეორიის გამოყენებით ააშკარავებს ზღვრული სარგებლიანობის თეორიის უნიადგობას. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იშვიათობა ან სიუხვე (მარაგი) არ შეიძლება იყოს საცვლელი ღირებულების განმსაზღვრელი. „ერთი და იმავე შრომით, — წერს კ. მარქსი, —

⁷³ იხ. Новые тенденции в современной буржуазной политической экономии, გვ. 501.

⁷⁴ იქვე, გვ. 501.

⁷⁵ კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 35.

შეიძლება სხვადასხვა ლითონის მეტი ან ნაკლები რაოდენობის მოპოვება იმისდა მიხედვით, თუ შედარებით რამდენად უფრო ხშირი ან უფრო იშვიათია ამ ლითონის ბუდობები დედამიწის ქერქში. ერთი და იგივე შრომა შეიძლება მოსავლიან წელიწადში ორ ბუშელ ხორბალში გასაგნობრივდეს, მოუსავლიან წელიწადში კი, შესაძლოა, მხოლოდ ერთ ბუშელში. აქ ისე გვეჩვენება, თითქოს იშვიათობა ან სიუხვე, როგორც ბუნებრივი პირობები, საქონელთა საცვლელ ღირებულებას განსაზღვრავენ, რადგან ისინი განსაზღვრავენ განსაკუთრებული რეალური შრომის მწარმოებლურ ძალას, რომელიც ბუნებრივ პირობებთანაა დაკავშირებული“⁷⁶. ნეომარქინალისტების „აღმოჩენა“ კი იმაში მდგომარეობს, რომ თითქოს მუშათა რაოდენობის მატებას, დასაქმების ზრდას შედეგად მოჰყვება მეწარმეთა მოგების, აგრეთვე მუშათა ხელფასის გადიდებაც. ჩვენ აქ ვხედავთ, რომ მონსაროვი მოდერნიზებულად განიხილავს ზღვრული ნაყოფიერების თეორიას. იგი ახლებურად აკავშირებს წარმოების „ოთხი ფაქტორისა“ და ზღვრული ნაყოფიერების კონცეფციებს და ასეთი გზით აკეთებს ახალ აპოლოგეტურ დასკვნებს.

ნეომარქინალიზმის დემაგოგიური დასკვნები ძნელი გამოსაცნობი არაა. ისინი მიმართულია რევოლუციური პროფკავშირების, მუშათა კლასის საგაფიცვო მოძრაობის წინააღმდეგ და წარმოადგენს ხელფასი—ფასი—სპირალის ნეომარქინალურ ვარიანტს.

ხელფასის ნეომარქინალისტური კონცეფციის დამცველია ვილჰელმ ვებერი, რომელმაც ამ საკითხზე სპეციალური მოხსენება „ხელფასის პოლიტიკა ავსტრიაში“ გააკეთა „ლისტის საზოგადოების“ სამეცნიერო კონფერენციაზე 1963 წ. ნოემბერში⁷⁷.

ზღვრული სარგებლიანობის (მარქინალიზმის) თანამედროვე პოლიტიკური ეკონომია (ნეომარქინალიზმი) მარქინალური ცნების—„ზღვარი“—გამოყენების თვალსაზრისით, როგორც უკვე ითქვა, არაა ერთგვაროვანი. „დღეს ჩვენ, — წერს რ. შტოლბერგი, — მარქინალიზმს ვხვდებით ძირითადად სამ ფორმაში: სუბიექტურ-ინდივიდუალისტურ კატეგორიებთან დამოკიდებულების მხრივ, საწარმოთა და საერთო სახალხო მუერნობრივი კატეგორიებისადმი დამოკიდებულების მხრივ“⁷⁸.

⁷⁶ მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 32.

⁷⁷ W. Weber, Lohnpolitik in Österreich. — „Lohnpolitik und Vermögensbildung“, Tübingen, 1964, გვ. 192—207.

⁷⁸ Новые тенденции в современной буржуазной политической экономии, გვ. 504.

1. მარკინალიზმი გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, იმას, რომ საკითხი ეხება თვით ზღვრულ სარგებლიანობას, მის გამოყენებას თანამედროვე თეორიებში შეცვლილი სახით;

2. მეორე შემთხვევაში მარკინალიზმი გულისხმობს არა მარტო ზღვრული ნაყოფიერების, არამედ სხვა ცნებების (ზღვრული ხარჯები, ზღვრული შემოსავალი — უკუგება, ზღვრული ბრუნვა და ა. შ.) გამოყენებასაც. ამ მეორე ფორმით მარკინალიზმს აქვს პრაქტიკული დანიშნულება, ე. ი. აქ ჰარბობს მიკროეკონომია.

3. მარკინალიზმი გვევლინება აგრეთვე მესამე ფორმითაც. ამ შემთხვევაში საკითხი ეხება რეალურ სახალხომეურნეობრივ სიდიდეებს, გლობალურ, აგრეგატულ სიდიდეებს. მარკინალიზმის ეს ფორმა, როგორც მაკროეკონომიის განსახიერება, გაპირობებულია სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ზრდით, სახელმწიფოებრივი ინტერვენციონიზმისა და „პლანიზმის“ გაფართოებით.

სამივე შემთხვევაში გამოიყენება ზღვრული სარგებლიანობის პრინციპები და ცნებები, მაგრამ ამ გამოყენების არე, ჩარჩოები და ნასშტაბები სხვადასხვაა. ერთ შემთხვევაში საქმე ეხება ცალკეულ ინდივიდს, სუბიექტს, მეორე შემთხვევაში — საწარმოს („სინგულარული“ მეურნეობა) და მესამე შემთხვევაში — მთელ სახალხო მეურნეობას. მიუხედავად მთელი ამ მანიპულაციებისა, ზღვრული სარგებლიანობის თანამედროვე, ე. ი. ნეომარკინალური კონცეფციები წარმოადგენენ კაპიტალისტური საქონელწარმოების აპოლოგიას სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში.

ნეომარკინალიზმი, როგორც ახალი და უახლესი ვულგარეკონომიის ნაირსახეობა, იყენებს პრაგმატიზმს (და მის განშტოებას ინსტრუმენტალიზმს), ნეოპოზიტივიზმს, ნაწილობრივ კი ვულგარულ პრაქსეოლოგიასა და ოპერაციონალიზმს, ექსისტენციალიზმსა და ნომინალიზმს.

კლერიკალიზმის პოზიციებიდან განიხილავს ნეოლიბერალიზმის (ნეომარკინალიზმის) ეკონომიურ ფილოსოფიას ე. ნავროტი, რომელმაც დიდი მოცულობის წიგნი „ნეოლიბერალიზმის სოციალური და ეკონომიური ფილოსოფია“⁷⁹ მიუძღვნა ამ თემას.

ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ როგორ ცდილობს მარკინალისტთა ერთი ნაწილი ფსიქიკურსა და ფიზიკურს შორის გათიშვის მოსპობას. ამ მიზნით მარკინალისტები იყენებენ პრაგმატიზმის განშტოებას ინსტრუმენტალიზმს. ინსტრუმენტალიზმის ფილოსოფია მარკინა-

⁷⁹ E. E. Nawroth, Die Sozial- und Wirtschaftsphilosophie des Neoliberalismus, Heidelberg, 1962.

ლისტების ნაწერებში დაიყვანება საშუალებების, „ინსტრუმენტების“ ყველაზე მიზანშეწონილი გამოყენების შესახებ მსჯელობაზე, რათა შეეხამოს ერთმანეთს მიკროეკონომია და მაკროეკონომია.

განსაკუთრებით დიდი პატივისცემით სარგებლობს ნეოავსტრიული სკოლის მოძღვრებაში ნეოპოზიტივიზმი. ეს სრულიად ბუნებრივი და ლოგიკურია. ცნობილია, რომ ნეოპოზიტივიზმის მომხრენი თავდაპირველად გაერთიანდნენ ვენის წრეში, რომელსაც მიმდინარე საუკუნის 20-იან წლებში სათავეში ედგა ავსტრიელი ფიზიკოს-ფილოსოფოსი შლიკი. ნეოპოზიტივისტები თავს ღებენ იმაზე, რომ ყოველგვარი „მეტაფიზიკისაგან“ გაანთავისუფლონ თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია და ამით „ფილოსოფია მეცნიერული გახადონ“.

ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის სუბიექტური სკოლები ისტორიულად არიან დაკავშირებული სუბიექტურ-იდეალისტური ფილოსოფიის დოგმებთან. თუმცა თვით ბურჟუაზიული ეკონომისტების მნიშვნელოვანი ნაწილი იშვიათად თუ აღიარებს კავშირს იდეალისტურ ფილოსოფიის კონცეფციებთან. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მარჩინალისტები და ნეომარჩინალისტები თავიანთ ნაწერებში არც კი იყენებენ ტერმინს „იდეალიზმი“. მაგალითად, ლ. მიზესის უკანასკნელ მონოგრაფიაში „ეკონომიური მეცნიერების უკანასკნელი საფუძველი“, არცაა ნახსენები იდეალიზმი, ასეთივე აზრია გატარებული აგრეთვე ი. შუმპეტერის, ვ. რეპკეს, გ. ჰაბერლერის, ფ. მახლუპის, ფ. ჰაიეკის ნაწერებში.

ნეოპოზიტივისტებს ბევრი მიმბაძველი ჰყავთ ნეოავსტრიულ სკოლაში. მაგალითად, ნეოპოზიტივიზმის ვენის სკოლის წარმოდგადენელია ფ. ჰაიეკი⁸⁰. ნეომარჩინალისტებიც ბევრს ლაპარაკობენ კლასიკური ეკონომიური ლიბერალიზმის (ა. სმიტი, დ. რიკარდო) აღორძინებაზე, რენესანსზე. მათი ნეომარჩინალიზმი და ნეოლიბერალიზმი ნიშნავს თურმე „უახლესი ეკონომიის“ განახლებას, დეაპოლოგეტიზაციას, გამეცნიერებასა და ა. შ. ამ საკითხებში განსაკუთრებით აქტიურობენ „შუბლმაგარი მარჩინალისტები“: ლ. მიზესი, ფ. ჰაიეკი, ვ. რეპკე.

„ჰამბურგის წელიწდულში“, რომლის გამომცემელია დასავლეთგერმანელი მემარჯვენე სოციალისტი პროფ. ჰ. დ. ორტლიბი,

⁸⁰ F. W. Dörge, Menschenbild und Institution in der Idee des Wirtschaftsliberalismus bei A. Smith, L. v. Mises, W. Eucken und F. A. Hayek. „Hamburger Jahrbuch für Wirtschafts- und Gesellschaftspolitik“, Bd. 4, 1959, გვ. 94. იხ. „Der Volkswirt“, 1969, Hf. 8, გვ. 29—30.

ფ. ვ. დერგემ გამოაქვეყნა სპეციალური სტატია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მისი აზრით, გზა მარქინალიზმიდან ნეომარქინალიზმისაკენ ასე მიდის: ა. სმიტი — ლ. მიზესი — ვ. ოიკენი და ფ. ჰაიეკი⁸¹.

ნეომარქინალისტები სიტყვით გამოდიან როგორც მეცნიერული პოლიტიკური ეკონომიის რენესანსის დამწყებნი, საქმით კი მიისწრაფვიან მოსპონ და ამოაგდონ ხმარებიდან ყოველი პოზიტიური, რაც პალეოლიბერალიზმში შემორჩა. ნეოპოზიტივისტი ნეომარქინალისტები (ლ. მიზესი, ფ. ჰაიეკი, ვ. რეპკე) სიტყვით ტოტალიტარიზმის, კენსურ-დირიჟისტული ეკონომიის წინააღმდეგ გამოდიან, იბრძვიან თავისუფლებისათვის, ჰუმანიზმისათვის, საქმით კი ილაშქრებენ მეცნიერული და პროგრესული ეკონომიური იდეების წინააღმდეგ, ძირს უთხრიან ჰეგემარტი მეცნიერული აზროვნების საფუძვლებს. ლ. მიზესი, ფ. ჰაიეკი, ვ. რეპკე და მათი თანამოაზრენი ბევრს ლაპარაკობენ „თავისუფალ მეწარმეობაზე“, „ეკონომიურ ჰუმანიზმზე“, პიროვნების თავისუფლებაზე და იცავენ ე. წ. „მესამე“ გზას. ამ სოციალურ დემაგოგიაში მათ დიდ დახმარებას უწევს პერსონალიზმი — თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის მიმდინარეობა.

პერსონალიზმს განსაკუთრებით ხარბად იყენებს „ემიგრირებული ვენის სკოლა“ (ლ. მიზესი, ფ. ჰაიეკი, გ. ჰაბერლერი). პერსონალიზმი, როგორც ობიექტურ-იდეალისტური მიმართულება, ქვაკუთხედს წარმოადგენს „საქონელწარმოების კოსმოსის“ გამომკვლევ მარქინალისტებისათვის. მათი იდეალია „სინგულარულ“ მეურნეობათა შესწავლა და შემდეგ მთელი „საქონელწარმოების კოსმოსის“ (როგორც „სინგულარულ მეურნეობათა“ მექანიკური ჯამის) ანალიზი, რა თქმა უნდა, მაკროეკონომიური და „ნეოკლასიკური მეთოდის“ გამოყენებით. დომინიკანელი მღვდელი ე. ნავროტი წერს, რომ ნეოლიბერალური მეთოდოლოგიის დამახასიათებელი ნიშნებია: ნომინალიზმი, ინდივიდუალიზმი, პერსონალიზმი (ნეოლიბერალური პერსონალიზმი), ნეოკანტიანიზმი⁸². ე. ნავროტი აკრიტიკებს (კლერიკალიზმის პოზიციებიდან) ნეოლიბერალების ნომინალისტურ-ემპირულ მეთოდოლოგიას, იდეალისტურ ნეოკანტიანიზმს. იგი მიუ-

⁸¹ F. W. D ö r g e, Menschenbild und Institution in der Idee des Wirtschaftsliberalismus bei A. Smith, L. v. Mises, W. Eucken und f. A. Hayek. „Hamburger Jahrbuch für Wirtschafts- und Gesellschaftspolitik“, Bd. 4, 1959, 83-82 — 99.

⁸² E. N a w r o t h, Die Sozial und Wirtschaftsphilosophie des Neoliberalismus, 20, 23, 30, 48—85, 89, 198, 205.

თითებს, რომ ვ. ოიკენის, ლ. მიზესის, ფ. ჰაიეკის მარქინალური მეთოდოლოგია ძალიან ახლოს დგას როგორც ნომინალიზმთან, ასევე ნეოკანტიანიზმთან. „იდეალისტური ნეოკანტიანიზმი, — წერს ვ. ნაეროტი, — არის, უწინარეს ყოვლისა, ოიკენის მეთოდოლოგიური აზროვნებისათვის განმსაზღვრელი“⁸³.

ნეოლიბერალური პერსონალიზმი, რომელსაც მარქინალისტები იყენებენ, წარმოადგენს სოციალური დემაგოგიის ნიმუშს, მათი აზრით, პერსონალიზმი ჯა თავისუფლება სინონიმებია. ვ. რეპკე წერს: „აქ პერსონალიზმი დგას კოლექტივიზმის წინააღმდეგ, თავისუფლება ხელისუფლების კონცენტრაციის, დეცენტრიზმი ცენტრიზმის, თავისთავადობა ორგანიზაციის, ადამიანთა მასები სოციალ-ტექნიკის წინააღმდეგ“⁸⁴.

ნეოლიბერალური პერსონალისტები სინამდვილეში გამოდიან არა საერთოდ პიროვნების დამცველებად, არამედ კერძო საკუთრების, კაპიტალის, კაპიტალისტური საქონელწარმოების აპოლოგეტებად. ისინი ბევრს ლაპარაკობენ ეკონომიურ ჰუმანიზმზე, ეკონომიურ თანასწორობაზე, თავისუფალ მეწარმეობაზე, თუმცა ამით კაპიტალიზმსა და კაპიტალისტურ მეურნეობას იცავენ. ნათქვამის საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ თვით ლ. მიზესის სიტყვებს. „კაპიტალიზმი, — წერს ლ. მიზესი, — საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთადერთი შესაძლებელი წყობილებაა... ამ აზრით, ლიბერალიზმი არის ჰუმანიზმი, ხოლო ლიბერალი — მსოფლიო მოქალაქე, კოსმოპოლიტი“⁸⁵.

აქ აშკარად ჩანს კაპიტალისტური წყობილების აპოლოგეტიზმი და მარქინალისტ ლ. მიზესის ანტიისტორიზმი. საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ „ემიგრირებული ვენის სკოლის“ ავსტრო-ამერიკელი ლ. მიზესი და მისი წრე („ლ. მიზესის წრე“) გამოდის როგორც საერთაშორისო კაპიტალის მსახური. „საბაზრო მეურნეობამ, — წერს ლ. მიზესი, — არ იცის პოლიტიკური საზღვარი. მისი სარბიელია მსოფლიო“⁸⁶. ამრიგად, თვით ლ. მიზესი აძლევს „ემიგრირებულ ვენის სკოლას“ კოსმოპოლიტურ ხასიათს.

ლ. მიზესისა და მისი მოწაფეების სოციალ-ეკონომიურ მოძღვრებაში გამოყენებულია აგრეთვე ვულგარული პრაქსეოლოგია. ლ. მიზესისა და მისი თანამოაზრის, თავისუფალი მეწარმეობის

⁸³ E. Nawroth, Die Sozial und Wirtshftsphilosophie des Neoliberalismus. გვ. 48

⁸⁴ W. Röpke, Jenseits von Angebot und Nachfrage, 1958, გვ. 239.

⁸⁵ L. Mises, Liberalismus. Jena, 19-7, გვ. 75, 93.

⁸⁶ L. Mises, Nationalökonomie, Genf; 1940, გვ. 250.

დამცველის, ესპანელ-ამერიკელი ბურჟუაზიული ეკონომისტის ფ. ბალვეს აზრით, ეკონომიური მეცნიერება პრაქსეოლოგიის ნაწილია. ლ. მიზესისა და საერთოდ მარქინალიზმის პრაქსეოლოგია არის კაპიტალისტური საქონელწარმოების ანალიზი მიკროეკონომიის მეთოდის გამოყენებით, რათა დასაბუთდეს ფულად-საქონლურ ურთიერთობათა კატეგორიების და, რაც მთავარია, თვით კაპიტალიზმის მარადიულობა. ლ. მიზესის პრაქსეოლოგია⁸⁷ სცილდება ეკონომიური კვლევის ჩარჩოებს და წარმოადგენს უფრო მეტად „ზოგად მეცნიერებას“⁸⁸.

მარქინალიზმის მოძღვრებას იყენებენ არა მარტო ნეოლიბერალური მიმდინარეობის სკოლები, არამედ „რეგულირებადი კაპიტალიზმისა“ და, რა თქმა უნდა, პალეოლიბერალიზმის თეორეტიკოსები. სავსებით სწორად უენიშნავდა ბერლინის საერთაშორისო კონფერენციაზე გაკეთებულ მოხსენებაში შ. გერეტეკი, რომ „ნეოლიბერალიზმისა და კეინსელობის სკოლები პრინციპში მარქინალისტური თეორიის პოზიციებზე დგანან და ძირითადად კაპიტალისტური ეკონომიკის შინაგანი ძალების მექანიზმის მოქმედების საკითხში განსხვავდებიან“⁸⁹. თვით თეოდორ პუტცმაც (ვენა) აღიარა, რომ არსებობს კომპრომისი მარქინალური და ნეომარქინალური თეორიისა და ეკონომიური პოლიტიკის საკითხებში⁹⁰.

ამერიკელი ბ. სელიგმენის წიგნის „თანამედროვე ეკონომიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი“ მთელი მესამე თავი⁹¹ „მარქინალიზმიდან ეკონომიური თავისუფლების თეორიებისაკენ“ ეთმობა მარქინალიზმის დახასიათებას. ბ. სელიგმენი გამოთქვამს ზოგიერთ კრიტიკულ მოსაზრებას, მაგრამ საერთოდ მალალ შეფასებას აძლევს მარქინალიზმს. „ბემ-ბავერკს ბურჟუაზიული მარქსი“ უწოდა მან⁹².

⁸⁷ H. Lehmann, *Ökonomie und Praxeologie*.—*„Wirtschaftswissenschaft“*. Hf. 3, 1966, 33. 484 — 492.

⁸⁸ L. Mises, *Nationalökonomie*, 33. 3.

⁸⁹ Новые явления в современной буржуазной политэкономии, т. 1, 33. 121.

⁹⁰ *Methoden und Probleme der Wirtschaftspolitik*, Berlin, 1964, 33. 51 — 64.

⁹¹ Б. Селигмен, *Основные течения современной экономической мысли*, 33. 145 — 233.

⁹² *ოქვე*, 33. 174.

**მარქსისტულ-ლენინური ეკონომიური მოძღვრების
ბურჟუაზიული ფალსიფიკაცია, თანამედროვე
ანტიმარქსიზმი და ანტიკომუნისმი**

§ 1. თანამედროვე ანტიმარქსიზმი და ანტიკომუნისმი

მარქსისტულ-ლენინური ეკონომიური მოძღვრებით შეიარაღებული მუშათა კლასის საერთაშორისო რევოლუციურმა მოძრაობამ მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი მოიპოვა. შექმნილია მსოფლიო სოციალისტური სისტემა.

მუშათა კლასის რევოლუციური მოძღვრება მარქსიზმი წარმოიშვა XIX საუკუნის შუახანებში. იგი განვითარდა და ვითარდება ბურჟუაზიულ-რეფორმისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში. თანამედროვე ეპოქაში მიმდინარეობს გააფთრებული ბრძოლა ბურჟუაზიულ ეკონომიურ იდეოლოგიასა და მარქსისტულ-ლენინურ პოლიტიკურ ეკონომიას შორის. ბურჟუაზიული ეკონომიური მოძღვრებანი, მთელი ბურჟუაზიული იდეოლოგია ღრმა კრიზისს განიცდის.

ანტიმარქსიზმი და ანტიკომუნისმი ნეოავსტრიული სკოლის, მთელი თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომიური იდეოლოგიის უკიდურესი დეგრადაციის ასახვაა. მარქსიზმის, მეცნიერული კომუნისმის წარმოშობიდანვე დაიწყო ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ბრძოლა მარქსისტული ეკონომიური მოძღვრების წინააღმდეგ. თანამედროვე პირობებში კი ანტიმარქსიზმი და ანტიკომუნისმი გადაიქცა იმპერიალისტური რეაქციის მთავარ იდეურ-პოლიტიკურ იარაღად.

კაპიტალის იდეოლოგებმა თავიანთი ცეცხლი დაუშინეს მარქსიზმს, რომელმაც უღმობელი ომი გამოუცხადა კაპიტალს, სოცია-

ლურ ჩაგვრას, ექსპლოატაციას. „ნამდვილი მტერი,—სწერდა კ. მარქსი ფ. ენგელსს, — რომელიც უნდა დაეპარცხოთ, — ეს არის კაპიტალი“¹. კ. მარქსმა „კაპიტალში“ და სხვა შრომებში აღმოაჩინა ბურჟუაზიული საზოგადოების მოძრაობის ეკონომიური კანონები და კაპიტალისტური ექსპლოატაციის მექანიზმი. მან მთელი სიცხადით დაამტკიცა, რომ კაპიტალისტური წარმოება ბუნებრივ-ისტორიული პროცესის აუცილებლობით წარმოშობს თავის საკუთარ უარყოფას. ეს უარყოფის უარყოფაა (ფ. ენგელსი).

კ. მარქსის „კაპიტალმა“ მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცა ბურჟუაზიას, მის იდეოლოგიას და მსოფლიო პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის მანათობელი შუქურა გახადა. კ. მარქსმა შექმნა მეცნიერული პოლიტიკური ეკონომია, ეკონომიურად დაასაბუთა მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლა და გამარჯვება. „კაპიტალის“ შესახებ კ. მარქსი 1864 წ. კლინგს სწერდა: „იმედი მაქვს, რომ ერთი-ორი თვის შემდეგ მე მას, ბოლოს, დავამთავრებ და თეორიის დარგში ბურჟუაზიას ისეთ ლახვარს ჩაეცემ, რომ ის ვერასდროს წელში ვეღარ გაიმართოს... უდავოა, რომ ეს ყველაზე საწინელი ყუმბარაა.—სწერდა კ. მარქსი ბეკერს,—რომელიც კი ოდესმე თავს დასტეხია ბურჟუებს“².

ვ. ი. ლენინი თავის სტატიაში „ქარლ მარქსის მოძღვრების ისტორიული ბედა“ (1913 წ.) მსოფლიო ისტორიის პერიოდს 1848 — 1871 წლებში განიხილავს, როგორც ქართვეილებისა და რევოლუციების პერიოდს. ამ პერიოდის დასაწყისში კ. მარქსის მოძღვრება სრულებითაც არ იყო გაბატონებული და წარმოადგენდა სოციალიზმის ერთ-ერთ მიმდინარეობას. მაშინ ბურჟუაზია და მისი პოლიტიკური ეკონომია თავის სიძულვილსა და მტრობას კ. მარქსის მოძღვრებისადმი უმთავრესად „დუმილით“ გამოხატავდა.

კ. მარქსის მოძღვრების გავრცელებამ და გამარჯვებამ აიძულა ბურჟუაზიის იდეოლოგები, რათა უარი ეთქვათ „დუმილის“ ტაქტიკაზე. ნაცვლად დუმილისა, მათ დაიწყეს კ. მარქსის ეკონომიური მოძღვრების წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლა. ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის სკოლებმა და წარმომადგენლებმა, პირველ რიგში კი ავსტრიულმა სკოლამ (ე. ბემ-ბავერკმა), მიზნად დაისახეს მარქსიზმის „დაძლევა“, „გაბათილება“, „განადგურება“.

¹ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, წერილები „კაპიტალის“ შესახებ, 1952, 83-39.

² იქვე, გვ. 125, 135.

ვ. ი. ლენინი შრომაში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ (1916 წ.) წერდა: „ნახევარი საუკუნის წინათ, როდესაც მარქსი თავის „კაპიტალს“ წერდა, ეკონომისტების დიდ უმრავლესობას თავისუფალი კონკურენცია „ბუნების კანონად“ მიაჩნდა. კაზიონური მეცნიერება შეეცადა სიჩუმის შეთქმულებით ჩაეკლა მარქსის თხზულება, რომელმაც კაპიტალიზმის თეორიული და ისტორიული ანალიზით დაამტკიცა, რომ თავისუფალი კონკურენცია წარმოშობს წარმოების კონცენტრაციას, ხოლო ეს კონცენტრაცია თავისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე მონოპოლიას იწვევს. ახლა მონოპოლია უკვე ფაქტია. ეკონომისტები მთელ გროვა წიგნებს წერენ, აღწერენ მონოპოლიის ცალკეულ გამოხატულებებს და კვლავ ერთხმად აცხადებენ: „მარქსიზმი გაბათილებულიაო“³.

ანტიმარქსიზმის თეორეტიკოსთა ლაშქრობა, რომელიც დაახლოებით 100 წლის წინათ დაიწყო, დღესაც გრძელდება. მიუხედავად ამისა, მარქსიზმი ვითარდება, ვრცელდება და კიდევ უფრო მტკიცდება. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ მას შემდეგ, რაც მარქსიზმი გაჩნდა, მსოფლიო ისტორიის სამი დიდი ეპოქიდან თითოეულს მოჰქონდა ახალ-ახალი ტრიუმფი. ისტორიის მსვლელობამ დაადასტურა და დაამტკიცა მარქსიზმის უძლეველობა, ასრულდა ვ. ი. ლენინის წინასწარმეტყველება, რომ „მარქსიზმს, როგორც პროლეტარიატის მოძღვრებას, კიდევ უფრო დიდ ტრიუმფს მოუტანს მომავალი ისტორიული ეპოქა“⁴.

კ. მარქსის მოძღვრებას ერთბაშად როდი განუმტკიცებია თავისი მდგომარეობა. იგი იწრთობოდა და მტკიცდებოდა ბურჟუაზიულ-რეფორმისტულ და რევოზიონისტულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ ბრძოლაში. ანტიმარქსიზმის იდეოლოგთა ბანაკში სრული დაბნეულობა სუფევდა და სუფევს. მარქსიზმის ბურჟუაზიული „კრიტიკოსები“ — კ. მარქსის მოძღვრების „გამბათილებლები“ კარგად ხედავენ საკუთარი ანტიმარქსისტული კონცეფციების უსუსურობას, უპერსპექტივობასა და უსაფუძვლობას, „მაგრამ პროფესორების ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი მდგომარეობა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ისეთია, რომ ამ თანამდებობაზე მხოლოდ იმათ აყენებენ, ვინც მეცნიერებას კაპიტალის ინტერესთა სასამსახუროდ ყიდის, მხოლოდ იმათ, ვინც თანხმდება — სოციალისტების წინააღმდეგ სრულიად წარმოუდგენელი სისულელე, ყოვლად უსინდისო შეუსაბამობა და

³ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, გვ. 247 — 248.

⁴ ვ. ი. ლენინი, მარქსი, ენგელსი, მარქსიზმი, გვ. 99.

აზღაურებდა ილაპარაკოს. ყოველივე ამას ბურჟუაზია აპატიებს პროფესორებს, ოღონდ კი მათ სოციალიზმი „ანადგურონ“⁵.

XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან მარქსიზმი ებრძოდა მისდამი ძირეულად მტრულ ბურჟუაზიულ თეორიებსა და მიმდინარეობებს. 40-იანი წლების დასვლევს დაიწყო და 50-იანი წლებით დამთავრდა კ. მარქსის ბრძოლა პრუდონის წვრილბურჟუაზიული მოძღვრების—პრუდონიზმის წინააღმდეგ. 60-იან წლებში კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა ბრძოლა გადაიტანეს ზოგადი თეორიის დარგიდან უშუალოდ მუშათა მოძრაობის უფრო მახლობელ დარგში (ბრძოლა ბაკუნინის წინააღმდეგ, ბაკუნინის განდევნა I ინტერნაციონალიდან). 70-იან წლებში მარქსიზმი იმარჯვებს სხვა მიმდინარეობებზე და ეს გამარჯვება XIX საუკუნის 90-იანი წლებისათვის ძირითადად უკვე დამთავრებულია.

მარქსიზმის არსებობის მეორე ნახევარსაუკუნე, რომელიც 90-იან წლებში დაიწყო, აღინიშნა მარქსიზმის შიგნით მარქსისტული მოძღვრებისადმი მტრული მიმდინარეობის ბრძოლის გაშლით. მართალია, მარქსამდელი სოციალიზმი დაძლეულ იქნა, მაგრამ იგი განაგრძობდა და განაგრძობს ბრძოლას უკვე არა თავის დამოუკიდებელ ნიადაგზე, არამედ მარქსიზმის საერთო ნიადაგზე, როგორც რევოიონიზმი. „ისტორიის დიალექტიკა ისეთია, — წერს ვ. ი. ლენინი, — რომ მარქსიზმის თეორიული გამარჯვება აიძულებს მის მტრებს მარქსისტებად შეიშალოს, შინაგანად-დამპალი ლიბერალიზმი ცდილობს გამოცოცხლდეს სოციალისტური ოპორტუნიზმის სახით“⁶.

რევოიონიზმი კულში მისჩანჩალებდა და მისჩანჩალებს ბურჟუაზიულ იდეოლოგიას მარქსიზმისა და კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგალითად, რევოიონიზმმა ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიასთან ერთად მიზნად დაისახა კ. მარქსის შრომითი ღირებულების მეცნიერული თეორიის შეცვლა ვულგარეკონომიის ავსტრიული სკოლის „ზღვრული სარგებლიანობის“ („ეკონომიური მარჟინალიზმის“) აბოლოგეტური კონცეფციით.

რაფორმიზმი და რევოიონიზმი გამოდიოდა და გამოდის ბურჟუაზიულ პოლიტიკონომიასთან ერთად და თავის ცეცხლს წარმართავს კ. მარქსის ეკონომიური მოძღვრების წინააღმდეგ საერთოდ, განსაკუთრებით კი შრომითი ღირებულების მარქსისტული თეორიის წინააღმდეგ. ეს გასაგებია. ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსი, თანა-

⁵ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 170.

⁶ ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 707.

მედროვე ბურჟუაზიული პოლიტეკონომიის ცნობილი წარმომადგენელი ვ. რეპკე, რომელმაც კ. მარქსის ეკონომიური მოძღვრების „გაბათილება“ დაისახა მიზნად, წერს, რომ შრომითი ღირებულების თეორიის „უსაფუძვლობის“ დამტკიცებით „გვერდზე ცვივა მარქსიზმის სხვა ძირითადი დებულებანი: ზედმეტი ღირებულების თეორია და მოძღვრება კაპიტალიზმის გარდუვალი დაღუპვის შესახებ“⁷.

კ. მარქსის მოძღვრების ფალსიფიკატორები იმეორებენ ძველ, გაცვეთილ დოგმებს მარქსიზმის „მოძველების“, „გაბათილებისა“ და „გადასინჯვის“ აუცილებლობის შესახებ. თანამედროვე ბურჟუაზიულ-რეფორმისტულ ლიტერატურაში კვლავ გაისმის ხმები იმის შესახებ, რომ თითქოს საჭიროა მარქსისტული ფილოსოფიის შეცვლა „ნეომატერიალიზმით“ და „ფურასტიერიზმით“, მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის შრომითი ღირებულების მეცნიერული თეორიისა ნეომარქინალიზმით, „წარმოების ოთხი ფაქტორის“ კონცეფციითა და „ახალი მათემატიკური ეკონომიით“, მეცნიერული სოციალიზმის თეორიისა აპოლოგეტური მოძღვრებით „კიბერნეტიკული საზოგადოების“ შესახებ („ინდუსტრიული საზოგადოება“, „კიბერნეტიკული წყობილება“, „ეკონომიური სტრატეფიკაცია და ამაღლება“, „ეკონომიური ჰუმანიზმი და ნეოჰუმანიზმი და ა. შ.).

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ბურჟუაზიულ პოლიტეკონომიას „გაგონებაც კი არ უნდა მარქსიზმისა, რომელსაც იგი გაბათილებულად და მოსპობილად აცხადებს; ახალგაზრდა მეცნიერნიც, რომელნიც კარიერას იქმნიან სოციალიზმის გაბათილებით, დაჩაჩანაკებული მოზუცნიც, რომელნიც ინახავენ ყოველგვარი დახვედებული „სისტემების“ ანდერძს, თანაბარი გულმოდგინებით ესმიან თავს მარქსს. მარქსიზმის ზრდა, მისი იდეების გავრცელება და განმტკიცება მუშათა კლასში, გარდუვალად ახშობენ და ამწვავებენ ამ ბურჟუაზიულ იერიშებს მარქსიზმის წინააღმდეგ, რომელიც ოფიციალური მეცნიერების მიერ მისი ყოველი „მოსპობის“ შემდეგ უფრო მტკიცე, უფრო გამოწრთობილი და უფრო სიცოცხლისუნარიანი ხდება“⁸.

თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიისათვის დამახასიათებელია იგივე ვულგარიზმი, აპოლოგეტიზმი, ეკონომიური მოვლენებისა და პროცესების ყალბად ახსნა, ე. ი. მეცნიერული კო-

⁷ W. R ö p k e, *Jenseits von Angebot und Nachfrage*, Erlenbach — Zürich und Stuttgart, 1958, გვ. 17.

⁸ ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, მარქსი, ენგელსი, მარქსიზმი, გვ. 273 — 274.

მუნიციპლის ფუძემდებლის კ. მარქსის ეკონომიური მოძღვრების ფალსიფიკაცია და დიფამაცია. თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტები (კინაულები, ნეოლიბერალები, ნეოკეინსელები, ეკონომეტრიკოსები, დინამისტები, ნეოჰუმანისტები და სხვ.) იმეორებენ თავიანთი წინამორბედების მეთოდებსა და ხერხებს.

ამრიგად, კ. მარქსის ეკონომიური მოძღვრების ბურჟუაზიული კრიტიკოსების იდეურ-თეორიული არსენალისათვის დამახასიათებელია ამჟამა ეპიგონური ხასიათი. იგივე შეიძლება ითქვას თანამედროვე რეფორმიზმისა და რევიზიონიზმის მისამართთაც. აღნიშნულის დადასტურებას წარმოადგენს თანამედროვე ბურჟუაზიულ-რეფორმისტული ანტიკომუნისტური სოციალ-ეკონომიური ლიტერატურა, რაც განხილული იქნება გზადაგზა.

ანტიმარქსიზმი და ანტიკომუნისმი ყოველთვის გამოდიოდა პროგრესულის წინააღმდეგ. განსაკუთრებით რეაქციული და დემაგოგიური გახდა იგი თანამედროვე ეტაპზე.

თანამედროვე ანტიკომუნისმს მარქსისტთა საერთაშორისო დისკუსიის მასალების მიხედვით აქვს სამი ფორმა:

1. ანტიკომუნისმი, როგორც განსაზღვრული პრაქტიკული მოქმედება, რომელიც სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ფორმასაც ღებულობს (მაგალითად, აშშ-ში, გფრ-ში და სხვ.);

2. ანტიკომუნისმი, როგორც ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და განსაკუთრებული „მეცნიერების“ ფორმა. ეს მიმდინარეობა მიზნად ისახავს მარქსიზმის, კომუნისმის „მეცნიერულად“ უარყოფას, დაძლევას;

3. „მოქმედი“ ანტიკომუნისმი, რომელიც არსებობს კერძომესაკუთრულ ურთიერთობათა ბატონობის ბაზაზე. ანტიკომუნისმის ამ ფორმის პროპაგანდა ხდება ხალხთა ფართო მასებში. რა თქმა უნდა, ანტიკომუნისმის ამ სამ ძირითად ფორმას შორის არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირი, მაგრამ მათი გამოყოფა საჭიროა, რადგან იგი ანტიკომუნისმთან ბრძოლის დიფერენცირების საშუალებას იძლევა, აძლევს ამ ბრძოლას უფრო მეტ კონკრეტულობასა და მიზანდასახულობას⁹.

თანამედროვე ანტიკომუნისმის გამოვლენის შემდეგი ძირითადი ფორმები არსებობს: 1. ნეოფაშიზმი, რომელიც განსაკუთრებით აქტიური ხდება გფრ-ში, ავსტრიასა და აშშ-ში; 2. რასიზმი, რომელმაც მწვავე ხასიათი მიიღო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში (აპარტეიდი), აშშ-ში, სამხრეთ როდეზიაში; 3. კლერიკალიზმი, რომე-

⁹ Антикommунизм — враг человечества, Прага, 1962, гл. 5 — 6.

ლიც აწარმოებს ბრძოლას მარქსიზმის, კომუნიზმის, როგორც ანტი-ქრისტეს მოძღვრების წინააღმდეგ. ანტიკომუნიზმის კლერიკალურ-მილიტარისტული ფორმის წარმომადგენლები არიან ვეტერი, ბო-ხენსკი, გუნდლახი, ნელ-ბროინინგი, ნიმაიერი, ფალკი, იორდანი, რინდლი და სხვ.; 4. მეპარჯვენე სოციალისტთა ფსევდოსოციალიზმი („დემოკრატიული სოციალიზმი“, „კეინსური სოციალიზმი“, „სა-ბაზრო სოციალიზმი“, „ნონკონფორმიზმი“, „სოციალიზმი უმარქ-სოდ“, „საზოგადოება ამაღამა“ და სხვ.), რომელიც ეხმარება ბურ-ჟუაზიასა და მის იდეოლოგიას მუშათა კლასში ანტიკომუნიზმის იდეების პროპაგანდის საქმეში (თაიმერი, შულცი, აიხლერი და სხვ.).

1967 წ. ბერლინში ჩატარდა მარქსისტთა სიმპოზიუმი, რომელიც ანტიკომუნიზმის იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლას მიეძღვნა. სიმ-პოზიუმზე აღინიშნა, რომ ყველაზე უფრო გავრცელებულია ანტი-კომუნიზმის ორი ძირითადი სახესხვაობა: ნეოფაშისტური და ნეო-ლიბერალური. ანტიკომუნიზმის ნეოლიბერალურ მიმართულებას მიეკუთვნებიან: ა. რიუსტოვი, ფ. ბემი, ვ. რეპკე, ა. მიულერ-არმაკი, ფ. ჰაიეკი, ლ. მიზესი და სხვ.

ანტიმარქსიზმის ბანაკში განსაკუთრებით აქტიურობენ თანამედ-როვე ბურჟუაზიული ეკონომისტები. კ. მარქსის ეკონომიური მოძ-ღვრების წინააღმდეგ ლაშქრობას კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირველ ეტაპზე სათავეში ჩაუდგა „ახალი ეკონომიის“ ცნობილი თეორეტიკოსი ჯ. მ. კეინსი. თავის მთავარ თხზულებაზე „დასაქმე-ბის, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია“ მუშაობის პერიოდ-ში ჯ. მ. კეინსმა წერილი მისწერა ბ. შოუს. ამ წერილში იგი იკვებ-ნიდა, რომ თავისი „ახალი ეკონომიით“ თავდაყირა დააყენებდა რი-კარდო-მარქსის ღირებულების თეორიას. ჯ. მ. კეინსმა „კაპიტალს“ უწოდა „მოძველებული ეკონომიური სახელმძღვანელო“, „მეცნიე-რული თვალსაზრისით მცდარი“. კ. მარქსის „კაპიტალი“, კეინსის აზრით, „არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს და გამოუყენებელია თანამედროვე მსოფლიოსათვის“.

ჯ. მ. კეინსს მხარდამხარ მიჰყვება მემარჯვენე სოციალისტი ვ. თა-იმერი, რომელმაც თავის ანტიმარქსისტულ წიგნებში განაცხადა, თით-ქოს მარქსისტული სისტემა „დაძლეულია“. წიგნში „მარქსიზმი“ იგი აღნიშნავს, რომ კ. მარქსის მოძღვრების წარმოშობის შემდეგ ბევ-რი რამ შეიცვალა და უამრავი ახალი მასალა დაგროვდა. „ამ განვი-თარების შედეგების შუქზე აღნიშნულ წიგნში, — წერს ვ. თაიმე-რი, — კეთდება ცდა მარქსიზმის თანამედროვე კრიტიკისათვის“¹⁰

¹⁰ W. Theimer, Marxismus, Bern, 1950, გვ. 5.

ვ. თაიშერი თავის პასკვილში მარქსიზმზე ცდილობს კ. მარქსის ეკონომიური მოძღვრების შეცვლას „ტრანსფორმირებული კაპიტალიზმის“ კონცეფციით.

მარქსიზმი მეცნიერების განვითარების შარაგზის გარეშე კი არ წარმოშობილა, არამედ იგი იყო კაცობრიობის საუკეთესო მიღწევათა კანონიერი მემკვიდრე და განმგრძობი. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა კრიტიკულად აითვისეს და შემდგომ განავითარეს წინამორბედი საზოგადოებრივი აზრი, რომელმაც ყველაზე მაღალ დონეს მიაღწია XIX საუკუნის სამ მთავარ მიმდინარეობაში (გერმანული კლასიკური ფილოსოფია, ინგლისური კლასიკური პოლიტიკონომია და ფრანგული უტოპიური სოციალიზმი). კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა რევოლუციური გადატრიალება მოახდინეს საზოგადოებრივ მეცნიერებაში იმით, რომ შექმნეს დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, მეცნიერული პოლიტიკური ეკონომია და მეცნიერული სოციალიზმი, რომლებიც მარქსიზმის სამ განუყოფელ ნაწილს შეადგენენ.

თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკონომია და მთელი ბურჟუაზიულ-რეფორმისტული იდეოლოგია და რეაქციული ძალები, მონოპოლისტური ბურჟუაზიის იდეოლოგიური მებაჯრენი, ყოველნაირად ცდილობენ კ. მარქსის დამსახურების დაკნინებას. ისინი აცხადებენ, რომ კ. მარქსმა ფილოსოფიური თეორია ჰეგელისაგან, ხოლო სოციალ-ეკონომიური მოძღვრება ა. სმიტის, დ. რიკარდოს, ი. როდბერტუსისა და სოციალისტ-უტოპისტებისაგან ისესხაო. მაგალითად, დასავლეთგერმანელი ბურჟუაზიული ეკონომისტი ფ. ბემი წერს, თითქოს ეკონომიური აზრის ისტორიაში ცალკე მიმართულებას შეადგენს ა. სმიტისა და კ. მარქსის მოძღვრება.

ფ. ბემის თანამოაზრე ა. რიუსტოვის განცხადებით, ცალკე მიმართულებას შეადგენს ე. წ. „პენსიონისტების“ ჯგუფი: მალთუსი, რიკარდო, მარქსი¹¹. ამერიკელი ვ. ლიპმანი კი „აკონკრეტებს“ თავისი დასავლეთევროპელი კოლეგების „აღმოჩენას“ და ერთ ნაკადში განიხილავს: ჰეგელს, მარქსს, ნიცშეს, ა. როზენბერგს, ლენინს, სტალინს, მუსოლინის, ჰიტლერს¹². ასეთია ანტიმარქსიზმის თეორეტიკოსთა ერთი ნაწილის დემაგოგიური გამოსვლები, რომლებსაც საზღვარი არ აქვს.

მარქსიზმის ფალსიფიკატორთა მეორე ნაწილი — თანამედროვე

¹¹ A. Rüstow, Das Versagen des Wirtschaftsliberalismus, 1950, 33-37 — 39.

¹² W. Lippmann, Die Gesellschaft freier Menschen, Bern, 1945, 33-484.

ბურჟუაზიული პოლიტიკონომიისა და სოციოლოგიის თეორეტიკოსები—სხვა ხერხს მიმართავს. მათი აზრით, კ. მარქსის მოძღვრება არის გაქვევებულ დებულებათა კრებული, მკეცდარი დოგმა, მზამზარეული და უცვლელი, რელიგიისმაგვარი თეორია. ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა—ი. შუმპეტერმა, პ. გოეცმა და სოციოლოგმა ა. ტონბიმ მარქსიზმს რელიგია უწოდეს. „ქარლ მარქსი,—წერს ნეოლიბერალი ა. რიუსტოვი, — არის კომუნიზმის რელიგიის შემქმნელი... ქარლ მარქსი იყო უკიდურესი სქოლასტიკოსი“¹³. ვ. რეპკე არც ამით დაკმაყოფილდა და მარქსიზმი დაახასიათა, როგორც „კომუნისტური ფსევდოისლამი“¹⁴. აი სადამდე მიდის კ. მარქსის მოძღვრების ფალსიფიკატორთა მოქმედება.

„ნეოვიტალიზმის“ თეორეტიკოსი ა. რიუსტოვი თავის ანტიმარქსისტულ ტრილოგიაში „თანამედროვეობის ადგილსამყოფელის განსაზღვრა“ თავს ესხმის კ. მარქსს, კომუნიზმს. დასახელებული ანტიკომუნისტური სამტომეულის მესამე წიგნში იგი ცალკე გამოყოფს საკითხს „ქარლ მარქსი და კომუნიზმი“, რომელშიც მარქსს „უტოპისტს“, ხოლო კ. მარქსის მოძღვრებას „თეოლოგიურ სისტემას“ უწოდებს.

თანამედროვე ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიას კვალდაკვალ მიჰყვება სოციალ-რეფორმიზმიც. მაგალითად, „ნონკონფორმიზმის“, ანუ „დემოკრატიული სოციალიზმის“ თეორეტიკოსმა პ. ორტილბმაკ კ. მარქსის მოძღვრებას „ფსევდომეცნიერული“ უწოდა.

რა თქმა უნდა, კ. მარქსისათვის უდიდესი შეურაცხყოფა იქნებოდა, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომიური იდეოლოგიის თეორეტიკოსები სხვაგვარად ახასიათებდნენ მარქსიზმს. „ბურჟუაზიას რომ ასე საშინლად ვძულვართ, — აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, — ეს ერთ-ერთი ფრიად თვალსაჩინო მაჩვენებელია იმ ქეშმარიტებისა, რომ ჩვენ სწორად მივუთითებთ ხალხს გზასა და საშუალებებს ბურჟუაზიის ბატონობის დასამხობად“¹⁵. კ. მარქსის მოძღვრება წარმოადგენს მთლიან მსოფლმხედველობას, ფილოსოფიურ, ეკონომიურ და სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა მწყობრ სისტემას.

ცნობილია, რომ სტუდენტობის დროს კ. მარქსი გაეცნო ჰეგელის ნაწარმოებებს და დაუახლოვდა „მემარცხენე ჰეგელიანელთა წრეს“. იგი მაშინ ჰეგელიანელი — იდეალისტი იყო. ამ ფაქტს დე-

¹³ A. Rüstow, *Ostbestimmung der Gegenwart*, Bd. III, 1957, გვ. 291, 302.

¹⁴ W. Röpke, *Internationale Ordnung heute*, 1954, გვ. 89.

¹⁵ ვ. ი. ლენინი, *თხზ.*, ტ. 26, გვ. 95.

მაგოგიურ-აპოლოგეტური მიზნით იყენებს თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტეკონომია და სოციოლოგია. მაგალითად, ემიგრირებული ვენის სკოლის თეორეტიკოსი ფ. ჰაიეკი თავის წიგნში „გზა მონობისაკენ“ ერთ ნაკადში განიხილავს ჰეგელის, მარქსის, ლისტის, შპოლერის, ზომბარტის, მანჰაიმის შეხედულებებს¹⁶. რეგენაბურგის უმაღლესი ფილოსოფიურ-თეოლოგიური სკოლის პროფესორი ი. ჰომესი კი თავის წიგნში „თავისუფლების კრიზისი“ აცხადებს, თითქოს კ. მარქსი არის „სუბიექტური იდეალისტი“, „ჰეგელის მისტაჟურ-დიალექტიკური მოძღვრების თანამიმდევრული წარმომადგენელი“. ი. ჰომესის აზრით, ჰეგელის, მარქსისა და ჰაიდეგერის მოძღვრება საფუძვლით ერთი და იგივეა, განსხვავებას კი იმაში ხედავს, რომ კ. მარქსს მიიჩნევს „კოლექტიური სუბიექტივიზმის“ წარმომადგენლად.

ცნობილია, რომ კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა შოაზდინეს უდიდესი რევოლუციური გადატრიალება ფილოსოფიაში და შექმნეს დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი. იმდენად აბსურდულია ი. ჰომესისა და მისი თანამოაზრეების მსჯელობა, რომ ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ი. ჰომესის ფალსიფიკატორული ხერხის მიზანია: ჯერ ერთი, კ. მარქსის დიალექტიკური მეთოდის გაიგივება ჰეგელიანობასთან; მეორე, ექსისტენციალიზმის ფილოსოფოსის მ. ჰაიდეგერის დახატვა კ. მარქსის მოძღვრების გამგრძელებლად, მამასადამე, მარქსიზმის დიფამაცია, გაყალბება.

ანალოგიურ ფალსიფიკაციას აქვს ადგილი თანამედროვე ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაშიც. მაგალითად, ინგლისელი მე-მარცხენე კეინსელი ჯ. რობინსონი აცხადებს, რომ ჯ. კეინსი კ. მარქსის მოწაფეა. იბადება კითხვა: არგუმენტები, პოსტულატები? ჯ. რობინსონის აზრით, რაკი კეინსმა გააკრიტიკა Laissez faire დოქტრინა, ხოლო კ. მარქსი იძლევა კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიული პოლიტეკონომიის კრიტიკას, მაშასადამე, კეინსი კ. მარქსის ეკონომიური მოძღვრების გამგრძელებელია.

ჯ. რობინსონი, ი. შუმპეტერი, ე. ფურასტიე, ე. ბაუმგარტენი, ე. ჰოისი და თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტეკონომიის სხვანაირი წარმომადგენლები ცდილობენ კ. მარქსის ეკონომიური მოძღვრების შესწორებას „კეინსიზმისა“ და „ფურასტიერიზმის“ მიხედვით¹⁷.

¹⁶ F. A. Hayek, Der Weg zur Knechtschaft, გვ. 41,

¹⁷ ამერიკელი ბ. სელიგმენი დაეძებს „საერთოს“ კ. მარქსსა და ვებლენს, ბემ-ბაერკსა და მარქს შორის (იხ. Б. Селигмен, Основные течения современной экономической мысли, გვ. 63, 64, 174 და ა. შ.).

ისინი განზრახ ცდილობენ კ. მარქსის კენისიფიციერებას და კენისი მარქსიფიციერებას.

გსდპ თეორიულმა ორგანომ „ჰამბურგის წელიწადეულმა“ გამოაქვეყნა ი. შუმპეტერის სტატია „მეცნიერება და იდეოლოგია“, რომელშიც გატარებულია ასეთი აზრი: თუ ფილოსოფიაში ადგილი აქვს თანამიმდევრობას „ჰეგელი-მარქსი-ჰაიდეგერი“ (ი. ჰომესი), პოლიტიკურ ეკონომიაში, შუმპეტერის აზრით, არის ასეთი თანამიმდევრობა: „ა. სმიტი-კ. მარქსი-ჯ. კენისი“¹⁸.

უფრო „შორს“ მიდის შვეიცარიელი ეკონომისტი, ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსი ე. ჰოისი, რომელიც თვით ი. შუმპეტერს მიიჩნევს კ. მარქსის ეკონომიური მოძღვრების გამგრძელებლად¹⁹. ე. ბაუმგარტენმა კ. მარქსის მიმდევრად გამოაცხადა მარქსიზმის დაუძინებელი მტერი, რეაქციონერი ბურჟუაზიული ეკონომისტი და სოციოლოგი მაქს ვებერი²⁰. ნეოლიბერალი ა. რაუსტოვი კი საერთოს დაეძებს კ. მარქსის მოძღვრებასა და ვულგარულ ლიბერალიზმს, ლიბერალურ პოლიტეკონომიას შორის.

თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტეკონომიის თეორეტიკოსები ცდილობენ კ. მარქსის მოძღვრების ფალსიფიკაციას თვით მარქსის ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის დამახინჯებული ინტერპრეტაციით. მაგალითად, ისინი „ახალგაზრდა“ მარქსს უპირისპირებენ „გვიანდელ“ („მოწიფებულ მარქსს“). მათ ნაწერებში კ. მარქსი დაპირისპირებულია ფ. ენგელსისადმი, ხოლო კ. მარქსი და ფ. ენგელსი — ვ. ი. ლენინისადმი, ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინისადმი და პირიქით.

თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტები და სოციოლოგები ახალგაზრდა კ. მარქსის შრომების სპეკულაციას ეწევიან: მაგალითად, ე. თირმა გამოაქვეყნა წიგნი „მსოფლიოს სურათი ახალგაზრდა მარქსთან“, რომელშიც არის ცდა „ახალგაზრდა მარქსის იდეალიზაციისა“.

ცნობილი ფრანგი მწერალი ექსისტენციალისტი ჟან პოლ სარტრი, რომელიც 1963 წ. თბილისში იყო და ინტერვიუც კი მისცა გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტს, გამოდის არა საერთოდ კ. მარქსის მოძღვრების, არამედ „სტალინური ნეომარქსიზმის“ წინააღმდეგ. თავის გამოსვლას მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ იგი ერთგვარად ნიღბავს, როცა აცხადებს, რომ მისი კრიტიკა ეხება არა მარქსიზმს, არამედ „ნეომარქსიზმს“. „სარტრი თავის ნაწარმოებში „მა-

¹⁸ „Hamburger Jahrbuch“, Bd. III, გვ. 18.

¹⁹ E. Heuss, Allgemeine Markttheorie, Tübingen — Zürich, 1965, გვ. 262—263.

²⁰ „Max Weber: Werk und Person“, Tübingen, 1961, გვ. 573 — 580.

ტერიალიზმი და რევოლუცია“ აცხადებს, რომ მისი კრიტიკა ეხება არა მარქსსა და მარქსიზმს საერთოდ, არამედ 1949 წ. მარქსისტულ სკოლას“²¹.

ცნობილია, რომ კ. მარქსის ზოგიერთ ადრინდელ შრომაში გვხვდება ჭერ კიდევ უმწიფარი დებულებები. მაგალითად, „ეკონომიურ-ფილოსოფიურ ხელნაწერებში“ კ. მარქსი მიდის ისტორიული მატერიალიზმისაკენ, თუმცა 1844 წ. ხელნაწერებში გვხვდება დაუსრულებელი დებულებებიც. აი ამ ფაქტს მეტაფიზიკურ ინტერპრეტაციას აძლევენ თანამედროვე ბურჟუაზიული თეორეტიკოსები და აცხადებენ, თითქოს 1844 წ. ხელნაწერები წარმოადგენდეს კ. მარქსის მოძღვრების მწვერვალს.

აქ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ზოგიერთ ადრინდელ ნაწარმოებში ჭერ კიდევ შეიმჩნევა კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტეკონომიის გავლენა, მთლიანად არაა დაძლეული უტოპიური სოციალიზმი. ავიღოთ, მაგალითად, ფ. ენგელსის შრომა „მონახაზები პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, რომელშიც ავტორი ჭერ კიდევ არ განასხვავებს კლასიკურ ეკონომიას ვულგარეკონომიისაგან, ხოლო ფასს განსაზღვრავს არა ღირებულებით, არამედ წარმოების ხარჯებითა და სარგებლიანობით. ასევე მკაფიოდ არაა გამოკვეთილი კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა, როგორც ჰარბწარმოების ეკონომიური კრიზისების საფუძველი.

თანამედროვე ბურჟუაზიულ პოლიტეკონომიას არ სურს იმის დანახვა, რომ ეს არასრული დებულებები შემდგომში შეავსო და დასრულებული სახით გადმოგვცა თვით კ. მარქსმა.

მარქსიზმის ფალსიფიკატორები იღებენ კ. მარქსის ზოგიერთ ადრინდელ ნაშრომს და „აკრიტიკებენ“ (ამახინჯებენ) კ. მარქსის მთელ ეკონომიურ მოძღვრებას. ავიღოთ გასხვისების კატეგორია და ჰუმანიზმის საკითხები. ისინი დაეძებენ „წინააღმდეგობას“ კ. მარქსის ადრინდელ შრომებში მოცემულ გასხვისების „მორალურ-ჰუმანისტურ კონცეფციასა“ და გვიანდელ შრომებში განვითარებულ „ექსპლოატაციის კონცეფციას“ შორის.

სინამდვილეში არავითარი წინააღმდეგობა არაა კ. მარქსის ადრინდელ და გვიანდელ შრომებში. ყველა შრომაში გასხვისების ცნება განუყრელადაა დაკავშირებული წარმოების საშუალებებისაგან უშუალო მწარმოებლის ჩამოშორებასთან. კ. მარქსი ყველგან აღნიშნ-

²¹ Н. Ирибаджакоев, Современные критики марксизма, 1962, гл. 321.

ნავს, რომ „ხელფასი არის გასხვისებული შრომის უშუალო შედეგი, ხოლო გასხვისებული შრომა კერძო საკუთრების უშუალო შედეგია“.

ბურჟუაზიული ეკონომისტები და სოციოლოგები გასხვისების მიზეზებს დაეძებენ არა წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების არსებობაში, არამედ სხვადასხვა ტექნიკურ, ორგანიზაციულ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებში. მაგალითად, ცნობილი ფრანგი სოციოლოგი ე. ფრიდმანი აღნიშნავს, რომ ყოველგვარი შრომა „გასხვისებულია“. ამ საქმეში ძალიან აქტიურობს თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტი—ნეოჰუმანისტი ვ. რეპკე. ე. წ. „ეკონომიური ნეოჰუმანიზმის“ წარმომადგენლები (ვ. რეპკე, ა. რიუსტოვი, ე. მეცკე და სხვ.) ბრძოლას კერძო საკუთრების წინააღმდეგ მიიჩნევენ ანტიჰუმანიზმად, ხოლო წარმოების საშუალებებზე კერძო კაპიტალისტური საკუთრების აპოლოგიას — ჰუმანიზმად (ე. წ. „ნეოჰუმანიზმი“). ასეთია მარქსიზმის „ნეოჰუმანისტური კრიტიკის“ არაი. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ „ნეოჰუმანისტები“ (ნეოლიბერალები) ვ. ი. ლენინს აცხადებენ მარქსისტული ჰუმანიზმის მოწინააღმდეგედ.

ბურჟუაზიულ პოლიტეკონომიას კვალდაკვალ მიჰყვება რეფორმიზმი. საილუსტრაციოდ შეიძლება დავსახელოთ ჰანოვერში გამოცემული წიგნი „ქარლ მარქსი დღეს“, რომელიც სოციალ-დემოკრატებმა მიუძღვნეს კ. მარქსის გარდაცვალებიდან 70 წლისთავს. ანალოგიური აზრია გატარებული რევიზიონისტ ე. ბეზეს წიგნში „ქარლ მარქსი — მისი ცხოვრება და მოღვაწეობა“ და რეფორმისტ ფ. შტერნბერგის ნაწარმოებში „მარქსი და თანამედროვეობა“. ნეომალთუსელები კი აკეთებენ „ახალ აღმოჩენას“; მათი მტკიცებით არსებობს ორი მარქსი: „ერთი მარქსი სოციალისტურ ევროპაში, რომელიც გამოდის შობადობის შეზღუდვის წინააღმდეგ, და მეორე სოციალისტურ აზიაში“. ფრანგმა ნეომალთუსელმა ა. სოვიმ ამ საკითხზე 1963 წ. გამოაქვეყნა წიგნი სენსაციური სახელწოდებით: „მალთუსი და ორი მარქსი“.

მიუხედავად ფაქტებისა და ისტორიული სინამდვილისა, თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტეკონომიის ზოგიერთი წარმომადგენელი დაეძებს „წინააღმდეგობას“ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მოძღვრებას შორის. „არ შეიძლება გაიგო მარქსიზმი და არ შეიძლება მთლიანად გადმოსცე იგი, თუ ანგარიში არ გაუწიე ენგელსის ყ ვ ე-ლა თხზულებას“²², აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი.

ფ. ენგელსი იყო კ. მარქსის თანამებრძოლი და უახლოესი მეგობარი. იგი ყოველთვის უაღრესად საიმედო და ქმედით მხარდაჭერას.

²² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 97.

უწევდა კ. მარქსს რევოლუციურ ბრძოლასა და გაჭირვებაში. ფ. ენგელსი ეხმარებოდა კ. მარქსს არა მარტო მატერიალურად, არამედ თეორიული მუშაობის დარგშიც. მათ მრავალი კოლექტიური შრომა აქვთ დაწერილი. ფ. ენგელსმა უდიდესი მუშაობა ჩაატარა კ. მარქსის „კაპიტალის“ II და III ტომის რედაქციისა და გამოცემის საქმეში და მრავალი სხვა. კ. მარქსი „კაპიტალის“ I ტომის შესახებ ფ. ენგელსს სწერდა: „ამრიგად, ეს ტომი მზა დაა, მხოლოდ შენ უნდა გამადლოდე იმას, რომ ეს შესაძლებელი გახდა! ჩემი გულისათვის შენ რომ თავი არ გაგეწირა, მე ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეეძლებდი იმ უზარმაზარი სამუშაოს ჩატარებას, რასაც ეს სამი ტომი მოითხოვდა“²³.

ცნობილია, რომ კ. მარქსი და ფ. ენგელსი ეკონომიური პოლიტიკის საკითხებს განიხილავდნენ დიალექტიკურად. ფ. ენგელსი სტატიაში „მფარველობითი ბაჟები თუ თავისუფალი ვაჭრობის სისტემა“ გამოთქვამდა აზრს, რომ იმდროინდელი გერმანიისათვის სასარგებლო იყო მფარველობითი ბაჟები, პროტექციონიზმის სისტემა. ამიტომ გარკვეულ კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში იგი მხარს უჭერდა პროტექციონისტულ სისტემას.

კ. მარქსი, მიუხედავად იმისა, რომ ამხელდა და აკრიტიკებდა ლიბერალურ სისტემას, ლიბერალურ პოლიტეკონომიას (ფრიტრედერობას), მხარს უჭერდა თავისუფალი ვაჭრობის სისტემას. მართლაც, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ არსებობს „აზრთა სხვადასხვაობა და წინააღმდეგობა“ კ. მარქსსა და ფ. ენგელსს შორის? ცხადია, არა. ასეთი ფალსიფიკატორული დასკვნების გაკეთება შეუძლიათ მეტაფიზიკოსებს, თალმუდისტებსა და მედავითნეებს.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ორივე დასკვნა სწორი იყო თავისი დროისა და განსაზღვრული ქვეყნისათვის: კ. მარქსის დასკვნა — ინგლისისათვის, ხოლო ფ. ენგელსისა — გერმანიისათვის.

თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტეკონომიის უხუცესი წარმომადგენელი ადოლფ ვებერი თავის ანტიმარქსისტულ წიგნში „საბჭოთა ეკონომიკა და მსოფლიო მეურნეობა“ უფრო „ამარტივებს“ მდგომარეობას და აკეთებს კიდევ ერთ თალმუდისტურ დასკვნას. იგი კ. მარქსსა და ფ. ენგელსს აცხადებს საერთოდ ფრიტრედერობის მოწინააღმდეგეებად. ის წერს: „ენგელსი და მარქსი ამ საკითხს უარყოფითად უდგებოდნენ და, მაშასადამე, დგებოდნენ პროტექციონისტების მხარეზე“. ა. ვებერმა ფ. ენგელსს ავტარკიული (ტოტალიტა-

²³ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, წერილები „კაპიტალის“ შესახებ, გვ. 148.

რული) ეკონომიკის დამცველი უწოდა და შეეცადა, რომ იგი კ. მარქსზე „წინ“ დაეყენებინა.

თანამედროვე ბურჟუაზიულ პოლიტეკონომიაში ადგილი აქვს აგრეთვე კ. მარქსისა და ვ. ი. ლენინის მოძღვრების დაპირისპირების ცდასაც. მაგალითად. ფრანგი ეკონომისტი და სოციოლოგი შარლ ბუვიე თავის წიგნში „სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია; სსრ კავშირი, ჩინეთი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები“ ამტკიცებს, რომ ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმა თითქოს წარმოადგენს კ. მარქსის ეკონომიური მოძღვრების რევიზიას. ამერიკელი ეკონომისტი პ. შვარცი „ავითარებს“ შ. ბუვიეს ფალსიფიკატორულ დებულებას. თავის ანტიმარქსისტულ წიგნში „საბჭოთა რუსეთის ეკონომიკა“ იგი წერს, რომ კ. მარქსის ეკონომიურმა მოძღვრებამ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ განიცადა რევიზია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის შრომებში.

თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის სკოლები, პირველ რიგში კი ნეოავსტრიული სკოლა, ანტიკომუნისტური დროშით გამოდის და ასე ცდილობს კ. მარქსის ეკონომიური მოძღვრების გაყალბებას, დამახინჯებას.

მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში შექმნილია უამრავი ცენტრი („ოსტფორშუნგის“, „სოვეტოლოგიის“, „კრემლინოლოგიის“, „მარქსოლოგიის“ ინსტიტუტები), რომლებიც მიზნად ისახავენ მარქსიზმის მოძღვრების ფალსიფიკაციას. მარქსიზმი კი უფრო მტკიცდება, ვითარდება და ვრცელდება.

§ 2. ახალგაზრდა ავსტრიული სკოლის ბრძოლა კ. მარქსის ეკონომიური მოძღვრების წინააღმდეგ

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მოძღვრების წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ედგა ავსტრიული სკოლა. ამ სკოლის თეორეტიკოსებმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იან წლებში მიზნად დაიასახეს მარქსიზმის გაბათილება. მათ თავიანთი ცეცხლი წარმართეს შრომითი ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების მარქსისტული თეორიის წინააღმდეგ. ავსტრიულმა სკოლამ კ. მარქსის ეკონომიურ მოძღვრებას დაუპირისპირა ზღვრული სარგებლიანობის კონცეფცია (ეკონომიური მარკინალიზმი).

ავსტრიული სკოლის თეორეტიკოსთა ლაშქრობა კ. მარქსის ეკონომიური მოძღვრების წინააღმდეგ მათივე მარცხით დამთავრდა. მიუხედავად ამისა, ნეოავსტრიულმა სკოლამ კაპიტალიზმის საერთო

კრიზისის პერიოდში კვლავ დაისახა მიზნად მარქსიზმის დაძლევა და მისი ეკონომიური მოძღვრების შეცვლა ნეომარქინალიზმით.

ნეოავსტრიული სკოლის თეორეტიკოსები გამოდიან მარქსის-ტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის წინააღმდეგ და ანტიკომუნის პრაგანდისტთა ავანგარდში დგანან. მენგერის, ვიზერის, ბემ-ბავერკის მოწაფეები — ნეომარქინალისტები არ ლალატობენ თავიანთ მასწავლებლებს. 1892 წ. ფ. ენგელსი. თავის წერილში შმიდტს სწერდა, რომ „მენგერის მიმდევრები აქ — ფაბიანელთა საზოგადოებაში — საშინლად მრავლდებიან და ქედმძლურად უსასრულო ათვალწუნებით დასცქერიან უკვე დიდი ხანია დაძლეულ მარქსს“²⁴.

ნეოავსტრიული სკოლის წარმომადგენელთა შორის არაა აზრთა ერთიანობა კ. მარქსის ეკონომიური მოძღვრების შეფასების საკითხში. ნეოავსტრიული სკოლის ანტიმარქსიზმი და ანტიკომუნისში ძირითადად ორი ფორმით გვევლინება: ნეოავსტრიული სკოლის წარმომადგენელთა ერთი ნაწილი, რომელსაც სათავეში უდგას ლ. მიზესი და ფ. ჰაიეკი, გამოდის უკიდურესი ანტიკომუნის დროშით და აშკარად ესხმის თავს მარქსიზმს; ნეოავსტრიული სკოლის თეორეტიკოსთა მეორე ნაწილი (გ. ჰაბერლერი, ი. შუმპეტერი, ფ. მახლუბი და სხვ.) შენიღბულად მოქმედებს. იგი წარმოადგენს ანტიკომუნის და ანტიმარქსიზმის „ზომიერ“ ფორმას. შუმპეტერიანელობა კაპიტალიზმის „კრიტიკითა“ და სოციალიზმის „დაცვის“ იდეებითაც კი გამოდის. სინამდვილეში კი მთელი ნეოავსტრიული სკოლა ანტიკომუნის სამსახურში დგას და აყალბებს მარქსისტულ-ლენინურ პოლიტიკურ ეკონომიას.

ლ. მიზესი, ფ. ჰაიეკი, ვ. რეპკე და მათი თანამოაზრენი იცავენ და ქადაგებენ ანტისოციალიზმის, ანტიტოტალიტარიზმის, ნეოკომუნის აშკარა ანტიკომუნისტურ კონცეფციებს. ი. შუმპეტერი და მისი მიმდევრები კი აღიარებენ კაპიტალიზმის დანგრევას, სოციალიზმის შესაძლებლობასა და კ. მარქსის დამსახურებასაც კი. ამას ისინი აკეთებენ შენიღბულად და მოდერნისტულ ფორმებში. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ შუმპეტერიანელობას იყენებს სოციალ-რეფორმიზმი, ხოლო ლ. მიზესისა და ფ. ჰაიეკის მომხრეებსა და „დემოკრატიული სოციალიზმის“ თეორეტიკოსებს შორის თეორიული დუელიც კი იმართება.

თვით შუმპეტერიანელობასა და ლ. მიზესის წრეს შორისაც ადგილი აქვს უთანხმოებას. ახალგაზრდა ავსტრიული სკოლის ორივე

²⁴ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, წერილები „კაპიტალის“ შესახებ, გვ. 367.

განშტობა სხვადასხვაგვარად აფასებს ავსტრიაში, გერ-სა და საერ-
თოდ მთელ „თავისუფალ სამყაროში“ მიმდინარე პროცესებს.

დასავლეთ გერმანიის მსგავსად, ავსტრიაშიც ძლიერდება ფაში-
ზაციის პროცესი. ავსტრიაშიც შეიქმნა ნეონაციისტური ნაციონალ-
დემოკრატიული პარტია. ვენის გაზეთი „არბაიტერ ცაიტუნგი“
პირდაპირ წერდა, რომ ავსტრიის ნაციონალ-დემოკრატიული პარ-
ტია არის გერ-ის ნეონაციისტური პარტიის ფილიალი. ავსტრიის
ნეონაციისტურა პარტიის სათავეში დგანან ყოფილი ნაციისტები.
გერმანელი ფაშისტების თანამოაზრე ნორბერტ ბრუგერი ითვლე-
ბა ავსტრიელ ნეონაციისტა „იდეურ ფიურერად“. ავსტრიელი ნეო-
ფაშისტებო ქადაგებენ რეჟანშიზმსა და ანტიკომუნნიზმს.

ანტიკომუნნიზმის შავი დროშით გამოდის დღეს არა მარტო
„ემიგრირებული ვენის სკოლა“, არამედ მთელი „ახლგაზრდა ვენის
სკოლა“. მარქსიზმ-ლენინიზმის, კომუნნიზმის წინააღმდეგ ლაშქრობას
სათავეში უდგას ამ სკოლის უხუცესი წარმომადგენელი ლ. მიზესი.
ანტიმარქსიზმისა და ანტიკომუნნიზმის იდეებითაა გაჟღენთილი ავს-
ტრიის თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია,
მთელი ნეოავსტრიული სკოლა. მაგალითისათვის შეიძლება დავსა-
ხლოთ ლ. მიზესის, ფ. ჰაიეკის, ფ. შახლუპის, ი. შუმპეტერის,
ვ. ვალუისის, გ. ჰაბერლერისა და სხვათა ნაწერები.

ერთგვარ „ზომიერებას“ იჩენს გ. ჰაბერლერი, რომელიც უფრო
შენიღბულად და თავშეკავებულად მოქმედებს. იგი ერთმანეთში
ურევს სოციალისტურ დაგეგმვასა და კაპიტალისტურ „რეგულირე-
ბას“, სოციალისტურ კვლავწარმოებასა და კაპიტალისტური წარ-
მოების ციკლურ განვითარებას. „ერთადერთი განსხვავება, —
წერს გ. ჰაბერლერი, — მდგომარეობს შემდეგში: ის, რაც კომუ-
ნისტურ საზოგადოებაში ხორციელდება უმაღლესი ეკონომიური
საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, ჩვენს კერძომეურნეობრივ
სისტემაში მიმდინარეობს, როგორც ცალკეული პირების დამოუ-
კიდებელი მოქმედების წმინდა შედეგი და ხორციელდება ფასები-
სა და სარგებლის მექანიზმის დახმარებით“²⁵.

„ახლგაზრდა ავსტრიული სკოლის“ წარმომადგენლები დასავ-
ლეთგერმანელი ნეოლიბერალების მსგავსად მოქმედებენ. ავსტრიის
ბურჟუაზიულმა პოლიტიკურმა ეკონომიამაც განიცადა ევოლუცია,
რომელიც ძალიან ჰგავს გერმანიის ბურჟუაზიული პოლიტიკური
ეკონომიის ფერისცვალებას. იგივე „ანტიტოტალიტარიზმი“ და
„ანტიმონოპოლიზმი“, „სოციალური ანუ თავისუფალი საბაზრო

²⁵ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гл. 74 — 75.

მეურნეობა“ და „სახალხო აქცია“, ნეოლიბერალური ინტერვენციონიზმი და „ეკონომიური სასწაული“, ანტიმარქსიზმი და ანტიკომუნნიზმი. ეს ფაქტი აიხსნება თვით ავსტრიის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობით, ნაცისტების ბატონობითა და ტოტალიტარიზმის არსებობით ავსტრიაში: ფაშისტების ბატონობის წლებში ავსტრიაშიც გავრცელებული იყო კეინსური დირიჟისტულ-ტოტალიტარული კონცეფციები („ფიურერობის პრინციპი“, „მბრძანებლური ეკონომიკა“, „ტოტალიტარიზმი“, „ცენტრალურ-მართული მეურნეობა“, „დირიჟიზმი“). ნეოავსტრიულმა სკოლამ, როგორც ნეოლიბერალიზმის ავსტრიულმა განშტოებამ, იგივე გზა განვლო, რაც გერმანულმა ორდოლიბერალიზმმა (ფრაიბურგის, ანუ ოიკენის სკოლამ).

ნეოავსტრიული სკოლის თეორეტიკოსები ლ. მიზესი და ფ. ჰაიეკი უკიდურესი ანტიკომუნნიზმის წარმომადგენლები არიან. ანტიკომუნნიზმის პოზიციებიდან განიხილავენ ისინი სოციალისტურ ფულად-საქონლურ ურთიერთობებს. ლ. მიზესი და მისი მოწაფეები ილაშქრებენ მარქსიზმ-ლენინიზმის პოლიტიკური ეკონომიის, განსაკუთრებით კი სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის წინააღმდეგ. ისინი უარყოფენ სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერულ ხასიათს და ამახინჯებენ ღირებულების, ფულის, ფასების მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას. ფასებს სოციალისტურ საზოგადოებაში „კვაზიფასებს“ უწოდებენ ლ. მიზესი, ფ. მახლუპი, ფ. ჰაიეკი, ვ. გალუსი, ვ. კრელე და სხვები. ვ. გალუსმა ვენაში გამოაქვეყნა ანტიკომუნნიზმის იდეებით გაყვანილი წიგნი „საბჭოთა ეკონომიური თეორიის (პოლიტიკონომიის) კრიტიკისათვის“²⁶, რომელშიც მან მარქსისტულ-ლენინურ ეკონომიურ მეცნიერებას „პროპაგანდა“, „გაძლიერებული ფსევდორელიგიური მოძრაობა“, ზოლო მარქსიზმ-ლენინიზმს, ან როგორც თვითონვე აცხადებს, „ბოლშევიკურ სახალხო მეურნეობის თეორიას“, „ტოტალური მოძღვრება“ უწოდა. ამიტომ სრულიად არაა გასაკვირი ის ფაქტი, რომ ვ. გალუსის დასახელებული ანტიკომუნისტური წიგნი დასავლეთში რამდენიმე წლის მანძილზე სამჯერ გამოცეცეს (ჩვენ ვისარგებლეთ ბოლო. 1962 წლის მესამე გამოცემით).

ვ. გალუსი თავისი მასწავლებლის ლ. მიზესის მსგავსად ცეცხლს უშენს სოციალიზმის პოლიტიკურ ეკონომიას, სოციალისტურ ფულად-საქონლურ ურთიერთობებს. ლ. მიზესი, ვ. გალუსი, ფ. ჰაიეკი და მათი თანამოაზრენი უგულვებელყოფენ: 1. საქონელწარმოების

²⁶ W. Gallus, Zur Kritik der sowjetischen Wirtschaftslehre (Politikökonomie), Dritte Auflage, 1962.

სოციალ-ეკონომიურ ბუნებას სოციალიზმის დროს, მის ძირფესვიან განსხვავებას კაპიტალისტური საქონელწარმოებისაგან (ან, როგორც მარქინალისტები უწოდებენ, თავისუფალი საბაზრო მეურნეობისაგან); 2. უარყოფენ ღირებულების კანონის მოქმედებასა და გამოყენებას სოციალისტურ საზოგადოებაში; 3. უგულვებელყოფენ სოციალისტური საქონლურ-ფულადი და ღირებულებითი კატეგორიების შინაარსს. ამ კატეგორიებს განიხილავენ ზერელედ, ვულგარულად და წარმოუდგენიათ ისინი როგორც მხოლოდ სააღრიცხვო-განმანაწილებელი ინსტრუმენტები.

ამ საქმეში ყოველთვის ტონისა და გეზის მიმცემი იყო და არის ანტიკომუნისტების პროპაგანდისტი ლ. მიზესი. რომელმაც ჯერ კიდევ 20-იან წლებში დაიწყო ლაშქრობა სოციალისტური წყობილების წინააღმდეგ. ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობის დაწყებას იგი გამმაგებით შეხვდა და მთელ კაპიტალისტურ სამყაროს აუწყა, რომ თათქოს სოციალისტური წარმოება არარენტაბელური იქნება და სიღარიბეს წარმოშობს, რომ სოციალისტური ეკონომიკის შექმნა „შეუძლებელია“ და სხვ.²⁷

ცხოვრებამ თავდაყირა დააყენა ლ. მიზესისა და მისი თანამოაზრე ანტიკომუნისტების „წინასწარმეტყველება“. სოციალიზმმა. გაიმარჯვა სსრ კავშირში, ჩამოყალიბდა მეურნეობის მსოფლიო სოციალისტური სისტემა. მიუხედავად სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებისა, ანტიკომუნისტების თეორეტიკოსები კვლავ აგრძელებენ ცილისმწამებლურ გამობდომებს სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის, მარქსიზმ-ლენინიზმის, კომუნისტების წინააღმდეგ. ამ ანტიკომუნისტურ ლაშქრობაში კვლავ აქტიურობენ ლ. მიზესი და მისი მოწაფეები. მაგალითად, ანტიკომუნისტ ვ. რეპკეს განცხადებით, გეგმიანი სოციალისტური ეკონომიკა არის „ეკონომიური დიქტატურის პირამიდა“²⁸.

ჩვენ უკვე დავასახელებთ ვ. გალუსის ანტიკომუნისტური წიგნი, რომელშიც იგი ილაშქრებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს წინააღმდეგ. ამ წიგნის სტრუქტურის გაცნობაც კი თვალნათლავ გვიჩვენებს ავტორის მი-

²⁷ L. Mises, *Liberalismus*, გვ. 134.

²⁸ W. Röpke, *Wirrnis und Wahrheit*, Erlenbach — Zürich und Stuttgart, 1962, გვ. 236 — 238.

ზანდასახულობას. ვ. გალუსი ყოველგვარ ზომას იღებს მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის „გასაბათილებლად“.

ვ. გალუსის ერთ-ერთი „აღმოჩენა“ ის, რომ მან ზედმეტი ღირებულება იპოვა გეგმიან სოციალისტურ მეურნეობაში. ამ საქმეში, ჩვენი აზრით, მას ერთგვარი საზრდო მისცა სსრ კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში 50-იან წლებში (1956 წ.) დაწყებული მა ეკონომიურმა დისკუსიამ. აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეიძლებოდა დაგვესახელებინა აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიკის ინსტიტუტის (დასავლეთ ბერლინი) პროფ. პ. პროპის წიგნი „საბჭოთა ტიპის ცენტრალურ-მართული ეკონომიკის საბაზრო ეკონომიკად ტრანსფორმაციისათვის“. ჩვენს ეკონომიურ ლიტერატურაში შემოვიდა ცნება „ზედმეტი პროდუქტი“. ვ. გალუსმა და მისმა თანამოაზრებებმა ვულგარულ-აპოლოგეტურად გამოიყენეს დისკუსიის შედეგები ჩვენი სისტემის წინააღმდეგ და გააკეთეს დასკვნა: რაკი არის ზედმეტი პროდუქტი, ე. ი. „გეგმიან მეურნეობაში არის ზედმეტი ღირებულება“²⁹.

ვ. გალუსი დეტალურად განიხილავს მარქსისტულ მოძღვრებას ზედმეტი ღირებულების შესახებ. მისი ნაშრომის მეორე თავი ასეა დასათაურებული: „პოლიტეკონომიის თეორიები და საფუძვლები“ (გვ. 17 — 45), რომელშიც განხილულია პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს შემდეგი თავები: 7, 9, 4, 8, 10 — 16, 21.

„გაპოკლევეას“ ვ. გალუსი იწყებს ზედმეტი ღირებულების ანალიზით. მას არ მოსწონს კ. მარქსის მიერ მოცემული კაპიტალის დაყოფა მუდმივ და ცვალებად კაპიტალად. ეს ბუნებრივია. ასეთი დაყოფა პირველად კ. მარქსმა დაადგინა და ამ გზით გამოააშკარავა ცვალებადი კაპიტალის განსაკუთრებული როლი, კაპიტალისტური ექსპლოატაციის რაობა. ვ. გალუსმაც არ უღალატა თავის მასწავლებლებს და მიზანში, უპირველესად ყოვლისა, ეს ამოიღო. „მარქსის ეს თეზისი, — წერს ვ. გალუსი, — მცდარია“³⁰. „არგუმენტად“ კი იგი ასახელებს ძველი ვულგარეკონომიის აპოლოგეტურ დოგმას წარმოების სამი ფაქტორის შესახებ. ვ. გალუსი „უყურადღებოდ“ არც გადატაკების მარქსისტულ თეორიას ტოვებს. ჭერ იყო და „დაამტკიცა“ ზედმეტი ღირებულების თეორიის „უსაფუძვლობა“, შემდეგ, რა თქმა უნდა, უარყო აბსოლუტური გადატაკებისა და კაპიტალის დაგროვების საყოველთაო კონონის მოქმედება.

²⁹ W. Gallus, Zur Kritik der sowjetischen Wirtschaftslehre (Politikonomie), გვ. 64.

³⁰ იქვე, გვ. 2.

ფულის, საქონელწარმოების, სავაჭრო მოგების; რენტის, კვლავ-წარმოებისა და ეკონომიური კრიზისების (თანამიმდევრობა და ცუ-ლი გვაქვს) თეორიის საკითხებს გალუსი განიხილავს ნეოლიბერალური სოციალური საბაზრო მეურნეობის პოზიციებიდან, ე. ი. ყალბად, აპოლოგეტურად. მაგალითად. იგი უარყოფს ფულის ხუთ ფუნქციას და აღიარებს მხოლოდ ორ ფუნქციას: 1. ფული, როგორც მიმოქცევის საშუალება და 2. ფული, როგორც საყოველთაო ღირებულების საზომი³¹.

ვ. გალუსი, რა თქმა უნდა, წინააღმდეგია კ. მარქსის აბსოლუტური რენტის თეორიასა და „ამტკიცებს“, რომ აბსოლუტური რენტა სოციალისტურ საზოგადოებაშიც არსებობსო.

ვ. გალუსის შემდეგი „აღმოჩენა“ ისაა, რომ იგი უარყოფს კაპიტალისტური წარმოების ციკლური განვითარებისა და ქარბწარმოების ეკონომიური კრიზისების მარქსისტულ მოძღვრებას. არგუმენტებისათვის იგი თავს არ იტყივებს. ასეთივე ხაზია გატარებული გ. ჰაბერლერის წიგნშიც. რომელშიც ნათქვამია, რომ ეკონომიური კრიზისი „გარდუვალა რუსული ტიპის გეგმიან სოციალისტურ მეურნეობაშიც“³².

ვ. გალუსის წიგნში ცალკე პარაგრაფადაა გამოყოფილი საკითხი „მარქსიზმ-ლენინიზმი და ბურჟუაზიული ნაციონალ-ეკონომისტები“ თავისი წიგნის ამ ნაწილში ვ. გალუსი ანტიკომუნისმის ცრუ იდეების პროპაგანდას ეწევა და პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს ავტორებს „არამეცნიერ დემაგოგებს“ უწოდებს.

ვ. გალუსის წიგნის III თავი „პოლიტეკონომია და ისტორიული მატერიალიზმი“ (გვ. 46 — 62) ეთმობა პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს 1—6 და 17—21 თავებს. მეოთხე თავში კი „პოლიტეკონომიის ძირითადი პრინციპები საბჭოთა გეგმიან მეურნეობაში“ (63 — 78) ვ. გალუსი ეხება პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს 27 — 36-ე თავებს. ვ. გალუსის წიგნის ეს თავი დაყოფილია შემდეგ პარაგრაფებად: 1. „ზედმეტი ღირებულება გეგმიან მეურნეობაში“, 2. „ინვესტიციური პოლიტიკა“, 3. „ფულის პოლიტიკა“, 4. „სოციალისტური ექსპლოატაციისა და შრომის ანაზღაურების სისტემები“, 5. „საქონელმიწოდება და ვაჭრობა“, 6. „სახელმწიფო მეურნეობა“, 7. „სოციალ-პროდუქტი და ნაკლებ-წარმოების კრიზისები“. თავისი ანტიმარქსისტული წიგნის ბოლო, მეხუთე თავშიც ვ. გალუსი აკეთებს ანტიკომუნისმის იდეებით გაყ-

³¹ W. Gallus, Zur Kritik der sowjetischen Wirtschaftslehre (Politökonomie), გვ. 29.

³² Г. Хаберлер, Процветание и депрессия, გვ. 123.

დენთილ დასკვნებს. აი სადამდე მიდის ვ. გალუსა. საზღვარი არ აქვს მის ანტიკომუნიზმს, რომლის ძირითად შინაარსს შეადგენს სოციალისტური წყობილებისათვის ცილისწამება, კომუნისტური პარტიების პოლიტიკისა და მიზნების, მარქსისტულ-ლენინური პოლიტეკონომიის ფალსიფიკაცია.

ანტიკომუნისტური იდეებითაა გამსჭვალული აგრეთვე ტ. ეგერვარის (ვენა) ნაშრომი „ფასების პოლიტიკისა და ეკონომიური ზრდის კავშირურთიერთობა სახალხო დემოკრატიის კრიზისებისაგან თავისუფალ სოციალიზმის ეკონომიკაში“, რომელიც ფ. ბემის ხელმძღვანელობით გამოცემულ „ზოგადსახელმწიფოებრივ მეცნიერებათა ჟურნალშია“ მოთავსებული³³. ტ. ეგერვარი ანტიკომუნიზმის პოზიციებიდან, დამახინჯებულად განიხილავს სოციალიზმის პოლიტიკურ ეკონომიასა და ეკონომიურ პოლიტიკას. მარქსისტულ-ლენინურ პოლიტიკურ ეკონომიას მან ბიბლია უწოდა³⁴.

ტ. ეგერვარი შავ ფერებში ხატავს სოციალისტურ ეკონომიკას, ფასების პოლიტიკასა და სოციალისტური სახელმწიფოს სამეურნეო-ორგანიზატორულ ფუნქციას. „სოციალისტური ეკონომიკა, — წერს იგი, — არის ავტარკიის სამეურნეო მეთოდი“³⁵. ტ. ეგერვარი თავისი მასწავლებლის — ლ. მიზესის, ფ. ჰაიეკის, ვ. რეპკეს გზას მიჰყვება და „ანტიტოტალიტარიზმის“ დემაგოგიური პოზიციებიდან განიხილავს გეგმიან სოციალისტურ ეკონომიკას. ლ. მიზესის მსგავსად, იგი შეუძლებლად მიიჩნევს სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობას სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, რადგან, მისი აზრით, „სახალხო დემოკრატიის სოციალიზმის მეურნეობის ფორმებს ჰყავს შემდეგი ორი დიდი მტერი: 1. თავისუფალი ფასების ბაზისი და 2. შეჯიბრება“. ტ. ეგერვარი გამოდის საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების წინააღმდეგ. იგი უარყოფს კაპიტალიზმიდან სოციალისტური წარმოების წესზე გადასვლის კანონზომიერებას. მისი აზრით, „სოციალისტური მეწარმე ანაქრონიზმია“.

ვ. გალუსისა და ტ. ეგერვარის ანტიკომუნისტურ იდეებს იმეორებენ ვ. ჰეერი და ჰ. გეტცი. ავსტრიელი ფრიდრიჰ ჰეერის აზრით, კომუნისში ისეთივე მსოფლიო რელიგია ყოფილა, როგორც, მაგა-

³³ „Zeitschrift für die gesamte Staatswissenschaft“, Bd. 121, Tübingen, 1965, გვ. 167—168.

³⁴ იქვე, გვ. 160.

³⁵ იქვე, გვ. 166.

ლითად, ქრისტიანობა ან ისლამი³⁶. ზუსტად ასეთივე აზრია გატარებული ავსტრიელი ნეომარქინალისტის ი. შუმპეტერის წიგნში „კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია“. იგი თავს ესხმის გეგმიან სოციალისტურ ეკონომიკასა და სოციალიზმის პოლიტიკურ ეკონომიას. „ამ მნიშვნელოვან საკითხში, — წერს ი. შუმპეტერი, — მარქსიზმი რელიგიია“³⁷. ამით როდი კმაყოფილდება ნეოავსტრიული სკოლის წარმომადგენელი. იგი ცდილობს კეინსის მარქსიფიცირებას და მარქსის კეინსიფიცირებას, ე. ი. კეინსისა და კ. მარქსის დაახლოებას. „მანძილი მარქსსა და კეინსს შორის. — წერს ი. შუმპეტერი, — ზუსტად უფრო ცოტაა, ვიდრე მარქსსა და მარშალს ან ვიქსელს შორის“³⁸. ი. შუმპეტერი ლ. მიზესის გზით მიდის. რასაც ადასტურებს მისი მსჯელობა სოციალიზმსა და მარქსისტულ-ლენინურ პოლიტიკურ ეკონომიაზე. ამ საქმეში მისთვის დიდი ავტორიტეტია ლ. მიზესი. კომუნისმისა და კოლექტივიზმის „უარყოფისათვის საჭირო ერთადერთი ავტორიტეტი, რომელიც ღირსია მოხსენიებისა, — წერს ი. შუმპეტერი. — არის პროფ. ლ. ფონ მიზესი“³⁹.

ანტიკომუნისმის იდეებისაგან თავისუფალი არაა გ. ჰაბერლერის წიგნიც „აყვავება და დეპრესია“. რომელზეც დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი. ამჯერად კი დავეკმაყოფილდებით ერთ ადგილის მოტანით აღნიშნული წიგნიდან. გ. ჰაბერლერის „ორიგინალური აღმოჩენა“ იმაში მდგომარეობს. რომ იგი ტოლობის ნიშანს სევამს კაპიტალისტურ ციკლსა და სოციალისტურ კვლავწარმოებას შორის. მისი განცხადებით. ჰარბწარმოების ეკონომიური კრიზისები გარდუვალაა თურმე გეგმიანი კომუნისტური საზოგადოებისთვისაც.

გ. ჰაბერლერი ამ „აღმოჩენით“ როდი კმაყოფილდება. იგი კიდევ უფრო შორს მიდის და შენიღბულად ამახინჩებს კ. მარქსის მოძღვრებას. მისი აზრით. კვლავწარმოებისა და ეკონომიური კრიზისების თეორია სათავეს იღებს კ. მარქსთან და ბურჟუაზიული ეკონომისტების — ა. შპიტჰოფის, გ. კასელისა და სხვათა ნაწერებში. ბურჟუაზიული ეკლექტიკური დამახინჩების ტიპურ ნიმუშთან გვაქვს საქმე. კ. მარქსმა შექმნა კვლავწარმოებისა და ეკონომიური

³⁶ H. G ö t z, Weil alle besser Leben wollen, Wien, 1965, გვ. 340.

³⁷ J. Schumpeter, Kapitalismus, Sozialismus und Demokratie, Bern, 1946, გვ. 19.

³⁸ იქვე, გვ. 183.

³⁹ იქვე, გვ. 275 — 276

კრიზისების მეცნიერული თეორია, ხოლო ა. შპიტჰოფი, გ. კასელია მ. ტუგან-ბარანოვსკი და სხვანი, რომლებსაც კ. მარქსის გვერდით მოიხსენიებს გ. ჰაბერლერი, კაპიტალიზმის აპოლოგეტები იყვნენ.

ამრავად. გ. ჰაბერლერის ოცნება — გამოაცხადოს კ. მარქსი ციკლის ბურჟუაზიული თეორეტიკოსების წინაშორბედად — მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ასევე უსაფუძველოა გ. ჰაბერლერის აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს კ. მარქსის მოძღვრება ციკლისა და კრიზისების შესახებ „განავითარა და დააზუსტა“ ნორვეგიელმა ბურჟუაზიულმა ეკონომისტმა იოჰან ეინარსენმა თავის წიგნში „რეინვესტიციების ციკლები და მათი გამოვლენა ნორვეგიის გემომშენებელ მრეწველობაში“. სინამდვილეში კი კ. მარქსის მოძღვრება შემდგომ განავითარეს ვ. ი. ლენინმა და მისმა მოწაფეებმა.

§ 3. „სოვეტოლოგია“, „ოსტფორშუნგი“ და „კრემლინოლოგია“ ანტიკომუნიზმის სამსახურში

თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის სკოლები და წარმომადგენლები გამოდიან ანტიკომუნიზმის დროშით. ანტიკომუნისტური პროპაგანდის მთელი უზარმაზარი ქსელი და მისი აპარატი მიმართულია იმისაკენ, რომ შეასუსტოს სოციალისტური ქვეყნების ერთიანობა, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა, დაქსაქსოს ანტიიმპერიალისტური ძალები, შეეცადოს ძირი გამოუთხაროს მეურნეობის მსოფლიო სოციალისტურ სისტემას. მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში, პირველ რიგში აშშ-სა და გფრ-ში, ანტიკომუნიზმი ფაქტიურად აყვანილია ოფიციალური სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის რანგში.

თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ყველა წარმომადგენელსა და სკოლას აერთიანებს ანტიკომუნიზმის დოქტრინა. მათი სტრატეგიული ჩანაფიქრი ერთია — სოციალისტური ეკონომიკის დამახინჯებულად დახატვა, კომუნისმისათვის სახელის გატეხა და კაპიტალის აპოლოგეტიზმი. განსხვავება ეხება ტაქტიკასა და აპოლოგიის საშუალებებს. ამ მხრივ ბურჟუაზიულ ეკონომისტთა ზანაკში სრული დაბნეულობა სუფევს. თვით ანტიკომუნიზმიც ხომ ბურჟუაზიული და რეფორმისტული იდეოლოგიის უკიდურესი დეგრადაციის ასახვაა.

ბურჟუაზიულ ეკონომისტთა ერთი ჯგუფი მახვილს აკეთებს „კაპიტალიზმის ტრანსფორმაციასა“ და ე. წ. „სახალხო კაპიტალიზმის“

კონცეფციებზე, მეორე ჯგუფი „ანტიტოტალიტარიზმისა“ და „სოციალური, ანუ თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“ დემაგოგიურ თეორიებს იცავს. მესამე ჯგუფი „ეკონომიური ამალგამაციისა და ჰიბრიდიზაციის“, „იდეოლოგიათა კონვერგენციისა“ და „შერეული ეკონომიკის“ ყალბ თეორიებს ქადაგებს.

კაპიტალისტურ სამყაროში ანტიკომუნისტური ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ფართო ქსელია. ამ ანტიკომუნისტურ ორგანიზაციებს აფინანსებს მონოპოლისტური კაპიტალი (ფორდის, როკფელერის, კარნეგისა და სხვ. ფონდები). ერთ-ერთ ასეთ ორგანიზაციას წარმოადგენს „კულტურის თავისუფლების კონგრესი“, რომელსაც ფილიალები აქვს 21 ქვეყანაში. ამ ორგანიზაციის ანტიკომუნისტური საქმიანობა ერთობ შელამაზებულია. მაგალითად, ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში მიწვეული არიან სხვადასხვა სპეციალობისა და მსოფლმხედველობის პირები: კ. იასპერსი (ექსისტენციალისტი, მწერალი), კ. შმიდი (მემარჯვენე სოციალისტი), ჯ. ჰაკსლი (ბიოლოგი), ჯ. ბერნჰეიმი (ბურჟუაზიული სოციოლოგი), მონტგომერი (აშშ-ის კინომსახიობი) და სხვ.

ოსტფორშუნგელებს, სოვეტოლოგებს, მარქსოლოგებსა და კრემლინოლოგებს შორის მჭიდრო კავშირია. მათ საერთო დროშა და სტრატეგია აქვთ. ანტიკომუნისტური სხვადასხვა ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებს შორის შრომა დანაწილებულია. მაგალითად, „სოვეტოლოგიის ფედერალურ ინსტიტუტში“ ინტორიის დარგს ხელმძღვანელობს პროფ. გ. შტეკლი (ყელნის უნივერსიტეტი), ფილოსოფიას — იეზუიტი პატერი, რომის პაპის „რუსეთის სემინარიის“ რექტორი პროფ. გ. ვეტერი; ეკონომიურ მეცნიერებებს სათავეში უდგას კ. თალპაიმი და მისი სკოლა (დასავლეთ ბერლინი).

მონოპოლისტური ბურჟუაზია ანტიკომუნისტური დროშით ცდილობს იმპერიალიზმის რეაქციული იდეოლოგიის იდეების გავრცელებას. იგი თავის ცეცხლს მიმართავს სოციალისტური წყობილებიან და მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომია არსებობს, ბურჟუაზიული ეკონომისტები გაფაციცებით ეძებენ არგუმენტებს მარქსისტული ეკონომიური მოძღვრების წინააღმდეგ, სოციალისტური წყობილების ფალსიფიკაციისათვის. კონცეფციები იცვლება. ბურჟუაზიულ-რეფორმისტული იდეოლოგიის „ტვინის ტრესტები“, „სოვეტოლოგები“ და „ოსტფორშუნგელები“ თხზავენ ახალ-ახალ ანტიკომუნისტურ „სამუშაო კონცეფციებს“, რომლებსაც ქადაგებენ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში. ამ მიზნით იყენებენ უნივერსიტეტებისა

და კოლექების კათედრებს, ეკლესიათა ამბიონებს, პრესას, რეკლამას, რადიოს, ტელევიზიას, კინოს, გამოფენებსა და ა. შ.

ანტიკომუნიზმის პროპაგანდისა და იდეოლოგიური ბრძოლის საქმეში იმპერიალიზმის რეაქციული წრეები იყენებენ არა მარტო რადიოსადგურებს, პრესას, კათედრებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს. არამედ ტურისტებსაც. აშშ-ის საინფორმაციო სააგენტოს დირექტორმა განაცხადა, რომ სააგენტოს წლიური ბიუჯეტი 200 მილიონ დოლარამდე აღწევს. სააგენტოს 239 განყოფილება აქვს 105 ქვეყანაში. რადიოსადგურები „ამერიკის ხმა“ აწარმოებენ ვადაცემას 36 ენაზე კვირაში 761 საათის ოდენობით. ანტიკომუნიზმის პროპაგანდაში ყოველწლიურად მონაწილეობს აგრეთვე 4 მილიონი ამერიკელი ტურისტი, დაახლოებით 1 მილიონი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე და მათი ოჯახის წევრები.

სოციალისტური ეკონომიკის „შესწავლაზე“ მუშაობს დასავლეთის ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და ორგანიზაცია. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ჩამოყალიბდა მრავალი ჯგუფი და ინსტიტუტი, რომლებიც იმის პრეტენზიას აცხადებენ, რომ შექმნან „მეცნიერება“ კომუნიზმისა და სოციალისტური ქვეყნების შესახებ, მაგრამ „ოსტფორმუნგისა“ და „სოვეტოლოგიის“ გარეგნული მეცნიერული ფორმა მისსავე მანკიერ შინაარსს, უძლურ არსს ფარავს⁴⁰. მარტო აშშ-ში 100-მდე ინსტიტუტია, რომლებიც სოციალისტურ ეკონომიკას „იკვლევენ“. ასეთი ინსტიტუტებით — ე. წ. „სოვეტოლოგიისა“ და „ოსტფორმუნგის“ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებით დაფარულია მთელი „თავისუფალი სამყაროს“ ქვეყნები, განსაკუთრებით ბევრია ასეთი ცენტრი აშშ-სა და გფრ-ში. „სოვეტოლოგია“ ანტიკომუნიზმის ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელიც შვეიცარიელი დომინიკანელი პატერის ი. ბოზენსკის განმარტებით „იკვლევს კომუნიზმს, როგორც ასეთს“⁴¹.

პარვარდის უნივერსიტეტთან შექმნილია „რუსეთის საკვლევო ცენტრი“, რომელიც საბჭოთა ეკონომიკას „იკვლევს“. ასეთივე ინსტიტუტი არსებობს კოლუმბიის უნივერსიტეტთანაც. სოციალიზმის ბურჟუაზიულმა „სპეციალისტებმა“ შეიღუშავეს „ახალი მეცნიერება“ სახელწოდებით „კრემლინოლოგია“, რომელიც დასავლეთევროპული „სოვეტოლოგიის ერთტიპიურია“. მათი დევიზია „წითელი იმპერიალიზმის“, „კომუნიზმის ექსპანსიის“, „კომუნისტური იმპერიის“, „წითელი ტოტალიტარიზმის საფრთხის“ პროპაგანდა. ანტი-

⁴⁰ იხ. Auf den Spuren der Ostforschung, Loipzig, 1962.

⁴¹ J. Bochencki, Sowjetologie (APZ), 1962, № 11, გვ. 108.

კომუნისტების თეორეტიკოსები ბევრს წერენ „წითელი იმპერიალიზმი-ს“ და კოლონიალიზმის“ შესახებ⁴², ამ ანტიკომუნისტურ ლიტერატურაში გარკვეული ადგილი უკავია მოკავშირე რესპუბლიკათა ეკონომიკის პრობლემებსაც⁴³. გვხვდებიან ემიგრანტი ავტორებიც. მაგალითად. დასავლეთში გერმანულ ენაზე გამოვიდა ვინმე კ. კანდელაკის ნაშრომი ასეთი სახელწოდებით: „კრემლის ეროვნული პოლიტიკა კავკასიაში“, ხოლო 1961 წ. მიუნხენში გამოვიდა ე. სარქისიანცის წიგნი „რუსეთის აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია: 1917 წლამდე“ და სხვ.

„კრემლინოლოგიისა“ და „სოვეტოლოგიის“ საქმიანობაში ჩაბმული არიან ცნობილი ბურჟუაზიული ეკონომისტები, ფილოსოფოსები, სოციოლოგები (მაგალითად. გ. გროსმანი, პ. შვარცი. უ. როსტოვი. ს. პუკი. კ. კოულგროუვი, კ. თალჰაიმი, ი. ბოხენსკი. დ. ხოჯმენი, ნ. იასნი, უ. გეილენსონი, ვ. ლეონტიევი და სხვები). ისინი უამრავ წიგნს, ბროშურას, სტატიას, ცნობარს აქვეყნებენ სოციალისტური ეკონომიკის დიფამაციის მიზნით. დავასახელებთ რამდენიმე ფაქტს: მარტო სსრ კავშირის შემსწავლელ ინსტიტუტს აქვს 17 პერიოდული და სხვა სახის გამოცემა. პუბლიკაცია ხდება ინგლისურ, გერმანულ, რუსულ, ფრანგულ, ესპანურ, უკრაინულ, ბელორუსულ, არაბულ, თურქულ ენებზე.

„აშშ-ში დაგეგმვის ეროვნულმა ასოციაციამ“ გამოაქვეყნა „გამოკვლევა“ სახელწოდებით „შეხედულება რუსეთის ეკონომიკაზე“. რომელშიც გამოცხადებულია, რომ თითქოს სსრ კავშირში შეუძლებელია ცხოვრების დონის ამაღლება, რადგან „არ არსებობს მომხმარებლის სუვერენიტეტი“.

აშშ-ში გამოდის ანტიკომუნისტების იდეებით გაჟღენთილი ჟურნალი „კომუნისტების პრობლემები“, რომელიც თავს ესხმის გეგმიან სოციალისტურ ეკონომიკას. ამ ჟურნალში სტატია გამოაქვეყნა პ. შვარცმა, რომელშიც ავითარებს „საბჭოთა ეკონომიკის კაპიტალისტური ევოლუციის თეორიას“. დასახელებული ჟურნალის 1966 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებული იყო სტატია ეკონომიური რეფორმის საკითხებზე. სტატიაში ყალბად, დამახინჯებულად, შავ ფერებშია დახატული სოციალისტური ეკონომიკის მდგომარეობა. ლაპარაკია სოციალიზმის „ტრანსფორმაციაზე“ და გაკეთებულია დასკვნები, რომ სოციალიზმის ადგილს იკავებს ე. წ. „საბაზრო, კონკურენციული სოციალიზმი“. ასეთივე აზრია გატარებული გ. გროს-

⁴² იხ. Communism and Colonialism, London, N. Y. 1964.

⁴³ იხ. Современный капитализм и буржуазная политическая экономия, 1967, გვ. 428.

მანის სტატიამაც „კომუნისში საჩქაროდ: დროის ფაქტორი საბჭო-
თა ეკონომიურ მეცნიერებაში“.

საბჭოთა ეკონომიკის ცნობილი ამერიკელი „სპეციალისტი“
გ. გროსმანი მოხსენებით გამოვიდა „ეკონომიურ გამოკვლევათა-
ეროვნული ბიუროს“ უნივერსიტეტთა მოღვაწეების კონფერენცია-
ზე და განაცხადა, რომ დისპროპორციები გეგმიანი მეურნეობის აუ-
ცილებელი თანამგზავრიაო.

1960 წლის ბოლოს ტოკიოში ჩატარდა „სოვეტოლოგთა საერთა-
შორისო კონგრესი“ — ანტიკომუნისტთა თავყრილობა, რომელმაც
თავისი ცეცხლი მიმართა სოციალისტური გეგმიანი მეურნეობის წი-
ნაღმდეგ. შუა, „ლმობიერი“ ხაზი უჭირავს პარკარდის უნივერსიტე-
ტის პროფ. ვ. ლეონტიევს, რომელიც სსრ კავშირში გატარებულ
ეკონომიურ რეფორმას უწოდებს „საბჭოთა დაგეგმვის ბურჟუაზი-
ულ ევოლუციას“.

ვ. ლეონტიევის აზრით, სსრ კავშირში ხდება დაგეგმვის „დეცენ-
ტრალიზაცია“ და „ამერიკული დაგეგმვის ეფექტურ მეცნიერულ
მეთოდებზე გადასვლა“. პირველი ხუთწლიანი გეგმა მან გამოაცხადა
როგორც საბჭოთა მეცნიერების სტაბილური დაცემა. სსრ კავშირში
გატარებული გარდაქმნები კი მან მიიღო, როგორც მარქსიზმზე უა-
რის თქმა, „დასავლეთის ეკონომიური მეცნიერების მიღება საბჭო-
ების მიერ“ („დასავლეთის ეკონომიური ინსტიტუტების გარეშე“).

„ჰამბურგის წელიწდეულმა“ გამოაქვეყნა ვ. ლეონტიევის სტა-
ტია მყვირალა და უსაფუძვლო სათაურით „საბჭოთა ეკონომიური
მეცნიერების დაცემა და აღმავლობა“, რომელშიც გატარებულია აზ-
რი სოციალისტური გეგმიანი მეურნეობის ნეოლიბერალურ საბაზრო
მეურნეობად „ტრანსფორმაციის“ შესახებ.

იგივე მეორდება დასავლეთგერმანელი „სოვეტოლოგის“ ე. ბეტ-
ხერის სტატიამი „დაგეგმვის დეცენტრალიზაცია და სამრეწველო წარ-
მოების რაციონალიზაცია სსრ კავშირში“⁴⁴, რომელიც იმავე „ჰამ-
ბურგის წელიწდეულის“ მეშვეობით გამოაქვეყნებული. „დეცენტ-
რალიზაცია“ სსრ კავშირში, — წერს ე. ბეტხერი, — დაწყებულა 1953
წლიდან.

„ოსტფორშუნგელები“ და „სოვეტოლოგები“ შავ ფერებში ხა-
ტავენ ხუთწლიან გეგმებს სსრ კავშირში. ბუნებრივია, მათ არ მოს-
წონთ ხუთწლეულები და ბევრს გაჰყვირიან ამ გეგმების „ტოტალი-
ტარულ-ბიუროკრატულ“, „ცენტრალურ-დირიჟისტულ“, „ავტოკრა-
ტიულ“ ხასიათზე. აღოლფ ვებერმა თავის ანტიკომუნისტურ წიგნში

⁴⁴ იხ. „Hamburger Jahrbuch“, Bd. 3, გვ. 103 — 121.

„საბჭოთა ეკონომიკა და მსოფლიო მეურნეობა“ სოციალისტურ დაგეგმვას სარკვევით უწოდა „გეგმის სტალინური ფეტიშიზმი“⁴⁵. ა. ვებერს არ მოსწონს ცენტრალიზებული დაგეგმვა და მოითხოვს „დეპლანირებას“, „დეცენტრალიზაციას“.

ვ. ლეონტიევი იქამდეც კი მიდის, რომ საბჭოთა ეკონომიური მეცნიერების აღმავლობა დაუკავშირა დაგეგმვის საკუთარ მეთოდოლოგიას. თუ რაოდენ უსუსურია ვ. ლეონტიევის მტკიცებანი, იქიდანაც ჩანს, რომ იგი ემყარება კონდრატევისა და ბაზაროვის კაპიტულანტურ იდეას („მეურნეობის ზრდის გრძელი და მოკლე ტალღების კონცეფცია“), რომელიც სკკპ-მ გაანადგურა ჯერ კიდევ 20—30-იან წლებში. ეს, რა თქმა უნდა, არ მოსწონს ვ. ლეონტიევს და აკეთებს დემაგოგიურ გამოხდომას, როცა აცხადებს, რომ თითქოს საბჭოთა ეკონომიური მეცნიერება, დაწყებული 20-იანი წლებიდან, 30 წლის მანძილზე იყო „სტაბილური და სტერილური“. მხოლოდ 50-იანი წლებიდან დაწყებული საბჭოთა ეკონომიური მეცნიერების აღმავლობა, რომლის ქვეშ იგი გულისხმობს ეკონომიურ რეფორმას, ხოლო ამ უკანასკნელს მიიჩნევს „დაგეგმვის ამერიკულ (ლეონტიევისებურ) მეთოდებზე“ გადასვლად. აი, რა დემაგოგიური ხრიკებით ცდილობენ ვ. ლეონტიევი და მისი თანამაჟრენი სოციალისტური დაგეგმვისა და ეკონომიკის „ტრანსფორმაციის“ დამტკიცებას.

ამერიკელ „სოვეტოლოგებს“ არც დასავლეთგერმანელი „ოსტფორმუნგელები“ ჩამორჩებიან. კიდევ მეტი. „ოსტფორმუნგელები რკვლევენ“ არა მარტო სარკვევით ეკონომიკას, არამედ მთელი აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურა ქვეყნების მეურნეობას, კულტურას, პოლიტიკას, ისტორიას. აქედანაა სწორედ სახელწოდებაც „ოსტფორმუნგ“ („აღმოსავლეთის შესწავლა“). „ოსტფორმუნგის“ თეორეტიკოსები არიან: ი. ბოზენსკი, პ. სერაფიმი, მ. მუსხელი, კ. თალჰაიმი, თ. შილერი, ე. ბეტხერი, პ. პროპი, მ. პრავდინი, ა. ვეზერი, ბ. ლევიცი, ა. დალინი და სხვ. მთელი დასავლეთ გერმანია დაფარულია „სოვეტოლოგიისა“ და „ოსტფორმუნგის“ ინსტიტუტებითა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებით. რომელთა საერთო დროშა ანტიკომუნისმია, ხოლო ლოზუნგი — „სჯობს წითლად ყოფნას სიყვდილი!“. მათ საკუთარი ბეჭდვითი ორგანოებიც აქვთ. ასეთია, მაგალითად. ყურნალი „აღმოსავლეთ ევროპა“ („ოსტ-ევროპა“). რომლის გამომცემელია „აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელი გერმანული საზოგადოება“, ხოლო მთავარი რედაქტორია კ. მენერტი

⁴⁵ A. Weber. Sowjetwirtschaft und Weltwirtschaft, Berlin, 1961, 33-43.

(წარმოშობით რუსეთიდანაა). ეს „საზოგადოება“ შეიქმნა 1949 წ. ნოემბერში შტუტგარტში. ამ „საზოგადოებაში“ გაერთიანებულია 400-ზე მეტი „ოსტფორშუნგელი“. „საზოგადოება“, გარდა ზემო-დასახელებული ზოგადი ხასიათის ჟურნალისა, უშვებს სპეციალიზებულ ჟურნალებსაც: „აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიკა“ („ოსტეურროპა-ვირჩაფტ“). „აღმოსავლეთ ევროპის ბუნებათმეცნიერება“ („ოსტეურროპა-ნატურვისსენშაფტ“), „აღმოსავლეთ ევროპის სამართალი“ („ოსტეურროპა-რეხტ“).

„საზოგადოება“ ყოველწლიურად ატარებს „ოსტფორშუნგელთა“ სესიებს. ეს სესია „ოსტფორშუნგელთა“ პარლამენტია. „ოსტფორშუნგს“ 1961 წლიდან აქვს აგრეთვე „მთავრობის ორგანო“ — მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლის ფედერალური ინსტიტუტი (სოვეტოლოგიის ინსტიტუტი)“ კილში, რომლის დირექტორია „სოვეტოლოგი“ შ. მაისნერი.

„ოსტფორშუნგს“ თავისი ფილიალები აქვს არა მარტო დასავლეთ გერმანიაში, არამედ ევროპის სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც. ერთ-ერთი ასეთი ფილიალი „აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტის“ სახით არსებობს შვეიცარიაში (ფრაიბურგში), რომელსაც სათავეში უდგას ანტიკომუნისმის ცნობილი თეორეტიკოსი პროფ. ი. ბოხენსკი. ინგლისში ანალოგიურ საქმიანობას ეწევა ლონდონის ეკონომიური სკოლა (პირველ რიგში კენანის სკოლა), ხოლო ავსტრიაში და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში — ნეოავსტრიული სკოლა. ანტიკომუნისმის საერთო ცენტრი კი აშშ-შია.

1946 წლიდან დასავლეთ გერმანიაში არსებობს ე. წ. „გეტინგენის წრე“, რომლის დამაარსებელი და პირველი პრეზიდენტი იყო პროფ. ფ. ჰოფმანი. ანალოგიური სახის ინსტიტუტები არსებობს მარბურგში („იოჰან გოტფრიდ ჰერდერის სახ. საკვლევე საბჭო“), რომელსაც აქვს საკუთარი ჟურნალი („ცაიტშრიფტ ფიურ ოსტფორშუნგ“), ბრესლაუში, დასავლეთ ბერლინში, ჰამბურგში, ბონში, მაინის ფრანკფურტში, ჰაიდელბერგში, მიუნხენში. ტიუბინგენსა და სხვა ქალაქებში.

განსაკუთრებით აქტიურობს დასავლეთ ბერლინის „თავისუფალ უნივერსიტეტთან“ არსებული „აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტი“, რომელიც 1951 წ. ჩამოყალიბდა. ეს ინსტიტუტი მიზნად ისახავს აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიკისა და პოლიტიკის კომპლექსურ შესწავლას“. ინსტიტუტს აქვს 9 განყოფილება და სექტორი. აქვეა ჩამოყალიბებული ე. წ. „თალჰაიმის სკოლა“, რომელიც იკვლევს სოციალისტური და კაპიტალისტური ეკონომიკის „ჰიბრიდიზაციის პროცესს“. ამ საქმეში განსაკუთრებით აქტიურობს კ. თალჰაიმი,

პ. პროპი, ა. ვებერი. მათ მრავალი წიგნი მიუძღვნეს სოციალისტური ეკონომიკის „საბაზრო მეურნეობად ტრანსფორმაციის“ საკითხებს, მაგალითად: „საბჭოთა ეკონომიური სისტემის ძირითადი ნიშნები“ (კ. თალჰაიმი), „საბჭოთა ეკონომიკა როგორც ისტორიული ფენომენი“ (პ. რაუპახი), „საბჭოთა ეკონომიკა და მსოფლიო მეურნეობა“ (ადოლფ ვებერი), „სარ კავშირი XIX და XX ყრილობებს შუა პერიოდში“ (ჯ. ემბრი), „საითყენ მიდის საბჭოთა ეკონომიკა“ (ვ. ჰოფმანი), „საბჭოთა ეკონომიური პოლიტიკა გზაჯვარედინზე“ (ე. ბეტხერი), „კარლ მარქსი და საბჭოთა ეკონომიური სისტემა“ (გ. ვაგენლენერი), „საბჭოთა ტიპის ცენტრალურ-მართული ეკონომიკის საბაზრო მეურნეობად ტრანსფორმაციისათვის“ (პ. პროპი) და მრავალი სხვა. ჩვენ აქ დავასახელებთ მხოლოდ ის წიგნები, რომლებიც უკანასკნელ წლებშია გამოცემული.

სოციალიზმის ბურჟუაზიული „სპეციალისტები“ ხშირად იყენებენ ფალსიფიკატორულ ბერძნულ სიტყვებს. ისინი ხარბად ეტანებიან იმ დროებით სიძნელეებს, რომლებიც სოციალისტურ ქვეყნებში წარმოიქმნება (ასეთი სიძნელენი ბუნებრივია ახალი საზოგადოების მშენებლობის პროცესში) და აკეთებენ დასკვნას „სოციალიზმის ეკონომიკის კრიზისის“, „მეურნეობის სოციალისტური სისტემის კრიზისის“ არსებობის შესახებ. სოციალისტური ეკონომიკის ბურჟუაზიული „სპეციალისტები“ (კ. თალჰაიმი, ვ. გალუპი, ვ. რეპკე და სხვ.) ეკონომიურ რეფორმას მიიჩნევენ მეურნეობის სოციალისტური სისტემის „საერთო კრიზისის“ დადასტურებად. ეკონომიური რეფორმა, მათი აზრით, არის სოციალისტური სახალხო მეურნეობის, ანუ, როგორც ისინი უწოდებენ, „ცენტრალურ-მართული მეურნეობის“, გამოყვანის ცდა „კრიზისული“ მდგომარეობიდან. ეს „გამოსავალი“, მათივე განმარტებით, მდგომარეობა თურმე სოციალისტური ეკონომიკის „ტრანსფორმაციაში“ საბაზრო მეურნეობად. ყველა „სოვეტოლოგი“ ერთხმად აცხადებს, რომ ხდება გეგმიანი სოციალისტური ეკონომიკის „გადაზრდა საბაზრო მეურნეობაში“.

ეს ძველი პანაგეზია. ბურჟუაზიული ეკონომისტები და სოციოლოგები ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველივე დღიდან აცხადებდნენ სოციალისტური ეკონომიკის „შეუძლებლობას“, კაპიტალიზმის რესტავრაციის აუცილებლობასა და ა. შ. თანამედროვე ლიბერალიზმის ცნობილი თეორეტიკოსი ლ. მიზესი 20-იან წლებში თავგამოდებით იცავდა „სოციალიზმის შეუძლებლობისა“ და კაპიტალისტური საქონელწარმოების მარადიულობის იდეას. ამ საკითხებს მიუძღვნა მან ანტი-სოციალისტური იდეებით გაყდენილი წიგნები: „ლიბერალიზმი“ (1927 წ.), „ნაციონა-

ლევონომია“ (1940 წ.), „ნაციონალლევონომიის ძირითადი პრობლემები“ (1933 წ.), „სოციალიზმი“ (1951 წ.) და სხვ. მას მიაჩნია, რომ სამეურნეო ანგარიში, რენტაბელობა, მოგება შესაძლებელია მხოლოდ კაპიტალისტურ საბაზრო ურთიერთობათა პირობებში, ხოლო გეგმიანი სოციალისტური მეურნეობა ანაქრონიზმია და ვერ იარსებებს.

ლ. მიზეხის იდეას სოციალისტური წარმოების წესის „შეუძლებლობის“ შესახებ დღეს ძალიან ცოტა მიმდევარი ჰყავს. ვინ მოტყუვდება ასეთი მონაქორებით სოციალიზმის შესახებ, რომელმაც მთელი მსოფლიო განაცვიფრა თავისი უდიდესი მიღწევებით არა მარტო ეკონომიკის, არამედ სოციალური და სულიერი პროგრესის დარგში. გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანამ პირველმა დაიწყო კოსმოსის ათვისება და სხვ.

ბურჟუაზიულ ეკონომისტთა დიდმა ნაწილმა აღიარა სოციალისტური წარმოების გიგანტური წარმატებანი და უკუაგდო ლ. მიზეხის კონსერვატიული შეხედულებანი. ავიღოთ, მაგალითად, ამერიკელი ჯ. ბერლინერის განცხადება: „ერთი-ორი თაობის წინათ, — წერს იგი, — ადამიანები განიხილავდნენ საკითხს: შეძლებს თუ არა მოქმედებას სოციალისტური სისტემა. ისტორიამ მოხსნა ეს საკითხი დღის წესრიგიდან. ჟუანასკნელმა თაობამ სახე შეუცვალა ამ საკითხს: შეძლებს სოციალისტური ეკონომიკა ეფექტურად მოქმედებას?... მე მიმაჩნია დამტკიცებულად, განაგრძობს ჯ. ბერლინერი, რომ სოციალისტური ეკონომიკა საკმაოდ ეფექტურია“.

ამერიკელი სოციოლოგი კ. ლონდონი კი თავის სტატიაში „საბჭოების ძალა და სისუსტე“ აღნიშნავს სოციალისტური ეკონომიკის უდიდეს წარმატებებს და იძულებული ხდება განაცხადოს შემდეგი: „საბჭოთა კავშირი ვერ გახდებოდა ის, რაც იგი ახლა არის, მისი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია რომ არა“.

საზოგადოების მომავალს სოციალიზმში ხედავს ი. შუმპეტერი, რომელიც პირდაპირ აღიარებს კაპიტალიზმის დაღუპვასა და „დემოკრატიული სოციალიზმის“ შექმნის აუცილებლობას. „შუმპეტერის დინამიკური თეორია ამტკიცებს, რომ კაპიტალიზმი თავის განვითარებაში ანგრევს არა მარტო საკუთარ ინსტიტუტებს, არამედ ქმნის აგრეთვე პირობებს ახალი ინსტიტუტების წარმოქმნისათვის. ეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია მის თეორიაში“⁴⁶.

ბერლინერი, ლონდონი და ი. შუმპეტერი მარქსიზმ-ლენინიზმის

⁴⁶ Новые явления в современной буржуазной политэкономии, т. I, 23-172.

მოწინააღმდეგეები არიან, მაგრამ მით უფრო საჯულისხმოა მათ მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის ისტორიული მნიშვნელობისა და ლ. მიზესის ანტისოციალისტური დოგმების უსაფუძვლობის იძულებითი აღიარება.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღება სსრ კავშირში „სოვეტოლოგებმა“ მიიღეს, როგორც უკან, კაპიტალიზმისაკენ დაბრუნება. შემდეგ ეს ხმები მისუსტდა და დაიკარგა სოციალისტური სახალხო მეურნეობის გიგანტური განვითარების კვალობაზე. თუმცა ასეთი ხმები დროდადრო კვლავ გაისმოდა.

სოციალისტური ეკონომიკის კაპიტალისტურად „ევოლუციის“, სოციალიზმის „ტრანსფორმაციის“ შესახებ ბურჟუაზიულ ეკონომისტთა და სოციოლოგთა ხმები კვლავ გაისმის ამ უკანასკნელი წლების მანძილზე. ამის საბაბი გახდა სსრ კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში გატარებული ახალი ეკონომიური ღონისძიებანი — ეკონომიური რეფორმები.

თანამედროვე ეტაპზე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბურჟუაზიულ სოციალ-ეკონომიურ ლიტერატურაში ჩამოყალიბდა ორი ძირითადი მიმართულება: ⁴⁷ 1. ბურჟუაზიულ ეკონომისტთა და სოციოლოგთა ერთი ჯგუფი, უმთავრესად ნეოლიბერალური მიმდინარეობის განშტოებები, კვლავ იცავს სოციალიზმის განუხორციელებლობისა და კაპიტალისტური საქონელწარმოების („თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“) მარადიულობის იდეას. ეს მიმართულება, რომლის წარმომადგენლები არიან ლ. მიზესი, ფ. ჰაიეკი, ვ. რეპკე, ფ. ბემი და სხვ., გამოდის „ტოტალიტარიზმისა“ და „პლანიზმის“ („ცენტრალურ-მართული მეურნეობა“, „მბრძანებლური ეკონომიკა“, „დირიჟისტული, ავტოკრატიული ეკონომიკა“) დემაგოგიური კრიტიკით ⁴⁸. ეს მიმართულება იცავს წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებას, კაპიტალისტურ საქონელწარმოებას, „თავისუფალ მეწარმეობას“. ლ. მიზესი აგნოსტიციზმის პოზიციებიდან განიხილავს სოციალისტურ ეკონომიკას, მის მიღწევებს. იგი უგულვებელყოფს ისტორიული გამოცდილების მნიშვნელობასაც. თავის წიგნში „სოციალიზმი“ ლ. მიზესი აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის გამოცდილება არ შეიძლება განხილულ იქნეს სოციალიზმის სასარგებლო დამამტკიცებელ მომენტად. რამდენადაც ისტორიული გამოცდილება თავისთავად აღებული არაფერზე არ ლაპარაკობს ⁴⁹.

⁴⁷ იხ. „Экономические науки“. № 2, 1967. გვ. 58 — 69.

⁴⁸ „ტოტალიტარიზმის“ დოქტრინას შეჰლეგ განვიხილავთ.

⁴⁹ იხ. L. Mises, Socialism, London, 1951, გვ. 552 — 553.

მართალია, ი. შუმპეტერიც საბოლოო ანგარიშით სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს იცავს, მაგრამ იგი ამავე დროს იწუ-ნებს ლ. მიზეხის მომხრეთა კონსერვატიულ ანტიოციალიზმს. ი. შუმპეტერი აღიარებს სოციალიზმის სიცოცხლისუნარიანობას. ამ მხრივ მან სხვებს გაუსწრო. ჯერ კიდევ 20-იან წლებში დაწერილ შრომებში, უპირველეს ყოვლისა, „თანამედროვე სოციალისტურ შეესაძლებლობაში“⁵⁰ მან არ გაიზიარა ლ. მიზეხის დოგმები სოცია-ლიზმის შესახებ. ბოლო შრომებში კი აღიარა კაპიტალიზმის დაღუპ-ვა და სოციალიზმის შესაძლებლობა.

სოციალისტური ეკონომიკის შეფასების საკითხში ლ. მიზეხის მომხრეთა მიმართულება კვლავ გაკოტრებული და კონსერვატიული კონცეფციებით გამოდის. მისი წარმომადგენლები ანტიკომუნისმის ავანგარდში დგანან და მხოლოდ შავ ფერებში ხატავენ გეგმიან სო-ციალისტურ ეკონომიკას. ისინი აცხადებენ, რომ თითქოს სოციალის-ტური ეკონომიკა არარენტაბელური და შიმშილის სისტემაა. მათი მტკიცებით, სოციალიზმის დროს მოქმედებს არა სახალხო მეურნეო-ბის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონი, არამედ წარმოების ანარქიისა და კრიზისების („პერმანენტული, ნაკლებწარ-მოებისა და ნაკლებმომხმარების კრიზისების“) კანონი.

2. მ ე ო რ ე მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა ს მიეკუთვნებიან ბურჟუაზიუ-ლი პოლატეკონომიისა და სოციოლოგიის ისეთი წარმომადგენლები, რომლებიც იზიარებენ და იცავენ „ერთიანი ინდუსტრიული საზოგა-დოებისა“ და „სოციალიზმის ნეოკლასიკურ თეორიებს“. დასახელე-ბული „თეორიის“ პროპაგანდიტები ეკონომიურ რეფორმას მიიჩ-ნევენ „საბაზრო, კონკურენციულ სოციალიზმზე“ გადასვლად. ისინი თავდაყირა აყენებენ კავშირურთიერთობას გეგმასა და ბაზარს შო-რის. მათი მტკიცებით, კვლავწარმოების ძირითად პროპორციებს ვანსაზღვრავს არა გეგმა, არამედ ბაზარი, კონკურენცია, თავისუფა-ლი ფასწარმოქმნა, ფასების თამაში. „თავისუფალი კონკურენცია და თავისუფალი ფასწარმოქმნა, — წერს ლ. ერჰარდი, — არის ეკონო-მიკის მოტორი და მართვის საშუალება... კონკურენცია საბაზრო მეურნეობის მოტორია, ხოლო თავისუფალი ფასი — საბაზრო მე-ურნეობის გაძღოლის საშუალება“⁵¹.

„სოციალიზმის ნეოკლასიკური თეორია“ ეკონომიურ რეფორ-მას განიხილავს, როგორც ერთიანი სახალხომეურნეობრივი გეგმის

⁵⁰ J. A. Schumpeter, Sozialistische Möglichkeiten von heute.

⁵¹ L. Erhard, Deutsche Wirtschaftspolitik, 1963, გვ. 267.

შეცვლას „საბაზრო, ანუ კონკურენციული სოციალიზმის“ მოდელით.

„სოციალიზმის ნეოკლასიკური თეორიის“ მომხრენი განიხილავენ საბაზრო მეურნეობის ორ ძირითად ფორმას: „დაგეგმილი საბაზრო მეურნეობა“ კერძო საკუთრების პირობებში და „დაგეგმილი საბაზრო მეურნეობა“ სახელმწიფო საკუთრების პირობებში. პირველის ნიმუშად ასახელებენ საფრანგეთის ეკონომიკას, ხოლო მეორისა — იუგოსლავიას. ამ საკითხზე კ. ლანდაუერმა სპეციალური სტატია გამოაქვეყნა საერთაშორისო ჟურნალში „იკლოს“ სახელწოდებით — „დაგეგმილი საბაზრო მეურნეობა: საფრანგეთისა და იუგოსლავიის მაგალითი“. ეს მეორე მიმართულება ერთგვარად განსხვავდება პირველისგან (სტრატეგია ორივე ერთი აქვს) და უარყოფს კაპიტალისტური და სოციალისტური მეურნეობის ფუნქციონირებას შორის არსებულ ძირფესვიან განსხვავებას. აღნიშნული მიმართულება პირველ რიგში გამოდის საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების შეესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების წინააღმდეგ. ამ მიმართულების წარმომადგენლები არიან უ. როსტოვი, კ. კლარკი, მ. კრელი, რ. ტიბოლდი, ჰ. გეტცი და სხვ.

ბურჟუაზიულ ეკონომისტთა და სოციოლოგთა ორივე მიმართულება თანამედროვე კაპიტალისტურ წყობილებას ზატავს უკლასო საზოგადოებად და უწოდებს მას „ინდუსტრიულ საზოგადოებას“⁵². ამ მიმართულების მომხრეთა აზრით, არსებობს „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოება“, რომელსაც გავლილი აქვს სამი ფაზა: 1. XIX საუკუნის კლასობრივი საზოგადოება; 2. არაკლასობრივი პლურალისტური საზოგადოება და 3. „საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოება“.

ანტიკომუნისტური თეორეტიკოსები თავიანთ ცეცხლს მიმართავენ მთელი სოციალისტური ეკონომიკის, პირველ რიგში კი სოციალისტური ინდუსტრიის წინააღმდეგ. სწორედ ამ მიზნითაა გაკლენთილი „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ („ინდუსტრიალიზმის“) დოქტრინა. ეს კონცეფცია ამერიკელმა უ. როსტოვმა ჩამოაყალიბა. იგი უარყოფს სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების შესახებ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას. მას საერთო მნიშვნელზე დაჰყავს მეურნეობის კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემები.

„ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორეტიკოსები

⁵² ამ საკითხზე ვრცლად იხ. ა. ნუცუბიძე, კაპიტალიზმის „ტრანსფორმაციის“ ანტიმარქსისტული თეორიების კრიტიკა, თბილისი, 1967, გვ. 128—152.

(უ. როსტოვი, ე. ფურასტიე, რ. არონი და სხვ.) აცხადებენ, რომ თითქოს ხდება „კაპიტალიზმისა და კომუნისმის სპონტანური დამთხვევა ერთ წერტილში“. ამ პროცესის ქვეშ ისინი გულისხმობენ ეკონომიურ ჰიბრიდიზაციას — სხვადასხვა სისტემის კონვერგენცია-აშლგამაციას. რ. არონი სტატიაში „მარქსიზმი და კონტრმარქაიზმი“, რომელიც გაზეთ „ფიგაროში“ გამოაქვეყნა, წერს, რომ თითქოს ყველა თანამედროვე ინდუსტრიული ქვეყანა, მიუხედავად საზოგადოებრივ-ეკონომიური და სოციალური სტრუქტურისა, ვითარდება „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოებისაკენ“ — „ინდუსტრიალიზმისაკენ“.

ანტიკომუნისმის თეორეტიკოსები ამ შემთხვევაში ცდილობენ ინდუსტრიალიზაციის სოციალისტური მეთოდის გაყალბებას. მათ იერიში მიაკვთ წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის მარქსისტულ-ლენინური თეორიის წინააღმდეგ. ამ მიზნით ისინი დამახინჯებულად, ანტიკომუნისმის პოზიციებიდან განიხილავენ სოციალისტური ინდუსტრიის განვითარების ეტაპებს. სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, მათი აზრით, არის მომხმარებლის სუვერენიტეტის უგულვებელყოფა, ტოტალიტარიზმი და „გზა მონობისაკენ“⁵³. ვ. რეპკემ კი სოციალისტური ეკონომიკის შექმნა და განვითარება შეადარა ძველი ეგვიპტის პირამიდების მშენებლობის პროცესს⁵⁴.

ანტიკომუნისმის თეორეტიკოსები (ლ. მიზესი, ფ. ჰაიეკი, ვ. რეპკე, ვ. გალუსი, ბ. მაისნერი, კ. თალჰაიმი, ვ. პროპი და სხვ.) სოციალისტური ინდუსტრიისა და სოციალიზმის აშენებას სსრ კავშირში მიიჩნევენ „შემთხვევით“, „არაკანონზომიერ“ მოვლენად. სოვეტოლოგი გ. რაუპახი აცხადებს, რომ ქალაქისა და სოფლის სოციალისტურად გარდაქმნა სსრ კავშირში „სპეციფიკური რუსული მოვლენაა და ევრაზიის ბუნებრივი პირობებით აიხსნება“.

სოვეტოლოგები ყალბად განიხილავენ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას, სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას, ხუთწლედებს. მაგალითად, სოვეტოლოგ ე. ბეტხერის აზრით, სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას და სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერ განვითარებას საფუძვლად უძევს არა ობიექტური ეკონომიური კანონების შეგნებულნი გამოყენება, არამედ „სუბიექტური კანონები“.

სოციალისტური ინდუსტრიისა და მთელი სოციალისტური ეკონომიკის ბურჟუაზიული ექსპერტები (კ. თალჰაიმი, ჰ. რაუპახი,

⁵³ F. A. Hayek, Der Weg zur Knechtschaft.

⁵⁴ ob. W. R ö p k e, Wirrnis und Wahrheit, 1962, გვ. 236.

ე. ბეტხერი, ჰ. ვაგენლენერი, ფ. ჰაიეკი, ლ. მიზესი და სხვ.) აცხადებენ, რომ სსრ კავშირის ეკონომიკა ტოტალიტარიზმის წითელი ფორმა არისო. ამ საქმეში განსაკუთრებით აქტიურობს ფ. ჰაიეკი, რომელიც ტოლოზის ნიშანს სვამს ნაციონალ-სოციალისტების ტოტალიტარულ ეკონომიკას და კომუნისტურ წარმოების წესს, „ნაციონალ-სოციალისტურ“ გერმანიასა და კომუნისტურ რუსეთს, „მარქსიზმსა და ნაციონალ-სოციალიზმს“ შორის⁵⁵.

ამერიკელი ფილოსოფოსი ჰ. მარკუსი შემდგომ ავითარებს ფ. ჰაიეკის ანტიკომუნისტურ თეზისს. თავის წიგნში „საბჭოთა მარქსიზმი“ იგი წერს, რომ „მარქსისა და ენგელსის თვალაზრისით სსრ კავშირის სოციალისტური წყობილება არ წარმოადგენს სოციალიზმს“⁵⁶.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ბურჟუაზიული ფალსიფიკატორები (ე. თალჰაიმი, ა. ვებერი, ვ. ჰოფმანი, ე. ბეტხერი, ჰ. ვაგენლენერი და სხვ.) ქადაგებენ ანტიმარქსისტულ თეორიას სახელწოდებით „ინდუსტრიალიზაციის ექსტენსიური ფაზა“, ანუ „მეურნეობის მართვის მონისტური პრინციპი“. ეს კონცეფცია დასავლეთის სოციალურ-ეკონომიურ ლიტერატურაში გვხვდება აგრეთვე „მონიზმის“ სახელწოდებით. „ინდუსტრიალიზაციის ექსტენსიური ფაზის“ თეორეტიკოსი ვ. ჰოფმანი თავის წიგნში „საითკენ მიდის საბჭოთა ეკონომიკა“ ამტკიცებს, რომ სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ მძიმე მრეწველობის განვითარებას. აქედან წარმოდგება ამ კონცეფციის სახელწოდებაც „მონიზმი“⁵⁶.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ბურჟუაზიული თეორეტიკოსები, სოვეტოლოგები თავიანთი კონცეფციის საილუსტრაციოდ იძლევიან სსრ კავშირის ეკონომიური განვითარების საკუთარ პერიოდიზაციას. მათი აზრით, ეს პერიოდიზაცია შემდეგია:

1. „ინდუსტრიალიზაციის ექსტენსიური ფაზა“, ანუ „მეურნეობის მართვის მონისტური პრინციპი (მონიზმი)“. ეს პერიოდი, სოვეტოლოგების მტკიცებით, გრძელდებოდა 50-იან წლებამდე;

2. „მეურნეობის მართვის ტრიალისტური პრინციპი“ მოიცავს პერიოდს 1955 წლამდე. სოვეტოლოგები ამ „მეთოდის“ ქვეშ გულისხმობენ მძიმე და მსუბუქი ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ჰარმონიულ შეხამებას;

3. „მეურნეობის მართვის ახალი დუალისტური პრინციპის“ გან-

⁵⁵ F. A. Hayek, Der Weg zur Knechtschaft, გვ. 11 — 12, 49.

⁵⁶ H. Marcus, Soviet Marxism, N. Y. 1958, გვ. 127.

ბორციელება დაწყებულა 1955 წლის შემდეგ. აღნიშნული „მეთოდის“ კვებ ახინი გულისხმობენ უარის თქმას „ტრიალისტურ პრინციპზე“, ე. ი. მსუბუქი მრეწველობის როლის უგულებელყოფასა და მხოლოდ მძიმე ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას.

სოვეტოლოგთა კონცეფცია სოციალისტური სახალხო მეურნეობის განვითარების მონისტური, ტრიალისტური და დუალისტური პრინციპებისა და პერიოდების შესახებ ემყარება სუბიექტივიზმს. რგი მიმართულია ობიექტური ეკონომიური კანონების შეგნებულ გამოყენების წინააღმდეგ⁵⁷.

სოციალიზმის ეკონომიკის ბურჟუაზიული კონცეფციები ემყარებიან სუბიექტურ-იდეალისტურ საფუძვლებს. სოვეტოლოგები სოციალისტურ ეკონომიკასა და სოციალიზმის პოლიტიკურ ეკონომიას განიხილავენ ეკონომიური სუბიექტივიზმის პოზიციებიდან. ი. შუმპეტერი, ლ. მიზესი, ფ. ჰაიეკი და მათი თანამოაზრენი სოციალიზმის ეკონომიურ პრობლემებს განიხილავენ ნეოპოზიტივიზმის პოზიციებიდან.

სოვეტოლოგები ცდილობენ სოციალიზმის მიღწევათა დაკნინებას. ისინი სახელს უტეხენ კომუნიზმს, შავ ფერებში ხატავენ სოციალისტური ეკონომიკის ზრდის სწრაფ ტემპებს და უგულებელყოფენ იმას, რომ განვითარების მაღალი და მყარი ტემპები დამახასიათებელია მხოლოდ მეურნეობის სოციალისტური სისტემისათვის. სოციალისტური ინდუსტრიისა და სოციალიზმის ეკონომიკის მშენებლობას სარ კავშირში ე. ბოეტხერმა „ინდუსტრიალიზაციის სამი ექსპერიმენტი“ უწოდა⁵⁸. სოვეტოლოგებმა ამ მიზნით წამოაყენეს მრავალი კონცეფცია: „ფალსიფიცირებული სტატისტიკის“, „ინფანტილური ზრდის, ანუ ჩაქრობის (მილევის)“, „ტექნიკის გადმოღე-

⁵⁷ ამ საკითხებზე ვრცლად იხ.: Л. Н. Сперанская, Экономическое развитие СССР и буржуазные вымысли, Москва, 1966; В. Г. Смолянский, Критика буржуазных теорий о советском плановом хозяйстве, 1962; С. А. Хавина, Против буржуазных экономических псевдотеорий социализма, 1962; Критика буржуазных взглядов на закономерности социалистического хозяйствования, 1968; Э. Я. Брегель, Буржуазные мифы и социалистическая действительность, 1966; Критика западногерманского „остфюршунга“, 1966; Антикоммунизм — орудие империалистической реакции, 1967; Современный капитализм и буржуазная политическая экономика, 1967, გვ. 408-439 და სხვ.

⁵⁸ E. Boettcher, Agrarwirtschaft und sowjetische Industrialisierung.—„Methoden und Probleme der Wirtschaftspolitik“, Berlin, 1964, გვ. 207-219.

ზის“, „პროდუქციის ამორჩეულ სახეობათა“, „მუშახელის უკმარო-
ბისა“ და სხვა ანტისოციალისტური თეორიები.

თანამედროვე ბურჟუაზიული სოვეტოლოგია ცეცხლს უშენს საბ-
ჭოთა სტატისტიკას და აცხადებს, რომ თითქოს სოციალისტური ეკო-
ნომიკის განვითარების მაღალი და მყარი ტემპები საბჭოთა სტატის-
ტიკამ შეთხზა. განა შეიძლება ამის დაჯერება? სსრ კავშირმა მთელი
მსოფლიო განაცვიფრა თავისი მიღწევებით სახალხო მეურნეობის
ყველა დარგში.

ანტისოციალიზმის თეორეტიკოსთა კრიტიკის ობიექტია სოცია-
ლისტური სოფლის მეურნეობაც. ისინი (შ. ბუვიე, დ. ნაგუ, ნ. იას-
ნი, ე. კარა, გ. შვარცი და სხვ.) ერთიმეორეს უპირისპირებენ კ. მარ-
ქსის მოძღვრებასა და ვ. ი. ლენინის კოოპერაციულ გეგმას. მათა
მტკიცებით აგრარულ საკითხში კ. მარქსის დებულებები უცვლელად
დარჩა ოქტომბრის რევოლუციამდე, ხოლო შემდეგ ვ. ი. ლენინი
გამოჰყავთ კ. მარქსის აგრარული თეორიის მოწინააღმდეგედ. მეტრიც.
ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა, სოვეტოლოგთა აზრით, მოახდი-
ნეს გლეხური მეურნეობის განვითარების გზების მარქსისტული მოძ-
ღვრების რევიზია. მარქსიზმ-ლენინიზმის „კრატიკოსები“ აგრარულ
საკითხებში აცხადებენ, რომ მიწის სოციალისტური ნაციონალიზა-
ცია წარმოადგენს ვ. ი. ლენინის მიერ წინათ წამოყენებულ ლო-
ზუნგზე „მთელი მიწა — გლეხებს“ უარის თქმას.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების საკუთარ
ინტერპრეტაციას იძლევა სოვეტოლოგი შ. ბუვიე. სსრ კავშირის
სოფლის მეურნეობის განვითარებას იგი სამ პერიოდად ყოფს:
1. ლენინური კოოპერაციული გეგმის თანდათანობით გატარება 1927
წლამდე; 2. მთლიანი კოლექტივიზაციის აგიტაცია და 3. „იძულები-
თი კოლექტივიზაციის პერიოდი“ (1930 წლიდან დღემდე). ეს უკა-
ნასკნელი „პერიოდი“ თავის მხრივ დაყოფილია სამ ეტაპად:
1. 1930—1953 წლები, 2. 1953—1954 წლები და 3. 1954 წლიდან
დღემდე.

ყველაფერი ეს კეთდება იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობის
სოციალისტური გარდაქმნა წარმოადგინონ, როგორც „ეკონომიური
დესპოტია, ტირანია, ტოტალიტარიზმი“. მარქსიზმ-ლენინიზმის ეკო-
ნომიური მოძღვრების ფალსიფიკატორთა ერთი ჯგუფი უფრო შე-
ნიღბულად მოქმედებს. ამ მიმართულების წარმომადგენლები იცა-
ვენ და ქადაგებენ „ეკონომიური ჰიბრიდიზაცია⁵⁹-კონვერგენციისა

⁵⁹ ეს საკითხი შედარებით უფრო ვრცლად განხილული გვაქვს სხვა შრომა-
ში (იხ. გ. ჯ ა ნ უ ყ ვ ა ძ ე, ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის
კრიტიკა, ნაწილი I II, 1964, გვ. 47—65), ამიტომ აქ მას გაკერით შევხებით.

და ამაღამაციის“ კონცეფციებს. მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობათა მიჩქმალვის მიზნით ისინი ქადაგებენ „საზოგადოება ჰიბრიდის — ჰიბრიდული წყობილების“ ანტიმარქსისტულ თეორიას.

ორი სისტემის მსგავსებისა და ჰიბრიდიზაციის ანტიმარქსისტული თეორია პირველად 50-იან წლებში გამოჩნდა. 50-იანი და 60-იანი წლების ზღურბლზე უ. როსტოვემა თავის „სტალიათა თეორიაში“ სცადა იმის დამტკიცება, რომ თითქოს სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციებს შორის განახვავების კრიტერიუმია „ზრდის სტადიები“. 60-იანი წლების შუა ხანებში მოხდა ორი საზოგადოებრივ-ეკონომიური სისტემის სინთეზის დოქტრინის მოდერნიზაცია და წარმოიშვა კონვერგენციის თეორია, რომელსაც აქვს ორი ძირითადი პოლიტიკურ-იდეოლოგიური წყარო: 1. ბურჟუაზიული სოციალური ლიბერალიზმი (ჯ. კ. გოლბრეისი) და 2. რეფორმიზმი — „დემოკრატიული სოციალიზმი“ (ი. ტინბერგენი).

თანამედროვე ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში ძალიან გაზვირდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ თითქოს ხდება ორი სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური სისტემის — კაპიტალიზმისა და სოციალიზმის „სინთეზი, კონვერგენცია-ამაღამაცია“. „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ აპოლოგეტური თეორიის თანახმად სოციალიზმი და კაპიტალიზმი, მიუხედავად მათი ძირეული განსხვავებისა, თითქოს ერთი და იმავე მიმართულებით ვითარდებიან, გაცილიან ერთნაირ ფაზებს (სტადიებს). საბოლოოდ კი, აცხადებენ ისინი, უნდა მოხდეს მეურნეობის ამ ორი სისტემის „სინთეზი“, „შეუღლება“, „შერწყმა“, „შეჭვარება“, „დაქორწინება“, „ამაღამაცია“ და ერთიანი „ჰიბრიდული საზოგადოების“ ჩამოყალიბება.

არანაკლებ დამახასიათებელია ტენდენცია კომუნისტური და ბურჟუაზიული იდეოლოგიების „დაახლოებისა“ (ე. წ. „იდეოლოგიური კონვერგენცია“). იდეოლოგიის სფეროში ეს ტენდენცია ასახავს იმავე პროცესებს, რასაც ადგილი აქვს „ეკონომიური ჰიბრიდიზაციის“ ფარგლებში. ბურჟუაზიული ფილოსოფოსები, ისტორიკოსები, ეკონომისტები, სოციოლოგები წინადადებას იძლევიან, რათა მოხდეს მარქსისტული თეორიებისა და იდეალისტური კონცეფციების შეერთება და ამ გზით „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ შესაბამისი „სინთეზური დოქტრინის“ ჩამოყალიბება. ამის ნიმუშად შეიძლება შემპეტერიანელობის დასახელება.

„ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოებისა“ და „სინთეზური დოქტრინის“ კონცეფციების გამოჩენა ადატურებს თანამედროვე ბურჟუაზიის იდეოლოგიის სისუსტესა და იდეურ სიღატაკეს, მის

ჟუნარობას შექმნას ისეთი თეორიები, რომლებსაც შეეძლებოდათ შეცნიერული პასუხი გაეცათ ცხოვრების დაყენებულ აქტუალურ პრობლემებზე. „ეკონომიური ამაღლამაცია-ჰიბრიდიზაციისა“ და „იდეოლოგიათა კონვერგენციის“ დოქტრინა წარმოადგენს კომუნისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ დახვეწილ, შენიღბულ და დემაგოგიურ ფორმას. იგი მიზნად ისახავს, მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიისა და ფილოსოფიის ცალკეული იდეების გარეგნული აღიარების ან მიღების გზითაც კი, მარქსიზმ-ლენინიზმის, მეურნეობის სოციალისტური სისტემის გათქვეფას ბურჟუაზიულ იდეოლოგიასა და კაპიტალისტურ წარმოების წესში.

ამ საქმეში დიდ როლს ასრულებს ი. შუმპეტერის მოძღვრება (შუმპეტერიანელობა). ი. შუმპეტერი ტერმინს კაპიტალიზმის დამსხვრევა იწუნებს, თუმცა აღიარებს კაპიტალიზმის კრახს „ტრანსფორმაცია-ამაღლამაციის“ ფორმით. იგი აცხადებს, რომ კაპიტალიზმის განვითარების პროცესი ახდენს „საგნებისა და სულის“ ტრანსფორმირებას სოციალიზმისაკენ. ცხადია, მას მხედველობაში აქვს „დემოკრატიული სოციალიზმი“.

კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემის „ჰიბრიდიზაცია-კონვერგენციისა“ და „სინთეზის“ კონცეფციების სახით ჩვენს წინაშეა აშკარა სოციალური დემაგოგია. აქ საქმე გვაქვს საზოგადოების ისტორიული განვითარების კანონზომიერების შეგნებულ დამახინჯებასთან. მეურნეობის სოციალისტურ სისტემას და მარქსიზმ-ლენინიზმს კაპიტალისტურ მეურნეობასა და ბურჟუაზიულ იდეებთან თუ დოქტრინებთან არავითარი „ჰიბრიდიზაცია“, „ამაღლამაცია“ და „კონვერგენცია“ არ ესაჭიროება.

ბურჟუაზიულ-რეფორმისტული იდეოლოგიის თეორეტიკოსები ჯაიძახიან, რომ თითქოს ისტორიის მსვლელობამ წარაუღლის კუთვნილებად აქცია „არაადამიანური“ კაპიტალიზმისა და „ჰუმანური“ სოციალიზმის თეორიები. ისინი ამტკიცებენ, რომ როგორც „კლასიკური კაპიტალიზმი, ისე კლასიკური სოციალიზმიც XIX საუკუნის პროდუქტი იყო და მათ თავისი დრო მოჰქამესო“. მათი აზრით, „ტრანსფორმაციას“ განიცდის არა მარტო კაპიტალიზმი, არამედ სოციალიზმიც, მაშასადამე, ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მოხდეს ორივე სისტემიდან პოზიტიურის ამორჩევა და „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ შექმნა.

„საზოგადოება ამაღლამა-ჰიბრიდის“ თეორიის თანახმად სოციალიზმი და კაპიტალიზმი ვითარდება ერთი და იმავე მიმართულებით, რასაც თანდათანობით მოჰყვება ორი სისტემის „ჰიბრიდიზაცია-ამაღლამაცია“, „სინთეზი“, „შერეული საზოგადოების“ შექმნა

სოციალიზმისა და კაპიტალიზმის მოდერნიზაცია-ტრანსფორმაციის, კონვერგენცია-ამალგამაციის“ გზით. ეს არის აშკარა სოციალური დემაგოგია. „ერთიანი სამყაროს“ თეორეტიკოსები სოციალისტური ტერმინოლოგიით ეწევიან სპეკულაციას, ისინი ცდილობენ სოციალიზმის ზოგიერთი იდეის „მითვისებას“, რათა მოატყუონ მშრომელთა მასები და შეცდომაში შეიყვანონ ფსევდოსოციალისტური ფრანგებით.

„ეკონომიური ამალგამაციისა“ და „კონვერგენციის“ თეორეტიკოსები დიდ ადგილს უთმობენ და გ ე გ მ ვ ი ს საკითხებს. მათ არ მოაწონთ „ტოტალიტარიზმი“ (რომლის ქვეშ გულისხმობენ გეგმიან სოციალისტურ ეკონომიკასაც). ანტიკომუნიზმის თეორეტიკოსი ვ. რეჰვე აცხადებს, რომ „ტოტალური დაგეგმვა“ ორი ძირითადი ფორმით არსებობს: 1. „წითელი ტოტალიტარიზმი“ — „წითელი კოლექტივიზმი“ და 2. ყვითელი ტოტალიტარიზმი — „ყვითელი კოლექტივიზმი“⁶⁰ ანტიკომუნიზმის პროპაგანდისტები ცეცხლს უშენენ სოციალისტურ „ტოტალურ“ დაგეგმვას. „გეგმიანი მეურნეობა, — წერს ფ. ბემი, — არის დემოკრატიის უთუო და გარდუვალი დასასრული“⁶¹. ისინი არც საბაზრო ავტომატიზმისა და საბაზრო დაგეგმვის („თვითმარეგულირებელი საბაზრო ავტომატიზმი“) იდეას იზიარებენ. მათი იდეალია სოციალისტური დაგეგმვის „შენახება“, „შეუღლება-ამალგამაცია-კონვერგენცია“ კაპიტალისტურ „დაგეგმვასთან“ და ამ გზით ე. წ. „დემოკრატიული დაგეგმვის“ გატარება.

„დემოკრატიული დაგეგმვის“ თეორეტიკოსები შლიან ზღვარს სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ეკონომიურ კანონებს შორის და იცავენ „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ კონცეფციას. მათი აზრით, შესაძლებელია მთელი კაპიტალისტური წარმოების რეგულირებაც, ე. ი. ისინი გამოდიან ობიექტურ კანონზომიერებათა წინააღმდეგ. „ბურჟუაზიული საზოგადოების მთელი დედაარსი ხომ სწორედ ისაა, რომ ამ საზოგადოებაში არ არსებობს a priori წარმოების არაავითარი შეგნებელი, საზოგადოებრივი რეგულირება. გონივრული და ბუნებრივად აუცილებელი ვლინდება მხოლოდ როგორც ბრმად მოქმედი საშუალო“⁶² „...კაპიტალიზმისათვის ს ა ჯ ი რ ო ა კ რ ი ზ ი ს ი, რათა შექმნას პროპორციულობა, რომელიც მ უ დ ა მ ი რ დ ვ ე ვ ა“⁶³.

დასავლეთგერმანელი ეკონომისტი ე. ლიფმან-კაილი თავის წიგნ-

⁶⁰ W. Röpke, Wirrnis und Wahrheit, გვ. 125.

⁶¹ F. Böhm, Reden und Schriften, Karlsruhe, 1960, გვ. 56.

⁶² ე. მარქსი, ფ. ენგელსი, წერილები „კაპიტალის“ შესახებ, გვ. 201.

⁶³ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 732.

ში „პოლიტიკური ეკონომიის შესავალი“, რომელიც ბაზელსა და ვენაში გამოქვეყნდა 1964 წ., წერს, რომ „ყოველგვარი სახალხო მეურნეობა გეგმიანი მეურნეობაა“⁶⁴. იგი მოითხოვს სოციალისტური დაგეგმვისა და კაპიტალისტური „რეგულირების“ შევსებას, ურთიერთდაკავშირებას. ეს პროცესი, ბურჟუაზიულ ეკონომისტთა დიდი ნაწილის აზრით, დაწყებულია „ერთიან ინდუსტრიულ საზოგადოებაში“. ამ პროცესს, მათივე განცხადებით, აჩქარებს სსრ კავშირში გატარებული ეკონომიური რეფორმა.

გ. ჰაიდერმა დასავლეთგერმანულ ჟურნალში „გევერკშაფტლიხე მონატსჰეფტე“ განაცხადა, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც „დაგეგმვა უკვე აღარ წარმოადგენს ტაბუს“⁶⁵. „ეკონომიური ამალგამაციისა“ და დაგეგმვის „უნივერსალიზაციის“ მეორე თეორეტიკოსი ე. ჰაიმანი უფრო შორს მიდის. იგი ისე ხატავს ვითარებას, რომ თითქოს ხდება კაპიტალისტური „დაგეგმვისა“ და სოციალისტური დაგეგმვის შეუღლება, სოციალისტური დაგეგმვის „ეკოლუცია“ კაპიტალისტური „რეგულირებისა“ და „მართვისაკენ“. „აქ ჩვენ გვაქვს ნამდვილი დიალექტიკა, — წერს ე. ჰაიმანი, — კაპიტალისტურ ინდივიდუალიზმში იქმნება მარქსისტული კოლექტივიზმისა და ცენტრალიზმის ელემენტები“⁶⁶.

„დემოკრატიული დაგეგმვის“ თეორეტიკოსები აკრიტიკებენ ცენტრალურ-დირიჟისტულ (ტოტალიტარულ) დაგეგმვას და იცავენ ლოზუნგს „დაგეგმვა გეგმიანი მეურნეობის გარეშე“⁶⁷. სსრ კავშირში გატარებული ეკონომიური რეფორმა, მათი აზრით, ვულისხმობს სოციალისტური დაგეგმვის „ტრანსფორმაციას“, „დეცენტრალიზაციას“, „დეპლანირებას“, „დაგეგმვის“ კაპიტალისტურ მეთოდებზე გადასვლას. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე თეორეტიკოსი, ფერ-ის ეკონომიკის მინისტრი კიზინგერ-ბრანდტის მთავრობაში პროფ. კ. შილერი ასე განაზღვრავს კაპიტალისტური და სოციალისტური „დაგეგმვის კონვერგენცია-ამალგამაციას“: „კონკურენცია — რამდენადაც ეს შეაძლებელია, დაგეგმვა — რამდენადაც ეს აუცილებელია“⁶⁸.

⁶⁴ E. Liefmann - Keil, Einführung in die politische Ökonomie, 83. 41.

⁶⁵ „Gewerkschaftliche Monatshefte“, Hf. 8. 1965, გვ. 484-485.

⁶⁶ იხ. „Hamburger Jahrbuch“, Bd. 9, გვ. 165.

⁶⁷ L. A. Hahn, Ein Traktat über Währungsreform, Tübingen, 1964, გვ. 6.

⁶⁸ K. Schiller, Der Ökonom und Gesellschaft, Stuttgart, 1964, გვ. 30-69.

შუმპეტერიანელთა „სოციალიზმიც“ ემყარება ბურჟუაზიული და სოციალისტური დაგეგმვის უნიფიკაციის იდეას. ი. შუმპეტერის მთელი „სოციალიზმი“ დაყვანილია ბურჟუაზიულ ნაციონალიზაცი-ამდე და კაპიტალისტური სახალხო მეურნეობის „რეგულირებამდე“.

ასე ცდილობენ სოციალიზმის ბურჟუაზიული „სპეციალისტები“ სოციალისტური დაგეგმვისა და კაპიტალისტური „რეგულირების“ უნიფიკაციასა და კონვერგენცია-ამალგამაციას. მათი შეხედულებების საერთო საფუძველია სუბიექტივიზმი და ვოლუნტარიზმი. დაგეგმვის „დეცენტრალიზაცია“, „უნივერსალიზაცია“ და „დემოკრატიზაცია“, რომელსაც ბურჟუაზიული ეკონომისტები და სოციოლოგები ქადაგებენ, აშკარად ეწინააღმდეგება ობიექტური ეკონომიური კანონების მოქმედებას და წარმოადგენს სსრ კავშირში გატარებული ეკონომიური გარდაქმნების აპოლოგეტურ-დემაგოგიური მიზნით გამოყენების ცდას.

„დაგეგმვის უნივერსალიზაციისა“ და „ეკონომიური ამალგამაციის“ თეორეტიკოსები ვარაუდობენ ერთდროულად ორი კურდღლის დაჭერას: ჭერ ერთი, მონოპოლისტური კაპიტალის მტაცებლური არსის შენიღბვა, სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის წარმოდგენა „გეგმიან, ჰიბრიდულ“ ეკონომიკად, ანტიკაპიტალისტური და ანტიმონოპოლისტური ხანძრის განწყობათა ჩაქრობა, ხმარებიდან თვით ცნება „კაპიტალიზმის“ ამოგდება, „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ მოდელის შექმნა და, მაშასადამე, კერძო კაპიტალისტური საკუთრების მარადიულობის დამტკიცება.

მეორე, მეცნიერული სოციალიზმისათვის, სოციალისტური დაგეგმვისათვის ცილის დაწამება, მეურნეობის სოციალისტური სისტემისათვის კაპიტალიზმის მანკიერებათა მინიჭება, სოციალიზმის წარმოდგენა „ცალმხრივ წყობილებად“, რომელიც, მათი აზრით, საჭიროებს ექსპერიმენტებსა და ახალი პრინციპებით (კაპიტალისტური საქონელწარმოებისათვის დამახასიათებელი) შევსებას, „ტოტალური დაგეგმვის დემოკრატიზაციას, დებლანირებასა“ და „დაგეგმვის უნივერსალიზაციას“.

ბურჟუაზიული მიმომხილველნი აცხადებენ, რომ კომუნისტური და არაკომუნისტური სამყარო ამჟამად იწყოფება „გარდამავალი წყობილების ფაზაში“. ეს „გარდამავალი ფაზა“ მათივე მტკიცებით წარმოადგენს სხვადასხვა სოციალ-ეკონომიური სისტემების კონვერგენცია-ამალგამაციას, ე. ი. „შერწყმას“ და „სეუღლებას“. „ეკონომიური ჰიბრიდიზაციისა“ და „შერეული ეკონომიკის“ თეორეტიკოსები სსრ კავშირში გატარებულ ეკონომიურ რეფორმას უწოდებენ „დებლანირების საბჭოთა პროგრამას“.

„დეპლანირების საბჭოთა პროგრამა“ ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებულმა „რუსეთის ცენტრმა“ შეაფასა, როგორც სსრ კავშირის გადასვლა ცენტრალიზებული დეგემგვიდან იხეთ დაგემგვაზე, რომელიც საფრანგეთშია კულტივირებული. „დეპლანირებისა“ და „დეცენტრალიზაციის“ ბურჟუაზიული თეორეტიკოსები მხედველობიდან უშვებენ იმას, რომ ეკონომიურმა რეფორმამ კი არ უნდა შესუსტოს სახალხომიურნეობრივი გეგმის მაჩვენებელთა შესრულება, არამედ, პირიქით. ეკონომიური რეფორმა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს სახალხო მეურნეობის განვითარების ცენტრალიზებულ დაგემგვაზე უარის თქმას, ეს ობიექტურად შეუძლებელია. სოციალისტური ეკონომიკის გეგმაზომიერი განვითარება განპირობებულია სოციალიზმის ეკონომიური კანონების მოქმედებით, სახალხო მეურნეობის დაგემგვა სოციალიზმის ეკონომიური კანონების შეგნებული გამოყენების საფუძველზე უნდა ხდებოდეს. გეგმები მეცნიერულად უნდა იყოს დასაბუთებული, ხოლო სუბიექტივიზმი და ეკონომიური ვოლუნტარიზმი — თავიდან აცილებული. განმსაზღვრელ როლს ასრულებდა და უნდა ასრულებდეს მთავარი სახალხომიურნეობრივი პროპორციების ცენტრალიზებული დაგემგვა.

სოციალისტური ეკონომიკის ბურჟუაზიული სპეციალისტები ემყარებიან იტალიელი ბურჟუაზიული ეკონომისტის, მათემატიკური სკოლის წარმომადგენლის ვ. პარეტოს მოწაფის ე. ბარონეს წიგნში „წარმოების მინისტრი სოციალისტურ სახელმწიფოში“ გატარებულ იდეას „ჰიპერ-გეგმა“ და „ჰიპო-გეგმა“. ე. ბარონეს განმარტებით, „ჰიპერ-გეგმა“ არის ის, რააც თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტები უწოდებენ „ტოტალ-გეგმას“ (ე. ი. „ცენტრალიზებული დაგემგვა“, „ცენტრალურ-დირიჟისტული დაგემგვა“). „ჰიპო-გეგმა“ კი, ე. ბარონეს აზრით, არის დეცენტრალიზებულ დაგემგვა („დემოკრატიული დაგემგვა“), როცა საწარმოები ერთიანი ცენტრალიზებული გეგმის მიხედვით არ ვითარდებიან.

დასავლეთგერმანელი ნეოლიბერალი პროფ. ფ. ბემი იძლევა დაგემგვის საკუთარ ინტერპრეტაციას, ნაცვლად „ჰიპერ“ და „ჰიპო“ გეგმებისა, იგი ლაპარაკობს: „დაგემგვა ზემოდან“ („ტოტალური დაგემგვა“) და „დაგემგვა ქვემოდან“ („ნეოლიბერალური ინტერვენციონიზმი“). ანტიკომუნისმის თეორეტიკოსი ფ. ბემი „ზემოდან დაგემგვის“ („ტოტალიტარული დაგემგვის“) ნიშნად ასახელებს „ჰიტლერის, მუსოლინის, ლენინისა და სტალინის ტოტალიტარულ დიქტატურას“⁶⁹. აი სადამდე მიდის ფ. ბემის ანტიკომუნისტური გა-

⁶⁹ F. B ö h m, Reden und Schriften, 33-12.

შობდომები. „სოვეტოლოგმა“ ჰ. რიმშამ კი თავის წიგნში „რუსეთის ისტორია“ ვ. ი. ლენინს უწოდა „პუგაჩოვი უმაღლესი განათლებით“⁷⁰.

ასეთია სოციალიზმის „სპეციალისტთა“ — ბურჟუაზიულ სოვეტოლოგთა „ისტორიული პარალელები“. „დაგეგმვისა“ და სოციალისტური ეკონომიკის „ეკოლუცია-ტრანსფორმაციის“ თეორეტიკოსები აცხადებენ, რომ ეკონომიური რეფორმა ნიშნავს გადასვლას „ჰიპერ-გეგმიდან“ „ჰიპო-გეგმაზე“, „ტოტალიტარიზმიდან“ დემოკრატიაზე.

მართალია, ამ ბოლო წლებში ფართოვდება სოციალისტურ საწარმოთა ინიციატივა დაგეგმვის საქმეში, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს ერთიან სახალხომეურნეობრივ გეგმაზე უარის თქმასა და „სამეურნეო დემოკრატიაზე“, „დემოკრატიულ დაგეგმვაზე“ („ლიბერმანიზმი“) გადასვლას. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ სოციალიზმი წარმოუდგენელია ცენტრალიზებული გეგმიანი ხელმძღვანელობის გარეშე. სოციალიზმის აშენება, გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი, არის ცენტრალიზებული მეურნეობის აშენება. სოციალისტური სახალხო მეურნეობის მართვაში ცენტრალიზმი გვევლინება განსაკუთრებული ფორმით — დემოკრატიული ცენტრალიზმის სახით, რომელიც ძირფესვიანად განსხვავდება კაპიტალისტური ცენტრალიზმისაგან. დემოკრატიული ცენტრალიზმი არის ბიუროკრატიული ცენტრალიზმის საპირისპირო.

მიუხედავად ფაქტებისა, სოციალისტური ეკონომიკის ბურჟუაზიული „სპეციალისტები“ და კრიტიკოსები ერთიმეორეში ურევენ სოციალისტურ დაგეგმვასა და კაპიტალისტურ დაპროგრამებას. ამ უკანასკნელს აქვს განსაზღვრული ჩარჩოები. სახალხო მეურნეობის გეგმავომიერი განვითარების უზრუნველყოფა კაპიტალისტური დაპროგრამებით შეუძლებელია. დაპროგრამება და ე. წ. „ინდიკატური დაგეგმვა“, რასაც კაპიტალისტურ ქვეყნებში იყენებენ, არაა სავალდებულო კერძო საწარმოებისა და კომპანიებისათვის. სახელმწიფო გეგმები სოციალისტურ ქვეყნებში კი სავალდებულოა საწარმოთათვის, ერთიანი გეგმით წარმართება მთელი სახალხო მეურნეობა.

სახალხო მეურნეობის გეგმავომიერი, პროპორციული განვითარებისათვის არაა საკმარისი მათემატიკური მეთოდებისა და ეკონომეტრიკის გამოყენება, დაპროგრამება, ამისათვის საჭიროა კერძო კაპიტალისტური საკუთრებისა და კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობების მოსპობა. ხატოვნად გამოხატა ეს აზრი მოსკოვის

⁷⁰ H. Rimscha, Geschichte Russlands, Wiesbaden, 1960, გვ. 526.

საკავშირო სამეცნიერო კონფერენციაზე 1965 წ. იანვარში ამხ. ს. ვიშნევმა: ეკონომიური თეორია და მათემატიკური გაანგარიშება შეიძლება შევადაროთ კომპასს, გეგმიანი ხელმძღვანელობა — სა- ჯეს, რომელიც მართავს ეკონომიკას. მაგრამ არც კომპასს, არც სა- ჯეს, რამდენადაც მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს ისინი, ჯერ კიდევ არ მოჰყავთ გემი მოძრაობაში.

„სოვეტოლოგები“ ხმაურს ტეხენ იმაზე, რომ მარქსისტები უკუაგდებენ მეურნეობის სოციალისტური სისტემის მიმართ გამოთ- ქმულ ყოველ კრატრულ მოსაზრებას. არც ესაა სწორი. ჩვენი ქვეყ- ნის ეკონომიკის განვითარებაში, დაგეგმვისა და წარმოების ხელმძღ- ვანელობის საქმეში ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებსაც. მაგალითად, წელი ტემპებით ვითარდებოდა სოფლის მეურნეობა, შეიღწედიან მანძილზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა მხოლოდ 34 პროცენტით გადიდა. სოფლის მეურნეობის ჩამორჩენამ უარ- ყოფითი გავლენა მოახდინა მსუბუქი და კვების მრეწველობის გან- ვითარებაზე, ეროვნული შემოსავლის ზრდისა და მშრომელთა მა- ტერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ტემპებზე (სოფლის მეურნეობის განვითარების ეს დაბალი ტემპი თავისებურად ახსნეს ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა და სტატისტიკოსებმა, რომლებ- ზაც შეთხზეს „ინფანტილური ზრდის, ანუ ჩაქრობის თეორია“).

უარყოფითად იმოქმედა მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებაზე განუწყვეტელმა გაუმართლებელმა გარდაქმნებმა, მეცნიერებისა და მრავალი წლის გამოცდილების შეუფასებლობამ, ვოლუნტარიზმმა და სუბიექტივიზმმა სახალხო მეურნეობის განვითარების დაგეგმვისა და ხელმძღვანელობაში. მთელი რიგი რთული სამეურნეო პრობლემების გადაჭრისას ხრუშჩოვი ვოლუნტარისტული მეთოდებით ხელმძღვანელობდა. სახელმწიფო გეგმების შედგენისას დაშვებულმა შეცდომებმა განაპირობა სახალხო მეურნეობის დარგთა შორის საჭირო პროპორციების დარღვევა.

მარქსიზმ-ლენინიზმი გმობს სუბიექტივიზმსა და ვოლუნტარიზმს ეკონომიური საკითხების გადაწყვეტაში. სოციალიზმის ეკონომიური კანონების მოქმედებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმისათვის უცხოა დილეტანტური უგულვებელყოფა მეცნიერებისა და პრაქტიკის მონაცემებისა.

მეცნიერული სოციალიზმი, რომელიც კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა შექმნეს, მუშათა მოძრაობის რევოლუციური თეორია და პროგრამაა. მათ დაამტკიცეს, რომ კაპიტალიზმის შეცვლა სოციალიზმით კანონზომიერი ისტორიული პროცესია. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა მეცნიერულად დაასაბუთეს კომუნისტური საზოგადოების

შექმნის შემდეგი საფეხურები: კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის გარდამავალი პერიოდი, კომუნიზმის პირველი ფაზა — სოციალიზმი და უმაღლესი ფაზა — საკუთრივ კომუნიზმი.

უკვე საუკუნეზე მეტია ისტორიული განვითარება მიმდინარეობს მარქსისტული თეორიით ნაწინასწარმეტყველვეი გზით. საბჭოთა ხალხმა ააშენა სოციალიზმი და დაიწყო ახალი პერიოდი — კომუნიზმის მშენებლობის პერიოდი. ცხოვრების სიმართლე მარქსიზმის მხარეზეა. მიუხედავად ამისა, თანამედროვე „მარქსოლოგები“ ახალ-ახალ ლაშქრობებს მართავენ სოციალისტური ეკონომიკის წინააღმდეგ.

სოციალიზმის ბურჟუაზიული „სპეციალისტები“ და „კრიტიკოსები“ ფიქრობენ, რომ სოციალისტური ეკონომიკის კაპიტალისტურად „ევოლუციის“ დამამტკიცებელი ფაქტორებია: „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ დოქტრინა (სოციალიზმისა და კაპიტალიზმის „ტრანსფორმაცია“, „კონვერგენცია“ და „ეკონომიური ამალგამაცია), ერთიანი სახალხომეურნეობრივი გეგმის „დეცენტრალიზაცია“ — „დეპლანირება“, ეკონომიური რეფორმა, როგორც „დაბრუნება უკან კაპიტალისტური საბაზრო მეურნეობისაკენ“. მათი აზრით, რეფორმა „აღადგენს“ კაპიტალისტურ ეკონომიურ კანონებს, მოგებასა და სარგებელს“. საწარმოს სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოება მათ განსაზღვრეს, როგორც კაპიტალისტური მენეჯერიზმის შემოღება. მოგების როლის გადიდებას წარმოების ეკონომიურ სტიმულირებაში „სოვეტოლოგები“ უწოდებენ მეურნეობის გაძღოლის კაპიტალისტურ მეთოდებზე გადასვლას. აქედან კი აკეთებენ ანტიმარქსისტულ დასკვნას: „კომუნიზმს არ აქვს მომავალი“⁷¹.

ასეთია ის პოსტულატები, რომლებიც სოციალიზმის ბურჟუაზიულმა და რეფორმისტმა „სპეციალისტებმა“ წამოაყენეს სოციალისტური ეკონომიკის „კაპიტალისტური ევოლუციის“ დასამტკიცებლად. ამ არგუმენტების ერთი ჭგუფი ჩვენ უკვე განვიხილეთ. ახლა კი სხვებს შევეხებით გაკვრით, რადგან თანამედროვე ბურჟუაზული თეორიები და მოძღვრებანი დაწვრილებით განხილული იქნება მომდევნო თავებში.

წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების ლიკვიდაციის შემდეგ ძირეულად შეიცვალა საქონელწარმოების ხასიათი და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის როლი. სოციალისტური საქონელწარმოება წარმოადგენს გეგმაზომიერ საქონელწარმოებას, ახალ

⁷¹ იხ. G. Wagenl enner, *Kommunismus ohne Zukunft*, Stuttgart, 1962; A. Weber, *Sowjetwirtschaft heute*, Berlin, 1962.

სოციალისტურ საქონელწარმოებას. სოციალიზმის დროს მოქმედებს ღირებულების კანონი და არსებობს ღირებულებითი კატეგორიები. სოციალიზმის ღირებულებით კატეგორიებს (ფასი, მოგება, ხელფასი, სარგებელი, ფინანსები და სხვ.) სრულიად სხვაგვარი სოციალურ-ეკონომიური შინაარსი აქვთ, ვიდრე კაპიტალიზმის სასაქონლო-ფულად კატეგორიებს.

სოციალისტური ეკონომიკის ბურჟუაზიული „კრიტიკოსები“ აცხადებენ, თითქოს სსრ კავშირში წინათ არ იყო გამოყენებული სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი და შესაბამისი კატეგორიები. დასავლეთის ბურჟუაზიულ პრესაში (მაგალითად, ამერიკულ ჟურნალებში „ბიზნეს უიკსა“ და „ტაიმში“, შვეიცარიულ გაზეთში „ტრიბუნ დე ლოზან“, აგრეთვე იტალიის სოციალისტურ გაზეთში „ავანტი“ და სხვ.) ეკონომიური რეფორმა შეფასებულია, როგორც გადასვლა გეგმიანი მეურნეობიდან საბაზრო მეურნეობაზე. საბაზრო მეურნეობა კი, „სოვეტოლოგების აზრით“, გულისხმობს კონკურენციის, მოგების, სამეურნეო ანგარიშისა და სხვა კაპიტალისტური კატეგორიების არსებობას.

„სოვეტოლოგებს“ ავიწყდებათ, რომ სამეურნეო ანგარიში იყო და არის სოციალისტური საწარმოს გეგმიანი ხელმძღვანელობის მეთოდი. მეურნეობის გაძღოლის ახალი სისტემა მოითხოვს ნამდვილი სამეურნეო ანგარიშის დანერგვას საწარმოს მთელ საქმიანობაში. სამეურნეო ანგარიშს სოციალიზმის დროს საფუძვლად უძევს სოციალიზმის ობიექტური ეკონომიური კანონებისა და ღირებულების კანონის გამოყენება.

მოგება და მოგების ფონდი სოციალისტურ საწარმოებში რეფორმამდეც არსებობდა. მაგალითად, 1936 წ. დაწესდა საწარმოს დირექტორის ერთიანი ფონდი. რეფორმა კი ითვალისწინებს საწარმოს ზოგებიდან სამი ფონდის წარმოქმნას. ეს გარემოება ბურჟუაზიულმა პრესამ (იტალიური ჟურნალი „გლობო“, შვეიცარიული გაზეთი „ჟურნალ დე ჟენე“, იაპონური გაზეთი „ააახი ივინგ ნიუს“, ამერიკული ჟურნალი „ტაიმსი“. დასავლეთგერმანული „დერ ფოლკსვირტი“ და მრავალი სხვ.) და „სოვეტოლოგებმა“ შეაფასეს როგორც გადასვლა გეგმიანი მეურნეობიდან „საბაზრო ეკონომიკაზე“. „უახლოეს მომავალში.—წერს „სოვეტოლოგი“ ე. ბოეტხერი,—სსრ კავშირისა და კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკა ერთმანეთისაგან იქნებიან განსხვავებული არა პრინციპულად, არამედ მხოლოდ განვითარების ხარისხით“⁷².

⁷² E. Boettcher, Die sowjetische Wirtschaftspolitik am Scheidewege, Tübingen, 1959, გვ. 91.

ჯერ ერთი, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა და ბაზარი კაპიტალიზმამდეც არსებობდა. მეორე, საქონელწარმოება, ფულად-საბაზრო ურთიერთობა სოციალიზმის დროს არ ისპობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „სამხედრო კომუნისმს“. სოციალისტურ საზოგადოებაში არსებობდა და არსებობს ღირებულებითი კატეგორიები, ამიტომ მოგების როლის გადიდება წარმოების ეკონომიურ სტიმულირებაში, სამეურნეო ანგარიშისა და ფასწარმოქმნის სისტემის სრულყოფა სრულიადაც არ ნიშნავს სოციალიზმის „ტრანსფორმაციას“ კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკად—„საბაზრო სოციალიზმად“, ანუ „კონკურენციულ სოციალიზმად“, „ლიბერმანიზმად“.

„სოვეტოლოგები“ ისტორიულ სინამდვილეს ამახინჯებენ და გაიძახიან. თითქოს კატეგორია „მოგება“ ახლა შემოიღეს სოციალისტურ ქვეყნებში. ამასთან ერთად ისინი აიგივებენ კაპიტალისტურ და სოციალისტურ მოგებას. „კრემლინოლოგმა“ ჰ. შვარცმა „ნიუ-იორკ ტაიმსში“ განაცხადა: „ძველი კომუნისტური ლოზუნგი „წარმოება მოხმარებისათვის და არა მოგებისათვის“, როგორც ჩანს, უკუგდებულ უნდა იქნეს, რამდენადაც მოგება სულ უფრო მეტად გამოიყენება როგორც ეკონომიური ეფექტურობის საბჭოთა კრიტერიუმი“.

ეკონომიური რეფორმა ითვალისწინებს მოგების როლის გადაჭრით გადიდებას. საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შეფასებისას მოგება გამოდის როგორც ყველაზე განმაზოგადებელი კრიტერიუმი. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სოციალისტური წარმოების მიზანი არის მოგება. ეკონომიური რეფორმა არ ცვლის და ვერც შეცვლის სოციალისტური წარმოების მიზანს. რეფორმამდე საწარმოს მუშაობის აკარგიანობაზე მსჯელობდნენ ზემოდან მიღებული გეგმის უამრავი მაჩვენებლის მიხედვით. რეფორმა ითვალისწინებს ამ მაჩვენებელთა შემცირებას. ამჟამად მთავარ კრიტერიუმად ითვლება რეალიზებული პროდუქციის მოცულობა, მოგების ჯამი და რენტაბელობა.

„სოვეტოლოგების“ მტკიცებით ცენტრალიზებული გეგმიანი მეურნეობიდან „საბაზრო ეკონომიკაზე ევოლუციის“ ერთ-ერთი მაჩვენებელია წარმოებითი ფონდების საფასური. ცნობილია, რომ მეურნეობის გაძლოლის ახალი ფორმები ძიზნად ისახვენ შინაგანი რეზერვების რაც შეიძლება ფართო მობილიზაციას. ამ მიზნით ეკონომიური რეფორმა ითვალისწინებს საფასურის შემოღებას წარმოებითი ფონდებისათვის საწარმოთა მოგებიდან ბიუჯეტში ანარიცხების სახით. ეს გარემოება იმიტია გამოწვეული, რომ წარმოებითი

ფონდების უფასოდ გადაცემა ამახინჯებდა საწარმოს საქმიანობის ნამდვილ სურათს, არ იძლეოდა სტიმულს ამ ფონდების სრული გამოყენებისათვის.

ცნობილმა „სოვეტოლოგმა“ ლ. ვოლინმა, რომელსაც აშშ-ის პრესა მიიჩნევს სოციალისტური სოფლის მეურნეობის „წამყვან ექსპერტად“, განაცხადა, რომ მატერიალური სტიმულირება სსრ კავშირში პირველად 1953 წ. შემოიღეს. აქაც ისტორიული ფაქტების დამახინჯებას აქვს ადგილი. ეკონომიური სტიმულირებაც არაა ახალი მოვლენა, იგი ადრეც წარმოადგენდა მეურნეობის გაძღოლისა და ანაზღაურების სოციალისტურ პრინციპს. ავიღოთ სოციალიზმის პრინციპი „თვითეულისაგან უნარის მისეღვით, თვითეულს შრომის მიხედვით“. აქ მოცემულია მატერიალური სტიმულირების მნიშვნელობა და დიდი როლი. სოციალიზმის პრინციპი უფლებას იძლევეს საზოგადოების თვითეულ მუშაკს ანაზღაურება მიიღოს დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით.

სამეურნეო ანგარიში, შრომის სოციალისტური ანაზღაურება. ტექნიკისა და წარმოებითი სიმძლავრეების უკეთ გამოყენებისა და სხვა გზები ახალი არაა. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდების მიზნით ეკონომიური რეფორმა ითვალისწინებს გზებსა და საშუალებებს წარმოებითი ფონდების უკეთ გამოყენებისათვის. ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ გაძლიერდეს ბრძოლა მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის.

„სოვეტოლოგებმა“ (პ. შვარცმა, რ. მოემ და სხვ.) ამ ღონისძიებას უწოდეს „გადახვევა მარქსისტული პოლიტეკონომიიდან“. მათი აზრით, ეს ნიშნავს კაპიტალიზმის კატეგორიების შემოღებას, „კაპიტალის ნაყოფიერებისა“ და „წარმოების სამი ფაქტორის“ მარჯინალური თეორიის გამოყენებას. მარჯინალიზმი კი ემყარება წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების არსებობასა და კაპიტალისტურ საქონელწარმოებას.

დასაარსებლ, ორიოდ სიტყვით მენეჯერებისა და მენეჯერიზმის⁷³ შესახებ (ინგლისური manager — პატრონი, უფროსი). მენეჯერიზმი ბურჟუაზიული აპოლოგიის ახალი ფორმაა. იგი წარმოადგენს „სახალხო კაპიტალიზმის თეორიის“ ერთ-ერთ ვარიანტს. მენეჯერიზმის („მმართველთა საზოგადოების“) თეორეტიკოსი ამერიკელი ა. ბერლი თავის წიგნში „ხელისუფლება საკუთრების გარეშე“ აცხადებს, თითქოს სახელმწიფო-მონოპოლისტურმა კაპიტა-

⁷³ ეს საკითხი ვრცლად გვაქვს განხილული შრომაში „ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა“, ნაწ. I, 1962, გვ. 316—327 და ნაწ. III, 1964, გვ. 527—528.

ლოზმმა მოსპო კაპიტალისტთა ბატონობა და მთელი ძალაუფლება ეკუთვნის „მმართველებს“, „მენეჯერებს“ (აქედან „მმართველთა საზოგადოება“). მენეჯერიზმის (მენეჯმენტის) მეორე თეორეტიკოსი ჯ. ბერნჰეიმი კი აცხადებს, რომ „მენეჯერთა საზოგადოებაზე“ გადადის სსრ კავშირი. მისი აზრით, კაპიტალისტი-მენეჯერი და საბჭოთა საწარმოს დირექტორი ერთიანია.

ასეთი დასკვნების გამოტანას ა. ბერლი, ე. ბოეტხერი, ჯ. ბერნჰეიმი და მათი თანამოაზრენი საფუძვლად უდებენ იმ გარემოებას, რომ ეკონომიური რეფორმა ითვალისწინებს საწარმოს ხელმძღვანელის უფლებათა გაფართოებას. წინათ დირექტორი ზემდგომი ორგანოებიდან იღებდა 4 გვერდულ დავალებას, ხოლო ამჟამად ცენტრალიზებული წესით ღებულობს ერთს — ხელფასის ფონდს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ სოციალისტური საწარმოს დირექტორი (ხელმძღვანელი) იგივეა, რაც კაპიტალისტური საწარმოს მენეჯერი. მათ შორის არის ძირფესვიანი განსხვავება, მაგალითად:

1. სოციალისტური საწარმოს დირექტორი ინიშნება სახელმწიფო ორგანოების მიერ და იგი უნდა მოქმედებდეს მთელი საზოგადოების ინტერესებისათვის. მენეჯერი კი ინიშნება ამ პოსტზე (ან აირჩევა) იმათ მიერ, ვის ხელშიცაა სააქციო საზოგადოებათა საკონტროლო პაკეტი, ე. ი. მილიონერებისა და მილიარდერების მიერ;

2. სოციალისტური საწარმოს დირექტორი შრომით შემოსავალს იღებს, რომელსაც საფუძვლად უდევს შრომის ანაზღაურების სოციალისტური პრინციპი. მენეჯერი კი გამოდის, როგორც კაპიტალისტთა კლასის წარმომადგენელი და მონაწილეობს ზედმეტი ღირებულების მითვისებაში (მენეჯერის „ხელფასი“ კოლოსალური თანხაა. მაგალითად, „ჯენერალ მოტორსის პრეზიდენტი ერთ წელიწადში იღებს 655 000 დოლარს)⁷⁴. გარდა ხელფასისა, მენეჯერი, როგორც მსხვილი აქციონერი, იღებს დამატებით კიდევ არაშრომით შემოსავალს;

3. კაპიტალისტური მენეჯერები ხშირად გამოდიან არა როგორც მილიონერთა და მილიარდერთა საწარმოს ადმინისტრატორ-ხელმძღვანელები, არამედ როგორც ხელმძღვანელიც და მესაკუთრეც. სოციალისტური საწარმო კი წარმოადგენს ხალხის, საზოგადოების საკუთრებას და მისი ხელმძღვანელი უნდა ასრულებდეს სოციალისტური საზოგადოების ნებასურვილს და სხვ.

მხოლოდ 50 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სსრ კავშირი სოციალისტური განვითარების გზას დაადგა. ეს იყო ძნელი და გაუკვალა-

⁷⁴ იხ. В. Зорин, Некоронававшие короли Америки, 1968, гл. 11.

ვი გზა, მაგრამ ყოველგვარი სიძნელე დაძლეულ იქნა და შეიქმნა მწლავრი სოციალისტური სახელმწიფო. მიუხედავად იმისა, რომ დაახლოებით 20 წელი დასჭირდა აგრესიის მოგერიებასა და სახალხო მეურნეობის შემდგომ აღდგენას, სსრ კავშირი გადაიქცა გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნად.

კომუნისმის ძალები აურაცხელია, მის მხარეზეა ცხოვრების სიმართლე. კომუნისმის იდეები ჩვენი დროის წამყვანი იდეებია, თანამედროვე ისტორიის დიდი შემოქმედებითი ძალაა. გმირი საბჭოთა ხალხი აშენებს კომუნისმს, რაც საბჭოთა საზოგადოების ნახევარსაუკუნოვანმა განვითარებამ მოამზადა.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ 120 წლის წინათ წერდნენ: „აჩრდილი დაღის ევროპაში — აჩრდილი კომუნისმისა“. ახალ ტრიუმფს აღწევს მარქსიზმ-ლენინიზმი თანამედროვე ეპოქაში. კომუნისმი, რომელიც ოდესღაც მხოლოდ ოცნება იყო, თანამედროვეობის უდიდესი ძალა გახდა. ისტორიის ყოველ შემობრუნებასთან ერთად მარქსიზმი სულ ახალ-ახალ გამარჯვებებს აღწევდა. მსოფლიო პროლეტარიატის ბრძოლამ, რომელსაც გზას უნათებს მარქსიზმი, კაცობრიობა მიუახლოვა კომუნისმს. პარზის კომუნა, ოქტომბრის რევოლუცია, სოციალისტური რევოლუციები ჩინეთში, ევროპის, აზიისა და ამერიკის ქვეყნებში, სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში, გადამწყვეტი გამარჯვებანი სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა — კ. მარქსის რევოლუციური მოძღვრების უდიდესი ტრიუმფია. მარქსიზმი მოწინავე კაცობრიობის ფიქრთა მპყრობელი გახდა. კაცობრიობის მესამედი ახალ ცხოვრებას მარქსიზმის დროშით აშენებს. მომავალი წლები ახალ გამარჯვებებს მოუტანს მარქსიზმ-ლენინიზმს, მეურნეობის სოციალისტურ სისტემას.

მარქსიზმის გამარჯვების კვალობაზე ძლიერდება ანტიკომუნისმის თეორეტიკოსთა ლაშქრობა. ისინი მიმოქცევაში უშვებენ ახალ კონცეფციებს, რომელთაც ანტიკომუნისტური მიმართულება აქვთ. ერთ-ერთ ასეთ კონცეფციას წარმოადგენს „ტოტალიტარიზმის“ დოქტრინა⁷⁵.

⁷⁵ 1968 წ. 9—11 ოქტომბერს მოსკოვში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში ჩატარდა საკავშირო-სამეცნიერო სესია, რომელიც სოციალიზმის ანტიმარქსისტული თეორიების კრიტიკას მიეძღვნა. ამ კონფერენციაზე ჩვენ გავაკეთეთ მოხსენება „Антисоциалистическая направленность доктрины „тоталитаризма“. წინამდებარე წიგნში შევიდა იგი ზოგიერთი ცვლილებით.

§ 4. „ტოტალიტარიზმის“ დოქტრინა, როგორც თანამედროვე ანტიკომუნისტური ნეოლიბერალური ვარიანტი

თანამედროვე ანტიკომუნისტური ნეოლიბერალური მიმართულება (ნეოავსტრიული სკოლა, ორდოლიბერალიზმი, კენანის სკოლა, მილანის ჯგუფი და სხვ.) გაძლიერებით ქადაგებს „ტოტალიტარიზმს“⁷⁶ და „კოლექტივიზმის“ ანტიმარქსისტულ დოქტრინას. ნეოლიბერალური სკოლების ლოზუნგს შეადგენს ანტიკოლექტივიზმი და „ანტიტოტალიტარიზმი“, რაც სინამდვილეში ანტიკომუნისტია და სხვა არაფერი.

ნეოავსტრიული სკოლა და ანტიკომუნისტური ნეოლიბერალური მიმართულების სხვა განშტოებანი იყენებენ ტოტალიტარიზმის დოქტრინას და ასე ცდილობენ კომუნისტებისათვის სახელის გატეხას. ე. წ. „ანტიტოტალიტარიზმის“ პროპაგანდით ანტიკომუნისტური ნეოლიბერალური მიმართულება დევნის ყოველივე მოწინავესა და რევოლუციურს, იცავს კაპიტალისტურ „თავისუფალ საბაზრო მეურნეობას“. ანტიკომუნისტური კამპანიის საქმეში პირველხარისხოვან როლს ასრულებს ტოტალიტარიზმისა და ნეოკომუნისტური დოქტრინა.

ანტიკომუნისტური ნეოლიბერალური მიმართულება მოუწოდებს რეაქციულ ძალებს, სოციალური პროგრესის მტრებს. რათა გაერთიანდნენ ანტიკომუნისტური შავი ღრობის ქვეშ. ანტიკომუნისტური ნეოლიბერალური მიმართულების თეორეტიკოსები (ე. შაუენი, ა. რიუსტოვი, ვ. რეპკე და სხვ.) აცხადებენ, რომ „თავისუფალი სოციალური საბაზრო მეურნეობა“ არის ანტიკომუნისტური პროგრამა, „კომუნისტის კონტროლურ პროგრამა“⁷⁷. მათი აზრით, კაპიტალისტური საბაზრო მეურნეობა არის „თავისუფალი სამყარო“, ხოლო მეურნეობის მსოფლიო სოციალისტური სისტემა — სოციალიზმის „ტოტალიტარული დიქტატურა“, ტოტალიტარიზმი. მეტიც, ანტიკომუნისტური ნეოლიბერალური მიმართულების მტკიცებით, სოციალიზმი. კოლექტივიზმი, ფაშიზმი და ტოტალიტარიზმი „სინონიმებია“⁷⁸. ანტიკომუ-

⁷⁶ ტოტალიტარიზმი, ტოტალიტარული (გერმ. Totalitarismus, ფრანგ. totalitaire)—რეჟიმი, რომლის დროს მძვინვარებს ბურჟუაზიის აშკარა ტერორისტული დიქტატურა, ფაშისტური დიქტატურა. total (ფრანგ.) ნიშნავს ყოველსომოცველს, საყოველთაოს. მაგალითად, ტოტალური ომი, ტოტალური დაკავგმვა და ა. შ. იხ. В. Хайз е. В плену иллюзии, 1958, გვ. 412.

⁷⁷ A. Rüstow, Soziale Marktwirtschaft als Gegenprogramm gegen Kommunismus und Bolschewismus. — „Wirtschaft ohne Wunder“, 1953, გვ. 97—106.

⁷⁸ Bürgerliche Ökonomie im modernen Kapitalismus, 1967, S. 538—543.

ნიშმი ნეოლიბერალური მიმართულების დეგრადაციისა და გადატაკების მაჩვენებელია. ანტიკომუნისმმა ნეოლიბერალიზმი იდეურ-პოლიტიკურ ჩიხში მოაქცია. დასავლეთის პრესაც ვერ უარყოფს ნეოლიბერალიზმის კრიზისს⁷⁹.

ტოტალიტარიზმის ანტიკომუნისტურ დოქტრინას საფუძვლად უძევს ნეოლიბერალური მოძღვრება „მეურნეობის იდეალური ტიპების შესახებ“⁸⁰. ამ ანტიმარქსისტული დოქტრინის თეორეტიკოსთა აზრით, არაებობს მეურნეობის (ეკონომიკის) ორი იდეალური ტიპი: 1. „თავისუფალი საბაზრო მეურნეობა“ და 2. „ცენტრალურ-მართული მეურნეობა“. საბაზრო მეურნეობის ქვეშ იხინი გულახმობენ: თავისუფალ ბაზარს (თავისუფალი კონკურენცია, ფააების თავისუფალი თამაში — შეჯიბრება, პატიოსანი კონკურენცია); თავისუფალ მეწარმეობას — უმონოპოლიო საქონელწარმოებას, ინდივიდუალიზმს (პერსონალიზმს), ეკონომიურ დემოკრატიას და ა. შ.

„ცენტრალურ-მართული მეურნეობა“, ტოტალიტარიზმის თეორეტიკოსთა აზრით, არის მბრძანებლური ეკონომიკა, ავტარკია, დესპოტია, დიქტატურა, პლანიზმი, კოლექტივიზმი და ტოტალიტარიზმი. აი სწორედ „ცენტრალურ-მართული მეურნეობა“ წარმოუდგენიათ მათ ტოტალიტარიზმად. ტოტალური ეკონომიკა (ტოტალიტარიზმი) ანტიკომუნისმის თეორეტიკოსებს წარმოდგენილი აქვთ როგორც ცენტრალიზებული მართვადი ეკონომიკა, სადაც ყველა საწარმო და სამეურნეო ერთეული ექვემდებარება ერთიან ხელმძღვანელ და მმართველ ცენტრს.

„ცენტრალურ-მართული მეურნეობის (ტოტალიტარიზმის)“ ქვეშ ნეოლიბერალები გულახმობენ: მონათმფლობელურ წარმოებას წესს (ძველი რომის მონათმფლობელური ლატიფუნდიები, ეგვიპტას ფარაონთა მეურნეობა, მონათმფლობელური ბაბილონის, ჩინეთის, ინდოეთის მეურნეობა), ფეოდალურ მეურნეობას, ფაშისტურ ეკონომიკას და გეგმიან სოციალისტურ ეკონომიკას. აშკარაა ტოტალიტარიზმის დოქტრინის ანტიკომუნისტური მიზანდასახულება. ტოტალიტარიზმის ერთ-ერთი ნეოლიბერალი თეორეტიკოსი ე. ოიკენერდზიკი თავის სტატიაში „ტოტალიტარული ბატონობა ტრანსფორმაციაში“ განახსუავებს ტოტალიტარიზმის ძველ და თანამედროვე ფორმებს. მისი აზრით, ქალაქი-საჩელმწიფო სპარტა მონათმფლობე-

⁷⁹ იხ. „Der Volkswirt“, Hf. 2, 1968, გვ. 27 — 28.

⁸⁰ ეს საკითხები ვრცლად განხილული შრომაში: გ. ჯანუყვამიძე, ჯულგარული ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწილი მესამე, 1964, გვ. 7—65.

ლურ საბერძნეთში მიეკუთვნება ტოტალიტარიზმის ძველ ფორმას. ტოტალიტარიზმის თანამედროვე ფორმად კი იგი აცხადებს „სოციალისტურ ტექნოკრატias“.

ანტიკომუნისმის თეორეტიკოსთა ნეოლიბერალური მიმართულე-ბა ტოლობის ნიშანს სვამს ტოტალიტარიზმსა და ცენტრალურ-მართულ მეურნეობას შორის. „ტოტალიტარულ სისტემაში, — წერს ე. ოიკენ-ერდზიკი, — ბატონობს ცენტრალურ-მართული მეურ-ნეობა“⁸¹.

ნეოლიბერალური მიმართულების მთავარი თეორეტიკოსი ე. ოი-კენი განასხვავებს „ცენტრალურ-მართული მეურნეობის“ სამ ვა-რიანტს: 1. „სრული (ტოტალური) ცენტრალურ-მართული მეურ-ნეობა“, 2. „ცენტრალურ-მართული მეურნეობა თავისუფალი მოხ-მარებითა და საქონელგაცვლით“, 3. „ცენტრალურ-მართული მეურ-ნეობა მოხმარების თავისუფალი არჩევით“. შემდეგ ე. ოიკენი „აკონ-კრეტებს“ თავის ტიპიზაციას და აკეთებს დასკვნას, რომლის მიხედ-ვით ორი ძირითადი სახე არსებობს: 1 „ცენტრალურ-მართული მე-ურნეობა წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებით“ და 2. „ცენტრალურ-მართული მეურნეობა წარმოების საშუალებებზე კოლექტიური საკუთრებით“⁸².

სწორედ ამ ანტიმარქსისტულ დებულებაზეა დაფუძნებული ნეოლიბერალური ანტიკომუნისტური დოქტრინა „ტოტალიტარიზ-მი“. ანტიკომუნისტთა მტკიცებით, „ცენტრალურ-მართული მეურნე-ობა“ არის კოლექტივიზმი და ტოტალიტარიზმი. მათი აზრით, კო-ლექტივიზმი და ტოტალიტარიზმი არსებობს ორი ფორმით: 1. „წი-თელი ტოტალიტარიზმი — წითელი კოლექტივიზმი“ და 2. „ყვითელი ტოტალიტარიზმი — ყვითელი კოლექტივიზმი“.

ტოტალიტარიზმის თეორეტიკოსი ე. რეპკე წერს: „კომუნისმი ტოტალიტარიზმის ერთი ფორმაა, ხოლო მისი ყვითელი კონკურენ-ტია ნაციონალ-სოციალიზმი“⁸³. მეტიც, ანტიკომუნისმის და „ანტი-ტოტალიტარიზმის“ პროპაგანდისტი ე. რეპკე ტოტალიტარიზმის ყველაზე უფრო საშიშ ფორმად კომუნისმს მიიჩნევს. „ბოლშევიზ-მი თავისი ბუნებით, — წერს იგი, — ტოტალიტარიზმის უკიდურესი და ყველაზე უფრო საშიში ფორმაა“⁸⁴.

⁸¹ E. Eucken-Erdsick, Totalitäre Herrschaft in der Wandlung.—ORDO, Bd. 14, 33-33.

⁸² W. Eucken, Grundsätze der Wirtschaftspolitik, 1952, 33-60.

⁸³ W. Röpke, Die Ordnung der Wirtschaft, Frankfurt a. M., 1948, 23-20. C. Friedrich, Totalitäre Diktatur, Stuttgart, 1957.

⁸⁴ W. Röpke, Wort und Wirkung, Ludwigsburg, 1965, 33-98.

„ტოტალიტარიზმის“ თეორეტიკოსები ამხინჯებენ საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას. ისინი უგულვებელყოფენ ისტორიულ სინამდვილეს და, ნაცვლად ისტორიაში ცნობილი წარმოებით ურთიერთობათა ხუთი ძირითადი ტიპისა, მიუთითებენ „მეურნეობის ორი იდეალური ტიპის“ არსებობას. ამასთან ერთად მეურნეობის სისტემის განმსაზღვრელ კრიტერიუმად იღებენ წარმოების მართვის ფორმებს. მათი გამოსავალი პოსტულატია: ვინ მართავს წარმოებას? ცენტრალიზებული ორგანო ზემოდან, თუ საბაზრო ავტომატიზმი („უჩინარი ხელი“).

ცნობილია, რომ წარმოების წესი ზედნაშენთან ერთად შეადგენს საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციას. წარმოების წესის განვითარება-ცვლილების, სხვადასხვა ეკონომიური ეპოქების განმსაზღვრელ კრიტერიუმად ტოტალიტარიზმის თეორეტიკოსები იღებენ „სამეურნეო პროცესის მართვის ფორმებს“ და უგულვებელყოფენ წარმოებით ურთიერთობებსა და წარმოების წესს, ე. ი. მთავარს. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ ერთ ნაკადში წარმოადგინონ ნაციტური ეკონომიკა და გეგმიანი სოციალისტური სახალხო მეურნეობა. კ. მარქსი წერს: „როგორც უნდა იყოს წარმოების საზოგადოებრივი ფორმები, მუშები და წარმოების საშუალებანი მუდამ მის ფაქტორებად რჩებიან. მაგრამ ერთნიც და მეორენიც, ერთმანეთისგან გათიშვის მდგომარეობაში მყოფნი, მის ფაქტორებს წარმოადგენენ მხოლოდ შესაძლებლობის მიხედვით. იმისათვის, რომ საერთოდ აწარმოო, ეს ფაქტორები ერთმანეთს უნდა შეუერთდნენ. ის განსაკუთრებული ხასიათი და წესი, რომლითაც ეს შეერთება ხორციელდება განასხვავებს საზოგადოებრივი სტრუქტურის სხვადასხვა ეკონომიურ ეპოქებს“⁸⁵.

ანტიკომუნისმის თეორეტიკოსები განგებ შლიან ზღვარს სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციებს შორის, რათა სახელი გაუტეხონ მეურნეობის სოციალისტურ სისტემას, კომუნისმს. „ანტიტოტალიტარიზმის“ ყალბი დროშით ნაციზმის, იმპერიალიზმის, დესპოტიის მტრებად მოაქვთ მათ თავი. ი. შუმპეტერი თავის სტატიაში „იმპერიალისტთა სოციოლოგიისათვის“⁸⁶ სწორედ ანას ისახავს მიზნად.

ტოტალიტარიზმი (დესპოტია) — შეუზღუდავი თვითმპყრობელური ძალაუფლების ფორმა — სათავეს მართლაც იღებს მონათმფლობელურ მონარქიებში. ბატონობის დესპოტური ფორმა განისაზღვ-

⁸⁵ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. II, გვ. 41.

⁸⁶ J. Schumpeter, Zur Soziologie der Imperialisten. — „Archiv für Sozialwissenschaft und Sozialpolitik“, 46, 1919, გვ. 1—39.

რებოდა იმ ეკონომიური საფუძვლით, რომელსაც მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები წარმოების აზიურ წესს უწოდებდნენ. დესპოტიის მაგალითს მართლაც წარმოადგენდა ძველი ეგვიპტის მონათმფლობელური სახელმწიფო, რომელსაც სათავეში ედგა მონარქი — ფარაონი: აგრეთვე ძველი ბაბილონი, ასირია, ჩინეთი და სხვ.

მმართველობის ცენტრალიზმი, დესპოტია კაპიტალიზმის პირობებში განისაზღვრება აგრეთვე თვით კაპიტალისტური წარმოების წესით. ამ საკითხს კ. მარქსი განიხილავს „კაპიტალის“ I ტომის მეთერთმეტე თავში „კოოპერაცია“. „ყოველი უშუალოდ საზოგადოებრივი, ანუ კოლექტიური შრომა, რომელიც დიდი მასშტაბით წარმოებას, მეტად თუ ნაკლებად მმართველობას საჭიროებს; ეს უკანასკნელი ამყარებს ინდივიდუალურ მოქმედებათა ჰარმონიას და ასრულებს საერთო ფუნქციებს, რომლებიც მთელი საწარმოო სხეულის მოძრაობიდან გამომდინარეობენ მისი დამოუკიდებელი ორგანოების მოძრაობისაგან განსხვავებით. ცალკეული ეოლინოს ჯაჭვრელი თვითონ ლოტბარობს თავისთავს, ორკესტრი ლოტბარს საჭიროებს. აი ამ ხელმძღვანელობის, ზედამხედველობისა და შეიანხმების ფუნქცია კაპიტალის ფუნქციად იქცევა, როგორც კი მისდაპირა დაქვემდებარებული შრომა კოოპერაციული ხდება. ხელმძღვანელობის ფუნქცია, როგორც კაპიტალისტის სპეციფიკური ფუნქციაა სპეციფიკურ დამახასიათებელ ნიშნებს იღებს“⁸⁷.

კაპიტალისტური წარმოების დახასიათებისას კ. მარქსი მიუთითებს, რომ „როგორც ჯარი საჭიროებს სამხედრო უფროსებს, სწორედ ასევე მუშების მასაც, რომელიც ერთისა და იმავე კაპიტალის მბრძანებლობის ქვეშ ერთად მოქმედებს, საჭიროებს სამრეწველო ობერ-ოფიცრებს (გამგებებს, managers) და უნტერ-ოფიცრებს (შრომის ზედამხედველებს, foremen, overlookers, contre-maitres), რომელიც შრომის პროცესის განმავლობაში კაპიტალის სახელით მბრძანებლობენ“⁸⁸.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კაპიტალი ბატონობს. ეს ბატონობა შეუზღუდავი და დესპოტურია, რომელიც განსაკუთრებით მწვავე და საშიშ ფორმას იღებს სახელმწიფო-მონოპოლიისტური კაპიტალიზმის პირობებში. „კაპიტალისტი იმიტომ კი არ არის კაპიტალისტი, რომ იგი მრეწველობის ხელმძღვანელია, არამედ, პირიქით. მრეწველობის მბრძანებელი იმიტომ ხდება, რომ იგი კაპიტალისტია. უმაღლესი მბრძანებლობა მრეწველობაში კაპიტალის ატრიბუტი

⁸⁷ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 420.

⁸⁸ იქვე, გვ. 422.

ხდება, ისევე როგორც ფეოდალურ ხანაში უმაღლესი მბრძანებლობა ომში და სასამართლოში მიწის საკუთრების ატრიბუტი იყო⁸⁹.

კაპიტალიზმის დროს კაპიტალის ბატონობა განსაკუთრებით დესპოტური და ტოტალურია, მაგრამ ეს დესპოტიზმი ზოგჯერ შენიღბულია. კ. მარქსი აღნიშნავს, რომ დესპოტია უფრო აშკარად და უხეშად გამოიყურება ძველი აზიელების, ეგვიპტელების, ეტრუსკებისა და სხვ. ბუმბერაზ ნაგებობებში. კოოპერაციის სპორადული გამოყენება დიდი მასშტაბით ხდებოდა, როგორც ანტიკურ ქვეყნებში, ასევე ფეოდალურ ხანაში. აქ იგი ემყარებოდა უშუალო ბატონობისა და დამონების ურთიერთობებს, უმეტესად მონობას. კაპიტალის ბატონობა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში გულისხმობს თავისუფალ დაქირავებულ მუშას. კაპიტალიზმის დროს ცენტრალიზმი და დესპოტიზმი გახვეულია ბურჟუაზიული დემოკრატიის გარსში, რაც, ცხადია, ვითარებას არ ცვლის. „თავისი ფორმით, — წერს კ. მარქსი, — კაპიტალიზმური ხელმძღვანელობა დესპოტურია. რამდენადაც კოოპერაცია დიდი მასშტაბით ვითარდება, ეს დესპოტიზმიც თავის განსაკუთრებულ ფორმებას ავითარებს“⁹⁰.

ცენტრალიზმი მართვაში სოციალიზმის დროს ძირფესვიანად განსხვავდება კაპიტალიზმისაგან. იგი გამოდის მხოლოდ სოციალიზმისათვის დამახასიათებელი ფორმით — დემოკრატიული ცენტრალიზმის სახით, რომელსაც საფუძვლად უდევს წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება და სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობანი. ვ. ი. ლენინი წერს: „ჩვენ ვემხრობით დემოკრატიულ ცენტრალიზმს და ნათლად უნდა შევიგნოთ, რა დიდად განსხვავდება დემოკრატიული ცენტრალიზმი, ერთი მხრით, ბიუროკრატიული ცენტრალიზმისაგან, მეორე მხრით, ანარქიზმისაგან... იმაზე მცდარი არა არის რა, როგორც დემოკრატიული ცენტრალიზმის არევა ბიუროკრატიზმსა და შაბლონიზაციაში“⁹¹.

ტოტალიტარიზმის თეორეტიკოსები კი ზღვარს შლიან სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციებს შორის და ტოლობის ნიშანს სვამენ კაპიტალის დესპოტიზმს, ცენტრალიზმსა და ცენტრალიზებულ სოციალისტურ დაგეგმვას შორის. რა თქმა უნდა, მარქსიზმ-ლენინიზმი გმობს ასეთ ანტიისტორიულ მიდგომას. „კაპიტალიზმის ხელმძღვანელობა არის არა მარტო საზოგადოებრივი შრომითი პროცესის ბუნებიდან გამომდინარე და ამ პროცესის კუთვნილი განსაკუთრებული ფუნქცია, იგი ამავე დროს ამ საზოგადოებ-

⁸⁹ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 423.

⁹⁰ იქვე, გვ. 422.

⁹¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 237 — 233.

როვი შრომითი პროცესის ექსპლოატაციის ფუნქციაა და ამიტომ გაპირობებულია გარდუვალი ანტაგონიზმით ექსპლოატატორსა და მის მიერ საექსპლოატაციო ნედლ მასალას შორის. ასევე, წარმოების საშუალებათა მოცულობის ზრდასთან ერთად, რომლებიც დაქირავებულ მუშას სხვისი საკუთრების სახით უპირისპირდებიან, იზრდება ამ საშუალებათა მიზანშეწონილი გამოყენებისადმი კონტროლის აუცილებლობაც⁸².

აქედან ტოტალიტარიზმის თეორეტიკოსები უგულვებელყოფენ მთავარს—წარმოებით ურთიერთობებსა და წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმებს და ერთ ნაკადში განიხილავენ მეურნეობის სხვადასხვა სისტემებს. ფ. ჰაიეკი ერთიმეორეში ურევს სოციალისტურ დაგეგმვასა და ფაშისტურ კორპორატივიზმს. ამ უკანასკნელს იგი „მეცნიერულ დაგეგმვასაც“ კი უწოდებს⁸³. „ანტიტოტალიტარიზმის“ პროპაგანდისტები თავისუფლებისა და დემოკრატიის განსახიერებად ასახელებენ ნეოლიბერალურ სოციალურ საბაზრო მეურნეობას, ხოლო გეგმიან სოციალისტურ ეკონომიკას აყენებენ ნაცისტური ტოტალიტარიზმის გვერდით. „აქ.—წერს ე. რეპკე,—პერსონალიზმი დგას კოლექტივიზმის, თავისუფლება — ძალაუფლების კონცენტრაციის, დეცენტრიზმი ცენტრიზმის, მოქმედების თავისუფლება ორგანიზაციის წინააღმდეგ და ა. შ.“⁸⁴.

პერსონალიზმის, თავისუფლების, დეცენტრიზმის, დემოკრატიის ქვეშ ტოტალიტარიზმის თეორეტიკოსები გულისხმობენ კაპიტალისტურ საქონელწარმოებას, ხოლო — ცენტრიზმი, ძალაუფლების კონცენტრაცია, კოლექტივიზმი, დესპოტია, მათი აზრით. ტოტალიტარიზმი და ტრიბალიზმია. ისინი აყენებენ ასეთ ალტერნატივას: „თავისუფლება ან ტოტალიტარიზმი“ და გამოდიან როგორც „თავისუფლების დამცველნი, ე. ი. ანტიტოტალიტარისტები“. ..დიღემა თავისუფლებასა და ძალადობას შორის, — წერს ე. ოიკენ-ერდზიკი,—გარდაუვალია ტოტალიტარული ბატონობისათვის⁸⁵. ტოტალიტარიზმის დოქტრინის დამცველები კაპიტალისტურ საქონელწარმოებას მიიჩნევენ თავისუფლების განსახიერებად, ხოლო გეგმიან სოციალისტურ ეკონომიკას „ეკონომიურ დესპოტიასა და ეკონომიურ დიქტატურას, ეკონომიურ და პოლიტიკურ დესპოტიას, კომუნისტურ ეკონომიზმს, კომუნისტურ იმპერიას, კომუნისტურ — რუსულ

⁸² ე. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 421.

⁸³ F. Hayek, Der Weg zur Knechtschaft, გვ. 269.

⁸⁴ W. R ü p k e, Jenseits von Angebot und Nachfrage, გვ. 239.

⁸⁵ „ORDO“, Bd. 14, გვ. 32.

იმპერიალიზმს“⁹⁶ უწოდებენ. ასე ცდ-ლობენ „ანტიტოტალიტარის-ტები“ კომუნიზმის იდეების დიფამაციას, ფართო მასებში მეურნეო-ბის სოციალისტური სისტემისათვის სახელის გატეხას.

ამრიგად, ნეოლიბერალური „ანტიტოტალიტარიზმი“ არის ანტი-კომუნიზმი, რომელიც მიმართულია წარმოების სოციალისტური წესის წინააღმდეგ. ამ გარემოებას არც კი ფარავენ ტოტალიტარიზ-მის ნეოლიბერალური თეორეტიკოსები. „ნაციონალ-სოციალიზმის ჩასვენების შემდეგ, — წერს ვ. რეპკე, — კომუნიზმი არის ტოტალი-ტარიზმის ერთადერთი ფორმა“⁹⁷. ვ. რეპკეს იერიში მიაქვს „კომუ-ნისტურ ტოტალიტარიზმზე“⁹⁸.

ვ. რეპკეს, ფ. ჰაიეკს, ა. ვებერს, ფ. ბემსა და სხვა „ანტიტოტა-ლიტარისტებს“ მოსვენებას არ აძლევს მარქსიზმის ტრიუმფი, მათ ეშინიათ კომუნიზმის გამარჯვებისა და მოითხოვენ ანტიკომუნიზმის გაძლიერებულ პროპაგანდას. კომუნიზმი, მათი აზრით, „ძალზე აქ-ტიური ვულკანია“⁹⁹. ამიტომ ყოველ ღონეს ხმარობენ ისინი იმისათ-ვის, რომ სახელი გაუტეხონ მარქსიზმ-ლენინიზმს, მეურნეობის სო-ციალისტურ სისტემას. „ანტიკომუნიზმი დღეს. — წერს ვ. რეპკე, — ეს იგივეა, რაც ანტინაციონალ-სოციალიზმი წინათ“¹⁰⁰.

ფაშისტური სისხლიანი დიქტატურა, ნაციტური ტოტალიტარიზ-მი წარმოადგენს ბურჟუაზიული სახელმწიფოს პოლიტიკური რეჟი-მის ერთ-ერთ ფორმას სამხედრო-მონოპოლისტური სახელმწიფოებ-რივი კაპიტალიზმის პირობებში. ნაციზმის დროს გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ ფაშიზებულ მსხვილ მონოპოლიებს. ამას, რა თქმა უნდა, ჩქმალავენ ტოტალიტარიზმის „კრიტიკოსები“. მართა-ლია, ისინი დიდ ხმაურს ტეხენ თავიანთი „ანტიტოტალიტარიზმის“ გარშემო, თუმცა მთავარ ცეცხლს წარმართავენ მეურნეობის მსოფ-ლიო სოციალისტური სისტემის. მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ-ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს თუნდაც ის ფაქტი, რომ ისინი ტოტალიტარიზმის ნიშანს სვამენ ნაციტურ დიქტატურასა და პროლე-ტარიატის დიქტატურას შორის, ორივეს უწოდებენ ტოტალიტარიზ-მისა და კოლექტივიზმის ფორმას, დაეძებენ „საერთოს, პარალელს“ ნაციონალ-სოციალიზმსა და კომუნიზმს შორის¹⁰¹.

ანტიკომუნიზმის თეორეტიკოსთა განცხადებით, „ნაციონალ-

⁹⁶ W. R ö p k e, Internationale Ordnung heute, გვ. 26, 84—94.

⁹⁷ W. R ö p k e, Wirrnis und Wahrheit, გვ. 7.

⁹⁸ W. R ö p k e, Die deutsche Frage, Erlenbach-Zürich, 1915, გვ. 244.

⁹⁹ იხ. „ORDO“, Bd. 14, გვ. 106.

¹⁰⁰ W. R ö p k e, Wort und Wirkung, გვ. 101.

¹⁰¹ იხ. F. A. H a y e k, Der Weg zur Knechtschaft, გვ. 49.

სოციალიზმი და მარქსიზმი საფუძვლით ერთი და იგივეა¹⁰². ფ. ჰაიეკი თავისი ანტიკომუნისტური წიგნის „გზა მონობისაკენ“ მეორემეტე თავში ცდილობს იმის დამტკიცებას, თითქოს „ნაციონალ-სოციალიზმს აქვს სოციალისტური ფესვები“¹⁰³. სინამდვილეში კი არავითარი საერთო არ არსებობს ფაშისტურ ნაციონალ-სოციალიზმსა და მეცნიერულ სოციალიზმს შორის. ნაციონალ-სოციალიზმი, ნაციზმი იყო და რჩება ფაშიზმის დოქტრინად. ჰიტლერელი „ნაციონალ-სოციალისტება“ იყვნენ სოციალიზმის დაუძინებელი მტრები, უბოროტესი რეაქციონერები და შავრაზმელები. ჰიტლერელების პარტიამ მუშათა კლასსა და ევროპის ხალხებს წაართვა ელემენტარული დემოკრატიული თავისუფლებანი. ფაშისტურ გერმანიასა და ნაციისტების მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში ნაციისტებმა მოსპეს მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირები, სხვა პარტიები, პარლამენტი, გაძარცვეს ხალხები, გაელიტეს მილიონობით ადამიანი.

ცხადია, არავითარი საერთო არ შეიძლება იყოს სოციალიზმსა და ჰიტლერულ „ნაციონალ-სოციალიზმს“ შორის. კითხვას: ვინ არიან „ნაციონალ-სოციალისტები“? ი. სტალინმა ასე უპასუხა: „ჰიტლერელთა პარტია არის იმპერიალისტთა პარტია, თანაც პარტია ყველაზე უფრო მტაცებელი და ავაზაკი იმპერიალისტებისა მსოფლიოს ყველა იმპერიალისტს შორის... ჰიტლერელთა პარტია არის პარტია დემოკრატიულ თავისუფლებათა მტრებისა, პარტია მუშა-საუკუნეობრივი რეაქციისა და შავრაზმული რბევა-აწიოკებისა“¹⁰⁴.

ჰიტლერელი „ნაციონალ-სოციალისტები“ მიზნად ისახავდნენ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს — სსრ კავშირის მოსპობას. მთელი პროგრესული კაცობრიობა სსრ კავშირის ზღვებსა და მათს შეიარაღებულ ძალებს უნდა უმადლოდეს ფაშიზმის განადგურებას. მიუხედავად ფაქტებისა, ისტორიული სინამდვილისა, ანტიკომუნისმის თანამედროვე თეორეტიკოსები საერთოს დაეძებენ ჰიტლერულ ნაციისტურ დიქტატურასა და სოციალისტურ ჯგემიან ეკონომიკას შორის. ეს სხვა არ შეიძლება იყოს, თუ არა უკიდურესი ანტიკომუნისმი.

ანტიკომუნისმის პროპაგანდისტები ტოტალიტარიზმის თეორეტიკოსთა ბანაკიდან ნიღბავენ ბურჟუაზიული წყობილების ექსპლოატატორულ ბუნებას, ცდილობენ თანამედროვე სახელმწიფომონოპოლარტური კაპიტალიზმის შელამაზებას, კომუნისმის დიფა-

¹⁰² იხ. F. A. Hayek, Der Weg zur Knechtschaft, გვ. 52, 52, 190.

¹⁰³ იქვე, გვ. 210 — 226.

¹⁰⁴ ი. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, 1949, გვ. 29—30.

მაციას, გაყალბებას¹⁰⁵. სწორედ ამიტომ ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ჩინური კედელი გაავლონ, ერთი მხრივ, ნაციისტურ ეკონომიკასა და თანამედროვე სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს შორის, მეორე მხრივ, საერთო მნიშვნელზე დაიყვანონ ნაციზმი და მეცნიერული სოციალიზმი¹⁰⁶, ფაშისტური ტოტალიტარიზმი და გეგმიანი სოციალისტური ეკონომიკა, ნაციონალ-სოციალიზმი და ბოლშევიზმი, გამოაცხადონ ისინი ტოტალიტარიზმის ნაირსახეობებად¹⁰⁷.

ტოტალიტარიზმის ნეოლიბერალი თეორეტიკოსები სოციალისტური სახალხო მეურნეობის გეგმავლობიერ განვითარებას ხატავენ შავ ფერებში, უწოდებენ მას ღესპოტიას, ტირანიას, ეკონომიურ დიქტატურას და ა. შ. სამაგიეროდ ნეოლიბერალური „სოციალური საბაზრო ეკონომიკა“ მათ მიაჩნიათ ეკონომიური თავისუფლებისა და ჰუმანიზმის განსახიერებად.

ტოტალიტარიზმის ანტიკომუნისტური დოქტრინა გავრცელებულია არა მარტო ავსტრიაში და გერ-ში, არამედ ინგლისშიც. ინგლისელი ნეოლიბერალები (კ. პოპერი და მისი მოწაფეები) ქადაგებენ ტოტალიტარიზმის დოქტრინის საკუთარ ვარიანტს „ტრიბალიზმის“ კონცეფციის სახით. ლონდონის უნივერსიტეტის ლოგისის პროფესორმა, ნეოპოზიტივიზმის თეორეტიკოსმა კ. პოპერმა საკუთარი ინტერპრეტაცია მისცა ორდოლიბერალურ მოძღვრებას მეურნეობის იდეალურ ტიპების შესახებ. კარლ პოპერი, ჩვენი აზრით, ნეოლიბერალურ მიმართულებას მიეკუთვნება. მას კარგად იცნობენ ორდოლიბერალები. საკმარისია აღინიშნოს მასი თანამშრომლობა „ორდო-წელიწდეულში“¹⁰⁸. კ. პოპერი იზიარებს და იცავს ორდოლიბერალიზმის მოძღვრებას. მან მეურნეობის იდეალურ ტიპებად წარმოადგინა: 1. „ღია აპროგადოება“ და 2. „დახურული (ჩაკეტილი) საპროგადოება“ (პოპერიც „ემიგრირებული სკოლა“ წარმოადგენელია).

„ჩაკეტილი საპროგადოების“ ცნებას ქვეშ კ. პოპერი გულისხმობს

¹⁰⁵ იხ. K. Thalheim, Grundzüge des sowjetischen Wirtschaftssystems. Köln, 1:62.

¹⁰⁶ იხ. W. Röpke, Zwischen Furcht und Hoffnung. — „Wo stehen wir heute?“ Gutersloh, 1950, გვ. 77.

¹⁰⁷ „Was ist Totalitarismus?“ — იხ. Bürgerliche Ökonomie im modernen Kapitalismus, Berlin, 1937, გვ. 539.

¹⁰⁸ K. R. Popper, Die öffentliche Meinung im Lichte der Grundsätze des Liberalismus, „ORDO“, Bb. VIII, 1956; იხ. აგრეთვე XIII ტ.

ტოტალიტარიზმს. თავისი ანტიკომუნისტური კონცეფცია კ. პოპერმა ჩამოაყალიბა ფილოსოფიურ-სოციოლოგიურ ნაწარმოებებში: „ღია საზოგადოება და მისი მტრები“¹⁰⁹ და „ისტორიციზმის კრიზისი“ (1944 წ.).

კ. პოპერი იმეორებს ლ. მიზესის, ფ. ჰაიეკისა და ვ. ოიკენის ანტიკომუნისტურ დოგმებს და „ღია საზოგადოების“ აღმით იცავს სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს. ჩვენი აზრით, არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს ლ. ნ. დანალოვას მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს კ. პოპერაა „ღია საზოგადოებისა“ და თანამედროვე ტოტალიტარიზმის დოქტრინის შემქმნელი¹¹⁰. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ლ. მიზესმა კ. პოპერზე ბევრად უფრო ადრე, მიმდინარე საუკუნის 20-იან წლებში, ხოლო ფ. ჰაიეკმა 30-40-იან წლებში, წამოაყენა იდეა „ღია, ანუ თავისუფალი საზოგადოებისა“ და ტოტალიტარიზმის შესახებ.

კ. პოპერის კონცეფცია „ჩაკეტილი საზოგადოების“ ანუ „ტოტალიტარიზმის“ შესახებ ძალიან ახლოს დგას ე. ოიკენ-ერდშიციის ორდოლიბერალურ მოძღვრებასთან. განსხვავება იმაშია, რომ კ. პოპერა ტოტალიტარიზმის თეორიას განიხილავს უფრო დეტალურად და სოციოლოგიურ ასპექტში. ტოტალიტარიზმის უძველეს ფორმებს კ. პოპერი დაეძებს პირველყოფილ-გვაროვნულ წყობილებაში.

კ. პოპერის „ღია (დემოკრატიული) საზოგადოება“ იგივეა, რაც ნეოლიბერალური „სოციალური (თავისუფალი) საბაზრო საზოგადოება“. კ. პოპერი ტოტალიტარიზმის უძველეს ფორმად ასახელებს პირველყოფილ-თემურ წყობილებას, რომელსაც იგი უწოდებს „კოლექტივისტურ საზოგადოებას“—ტრიბალიზმს. ტრიბალიზმის, ანუ ტოტალიტარიზმის უახლეს ფორმებად მას მიაჩნია ნაციისტური ეკონომიკა და გეგმიანი სოციალისტურა მეურნეობა.

კ. პოპერის კონცეფცია ტოტალიტარიზმის შესახებ სხვას არაფერს წარმოადგენს. თუ არა ნეოლიბერალური ტოტალიტარიზმის ინგლისურ ნაირსახეობას. განსხვავება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმაშია, რომ იგი ფილოსოფიურ-სოციოლოგიურ ახსნას აძლევს ტოტალიტარიზმის დოქტრინას. რა თქმა უნდა, ტოტალიტარიზმის პოპერისეული თეორიაც ემყარება ნეოპოზიტივიზმის საფუძვლებს. კ. პოპერი

¹⁰⁹ ეს ორტომიანი ნაწარმოები პირველად 1945 წ. გამოქვეყნდა ინგლისურ ენაზე. იხ. K. Popper, *The Open society and its enemies*, London, 1962. ეს წიგნი დღემდე 7-ჯერ გამოიცა. არის გერმანული თარგმანიც — K. Popper, *Die offene Gesellschaft und ihre Feinde*.

¹¹⁰ იხ. Л. Н. Данилова, *Антикоммунистическая сущность теории „открытого общества“*, Москва, 1967, стр. 4.

„ღრმად“ იჭრება ისტორიის ლაბირინთებში და ტოტალიტარიზმის დოქტრინის ფესვებს დაეძებს პლატონის მოძღვრებაში. მიაი აზრით, პლატონი არის ტრიბალიზმის, კომუნიზმისა და ტოტალიტარიზმის ფუძემდებელი. ტოტალიტარიზმის მოძღვრების თეორეტიკოსებად იგი ასახელებს აგრეთვე ჰეგელსა და კ. მარქსსაც კი.

კ. პოპერის ანტიკომუნისტურ მიზანდასახულებას შეადგენს მარქსიზმის გამოცხადება ტოტალურ მოძღვრებად, ხოლო გეგმიანი სოციალისტური ეკონომიკისა — ტოტალიტარიზმის თანამედროვე ფორმად. ტოტალიტარიზმის თეორეტიკოსი საერთო დაეძებს მარქსიზმსა და პლატონიზმს, პირველყოფილ-თემურ წყობილებასა და კომუნისტურ საზოგადოებას შორის.

პლატონიზმსა და მარქსიზმს შორის დამაკავშირებელ ხიდად კ. პოპერი მიიჩნევს ჰეგელის „ახალ ტრიბალიზმს (ტოტალიტარიზმს)“. კ. პოპერი იმეორებს ფ. ბემის, ვ. რეპკეს, ა. რიუსტოვისა და სხვ. „ანტიტოტალიტარიზმს“. მიაი „ორიგინალობა“ იმაშია, რომ იგი განასხვავებს ტოტალიტარიზმის, ანუ ტრიბალიზმის შემდეგ ფორმებს: 1. ძველი, ანუ პლატონური ტოტალიტარიზმი, პირველყოფილი ტრიბალიზმი, 2. ჰეგელიანური ტრიბალიზმი, ანუ ახალი ტრიბალიზმი ორი ფორმით: ფაშიზმი და მარქსიზმი. აი, სადამდე მიდის კ. პოპერის ანტიკომუნისტური მოძღვრება ტრიბალიზმის, ანუ ტოტალიტარიზმის შესახებ.

კ. პოპერი იმეორებს ორდოლიბერალების შეხედულებებს და მათგან განსხვავებით ქადაგებს ე. წ. „დემოკრატიულ ანტიტოტალიტარიზმს“, ანუ ანტიკომუნიზმს. მაგალითად, ვ. რეპკესაგან განსხვავებით კ. პოპერი კომუნიზმს მიიჩნევს ტოტალიტარიზმის („ახალი, ანუ ჰეგელიანური ტოტალიტარიზმის“) მემარცხენე ფრთად. კ. პოპერი წერს: „ფაშიზმი ჰეგელიანელობის მემარჯვენე ფრთას წარმოადგენს, ხოლო მარქსიზმი — მისი მემარცხენე ფრთა“¹¹¹.

ანტიკომუნიზმის ზოგიერთი თეორეტიკოსი (მაგალითად, ვ. რეპკე) ტოტალიტარიზმის ყველაზე უფრო საშიშ ფორმად კომუნიზმს აცხადებს და ფაშიზმის რეაბილიტაციასაც კი ცდილობს. ვ. რეპკეს მსგავსად, „ფორვერტის“ ყოფილმა რედაქტორმა ვ. შიფმა განაცხადა, რომ „ფაშიზმი უმცირესი ბოროტებაა, ვიდრე სოციალისტური რევოლუციოა“. კ. პოპერი უფრო ფრთხილად მოქმედებს. იგი გამოდის „დემოკრატიული ანტიკომუნიზმის“ პოზიციებიდან. წიგნში „ისტორიციზმის სიდატაკე“ კ. პოპერი ტოლობის ნიშანს სვამს მარქსიზმსა და ჰეგელიანელობას შორის და ორივეს მიიჩნევს „ახალი ტრიბალიზმის (ტოტალიტარიზმის)“ ფორმებად. მიაი აზრით, კ. მარ-

¹¹¹ K. Popper, The Open society and its enemies, v. VII, 33. 30.

ქსის ისტორიციზმი (ისტორიზმი) იგივეა, რაც ჰეგელისა¹¹². იგი გამოდის ამ ისტორიზმის წინააღმდეგ, უარყოფს საზოგადოებრივი მეცნიერების როლსა და მნიშვნელობას. კ. პოპერი შესაძლებლად თვლის მეცნიერულ წინასწარხედვას საბუნებათმეცნიერო დარგებში, ხოლო საზოგადოებრივ მეცნიერებაში — უარყოფს¹¹³.

კ. პოპერის კონცეფციის თანახმად არსებობს ისტორიზმის სამი ფორმა: 1. ნატურალისტური, 2. სპირიტუალური და 3. ეკონომიური¹¹⁴. იგი თავის ცეცხლს წარმართავს „მარქსის ეკონომიური ისტორიზმის“, „ტოტალური დაგეგმვის“, მარქსის „რადიკალური ისტორიზმის“ წინააღმდეგ¹¹⁵. კ. პოპერს მოსვენებას არ აძლევს ისტორიის მატერიალისტური გაგება, ამიტომ იგი პირველ რიგში თავს ეახმის ისტორიულ მატერიალიზმს, კოლექტივიზმს, კომუნიზმს. „ტოტალიტარიზმი, — წერს კ. პოპერი. — ესაა გვარის, ანუ ტომის მორალი, ეს არის არა ინდივიდუალური, არამედ კოლექტიური ეგოიზმი“¹¹⁶.

ამრიგად, კ. პოპერისა და მილი მოწაფეების (მაგალითად, ამერიკელი ჰ. გეიოს) კონცეფცია ტრიბალიზმის შესახებ წარმოადგენს ორდოლიბერალური ტოტალიტარიზმის დოქტრინის ანგლოსაქსურ ვარიანტს. ტრიბალიზმის არსს შეადგენს იგივე ანტიმარქსიზმი და ანტიკომუნიზმი. ასევე ანტიკომუნისტური შინაარსის მატარებელია ნეოჰუმანიზმისა და „ფორმირებული საზოგადოების“ დოქტრინაც.

ნეოლიბერალური ეკონომიური ჰუმანიზმი და ნეოჰუმანიზმი წარმოადგენს ე. წ. „ფორმირებული საზოგადოების“ საყრდენს. ანტიკომუნიზმის პროპაგანდისტებმა გეგმიან სოციალისტურ ეკონომიკას დაუპირისპირეს „ნეოჰუმანიტური ღია, ფორმირებული საზოგადოება“. ეს უკანასკნელიც ფაქტიურად არის სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის სტრატეგია.

ანტიკომუნიზმისა და „ანტიტოტალიტარიზმის“ თანამედროვე თეორეტიკოსები წინა პლანზე აყენებენ „ფორმირებული საზოგადოების“ დოქტრინას, როგორც კომუნიზმის კონტრპროგრამას. ანტიკომუნიზმის ნეოლიბერალურმა მიმართულებამ 50-იან წლებში „კონტრპროგრამად“ წამოაყენა „სოციალური საბაზრო მეურნეობა“, 60-იან წლებში კი მიმოქცევაში გაუშვეს ნეოლიბერალური „მეხაპე გზით“ შექმნილი „ნეოჰუმანიტური ფორმირებული საზოგადოება“, როგორც „აღმოსავლური კომუნიზმის კონტრპროგრამა“.

¹¹² ი. „ORDO“, Bd. 13, გვ. 97.

¹¹³ ი. „ORDO“, Bd. 13, გვ. 95.

¹¹⁴ იქვე, გვ. 89.

¹¹⁵ იქვე, გვ. 103.

¹¹⁶ K. Popper, The Open society and its enemies, ტ. II, გვ. 168.

§ 5. „ნეოკომუნიზმი“, „ღია (დემოკრატიული) საზოგადოება“ და „ფორმირებული საზოგადოება“ — „ტოტალიტარიზმის კონტრაპროგრამა“

ანტიკომუნიზმის ერთ-ერთი უახლესი კონცეფციაა ნეოლიბერალური ნეოკომუნიზმისა და ფორმირებული საზოგადოების დოქტრინა. ანტიკომუნიზმის ნეოლიბერალური მიმართულება სოციალისტურ ქვეყნებს უწოდებს წითელ ტოტალიტარიზმს, ეკონომიურ დესპოტიას, ხოლო განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების (გფრ, ავსტრია, ინგლისი, აშშ და სხვ.) ეკონომიკას — „ფორმირებულ საზოგადოებას“, ანუ „საყოველთაო კეთილდღეობის წყობილებას“.

სინამდვილეში ნეოლიბერალური „ფორმირებული საზოგადოება“ და მისი რეფორმისტული ვარიანტი „სრულსაკოვანი საზოგადოება“¹¹⁷ კერძო საკუთრებისა და კაპიტალის ბატონობის საზოგადოებაა.

„ფორმირებული საზოგადოების“ უახლესი ანტიკომუნიტური დოქტრინის შემქმნელია ანტიკომუნიზმის ნეოლიბერალური მიმართულება და მისი წარმომადგენლები (ორდოლიბერალიზმი, ნეოავსტრიული სკოლა, მილანის ჯგუფი, ლონდონის სკოლა; ლ. ერჰარდი, გ. ბრიფსი, გ. ალტმანი, ე. ფოგელინი, კ. მეტტელი, ჯ. დემარია, ვ. რუპკე და სხვ.). ამ კონცეფციის შექმნაში განსაკუთრებული აქტიური როლი შეასრულეს ორდოლიბერალიზმის (ოიკენის სკოლა) და ნეოავსტრიული სკოლის თეორეტიკოსებმა. სწორედ გფრ-სა და ავსტრიაში ჩაეყარა საფუძველი „ფორმირებული საზოგადოების“ დოქტრინას. აქედან იგი გავრცელდა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

1965 — 1967 წლებში ეს კონცეფცია გავრცელდა აგრეთვე აშშ-ში. ანტიკომუნიზმის ამერიკელმა პროპაგანდისტებმა შეიმუშავეს „ფორმირებული საზოგადოების“ სამუშაო კონცეფციის საკუთარ ვარიანტი¹¹⁸. ეს ბუნებრივია. ანტიკომუნიზმის ძალების სათავეში დგას აშშ-ის მონოპოლისტური ბურჟუაზია, რომელიც ამუშაავებს იმპერიალიზმის იდეოლოგიურ სტრატეგიას.

დასავლეთგერმანელთა ნეოლიბერალების ოცნებას შეადგენს „ფორმირებული საზოგადოების“ იდეების გავრცელება „საერთო ბაზრის“ ფარგლებში, შემდეგ ევროპის კონტინენტზე. ანტიკომუნიზმის პროპაგანდისტები „ფორმირებული საზოგადოების“ მოდელს სთავაზობენ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებს. „ფორმირებადი საზოგადოება არ წარმოადგენს ისეთ მო-

¹¹⁷ „Formierte Gesellschaft“ — „Mündige Gesellschaft“.

¹¹⁸ იხ. Eine amerikanische Variante der „Formierten Gesellschaft“, — „Wirtschaftswissenschaft“, Hf. 1, 1968, გვ. 152—156.

დელს, რომელიც გამოსადეგია მხოლოდ ეროვნული სახელმწიფოს ფარგლებში. მოდელში უფრო კარგად აისახება გაერთიანებული ევროპის საერთო სურათი. მეტიც, ამ მოდელს შეუძლია ჩვენი კონტინენტის გარდაქმნის, აგრეთვე სხვა ხალხთა ეკონომიური და სოციალური განვითარების სახელმძღვანელო იდეა გახდეს. თუ კი ჩვენ ფორმირებადი საზოგადოების შექმნას შევძლებთ, მაშინ ასეთი საზოგადოების მიზიძველი ძალა დაამტკიცებს თავის უზარმაზარ უპირატესობას საზოგადოებრივი ორგანიზაციის სხვა ფორმებთან შედარებით. ამასთანავე ფორმირებული საზოგადოება იდეოლოგიურ-პოლიტიკურად მოსპობს სოციალიზმს. ეს პროცესიც უკვე ვითარდება¹¹⁹ — აღნიშნულია ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თეორიულ ორგანოში „გეზელშაფტსპოლიტიშე კომმენტარე“.

ამრიგად, „ფორმირებული საზოგადოების“ დოქტრინას, რომელსაც დასავლეთის ანტიკომუნისტური პრესა ქადაგებს, აქვს აშკარად ანტისოციალისტური მიზანდასახულება. დასახელებულ ჟურნალში აქტიურად თანამშრომლობენ ანტიკომუნისტური პროპაგანდისტები: ლ. შუტცე და ვ. რიკი (ჟურნალის რედაქტორები), ე. ვეგელანი, გ. ბრაფსი, რ. ალტმანი, ო. ნელ-ბროინინგი და სხვ. მათ მიზანს შეადგენს სოციალიზმისა და მარქსიზმის „განადგურება“. „ფორმირებული საზოგადოების“ სტრატეგიას წარმოადგენს ნაციონალიზმი და ანტიკომუნისტობა. ამაშია სწორედ „ფორმირებული საზოგადოების გლობალური ანტიკომუნისტური სტრატეგიის“ შინაარსი¹²⁰.

„ფორმირებულ საზოგადოებას“ მიკუთვნებული აქვს სოციალიზმის წინააღმდეგ იმპერიალიზმისა და რევანშიზმის ძალთა ბრძოლაში მთავარი ბასტიონის როლი. ამ დოქტრინის დანიშნულებას შეადგენს მასების იდეოლოგიური მომზადება ახალი ომისათვის. მე-12 თეზისში პირდაპირაა მითითებული, რომ „ფორმირებული საზოგადოება წარმოადგენს საზოგადოებას ერთიანი საზოგადოებრივი ცნობიერებით“¹²¹. ეს „ერთიანი საზოგადოებრივი ცნობიერება“ კი გამსჭვალული უნდა იყოს ანტიკომუნისტური იდეებით.

ამ კონცეფციის სხვადასხვა ვარიანტები (დასავლეთგერმანული,

¹¹⁹ „Gesellschaftspolitische Kommentare“, Hf. 7, 1965, გვ. 74.

¹²⁰ Б. Сухов, „Антикоммунистическая сущность плана „сформированного общества“ в ФРГ и позиция политического клерикализма. Антикоммунизм — орудие империалистической реакции, Москва, 1967, გვ. 173—197.

¹²¹ იხ. K. Schwanck, Formierte Gesellschaft, Berlin, 1966, გვ. 53.

ავსტრიული, ინგლისური, ამერიკული და სხვ.) ემყარება „ნეოჰუმანიზმის“ აპოლოგეტურ მოძღვრებას „ინდუსტრიული საზოგადოების“ შესახებ. „ფორმირებული საზოგადოების“ ყველა ვარიანტს, არსებითად, საფუძვლად უდევს რამდენიმე შტამი: „მესამე გზა“, „ნეოჰუმანიზმი“, „ანტიტოტალიტარიზმი“, „სოლიდარიზმი“ და სხვ.

ანტიკომუნისმის თეორეტიკოსთა ნეოლიბერალური მიმდინარეობა წინა პლანზე აყენებს ე. წ. ნეოჰუმანიზმის კონცეფციას. ნეოლიბერალეები ამტკიცებენ, რომ „სოციალური საბაზრო მეურნეობა“ „მესამე გზით“ მიდის და ქმნის ეკონომიურ ჰუმანიზმს. ანტიკომუნისმის პროპაგანდისტები ერთიმეორეს უკავშირებენ ეკონომიური ლიბერალიზმი და ჰუმანიზმის „რენესანსს“. ნეოჰუმანიზმი, ვ. რეპკეს აზრით, არის პალეოლიბერალიზმის იდეების „რენესანსი“. მისი განცხადებით, „სოციალური საბაზრო მეურნეობის ტრიუმფს“ წარმოადგენს ნეოლიბერალური ჰუმანიზმი, ანუ ნეოჰუმანიზმი.

ნეოლიბერალი სოციოლოგები—ვ. რეპკე, ლ. მიზესი, ლ. აინაუდი, ა. რიუსტოვი და სხვ.—არიან ანტიკომუნისტური „ნეოჰუმანიზმის“ შემქმნელები. ა. ჰუნოლდ, რომელმაც სპეციალური სტატია „ძველი ლიბერალიზმიდან ნეოჰუმანიზმისაკენ“ დაურთო ვ. რეპკეს წიგნს „სიტყვები და შედეგები“, წერს, რომ ვ. რეპკემ XIX საუკუნის ძველი ლიბერალიზმის ეკონომიურ-სოციოლოგიური მოძღვრება ომისშემდგომ პერიოდში აიყვანა „ახალ მესამე ფაზაში, რომელსაც ნეოჰუმანიზმი ეწოდება“¹²².

„ნეოჰუმანიზმის“ განსახიერებად ანტიკომუნისმის თეორეტიკოსები მიიჩნევენ ნეოლიბერალურ „ფორმირებულ საზოგადოებას“, ე. ი. განვითარებულ „სოციალურ საბაზრო მეურნეობას“. ლ. მიზესი წერს: „კაპიტალიზმი საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთადერთი შესაძლებელი წყობილებაა... ამ აზრით, ლიბერალიზმი არის ჰუმანიზმი“¹²³.

ამრიგად, ანტიკომუნისმის პროპაგანდისტთა მტკიცებით, ჰუმანიზმი არის ეკონომიური ლიბერალიზმი („თავისუფალი მეწარმეობა“), ხოლო ნეოჰუმანიზმი¹²⁴—ნეოლიბერალური „სოციალური საბაზრო მეურნეობა“, ანუ „ფორმირებული საზოგადოება“.

¹²² A. Hunold, Vom Altliberalismus zum Neuhumanismus. ობ. W. Röpke, Wort und Wirkung, 1965, გვ. 333.

¹²³ L. Mises, Liberalismus გვ. 75. 93.

¹²⁴ ჰუმანიზმის პრობლემების განხილვის მხრივ თანამედროვე ბურჟუაზიულ-ადეოლოგიაში შეიმჩნევა სამი ძირითადი მიმართულება: 1. ფარისევლურ-მო-

ნეოჰუმანიზმი და „ფორმირებული საზოგადოების“ დოქტრინა, ვ. რეპკეს განსაზღვრით, არის: 1. ჰუმანიტურია, 2. ანტიავტორიტარული (ე. ი. „ანტიტოტალიტარიზმი“, ანტიკოლექტივიზმი) და 3. უნივერსალური მოძღვრება. „ფორმირებული საზოგადოების ნეოჰუმანიზმი“, ანუ „ლიბერტინიზმი“ მან დააყენა მატერიალისტურ ჰუმანიზმზე მალა¹²³.

ანტიკომუნისტა ნეოჰუმანიზმი და ლიბერტინიზმი მიმართულია კომუნისტური ჰუმანიზმის წინააღმდეგ. კომუნისტურ ჰუმანიზმს ისინი უწოდებენ „ეკონომოკრატიას“, „კოლექტივისტურ ტოტალიტარიზმს“, „პროლეტარიზმს“. აშკარად ჩანს, რომ ნეოჰუმანიტების მოძღვრება ტოტალიტარიზმისა და „ფორმირებული საზოგადოების“ შესახებ თავისი არსით ანტიჰუმანიზმია, რადგან იგი მიმართულია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების, კომუნისტური ჰუმანიზმის, კომუნისტის წინააღმდეგ. ნეოლიბერალური მიმართულება თავისი ნეოჰუმანიზმითა და ანტიტოტალიტარიზმით უკიდურესი ანტიკომუნისტის პროპაგანდისტა ფარვატერში დგას.

„სოვეტოლოგიის“, „ოსტფორშუნგის“, „კრემლინოლოგიისა“ და „მარქსოლოგიის“ ანტიკომუნისტური ინსტიტუტები ყოველნაირად ცდილობენ კომუნისტური ჰუმანიზმისა და სოციალისტური წყობილებისათვის სახელის გატეხას. დასავლეთ გერმანიაში არსებული „ეიანგელიკური აკადემიების საზოგადოების მარქსიზმის შემსწავლელი კომისია“ თავის სამტომეულში „ნარკვევები მარქსიზმის შესახებ“ ცდილობს კომუნისტური ჰუმანიზმის დაკნინებას. ამ მიზნით იგი დაეძებს „განახვავებას“ და „წინააღმდეგობას“ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შეხედულებებში საერთოდ. განსაკუთრებით კი ჰუმანიზმის საკითხებზე. მაგალითად, ვ. ი. ლენინი გამოყვანილია მარქსისტული ჰუმანიზმის მოწინააღმდეგედ. ვ. რეპკე ასეთ ხრიკს მიმართავს. იგი „ძველ ჰუმანიზმს“ უპირისპირებს „ახალ, ნეოლიბერალურ ჰუმანიზმს — ნეოჰუმანიზმს“. რას წარმოადგენს ვ. რეპკეს „ნეოჰუმანიზმი“? კერძო საკუთრების დამცველთა მტკიცებით, ეს არის „თავისუფალი სამყაროს“ „თავისუფლების დროშა“, სინამდვილეში კი ვ. რეპკეს ნეოჰუმანიზმი არის „სოციალური საბაზრო მეურნეობის“, „ჰუმანური ურთიერთობის“ („სოციალური

შეკრული ქადაგი კაპიტალისტური წყობილების „ჰუმანიტური ხასიათის“ შესახებ; 2. აშკარა, ცინიკური პროპაგანდა კაცთმოძულეობისა, ე. ი. აშკარა ანტიჰუმანიზმი და 3. „ახალი ჰუმანიზმის — ნეოჰუმანიზმის“ თეორიები, რომლებსაც უმთავრესად ნეოლიბერალური მიმართულება ქადაგებს. ეს საკითხი განხილული გვაქვს (იხ. გ. ჰანუჟაძე, ვულგარული ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. III, 1964, გვ. 105—118), ამიტომ მათ აქ აღარ შევხებით.

¹²³ W. R ü p k e, Das Kulturideal des Liberalismus, 1917, გვ. 15.

პარტნიორობის“) პროპაგანდა, ე. ი. „კლასობრივი ზავის (სოლიდარიზმის)“ იდეოლოგია და ანტიკომუნისმი.

ვ. რეპკეს ნეოჰუმანიზმის პრინციპებზე აგებული მთელი ნეოლიბერალური „ჰუმანური საზოგადოების“ (ე. ი. „სოციალური, ანუ თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“) — „ფორმირებული და პლურალისტური საზოგადოების“¹²⁶ (ლ. ერპარდი), „ღია (დემოკრატიული) საზოგადოების“ (ლ. მიზესი, კ. პოპერი) ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია ანტიკომუნისმი. ამიტომ ვამბობთ, რომ ვ. რეპკეს ნეოჰუმანიზმი, როგორც ანტიკომუნისმი, წარმოადგენს ანტიჰუმანიზმს. მართალია, თვით ვ. რეპკესა და მის თანამოაზრეებს ნეოლიბერალური ნეოჰუმანიზმი გამოჰყავთ პიროვნების თავისუფლებისა და ჰუმანიზმის თანამედროვე განსახიერებად, მაგრამ ეს მხოლოდ მიმზიდველი ყალბი ლოზუნგია, მასში მთავარია ანტიკომუნისმი.

ვ. რეპკესა და მისი თანამოაზრეების ნეოჰუმანიზმი ილაშქრებს კოლექტივიზმის, ტრიბალიზმის, ნაციისტური ტოტალიტარიზმისა და „რეგულირებადი ეკონომიკის“ წინააღმდეგ, მაგრამ მთავარი ცეცხლი მიმართულია სოციალიზმისა და კომუნისმის, „წითელი ტოტალიტარიზმის“ წინააღმდეგ. მასასადამე, ნეოჰუმანიზმი ანტიკომუნისმი და ანტიჰუმანიზმია.

ნეოლიბერალური ნეოჰუმანიზმი იდეურად ენათესავება ექსისტენციალისტ კ. იასპერსის ჰუმანიზმს. საინტერესოა ერთი ფაქტი. 1960 წ. ქ. გიუტერსლონში (გფრ) გამოვიდა კრებული დამახასიათებელი სახელწოდებით „სად ვდგავართ ჩვენ დღეს?“ ეს წიგნი გამოსცა ჰ. ვალტერ ბერმა. კრებულშია 21 სტატია სხვადასხვა სახელწოდებით. წიგნის საერთო სათაურად კი აღებულია ექსისტენციალისტ კ. იასპერსის სტატია „სად ვდგავართ ჩვენ დღეს?“.

ექსისტენციალიზმის („არსებობის ფილოსოფია“) ერთ-ერთი მთავარი თეორეტიკოსი კ. იასპერსი კითხვას „სად ვდგავართ ჩვენ დღეს?“ მიუგებს, რომ „ეკონომიურად და პოლიტიკურად პასუხი არ გავაჩნიაო“. კ. იასპერსის გვერდით დგანან: ჰ. შელსკი, ვ. რეპკე, ჰ. ტილიკე და ანტიკომუნისმის სხვა თეორეტიკოსები. ჰ. შელსკი წერს: „საკითხი „სად ვდგავართ ჩვენ დღეს?“ არის მდგომარეობის ნიშანი შემეცნებისაკენ“¹²⁷. კომენტარები ზედმეტია, ტიპური ექსისტენციალური პასუხია.

¹²⁶ Имперализм сегодня, 1968, გვ. 154 — 176.

¹²⁷ H. Schelsky, Zur Standortbestimmung der Gegenwart. — „Wo stehen wir heute?“ Gülterslohn, 1960, S. 181.

ნეოჰუმანიზმის თეორეტიკოსები ანტიკომუნიზმის პროპაგანდამ ჩიხში მოაქცია. მათ მოძღვრებას არ შეუძლია სწორი, მეცნიერული პასუხის გაცემა ცხოვრების მიერ დაყენებულ კითხვებზე. მათ მხოლოდ ისლა დარჩენიათ, რომ ბუნდოვანი, არასრული პასუხი გასცენ თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებს. სინამდვილეში მსოფლიო დღეს იმყოფება კაპიტალიზმის მსხვერვისა და სოციალიზმის გამარჯვების ეპოქაში. კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა კაცობრიობის განვითარების გზაა, რომელსაც ვერავითარი „ნეოჰუმანიზმი“ ვერ შეაჩერებს.

დასახელებულ კრებულში მოთავსებულია აგრეთვე ვ. რეპკეს სტატიაც ასეთი სახელწოდებით: „შიშსა და იმედს შორის“, რომელშიც იგი ეწევა ნეოჰუმანიზმის, მაშასადამე, ანტიკომუნიზმის პროპაგანდას. ის აღნიშნავს, რომ ტოტალიტარიზმი კონკრეტულად ნიშნავს კომუნიზმს („ტოტალიტარული კომუნიზმი“). ძნელი ამოსაცნობი არაა ვ. რეპკეს ნეოჰუმანიზმის კონცეფციის მიზანდასახულება, მიუხედავად იმისა, რომ ეს კონცეფცია ფილოსოფიური და მეცნიერებისდაგვარი ტერმინოლოგიის ძვირფას მოსახსამშია გახვეული. ვ. რეპკეს ნეოჰუმანიზმი აღადგენს ბურჟუაზიული ჰუმანიზმისა და თავისუფლების იდეებს თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების დაცვისათვის. ამ საქმეში იგი იყენებს, როგორც ექსისტენციალიზმის, ასევე კათოლიკური სოციალური მოძღვრების პრინციპებსაც. მაგალითად, ვენის უნივერსიტეტში 1962 წ. 27 მარტს მან წაიკითხა მოხსენება თემაზე „ენციკლიკა Mater et Magistra მეურნეობრივი თვალსაზრისით“¹²⁸, რომელშიც განაცხადა, რომ კაოლიციზმის სოციალურ-ეკონომიურ მოძღვრებასა და ნეოლიბერალიზმს შორის არსებობს იდეური ნათესაობა.

ანტიკომუნიზმის თეორეტიკოსთა ნეოჰუმანიზმი ფაქტიურად არის რეალური ჰუმანიზმის, ე. ი. სოციალისტური ჰუმანიზმის საწინააღმდეგო კონცეფცია. ამიტომაც, რომ ნეოჰუმანიზმის იდეებს ხარბად იყენებენ აშშ-ის, ავსტრიის, გფრ-ის მმართველი წრეები. ლ. ერჰარდის „ფორმირებული საზოგადოება“ ემყარება ვ. რეპკესა და მისი თანამოაზრეების „ჰუმანური ურთიერთობის“ („აღამიანური ურთიერთობის“), „ჰუმანური საზოგადოებისა“ და „ნეოჰუმანიზმის“ პრინციპებს. აი, რას წარმოადგენს სინამდვილეში ე. წ. ნეოჰუმანიზმი. იგი არის აბსტრაქტული ჰუმანიზმის გამოვლინების ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის შელამაზებას. აბსტრაქტული ჰუმანიზმი ბურჟუა-

¹²⁸ W. R ü p k e, Wort und Wirkung, გვ. 310 — 328.

ზიულ საზოგადოებას ხატავს ისეთ ფორმაციად, რომელიც თითქოს შეესაბამება ადამიანის მოთხოვნებს და უპასუხებს ჰუმანიზმის იდეალებს.

ამ პატარა მოცულობის შრომაში, ცხადია, არ ვაპირებთ საერთოდ ჰუმანიზმის ანალიზს, ეს არც შეადგენს ჩვენს მიზანს. ჰუმანიზმი, თავისუფლება, არის ფილოსოფიის პრობლემა. ჰუმანიზმის პრობლემას ვეხებით მხოლოდ ვ. რეპკესა და საერთოდ ნეოლიბერალების „ნეოჰუმანიზმის“ ნამდვილი ბუნების გამოაშკარაების მიზნით. „ნეოჰუმანიზმის“ პრინციპების („ჰუმანური ურთიერთობა“, „ჰუმანური ეკონომიკა“, „შრომის ჰუმანიზაცია“ და სხვ.) ნიღბის ქვეშ ხდება ანტიკომუნიზმის პროპაგანდა. ამ საქმეში კი ძალიან აქტიურობენ ნეოლიბერალი „ჰუმანიტები“ — „ნეოჰუმანიტები“. ამიტომ დავიწყებთ ab ovo.

ჰუმანიტური იდეები აღმოცენდა ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში. რა თქმა უნდა, მონათმფლობელობის პირობებში ჰუმანიტური იდეები ვერ გავრცელდა, რადგან მონები საერთოდ არ ითვლებოდნენ ადამიანებად და ლაპარაკი მათი თავისუფლების შესახებ ზედმეტი იყო. ჰუმანიტური აზრის ცალკეულ გამოვლინებებს ჰქონდა ადგილი ფეოდალიზმის ეპოქაში. მაგალითისათვის შეიძლება დავგვესახელებინა დიდი შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილება „ვეფხისტყაოსანი“. ჰუმანიტური აზრის ცალკეული მაგალითების მოტანა შეიძლება აგრეთვე უფრო გვიანდელი XV — XVI საუკუნეების ევროპის ქვეყნებიდან, რომელიც ცნობილია რეფორმაციის (გერმანიაში), რენესანსის (საფრანგეთში), ჩინკვეჩენტოს¹²⁹ (იტალიაში) სახელწოდებით. ამ პერიოდის, რომელსაც უწოდებენ აღორძინების — რენესანსის ეპოქას, საზოგადოებრივმა აზრმა მიიღო სწორედ ჰუმანიზმის სახელწოდება. ეს იყო მიმართულება, რომელიც მოიცავდა ფალოსოფიას, ფილოლოგიას, პოლიტიკურ აზრს, ხელოვნებას, ლიტერატურას.

ჰუმანიზმის წარმომადგენლებმა (პეტრარკა, ბოკაჩიო, ერაზმი. რაფაელი, მიქელანჯელო, ლეონარდო და ვინჩი, ვალა და სხვ.) გაილაშქრეს საშუალო საუკუნეების მსოფლმხედველობის წინააღმდეგ. ჰუმანიტური იდეების ჩამოყალიბების საქმეში დიდი როლი შეასრულა მარქსამდელმა მატერიალიზმმა — XVIII საუკუნის საფრანგეთის მატერიალიზმმა. მიუხედავად თავისი პროგრესულობისა, მარქსამდელი ჰუმანიზმი პიროვნებისა და თავისუფლების საკითხებს

¹²⁹ 500-იანი წლები, ე. ო. XVI საუკუნე.

წყვეტდა ბურჟუაზიულ-ინდივიდუალისტური პრინციპების საფუძველზე.

ჰუმანიტური იდეების განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი წილი შეიტანეს დიდმა უტოპისტ-სოციალისტებმა, მაგრამ მათი ჰუმანიზმიც ატარებდა აბსტრაქტულ ხასიათს.

აბსტრაქტულ ჰუმანიზმს დაუპირისპირდა კომუნიზმი, როგორც რეალური ჰუმანიზმი. ჰუმანიზმის ყველა ფორმისაგან პრინციპულად განსხვავდება სოციალისტური ჰუმანიზმი, რომელიც, აბსტრაქტული ჰუმანიზმისაგან განსხვავებით, იძლევა ადამიანთა ნამდვილი თავისუფლებისა და თანასწორობის, ბედნიერების მიღწევის რეალურ გზებს.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი მკაცრად აკრიტიკებდნენ აბსტრაქტული ჰუმანიზმის წარმომადგენლებს. ცნობილია, რომ ლიბერალური ბურჟუაზია ხარბად იყენებდა ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჰუმანიტურ იდეებს („თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“). „ბურჟუაზიული წყობილება იშვა მიმზიდველი ლოზუნგებით — თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა. მაგრამ ეს ლოზუნგები ბურჟუაზიამ მხოლოდ იმისათვის გამოიყენა, რომ ჩამოეშორებინა ფეოდალური დიდკაცობა და ხელთ ეგდო ძალაუფლება. თანასწორობის ნაცვლად შეიქმნა სოციალური და ეკონომიური უთანასწორობის ახალი უღრმესი უფსკრული. არა ძმობა, არამედ გააფთრებული კლასობრივი ბრძოლაა გამეფებული ბურჟუაზიულ საზოგადოებაში“¹³⁰.

კ. მარქსმა მკაცრად გააკრიტიკა გერმანელი ლიბერალი კ. ჰაინცენი, რომელიც ლიბერალური ენაწყლიანობით ქადაგებდა „სოციალური დაწესებულებების“ დახმარებით „საკუთრების რეგულირებას“, „საზოგადოების ჰუმანიზირებას“ — „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის“ შექმნას“¹³¹.

ლ. მიზესი, ფ. ჰაიეკი, ვ. რეპკე, ლ. ერჰარდი, ა. მიულერ-არმაკი, ა. რიუსტოვი და მათი თანამოაზრენი აგრძელებენ თავიანთი წინამორბედების — „ჰაინცენების“ ტრადიციებს და ნეოლიბერალური „ჰუმანიზმის“ საფუძველზე აშენებენ ახალ „ჰუმანურ საზოგადოებას“ ავსტრიაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ე. წ. „თავისუფალი სამყაროს“ სხვა ქვეყნებში. ვ. რეპკეს „ნეოჰუმანიზმისა“ და ა. რიუსტოვის „ვიტალპოლიტიკის“ პროგრამის იდეებს იყენებენ გფრ-ის მმართველი წრეები: ლ. ერჰარდის „ფორმირებული

¹³⁰ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, 1961, გვ. 36.

¹³¹ K. Маркс и Ф. Энгельс, Соч., изд. второе, т. 4, гв. 317.

საზოგადოება“ ემყარება სწორედ ნეოლიბერალური „ნეოჰუმანიზმის“, ე. ი. ნეოინდივიდუალიზმის პრინციპებს.

„ახალი ლიბერალიზმის“ ნეოინდივიდუალიზმი მოითხოვს საკუთრების „დეკონცენტრაციას“, „დემონოპოლიზაციას“, „ყველასათვის საკუთრებას“. ეს ლოზუნგებია მიანიჭათ მათ ნეოჰუმანიზმის განსახიერებად. ამგვარი ოცნება, — წერდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, — იმდენად განუხორციელებელია, „როგორც ოცნება ყველა ადამიანის გადაქცევისა იმპერატორებად, მეფეებად, პაპებად“¹³². ამიტომ ვამბობთ, რომ ვ. რეპკეა და მისი თანამოაზრეების ნეოჰუმანიზმი არის აბსტრაქტული ჰუმანიზმის ყველაზე უფრო ჯალბი და შენიღბული გამოვლენების ფორმა.

ნეოლიბერალური „ჰუმანიზმის“ იდეოლოგიები იცავენ წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებას და „თავისუფალ მეწარმეობას“ და ეს მიანიჭათ მათ ჰუმანიზმად, „ჰუმანურ საზოგადოებად“. ცხადია, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში არიან ისეთი მოღვაწეები (მწერლები, მხატვრები, მეცნიერები), რომლებიც, მართალია, გამოდიან აბსტრაქტული ჰუმანიზმის პრინციპებ-დან. მაგრამ მათ ერთგვარა წვლილი აქვთ შეტანილი ნაციზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჟან პოლ სარტრმა გაზეთ „კომუნისტის“ მიერ დასმულ კითხვაზე, თუ რა არის ყველაზე მთავარი დღევანდელ მსოფლიო ლიტერატურაში, რაც ამ ლიტერატურას XIX საუკუნის კლასიკურ მწერლობასთან აკავშირებს, უპასუხა: „სიკეთისათვის ბრძოლა. მწერალს წერის დროს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ თავისი საუკუნის შვილია, თავისი დროის წარმომადგენელია. XX საუკუნის მწერლები ოცდაათიან და ორმოციან წლებში სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებნენ ფაშიზმს. ისინი, XIX საუკუნის კლასიკურ მწერლობაზე აღზრდილი მწერლები, თავიანთ მთავარ მიზანს ქვეყნად სიკეთისათვის და მშვიდობისათვის ბრძოლაში ხედავენ“¹³³. ამ მთავარი მიზნის განხორციელების გზად კი მას მიანიჭა აბსტრაქტული ჰუმანიზმი. თუნდაც ის ფაქტი, რომ შვედ ჟურნალისტებს სარტრმა მისცა ინტერვიუ და განაცხადა: „ლენინურ პრემიას ვერ მივიღებდი, ჩემთვის რომ შემოეთავაზებინათო“¹³⁴, ნათელს ხდის ე. პ. სარტრის მსოფლმხედველობის ბუნებას. მან უარი განაცხადა აგრეთვე ნობელის პრემიის მიღებაზეც.

¹³² K. Маркс и Ф. Энгельс, Соч., изд. второе, т. 4, гл. 9.

¹³³ გაზ. „კომუნისტი“, 10. 03. 1963 წ.

¹³⁴ Жан-Поль Сартр, Почему я отказался от премии, „За рубежом“, № 45, 1961, стр. 23.

ე. ჰეინგუეი, ლ. ფოიქტვანგერი, ერიპ მარია რემარკი და სხვა მწერლები (ჰუმანისტები) გამოდიოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ და მიუხედავად მათი აბსტრაქტული ჰუმანიზმისა, დადებითი როლი შეასრულეს ნაციზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ლ. მიზესს, ფ. ჰაიეკს, გ. ჰაბერლერს, ვ. რეჰკეს, ა. რიუსტოვს და საერთოდ ნეოლიბერალებს თავი მოაქვთ ანტიტოტალიტარისტებად — ანტიფაშისტებად და, ამდენად, პრეტენზია აქვთ ჰუმანიზმზე. რას წარმოადგენს ნეოლიბერალური „ანტიტოტალიტარიზმი“. ჩვენ უკვე ვნახეთ და მას აქ ალარ გავიმეორებთ. მხოლოდ შევნიშნავთ: განა შეიძლება ანტიკომუნისმს ეწოდოს „ჰუმანიზმი“ ან „ნეოჰუმანიზმი“? ბურჟუაზიული საზოგადოების დამცველთა მოძღვრება და რეალური ჰუმანიზმი შეუთავსებელია. კ. მარქსი და ფ. ენგელსი მიუთითებდნენ, რომ ფრანგი კომუნისტები ავითარებდნენ „მატერიალიზმის მოძღვრებას, როგორც რეალური ჰუმანიზმის მოძღვრებას და კომუნისმის ლოგიკურ საფუძველს“¹³⁵.

ნამდვილი ჰუმანიზმი და კომუნისმი განუყოფელია. ანტიკომუნისმის თეორეტიკოსთა „ნეოჰუმანიზმი“ და ნეოლიბერალური „ჰუმანური საზოგადოება“ კი წარმოადგენს ანტიკომუნისმს, მასთანადაპირადაა, ანტიჰუმანიზმს.

ახლა უფრო დაწვრილებით „ფორმირებული საზოგადოების“ შესახებ.

ნეოლიბერალმა პროფ. ვ. რეჰკემ თავის წიგნში „ჰუმანური საზოგადოება“ ჯერ კიდევ 40-იან წლებში წამოაყენა იდეა: „კაპიტალიზმი — კოლექტივიზმი — ეკონომიური ჰუმანიზმი“. მან ასე განსაზღვრა „ფორმირებული საზოგადოების“ შექმნის ნეოლიბერალური „მესამე გზა“: „არც კაპიტალიზმი, არც კოლექტივიზმი“¹³⁶.

ანტიკომუნისმის თეორეტიკოსის ა. კიუნცლის მტკიცებით, ნეოლიბერალიზმის „ფორმირებული საზოგადოება“ იქმნება „მესამე გზით“, რომელიც თურმე გადის „აღმოსავლეთის კომუნისმსა და დასავლეთის კაპიტალიზმს შუა“¹³⁷. ფორმირებული საზოგადოების აკვანთან იდგა ნეოლიბერალი პროფესორი, გფრ-ის ყოფილი კანცლერი ლ. ერჰარდი.

ჯერ კიდევ 1960 წ. ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ყრილობაზე, კარლსრუეში, პროფ. ლ. ერჰარდმა აუწყა მსოფლიოს „სახალხო კაპიტალიზმის“ ნეოლიბერალური ვარიანტის — „თავისუფ-

¹³⁵ K. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 2, стр. 146.

¹³⁶ W. Röpke, Civitas humana, Erlenbach—Zürich, 1946.

¹³⁷ „Gewerkschaftliche Monatshefte“, III, 7, 1965, стр. 306.

ფალი, ანუ სოციალური საბაზრო მეურნეობის“ მეორე ფაზის დაწყება. „ფორმირებული საზოგადოების“ შესახებ ლ. ერჰარდი წერდა: „ეს ახალი წყობილება წარმოადგენს სოციალური საბაზრო მეურნეობის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შედეგს. სწორედ სოციალური საბაზრო მეურნეობის მაგალითზე ჩანს კარგად, რომ ფორმირებად საზოგადოება არაა უტოპია“¹³⁸. ამის შემდეგ ბონის „ტეინის ტრესტმა“ შეადგინა „ფორმირებული საზოგადოების“ აშენების კონკრეტული გეგმა; ამ მიზნით ჯერ შეიმუშავეს ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის 99 თეზისი. ხოლო შემდეგ იგი დააკონკრეტეს და ჩამოაყალიბეს 12 თეზისად¹³⁹.

ტერმინი „ფორმირებული საზოგადოება“ გამოჩნდა ლ. ერჰარდის მრჩევლისა და თანამოაზრის, მისი „ტეინის ტრესტის“ მოღვაწის რ. ალტმანის წიგნში „ადენაუერის მემკვიდრეობა“¹⁴⁰. ამ კონცეფციის დამუშავებაში მონაწილეობდნენ არა მარტო ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსები (გ. ბრიფსი, ე. ვეგელინი, ე. უნლანდი, რ. ალტმანი და სხვ.). არამედ სხვადასხვა ორგანიზაციები და დაწესებულებები. მაგალითად, დიდი ადგილი დაუთმო „ფორმირებული საზოგადოების“ გეგმის შემუშავებას „ლისტის სახელობის საზოგადოებამ“¹⁴¹ და ლისტის სახელობის ინსტიტუტმა (ბახელი). 1963 წ. ნოემბერში მაინის ფრანკფურტში ჩატარდა „ლისტის საზოგადოების“ სიმპოზიუმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების ბურჟუაზიული ეკონომისტები და საჭმიანი წრეები. სიმპოზიუმის მასალები 1964 წ. გამოქვეყნდა გერმანულ ენაზე ტიუბინგენში ცალკე წიგნად ასეთი სახელწოდებით: „ხელფასის პოლიტიკა და ქონების (საკუთრების) წარმოქმნა“.

დასახელებულ კრებულში მოცემულია „ფორმირებული საზოგადოების“ შექმნის ნეოლიბერალური გზის დახასიათება, სადაც ძირითადი ყურადღება ეთმობა ხელფასის „ინვესტირების“, „თანამონაწილეობისა“ და „სახალხო აქციების“ მეშვეობით საკუთრების წარმოქმნის საკითხებს. ეს ბუნებრივია, რადგან ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგი „საკუთრება ყველას, საკუთრება თითოეულს“ ლ. ერჰარდმა წამოაყენა ჯერ კიდევ ადენაუერის პარტიის VII ყრილობაზე. ნეოლიბერალებმა ამ

¹³⁸ „Deutsches Wirtschaftsinstitut“, Hf. 4, 1965, გვ. 7.

¹³⁹ W. Nessler, Verschärfte Ausbeutung—, Formierte Gesellschaft, Berlin, 1966, გვ. 32.

¹⁴⁰ R. Altman, Das Erbe Adenauers. München, 1963.

¹⁴¹ L. A. Hahn, Ein Traktat über Währungsreform, Tübingen, 1964.

ლოუნგის განხორციელებით ხელი მოჰკიდეს მსხვილი საკუთრების „დეკონცენტრაციის“ (დეკარტელიზაცია, დემონოპოლიზაცია, რეპრიატიზაცია), „დეპროლეტარიზაციისა“ და „სოლიდარიზმის“ („საკუთრება თითოეულს“) გატარებას „თანამონაწილეობით“, „ხელფასის კაპიტალიზაციითა“ და „სახალხო აქციის“ გავრცელებით.

პროფ. ლ. ერჰარდი 1957 წ. 14 მაისს, ჰამბურგში ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის VII ყრილობაზე გამოვიდა ანტიკომუნისმის იდეებით გაელენთილი მოხსენებით „საკუთრება თითოეულს, აეთილდღეობა ყველას“. მან განაცხადა, რომ აუცილებელია ჰქონდეს „თითოეულს საკუთრება“ და იყოს „ხალხი მესაკუთრე“ (ე. წ. „ერჰარდის გეგმა“). ამ მიზნით 1957 წ. 21 ნოემბერს პფერდამენგეს-თან (კელნში) შეიკრიბნენ მინისტრები ლინდრატი, ეტცელი, ბლანკი და მათი მოადგილეები, აგრეთვე ბანკირები — აბსი, ბლესინგი, ქარხანა „ფოლკსვაგენვერკის“ გენერალური დირექტორი ნორდჰოფი და დაიწყეს „საზოგადოების ფორმირება“ დასავლეთ გერმანიაში.

გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალის წარმომადგენელმა გ. აბსმა აღიარა, რომ შეუძლებელი გახდება დიდხანს იქნეს შენარჩუნებული გფრ-ის ეკონომიკის კერძომესაკუთრული სისტემა „რკინის ფარდის“ ახლოს, თუ არ მოხერხდება ამ სისტემასთან რამდენიმე მილიონი დასავლეთ გერმანელის დაკავშირება წერილ აქციონერთა სახით. ხაზინის ყოფილმა ფედერალურმა მინისტრმა ლინდრატმა კი „სახალხო აქციონერები“ დაახასიათა, როგორც ფედერალური მოქალაქენი, რომლებიც, ალბათ, ძალიან მომგებიან ფასიან ქაღალდებთან ერთად მიიღებენ ერთდროულად „ახალ საზოგადოებრივ ცნობიერებას“ და, ამგვარად, მომავალში გახდებიან კომუნისმის წინააღმდეგ ბრძოლის საიმედო დასაყრდენიო. ხოლო გფრ-ის ფინანსთა მინისტრმა ეტცელმა განაცხადა: „თუ წინათ გერმანიასა და ევროპას აღმოსავლეთიდან იცავდნენ ჯვაროსნები და ციხე-სიმაგრეები, ახლა აღმოსავლეთიდან იდეოლოგიური დაცვის სახით საჭიროა მესაკუთრეთა ფართო ზოლის შექმნაო“¹¹². ანტიკომუნისმის პროპაგანდისტების „ფორმირებული საზოგადოების“ გეგმა მოითხოვს აგრეთვე „ტვინის ფორმირებასაც“¹¹³, რა თქმა უნდა, ანტისოციალიზმის სულისკვეთებით.

აშკარად ჩანს „ფორმირებული საზოგადოების“ დოქტრინის ან-

¹¹² Г. Берг, Христианско-демократический союз ФРГ без масок, 1963. გვ. 251.

¹¹³ „Formierung der Hirne.“ — K. Schwank, Eormierte Gesellschaft, გვ. 32.

ტიკომუნისტური მიმართულება, რომლის ძირითადი შინაარსია სოციალისტური წყობილებისათვის ცილის დაწამება, კომუნიზმის მოძღვრების ფალსიფიკაცია, რევანშიზმის გამართლება. „სოციალური საბაზრო მეურნეობა“ — „ფორმირებული საზოგადოების“ საფუძველი, ნეოლიბერალების აზრით, „არის ბასტიონი აღმოსავლური კომუნიზმის ტალღის წინააღმდეგ“¹⁴⁴; — აღნიშნული იყო ერთ-ერთ დასავლეთგერმანულ ჟურნალში.

„ფორმირებული საზოგადოების“ დოქტრინა საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახით დაახასიათა პროფ. ლ. ერპარდმა თავის საანგარიშო მოხსენებაში ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის XIII ყრილობაზე 1965 წ. 31 მარტს, თუმცა წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები დიდი ხნით ადრე დაიწყო. „1948 წ.,—აღნიშნავს ლ. ერპარდი,—ჩვენ დავიწყეთ ახალი ეკონომიური ფილოსოფია“. ფულის რეფორმის გატარების (1948 წ.) შემდეგ დასავლეთ გერმანიაში გაიშალა მუშაობა საზოგადოების „ფორმირებისათვის“.

მთელი ნეოლიბერალური სოციოლოგიურ-ეკონომიური სისტემა მიზნად ისახავდა კაპიტალის ძლიერების აღდგენას ომისშემდგომ დასავლეთ გერმანიაში და არა „უკლასო ჰუმანური საზოგადოების ფორმირებას“. ჯერ დაიწყეს კამპანია რეპრივაციზაციისა და „სახალხო აქციების“ გავრცელებისათვის. რეპრივაციზაციამ დასავლეთ გერმანიაში განვლო ორი ეტაპი: პირველ ეტაპზე (1951/52 — 1956 წწ.) მიმდინარეობდა სახელმწიფო საწარმოთა მიყიდვა კერძო პირებზე; რეპრივაციზაციის მეორე ეტაპი დაიწყო 1957 წ. ამ ეტაპზე ხდება რეპრივაციზაციის დაკავშირება „სახალხო აქციებთან“ და ამ გზით იწყება „ფორმირებული საზოგადოების“ საფუძველების შექმნა.

სინამდვილეში კი ნეოლიბერალური „ფორმირებული საზოგადოება“, რომელსაც ლ. ერპარდი და მისი თანამოაზრენი ქადაგებენ, არის გერ-ის სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის აპოლოგია. მისი გლობალური პროგრამა. იგი ემყარება ორდოლიბერალიზმის „სოციალურ საბაზრო მეურნეობას“. ეს უკანასკნელი, ნეოლიბერალების აზრით, არის „ფორმირებული საზოგადოების“ ეკონომიური ბაზისი. ნეოლიბერალური „თავისუფალი, ანუ სოციალური საბაზრო მეურნეობის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური შედეგია (კონზეკვენც) დასავლეთგერმანული „ფორმირებული საზოგადოე-

¹⁴⁴ „Der Volkswirt“, Hf. 4, 1950, გვ. 11. იხ. აგრეთვე: „ORDO“, Bd. 17, 1966; Bd. 18, 1967.

ბა“. ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსთა „12 თეზისში ფორმირებული საზოგადოების შესახებ“ (მე-11 თეზისში) ერპარდისეული ფორმირებული საზოგადოება ასეა განმარტებული: „ფორმირებული საზოგადოება არის არაჩვეულებრივი ურთიერთდამოკიდებულების საზოგადოება“¹⁴⁵. „ფორმირებული საზოგადოება,— აღნიშნავს ლ. ერპარდი. — სულ სხვაა, ვიდრე ფილანტროპული ხედვა“. ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსთა „არაჩვეულებრივი ურთიერთდამოკიდებულების საზოგადოება“ წარმოადგენს „საზოგადოებას“, რომელიც უნდა განსხვავდებოდეს როგორც კაპიტალიზმის, ასევე სოციალიზმისაგან (ამაშია სწორედ ნეოლიბერალური „მესამე გზის“ თავისებურება, რომელიც სოციალური დემაგოგიის ნიმუშს წარმოადგენს).

„ფორმირებული საზოგადოების“ ნეოლიბერალური დოქტრინა მიმართულია საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების წინააღმდეგ. იგი ემყარება ოიკენის კონცეფციას „მეურნეობის იდეალური ტიპების“ შესახებ. მაშასადამე, მას მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს.

„ფორმირებული საზოგადოების“ ნეოლიბერალურ-აპოლოგეტური მოძღვრება წარმოადგენს აგრეთვე „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ ბურჟუაზიულ-რეფორმისტული თეორიის უახლეს ვარიანტს.

საზოგადოების „ფორმირების“ ერპარდისეული გეგმა, როგორც უკვე დავინახეთ, უყურადღებოდ არ ტოვებს ნაციისტურ ტოტალიტარიზმსა და პლურალისტურ ეკონომიკას. ლ. ერპარდი და მისი თანამოაზრენი დასავლეთ გერმანიას განიხილავდნენ, როგორც პლურალისტურ საზოგადოებას (პლურალიზმი) და მიიხნევდნენ მას დემოკრატიული საბაზრო წყობილების — საბაზრო მეურნეობის: აუცილებელ ატრიბუტად.

ნეოლიბერალური „პლურალისტური მეურნეობა“ („წვრილმწარმოებელთა საქონელწარმოება“) შეივსო „სოლიდარიზმის“ პრინციპებით, ე. ი. გამოირიცხა კონკურენციული ბრძოლა. კლასობრივი წინააღმდეგობანი. „სოლიდარიზმის“ არსი იმაშია, რომ „ფორმირებული საზოგადოება“ წარმოადგინოს კლასობრივი ბრძოლის გარეშე, ე. ი. კლასთა ჰარმონიის სახით. მაშასადამე, „ფორმირებულ საზოგადოებას“ ხატავენ სამოთხედ, ხოლო გეგმიან სოციალისტურ ეკონომიკას — ეკონომოკრატიად.

„ფორმირებული საზოგადოების“ თეორეტიკოსები ავრცელებენ

¹⁴⁵ „12 Thesen zur Formierten Gesellschaft“. — „Gesellschaftspolitische Kommentare“. Hf. 13—14, 1965.

ხმებს, რომ სოციალიზმმა. რომელმაც მოსპო კერძო საკუთრება, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, თავისუფალი საბაზრო მეურნეობა და კაპიტალიზმის სხვა მშვენიერებანი, თითქოს წაართვა საზოგადოებას თავისუფლება და იძულებულია მიმართოს „ტოტალიტარიზმს“. „ფორმირებულ საზოგადოებას“ კი უწოდებენ „საყოველთაო კეთილდღეობის თავისუფალ დემოკრატიულ წყობილებას“¹⁴⁶. სინამდვილეში „ფორმირებული საზოგადოება“ წარმოადგენს რეაქციული ძალების ხელში ეკონომიური ძლიერებისა და პოლიტიკური ხელისუფლების აყვანას კვადრატში.

ანტიკომუნისტური „ფორმირებული საზოგადოება“ წარმოადგენს „თანამედროვე არაკომუნისტური ინდუსტრიული საზოგადოების“ უკანასკნელ, მესამე ფაზას, ე. ი. იგი „არის სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ურთიერთობათა გაგრძელება“¹⁴⁷. ძნელი გამოსაცნობი არაა ის ფაქტი, რომ „ფორმირებული საზოგადოების“ დოქტრინას ბევრი საერთო აქვს წინამორბედი ბურჟუაზიული ეკონომისტების (ფ. ლისტის, კ. ბიუხერის, ბ. ჰილდებრანდის და სხვ.) კონცეფციებთან. იგი დაკავშირებულია აგრეთვე თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტებისა და სოციოლოგების (უ. როსტოვის, მ. კრელის, კ. კლარკის, რ. ტიბოლდისა და სხვ.) თეორიებთან („ეკონომიური ზრდის თეორია“, „კიბერნეტიკული წყობილება“. „კონვერგენცია-ამალგამაცია“ და სხვ.).

„ფორმირებული ინდუსტრიული საზოგადოების“ იდეას ქადაგებენ აგრეთვე მემარჯვენე სოციალისტები (ფ. ერლერი, კ. შილერი, ვ. ბრანდტი, გ. ლებერი და სხვ.). მათ აქვთ „ფორმირებული საზოგადოების“ საკუთარი ვარიანტი და მოდელი, რომელსაც უწოდებენ „სრულაპაკოვან (მომწიფებულ) საზოგადოებას“.

ბონის „დიდი კოალიცია“ (ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი და გერმანიის სოციალისტური პარტია) ერთიანი ფრონტით გამოდის. სავსებით სწორად შენიშნავს პ. ჰესი (გდრ), რომ „ფორმირებული საზოგადოების“ სოციოლოგიურ-ეკონომიური დოქტრინა წარმოადგენს გერმანიის სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის გლობალურ პროგრამას¹⁴⁸.

ნეო-ორდო-ლიბერალიზმის სკოლის მემარცხენე ფრთას წარმოადგენენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თეორიე-

¹⁴⁶ K. Schwanck, Formierte Gesellschaft, გვ. 35.

¹⁴⁷ „Deutsches Wirtschaftsinstitut“, Hf. 1, 1966, გვ. 15.

¹⁴⁸ P. Hess, Ökonomische Grundlagen und Triebkräfte der „Formierten Gesellschaft“. — „Wirtschaftswissenschaft“, Hf. 7, 1966, გვ. 1067.

ტიკოსები: პ. დაისტი (1902—1964), ე. პოტპოფი (დაბ. 1914 წ.), კ. შილერი (დაბ. 1911 წ.) და სხვ. განსაკუთრებით აქტიურობდნენ სოციალ-დემოკრატი მინისტრები კიზინგერ-ბრანდტის კოალიციურ მთავრობაში: პროფ. კ. შილერი და გ. ლებერი. მემარჯვენე სოციალისტებმა თავიანთ ყრილობაზე დორტმუნდში 1966 წ. ივნისში წამოაყენეს „ფორმირებული საზოგადოების“ დოქტრინის საკუთარი ვარიანტი — „ლია (თავისუფალი)“, ანუ „სრულასაკოვანი (მომწიფებული) საზოგადოება“.

გფრ-ის ეკონომიკის მინისტრის პროფ. კ. შილერის განმარტებით, „სრულასაკოვანი საზოგადოება“ არის „დინამიკური საზოგადოება“. „შეჯობების საზოგადოება“, „კოოპერირებული საზოგადოება“. „ნონკონფორმიზმი“, ანუ „თავისუფალი დემოკრატიული წყობილება“ — „თავისუფალი სოციალიზმი“. „თავისუფალი სოციალიზმი არის ნონკონფორმიზმი“ — წერს გსდპ თეორეტიკოსი პროფ. ორტლიბი¹⁴⁹.

„ფორმირებული საზოგადოების“ მემარჯვენე სოციალისტური ვარიანტისთვისაც დამახასიათებელია დემაგოგიური ხასიათი. „სრულასაკოვანი საზოგადოების“ შექმნა ითვალისწინებს „დემოკრატიის რეფორმირებას“¹⁵⁰. კ. შილერისა და მიხი თანამოაზრეების მოთხოვნით უნდა მოხდეს ბუნდესტაგის მუშაობის რეფორმირება. ეს პირველ რიგში ეხება კიზინგერ-ბრანდტის კოალიციური მთავრობის ეკონომიური როლის გაძლიერებას, ვ. ი. დირიჟიზმის გაფართოებას.

აღნიშნულ რეფორმებში დიდი ადგილი უკავია ფინანსების, ელფასის, საკუთრების წარმოქმნის პრობლემებს. მაგალითად, ითვალისწინებულია „საბიუჯეტო ხუთწლედის“ მიღება, რა თქმა უნდა, დირიჟისტულ-ეტატისტური პრინციპების გაძლიერებით (ე. წ. „ფისკალსოციალიზმი“). რეფორმა ითვალისწინებს სპეციალური ფონდის შექმნას სახელწოდებით „გერმანიის საერთო საქმე“. ამ ფონდის დანიშნულებაა ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარება, ვ. ი. რგი წარმოადგენს „ფორმირებული საზოგადოების მულტიპლიკატორს“. გსდპ თავის ყრილობაზე ჰანოვერში (1961 წ.) წამოაყენა იდეა „ეროვნული ფონდის“ შექმნის შესახებ, რომლის დანიშნულებას შეადგენს „გერმანული სახალხო აქციების“ გავრცელება.

¹⁴⁹ H. Ortlieb, *Freiheitlicher Sozialismus, als Nonkonformismus*. — *Hamburger Jahrbuch*, Bd. 10, გვ. 267.

¹⁵⁰ W. Schütz, *Reform der Deutschlandspolitik*, Köln und Westberlin, 1965.

ბონის „ფორმირებული საზოგადოების“ შექმნის გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე ნაციისტური დირიჟისტულ-ტოტალიტარული ღონისძიების გატარებასაც. შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ „ფორმირებული საზოგადოების“ სისტემაში განსაზღვრულ როლს ასრულებს აგრეთვე ნაციონალიზმი. მიმდინარეობს პროპაგანდა იმისათვის, რომ დაარწმუნონ მასები, თითქოს „პიტლერის დროს ყველაფერი არ იყო ცუდი“. ნაციზმი, ლ. ერჰარდის აზრით, აუცილებელი ეტაპია საზოგადოების განვითარებაში თავისი ფორმირებისაკენ.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1956 წ. ბონმა მიიღო ანტიდემოკრატიული კანონი გერმანიის კომპარტიის აკრძალვის შესახებ. ეს იყო ნაბიჯი წინ „ფორმირებული საზოგადოებისაკენ“. მეორე მხრივ. „ფორმირებულ საზოგადოებაში“ მოქმედების სრული თავისუფლება ეძლევა რევანშიზმის, ნაციზმისა და მილიტარიზმის ძალებს. გახშირდა ნეონაციისტური შეკრებები, ფართო ასპარეზი მიიღო ნაციონალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც აგრძელებს ნაციისტების საქმეს და ფაქტიურად წარმოადგენს ნეონაციისტურ პარტიას. 1965 წ. 7—9 მაისს ჰანოვერში მიმდინარეობდა ამ პარტიის I ყრილობა. საინტერესოა პარტიის ხელმძღვანელობის შემადგენლობა. თავმჯდომარედ აირჩიეს ფაბრიკანტი ფ. ტილენი. პარტიის „ფიურერის“ როლში გამოდის ადოლფ ტადენი. პარტიის გამგეობის 18 წევრიდან 12 წინათ იყო ნაციისტური პარტიის წევრი. ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის წევრთა 35%-ს ახალგაზრდობა შეადგენს. პარტიის ხელმძღვანელობა ეწევა ნაციისტურ პროპაგანდას. კვლავ გაისმის ხმები: „დოიჩლანდ იუბერ ალეს!“.

ასეთია „ფორმირებული საზოგადოების“ ნამდვილი შედეგები. დასავლეთ გერმანიაში ერჰარდის „ფორმირებულ საზოგადოებაზე“ გადასვლა, — აღნიშნავს ვ. ულბრიხტი, — მოასწავებს საგანგებო კანონების, რეაქციული ეკონომიური რეფორმების გატარებას, იუსტიციის რეფორმირებას ანტიკომუნისტური პროპაგანდის გაძლიერების ნიშნით.

მემარჯვენე სოციალ-დემოკრატია ცდილობს სხვადასხვა ძველი და უახლესი აპოლოგეტური კონცეფციების (ინდუსტრიული დემოკრატია, ეკონომიური დემოკრატია. ნონკონფორმიზმი, დემოკრატიული ტოტალიტარიზმი და სხვ.) შეერთებას და ამ გზით სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დაცვას. „ფორმირებული საზოგადოების“ რეფორმისტი თეორეტიკოსებიც კიზინგერბრანდტის სახელმწიფო აპარატს უწოდებენ „საყოველთაო კეთილ-

დღეობის სახელმწიფოს“, რომელიც თითქოს გამოდის მონოპოლიე-ბის წინააღმდეგ და იცავს „თავისუფალ საზოგადოებას“.

ძნელი შესამჩნევი არაა ის გარემოება, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის „ფორმირებული საზოგადოება“ და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის „სრულსაკოვანი საზოგადოება“ პოლიტიკური ტყუპებია, რომლებიც იცავენ გფრ-ის სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს და ქადაგებენ ანტი-კომუნიზმს.

ცხადია, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის „ფორმირებულ საზოგადოებასა“ და გსდპ „სრულსაკოვან საზოგადოებას“ შორის არის განსხვავებაც, მაგრამ ეს უმთავრესად ეხება ტაქტიკას. მათ საერთო სტრატეგიული ჩანაფიქრი აქვთ. მაგალითად, „ლისტის საზოგადოებამ“ დასავლეთ გერმანიის „ფორმირებისათვის“ წამოაყენა ლოზუნგი: „დაგეგმვა გეგმიანი მქურნეობის გარეშე“, ზოლო გსდპ თეორეტიკოსი პროფ. კ. შილერი აცხადებს: „შეჩიბრება—რამდენადაც ეს შესაძლებელია, დაგეგმვა—რამდენადაც ეს აუცილებელია“.

აზრთა სხვადასხვაობა ეხება აგრეთვე ხელფასისა და საკუთრების წარმოქმნის პრობლემას. ცნობილია, რომ გფრ-ში არსებობს ხელფასის ინვესტირებისა (კაპიტალიზაციის) და საკუთრების წარმოქმნის მრავალი პროექტი: „ჰოისლერის გეგმა“, „დრეხსლერის გეგმა“, „გლაიცეს გეგმა“, „ლებერის გეგმა“, „ბახმანის გეგმა“, „ნელ-ბროინინგის გეგმა“, ეკლესიის გეგმა და მრავალი სხვა¹¹¹. ყველა ეს გეგმა, რომლებსაც ქადაგებენ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის (ჰოისლერი, დრეხსლერი, ნელ-ბროინინგი და სხვ.), გერმანიის თავისუფალი დემოკრატიული პარტიისა და გსდპ თეორეტიკოსები (გ. ლებერი, პ. ერენბერგი და სხვ.), ემსახურება ერთ მიზანს — კაპიტალისტური კერძო საკუთრების დაცვას. ზოგიერთი მათგანი ასე აყენებს საკითხს: „ხელფასი — ფასები — სპირალი“, ზოლო ზოგი ასე: „ფასები — ხელფასი — სპირალი“. ორივე ვარიანტი ემსახურება „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების ფორმირებას“, ე. ი. სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დაცვას.

„დიდი კოალიციის“ თეორეტიკოსები (ე. ჰოისლერი, გ. შპეხტი, ა. შტილერი, ვ. დრეხსლერი, კ. ჰინკელი, ო. ნელ-ბროინინგი, რ. პასი, გ. ლებერი, ა. ობერჰაუზერი, კ. ლიტმანი, ბ. გლაიცი, ე. შნაიდერი და სხვ.) კამათობენ იმაზე, თუ როგორ, რა ხერხებით

¹¹¹ იხ. O. Nell-Breuning, *Wirtschaft und Gesellschaft heute*, Frieberg, 1957.

ჩამოყალიბდეს „ფორმირებული არაკომუნისტური უკლასო ინდუსტრიული საზოგადოება“.

ნეოლიბერალები (ლ. ერპარდი, ე. რიუფი, ვ. რეპკე და სხვ.) უპირატესობას ანიჭებენ კონცეფციას „ხელფასი — ფასი — სპირალი“ და გამოდიან ხელფასის მომატების წინააღმდეგ. ამ საქმეში განსაკუთრებით აქტიურობს პროფ. ვ. რეპკე. სოციალ-დემოკრატიის ლიდერები „აკრიტიკებენ“ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თეორეტიკოსებს და უპირატესობას ანიჭებენ „ხელფასის ინვესტირებასა“ და „საკუთრების (ქონების) წარმოქმნას“ ხელფასის გადიდების საფუძველზე. გსდბ თეორეტიკოსების აზრით, „წარმოებული პროდუქტის განაწილების პროპორციები, თანაფარდობა მოხმარებასა და დაგროვებას (კაპიტალის დაგროვებას) შორის — არის სოციალ-დემოკრატიების პოლიტიკური ეკონომიის საგანი“.

გსდბ თეორეტიკოსები, რომლებიც თანამშრომლობენ ეურნალში „პროფკავშირების ყოველთვიური“, იწუნებენ ჰოისლერისა და დრეხსლერის გეგმებს და ქადაგებენ საკუთარს. მაგალითად, ა შტილერმა აღნიშნულ ეურნალში გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით: „ხელფასის კაპიტალიზაციის (ინვესტირების) რეგულირების პრობლემები“. იგი იძლევა „ხელფასის ინვესტირების“ სამი ძირითადი ტიპის დახასიათებას: 1. „ხელფასის სუბსტრაქტიული ინვესტირება“, 2. „ხელფასის ალტერნატიული ინვესტირება“ და 3. „ხელფასის ადიტიური ინვესტირება“¹⁵².

„ფორმირებული საზოგადოების გეგმა“ საერთოდ ითვალისწინებს სოციალური დაზღვევის ლიკვიდაციას, რევილუციური პროფკავშირების დაშლას. პროგრესული ორგანიზაციების აკრძალვას. ასეთია დემოკრატიის რეფორმის მოთხოვნები, რომელსაც „ფორმირებული საზოგადოების გეგმა“ მოითხოვს.

თავისი არსით გსდბ თეორეტიკოსთა მიერ შემუშავებული „საზოგადოების ფორმირების“ გეგმა იგივეა, რაც ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის თეორეტიკოსებისა (დრეხსლერის, ჰოისლერის). ამ გეგმებს შორის განსხვავება უმნიშვნელოა და ეხება მხოლოდ ნიუანსებს. ერთი და მეორეც მიმართულია იქითკენ, რომ დაიცვას კერ-

¹⁵² A. Stiller, Probleme einer Investivlohnregelung. „Gewerkschaftliche Monatshefte“, Hf. 3, 1965, S. 133.

ამ ბოლო დროს თვით სოციალ-დემოკრატიული პრესაც იწუნებს ხელფასის ინვესტირების კონცეფციას, მიიჩნევს მას ყალბ გზად (იხ. Peter Sweerts-Spork, Investivlohn — der falsche Weg. — „Der Volkswirt“, Hf. 42, 1963, გვ. 9).

ძო საკუთრების მარადიულობა და არევე-დარევა შეიტანოს მუშათა კლასში, პროფკავშირებში.

ნეოკომუნიზმი და ფორმირებული საზოგადოების დოქტრინა ანტიკომუნიზმის უახლესი კონცეფციებია. ანტიკომუნიზმი და მისი თეორიები აღმოცენდნენ მეცნიერული კომუნიზმის წარმოშობასთან ერთად. ანტიკომუნიზმმა, როგორც მარქსიზმის საპირისპირო დოქტრინამ, ხუთი ძირითადი ეტაპი განვლო¹⁸³.

I. თავისი არსებობის პირველ ეტაპზე, რომელიც მოიცავს მეცნიერული სოციალიზმის აღმოცენებისა და პირველი კომუნისტური ორგანიზაციების შექმნის პერიოდს, ანტიმარქსიზმი იყენებს კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სამ ძირითად მეთოდს: 1. მეცნიერული სოციალიზმის თეორიის გამოცხადება „უტოპიურ“, „უპერსპექტივო“ მოძღვრებად და მისი უგულებელყოფა; 2. კომუნისტთა და კომუნისტური ორგანიზაციების ყოველგვარი ლეგალური მოღვაწეობის დარბევა და მოსპობა; 3. მეცნიერული კომუნიზმის იდეების, მიზნებისა და ამოცანათა ფალსიფიკაცია.

II. ანტიკომუნიზმის მეორე ეტაპზე, როცა მეცნიერული სოციალიზმი იმარჯვებს წვრილბურჟუაზიულ და ფსევდოსოციალისტურ იდეოლოგიაზე, ძალაში რჩება ზემოდასახელებული მეთოდები. ამასთან ერთად დიდი როლი ენიჭება რევეზიონიზმს.

III. ანტიკომუნიზმის მესამე ეტაპი იწყება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებიდან. ამ ეტაპზე ანტიკომუნიზმი და ანტიმარქსიზმი თავის მთავარ ამოცანას ხედავს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაში. თვით ფაშიზმისა და ნაცისტური ტოტალიტარიზმის წარმოშობა ანტიკომუნიზმის შედეგია.

IV. მეოთხე ეტაპზე ანტიკომუნიზმის ლაშქრობის გამოხატულებას წარმოადგენს ფაშისტური გერმანიის მუხანათური თავდასხმა გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაზე. იდეოლოგიურ ბრძოლაში ანტიკომუნიზმი მარცხს მარცხზე განიცდიდა, ამიტომ მან მიმართა ძალას, რათა იარაღითა და ცეცხლით მოესპო მეცნიერული სოციალიზმი. ანტიკომუნისტთა ეს ლაშქრობაც მათივე მარცხით დამთავრდა. ფაშიზმი დამარცხდა და შეიქმნა მეურნეობის მსოფლიო სოციალისტური სისტემა.

V. ანტიკომუნიზმის შემდგომი ეტაპი იწყება „ცივი ომის“ გაძლიერებით. კაპიტალიზმის საერთო კრზისის მეორე და მესამე ეტაპ-

¹⁸³ იხ. В. С. Шумский, Политика без будущего, Москва, 1967. გვ. 4—7.

ზე იმპერიალისტური რეაქცია აძლიერებს იდეოლოგიურ დივერსიებს. იქმნება მოდერნისტული ანტიკომუნისტური კონცეფციები, ანტიკომუნიზმის შავი დროშის ქვეშ ერთიანდება სოციალურ პროგრესის ყველა მტერი, ხოლო ანტიკომუნიზმი იმპერიალისტური ქვეყნების ოფიციალური სახელმწიფო დოქტრინის რანგში აყვავთ.

თანამედროვე ეტაპზე ანტიკომუნიზმის დროშით გამოდის ფინანსური ოლიგარქია და იმპერიალისტური ქვეყნების მხედრიონი, ნეოფაშისტები და ნეოჰუმანისტები, რეაქციონერი კლერიკალები, ნეოკოლონიზატორები, მემარჯვენე სოციალ-დემოკრატია, ანტიკომუნიზმისა და ანტიმარქსიზმის რეაქციული იდეოლოგიის ყველა იდეური და პოლიტიკური ხელშემწყობი. თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკონომიის სკოლები ანტიკომუნიზმის დროშით გამოდიან. მათ კვალდაკვალ მოჰყვება სოციალ-რეფორმიზმი. მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები, ე. წ. „დემოკრატიული სოციალიზმი“ და რევიზიონისტების „საბაზრო სოციალიზმი“ წარმოადგენს „ბურჟუაზიული გუგულის კვერცხს მუშათა პარტიის ბუდეში“. განსაკუთრებით გააქტიურდნენ იუგოსლავიელი და ჩეხოსლოვაკიელი რევიზიონისტები და მათი თანამოაზრენი. რევიზიონისტებმა „წითელი ტოტალიტარიზმის“ კონტრპროგრამის საკუთარი მოდელები შეიმუშავეს.

„ახალი, საბაზრო სოციალიზმის“ თეორეტიკოსები (ე. კარდელი, ვ. ბაკარიჩი, ზ. ჩეხო, ო. შიკო, ი. სვიტაკი, ი. ფიბიხი, ე. მანდლერი და სხვ.) ილაშქრებენ „ტოტალიტატორული, დიქტატორული სოციალიზმის“ წინააღმდეგ. მათი „ანტიტოტალიტარიზმი“ გულსხმობს: ეკონომიკის დეეტატიზაციას (სოციალისტური სახელმწიფოს როლის დაკნინებას), თვითმმართველობაზე გადასვლას („მუშათა ოპოზიციის“ ანარქო-სინდიკალიზმის პროპაგანდა), „ნების მეორედ გამოცემას“ და ამ გზით „სოციალიზმის ახალი ვარიანტის“ შექმნას.

„სოციალიზმის ჰუმანიზაციას“ იუგოსლავიაში შედეგად მოჰყვა უმუშევრობა, 400—500 ათასი იუგოსლავიელი მუშა კაპიტალისტურ ქვეყნებში დაეძებს ლუკმაპურს, უმუშევართა რაოდენობა კი 300 ათას კაცს შეადგენს.

„დიქტატორული სოციალიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლის დროში გამოდიოდნენ ჩეხოსლოვაკიელი რევიზიონისტებიც. მათ წამოაყენეს აგრეთვე „ანტიტოტალიტარული პროგრამა“; ათასობით წვრილი საწარმოს გახსნა, კოლმეურნეობათა დაშლა და განსაზოგადოებული მიწების გადაცემა კერძო მესაკუთრეებისადმი, პარტიის „დე-

მოკრატიზაცია“, „დეცენტრალიზაცია“ და სხვ.¹⁵⁴ შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ დასავლეთის პრესამ¹⁵⁵ ჩეხოსლოვაკიის მთავარ „რეფორმატორს“ თ. შიკს უწოდა „საბაზრო მეურნეობის“ („საბაზრო სოციალიზმის“) თეორეტიკოსი და „ჩეხოსლოვაკიის წითელი ერჰარდი“.

მარქსიზმ-ლენინიზმი გმობს სოციალიზმის იუგოსლავიურ და ჩეხოსლოვაკიურ ამ „მოდლებს“, რომლებიც არაფრით არ განსხვავდებიან „დემოკრატიული სოციალიზმისაგან“¹⁵⁶.

¹⁵⁴ იხ. К событиям в Чехословакии, Москва, 1968; „Коммунист“, № 15, 1968; „Экономическая газета“, № 44, 1968, გვ. 42 და სხვ.

¹⁵⁵ „Der Volkswirt“, Hf. 30, 1968, გვ. 22.

¹⁵⁶ ბევრი იწერება აგრეთვე „ლიბერმანიზმის“ შესახებ (პროფ. ე. ლიბერმანი საბჭოთა ეკონომისტი, რომელსაც დასავლეთის პრესა თვლის საბჭოთა ნეო-ლიბერალად). დასავლეთის პრესამ ახალი ეკონომიური რეფორმა შეაფასა, როგორც „ლიბერმანიზმი“ — „კონკურენტული სოციალიზმის საბჭოთა ნაირსახეობა“ (იხ. F. Knight, Liberale Bewegungen in sozialistischen Ländern, — „ORDO“, Bd. 17; A. Beyer, Um das „neue ökonomische System“ in Mitteldeutschland, „ORDO“, Bd. 18; „Der Volkswirt“, Hf. 13. 1969; „Hamburger Jahrbuch“ Bd. 11 და სხვ.

**გოტფრიდ ჰაგერლერის „ციკლთა თეორია“. ციკლისა
და ეკონომიური კრიზისების გუჩუაზიული და
წვრილგუჩუაზიული თეორიების კრიტიკა**

კვლავწარმოების მეცნიერული თეორია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა შექმნეს. მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის თანახმად ციკლის პრობლემა განუყოფლადა დაკავშირებული კვლავწარმოებისა და ეკონომიური კრიზისების თეორიასთან. „კვლავწარმოების ციკლურობა კაპიტალიზმის კანონია მისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, უფრო ზუსტად, იგი კრიზისების კანონის მოქმედების ფორმაა“¹.

კაპიტალისტურ კვლავწარმოებას აქვს ციკლური ხასიათი. პერიოდს ერთი ეკონომიური კრიზისის დაწყებიდან მეორის დაწყებამდე ციკლი ეწოდება. კაპიტალისტური კვლავწარმოების ციკლი ოთხი ფაზისაგან შედგება: ეკონომიური კრიზისი, დეპრესია, გაცხოველება და აღმავლობა. კაპიტალისტური ციკლის მთავარ ფაზას შეადგენს ჭარბწარმოების ეკონომიური კრიზისი, რომელიც ახალი ციკლის ამოსავალი პუნქტია. კაპიტალისტური ციკლის ფაზების ცვლა წარმოადგენს კონიუნქტურის ცვლილებათა საერთო საფუძველს.

სწორედ ეკონომიური კონიუნქტურა ასახავს კონკრეტულად კაპიტალისტური კვლავწარმოების ციკლურ მსვლელობას. კაპიტალისტური კვლავწარმოების ციკლური ხასიათი, ჭარბწარმოების ეკონომიური კრიზისები დამანგრეველად მოქმედებს. იგი იწვევს წარმოო ძალთა ნგრევასა და ფლანგვას, უკიდურესად ამწვავებს

¹ Л. А. Мендельсон, Экономические кризисы и циклы после второй мировой войны. — «Проблемы кризисов и обнищания рабочего класса», Москва, 1959, гл. 9.

კაპიტალიზმის ანტაგონისტურ წინააღმდეგობებს. ამიტომ, ბუნებრივია, ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია ციკლის თეორიებს, რომელთა დანიშნულებას შეადგენს „უკრიზისო ციკლის“ მოდელირება, ე. ი. „უკრიზისო კაპიტალიზმის“ შექმნა: ეს კი ობიექტურად შეუძლებელია, რადგან ეკონომიური კრიზისის საფუძველია კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა. მაშასადამე, ეკონომიური კრიზისების მოსპობისათვის აუცილებელია კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის მოსპობა. მაგრამ რომ მოსპო იგი — წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და წარმოების შედეგთა მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმას შორის, უნდა მოისპოს თვით კაპიტალიზმი.

კაპიტალისტური ციკლისა და მისი ფაზების მეცნიერულ ახსნას ცდივა კვლავწარმოების მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება, რომლის თანახმად ეკონომიური კრიზისების გარდუვალობას თვით მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა ბადებს. „კრიზისები ყოველთვის, — წერს კ. მარქსი, — არსებულ წინააღმდეგობათა მხოლოდ დროებით ძალდატანებითი გადაწყვეტაა, ძალდატანებითი აფეთქებაა, რომელიც ერთი მომენტისათვის კვლავ აღადგენს დარღვეულ წონასწორობას“².

ეკონომიურ კრიზისებს პერიოდული ხასიათი აქვს. ყოველ ეკონომიური კრიზისი ნიადაგს უმზადებს ახალ კრიზისებს. ეკონომიური კრიზისების პერიოდულობის მატერიალური საფუძველია ძირითადი კაპიტალის პერიოდული მასობრივი განახლება. ძირითადი კაპიტალის განახლება კი ხდებოდა და ხდება ყოველ 8—10 წელიწადში, ე. ი. იგი რეგულარულად მეორდება კაპიტალიზმის ისტორიის მანძილზე. დაწყებული 1825 წლიდან ეკონომიური კრიზისები პერიოდულად მეორდება საშუალოდ ყოველი 8—10 წლის შემდეგ.

„თუმცა პერიოდები, როდესაც კაპიტალის დაბანდება ხდება, ფრიად სხვადასხვაა და სრულიად არ ემთხვევიან ერთმანეთს, მაგრამ მაინც კრიზისი ყოველთვის ამოსავალ პუნქტს წარმოადგენს კაპიტალის ახალი დიდი დაბანდებისათვის. მაშასადამე, თუ განვიხილავთ მთლიანად აღებულ საზოგადოებას, კრიზისი ქმნის მეტად თუ ნაკლებად ახალ მატერიალურ საფუძველს გადაბრუნებათა შემდგომი ციკლისათვის“³. ამრიგად, კარბწარმოების ეკონომიური კრიზისები კაპიტალიზმის ეკონომიური კანონია, კაპიტალისტური

² კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, 1959, გვ. 316.

³ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. II, 1957, გვ. 229 — 230.

კვლავწარმოების კანონია⁴. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჰარბ-წარმოების ეკონომიური კრიზისები „პერმანენტულია“. ეკონომიური კრიზისის საფუძველია კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა, მაგრამ ეს წინააღმდეგობა მუდამ არსებობს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, ხოლო ეკონომიური კრიზისები პერიოდულად მეორდება. ამის შესახებ უკვე ითქვა. აქ დავუმატებთ მხოლოდ იმას, რომ კაპიტალისტური კვლავწარმოება ვითარდება ციკლურად. დისპროპორციული, ანარქიული განვითარება ყოველთვის ახასიათებს კაპიტალისტურ ციკლს, მაგრამ ეს განსაკუთრებით მწვეავდება კაპიტალისტური ციკლის იმ ფაზაში, რომელსაც კრიზისი ეწოდება.

კაპიტალისტურ მეურნეობაში აუცილებელი პროპორციულობა სხვადასხვა დარგებს შორის მიიღწევა სტიქიურად, მუდმივი რყევისა და დისპროპორციის გზით, რასაც განაპირობებს და განსაზღვრავს თვით კაპიტალისტური კვლავწარმოების ციკლური ხასიათი. კაპიტალისტური პროპორციულობა არ არსებობს კრიზისების გარეშე⁵.

გ. ჰაბერლერი იცავს „უკრიზისო“ ციკლის კონცეფციას. იგი წერს: „ეკონომიური ციკლი საერთო მნიშვნელობით შეიძლება განისაზღვროს, როგორც აყვავებისა და დეპრესიის პერიოდების ცვლა“⁶. ციკლის ხანგრძლივობა, გ. ჰაბერლერს აზრით, შეადგენს 3—12 წელიწადს. ე. წ. „უკრიზისო ციკლი“, რომელსაც თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტები ქადაგებენ. უსაფუძვლო და განუხორციელებელი ოცნებაა. უკრიზისო ციკლი შეუძლებელია კაპიტალიზმის დროს. კაპიტალისა და კერძო საკუთრების დამკველთა მტკიცებანი—„გემური“, „რეგულირებადი“, „ორგანიზებული“. „უკრიზისო“ კაპიტალიზმის შესახებ—მოკლებულია მეცნიერულ საფუძვლებს, ობიექტურ რეალობას და მხოლოდ აპოლოგეტურ მიზნებს ისახავს. თითქმის 150 წელია პერიოდულად მეორდება ჰარბ-წარმოების ეკონომიური კრიზისები, რაც წარმოადგენს „უკრიზისო ციკლის“ შეუძლებლობის უტყუარ დადასტურებას. „უკრიზისო ციკლი“ მიუღწეველი იდეალი იყო პალეომაჩინალიზმისათვის, ასევე განუხორციელებელი ოცნებაა იგი ნეომაჩინალიზმისათვის. რომლის ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს გ. ჰაბერლერის „ციკლთა თეორია“, რომელსაც ეთმობა მისი ფუნდამენტური შრომა „აყვავე-

⁴ იხ. Л. А. Менделъсон, Теория и история экономических кризисов и циклов, т. 1 и 2, Москва, 1959.

⁵ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 732.

⁶ I. Хаберлер, Процветание и депрессия, გვ. 279.

ბა და დეპრესია“. წიგნის ქვესათაურია „ციკლურ რხევათა თეორიული ანალიზი“. ჩვენს მიზანს კი შეადგენს გ. ჰაბერლერის ამ წიგნისა და მასში გადმოცემული ბურჟუაზიული კონცეფციების კრიტიკულ-თეორიული ანალიზი.

§ 1. გ. ჰაბერლერი — „ნეოავსტრიული სკოლის“ ერთ-ერთი მთავარი თეორეტიკოსი

გოტფრიდ ჰაბერლერი — საგარეო ვაჭრობის ნეოკლასიკური თეორიის გამოჩენილი თეორეტიკოსი⁷ „ემიგრირებული ვენის სკოლის“ ცნობილი წარმომადგენელია. მისი სახელი საკმაოდ ცნობილია თანამედროვე ბურჟუაზიულ ეკონომიურ ლიტერატურაში. იგი მრავალი შრომის ავტორია, რომელთაგან „უველაზე უფრო სოლიდურია მსოფლიოში ცნობილი პროფესორ ჰაბერლერის წიგნი, რომელიც ციკლის თეორიას ეხება“. ასე დაახასიათა გ. ჰაბერლერის მთავარი ნაწარმოები „აუვევება და დეპრესია“⁸ თანამედროვე ბურჟუაზიულმა ეკონომისტმა, ამერიკელი კეინსელების ლიდერმა, ამერიკის თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის პატრიარქმა ე. ჰანსენმა⁹. დიდ ადგილს უთმობს გ. ჰაბერლერის შეხედულებათა დახასიათებას ფრანგი ბურჟუაზიული ეკონომისტი ე. ჟამსიც¹⁰.

⁷ იხ. Новые тенденции в современной буржуазной политической экономии, София, 1965, გვ. 334.

ჩვენი აზრით, გ. ჰაბერლერი ნეოლიბერალური მიმართულების წარმომადგენელია. ამ საკითხზე, და საერთოდ ნეოლიბერალიზმის რაობის შესახებ, საბჭოთა და საზღვარგარეთელი ეკონომისტების საწინააღმდეგო მოსაზრებანი ჩამოვყალიბებ ჩვენს მოხსენებაში საკავშირო კონფერენციაზე, რომელიც მოსკოვში გაიმართა 1966 წ. დასაწყისში. ამ მოხსენების ძირითადი შინაარსი შესულია „შრომებში“ (იხ. Современный капитализм и буржуазная политическая экономия. Труды Всесоюзной конференции по критике буржуазных экономических теорий. Ответственные редакторы: академик Румянцев А. М., доктор экон. наук Аболтин В. Я., доктор экон. наук Дворкин И. Н., М., გვ. 307).

⁸ G. Haberler, Prosperity and Depression. League of Nations, 1941.

⁹ Э. Хансен, Экономические циклы и национальный доход, ИЛ, 1959, გვ. 47, 277, 531.

¹⁰ იხ. Э. Жамс, История экономической мысли XX в., ИЛ, 1959, გვ. 166, 172—173, 175, 200, 277, 300, 362—363, 387, 395—396, 408, 414—417.

გ. ჰაბერლერის წიგნი „აყვავება და დეპრესია“ პირველად 1937 წ. გამოსულა ფრანგულ ენაზე, რომლის ციტირებას ახდენს ე. ჯამსი¹¹, ხოლო 1941 წელს — მეორე გამოცემა ინგლისურ ენაზე, რომელიც მითითებულია ე. ჰანსენის წიგნში „ეკონომიური ციკლები და ეროვნული შემოსავალი“¹². ჩვენ გამოვიყენეთ ბოლო. მეოთხე (1958 წ.) გამოცემის რუსული თარგმანი, რომელიც მოსკოვში გამოვიდა 1960 წელს. რუსული თარგმანის საფუძველად აღებულია 1958 წლის ლონდონის გამოცემა, რომელიც ინგლისურ ენაზეა გამოქვეყნებული¹³.

რუსულ თარგმანს წინ ერთვის ა. ი. ბეჩინის საკმაოდ დიდი (გვ. 5 — 32) შესავალი სტატია. რომელშიც ზოგადად დახასიათებულია ციკლის თანამედროვე ბურჟუაზიული თეორია. რა თქმა უნდა. პირველ რიგში გ. ჰაბერლერის დასახელებული წიგნი და მასში გატარებული აზრები. „პროფ. ჰაბერლერის მთელი წიგნი, — წერს ა. ი. ბეჩინი, — ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიზისის მაჩვენებელია, რაც კაპიტალიზმის მოუშორებელი და კიდევ უფრო გამწვავებული წინააღმდეგობის შედეგს წარმოადგენს“¹⁴.

მიუხედავად ამისა. ეს წიგნი საყურადღებოა იმით, რომ მასში თავმოყრილია უამრავი „ნედლი მასალა“ ციკლისა და ეკონომიური კრიზისების თანამედროვე ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკული ანალიზისათვის. წიგნი საინტერესოა იმითაც, რომ მასში ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის პოზიციებიდან გაშუქებულია ციკლის ძველი, ახალი და უახლესი თეორიები და შესაბამისი სკოლები. ცხადია, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის სკოლებისა და მათი მოძღვრების თეორიული ანალიზი წიგნში წარმოებს კაპიტალიზმის აპოლოგეტური პოზიციებიდან.

თვით წიგნის ავტორი გ. ჰაბერლერი პირდაპირ არ აცხადებს იმას, თუ რომელ მიმდინარეობას უჭერს მხარს ან რომელ სკოლას ნიექუთვნება. თუმცა ჩვენთვის ეს ნათელია. როგორც უკვე ითქვა, ჩვენი აზრით, გ. ჰაბერლერი მიექუთვნება ნეოლიბერალურ მიმდინარეობას და ამ პოზიციებიდან განიხილავს ციკლისა და კრიზისების პრობლემას.

ჩვენ მიერ დამუშავებული ლიტერატურა საფუძველს გვაძლევს

¹¹ იხ. Э. Жамс, История экономической мысли XX в., И.П. 1959. გვ. 414.

¹² Э. Хансен, Экономические циклы и национальный доход, гв. 47.

¹³ G. Haberler, Prosperity and Depression. A theoretical Analysis of cyclical Movements. London, 1953.

¹⁴ იხ. Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гв. 32.

დავასკვნათ, რომ გ. ჰაბერლერი კაპიტალისტური ციკლის (და არა მარტო ციკლის, არამედ მთელი თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის საკითხებში) დგას ნეომარქინალურ პოზიციებზე. აქვე შევნიშნავთ, რომ არ არსებობს „წმინდა ნეომარქინალიზმი და ნეოლიბერალიზმი“. თანამედროვე ბურჟუაზიული თეორიების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ეკლექტიზმი. ამდენად, გ. ჰაბერლერის მოძღვრებაში გვხვდება აგრეთვე პალეომარქინალიზმის დოგმებიც.

გ. ჰაბერლერი რომელიმე „წმინდა“ ბურჟუაზიული თეორიის პოზიციებზე კი არ დგას, არამედ ცდილობს სხვადასხვა სკოლებისა და თეორიების ეკლექტიკურ შეერთებას. იგი ყოველნაირად ცდილობს სხვადასხვა კონცეფციების შერიგებას და ამ მიზნით დაეცემა არა განსხვავებას, არამედ საერთოს თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის სკოლებსა და თეორიებს შორის. „აქ ჩვენ, — წერს გ. ჰაბერლერი, — მივყვებოდით საწინააღმდეგო პრინციპს და შემდეგ განყოფილებებში ნაჩვენები იქნება, თუ როგორ შეიძლება იმ თეორიების შერიგება, რომლებიც *prima facie* ერთიმეორის საპირისპირო გვეგონია“¹⁵. გ. ჰაბერლერის ცდა „შეარიგოს შეურავებელი“ ობიექტურად შეუძლებელია.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ა. ი. ბეჩინის აზრს გ. ჰაბერლერის შეხედულებათა შეფასების საკითხში. ა. ბეჩინი წერს: „პროფ. ჰაბერლერის წიგნში დიდი ყურადღება ეთმობა ციკლის თანამედროვე თეორიების მიმოხილვასა და ანალიზს. ამ წიგნის ავტორი კაპიტალისტური სამყაროს ერთ-ერთი დიდი ეკონომისტია. მას თანამიმდევრული კონსერვატიული პოზიცია უჭირავს და ამ პოზიციიდან ცდილობს კაპიტალიზმის განვითარების ძირითადი პრობლემებისადმი დამოუკიდებელი მიდგომის გამოძებნას“¹⁶.

ჯერ ერთი, თუ გ. ჰაბერლერს „თანმიმდევრული კონსერვატიული პოზიცია“ (იგულისხმება პალეოლიბერალური მარქინალიზმი) უჭირავს, მაშინ სადღაა „დამოუკიდებელი მიდგომა“? მეორე, „ჰაბერლერის წიგნში, — წერს თვით ა. ბეჩინი. — განიხილება ნაკლებმონხმარების უახლესი თეორიები, ხოლო ნაკლებმონხმარების ძველი თეორიები არც კი მოიხსენიება“¹⁷. გ. ჰაბერლერს არ შეუძლია და არც სურს „თანმიმდევრულ კონსერვატიულ პოზიციებზე“ დგომა არც სურს იმიტომ. რომ იგი იცავს არა თავისუფალი კონკურენციის

¹⁵ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гл. 34.

¹⁶ იქვე, გვ. 6.

¹⁷ იქვე, გვ. 27.

ეპოქის კაპიტალიზმს, არამედ თანამედროვე კაპიტალიზმს, ე. ი. სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს. განა შეიძლება სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დაცვა ძველი, გაკოტრებული პალეოლიბერალური კონცეფციებით? ცხადია, არა. ამას თვით თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტების აბსოლუტური უმეტესობა აღიარებს. აი, რამდენიმე მაგალითი:

ე. ჟამსი წერს: „როგორც ცნობილია, XIX საუკუნეში წარმოდგენილი კრიზისების ყველა თეორიამ უკანა პლანზე გადაინაცვლა ე. ბ. სეის „ბაზრის კანონის“ შესახებ დაკავშირებული დისკუსიის გამო. დღეისათვის ეს დისკუსია უკვე დამთავრებულია. აფტალიონმა, ჰაბერლერმა, ლიუპრიზმა და მრავალმა სხვამ გააკრიტიკა ეს ყბადაღებული „კანონი“ და უუაგლო მისგან გამომდინარე დასკვნა, რომ საერთო კრიზისები შეუძლებელია“¹⁸. ე. ჟამსი ამტკიცებს, რომ გ. ჰაბერლერის შეხედულებანი ძალიან ახლოსაა თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტების—ჯ. მ. კლარკის, ფ. ლუტცის, უ. მიტჩელის, რ. ჰაროდის შეხედულებებთან. განსხვავებაა მხოლოდ ტერმინოლოგიაში. „ამ მხრივ, მიუხედავად განსხვავებისა ტერმინოლოგიაში, ჰაბერლერის შეხედულება საკმაოდ ახლოა ამ საკითხის კლარკისეულ გაგებასთან“¹⁹.

ახლა მოვუხსმინოთ თვით გ. ჰაბერლერს. „ჩვენმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ სტატიკური წონასწორობის თეორია უსუსურია. იგი ხსნის, ასე რომ ვთქვათ, იდეალურ შემთხვევას, რომელიც, მართალია, შესაძლებელია, მაგრამ მხოლოდ განსაკუთრებულად ხელსაყრელ პირობებში“²⁰, ხოლო შრომის შესავალში „წიგნის მიზანი“ კი წერს: „ეს წიგნი წარმოადგენს პირველ ნაბიჯს ეკონომიური დებარესიის პერიოდების განმეორების მიზეზების შესახებ უფრო ვრცელი გამოკვლევისა, რომელიც ერთა ლიგის სამდივნოს ეკონომიური ინფორმაციის სამსახურმა წამოიწყო.“

ეს გამოკვლევა, — განაგრძობს გ. ჰაბერლერი, — შემოიფარგლება ამოცანით — ეკონომიური ციკლის არსებული თეორიების ანალიზი და ამ ანალიზიდან ეკონომიური რხევების შესაძლო მიზეზებისა და ბუნების სინთეტიკური შეფასება“²¹.

ჩვენ აქ აშკარად ვხედავთ, რომ გ. ჰაბერლერის წიგნის მიზანია გლობალური, მაკროეკონომიური პრობლემების სინთეტიკუ-

¹⁸ Э. Жамс, История экономической мысли XX в., гл. 166.

¹⁹ იქვე, გვ. 415.

²⁰ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гл. 361.

²¹ იქვე, გვ. 33.

რი შესწავლა და შეფასება, ე. ი. მაკროეკონომიური და არა ტრადიციული. ძველი მიკროეკონომიკისი — „სინგულარული“ მეურნეობა. ავილოთ გ. ჰაბერლერის წიგნის XII თავი, რომელიც ასეა დასათაურებული: „ეკონომიურ ციკლთა საერთაშორისო ასპექტი“²². თვით სათაურიდანაც აშკარად ჩანს, რომ გ. ჰაბერლერი მიზნად ისახავს გლობალური საკითხების (საერთაშორისო ვაჭრობის თეორია, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია, საერთაშორისო „ინტეგრაცია“ და რეგიონალიზმი, საბაჟო ტარიფები, კრედიტის ლოკალიზაცია და სხვ.) განხილვას.

სხვას რომ თავი დავანებოთ, გ. ჰაბერლერის წიგნის სათაურიც კი იმაზე მეტყველებს, რომ გ. ჰაბერლერმა განიცადა „კეინსური ეპიდემია“, ე. პანსენთან ერთად მონაწილეობდა „კეინსის ამერიკანიზაციის“ საქმეში და ნეომარქინალურ გზას დაადგა. მან მიზნად დაისახა „სავაჭრო-სამრეწველო ციკლის“ მაკროეკონომიური პრობლემის შესწავლა. სხვა საკითხია, თუ როგორ განიხილავს ამ საკითხს (ამაზე ქვემოთ გვექნება ლაპარაკი). ერთი კი აქაც აშკარაა — გ. ჰაბერლერის მიკუთვნება ა. ი. ბეჩინის მიერ „თანმიმდევრულ კონსერვატიულ“ მოაზროვნედ არ შეეფერება სინამდვილეს. ასეთი პოზიციიდან გ. ჰაბერლერის წიგნის განხილვა, ვფიქრობთ, არ მოგვცემს ნათელ წარმოდგენას ციკლის თანამედროვე ბურჟუაზიულ მოძღვრებაზე საერთოდ.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გ. ჰაბერლერი მონაწილეობდა „კეინსის ამერიკანიზაციის“ საქმეში. ეს იმას ნიშნავს, რომ მან რევოზია გაუკეთა არა მარტო პალეომარქინალურ თეორიებს, არამედ თვით კეინსის მოძღვრებასაც კი. იგი უსაყვედურებს კეინსს სტატიკურობაში. „კეინსის თეორია უფრო მეტად სტატიკურია, ვიდრე დინამიკური“²³. „კეინსის თეორიას, — წერს გ. ჰაბერლერი. აქვს კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც განასხვავებს მას ეკონომიური ციკლის ყველა დანარჩენი თეორიისაგან. იგი თავისი არსებით სტატიკური თეორიაა. სტატიკური თეორიის ქვეშ ჩვენ გვესმის თეორია, რომელშიც ყველა ცვლადი (გამოსაკლვეო სიდიდეები), რომლებიც ეხებიან განსაზღვრულ მომენტს ან დროის პერიოდს, აიხსნება იმ გამოსავალი მონაცემების საფუძველზე, რომლებიც ეკუთვნიან ამავე მომენტს ან პერიოდს. ასეთ თეორიას არასოდეს არ შეუძლია ახსნას მოძრაობა დროში“²⁴. კომენტარები ზედმეტია.

²² Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гл. 412—455.

²³ Э. Жамс, История экономической мысли XX в., гл. 247.

²⁴ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гл. 261.

ახლა თვით გ. ჰაბერლერის წიგნის „დებრესია და აყვავება“ სტრუქტურისა და ძირითადი პრობლემების შესახებ.

წიგნი 25 თავისაგან შედგება და დაყოფილია სამ ნაწილად:

ნაწილი პირველი — „ეკონომიური ციკლის თეორიათა სისტემატური ანალიზი“ დაყოფილია 8 თავად (თავი I — VIII), რომლებშიც განხილულია ციკლის სხვადასხვა ბურჟუაზიული თეორიები: „წმინდა მონეტარული თეორია“, „ჰარბდაგროვების თეორია“ („ჰარბდაგროვების მონეტარული თეორია“, „ჰარბდაგროვების არამონეტარული თეორიები“), „ნაკლებმოხმარების თეორიები“, „ფსიქოლოგიური თეორიები“, მოსავლის პერიოდული ცვლილების „თეორიები“, დაზოგვა, ინვესტიციები, ტრეზვარაცია, სარგებლის „წმინდა თეორია“, მულტიპლიკატორი, არასრული დასაქმების თეორია, სტატიკური და დინამიკური თეორიები.

მეორე ნაწილი — „ეკონომიური ციკლის განსაზღვრა და გაზომვა“ მოიცავს ხუთ თავს (თავები IX — XIII). წიგნის ამ ნაწილში პროფ. გ. ჰაბერლერს განხილული აქვს შემდეგი საკითხები: ციკლის ოთხი ფაზა, აქსელერაციის პრინციპი, დეფლაცია, ხელფასი, სავალუტო სტანდარტები, დევალვაცია, უმუშევრობა და სხვ.

მესამე ნაწილი — „ფულადი და რეალური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ეკონომიურ სიმყარეზე. თანამედროვე ეკონომიური თეორიების ზოგიერთი ტენდენციის კრიტიკა“ ორ თავადაა დაყოფილი. გ. ჰაბერლერი განიხილავს ციკლის თეორიის პრობლემებთან დაკავშირებულ იმ საკითხებს, რომლებიც თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის დისკუსიის საგანს შეადგენდა უკანასკნელ პერიოდში. ასეთებია, მაგალითად: ეკონომიური არამდგრადობა, ასწლოვანი ინფლაცია, ეკონომიური ციკლის თანამედროვე თეორიები და სხვ.

როგორც ვხედავთ, წიგნში განხილულია მრავალი თეორია და პრობლემა, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის სკოლები, მათი წარმომადგენლები. ამ უკანასკნელის საილუსტრაციოდ დამატებით დავასახელებთ ისეთ ცნობილ ბურჟუაზიულ ეკონომისტებს, რომელთა კონცეფციებმა ცოტად თუ ბევრად ასახვა პოვეს გ. ჰაბერლერის წიგნში. ასეთებია: ა. აფტალიონი, ა. ამონი, ე. ბევერიჯი, ე. ბემ-ბავერკი, მ. ბუნიათიანი, კ. ექსელი, უ. ჯევონსი, გ. კასელი, ჯ. მ. კეინსი, ჯ. მ. კლარკი, კ. კლარკი, ნ. კონდრატევი, ს. კუზნეცი, ფ. ლუტცი, თ. მალთუსი, ფ. მახლუპი, ლ. მიზესი, უ. მიტჩელი, ფ. ნაიტი, ა. პიგუ, ე. რეპკე, ჯ. რობინსონი, ლ. რობინსი, პ. სამუელსონი, ი. ფიშერი, ფ. ჰაიეკი, ე. ჰანსენი, რ. ჰაროდი, რ. ჰიკსი, რ. ჰოუტრი, ა. შპიტცოფი, ი. შუმპეტერი და სხვები, დაახლოებით

100-ზე მეტი ბურჟუაზიული და რეფორმისტი ეკონომისტი. ამიტომ არც კია გასაკვირი, რომ წიგნი მეტისმეტად გადატვირთულია და მოცულობითაც დიდი (40 ნაბეჭდი თაბახი).

გ. ჰაბერლერის, მთელი თანამედროვე ვულგარეკონომიის თეორიები ციკლისა და ეკონომიური კრიზისების შესახებ მიმართულია მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის წინააღმდეგ. 100 წლის მანძილზე ბურჟუაზიული ეკონომისტები თავს ესხმოდნენ კ. მარქსის მოძღვრებას კაპიტალისტური კვლავწარმოებისა და ეკონომიური კრიზისების შესახებ. დღესაც გრძელდება თანამედროვე ვულგარეკონომიის ბრძოლა კ. მარქსის „კაპიტალის“ წინააღმდეგ. ამ ხნის მანძილზე ბევრმა ბურჟუაზიულმა თეორიამ საბოლოო ადგილსამყოფელი ისტორიის სანაგვე ყუთში პოვა. მათ ადგილს კი უკავებს მოდერნისტული აპოლოგეტური თეორიები, რომელთა მიზანი ერთია — „უკრიზისო ციკლისა და უკრიზისო კაპიტალიზმის“ დასაბუთება, ე. ი. სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის აპოლოგია.

პალეოლიბერალურ პოლიტიკურ ეკონომიას ჰქონდა ციკლისა და ეკონომიური კრიზისების საკუთარი თეორიები, რომლებმაც კრაზი განიცადეს მონოპოლისტური კაპიტალიზმის სტადიაზე. „ახალმა ეკონომიამ“, რომლის მიზანს შეადგენდა და შეადგენს მონოპოლისტური კაპიტალიზმის დაცვა, უკუაგდო ძველი უვარგისი დოგმები და ახალი კონცეფციები შექმნა.

აღმავალი კაპიტალიზმი არც კი საჭიროებდა აპოლოგეტიკას. ბურჟუაზიული კლასიკური პოლიტიკონომიის წარმომადგენლები ა. სმიტი და დ. რიკარდო უარყოფდნენ ჰარბწარმოების ეკონომიური კრიზისების შესაძლებლობას. ისინი ვარაუდობდნენ მხოლოდ შესაძლო ნაწილობრივ ჰარბწარმოებას. ასეთი ვარაუდი ემყარებოდა ა. სმიტის დოგმას. ნაწილობრივი ჰარბწარმოების გამომწვევ მიზეზად მიიჩნევდნენ კაპიტალისტური მეურნეობის ცალკეულ დარგებს შორის პროპორციულობის ზოგიერთ დარღვევას. ასე ჩამოყალიბდა ნაწილობრივი კრიზისების (დისპროპორციულობის) ბურჟუაზიული თეორია, რომელსაც დასაბამი მისცა ბურჟუაზიულმა კლასიკურმა ეკონომიამ. შემდეგ კი ამ თეორიამ სხვადასხვა ინტერპრეტაცია მიიღო.

ციკლისა და ეკონომიური კრიზისების „ძველი თეორიები“ საბოლოოდ ჩამოყალიბდა სამი ძირითადი ფორმით: 1. ფულად-საქრედიტო (პოუტრი, კანი და სხვ.), 2. ჰარბდაგროვების თეორიები (ტუგან-ბარანოვსკი, შპიტკოფი, კასელი და სხვ.) და 3. ნაკლებმოხმარების თეორიები (სისმონდი, რუსი სისმონდისტები — ხალხოსნე-

ნი და სხვ.). ყველა ეს თეორია ემყარებოდა პალეოლიბერალიზმის „თვითმარეგულირებელი საბაზრო ავტომატიზმის“ დოქტრინას (სეის „ბაზრის კანონი“, „წონასწორობის თეორია“, „მოთხოვნა-მიწოდების კანონი“, „სახელმწიფო — ღამის გუშაგი“ და ა. შ.). თავისუფალი კონკურენციის ადგილი მონოპოლიებმა დაიკავეს, ხოლო ციკლისა და კრიზისების პალეოლიბერალური თეორიების ადგილი — ახალმა და უახლესმა კონცეფციებმა, რომლებსაც უმთავრესად კეინსურ-დირიჟისტული ხასიათი აქვთ. რა თქმა უნდა, თანამედროვე ბურჟუაზიულმა თეორიებმა შეინარჩუნეს ძველი დოგმებიც, რომლებიც ცოტად თუ ბევრად შეთავსებადია ციკლისა და კრიზისების უახლეს თეორიებთან.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდის ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში გვხვდება კაპიტალისტური ციკლისა და ეკონომიური კრიზისების, როგორც „ძველი“, ასევე „ახალი“ და „უახლესი“ თეორიები, რომლებიც ეკლექტიკურადაა აღრეული ურთიერთში და ზოგჯერ ძნელიც ხდება დადგენა იმისა, თუ რომელ მიმართულებას ან სკოლას მიეკუთვნება ესა თუ ის თეორია. „კრიზისების ეკლექტიკური ახსნის ფართოდ გავრცელება — წერს პროფ. ი. ბლუმინი, — აძნელებს კრიზისების თანამედროვე ბურჟუაზიული თეორიების კლასიფიკაციას. ყოველ შემთხვევაში, არსებული სქემები, მაგალითად, გ. ჰაბერლერის კლასიფიკაცია, რომელიც მოცემულია მის ცნობილ წიგნში „აყვავება და დეპრესია“ (G. Haberler, Prosperity and Depression, 1941), მოძველდა (ჰაბერლერი განასხვავებდა წმინდა ფულად თეორიებს, — ჰარბდაგროვების თეორიებს ორი ვარიანტით — ფულადი და არაფულადი, აქსელერატორის თეორიას, აგრეთვე თეორიას, რომელიც კრიზისებს ხსნის წარმოების ხარჯებში მომხდარი ცვლილებებით, ბოლოს, ნაკლებმომხმარებლისა და ფსიქოლოგიურ თეორიებს). ასე, მაგალითად, ერთი და იგივე ავტორი კეინსი იყენებს ნაკლებმომხმარებლის ფსიქოლოგიურ და მულტიპლიკატორის თეორიასაც“²⁵.

პროფ. ი. ბლუმინი (1897 — 1959) აქ სწორად შენიშნავს, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული თეორიების ეკლექტიკურობის გამო ერთობ ძნელი ხდება დადგენა იმისა, თუ რომელ კონცეფციას იზიარებს ესა თუ ის ბურჟუაზიული ეკონომისტი. რაც შეეხება აზრს იმის შესახებ, რომ ციკლისა და კრიზისების თეორიების ჰაბერლერისეული დაყოფა მოძველდა, ეს შეიძლება ნაწილობრივ გა-

²⁵ И. Г. Блюмин, Критика современной буржуазной политической экономии. т. III, 1962, гл. 172.

ვიზიაროთ. საქმე იმაშია, რომ თვით პროფ. ი. ბლუმინის აზრიც ერთგვარად მოძველდა. ჩვენ როცა ამას ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს შემდეგი გარემოება: ი. გ. ბლუმინმა აღნიშნული მოსაზრება გამოთქვა შრომაში „თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიზისი“, რომელიც ჯერ კიდევ 1959 წელს გამოქვეყნდა²⁶. აქ იგი იყენებს გ. ჰაბერლერის წიგნის „აყვავება და დეპრესია“ ძველ, 1941 წლის გამოცემას. ამ წიგნის რუსული თარგმანი კი შესრულებულია მეოთხე ინგლისური გამოცემის მიხედვით ზოგიერთი ცვლილებით, იგი გამოვიდა 1960 წელს, ე. ი. პროფ.

ბლუმინის გარდაცვალების შემდეგ.

თვით პროფ. ი. ბლუმინი არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ციკლისა და ეკონომიური კრიზისების ბურჟუაზიული თეორიები, რომლებიც გ. ჰაბერლერის წიგნშია განხილული, დღესაც მიმოქცევაშია. რა თქმა უნდა. სავსებით სწორად შენიშნავს პროფ. ი. ბლუმინი, რომ ამ ძველმა თეორიებმა დაკარგეს ადრინდელი მნიშვნელობა და იმ როლს ვეღარ ასრულებენ ამჟამად, რასაც წინათ.

პროფ. ი. ბლუმინი ჩამოთვლის ციკლისა და ეკონომიური კრიზისების ბურჟუაზიული თეორიების შემდეგ ჯგუფებს: 1. საკრედიტო-ფულადი თეორიები, 2. ფსიქოლოგიური თეორიები, 3. მულტიპლიკატორისა და აქსელერატორის თეორიები, 4. ნაკლებმოხმარების თეორიები, 5. ეკონომიური კრიზისების პრობლემის განხილვა ინფლაციის საკითხთან მჭიდრო კავშირში, 6. კონიუნქტურის სტაბილიზატორთა თეორია²⁷.

თვით ბურჟუაზიულ ეკონომიურ ლიტერატურაში ლაპარაკია ეკონომიური კრიზისების თეორიის ოთხი ძირითადი ჯგუფის გარშემო: 1. საკრედიტო-ფულადი თეორიები, 2. კაპიტალწარმოქმნაში დისპროპორციების თეორიები. 3. თეორიები, რომლებსაც კრიზისები გამოჰყავთ საწარმოო-ტექნიკურ სიძნელეთა ზრდიდან, 4. ნაკლებმოხმარების თეორიები (ი. აკერმანი). „ყველა ეს ოთხი თეორია, — წერს შვედი ბურჟუაზიული ეკონომისტი ი. აკერმანი, — გამართლებულია. მათ აქვთ მეტ-ნაკლები მნიშვნელობა სხვადასხვა კრიზისების მიმართ“²⁸.

თანამედროვე ამერიკელი ბურჟუაზიული ეკონომისტი პ. სამუელსონი კი ციკლისა და ეკონომიური კრიზისების თეორიის ექვს

²⁶ И. Г. Б л ю м и н, Кризис современной буржуазной политической экономии, Москва, 1959.

²⁷ И. Г. Б л ю м и н, Критика современной буржуазной политической экономии, т. III, гл. 173.

²⁸ იხ. იქვე. გვ. 172.

ნაირსახეობას ჩამოთვლის: 1. ფულადი თეორია, რომელიც ციკლს ხსნის საბანკო კრედიტის ექსპანსიითა და შეკუმშვით (პოუტრი და სხვ.); 2. ახალ შემოღებათა თეორია ციკლს განიხილავს როგორც წარმოებაში ახალ გამოგონებათა, მაგალითად, როგორცაა რკინი-ჯხები. გამოყენებას (შუმპეტერი, ჰანსენი და სხვ.); 3. ფსიქოლოგიური თეორიები. რომელთა თანახმად ციკლი არის მოსახლეობის ნება-სურვილის, განწყობის პესიმისტური და ოპტიმისტური ხასიათის შედეგი (პიგუ და სხვ.); 4. ნაკლებმომხმარებლის თეორია (პობსონი, კეტჩინგსი და სხვ.); 5. მეტისმეტი ინვესტირების თეორია (პაიეკი, მიზესი და სხვ.); 6. მზის ლაქების — ამინდის—მოსავლის თეორია (ჩევენსი, მური და სხვ.)²⁹.

გ. ჰაბერლერი თავის წიგნში ვრცლად განიხილავს ციკლისა და ეკონომიური კრიზისების თეორიებს, რომელთაგან იგი გამოყოფს „წმინდა მონეტარულ თეორიას“ (პოუტრის თეორიას) და აკეთებს მცდარ დასკვნას. მისი აზრით, კრიზისის მიზეზია არა კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა, არამედ კრედიტის შეზღუდვა. განსაკუთრებით დიდი ადგილი უკავია გ. ჰაბერლერის წიგნში ჰარბდაგროვებისა და ნაკლებმომხმარებლის თეორიებს.

§ 2. ჰარბდაგროვების თეორიები

გ. ჰაბერლერი განასხვავებს ერთიმეორისაგან ციკლისა და ეკონომიური კრიზისების თეორიების სამ ძირითად ჯგუფსა და შესაბამის სკოლებს: 1. ჰარბდაგროვების თეორიები, 2. ნაკლებმომხმარებლის თეორიები და 3. ფსიქოლოგიური თეორიები. იგი ჯერ განიხილავს ჰარბდაგროვების თეორიებს, რომლებსაც თავის მხრივ სამ ჯგუფად ყოფს: ა) ჰარბდაგროვების მონეტარული თეორიები, ბ) ჰარბდაგროვების არამონეტარული თეორიები და გ) ჰარბდაგროვების თეორიები, რომლებიც წარმოიშობა მზა პროდუქციაზე მოთხოვნის ცვლილებათა შედეგად³⁰.

ა) ჰარბდაგროვების მონეტარული თეორიები ისაკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი გ. ჰაბერლერის წიგნში. გ. ჰაბერლერი თავის გამოკვლევას იწყებს ციკლის საკრედიტო-ფულადი თეორიებით.

მონეტარული თეორია ახალი არაა. საკრედიტო-ფულადი თეორიების თანახმად ეკონომიური კრიზისების მიზეზს წარმოადგენს

²⁹ П. Самуэльсон, Экономика, гл. 296.

³⁰ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гл. 111.

კრედიტის გაფართოება და შეკვეცა. „ჭარბდაგროვების მონეტარული თეორია, — წერს გ. ჰაბერლერი, — გამომდინარეობს სხვადასხვაობიდან სარგებლის ბუნებრივ და ფულად ნორმებს შორის. ამ თეორიის თანახმად პერიოდული ჭარბდაგროვებისა და წონასწორობის დარღვევის მიზეზებად გამოდიან ფულადი ფაქტორები“³¹.

მონეტარისტები ციკლისა და ეკონომიური კრიზისების არსებობას ხსნიან კრედიტის მოძრაობით. ეს თეორია წამოაყენა ეუგლარმა, ხოლო მასში შესწორებები შეიტანა მ. ანსიომ და ჰოუტრიმ. „მნიშვნელოვნად უფრო სრულყოფილად დამუშავებული, როგორც ჩვენ გვგონია, — წერს ე. ჟამსი, — არის ჰაიეკის თეორია“³².

გ. ჰაბერლერის წიგნში მრცემული ციკლისა და კრიზისების თეორიების დაჯგუფება განსხვავდება (ერთგვარად) ა. აფტალიონის კლასიფიკაციისაგან. „თეორიების ერთი ჯგუფი ხსნის ფასების დაცემას საქონელთა მიწოდების სიჭარბით, მეორენი — მოთხოვნის ნაკლებობით, ერთნი — ჭარბწარმოებით, მეორენი — ნაკლებმოხმარებით. ამრიგად, — წერს ა. აფტალიონი, — კრიზისების თეორიები შეიძლება ორ დიდ ჯგუფად დაიყოს“: 1. ჭარბდაგროვებისა და 2. ნაკლებმოხმარების თეორიები³³. ა. აფტალიონის განცხადებით, „ნაკლებმოხმარებას“ უმჯობესია ეწოდოს „ნაკლებმოთხოვნა“³⁴.

კრიზისების საკრედიტო-ფულადი თეორიების მეცნიერული კრიტიკა კ. მარქსმა მოგვცა. მონეტარული თეორიების კრიტიკას, რომელიც კ. მარქსის შრომებშია მოცემული, დიდი მნიშვნელობა აქვს ციკლისა და კრიზისების თანამედროვე საკრედიტო-ფულადი თეორიების კრიტიკული ანალიზის საქმეში.

თანამედროვე კაპიტალიზმის მთელი ფულად-საკრედიტო სისტემა ღრმა კრიზისის პროცესშია. გ. ჰაბერლერის წიგნში განხილული მონეტარული თეორიების სიმრავლეც ამას ადასტურებს. თანამედროვე ფულად-საკრედიტო თეორიები მიზნად ისახავენ საჩელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის აპოლოგეტიკას. მათ პრაქტიკულ დანიშნულებას შეადგენს „უკრიზისო“ ციკლისა და კაპიტალიზმის დასაბუთება.

ციკლისა და კრიზისების საკრედიტო-ფულადი თეორიები ემყა-

³¹ Г. Хаберлер. Процветание и депрессия, гл. 111.

³² Э. Жамс, История экономической мысли XX в., гл. 170.

³³ А. Афталион, Периодические кризисы перепроизводства, т. 1, 1930, гл. 178.

³⁴ А. Афталион, Периодические кризисы перепроизводства, г. 2, гл. 194.

რებიან მცდარ პოსტულატებს ციკლის, ღირებულების, ფულის, კაპიტალის, კრედიტის შესახებ. გ. ჰაბერლერი კმაყოფილდება კაპიტალისტური ციკლის ეკლექტიკურ-ვულგარული დახასიათებით, სადაც უგულვებელყოფილია მთავარი — კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა. ეკონომიური ციკლის თეორიები, გ. ჰაბერლერის აზრით, უნდა დაიყოს ორ ჯგუფად: „ეკზოგენური“ და „ენდოგენური“ თეორიები.

ეკონომიური ციკლის „ეკზოგენური თეორიები“, გ. ჰაბერლერის განმარტებით, გამოიყენება გარეგანი დარღვევების შესასწავლად, გარეგანი დარღვევების ქვეშ იგი გულისხმობს ცვლილებებს მოსავლიანობასა და გამოგონებებში. „ენდოგენური თეორიები, — წერს გ. ჰაბერლერი, — ემყარება განსაკუთრებით იმ ცვლილებებს, რომლებიც შეიძლება ახსნილ იქნეს ეკონომიურად“³⁵.

ამრიგად, გ. ჰაბერლერის აზრით, მონეტარული თეორია იყენებს მოვლენების დაყოფას ეკონომიურ და არაეკონომიურ მოვლენებად. რა თქმა უნდა, უყურადღებოდაა დატოვებული წარმოებითი ურთიერთობანი და ობიექტური ეკონომიური კანონების მოქმედება.

გ. ჰაბერლერი არ იზიარებს პალეომაჩინალურ იდეას „ფული-სა და კრედიტის თვითმარეგულირებელი საბაზრო მექანიზმის“ (ე. წ. „უჩინარი ხელი“) შესახებ და შესაძლებლად მიიჩნევს გარედან ჩარევას, ბიძგის, იმპულსის მიცემის მიზნით. იგი აღიარებს, რომ კაპიტალისტური კლავწარმოებისათვის დამახასიათებელია უმყარობა. კაპიტალისტური ციკლის „პარმონიული განვითარების“ უზრუნველსაყოფად გ. ჰაბერლერი აკეთებს „მექანიკურ ანალოგიას“. მონეტარული თეორიის დამცველები მოითხოვენ „გარედან ჩარევას“, „იმპულსის, ბიძგის მიცემას“, ე. ი. ენდოგენურ ფაქტორებთან ერთად გარეგანი (ეკზოგენური) ფაქტორების ზემოქმედებას. ენდოგენური და ეკზოგენური ფაქტორების, „ღირიყირებული ფულად-საკრედიტო სისტემის“ გამოყენება, მათი აზრით, უზრუნველყოფს „რეგულირებადი კაპიტალიზმის“, ანუ „უკრიზისო კაპიტალიზმის“ ფუნქციონირებას.

გ. ჰაბერლერი მექანიკის კანონების გამოყენებით, ეკონომიური მეცნიერების „მექანიზაციით“ ცდილობს „უკრიზისო ციკლის“ მოდელის შექმნას. „ჩვენ შეგვიძლია, — წერს ის, — ეკონომიური სისტემა შევადაროთ ქანქარას ან სარწვევლა სავარძელს. ეს უკანასკნელი გარეგანი სრულიად არარეგულარული იმპულსების (ბიძგის)

³⁵ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гл. 40.

დახმარებით შეიძლება კაიპულოთ აკეთოს წუნდაუდებელი სწორი რხევითი მოძრაობა³⁶.

„წუნდაუდებელი სწორი რხევითი მოძრაობის“ შესანარჩუნებლად გ. ჰაბერლერი მოითხოვს ეკონომიურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევას. ეს ჩარევა — ეკონომიური ინტერვენციონიზმი (დირიჟიზმი) უნდა იწვევდეს იმას, რომ თავიდან იქნეს აცილებული გადახრა. როგორც ზემოთ („ზრდადი რხევები“. „ფეთქებადი რხევები“). ასევე ქვემოთ („ქრობადი რხევები“). ამის შემდეგ გ. ჰაბერლერი კაპიტალისტური კვლავწარმოების ციკლს ყოფს შემდეგ ფაზებად: 1. აღმავლობა (აყვავება), 2. შემობრუნების ზედა წერტილი (კრიზისი), 3. დაცემა (დებრესია), 4. შემობრუნების ქვედა წერტილი (გამოცოცხლება)³⁷. თითქმის ასეთივე დაყოფაა მოცემული პ. სამუელსონის წიგნში „ეკონომიკა“. იქაც ლაპარაკია ციკლის ოთხი ფაზის შესახებ: 1. ექსპანსია, 2. აყვავების მწვერვალი, 3. შეკუმშვა და 4. გამოცოცხლება³⁸. აი, კიდევ „უკრიზისო“ ციკლის ერთი ნიმუში.

გ. ჰაბერლერი განასხვავებს ეკონომიური კრიზისების შემდეგ სახეებს: ეკონომიური კრიზისები, ფინანსური კრიზისები, სავაჭრო-ეკონომიური კრიზისი. „ამ უკანასკნელის ქვეშ იგულისხმება ტალღისებური მოძრაობა, რომელიც გავლენას ახდენს ეკონომიურ სისტემაზე მთლიანად“³⁹.

ციკლის ოთხი ფაზიდან გ. ჰაბერლერი გამოყოფს კრიზისსა და დებრესიას. იგი იძლევა ციკლის ფაზების ზედაპირულ განმარტებას და ფაქტიურად აღიარებს ორ ფაზას. იგი წერს: მთელი ციკლი იყოფა ოთხ ფაზად, ანუ ნაწილად:

1) აღმავლობა (აყვავების ფაზა, საქმიანი აქტიურობის გაფართოება);

2) დაცემა (დებრესიის ფაზა, საქმიანი აქტიურობის შემცირება);

3) შემობრუნების მაღალი წერტილი, ე. ი. შემობრუნება აყვავებიდან დებრესიისაკენ (შემობრუნება დაბლა, კრიზისი სპეციალური მნიშვნელობით);

4) შემობრუნების ქვედა წერტილი, ე. ი. შემობრუნება დებრესიიდან აყვავებისაკენ (შემობრუნება ზევით, გამოცოცხლება)⁴⁰,

³⁶ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гл. 43.

³⁷ იქვე, გვ. 45.

³⁸ П. Самуэльсон, Экономика, гл. 302.

³⁹ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гл. 271.

⁴⁰ იქვე, გვ. 280.

საბოლოოდ ეს „ოთხი“ ფაზა დაყვანილია ორ ფაზად, ანუ შემობრუნების პუნქტამდე. თავისი წიგნის დასასრულს კი გ. ჰაბერლერი იძლევა ციკლის შემდეგნაირ განმარტებას: „ეკონომიური ციკლის ჰვემ ჩვენ ეგულისხმობთ წარმოებისა და დასაქმების რხევებს“⁴¹. გ. ჰაბერლერის იდეები ძალიან ახლოს დგას ი. შუმპეტერის კონცეფციასთან. ი. შუმპეტერიც იძლევა ორფაზიანი ციკლის (აყვავება და რეცესია) სქემას. საერთოდ იგი აღიარებს ციკლის ოთხ ფაზას: 1. აყვავება (Prosperity), 2. რეცესია (rezession), 3. დეპრესია (depression), 4. აღდგენის ფაზა (recovery)⁴².

კაპიტალისტური ციკლის ახსნის საქმეში გ. ჰაბერლერი გადამწყვეტ როლს აკუთვნებს ფულსა და კრედიტს: ცალკე გამოყოფს „წმინდა მონეტარულ თეორიას“.

ამ კონცეფციის თეორეტიკოსებს არ ესმით ღირებულებისა და ფულის არსი და ემყარებიან ფულის ბურჟუაზიულ თეორიებს. „ფულსა და კრედიტს ჩვენს სამეურნეო სისტემაში, — წერს გ. ჰაბერლერი, — ცენტრალური ადგილი უკავია და მათი მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ ისინი უეჭველად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიურ ციკლში, როგორც წამქეზებელი ან შეპირობებელი ძალა“⁴³.

კაპიტალისტურ ციკლში ფულად-საკრედიტო ინსტიტუტი საყურადღებო როლს ასრულებს, მაგრამ იგი გადამწყვეტი არაა. კაპიტალისტური კვლავწარმოების ციკლურ განვითარებაში განმსაზღვრელია წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება და კაპიტალიზმის წარმოებითი ურთიერთობანი. გ. ჰაბერლერი უგულებელყოფს ძირითადს, განმსაზღვრელს და ეკონომიური კრიზისების მიზეზად აცხადებს „ფულად ფაქტორებს“, რომელთა ქვეშ იგი გულისხმობს ინფლაციისა და დეფლაციის აქტიურ პოლიტიკას. „ჩემი მთავარი დასკვნა, — წერს გ. ჰაბერლერი, — მდგომარეობს შემდეგში: ფულადი ფაქტორები — ფართო გაგებით — დიდ როლს ასრულებენ მოკლევადიანი ეკონომიური მერყეობის, ჩვეულებრივი ეკონომიური ციკლის (ისევ-ისე ფართო გაგებით) აღმოცენებაში ისე, როგორც საგადასაბალო ბალანსის მერყეობისა და ქრონიკული უწონასწორობის წარმოშობაში“⁴⁴.

⁴¹ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гл. 450.

⁴² Э. Хансен, Экономические циклы и национальный доход, 33. 59—60.

⁴³ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гл. 46—47.

⁴⁴ იქვე, 33. 537.

კ. მარქსი წერილში ფ. ენგელსისადმი 1851 წ. აღნიშნავდა „...რომ კრიზისების მიმდინარეობა, თუმცაღა ს ა კ რ ე დ ი ტ ო ს ი ს - ტ ე მ ა ამ კრიზისების ერთ-ერთი პირობაა, მხოლოდ იმდენად არის დაკავშირებული ფულის მიმოქცევასთან, რამდენადაც სახელმწიფო ხელისუფლების უგუნურ ჩარევას ამ ფულის მიმოქცევის რეგულირების საქმეში შეუძლია არსებული კრიზისის გამწვავება. როგორც ეს 1847 წელს მოხდა“⁴⁵.

„წმინდა მონეტარული თეორიებიდან“ (თავი II) გ. ჰაბერლერი ცალკე პარაგრაფად გამოყოფს „ჰოუტრის თეორიას“. „ეკონომიური ციკლის წმინდა მონეტარული ახსნა უფრო სრულად და თანამიმდევრულად გადმოცემულია ჰოუტრისთან. მისთვის სავაჭრო-სამრეწველო ციკლი არის „წმინდა ფულადი მოვლენა“ იმ აზრით, რომ ფულადი ნაკადის ცვლილება წარმოადგენს ეკონომიური აქტიურობის ცვლილებათა, აყვავებისა და დეპრესიის შენაცვლების, გაცხოველებული და მოდუნებული ვაჭრობის ერთადერთ და საკმარის მიზეზს“⁴⁶.

გ. ჰაბერლერის აზრით, ფულადი ფაქტორები გადამწყვეტია. კაპიტალისტური ეკონომიკის მთელ მექანიზმში იგი პირველ რიგში აყენებს „მოძრაობის გადაცემის პრობლემას“, ხოლო „იმპულსის პრობლემას“ მეორეხარისხოვან როლს აკისრებს. „სხვაგვარად რომ ითქვას, „მოძრაობის გადაცემის პრობლემას“ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე „იმპულსის პრობლემას“, მაგრამ გადაცემის მექანიზმში — წესში, რომლის მეშვეობითაც ეკონომიკა რეაგირებას ახდენს გარეგან იმპულსებზე, ფულადი ფაქტორი ასრულებს გადამწყვეტ როლს... საპასუხო რეაქციის მექანიზმი უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ვიდრე გარეგან შერყევათა ძალა. საპასუხო რეაქციის მექანიზმშიც ყველაზე უფრო მნიშვნელოვან როლს ფულადი ფაქტორები ასრულებენ“⁴⁷. აი, სადამდეა დაყვანილი კაპიტალისტური კვლავწარმოების ციკლურობისა და ეკონომიური კრიზისის მიზეზი, როცა უგულვებელყოფილია მთავარი — კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა. „ჰოუტრის თანახმად, სავაჭრო-სამრეწველო ციკლი სხვა არ არის რა, თუ არა მცირე მასშტაბით ზუსტი ასლი პირდაპირი ფულადი ინფლაციისა და დეფლაციისა“⁴⁸.

⁴⁵ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, წერილები „კაპიტალის“ შესახებ, 1952, გვ. 29.

⁴⁶ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, გვ. 47.

⁴⁷ იქვე, გვ. 539.

⁴⁸ იქვე, გვ. 48.

გ. ჰაბერლერი მცდარი პოზიციებიდან განიხილავს არა მარტო ციკლს, არამედ მის ფაზებსაც. მაგალითად, აღმავლობას, მისი აზრით, იწვევს კრედიტის გაფართოება. აღმავლობის ფაზა, გ. ჰაბერლერის განმარტებით, გრძელდება მანამდე, სანამ ფართოვდება კრედიტი, ანუ კრედიტის შექვეცის დაწყებამდე. „კრიზისის მიზეზს, — წერს გ. ჰაბერლერი, — წარმოადგენს კრედიტის შეზღუდვა“⁴⁹. გაზოდის, რომ, თუ კრედიტი გაფართოვდება სახელმწიფოს მიერ გატარებული „მარეგულირებელი“ ღონისძიებებით, მაშინ კრიზისი თავიდან იქნება აცილებული და ადგილი ექნება „უკრიზისო“ ციკლს. წინააღმდეგ შემთხვევაში, — დაასკვნის გ. ჰაბერლერი, — აყვავება დამთავრდება და დაიწყება კრიზისი. „აყვავება მთავრდება, როცა კრედიტის გაფართოება წყდება“⁵⁰, წერს გ. ჰაბერლერი, „როგორც ვხედავთ, ჰარბდაგროვების მონეტარული თეორია ძირითადად სარგებლის ნორმას ემყარება“⁵¹, ჰარბდაგროვების თეორიის თანახმად, — განაგრძობს გ. ჰაბერლერი — ბოროტების ძირი საკრედიტო ექსპანსიაში“⁵².

გ. ჰაბერლერი აღნიშნავს, რომ სარგებლის ნორმის განსაზღვრის საკითხებში აზრთა სხვადასხვაობაა ბურჟუაზიულ ეკონომისტებს შორის, სარგებლის თეორია კი, — აღიარებს იგი, — ბურჟუაზიული ეკონომიური მეცნიერების სუსტი ადგილია.

გ. ჰაბერლერი განასხვავებს სარგებლის თეორიის სხვადასხვა მიმართულებებს. პირველი მიმართულება, — წერს იგი, — არის სარგებლის „წმინდა“ თეორია, რომელიც სარგებლის ნორმას განმარტავს არაფულადი ფაქტორებით, კაპიტალის ზღვრული მწარმოებლურობით და აგრეთვე განსაზღვრული ფსიქოლოგიური ფაქტორებითაც. მაშასადამე, სარგებლის „წმინდა“ თეორია ეკონომიური მარკინალიზმის პრინციპებს ემყარება. ზოგიერთი ბურჟუაზიული ეკონომისტი (მაგალითად, პროფ. მარგეტი) ამ კონცეფციას უწოდებს „რეალური კაპიტალის თეორიასაც“.

მეორე მიმართულება, — აღნიშნავს გ. ჰაბერლერი, — იცავს სარგებლის ფულად თეორიას. ამ კონცეფციას საფუძვლად აქვს სასესხო კაპიტალის, ანუ კრედიტის, სავალო მოთხოვნათა პრინციპები.

გ. ჰაბერლერი განიხილავს სხვა მიმართულებასაც, მაგრამ აქედან

⁴⁹ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гв. 52.

⁵⁰ იქვე, გვ. 52.

⁵¹ იქვე, გვ. 160.

⁵² იქვე, გვ. 161.

გაპოყოფს ორ ძირითადს. რომლებზეც ჩვენ ახლა გვექონდა საუბარი. იგი უპირატესობას ანიჭებს სარგებლის ფულად თეორიას⁵³. რა თქმა უნდა, სარგებლის ორივე სახის თეორია („წმინდა“ და „ფულადი“) საფუძვლით ერთი და იგივეა, ერთ მიზანს ემსახურება, ორივე უგულვებელყოფს ზედმეტი ღირებულების თეორიას.

სარგებლის ბურჟუაზიული თეორიების განხილვისას გ. ჰაბერლერი წინა პლანზე აყენებს სარგებლის „კლასიკური“ თეორიის კრიტიკას ჯ. მ. კეინსის მიერ. აქ ცალკეა განხილული საკითხი ფულის ტეზავრაციის, ნებაყოფლობითი, სტრუქტურული და იძულებითი უმუშევრობის, ხელფასის, დასაქმებისა და სხვათა შესახებ.

ტეზავრაცია კეინსური ტერმინია. ჯ. კეინსი იყენებს გამოთქმებს: „ტეზავრაცია“ (hoarding, ფულის შენახვა ხელზე) და „დეტეზავრაცია“ (შენახული ფულის რაოდენობის შემცირება). ტეზავრაციის ქვეშ იგულისხმება ფულის შენახვა (ტეზავრირება) ბანკების დახმარების გარეშე. „ამრიგად, — წერს გ. ჰაბერლერი, — ცნებები ტეზავრაცია და დეტეზავრაცია ნიშნავს ან გულისხმობს ფულის მიმოქცევის სისწრაფის შემცირებას ან გადიდებას“⁵⁴.

სარგებლის ნორმის განსაზღვრისას კეინსი იყენებდა ტეზავრაციას და სარგებლის დონით განსაზღვრავდა კაპიტალისტური წარმოების ციკლურ განვითარებას. ცხადია, გ. ჰაბერლერი მაღალ შეფასებას აძლევს ციკლის კეინსურ ინტერპრეტაციას. იგი წერს: „ტერმინოლოგიურ სიახლეთა გვერდით, რეალური წვლილი, რომელიც კეინსმა შეიტანა თავისი „სარგებლის ზოგადი თეორიით“, ეტყობა, როგორც ჩვენ უკვე ვაჩვენეთ, იმის მტკიცებაშია, რომ ტეზავრაცია წარმოადგენს სარგებლის ფუნქციას“⁵⁵.

აპოლოგეტური პოზიციებიდან განიხილავს გ. ჰაბერლერი კაპიტალისტური ციკლის სხვა ფაზებსაც. „უკრიზისო“ ციკლისა და „უკრიზისო“ კაპიტალიზმის უებარ საშუალებად გ. ჰაბერლერი და მისი თანამოაზრენი მიიჩნევენ კრედიტს. „იმისათვის, რომ დებრესია გამოცოცხლებაში გადავიდეს. — აღნიშნავს გ. ჰაბერლერი. — საკმარისია კრედიტის გაფართოება“⁵⁶.

კრედიტისა და სავალუტო სისტემის ანალიზის მხრივ გ. ჰაბერლერი იზიარებს ფ. მახლუპისა და კეინსის იდეას „რეგულირებადი ვალუტის“ შესახებ. „საბოლოოდ, — წერს გ. ჰაბერლერი, — ეკონო-

⁵³ Г. Хаберлер. Процветание и депрессия, гл. 213—214.

⁵⁴ იქვე, გვ. 220.

⁵⁵ იქვე, გვ. 234.

⁵⁶ იქვე, გვ. 53.

მიური კრიზისების განმეორების მიზეზს წარმოადგენს ოქროს სტანდარტი⁵⁷.

ამრიგად, მონეტარული თეორიის დამცველები ჰარბწარმოების პერიოდული კრიზისების მიზეზად აცხადებენ კრედიტის შეკვეცასა და ოქროს სტანდარტს. რაკი შესაძლებლად მიაჩნიათ კრედიტის ხელოვნური გაფართოება სახელმწიფოებრივი ჩარევის („იმპულსი“) მეოხებით, მაშასადამე, „უკრიზისო“ ციკლის ფუნქციონირება უზრუნველყოფილია.

გ. ჰაბერლერი და მისი თანამოაზრენი, რა თქმა უნდა, კრედიტის უზომო გადიდების წინააღმდეგნიც არიან. ამ შემთხვევაში ისინი გამოდიან „რეგულირებადი კრედიტის“ კონცეფციიდან, დაუშვებლად თვლიან კრედიტის მეტისმეტ გაფართოებასა და შეკვეცას. ამ გზით უნდათ მათ წონასწორობის, ე. ი. „უკრიზისო“ ციკლის შენარჩუნება. „წონასწორობის მდგომარეობა — წერს გ. ჰაბერლერი, — შეიძლებოდა შენარჩუნებულიყო, თუ მხოლოდ ბანკები თავს შეიკავებდნენ კრედიტის ახალი გაფართოებისაგან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ. თუ სარგებლის ფულადი ნორმა შენარჩუნებული იქნებოდა გამწონასწორებელ დონეზე“⁵⁸.

ამ შემთხვევაში ეკონომიური კრიზისების მიზეზად მიჩნეულია კრედიტის როგორც შეკვეცა ასევე გაფართოება, ე. ი. საკრედიტო ბანკების მოქმედება. „ეკონომიური კრიზისები, — ვკითხულობთ გ. ჰაბერლერის წიგნში, — გამოწვეულია ბანკების ქცევით“⁵⁹. აი, ეს მერამდენე „მიზეზია“ დასახელებული. თვით გ. ჰაბერლერს იმდენი მიზეზი აქვს დასახელებული, რომ საბოლოოდ იძულებული ხდება გააკეთოს მწარე დასკვნა: „ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, — წერს იგი, — რომ განხილულ თეორიის საფუძველზე შეუძლებელია პასუხი გაეცეს რომელიმე მარტივი ფორმულით კითხვას იმის შესახებ, თუ რატომ ცვლის ერთი ციკლი განუწყვეტლივ მეორეს“⁶⁰.

გ. ჰაბერლერი საბოლოოდ მიდის დასკვნამდე, რომ თითქოს კაპიტალისტური კლავწარმოების ციკლი შედგება არა ოთხი, არამედ ორი ფაზისაგან (პერიოდისაგან): აყვავებისა და დეპრესიისაგან.

ამრიგად, ციკლისა და ეკონომიური კრიზისების მონეტარული ანუ ფულად-საკრედიტო თეორია რომელსაც დიდი ყურადღებით

⁵⁷ Г. Хаберлер. Процветание и депрессия, гл. 56.

⁵⁸ იქვე, გვ. 88.

⁵⁹ იქვე, გვ. 91.

⁶⁰ იქვე, გვ. 94.

განიხილავს გ. ჰაბერლერი, გამორიცხავს კრიზისის ფაზას და წარმოადგენს „უკრიზისო“ კაპიტალიზმის აპოლოგიას.

ჰარბდაგროვების თეორიები და სკოლები მრავალფეროვანია. ჰარბდაგროვების თეორიებიდან და შესაბამისი სკოლებიდან გ. ჰაბერლერი იძლევა სამი ჯგუფის დახასიათებას:

1. „ნეოვიქსელიანური სკოლა“ და მისი თეორიები (ფ. ჰაიეკი, ფ. მახლუპი, ლ. მიზესი, ლ. რობინსი, ვ. რეპკე, რ. სტრიგლი) ემყარება კნუტ ვიქსელის (1851 — 1926) ვულგარულ იდეებს. „ნეოვიქსელიანური სკოლის“ მთავარი თეორეტიკოსები არიან ნეომარქინალიზმის (ნეოლიბერალიზმის) წარმომადგენლები. ლ. მიზესი, ფ. მახლუპი, ფ. ჰაიეკი, როგორც ჩვენ უკვე დავინახეთ, შეადგენენ „ემიგრირებულ ვენის სკოლას“, ლ. რობინსი „კენანის სკოლის“ წარმომადგენელია, ხოლო ვ. რეპკე ნეოლიბერალიზმის შვეიცარიულ განშტოებას მიეკუთვნება.

„ნეოვიქსელიანური სკოლა“ დიდ ადგილს უთმობს ფულადსაკრედიტო საკითხებს ციკლისა და კრიზისების თეორიის ახსნის საქმეში. დისპროპორციისა და უწონასწორობის მიზეზად აცხადებს ფულსა და კრედიტს, უფრო სწორად, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, კრედიტის შემცირებას. ამასთან ერთად „ნეოვიქსელიანური სკოლა“ ერთგვარად განსხვავდება „წმინდა მონეტარული თეორიისაგან“ („ჰოუტრის თეორიისაგან“). მაგალითად, ნეომარქინალისტი ფ. ჰაიეკი ციკლისა და ეკონომიური კრიზისების მიზეზებს დაეძებს მოთხოვნა-მიწოდებაში. იგი წინა პლანზე აყენებს კაპიტალის ნაკლებობას, რომელსაც მიიჩნევს ეკონომიური კრიზისების მიზეზად. გ. ჰაბერლერის ჩუმი სიმპატია ფ. ჰაიეკის მხარეზეა. იგი იწონებს ფ. ჰაიეკის „კაპიტალის ნაკლებობის თეორიას“ და, ეტყობა, „ჰოუტრის თეორიაზე“ მალა აყენებს. „ამ საკითხის ყველაზე უფრო დამუშავებული ანალიზისათვის, — წერს გ. ჰაბერლერი, — ჩვენ დავალებული ვართ ჰაიეკისაგან“⁶¹.

ვიქსელის მიმდევრები კრიზისების მიზეზად ასახელებენ არა მარტო ფულად, არამედ სხვა ფაქტორებსაც. ჰარბდაგროვების „ნეოვიქსელიანური სკოლის“ თეორეტიკოსები დიდ ადგილს უთმობენ წარმოებრივი დანიშნულების მწარმოებელი დარგების განვითარებას (აქ იგულისხმება წარმოების საშუალებათა წარმოება). მათი აზრით, ეკონომიური ციკლის ზემოქმედება უფრო ძლიერია ზემოაღნიშნულ დარგებში, ვიდრე იმ დარგებში, რომლებიც „ყოველდღიური მოხმარების სახმარ საქონელს ამზადებენ“.

⁶¹ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гл. 76.

2. ჰარბდაგროვების ცალკე სკოლად გამოყოფს გ. ჰაბერლერი იმ ბურჟუაზიულ ეკონომისტებს, რომელთა კონცეფციები ემყარება არაფულად ფაქტორებს, პირველ რიგში აქ გულისხმობენ ახალი დაბანდებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას წარმოების სფეროში (გამოგონება, აღმოჩენა, ახალი ბაზრების შექმნა და ა. შ.). რა თქმა უნდა, ფულად ფაქტორებსაც დებულობენ მხედველობაში, მაგრამ არა იმდენად, რამდენადაც „ნეოვიქსელიანური სკოლის“ წარმომადგენლები.

ა. აფტალიონის აზრით, პერიოდული კრიზისების მიზეზია ტექნიკა. „ორი ფაქტიდან, რომლებიც ბატონობს ციკლისა და კრიზისების ასხნაში,—წერს ა. აფტალიონი, — ერთია ფასეულობათა კანონის თამაში და წარმოადგენს ერთობ ძველ მოვლენას. მხოლოდ მეორე ფაქტორ — კაპიტალისტური ტექნიკა წარმოადგენს ახალ ფაქტს, სწორედ ამ ტექნიკას უნდა მიეწეროს უკანასკნელი ასეული წლების მანძილზე პერიოდული კრიზისებისა და ეკონომიური ციკლების გამოჩენა“⁶².

ეკონომისტთა ამ მეორე ჯგუფში გ. ჰაბერლერი ასახელებს გ. კასელს. ე. ჰანსენს, ა. შპიტჰოფს და თვით კნუტ ვიქსელსაც. ამ ჯგუფს ემხრობა აგრეთვე ა. პიგუ და ი. შუმპეტერი, ხოლო დ. რობერტსონს უკავია შუალედური პოზიცია პირველ („ნეოვიქსელიანური სკოლა“) და მეორე ჯგუფს შორის. ა. აფტალიონის შეხედულებები ძალიან ახლოსაა ი. შუმპეტერის „ახალშემოღებული ტექნიკის“ კონცეფციასთან (innovation). „ახალშემოღებული წესი. — წერს ი. შუმპეტერი, — ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც წარმოების ახალი ფუნქციის დადგენა“⁶³.

ე. ჰანსენის აზრით, „ახალშემოღებული წესი წარმოადგენს ნახტომს ძველი წარმოებრივი ფუნქციიდან ახლიაკენ“⁶⁴. შუმპეტერის აზრით, ჰარბდაგროვების ეკონომიური კრიზისების მიზეზი ტექნიკურ პროგრესში მდგომარეობს (ი. შუმპეტერის თეორია „ახალშემოღებული წესის“ შესახებ)⁶⁵.

3. ჰარბდაგროვების თეორეტიკოსთა მესამე ჯგუფში გ. ჰაბერლერი ასახელებს ა. აფტალიონს, ჯ. მ. კლარკს, რ. ფ. პაროდს, უ. მიტჩელსა და სხვებს. ეკონომისტთა ამ ჯგუფის წარმომადგენელ-

⁶² А. Афталион. Периодические кризисы перепроизводства, т. 2, гл. 236.

⁶³ J. Schumpeter, Business cycles, გვ. 87 — 88.

⁶⁴ Э. Хансен, Экономические циклы и национальный доход, гл. 388.

⁶⁵ Новые явления в современной буржуазной политэкономии, т. 1, гл. 30, 61.

თა ნაწერებში ცენტრალური ადგილი უკავია „აქსელერაციისა და წარმოებული მოთხოვნის გადიდების პრინციპებს“. ეს ჯგუფი ციკლის თეორიის საკითხებში უპირატესობას ანიჭებს ცვლილებებს მოხმარების საგნების წარმოებაში.

ჭარბდაგროვების ყველა „თეორია“ ერთ მიზანს ემსახურება. მათი დანიშნულებაა „უკრიზისო“ ციკლის მოდელის შექმნა და დასაბუთება. აგრეთვე ანტიკომუნისში — გეგმიანი სოციალისტურ-სახალხო მეურნეობის გაიგოება კაპიტალისტურ წარმოებასთან. რომელიც ციკლურად ვითარდება.

ბ) ჭარბდაგროვების არამონეტარული თეორიები წარმოადგენს კაპიტალისტური ციკლის აპოლოგეტიკას და კ. მარქსის მოძღვრების დამახინჯების ცდას. არსებითი განსხვავება ჭარბდაგროვების მონეტარულ და არამონეტარულ თეორიებს შორის, რა თქმა უნდა, არაა. ისინი ერთიმეორისაგან მხოლოდ გარეგნულად განსხვავდებიან. ამას თვით გ. ჰაბერლერიც აღიარებს. იგი წერს: „ჭარბდაგროვების მონეტარულ და არამონეტარულ თეორიებს შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ისინი, როგორც ეს თვით სახელწოდებიდან ჩანს, სხვადასხვაგვარად განიხილავენ ფულისა და საკრედიტო-ფულადი ფაქტორებისა და ინსტიტუტების როლს ბუმისა და ჭარბდაგროვების წარმოშობაში, რომელსაც კრახისა და დეპრესიისაგან მიეყავართ. ამ ჯგუფის ავტორთა თეორიები აგებული არაა ფულადი ფაქტორების საფუძველზე“⁶⁶.

გ. ჰაბერლერი არ ხედავს დიდ განსხვავებას მონეტარულ და არამონეტარულ თეორიებსა და სკოლებს შორის. „განსხვავება ჭარბდაგროვების ამ ორ თეორიას შორის მცირეა; ზოგიერთი დებულება ატარებს შუალედურ ხასიათს და თეორიის ორივე ნაიროსახეობა განუხრელად გადადის ერთიმეორეში. ორივე თეორია მიიღებს დასკვნამდე, რომ იმპულსი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს საქმიანი აქტივობა, გამომდინარეობს ინვესტიციებიდან და არა მოხმარებიდან“⁶⁷. მეტიც, გ. ჰაბერლერი აღნიშნავს, რომ ერთმანეთშია გადახლართული აგრეთვე ჭარბდაგროვებისა და ნაკლებ-მოხმარების თეორიები. ამ ბოლო საკითხს ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ. ახლა კი საილუსტრაციოდ ერთი ადგილის მოტანით დავკმაყოფილდებით. გ. ჰაბერლერის წიგნში არის ქვეპარაგრაფი სახელწოდებით: „ნაკლებმოხმარების მონეტარული თეორია“. „ჰანს ნაი-

⁶⁶ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гл. 99.

⁶⁷ იქვე, გვ. 111.

სერმა დაამუშავა ეს თეორია. რომელსაც შეიძლება ეწოდოს „ნაკლებმონხმარების მონეტარული თეორია“⁶⁸. ჰ. ნაისერის თეორიაც ეკონომიურ კრიზისებს ხსნის არა ჭარბდაგროვებით, არამედ ნაკლებმონხმარებით.

ჭარბდაგროვების არამონეტარული კონცეფციების ყველაზე უფრო ცნობილ თეორეტიკოსებად გ. ჰაბერლერი ასახელებს ბურჟუაზიულ ეკონომისტებს ა. შპიტჰოფსა და გ. კასელს, ხოლო მათ უახლოეს წინამორბედად — მ. ტუგან-ბარანოვსკის. გ. ჰაბერლერის ეკლექტიციზმი აქ გადაიზარდა ანტიმარქსიზმში. საქმე ისაა, რომ აქ კვლავწარმოებისა და ეკონომიური კრიზისების მარქსისტული თეორია არეულია ბურჟუაზიულ ეკონომისტთა აპოლოგეტურ კონცეფციებში. ასეთი აპოლოგეტურ-ეკლექტიკური გზით მიდის გ. ჰაბერლერი, რომლის იდეალს შეადგენს ციკლისა და ეკონომიური კრიზისების, „ამ პროცესის მონეტარული და არამონეტარული ასპექტების ყველაზე უფრო უკეთესი სინთეზი“⁶⁹.

ჭარბდაგროვების არამონეტარული კონცეფციებიდან დიდ ადგილს უთმობს გ. ჰაბერლერი მ. ტუგან-ბარანოვსკის შეხედულებას, რომელშიც ციკლის მექანიზმი შედარებულია ორთქლის მანქანის მოქმედებასთან. გ. ჰაბერლერი წერს: „ტუგან-ბარანოვსკიმ სამრეწველო ციკლს მიახლოებდა ორთქლის მანქანის მექანიზმის მოქმედებას“⁷⁰. მ. ტუგან-ბარანოვსკის ანალოგიის შინაარსი ასეთია: ორთქლის როლს ცილინდრში ასრულებს თავისუფალი ფულადი კაპიტალის დაგროვება. როცა ორთქლის წნევა, დაწოლა დგუმზე აღწევს განსაზღვრულ ნორმას, მაშინ დგუმის წინააღმდეგობა გადაილახება. დგუმში მოძრაობს, ცილინდრის ბოლომდე მიდის, ხოლო ორთქლისათვის იხსნება თავისუფალი გამოსასვლელი და დგუმში უბრუნდება თავის პირვანდელ ადგილს და ა. შ.⁷¹ ა. ავტალიონის, მ. ტუგან-ბარანოვსკისა და გ. ჰაბერლერის აზრით, ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ეკონომიური ციკლის დროს დაგროვებული თავისუფალი ფულადი კაპიტალი, როცა მიაღწევს განსაზღვრულ სიდიდეს, შეაღწევს მრეწველობაში, ამოძრავებს მას, დაიხარჯება და მრეწველობა ისევ თავდაპირველ მდგომარეობას უბრუნდება.

აქ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჭარბდაგროვების არამონეტარული

⁶⁸ Г. Хаберлер. Процветание и депрессия, гл. 157.

⁶⁹ იქვე, გვ. 101.

⁷⁰ იქვე, გვ. 108.

⁷¹ М. И. Туган-Барановский, Периодические промышленные кризисы. Смоленск, 1923, гл. 277.

რული თეორიის დამცველებიც აღიარებენ კაპიტალისტური კვლავ-წარმოების ციკლურ ხასიათს, თუმცა ისინიც შორს არიან ეკონომიური ციკლისა და კრიზისების ნამდვილი მიზეზის ახსნისაგან. ისინი ამოდ დაქებენ „უკრიზისო“ ციკლის შექმნის გზებს. მათ კონცეფციებში მთავარი ყურადღება გადატანილია ტექნოლოგიურ ცვლილებებზე. აღმოჩენებსა და მათ გამოყენებაზე.

„ჭარბდაგროვების არამონეტარული თეორია ხაზს უსვამს 'არაფულადი ფაქტორების მნიშვნელობას: ტექნოლოგიურ ცვლილებებს, ახალშემოდებულ წესებსა და აღმოჩენებს“⁷². — დასკვნის გ. ჰაბერლერი. ჭარბდაგროვების თეორია ა. აფტალონის წიგნში კი განმარტებულია, როგორც „ჭარბკაპიტალიზაცია“⁷³.

§ 3. აქსელერაციის პრინციპი და აქსელერატორის თეორია

„ჭარბდაგროვება, რომელიც წარმოიშობა მზა პროდუქციაზე მოთხოვნის ცვლილებათა შედეგად: აქსელერაციის პრინციპი და წარმოებული მოთხოვნის გადიდება“ — ასეა დასათაურებული ეს პრობლემა გ. ჰაბერლერის წიგნში.

ჭარბდაგროვების თეორიების ეს მესამე ჯგუფი ცენტრალურ ადგილს უთმობს აქსელერაციის პრინციპს. აქსელერატორის თეორია ამჟამადაც დიდადაა გავრცელებული თანამედროვე ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში. აქსელერატორი (ამჩქარებელი⁷⁴) მოწყობილობაა, რომელიც აწესრიგებს საწვავი ნარევის მიწოდებას კარბურატორიდან შიგაწვის ძრავას ცილინდრში ბრუნვათა ჩაოდენობის შესაცვლელად, პედალი, რომელიც ამოქმედებს ამ მოწყობილობას.

აქსელერატორი ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში გამოხატავს შეფარდებას საბოლოო პროდუქტებსა (მონმარების საგნებსა) და ამ მოხმარების საგნების წარმოებისათვის საჭირო წარმოების საშუალებების წარმოების ცვლილებებს შორის. „აქსელერაციის პრინციპი, — წერს გ. ჰაბერლერი, — დინამიკური შეფარდებაა: ინვესტიციების მოცულობა გამოირკვევა პროდუქტზე მოთხოვნის წი-

⁷² Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гл. 111.

⁷³ А. Афталион, Периодические кризисы перепроизводства, т. 2.

⁷⁴ ლათ. *accelero* (*acceleratum*) — აჩქარებ, ვჩქარობ.

ნანდელი ცვლილებით⁷⁶. „აქსელერაციის პრინციპის არსი, როგორც ჩვენ უკვე დავინახეთ, შეიძლება განვსაზღვროთ შემდეგი დასკვნის სახით: წარმოების გასაფართოებლად აუცილებელია, როგორც ჩანს, დიდი მასშტაბით პირდაპირი ინვესტიციების განხორციელება, რომლებიც ეფექტს მოგვცემენ რამდენიმე ხნის შემდეგ“⁷⁶.

აქსელერაციის პრინციპი შეიმუშავეს კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდის ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის თეორეტიკოსებმა⁷⁷, რომელთა შორის გ. ჰაბერლერი ასახელებს: ა. აფტალიონს, ფ. ბიკერდიკს, მ. ბუნიატიანს, ტ. კარვერს და მ. ფანოს, აქსელერაციის თეორიის თანამედროვე ავტორებიდან კი — ჯ. მ. კლარკს, ს. კუზნეცს, ა. პიგუსს, რ. ფ. ჰარდს.

უ. მიტჩელის, დ. რობერტსონისა და ა. შპიტჰოფის შრომებში აქსელერაციის პრინციპი განსაზღვრულია, როგორც „უკრიზისო“ ციკლის ფაქტორი. „რიცხვითი მამრავლი, რომლითაც ნამატი შემოსავლის თითოეული დოლარი ადიდება ინვესტიციებს, არის აქსელერაციის პრინციპი, ანუ უბრალოდ აქსელერატორი“⁷⁸.

ცნობილია, რომ ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა უსაყვედურეს კეინსს თავისი თეორიის სტატიკური ხასიათის გამო. აქსელერატორიც სტატიკური ხასიათის მატარებელია კეინსთან. გ. ჰაბერლერი აღნიშნავს, რომ ჰაროდმა კეინსურ სტატიკურ თეორიაში შეიტანა დინამიკური აქსელერაციის პრინციპი⁷⁹. მიუხედავად ამისა, გ. ჰაბერლერი მაინც არაა კმაყოფილი და მოითხოვს აქსელერატორისა და მულტიპლიკატორის (მამრავლის) დინამიკურ გაერთიანებას. „კეინსის სისტემა სრულიად სტატიკურია. ჰაროდის სისტემას ჭერ კიდევ არ აქვს სრული დინამიკური ხასიათი: მას შემოაქვს აქსელერაციის დინამიკური პრინციპი, მაგრამ მულტიპლიკატორს განსაზღვრავს ძველებურად — როგორც უეცარი მოქმედების შეფარდებას“⁸⁰.

ბურჟუაზიული ეკონომისტები აქსელერატორს განიხილავენ მულტიპლიკატორის თეორიასთან მჭიდრო კავშირში. გ. ჰაბერლე-

⁷⁵ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гл. 265.

⁷⁶ იქვე, გვ. 314.

⁷⁷ ბ. სელიგმენი „აქსელერაციის, ანუ მოთხოვნის ცვლილების ტემპების“ თეორეტიკოსებიდან ყველაზე წინ აყენებს ჯ. მ. კლარკს (იხ. Б. Селигмен, Основные течения современной экономической мысли, 1968, гл. 111—112).

⁷⁸ Э. Хансен, Экономические циклы и национальный доход, 1959, гл. 243.

⁷⁹ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гл. 266.

⁸⁰ იქვე, გვ. 475.

რი წერს: „ეკონომისტები განიხილავდნენ მოხმარებასა და ინვესტიციებს შორის ორმხრივ კავშირს სათაურით „მულტიპლიკატორი“ (ინვესტიციების გავლენა მოხმარებაზე) და „აქსელერაციის პრინციპი“ (მოხმარების გავლენა ან, უფრო სწორად, ინვესტიციებზე მოხმარებაში ან შემოსავლებში ცვლილებებზე გავლენა)“⁸¹.

აქსელერაციის პრინციპს არც პ. სამუელსონი ტოვებს უყურადღებოდ. „აქსელერაციის პრინციპი გვიჩვენებს, — წერს პ. სამუელსონი, — სისტემის ზრდას ტემპში რხევები როგორ იწვევენ რხევებს ინვესტიციათა დონეში“⁸². იგი ჩერდება ინვესტიციების გადიდების პროცესის საკითხზე და განმარტავს, რომ „მოთხოვნა ინვესტიციებზე შეიძლება გამოწვეულ იქნეს გაყიდვათა და შემოსავლის ზრდით. რომელმაც მიიღო რამდენადმე გახმაურებული სახელწოდება — აქსელერაციის პრინციპი“⁸³. გ. ჰაბერლერი ერთგვარ „ორიგინალობას“ იჩენს. იგი ჯერ განიხილავს აქსელერაციის პრინციპს. „აქსელერაციის პრინციპი“ „მულტიპლიკატორის პრინციპთან“ შეხამებით შეადგენს კვლავწარმოებისა და ციკლის ეკონომეტრიკული მოდელების უახლესი „თეორიების“ საფუძველს“⁸⁴ — წერს პროფ. ლ. ბ. ალტერი.

გ. ჰაბერლერი მთელ პარაგრაფს უთმობს აქსელერაციის პრინციპის ფორმულირებასა და განსაზღვრას, ე. ი. იგი იწყებს აქსელერაციის თეორიის გადმოცემას. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ თითქოს იგი წინააღმდეგია მულტიპლიკატორისა. არა! გ. ჰაბერლერი ჯერ განიხილავს აქსელერაციის პრინციპს, ხოლო შემდეგ მულტიპლიკატორს. ამის საფუძველზე კი იძლევა „აქსელერატორისა და მულტიპლიკატორის სინთეტიკურ გადმოცემას“. „მეც არ მინდა მულტიპლიკატორის იგნორირება, — წერს გ. ჰაბერლერი, — მაგრამ თუ აქსელერაციის პრინციპს პლუს მულტიპლიკატორი არაა შეთანწყობილი ფულად და ფსიქოლოგიურ ფაქტორებთან, ცალკეული ფორმების მოუქნელობასთან და არ ძლიერდება მათი დახმარებით, მაშინ საეჭვოა, რომ ისინი გამოიწვევენ შეტს არაფერს, თუ არა სუსტ რხევებს, რომლებსაც თან არ სდევს სერიოზული შედეგები“⁸⁵.

ასეთია აქსელერატორისა და მულტიპლიკატორის კავშირურ-

⁸¹ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гл. 475.

(⁸² П. Самуэльсон, Экономика, гл. 300.

⁸³ იქვე, გვ. 298.

⁸⁴ Л. Б. Альтер, Буржуазная политическая экономика США, Москва, 1961, гл. 600.

⁸⁵ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гл. 539.

თიერთობის შეფასება გ. ჰაბერლერის წიგნში. მულტიპლიკატორი და აქსელერატორი, გ. ჰაბერლერის განმარტებით, ციკლისა და ეკონომიური კრიზისების ბურჟუაზიული თეორიის „ორი ძირითადი ბურჯია“⁸⁶.

გ. ჰაბერლერი საერთო ანალიზს აქსელერატორის განხილვით წყვებს და ამას ასაბუთებს იმით, რომ აქსელერატორი ცხარე კამათის საგანია, ხოლო მულტიპლიკატორი ნაკლებად საკამათო საკითხს შეადგენსო. გ. ჰაბერლერი მიუთითებს, რომ აქსელერაციის საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობაა და ზოგიერთი ბურჟუაზიული ეკონომისტი უარყოფს აქსელერატორის პრინციპების გამოყენებას, მაგალითად, კუზნეცი და ტინბერგენი. „ამიტომ ამ ავტორებმა, — წერს გ. ჰაბერლერი, — უყუარდეს აქსელერაციის პრინციპი, როგორც მცდარი“⁸⁷. გ. ჰაბერლერიც იძულებული ხდება და აღიარებს აქსელერაციის პრინციპების პრაქტიკულად გამოყენების შეუძლებლობას. „თეორიული განხილვა, აგრეთვე სტატისტიკურ გამოკვლევათა შედეგები გვიჩვენებენ, რომ აქსელერაციის პრინციპის მექანიკური გამოყენება გამორიცხულია“⁸⁸.

გ. ჰაბერლერი ოცნებობს „ზოგადი დინამიური თეორიის“ შექმნაზე. ამ ამოცანის გადაწყვეტას იგი ადარებს სამყაროს წარმოშობის ლაპლასისეულ ფორმულას. „მიუხედავად ამისა. ყველა ხედავს, რომ ესაა შორეული, მიუღწეველი იდეალი“⁸⁹.

ჭარბდაგროვების თეორეტიკოსების აზრით. სამრეწველო ციკლის მაზეზია ინვესტიციათა ოდენობის რჩევა. ჭარბდაგროვების თეორიებში ცენტრალური ადგილი უკავია თეზისის წარმოების საშუალებათა მწარმოებელი დარგების მეტრსმეტი განვითარების შესახებ. პირველი ქვედანაყოფის სწრაფი ზრდა მიაჩნიათ მათ ბუმის დამთავრებისა და კრიზისის დაწყების მიზეზად. გ. ჰაბერლერის წიგნში მაგალითებითაა ილუსტრირებული ჭარბდაგროვება, რომელსაც თურმე იწვევს მზაპროდუქციაზე მოთხოვნის ცვალებადობა. მოთხოვნის გადიდებისა და „უკრიზისო“ ციკლის უზრუნველსაყოფად კი მოშველიებულია აქსელერაციის პრინციპი.

აქსელერაციის პრინციპი, რომელიც გ. ჰაბერლერის წიგნშია დახასიათებული, წარმოადგენს კვლავწარმოების მარქსისტულ-ლენინური სქემების დამახინჯების ცდას. აქსელერაციის თეორია მიზნად ისახავს გაფართოებული კვლავწარმოებისა და დაგროვების

⁸⁶ Г. Хаберлер. Процветание и депрессия, гл. 546.

⁸⁷ იქვე, გვ. 548.

⁸⁸ იქვე, გვ. 549.

⁸⁹ იქვე, გვ. 480.

ზარქისისტული მოძღვრების გაყალბებას. გ. ჰაბერლერისა და მისი თანამოაზრეების აქსელერაციის პრინციპი დამახინჯებულად ხსნის წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის კანონის მოქმედებას. აქსელერაციის თეორეტიკოსები ეკონომიური კრიზისების მიზეზად აცხადებენ წარმოების საშუალებათა წარმოების სწრაფი ტემპით ზრდას, რაც, ცხადია, არაა სწორი. ეს მათ იმიტომ სჭირდებათ, რომ დაამტკიცონ ეკონომიური კრიზისების „გარდუვალობა“ სოციალისტურ საზოგადოებაშიც⁹⁰.

წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდა გაფართოებული კვლავწარმოების კანონია, მაშასადამე, იგი მოქმედებს სოციალიზმის დროსაც, მაგრამ სოციალისტური გეგმიანი მეურნეობისათვის უცხოა ეკონომიური კრიზისები. უცხოა იმიტომ, რომ ლიკვიდირებულია თვით ეკონომიური კრიზისების მიზეზი—წარმოების საზოგადოებრივი ხასიათი და მითვისების კერძო კაპიტალისტური ფორმა.

აქსელერაციის თეორეტიკოსებისათვის არ არსებობს ერთობლური საზოგადოებრივი პროდუქტის დაყოფა I და II ქვედანაყოფებად, ხოლო მრეწველობაში — „ა“ და „ბ“ ჯგუფებად. აქსელერაციის პრინციპის განმარტებისას გ. ჰაბერლერი იძლევა ასეთ დაყოფას: ა) წარმოებრივი დანიშნულების ხანგრძლივი სარგებლობის საქონელი. ამ შემთხვევაში, — აღნიშნავს გ. ჰაბერლერი, — აქსელერაცია იწყება ხანგრძლივი და არახანგრძლივი გამოყენების მზა საქონელზე მოთხოვნაში ცვლილებით. ეს კი თავის მხრივ იწვევს მოთხოვნის ცვლილებას ისეთ საქონელზე, რომელიც აუცილებელია ზემოაღნიშნული საქონლის დასამზადებლად (მანქანები, შენობები და ა. შ.).

ბ) „ხანგრძლივი და ნახევრადხანგრძლივი გამოყენების მოხმარების საგნები“ (საცხოვრებელი სახლები, ავტომანქანები, რადიომიმღებები და ა. შ.) და მათზე მოთხოვნის ზრდას. ამ შემთხვევაში აქსელერაცია გულისხმობს მომსახურების (ბინები) მოთხოვნაში ცვლილებებს და იწვევს ცვლილებებს ამ მომსახურების უზრუნველყოფისათვის საჭირო საშუალებებზე (საცხოვრებელ სახლებზე) მოთხოვნის ცვლილებას.

გ) საქონლის ფონდები, როგორც აქსელერაციის პრინციპის მოქმედების მესამე შემთხვევა⁹¹.

⁹⁰ А. Афталион. Периодические кризисы перепроизводства, т. 2, 23. 237.

⁹¹ Г. Хаберлер. Процветание и депрессия, гл. 113.

აი ამ სამ პრინციპზეა აგებული გ. ჰაბერლერის წიგნში აქსელერაციის, როგორც ჰარბდაგროვების თეორიის ერთ-ერთი ნაირსახეობის, კონცეფცია. ამ კონცეფციაში არაა დაყოფა წარმოების საშუალებებად და მოხმარების საგნებად, I და II ქვედანაყოფებად, თანაც ერთიმეორეშია აღრეული მატერიალური წარმოების სფერო და მომსახურების სფერო, მოხმარების საგნები და მომსახურება და ა. შ. აქსელერაციის თეორიის საილუსტრაციოდ წიგნში მოტანილია უამრავი მაგალითი და ვარიანტი, რომელთა განხილვის შემდეგ გ. ჰაბერლერი აკეთებს ასეთ დასკვნას: „აქსელერაციის პრინციპი, თავის უფრო მომთხოვნ ფორმაში, გამომდინარეობს განსაზღვრული რაოდენობითი შეფარდებიდან მზა ნაწარმთა წარმოებასა და მათ დასამზადებლად საჭირო წარმოების საშუალებებს შორის. ეს პრინციპი, თავის შედარებით ნაკლებ ამბიციოზურ ფორმაში, თუ მხედველობაში მიღებულია ყველა დაზუსტება, უბრალოდ ამბობს, რომ მოხმარების საგნებზე მოთხოვნის გადიდებას და მათი წარმოების ზრდას აქვს კაპიტალდაბანდებათა სტიმულირების ტენდენცია. ხოლო ინვესტიციებზე საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებს მოხმარების საგნებზე მოთხოვნისა და წარმოების დაცემა“⁹².

აქსელერაციის პრინციპის განხილვისას გ. ჰაბერლერი აკეთებს კიდევ ერთ „აღმოჩენას“. „ჰორიზონტალური დისპროპორციები“ (ე. ი. მრეწველობის ამა თუ იმ დარგის ძეტისმეტი განვითარება) მას წარმოდგენილი აქვს, როგორც „საერთო დეპრესიის“ მიზეზი⁹³.

„ჰორიზონტალური დისპროპორციები“ მიზეზებს კი იგი დაედებს არა კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობებში, არამედ მოთხოვნა-მიწოდებაში: 1. ცვლილებანი მოთხოვნაში და 2. ცვლილებანი მიწოდებაში. მისი აზრით, ეკონომიურ კრიზისებს იწვევს ის, რომ ერთმა მწარმოებელმა არ იცის რას აკეთებს მეორე, მეორემ არ იცის მესამის საქმიანობა და ა. შ., ე. ი. უცნობია მოთხოვნისა და მიწოდების მასშტაბები. ამ გარემოებამ გ. ჰაბერლერის წიგნში ასახვა პოვა, როგორც „ცდომილები სთეორია“⁹⁴.

გ. ჰაბერლერის ე. წ. „ცდომილების თეორია“ კავშირშია „ჰორიზონტალური და ვერტიკალური დისპროპორციების“ კონცეფციასთან. თავისი ბუნებით ვერტიკალური დისპროპორცია (ე. ი. დისპროპორცია, რომელიც გამოწვეულია კაპიტალის უკმარობით) და

⁹² Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гл. 122.

⁹³ იქვე, გვ. 134.

⁹⁴ იქვე, გვ. 135.

პორიზონტალური დისპროპორცია ერთი და იგივეა. მათი მიზეზია არა „ცდომილების თეორია“, არამედ თვით კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა. „ზოგჯერ ძალიან ძნელია ზღვარის გავლება პორიზონტალურ და ვერტიკალურ დისპროპორციებს შორის. მაგრამ რამდენადაც ისინი არ გამოირიცხავენ ურთიერთს, ამდენად მათ შეუძლიათ თანაარსებობა და, როგორც ჩანს, ხშირად ერთდროულად არსებობენ და ერთიმეორეს აძლიერებენ“⁹⁵.

კაპიტალისტური წარმოება ანარქიულია და ციკლურად ვითარდება. უთანაბრო განვითარებას ადგილი აქვს არა მარტო ქვეყნებს შორის, არამედ ქვეყნის შიგნითაც დარგებს შორის. ვ. ი. ლენინი წერს: „კაპიტალიზმის დროს შეუძლებელია ცალკეული საწარმოების, ტრესტების, მრეწველობის დარგების, ქვეყნების თ ა ნ ა ბ ა რ ი განვითარება“⁹⁶. „კაპიტალიზმი არის წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება და წარმოების ანარქია“⁹⁷.

კრიზისების ბურჟუაზულ თეორეტიკოსებს აღარ შეუძლიათ ზემოაღნიშნული ჭეშმარიტების მიჩქმალვა. ისინი აღაარებენ კაპიტალისტური კლავწარმოების დისპროპორციულობასა და ციკლურობას. ეკონომიური კრიზისების გარდუვალობასაც, თუმცა შესაძლებლად თვლიან „უკრიზისო“ კაპიტალიზმის მოდელის შექმნას. ისტორიული სინამდვილე, ფაქტები აცამტკერებს ბურჟუაზიულ ეკონომისტთა კონცეფციებს. უამრავი მოდელი და თეორიაა შექმნილი, რომლებიც „უკრიზისო“ კაპიტალიზმს ქადაგებენ, მაგრამ თითქმის საუკუნენახევარია კაპიტალისტურ წარმოების წესს მუდმივ თანამგზავრად დაჰყვება დისპროპორციები და ეკონომიური კრიზისები.

გ. ჰაბერლერიც აღიარებს, რომ კაპიტალისტურ მეურნეობაში ადგილი აქვს ყოველგვარ დისპროპორციებს (ვერტიკალურს, პორიზონტალურს, გლობალურსა და ა. შ.). „ვერტიკალური დისპროპორციების ყოველგვარი სახე, ერთი მხრივ, და პორიზონტალური დისპროპორციები და ერთობლივი მოთხოვნის უკმარობა (ფულის არასაკმარისობა), მეორე მხრივ, სრულიად შეთავსებადია“⁹⁸ — წერს გ. ჰაბერლერი.

გ. ჰაბერლერი იყენებს კეინსურ ცნებებსა და განტოლებებს:

⁹⁵ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гл. 136.

⁹⁶ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, გვ. 373.

⁹⁷ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 416.

⁹⁸ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гл. 155.

s (დაზოგვეა), i (ინვესტიცია), y (შემოსავალი), c (მოხმარება⁹⁹).
 ..ტოლობა $s=i$, — წერს გ. ჰაბერლერი. — გამოიყენება როგორც
 წონასწორობის კრიტერიუმი. ყოველგვარი სხვადასხვაობა s-სა და
 i-ს შორის ნიშნავს წონასწორობის დარღვევას. თუ i აღემატება
 s-ს, მაშინ ჩვენ გვაქვს ინფლაცია, s-ის სიჭარბე i-ზე მოასწავებს
 დეფლაციას. აყვავების პერიოდები გამოწვეულია ან, ყოველ შემ-
 თხვევაში, ხასიათდება i-ის სიჭარბით s-თან შედარებით. დეპრე-
 სიის პერიოდები—s-ის სიჭარბით i-თან შედარებით. s-სა და i-ს ტერ-
 მინების ასეთი გამოყენება არაჩვეულებრივად ხელსაყრელია და,
 ეტყობა, რეალურად გამოხატავს იმას, რაც ნამდვილად ხდება
 ციკლის აღმავალი და დაღმავალი მოძრაობის დროს¹⁰⁰.

ამ ტერმინებისა და ცნებების ანალიზისას გ. ჰაბერლერი ეხება
 არა მარტო კენისის, არამედ რ. ჰოუტრის, დ. რობერტსონის, ა. ლერ-
 ნერის, სტოკპოლმის სკოლის წარმომადგენლების — ე. ლუნდბერ-
 გის, ე. ლინდალის, გ. მიურდალის, ბ. ოლინის შეხედულებებს.

აქსელერატორს გამოხატავენ ფორმულით $\Delta i = V \Delta y$, სადაც
 Δi ინვესტიციების ნამეტია, Δy — შემოსავლის ნამეტი, ხოლო
 V — ინვესტიციების კოეფიციენტი¹⁰¹.

აქსელერატორის თეორეტიკოსების აზრით, წონასწორობის ($i =$
 s), ე. ი. „უკრიზისო ციკლის“ შესანარჩუნებლად საჭიროა აქსე-
 ლერაციის პრინციპების გამოყენება. სახელმწიფო უნდა აჩქარებ-
 დეს ან ანელებდეს კაპიტალდაბანდებებს იმისდა მიხედვით, თუ
 როგორია გადასრა. „ამიტომ, — წერს გ. ჰაბერლერი, — აქსელერა-
 ციის პრინციპი მოქმედებაში შედის მხოლოდ მას შემდეგ, რაც
 წარმოება გაფართოვდება იმდენად, რომ სასურველი იქნება ახალ
 მანქანა-მოწყობილობათა დადგმა“¹⁰². ახალი ინვესტიციების აქსე-
 ლერაციისათვის საჭირო ფინანსების წყაროდ ლ. ჰაბერლერი მიიჩ-
 ნევს: ა) მიმდინარე დაზოგვებს ან ბ) ახალ საბანკო კრედიტს ინ-
 ფლაციის გზით¹⁰³. „აქსელერაციის პრინციპის თანახმად, — აღნიშ-
 ნავს გ. ჰაბერლერი, — კაპიტალდაბანდებათა სიდიდე მეტი ან ნაკ-
 ლები იქნება იმისგან დამოკიდებულებით, სწრაფად თუ ნელა

⁹⁹ ამ შემთხვევაში გ. ჰაბერლერი დგას ე. კანსენის პოზიციებზე. „სწორედ
 i-ს რხევები s-ის გარშემო, წერს ე. კანსენი, — ქმნის ეკონომიურ ციკლს“ (იხ.
 Э. Хансен, Экономические циклы и национальный доход, გვ. 426).

¹⁰⁰ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, გვ. 192.

¹⁰¹ Новые тенденции в современной буржуазной политической эконо-
 мии, София, 1965, გვ. 25

¹⁰² Г. Хаберлер, Процветание и депрессия, გვ. 316—317.

¹⁰³ იქვე, გვ. 125.

იზრდება შემოსავალი¹⁰⁴. თავისი წიგნის ბოლოში გ. ჰაბერლერა აცხადებს, რომ აქსელერატორის გარშემო გამართულია ცხარე კამათი. „აქსელერაციის პრინციპი, ზუსტი მექანიკური გაგებით, როგორც ცნობილია, ამტკიცებს, რომ წმინდა ინვესტიციები პროდუქციის (შემოსავლების) ნამატის სიდიდეთა პროპორციულია“¹⁰⁵.

აქსელერაციის პრინციპს თავისებურად იყენებს ნ. კალდორი. „კალდორის თეორია“ აქსელერაციის მოდიფიცირებული პრინციპია. „კალდორის თეორიის“ თანახმად ინვესტიციათა მოცულობა განისაზღვრება ორი ფაქტორით: 1. პროდუქციის ან შემოსავლის მოცულობით და 2. ძირითადი კაპიტალით — წერს გ. ჰაბერლერი¹⁰⁶.

მკითხველი კარგად შეამჩნევს იმას, რომ გ. ჰაბერლერის წიგნში აქსელერაციის თეორია უგულებელყოფს ეროვნული შემოსავლის განაწილების, ზედმეტი ღირებულების კაპიტალიზაციის, დაგროვების, მთელი კაპიტალისტური წარმოებისა და კვლავწარმოების ანტაგონისტურ ხასიათს. კაპიტალისტური კვლავწარმოების ციკლს იგი ანტაგონიზმების გარეშე წარმოიდგენს. აქსელერატორისა და მულტიპლიკატორის თეორიებში მიჩქმალულია კაპიტალიზმის ანტაგონისტური წინააღმდეგობანი¹⁰⁷. მაგალითად, სრულიად უგულებელყოფილია ანტაგონიზმი კაპიტალისტურ წარმოებასა და მოხზარებას. წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მოთვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმას შორის. „აქსელერაციის პრინციპი თავის უმარტივეს ფორმაში („პირველი მიახლოება“) გულისხმობს მუდმივი თანაფარდობის არსებობას ინვესტიციებსა და მოხმარების ზრდას შორის“¹⁰⁸ — აღნიშნავს გ. ჰაბერლერი.

ბურჟუაზიული ეკონომისტებისათვის მთავარია წონასწორობის დამყარება ინვესტიციებსა და მოხმარებას, წარმოებასა და მოხმარებას, ინვესტიციებსა და დაზოგვას, მოთხოვნასა და მიწოდებას შორის. პ. სამუელსონს თავისი წიგნის — „ეკონომიკა“ — მეოთხე თავის ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს უცნობი ავტორის სიტყვები: „განათლებული პოლიტეკონომის გაკეთება თუთიყუშისაგანაც შეიძლება. ყველაფერი, რაც მან უნდა შეისწავლოს ეს მხოლოდ ორი სიტყვაა: „მოთხოვნა“ და „მიწოდება“¹⁰⁹.

¹⁰⁴ Г. Хаберлер. Процветание и депрессия, гл. 326.

¹⁰⁵ იქვე, გვ. 546.

¹⁰⁶ იქვე, გვ. 559.

¹⁰⁷ გ. კანუყვადე, ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. 1, 1962, გვ. 281 — 282.

¹⁰⁸ Г. Хаберлер. Процветание и депрессия, гл. 488.

¹⁰⁹ П. Самуэльсон, Экономика, гл. 88.

გ. ჰაბერლერის წიგნში ათასგვარი ფორმალური ხასიათის წინააღმდეგობაა. ეკონომიური კრიზისების მიზეზების თითქმის იმდენივე ვარიანტია მოცემული, რამდენიც პარაგრაფი და ავტორია მის შრომაში. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ეკონომიური კრიზისების მიზეზად გამოცხადებული იყო ინვესტირების ნაკლებობა, ჭარბდაგროვება, ფულის ტეზავრაცია და დაზოგვა და ა. შ. ჭარბდაგროვების თეორიების განხილვისას გ. ჰაბერლერი ერთ შემთხვევაში ამტკიცებს, რომ კრიზისების მიზეზია ინვესტიციების სიმცირე, ხოლო მეორე შემთხვევაში — პირიქით. „ინვესტირება ერთობ ბევრია და ეს საბოლოოდ იწვევს კრიზისს. კრიზისი შეიძლება არც კი ყოფილიყო, რომ ვინც მოგებას იღებს, უპირატესობა მიენიჭებინა თავისი მოხმარების გადიდების ინვესტირებისათვის“¹¹⁰.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ბურჟუაზიულ ეკონომიურ იდეოლოგიაში ესოდენ დიდი ადგილი უკავია აქსელერაციის კონცეფციებს. „მულტიპლიკატორ-აქსელერატორის მექანიზმი მიაქანებს ეკონომიკას კრიზისის უფსკრულისაკენ“¹¹¹.

§ 4. მულტიპლიკატორის თეორია

მულტიპლიკატორის თეორია თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის მოძღვრებაა. იგი ემყარება კეინსიზმის ფსიქოლოგიურ კონსტრუქციებს.

ცნება „მულტიპლიკატორი“¹¹² პირველად ჩამოაყალიბა რ. ფ. კანმა 1931 წელს. „თვით სიტყვა „მულტიპლიკატორს“ იყენებენ რიცხვითი კოეფიციენტის აღსანიშნავად, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ გაიზრდება შემოსავალი ინვესტიციათა მოცემული ზრდის დროს“¹¹³. ამრიგად, რ. კანის განმარტებით. მულტიპლიკატორი გვიჩვენებს მოხმარების რაოდენობაზე დამოკიდებულებას წარმოების მოცულობის ცვლილებისადმი.

თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია ერთობლიობაში განიხილავს აქსელერაციისა და მულტიპლიკაციის პრინციპებს. აქსელერატორისა და მულტიპლიკატორის მოქმედებას.

¹¹⁰ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гл. 162.

¹¹¹ Современный капитализм и буржуазная политическая экономия, Москва, 1967, гл. 175—176.

¹¹² Multiplier—მაჩრავლი; ხელსაწყოა, რომელიც იძლევა ბევრ ასლს.

¹¹³ П. Самуэльсон, Экономика, гл. 272.

მულტიპლიკატორის ცნებამ შემდგომი დამუშავება მიიღო კეინის ობზერვაციაში „დასაქმების, სარგებლის და ფულის ზოგადი თეორია“ („წიგნი მესამე“).

ამრიგად, აქსელერაციის პრინციპი მიმოქცევაში გაუშვა ა. ფეტალიონმა. ხოლო მულტიპლიკატორის შესახებ მოძღვრებას საფუძველი ჩაუყარა რ. კანმა და შემდგომ განავითარა ჯ. კეინმა. „ეს ორი პრინციპი, — წერს ე. ჰანსენი აქსელერაციისა და მულტიპლიკატორის შესახებ, — ბუნებრივი ტყუპებია, და აღებული ერთად, ისინი ქმნიან ეკონომიური სისტემის მოძრაობის კანონთა გამოყენების მძლავრ იარაღს. მულტიპლიკატორი და აქსელერატორი, ერთად აღებული, შეიცავენ განსაზღვრას, და ჩვენ ვღებულობთ დასრულებულ დინამიურ თეორიას. ისინი შეადგენენ ციკლის ყოველგვარი ეკონომეტრიკული თეორიის ძირითად სტრუქტურას, ანუ ჩონჩხს“¹¹⁴.

აი რა დიდი რეპუტაციით სარგებლობს თანამედროვე ბურჟუაზიულ ეკონომიურ მოძღვრებებში მულტიპლიკატორის თეორია. მულტიპლიკატორის, ანუ მულტიპლიკაციური პროცესის კონცეფცია გვევლინება, როგორც კვლავწარმოებისა და ციკლის უახლეს-ბურჟუაზიული თეორია. მას სხვადასხვა ვარიაციით იზიარებს ყველა ცნობილი ბურჟუაზიული ეკონომისტი და, რა თქმა უნდა, გ. ჰაბერლერიც. „მულტიპლიკატორი, — წერს იგი, — რომელიც გამოხატავს სამომხმარებლო ხარჯების სიდიდეზე ინვესტიციური ხარჯების გადიდების გავლენას, წარმოადგენს ნაკლებად საკამათო კოეფიციენტს“¹¹⁵.

ბუნებრივია, რომ მულტიპლიკატორის თეორიას დიდი ადგილი უკავია გ. ჰაბერლერის წიგნში¹¹⁶. მულტიპლიკატორი და აქსელერატორი, გ. ჰაბერლერის აზრით, ციკლისა და კვლავწარმოების ბურჟუაზიული თეორიის ორი ძირითადი ბურჯია¹¹⁷.

მულტიპლიკატორის კეინსური თეორია ადგენს ურთიერთდამოკიდებულებას საერთო დასაქმებას, შემოსავალსა და ინვესტიციის მოცულობას შორის¹¹⁸. მულტიპლიკატორის პრინციპი გულისხმობს ჭერად გადიდებას შემოსავლის ნამატისა, დასაქმებისა და მოხმა-

¹¹⁴ Э. Хансен, Экономические циклы и национальный доход, 33-515—516.

¹¹⁵ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, 33. 546.

¹¹⁶ იქვე, 33. 238—248, 456—510.

¹¹⁷ იქვე 33- 546.

¹¹⁸ Дж. М. Кейнс. Общая теория занятости, процента и денег, 33-108.

რებისა ინვესტიციათა ნამატთან. მულტიპლიკატორის თეორია გულისხმობს:

1. თითქოს კაპიტალისტურ ეკონომიკაში წარმოებას, დაგროვებასა და მოხმარებას შორის არის პროპორციული შეხამების შესაძლებლობა;

2. ამ შეხამების დარღვევას იწვევს არა კაპიტალისტური კვლავწარმოების ანტაგონისტური წინააღმდეგობანი, არამედ „ფსიქოლოგიური მიდრეკილებანი“ (არასაკმარისი „მიდრეკილება მოხმარებისაკენ“ და მეტისმეტი „მიდრეკილება დაზოგვისაკენ“):

3. თითქოს ამ დარღვევათა ლიკვიდაცია შესაძლებელია კაპიტალიზმის პირობებშიც კეინსური რეცეპტებისა და კატეგორიების („შემოსავლის მულტიპლიკატორი“, „ინვესტიციათა მულტიპლიკატორი“) გამოყენებით¹¹⁹. მულტიპლიკატორის თეორიაში გამოყენებულია კეინსური კატეგორიები და განტოლებები. მაგალითად, $y = c + s$ და $y = c + i$, სადაც y შემოსავალია, c — მოხმარება, s — დაზოგვა, i ინვესტიციები. „მიდრეკილება მოხმარებისაკენ“ გამოხატულია შეფარდებით $\frac{c}{y}$, „მიდრეკილება დაზოგვისაკენ“ $\frac{s}{y}$.

კეინსურ კატეგორიებს გ. ჰაბერლერი თავის მხრივ უმატებს კიდევ „საგარეო ვაჭრობის მულტიპლიკატორს“¹²⁰, რომლის ავტორებად იგი ასახელებს კ. კლარკსა და ჯ. კროუფორდს.

მულტიპლიკატორი კეინსის განმარტებით უპასუხებს კითხვას: როცა ადგილი აქვს ინვესტიციათა საერთო ჯამის მატებას, მაშინ შემოსავალი იზრდება ისეთი სიდიდით, რომელიც K -ჯერ მეტია ინვესტიციათა მატებაზე. ეს დებულება გამოხატულია შემდეგი განტოლებით: $\Delta y = K \Delta i$ და $\Delta y = \Delta c + \Delta i$, სადაც Δy აღნიშნავს შემოსავლის ნამეტს, Δi — ინვესტიციათა ნამეტს და Δc — მოხმარების ნამეტს. მულტიპლიკატორის ფორმულა იღებს ასეთ სახეს:

$$K = \frac{\Delta y}{\Delta i}, \text{ ანუ } K = \frac{\Delta y}{\Delta y - \Delta c} \text{ (განტოლების მარჯვენა მხარე}$$

$$\text{ოყოფა } \Delta y\text{-ზე), } K = \frac{1}{1 - \frac{\Delta c}{\Delta y}}; \frac{\Delta c}{\Delta y} \text{ არის „მოხმარებისაკენ}$$

¹¹⁹ Л. Б. Альтер, Буржуазная политическая экономия США, 1961, с. 578.

¹²⁰ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, с. 462—475.

ზღვრული მიდრეკილება“. მაგალითად, თუ „მოხმარებისაკენ ზღვრული მიდრეკილება“ $\left(\frac{\Delta c}{\Delta y}\right)$ უდრის $\frac{2}{3}$ -ს, მაშინ მულტიპლიკა-

ტორი ტოლი იქნება 3-ის; $K = \frac{1}{1 - \frac{\Delta c}{\Delta y}} = \frac{1}{1 - \frac{2}{3}} = 3$. თუ

მოხმარებისაკენ ზღვრული მიდრეკილება უდრის $\frac{1}{4}$, მაშინ $K = 4$ და ა. შ.¹²¹ (თუ $\frac{\Delta c}{\Delta y} = 1$, მაშინ $K = \infty$).

მთავარ გამოსავალ პოსტულატად აქ აღებულია კეინსის ძირითადი ფსიქოლოგიური კანონი, რომელიც „მდგომარეობს იმაში, რომ ადაპიანებს აქვთ მიდრეკილება, როგორც წესი, შემოსავლის ზრდასთან ერთად თავიანთი მოხმარების გადიდებისა, მაგრამ არა იმ ზომით, რა ზომითაც იზრდება შემოსავალი“¹²². გამოდის, რომ

Δy ყოველთვის მეტია Δc -ზე. ე. პანსენის აზრით¹²³, $\frac{c}{y}$ დაახლოებით ტოლია $\frac{67}{100}$.

კეინსის მოძღვრებას საკუთარ ინტერპრეტაციას აძლევს გ. პაბერლერი¹²⁴. იგი წერს: რადგან $\Delta y = \Delta c + \Delta z$, ამიტომ

$$K = \frac{\Delta y}{\Delta y - \Delta c} = \frac{1}{1 - \frac{\Delta c}{\Delta y}}, \quad K = \frac{\Delta y}{\Delta z}, \quad \text{აქედან } \Delta y = K \Delta z.$$

„შეიძლება ითქვას, — წერს გ. პაბერლერი, — რომ მულტიპლიკატორი წარმოადგენს დაზოგვისაკენ ზღვრული მიდრეკილების წებრუნებულ წილადს და, პირიქით... აქედან გამომდის, რომ, თუ, მაგალითად, მოხმარებისაკენ ზღვრული მიდრეკილება ტოლია $\frac{9}{10}$

(დაზოგვისაკენ ზღვრული მიდრეკილება ტოლია $\frac{1}{10}$), მაშინ

¹²¹ Дж. М. Кейнс, Общая теория занятости, процента и денег, 33. 110.

¹²² იქვე, გვ. 90.

¹²³ Э. Хансен, Послевоенная экономика США, 1966, 33. 68.

¹²⁴ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, 33. 240—242.

მულტიპლიკატორი 10-ის ტოლია“¹²⁵. მულტიპლიკატორის დანიშნულება იმაშია, რომ ინვესტიციების ზრდასთან ურთიერთდამოკიდებულებით დაახასიათოს შემოსავლის ზრდა. „მულტიპლიკატორის თეორიის თანახმად, ინვესტიციების ზრდა იწვევს შემოსავლის გადიდებას, რომელიც უდრის: ინვესტიციათა ნამეტი გამრავლებული მულტიპლიკატორზე“¹²⁶.

მულტიპლიკატორის თეორეტიკოსები ცდილობენ პროპორციულობისა და ჰარმონიის დამყარებას მოთხოვნას, დასაქმებას, შემოსავალსა და ინვესტიციებს შორის. მაგრამ ისინი ამახინჯებენ სინამდვილეს, რადგან ემყარებიან კეინსურ ფსიქოლოგიურ კატეგორიებს. ინვესტიციების (კაპიტალდაბანდებათა) გადიდება მართლაც იწვევს წარმოების გაფართოებასა და დასაქმებულობის გადიდებას. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვება მოხმარების საგნებზე მოთხოვნის გადიდება, მაგრამ მოხმარების საგნების წარმოების გასაფართოებლად აუცილებელია წარმოების საშუალებათა წარმოების გადიდება და ა. შ., ე. ი. იქნება რაღაც ჩაკვისებური რეაქციისმაგვარი პროცესი, რომელსაც თვით კაპიტალიზმის ობიექტური ეკონომიური კანონების მოქმედების გამო არ შეიძლება ჰარმონიული ხასიათი ჰქონდეს და უკრიზისო ციკლს შეადგენდეს.

მულტიპლიკატორის თეორია უგულვებელყოფს კაპიტალისტური კვლავწარმოების წინააღმდეგობებს. იგი წარმოადგენს „ანტიკრიზისული რეგულირების“ პროგრამის შემადგენელ ნაწილს. თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია დიდ იმედებს ამყარებს მულტიპლიკატორ-აქსელერატორის ურთიერთმოქმედებაზე (ამას უწოდებენ „ზემულტიპლიკატორის“ სასტემას). „მულტიპლიკატორი k და აქსელერატორი a . ერთად აღებული, ქმნის ზემულტიპლიკატორს“¹²⁷.

მულტიპლიკატორის თეორია მოითხოვს სახელმწიფოს ჩარევას, რათა პროპორციულად გაიზარდოს ერთობლივი მოხმარება, ინვესტიციები. შემოსავალი. ამისათვის კი აუცილებელია თვით კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობების ლიკვიდაცია. ზოგიერთი ბურჟუაზიული ეკონომისტიც ვერ უარყოფს იმ ფაქტს, რომ მულტიპლიკატორის თეორიასა და განტოლებას არ ძალუძს კაპიტალისტური კვლავწარმოების ანტაგონისტურ წინააღმდეგობათა მოსპო-

¹²⁵ Г. Хабберлер, Прозцветание и депрессия, гл. 242.

¹²⁶ В. Э. Шляпентох, Эконометрика и проблемы экономического роста, 1966, гл. 57.

¹²⁷ Э. Хансен, Экономические циклы и национальный доход, гл. 591.

ბა. „მულტიპლიკატორი. — წერს პ. სამუელსონი, — ორმხრივ გა-
ლესილი მახვილია. იგი მუშაობს თქვენთვის და თქვენს წინააღმ-
დეგ. იგი... გააძლიერებს ახალ ინვესტიციებს. მაგრამ გააძლიერებს
აგრეთვე ინვესტიციათა შემცირებასაც“¹²⁸.

ამერიკელ კეინსელთა ლიდერი ე. ჰანსენიც თავის ნაშრომში
„აშშ-ის ომისშემდგომი ეკონომიკა“ ვერ უარყოფს კაპი-
ტალისტური წარმოების ციკლურ განვითარებას. იგი აღიარებს, რომ.
მიუხედავად ზემულტიპლიკატორის მექანიზმის გამოყენებისა, აშშ-
ის ეკონომიკა ნახევრადსტაგნაციურ მდგომარეობას თავს ვერ აღ-
წევს. „მიუხედავად ომისშემდგომი უზარმაზარი ბიუჯეტებისა —
წერს იგი, — ჩვენ ნახევრადსტაგნაციის მდგომარეობაში ვიმყოფებით“¹²⁹.

ცნობილია, რომ ე. ჰანსენი ითვლება კაპიტალიზმის „სტაგნა-
ციის“ თეორიის ფუძემდებლად. ამ თეორიის ძირითადი დებულებე-
ბი მან განავითარა ჯერ კიდევ 1927 წ. გამოქვეყნებულ შრომაში
„ეკონომიურ ციკლთა თეორია, მისი განვითარება და ახლანდელი
მდგომარეობა“¹³⁰. ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა კაპიტალიზმის
„სტაგნაციიდან“ გამოსავალ საშუალებად აღიარეს კეინსური მულ-
ტიპლიკატორ-აქსელერატორის თეორია. ვერც ამან უშველა საქმეს.
თვით ე. ჰანსენის მწარე აღიარებით, აშშ-ის ეკონომიკა „ნახევრად-
სტაგნაციურ მდგომარეობაში“ რჩება დღესაც.

მიუხედავად იმისა, რომ დიდადაა გავრცელებული მულტიპლი-
კატორიის თეორია, მას ბურჟუაზიული „კრიტიკოსებიც“ ჰყავს.
თვით გ. ჰაბერლერიც იწუნებს მულტიპლიკატორის კეინსური კონ-
ცეფციის ზოგიერთ მხარეს. იგი ცდილობს ამ კონცეფციის შევსება-
სა და სრულყოფას. ე. ჰანსენის მსგავსად, ისიც აღიარებს „საუქუ-
ნოვანი ინფლაციისა“ და „მოჭირითე ინფლაციის“ იდეას. განსაკუთ-
რებით დიდ ადგილს უთმობს „ფულად ფაქტორებსა“ და ე. წ.
„გახურებულ (ცხელ) ფულს“¹³¹.

¹²⁸ П. Самуэльсон, Экономика, гл. 279.

¹²⁹ Э. Хансен, Послевоенная экономика США, 1966, гл. 93.

¹³⁰ Новые тенденции в современной буржуазной политической эконо-
мии. София, 1965, гл. 164—165.

¹³¹ hot money, ანუ „ცხელი ფული“ ისეთი სახსრებია, რომელთა მოთხოვნა
ხდება საზღვარგარეთ (ე. წ. მონეტალე სასესხო კაპიტალი). იხ. Г. Хаберлер.
Процветание и депрессия, гл 5н7.

ე. ჰანსენი დიდ როლს აკუთვნებს ამერიკულ დოლარს. იგი იზიარებს
ე. ფიშერის დებულებას იმის შესახებ, რომ უკეთესია ციკლს ეწოდოს ფულის
მსიჯველობათა ძალის რხევა, ანუ „დოლარის ცეკვა“. იხ. Э. Хансен, Эко-
номические циклы и национальный доход, гл. 423.

თავისი წიგნის დასასრულს გ. ჰაბერლერი აკეთებს განმარტებულ დასკვნებს, ფულად ფაქტორებთან ერთად ჩამოთვლის არაფულად ფაქტორებსაც („ფსიქოლოგიური ფაქტორი“, „მოუქნელობის ფაქტორი“ და სხვ.). აქვე ამტკიცებს იგი ფულადი ფაქტორებისა და მულტიპლიკატორ-აქსელერატორის ურთიერთდაკავშირების აუცილებლობას. ამკარად იგრძნობა ისიც, რომ გ. ჰაბერლერი წინა პლანზე აყენებს ფულადი ფაქტორების მნიშვნელობას, გამოსავალს კი იმაში პოულობს, რომ ეკლექტიკურად აერთებს მონეტარიზმს. ფსიქოლოგიზმისა და მულტიპლიკატორის პრინციპებს. „მე არც მულტიპლიკატორის უგულვებელყოფა მინდა, — წერს გ. ჰაბერლერი, — მაგრამ, თუ აქსელერაციის პრინციპს პლუს მულტიპლიკატორი არ ეხმარება ფულად ფაქტორებს, ფსიქოლოგიურ ფაქტორებს და სხვადასხვა ფორმების მოუქნელობას, არ ძლიერდება ან ფაქტორებით, მაშინ საექვეთნო მათ გამოიწვიონ რაიმე, თუ არა სუსტი რხევები, რომლებსაც არ მოჰყვება სერიოზული შედეგები“¹³².

გ. ჰაბერლერი განიხილავს მულტიპლიკატორის თეორიის უამრავ ვარიანტს (ე. ჰანსენის, რ. ჰაროდის, პ. სამუელსონის, ლ. მიზენსის, ფ. ჰაიეკის, ი. შუმპეტერის, ჯ. ჰიკსის, ნ. კალდორის, მ. კალეცკის, ლ. მეტცლერისა და სხვ.). მულტიპლიკატორის თანამედროვე თეორიებიდან იგი ყველაზე მაღლა აყენებს რ. ჰიკსის კონცეფციას. ამიტომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ამ საკითხზე შეჩერება.

გ. ჰაბერლერი წერს: „ჰიკსი იძლევა საკითხის განსაკუთრებით მკაფიო და მწყობრ გადმოცემას. იგი გვიჩვენებს აგრეთვე იმას, თუ როგორ შეიძლება მულტიპლიკატორისა და აქსელერატორის დოქტრინის განზოგადება ისე, რომ არ გაუარესდეს შედეგები“¹³³. რა თქმა უნდა, გ. ჰაბერლერი ვერ უარყოფს იმას, რომ ჯ. ჰიკსი ბევრ რამეს სესხულობს ჰაროდის, ჰანსენის, სამუელსონისა და სხვა ბურჟუაზიული ეკონომისტებისაგან. განსაკუთრებით ბევრი რამ აქვს გადმოღებული ჰიკსს მულტიპლიკატორ-აქსელერატორის ურთიერთდაკავშირის თეორიის დარგში. „ჰიკსის თეორიას, — წერს გ. ჰაბერლერი, — ჩვენ ვთვლით მსგავსი თეორიების დიდი ჯგუფის ყველაზე უფრო დასაბუთებულ ნიმუშად“¹³⁴.

გ. ჰაბერლერი, მართალია, ყველაზე მაღლა აყენებს ჯ. ჰიკსის მულტიპლიკატორის თეორიას, მაგრამ ვერც იმას უვლის გვერდს, რომ არც ჯ. ჰიკსის დოქტრინაა სრულყოფილი. ამ შემთხვევაშიც გ. ჰაბერლერი სიმპათიურადაა განწყობილი ჯ. ჰიკსისადმი. „ჰიკსის

¹³² Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гл. 538—539.

¹³³ იქვე, გვ. 544.

¹³⁴ იქვე.

ვერსიას. — წერს იგი, — ნაკლებად ახასიათებს ეს ნაკლოვანებები კიდრე მისი წინამორბედების თეორიებს“¹³⁵.

ჯ. ჰიკსი მრავალი შრომის ავტორია. მისი შრომები ცნობილია აშშ-ში. საფრანგეთში, გერ-სა და სხვ. მის წიგნში „სახალხო მეურნეობის თეორიის შესავალი“¹³⁶ დიდი ადგილი ეთმობა კვლავწარმოებისა და ციკლის საკითხებს.

მულტიპლიკატორის ყველა თეორია (ჯ. ჰიკსის კონცეფციის დათვლით) ემყარება კეინსურ კატეგორიებს და ამიტომ იგი ასახავს კაპიტალისტური ციკლისა და კვლავწარმოების ზოგიერთ ზედამხედველ და რაოდენობრივ მომენტს. მულტიპლიკატორ-აქსელერატორის მთელი მექანიზმი, რომლის განხილვას ესოდენ დიდი ადგილი ეთმობა გ. ჰაბერლერის წიგნში, წარმოადგენს მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების ნარკოტიკულ საშუალებას. მულტიპლიკატორის თეორია ემყარება ბურჟუაზიულ ეკონომისტთა სურვილებს კაპიტალისტური ეკონომიკის ჰარმონიული განვითარების შესაძლებლობის შესახებ. ისინი კაპიტალისტურ კვლავწარმოებას განიხილავენ ანტიგონისტურ წინააღმდეგობათა გარეშე. მაგალითად, თანამედროვე ბურჟუაზიულ ეკონომიურ ლიტერატურაში (ეილერის, სოლოუს, კაბა-დუგლასისა და სხვ. შრომებში) წარმოების ფუნქციის ფორმულა ასეა ჩამოყალიბებული: $P=f(L \cdot K)$, სადაც L არის შრომა, K — კაპიტალი, ხოლო P — პროდუქტის რაოდენობა¹³⁷.

საბჭოთა ეკონომისტი ი. ოსადჩაია წარმოების ფუნქციის კლასიკურ ტიპად მიიჩნევს კაბა-დუგლასის ფუნქციას — $P=a K^\beta L^\alpha$, სადაც $\alpha + \beta = 1$. β და α არის ამ ფუნქციის ორი პარამეტრი, რომლებიც იძლევიან პროდუქციის სიდიდეზე თითოეული ფაქტორის გავლენის რაოდენობრივ დახასიათებას. a მესამე პარამეტრია, რომელიც იძლევა ფუნქციის საერთო მოძრაობის დახასიათებას (ტექნიკური პროგრესის შედეგად ფაქტორთა ეფექტურობის ცვლილება, წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესება, ცოდნის ამბლუბა და სხვ.)¹³⁸.

დასახელებულ ფორმულას, რომელიც ცნობილია კაბა-დუგლასის ახელწოდებით, „დინამიკური“ ხასიათი მისცა რ. სოლოუმ. მან აღნიშნულ განტოლებაში ჩააშატა t (ტექნიკური პროგრესის დრო) და

¹³⁵ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гл. 545.

¹³⁶ John Richard Hicks, Einführung in die Volkswirtschaftslehre, Reinbek bei Hamburg, 1962.

¹³⁷ Новые тенденции в современной буржуазной политической экономии, София, 1965, гл. 290—311.

¹³⁸ Современный капитализм и буржуазная политическая экономия, 1967, гл. 162.

მულტიპლიკატორი. ამ მოდიფიკაციის შემდეგ წარმოების ფუნქციამ რ. სოლოუსთან მიიღო ასეთი სახე: $Q = F(K, L, t)$ და, ბოლოს, $Q = A(t) f(K, L)$.

კაბა-დუგლასის წარმოების ფუნქციას 1942 წ. საკუთარი ინტერპრეტაცია მისცა ცნობილმა პოლანდიელმა ეკონომეტრიკოსმა ი. ტინბერგენმა. ეს განტოლება მან ასე ჩამოაყალიბა: $Y_t = L^{\alpha} \cdot K^{\beta} \cdot I_t^{\gamma}$, სადაც Y არის წარმოების მოცულობა უცვლელ ფასებში. L — შრომა, K — ძირითადი კაპიტალის ფაქტიური ღირებულება, I_t — წარმოების მოცულობის ელასტიურობა (შრომის რაოდენობის ცვლილებასთან დამოკიდებულებით), α — წარმოების მოცულობა ძირითადი კაპიტალის რაოდენობის ცვლილებასთან შეფარდებით, β — ნატურალური ლოგარითმის ფუძე, γ — წლების რიცხვი, a — ტექნიკური პროგრესის ტემპი¹³⁹.

მულტიპლიკატორი და მასზე დაფუძნებული განტოლებები ვერ მოსპობს ვერც უმუშევრობასა და ვერც კარბწარმოების ეკონომიურ კრიზისებს.

კარბწარმოების ეკონომიური კრიზისების ლიკვიდაციისათვის აუცილებელია თვით კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის მოსპობა, მაგრამ რომ მოსპო ეს წინააღმდეგობა, უნდა მოსპო თვით კაპიტალიზმი. მულტიპლიკატორის თეორია კი მიზნად ისახავს კაპიტალისტური ეკონომიკის გაჯანსაღებას.

სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მულტიპლიკატორის თეორიაზე დაყრდნობით აგებული კაპიტალისტური ეკონომიკის მოდელები მოდელებად რჩება ქაღალდზე. ხოლო კაპიტალისტურ ეკლავწარმოება ციკლურად ვითარდება. საქმეს ვერ შევლის „მულტიპლიკატორი“, „სტატიკური მულტიპლიკატორი“; და ვერც „დინამიკური მულტიპლიკატორი“, აქსელერატორი და სტაბილიზატორი. არსებობს უამრავი მოდელი როგორც სტატიკური, ასევე დინამიკური მულტიპლიკატორით¹⁴⁰ (ა. ფილიპსის, კაბა-დუგლასის, სამუელსონ-პიკისა და სხვ.). მულტიპლიკატორი. აქსელერატორთან ერთად, და შესაბამისი მოდელები მიზნად ისახავენ კაპიტალისტური წარმოების გამოყვანას სტაგნაციური (ნახევრადსტაგნაციური) მდგომარეობიდან. მულტიპლიკატორ-აქსელერატორის დოქტრინა „ეკონომიკის დატუმპების“¹⁴¹ კეინსური თეორიის, ბურჟუაზიული ეკონომიური იდეოლოგიის შემადგენელი ნაწილია.

¹³⁹ Я. Тинберген, Х. Бос, Математические модели экономического роста, 1967.

¹⁴⁰ Р. Аллен, Математическая экономия, ИЛ., 1963, гл. 56—230.

¹⁴¹ Pump-priming theory.

„ნაკლებმოხმარების თეორიებს, — წერს გ. ჰაბერლერი, — ხანგრძლივი ისტორია აქვთ. ფაქტიურად ისინი აღმოცენდნენ ისე დიდი ხნის წინათ, როგორც თვით პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერება. ეკონომიური აზრის ამ სკოლის ადრინდელ მომხრეთა შორის თვალსაჩინო ადგილი ეკუთვნით ლორდ ლოდერდელს, მალთუსსა და სისმონდის“¹⁴³.

ამ ციტატაში ბევრი უზუსტობაა, რომელთა შესახებ შემდეგ იქნება ლაპარაკი. აქ აღნიშნავთ, რომ ნაკლებმოხმარების თეორია მარქსისტულ-ლენინური შეფასებით, წვრილბურჟუაზიული თეორიაა. გ. ჰაბერლერი განგებ ამღვრევს წყალს, რათა მიჩქმალოს მთავარი — ნაკლებმოხმარების თეორიების აპოლოგეტიზმი. „ნაკლებმოხმარების თეორია, — აღნიშნავს ის, — უფრო მეტად კრიზისისა და დეპრესიის თეორიაა, ვიდრე ციკლის თეორია“¹⁴⁴.

აქაც გ. ჰაბერლერი ისე ხატავს ვითარებას, რომ თითქოს შესაძლებელია არსებობდეს „უკრიზისო“ კაპიტალისტური ციკლი.

გ. ჰაბერლერის წიგნში განმარტებული ნაკლებმოხმარების თეორია ოცივეა. რაც ა. აფტალიონის „ნაკლებმოხმარება“.

ციკლისა და ეკონომიური კრიზისების წვრილბურჟუაზიულ თეორიას შეადგენს ნაკლებმოხმარების დოქტრინა, რომელიც სათავეს იღებს სისმონდის მოძღვრებაში — ეკონომიურ რომანტიზმში. წვრილბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის თეორეტიკოსი აღიარებდა ეკონომიური კრიზისების გარდუვალობას კაპიტალიზმის დროს, მაგრამ მას არ ესმოდა ჰარბზარმოების ეკონომიური კრიზისების ნამდვილი ბუნება და მიზეზი. ჰარბზარმოების ეკონომიური კრიზისების საფუძვლად სისმონდის მიაჩნდა ნაკლებმოხმარება, ანუ არასაკმარისი მოხმარება.

სისმონდიზმისათვის დამახასიათებელია წვრილი წარმოების იდეალიზაცია, წარმოებასა და მოხმარებას შორის თანათარდობის არააწორი გაგება. სისმონდის მოძღვრებას ეკონომიური კრიზისების შესახებ იზიარებდნენ რუსი სისმონდისტები — ხალხოსნები. მათი აზრით, ეკონომიური კრიზისების გარდუვალობა იმითაა გამოწვეული. რომ მსხვილი მანქანური ინდუსტრია აჩანაგებს წვრილ წარმოებას და, მაშასადამე, შინაური ბაზარი მცირდება.

¹⁴² Unterkonsumtion — არასაკმარისი მოხმარება, ნაკლებმოხმარება.

¹⁴³ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гл. 142.

¹⁴⁴ იქვე, გვ. 143.

სისმონდიზმის წარმომადგენლები გამოსავალს ეკონომიური კრიზისებიდან ხედავდნენ წვრილი წარმოების შენარჩუნებაში. ისინი აიდეალებდნენ წვრილ წარმოებას და წვრილი მწარმოებლების არსებობა წარმოდგენილი ჰქონდათ, როგორც ეკონომიური კრიზისების თავიდან აცილების საშუალება. სისმონდი და სისმონდისტები აცხადებდნენ, რომ „მესამე პირები“ (წვრილი მწარმოებლები) წარმოადგენენ მომხმარებლებს, რაკი ისინი ჩანაგდებიან, მაშასადავე, ეკონომიური კრიზისები გარდაუვალაო. ვ. ი. ლენინმა მკაცრად გააკრიტიკა სისმონდისტების „მესამე პირთა“ თეორია. ამხილა სისმონდიზმის რეაქციულ-უტოპიური ხასიათი.

მსხვილი მანქანური კაპიტალისტური წარმოების განვითარება მართლაც იწვევს წვრილ მწარმოებელთა გაჩანაგებას, მაგრამ ეს პროცესი კი არ ამცირებს შინაურ ბაზარს, არამედ, პირიქით, აფართოებს. „სისმონდის მესამე შემცდარი დასკვნა, რომელიც მის მიერ გადმოღებული ად. სმიტის მცდარი თეორიიდან გამომდინარეობს, ეს არის მოძღვრება კრიზისების შესახებ. სისმონდის შეხედულებიდან, რომ დაგროვებას (საერთოდ წარმოების ზრდას) მოხმარება განსაზღვრავს, და მთელი საზოგადოებრივი პროდუქტის (რომლიდაც მიჩნეულია მუშებისა და კაპიტალისტების წილი შემოსავალში) რეალიზაციის შემცდარი განმარტებიდან ბუნებრივად და აუცილებლად წარმოიშვა ის მოძღვრება, რომლის მიხედვითაც კრიზისები წარმოებასა და მოხმარებას შორის შეუსაბამობით აიხსნება. სისმონდი მთლიანად სწორედ ამ თეორიას იცავდა“¹⁴⁵.

სისმონდი და სისმონდიზმი ჰარბწარმოების ეკონომიური კრიზისების, როგორც მოვლენის, ფესვს ხედავს წარმოების გარეთ და „კრიზისებს ხსნის არასაკმარისი მოხმარებით“¹⁴⁶. თქმა იმისა, რომ მუშათა და წვრილ მწარმოებელთა არასაკმარისი მოხმარება (ნაკლებმოხმარება) არის ეკონომიური კრიზისების მიზეზი, არ შეეფერება სინამდვილეს. მშრომელთა ნაკლებმოხმარებას ადგილი ჰქონდა მონათმფლობელურ საზოგადოებაში, ფეოდალიზმის დროს, თუმცა ჰარბწარმოების ეკონომიური კრიზისები მხოლოდ კაპიტალიზმს მოსდგამს. ამის მიზეზია თვით კაპიტალისტური წარმოების წესის ძირითადი წინააღმდეგობა, ხოლო რაც შეეხება დისპროპორციულობას, შეუსაბამობას წარმოებასა და მოხმარებას შორის და ნაკლებმოხმარებას, ისინი წარმოადგენენ კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის მხოლოდ გამოხატულებას.

¹⁴⁵ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 191.

¹⁴⁶ იქვე, გვ. 192.

ვ. ი. ლენინი განმარტავს, რომ ჰარბზარმობის ეკონომიურ კრიზისები გარდუვალა არა არასაკმარისი მოხმარების (ნაკლებ- მოხმარების) გამო, არამედ კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის გამო. „კრიზისები აუცილებელია იმიტომ, რომ წარმოების კოლექტიური ხასიათი წინააღმდეგობაში ვარდება მითვისების ინდივიდუალურ ხასიათთან“¹⁴⁷.

ნაკლებმოხმარების თანამედროვე თეორეტიკოსები კვლავ იცავენ მალთუსისა და სისმონდის იდეას არასაკმარისი მოხმარებისა და რეალიზაციის შეუძლებლობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ვ. ი. ლენინმა უკუაგლო სისმონდიზმის მოძღვრება კრიზისების შესახებ, ნაკლებმოხმარების თეორიას დღესაც ჰყავს მომხრეები.

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ბურჟუაზიულ ეკონომიურ ლიტერატურაში აღრეულია კრიზისების მარქსისტული თეორია ნაკლებმოხმარების თეორიასთან. მაგალითად, ე. ჟანსის განცხადებით, „ნაკლებმოხმარების მალთუსურმა, ანუ სისმონდისტურმა იდეამ ბევრი მომხრე ჰოვა, განსაკუთრებით მარქსისტებში, როგორცაა როზა ლუქსემბურგი, ჰილფერდინგი და ლუსიონ ლორა. მან მიიზიდა აგრეთვე უფრო მეტად დამოუკიდებელ თეორეტიკოსები. ასე, მაგალითად: ლედერერი, ერიკ პრაიზერ, ჯ. პობსონი, პ. ვ. მარტინი, აგრეთვე ფოსტერი და კატჩინგი. მაგრამ ამ არამარქსისტებთან ნაკლებმოხმარების იდეა მეტწილად უფრო აგრესიულ მიმართულებას ლებულობდა, ვიდრე მარქსთან და სისმონდისთან“¹⁴⁸.

კეინსელობის წარმომადგენელნიც აცხადებენ, რომ კვლავწარმოების მარქსისტული მოძღვრება „ნაკლებმოხმარების თეორიას“ მიეკუთვნებაო. მეტიც, კ. მარქსის თეორიას ისინი მიიჩნევენ კეინსური „არასაკმარისი ეფექტური მოთხოვნის“ კონცეფციის ჩანასახად. მეორე მხრივ, კ. მარქსის აღმოჩენილი მოგების ნორმის დაცემის ტენდენციის კანონი მათ წარმოუდგენიათ კაპიტალისა და ინვესტიციების „არასაკმარისი ზღვრული ნაყოფიერების“ კეინსური კონცეფციების პირველსახედ. ეს ბურჟუაზიულ ეკონომისტთა ძველ ხერხია, რომელსაც მკაცრად აკრიტიკებდა ვ. ი. ლენინი. კ. მარქსისა და მარქსისტების მოძღვრება (ცხადია, ეს არ ეხება რ. ლუქ-

¹⁴⁷ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 2, გვ. 196.

¹⁴⁸ Э. Жамс, История экономической мысли XX в., гв. 169.

ამერიკელი ეკონომისტი ბ. სელიგმენი ნაკლებმოხმარებისა და მეტისმეტი ღ-ზოგვის (oversaving) ერთ-ერთ პირველ თეორეტიკოსად ასახელებს „ინგლისელ ინსტრუქციონალისტ ჯონ ა. პობსონს“ (იხ. Б. Селигмен, Основные тенденции современной экономической мысли, გვ. 119).

სემბურგსა და II ინტერნაციონალის თეორეტიკოსს რ. ჰილფერ-დინგს) ეკონომიური კრიზისების მიზეზად თელის კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობას, რომელაც არსებობს წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო, ინდივიდუალურ წესს შორის.

ნაკლებმომხმარებლის ბურჟუაზიული და რეფორმისტი თეორეტიკოსები სულ სხვადასხვანაირად ხსნიან ეკონომიურ კრიზისებს. ვ. ი. ლენინი შრომაში „ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის“ პირდაპირ მიუთითებს, რომ სისმონდისტები ეკონომიურ კრიზისებს ხსნიან არასაკმარისი მოხმარებით (ნაკლებმომხმარებით), ხოლო მარქსისტები — წარმოების ანარქიითა და უწესრიგობით.

„ამრიგად, თუმცა ორივე თეორია კრიზისებს თვით მეურნეობის წყობაში არსებული წინააღმდეგობით ხსნის. მაგრამ ისინი სრულიად შორდებიან ერთმანეთს ამ წინააღმდეგობის დასახელებაში“¹⁴⁸. მიუხედავად ამისა, თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტები (გ. ჰაბერლერი, ე. ჟამსი, ფ. მახლუპა, ბ. სელიგმენი¹⁴⁹ და მათი თანამოაზრენი) კვლავ ცდილობენ მარქსისტული და სისმონდისტური თეორიების ურთიერთაღრევას, რათა ამით მიჩქმალონ ციკლისა და კრიზისების ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული თეორიების აპოლოგეტური ხასიათი.

გ. ჰაბერლერი ანტიპათიურადაა განწყობილი ნაკლებმომხმარებლის თეორიების მიმართ. ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, გ. ჰაბერლერის აზრით, ნაკლებმომხმარებლის თეორიების „მეცნიერული დონე დაბალია ამ წიგნში აღრე განხილული თეორიების დონესთან შედარებით“. მაშასადამე, ნაკლებმომხმარებლის თეორიებზე მალა აყენებს გ. ჰაბერლერი ჰარბდაგროვების თეორიებს. ნაკლებმომხმარებლის წვრილბურჟუაზიული თეორიების „მეცნიერული დონე“ რომ დაბალია, ცხადია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. მაგრამ კიდევ უფრო დაბალი „მეცნიერული ღირსებისაა“ ჰარბდაგროვების ბურჟუაზიული თეორიები. ეს საკითხები ჩვენ უკვე განვიხილეთ და მათ აქ აღარ დავებრუნდებით.

ნაკლებმომხმარებლის თეორიების განხილვისას მკაფიოდ ჩანს გ. ჰაბერლერის ეკლექტიზმი. მაგალითად, ნაკლებმომხმარებლის თეორიების განხილვისას ერთიმეორეშია აღრეული ეკონომიური ციკლისა და კრიზისების წვრილბურჟუაზიული და ვულგარული ეკონო-

¹⁴⁸ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 192.

¹⁴⁹ Б. Селигмен, Основные течения современной экономической мысли, гл. 122.

მისტები (ლოდერდელი, მალთუსი, სისმონდი, ჯ. ჰობსონი, კატჩინგი და სხვ.).

გ. ჰაბერლერიც განასხვავებს ნაკლებმომხმარებლის თეორიის სხვადასხვა სკოლებს, მაგრამ ამას აკეთებს ისე, რომ მიჩქმალულია არსებითი მომენტები. მის წიგნში განხილულია ნაკლებმომხმარებლის თეორიის ექვსი სხვადასხვა ვარიანტი (რომელთაგან გ. ჰაბერლერი გამოყოფს ორ ძირითად ვარიანტს):

1. „ნაკლებმომხმარებლის თეორია ყველაზე ნაკლებად მოფიქრებულ ფორმაში“, რომლის წარმომადგენლები უყოყმანოდ ამტკიცებენ, რომ ტექნოლოგიური სრულყოფა, გამოგონებანი და კაპიტალის დაგროვება აძლიერებს მოხმარების შემცირების ტენდენციას. ასეთ მტკიცებას აბსურდულს და სრულიად დაუსაბუთებელს უწოდებს გ. ჰაბერლერი.

2. ნაკლებმომხმარებლის თეორიის შემდეგ ვარიანტად გ. ჰაბერლერი ასახელებს ფულის ტეზავრაციას და დეფლაციას. ამ ვარიანტის თეორეტკოსები აცხადებენ, რომ ხდება ფულის შენახვა (ტეზავრაცია). „ამ აზრით, — წერს გ. ჰაბერლერი, — ტერმინი „ნაკლებმომხმარება“ წარმოადგენს მხოლოდ დეფლაციის აღსანიშნავ სხვაგვარ გამოხატულებას“¹⁵⁰.

3. ნაკლებმომხმარებლის თეორიის მესამე ვარიანტში გ. ჰაბერლერი გულისხმობს ისეთ შეხედულებებს, რომელთა მიხედვით ადგილი აქვს წარმოების ზრდის საუკუნეობრივ ტენდენციასა და მოსახლეობის მატებასაც. ტექნიკური პროგრესის განვითარებასთან ერთად მცირდება წარმოების ხარჯები პროდუქციის ერთეულზე, ამიტომ ასეთ შემთხვევაში ფულის მასის გადიდება პროდუქციის წარმოების მასშტაბის გაფართოებასთან ერთად არაა საჭირო. რაკი იზრდება პროდუქციის მოცულობა და მცირდება ფასები, — აღნიშნულია გ. ჰაბერლერის წიგნში, — ფულის მასა არ უნდა გაიზარდოს, მაგრამ ფულის რაოდენობაც იზრდება, ხოლო მოხმარება ჩანორჩება შემოსავლის ზრდას და, მაშასადამე. ადგილი აქვს ციკლურ განვითარებას და კრიზისებსო.

ამ ვარიანტში ჩანს კეინსური დებულებები შემოსავლების ზრდის მაღალი ტემპების შესახებ, რაც ისევე უსაფუძვლოა, როგორც თვით „ძირითადი ფსიქოლოგიური კანონი“.

4. ნაკლებმომხმარებლის თეორიის მეოთხე ვარიანტი, რომელსაც გ. ჰაბერლერი უწოდებს „მეტისმეტი დაზოგვის თეორიას“, ფართოდაა წარმოდგენილი მის წიგნში. ეტყობა, გ. ჰაბერლერის სიმპათიაც, ნაკლებმომხმარებლის თეორიის ექვსი ვარიანტიდან, ამ თეო-

¹⁵⁰ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гл. 144.

რიის მომხრეთა მხარეზეა. „ნაკლებმომხარების თეორიის ყველაზე უფრო დასაბუთებული ნაირსახეობა (მაგალითად, ჯ. ა. ჰობსონის, უ. ტ. ფოსტერისა და კეტჩინგის შრომებში) იყენებს „ნაკლებმომხარების“ ტერმინს „მეტისმეტი დაზოგვის“ მნიშვნელობით. — წერს გ. ჰაბერლერი¹⁵¹.

ნაკლებმომხარების, ანუ ნაკლებმოთხოვნის (ა. აფტალიონი) თეორიის აღნიშნული ვარიანტი უშუალოდ კეინსური „ძირითადი ფიქლოლოგიური კანონიდან“ გამომდინარეობს. გ. ჰაბერლერის აზრით, კრიზისებისა და ციკლის თანამედროვე კონცეფციები ემყარება კეინსურ დეტერმინანტებს (უპირატესობისადმი ლიკვიდურობის მინიჭება, ფულის მიწოდება და ტეზავრაცია, კაპიტალის ზღვრული ეფექტურობა და მიდრეკილება მოხმარებისაკენ). ციკლისა და ეკონომიური კრიზისების კეინსური თეორიები, — წერს გ. ჰაბერლერი, — „შეიძლება დახასიათდეს, როგორც ნაკლებმომხარების თეორიის, ანუ მეტისმეტი დაზოგვის განსაკუთრებული სახე“¹⁵².

გ. ჰაბერლერი აღნიშნავს, რომ შემოსავლების დიდი ნაწილი იზოგება და მცირე ნაწილი მოიხმარება პირადი მოხმარების საგნების შესაძენად. ე. ი. ადგილი აქვს შემოსავლების დიდი რაოდენობით დაზოგვასა და ფულის ტეზავრაციას. ეს თავის მხრივ ამცირებს ერთობლივი მოთხოვნის მოცულობას და ამიტომ ადგილი აქვს კრიზისებსო. ამ საკითხის განხილვისას გ. ჰაბერლერი აღნიშნავს, რომ „მეტისმეტი დაზოგვის“ პროცესს ადგილი აქვს იმათ შორის, ვინც დიდ შემოსავალს იღებს. აქედან გამოსავალი, მისი აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ უნდა მოხდეს შემოსავლების გათანაბრება. შემოსავლების გათანაბრება კაპიტალიზმის პირობებში კი ფუჭი ოცნებაა, რომელსაც „სახალხო კაპიტალიზმის“ პროპაგანდისტები ქადაგებენ. ეროვნული შემოსავლის განაწილებას ბურჟუაზიულ საზოგადოებაში განაპირობებს წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება და კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობანი.

„უზომო დაზოგვის თეორია“ ემყარება აგრეთვე ვულგარული ეკონომისტის სენიორის „თავშეკავეებისა“ და „დაზოგვის“ აპოლოგეტურ კონცეფციას. გ. ჰაბერლერი განასხვავებს დაზოგვის სხვადასხვა სახეებს: „ავტონომიური“, „პეტერონომიული“, „ნებაყოფლობითი“, „იძულებითი“. „კოლექტიური“ და ა. შ. ა. აფტალიონი კი ცალკე გამოყოფს „დაზოგვის თეორიას“¹⁵³. „დაზოგვის ქვეშ, —

¹⁵¹ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гл. 146.

¹⁵² იქვე, გვ. 249.

¹⁵³ А. Афталион, Периодические кризисы перепроизводства, т. I, гл. 192.

წერს გ. ჰაბერლერი, — ჩვენ გვესმის შემოსავალს მინუს ხარჯები მოხმარებაზე“¹⁵⁴. გ. ჰაბერლერი ამ შემთხვევაში იმეორებს ი. შუმპეტერის მოსაზრებას „იძულებითი დაზოგვის“ შესახებ.

ი. შუმპეტერმა ჯერ კიდევ 1913 წელს წამოაყენა იდეა „იძულებითი დაზოგვის შესახებ“¹⁵⁵. დაზოგვა და ნაკლებმოხმარება ეკონომიური კრიზისების მიზეზი არ შეიძლება იყოს.

გ. ჰაბერლერი განიხილავს დაზოგვის უარყოფითი ზემოქმედების სამ სხვადასხვა გზას: ა) „დანაზოგებმა შეიძლება გამოიწვიოს დეპრესია, რადგან დანაზოგი საშუალებანი არ გამოიყენება ინვესტირებისათვის“¹⁵⁶; ბ) „დანაზოგები, ერთი მხრივ, იწვევს მოხმარების საგნებზე მოთხოვნის შემცირებას, რადგან დაზოგილი ფული არ იხარჯება მოხმარებაზე“; გ) „მეორე მხრივ, როგორც წესი, დანაზოგების ინვესტირება ხდება მწარმოებლურ მიზნებზე. დაზოგილი თანხები გამოიყენება საზოგადოების ძირითადი კაპიტალის გადიდებასათვის. შენდება ქარხნები, რკინიგზები, ელექტროსადგურები და მანქანები. ამასთან ერთად საბოლოო მიზანს შეადგენს საბოლოო მოხმარების საგნების წარმოების გადიდება“¹⁵⁷.

გ. ჰაბერლერი აკეთებს დასკვნას, რომ მოხმარების საგნების წარმოება ფართოვდება, ხოლო მოთხოვნის მასშტაბები მცირდება იმიტომ, რომ შემოსავლები მეტისმეტად იზოგება, ფულის ტეზავრაცია ხდება და ადგილი აქვს ნაკლებმოხმარებას. რა თქმა უნდა, ნაკლებმოხმარების თეორეტიკოსებსა და თვით გ. ჰაბერლერს არ უნდათ იმის აღიარება, რომ ეკონომიური კრიზისების მიზეზი თვით კაპიტალიზმის წიაღშია და არა ადამიანთა ფსიქიკაში.

5. ნაკლებმოხმარების თეორიის მეხუთე ვარიანტს კი ასე ახასიათებს გ. ჰაბერლერი: „კრიზისს იწვევს არა დაზოგვის ნორმის უეცარი ზრდა (ე. ი. მოხმარების საგნებზე მოთხოვნის შემცირება), არამედ წარმოების მოცულობის სწრაფი ზრდა“¹⁵⁸. ნაკლებმოხმარების თეორიის აღნიშნულ ვარიანტს ვრცლად განიხილავს გ. ჰაბერლერი. ეს ვარიანტი, მისი აზრით, არის იმ კონცეფციის საპირისპირო, რომელიც ეკონომიურ კრიზისს კაპიტალის უკმარობით ხსნის (ე. წ. ნაკლებკაპიტალიზაციის თეორია).

¹⁵⁴ Г. Хаберлер. Процветание и депрессия, гл. 307.

¹⁵⁵ Zeitschrift für Volkswirtschaft, Sozialpolitik und Verwaltung, Bd. 22, 1913, гл. 605.

¹⁵⁶ Г. Хаберлер. Процветание и депрессия, гл. 146.

¹⁵⁷ იქვე, გვ. 147.

¹⁵⁸ იქვე, გვ. 150.

ამ საკითხის განხილვას ეთმობა გ. ჰაბერლერის წიგნის მეხუთე თავის („ნაკლებმოხმარების თეორიები“) მესამე პარაგრაფი, რომელიც ასეა დასათაურებული: „მოხმარებითი მოთხოვნისა და კაპიტალის ნაკლებობა, როგორც კრიზისების მიზეზები“.

ნაკლებმოხმარების თეორიის ერთ-ერთი ვარიანტის თეორეტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ აღმავლობის დროს ფართოვდება წარმოების სფერო, პირველ რიგში მოხმარებებს მწარმოებელი დარგები, მაგრამ ეს ერთდროულად არ ხდება. მოხმარების საგნებზე მოთხოვნა კვლავ აყენებს დღის წესრიგში პირადი მოხმარებებს საგნების მწარმოებელი დარგების გაფართოებას საკითხს. უკვე შექმნილი საწარმოები კი კვლავ უშვებენ სახმარ საგნებს. დგება დრო, როცა მოხმარების საგნების გამოშვება თანდათან მატულობს (მწყობრში შედის ახალ-ახალი საწარმოები), ხოლო მოთხოვნა კი იგივე რჩება და მამასადამე, იწყება კრიზისი. ამ პროცესს ფრანგი ბურჟუაზიული ეკონომისტი ა. აფტალიონი განმარტავს როგორც „ლუმელს მაგალითს“¹⁵⁹ (ტუგან-ბარანოვსკისთან იყო „შიდაწეის ძრავას მაგალითი“).

ა. აფტალიონი წერს: ლუმელში ნახშორს ყრიან, ცეცხლს აჩაღებენ და კვლავ უმატებენ სათბობს. დგება დრო, როცა შენობაში სასურველი ტემპერატურა შეიქმნება, მაგრამ სათბობის მიმატების შეწყვეტის შემდეგაც გამოყოფს ლუმელი სითბოს და ტემპერატურა კვლავ მატულობს, რის გამო შენობაში ყოფნა შეუძლებელი გახდება. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ეკონომიკაშიც, — დაასკვნის ა. აფტალიონი, რადგან მოხმარების საგნების წარმოების გადიდებაზე მოთხოვნა საჭიროებს კიდევ უფრო მეტად წარმოების საშუალებათა წარმოების გადიდებას და წონასწორობის დამყარება შეუძლებელი ხდება¹⁶⁰. „ამ საფუძველზე აფტალიონმა გააკეთა დასკვნა, რომ წონასწორობის დარღვევა წარმოადგენს ეკონომიურ კანონს. რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ნაკლებწარმოებისა და დეპრესიის პერიოდები რიგრიგობით იცვლება კარბწარმოების პერიოდებით“¹⁶¹.

ნაკლებმოხმარების თეორიის მეხუთე ვარიანტი კი სხვაგვარად განიხილავს ზემოაღნიშნულ პროცესს. ცხადია, ისიც მცდარი პოზიციებიდან გამომდინარეობს და არსებითად იმავე მიზნებს ემსახურება. განსხვავება ეხება მხოლოდ ზოგიერთ ნიუანსს: მეხუთე ვა-

¹⁵⁹ იხ. Г. Хаберлер. Процветание и депрессия. გვ. 158.

¹⁶⁰ გ. ჰანუყვამია. ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწილი II თბილისი, 1967, გვ. 136 — 137.

¹⁶¹ Э. Жамс, История экономической мысли XX в., гл. 414.

რიანტის თანახმად, როგორც უკვე ითქვა, კრიზისის მიზეზია არა მოხმარების საგნებზე მოთხოვნის შემცირება, არამედ პირიქით. „მეორე თვალსაზრისის თანახმად, — წერს გ. ჰაბერლერი, — ყველაფერი სხვაგვარად ხდება. უბედურება მოხმარებითი მოთხოვნის ნაკლებობაში კი არაა, არამედ სრულიად საპირისპირო ტენდენციის... ამრიგად, მოხმარების საქონელზე მოთხოვნა უფრო მეტად მალალია, ვიდრე დაბალი“¹⁶². კრიზისი, გ. ჰაბერლერის განმარტებით, არის შემობრუნება აყვავებიდან დეპრესიისაკენ“¹⁶³.

ეკონომიური კრიზისების ბურჟუაზიული თეორეტიკოსები განიხილვენ ზედაპირულ მოვლენებს, ჩქმალავენ კაპიტალიზმის ანტაგონისტურ წინააღმდეგობებს და ერთი უკიდურესობიდან მეორეში გარდებიან. ეკონომიური კრიზისების მიზეზებს ისინი დაეძებენ ზოგჯერ ნაკლებმოხმარებაში, ხოლო რიგ შემთხვევაში — ჰარბდაგროვებაში, მეტისმეტ მოთხოვნაში ან, პირიქით, ერთობ მცირე მოთხოვნაში — „საყოველთაო ნაკლებმოთხოვნაში“ (ა. აფტალიონი), კაპიტალის, დაზოგვის, დაგროვების სიჰარბესა ან კიდევ, პირიქით, არასაკმარისობაში (მაგალითად, ნაკლებკაპიტალიზაცია) და ა. შ. — მათი დასკვნებიც ზერელეა. ისინი გამოსავალს დაეძებენ ზედაპირულ და ფსიქოლოგიურ მომენტებში.

გ. ჰაბერლერის რეცეპტი „უკრიზისო“ კაპიტალიზმის შესახებ მდგომარეობს შემდეგში: „წონასწორობის აღდგენისათვის, — წერს ის, — აუცილებელია მოხმარებისადმი ადამიანთა დამოკიდებულების ჩვეულების შეცვლა. მაგალითად, თუ ერთობ განვითარებულია საავტომობილო მრეწველობა, მაშინ საჭიროა მყიდველებში სურვილის გაღვივება, რომ სხვა ნივთების ნაცვლად მეტი ავტომობილი შეიძინონ“¹⁶⁴.

გ. ჰაბერლერი აღნიშნავს, რომ შემოსავალი სწრაფად არ შედის უშუალოდ მოხმარებლის განკარგულებაში, რაც აგრეთვე აფერხებს მოხმარების ზრდას. მასთან ყურადღების ცენტრში დგას დროის ფაქტორი — ე. წ. ლაგების სიდიდე (ე. ი. განსხვავება დროში, რომელიც არსებობს შემოსავლის შექმნასა და მიღებას შორის). მოხმარების გასადიდებლად იგი მოითხოვს „თავდაპირველი სტიმულის (სტარტერის)“ გამოყენებას. რა თქმა უნდა, თავდაპირველი სტიმულის (ბიძგის) მიმოცემის როლში სახელმწიფო უნდა გამოდიოდეს“¹⁶⁵.

¹⁶² Г. Хаберлер. Процветание и депрессия, გვ. 151.

¹⁶³ იქვე, გვ. 272.

¹⁶⁴ იქვე, გვ. 155.

¹⁶⁵ იქვე, გვ. 321.

ნაკლებმომხმარებლის თეორიის მეხუთე ვარიანტის საილუსტრაციოდ გ. ჰაბერლერი განიხილავს „ლ ე დ ე რ ე რ ი ს თ ე ო რ ი ა ს“, რომელიც ეკონომიური კრიზისის აღმოცენებას უმთავრესად მოხმარებითი მოთხოვნის არასაკმარისობით ხსნის; მოთხოვნის გადარდებისათვის კი საჭიროა ხელფასის გადიდება, მაგრამ ეს უკანასკნელი გამოიწვევს მოგების შემცირებას. კაპიტალისტთა მოგების შემცირება ნაკლებმომხმარებლის თეორეტიკოსებს არ ძალუძთ. ე. ლედერერმა „გამოსავალი“ იპოვა. „ის თავგამოდებით ამტკიცებს, რომ ხელფასი ნაკლებად უნდა მცირდებოდეს, ვიდრე ფასები. თუ ხელფასი ეცემა უფრო სწრაფად, ვიდრე ფასები, მაშინ კრიზისი მწვავედება“¹⁶⁶. აქაც იგივე მეორდება, რაც ნაკლებმომხმარებლის სხვა კონცეფციების განხილვისას. ნაკლებმომხმარებლის თეორეტიკოსებს რეოლოგიურა ფუნქცია საშუალებას არ აძლევს, რომ აღნიშნონ ჰარბწარმოების ეკონომიური კრიზისების ნამდვილი მიზეზი.

6. ნაკლებმომხმარებლის თეორიის მეექვსე ვარიანტი წარმოადგენს მეხუთის გაგრძელებას. ეს უკანასკნელი ვარიანტი დაკავშირებულია ხელფასის დინამიკასთან და წარმოადგენს ხელფასის შემცირების აუტოლებლობის დასაბუთებას ცდას. ამ კონცეფციას ე. ლედერერთან ერთად იცავს მისი თანამემამულე, დასავლეთგერმანელი ბურჟუაზიული ეკონომისტი ე. პრაიზერი. მათი აზრით, ხელფასის შემცირება კაპიტალდაბანდებათა გადიდებას სტიმულს აძლევს წონასწორობის დამყარებისათვის ე. პრაიზერი საჭიროდ თვლის „მოთხოვნა-მიწოდების კანონის“¹⁶⁷ გამოყენებას. ა. აფტალიონის აზრით, „ხელფასი მაქსიმუმის წერტილამდე მალდდება ეკონომიური აღმავლობის პერიოდში. შემდეგ დეპრესიის დროს კი ეცემა მ ი ნ ი მ უ მ ა მ დ ე“¹⁶⁸. გამოდის, რომ მუშა იგებს აღმავლობის დროს და ზარალობს („უმნიშვნელოდ“) კრიზისის დროს — ასეთია დასკვნა, რომელსაც ა. აფტალიონი აკეთებს. აქ მიჩქმალულია დაქირავებული მუშის უმწეო მდგომარეობა განსაკუთრებით ეკონომიური კრიზისის ფაზაში.

გ. ჰაბერლერი ეხება ხელფასისა და კრიზისების ურთიერთკავშირსაც. ამ შემთხვევაში იგი გამოდის, როგორც „ანტიმონოპოლისტი“. გ. ჰაბერლერის „ანტიმონოპოლიზმი“ იმაში მდგომარეობს, რომ იგი გამოდის მუშათა რევოლუციური პროტყავშირების წი-

¹⁶⁶ Г. Хаберлер. Прозветание и депрессия. гл. 157.

¹⁶⁷ E. Preisner, Nationalökonomie heute, гл. 53.

¹⁶⁸ А. Афталион, Периодические кризисы перепроизводства. т. I, Москва-Ленинград, 1930, гл. 77.

ნაღმდეგ. პროფკავშირი, მისი აზრით, მონოპოლიაა, რომელიც იწვევს ხელფასის გადიდებას, ხოლო ეს უკანასკნელი წარმოების ეფექტურობასა და დასაქმებულობას ამცირებს, იწვევს კრიზისს¹⁶⁹.

ამრიგად, კრიზისის ერთ-ერთ მიზეზად გ. ჰაბერლერი მიიჩნევს ხელფასის გადიდებას. თვით ხელფასს კი იგი უწოდებს „შრომის ფასს“. ე. ი. იმეორებს ვულგარეკონომიის ძველ დოგმას. ფულადი ხელფასის შემცირება, — აღნიშნავს გ. ჰაბერლერი, — წარმოადგენს უმუშევრობისა და კრიზისების საწინააღმდეგო ბუნებრივ საშუალებას. ხელფასის გადიდება მას მიაჩნია კრიზისების მიზეზად და ზუსტათა პროფკავშირებს იგი უწოდებს „აგრესიულ პროფკავშირებს“¹⁷⁰.

§ 6. ციკლისა და ეკონომიური კრიზისების ფსიქოლოგიური თეორიები („პესიმიზმი-ოპტიმიზმი“, „განწყობა“ „ნდობის კრიზისი“ და სხვ.)

ეკონომიური კრიზისების წმინდა ფსიქოლოგიურ თეორიებს გ. ჰაბერლერი მთლიანად არ იზიარებს. ამ თეორიებს ის განიხილავს ფსიქოლოგიურ-ეკონომიური ფაქტორების ასპექტში. ამასთან ერთად იგი წინა პლანზე აყენებს ფსიქოლოგიურ მომენტებსა და ფაქტორებს არა მარტო ციკლისა და ეკონომიური კრიზისების ახსნისას, არამედ პოლიტიკური ეკონომიისა და საერთოდ ეკონომიური მეცნიერების საგნის განსაზღვრის დროს. „ყოველ ეკონომიურ მოვლენას, — წერს გ. ჰაბერლერი, — თავისი ფსიქოლოგიური ასპექტი აქვს. ეკონომიური მეცნიერების საგანია ადამიანთა ყოფაქცევა, უმთავრესად შეგნებული და მოფიქრებული ყოფაქცევა, რომლის დაშორება თავის ფსიქოლოგიურ საფუძველთან შეუძლებელიცაა. ამიტომ ადამიანთა ყოფაქცევის ფსიქოლოგია წარმოადგენს პოლიტიკური ეკონომიის საგნის შემადგენელ ნაწილს“¹⁷¹.

გ. ჰაბერლერი, როგორც უკვე ითქვა, იყენებს მარჯინალურ ფსიქოლოგიზმებს, ავსტრიული სკოლის დამფუძნებლების ფსიქო-ეკონომიურ კონცეფციებს. ეს აშკარად ჩანს ციკლისა და ეკონომიური კრიზისების პრობლემის განხილვის დროს. „ფსიქოლოგიურ კანონს“ (ჯ. მ. კეინსი) ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია კრიზისების თანამედროვე ბურჟუაზიულ თეორიებში.

¹⁶⁹ Г. Хабср.тер, Процветание и депрессия, გვ. 378-380, 410.

¹⁷⁰ იქვე, გვ. 401 — 402, 536.

¹⁷¹ იქვე, გვ. 165.

გ. პაბერლერის აზრით, არავითარი არსებითი განსხვავება არაა „ეკონომიურ“ და „ფსიქოლოგიურ“ თეორიებს შორის. „სინამდვილეში, — წერს ის, — არავითარი არსებითი განსხვავება არაა ეკონომიურ თეორიებსა, რომლებიც უკვე განხილული იყო მოცემულ შრომაში, და ეგრეთ წოდებულ „ფსიქოლოგიურ“ თეორიებს შორის“¹⁷².

ამრიგად, ფსიქოლოგიზმი ღრმად იჭრება კრიზისების თანამედროვე ბურჟუაზიულ თეორიებში, რაც ვულგარეკონომიის ღრმა კრიზისის დადასტურებას შეადგენს. სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ანტაგონისტურ წინააღმდეგობათა უკიდურესად გამწვავებამ კაპიტალისტური წარმოების წესის იდეოლოგიები ჩააფიქრა. მათ ხელი მოჰკიდეს ამ წინააღმდეგობათა „ფსიქოთერაპიას“ და სპეციალური დისციპლინების („ფსიქოტექნიკა“, „შრომითი ფსიქოლოგია“, „წარმოებრივი ფსიქოლოგია“ და სხვ.) სწავლებაც კი შემოიღეს¹⁷³.

კაპიტალისტური ციკლისა და ეკონომიური კრიზისების ფსიქოლოგიური თეორიების არსი მდგომარეობს იმაში, რომ კრიზისების მიზეზად გამოცხადებულია მეწარმეთა ფსიქოლოგია, მათი განწყობა. „კრიზისი, ამ თვალსაზრისით, არის, უპირველესად ყოვლისა, „ნდობის კრიზისი“, რომელიც მეწარმის ეკონომიური მდგომარეობის რწმენის დაკარგვას მოასწავებს.

მეტისმეტი ოპტიმიზმის განწყობა იცვლება მეტისმეტი პესიმიზმის განწყობით“¹⁷⁴.

კრიზისების ფსიქოლოგიური თეორიების დამცველები ეკონომიურ ფაქტორებთან ერთად ყურადღების ცენტრში აყენებენ ფსიქოლოგიურ მომენტებს. ციკლისა და ეკონომიური კრიზისების ანალიზის დროს ფსიქოლოგიურ ფაქტორებს პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებენ: ჯევონსი, ჯ. კეინსი, ფ. ლავინგტონი, ა. ს. პიგუ და ფ. ტაუსინგი, თავიანთ თეორიულ სისტემებში ფსიქოლოგიურ ფაქტორებს განსაზღვრული მნიშვნელობით იყენებენ: უ. მიტჩელი, ვ. რეპკე, ა. რიუსტოვი. ა. შპიტკოფი, დ. რობერტსონი და

¹⁷² Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гл. 165.

¹⁷³ ამ საკითხებზე ჩვენ აქ არ შევჩერდებით, რადგან იგი გაშუქებული გვაქვს შრომაში — ვულგარული ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. III, თბილისი, 1964, გვ. 91 — 95.

¹⁷⁴ И. Блюмин, Кризис современной буржуазной политической экономии, 1959, гл. 231.

შვეციის (სტოკჰოლმის) სკოლა (ე. ლინდალი, გ. მიურდალ, ბ. ოლინი)¹⁷⁵.

ციკლისა და ეკონომიური კრიზისების ფსიქოლოგიური თეორიების მთავარი წარმომადგენელია ჯ. მ. კეინსი, რომელიც ნაკლებ-მოთხოვნას ხსნის არა კაპიტალიზმის ანტაგონისტური წინააღმდეგობებით, არამედ ფსიქოლოგიური კანონებით. კეინსის წიგნში „დასაქმების. ფულისა და სარგებლის ზოგადი თეორია“ დიდი ადგილი უკავია „ძირითადი ფსიქოლოგიური კანონის“ საკითხებს. ამ „კანონის“ თანახმად მოსახლეობის შემოსავალი სწრაფად იზრდება, ხოლო ადამიანებს აქვთ მიდრეკილება მოხმარებისაგან თავშეკავებისა, რასაც შედეგად მოჰყვება ეკონომიური კრიზისები და უმუშევრობა.

ამრიგად, ეკონომიური კრიზისებისა და მასობრივი უმუშევრობის მიზეზს ჯ. მ. კეინსი დაეძებს ადამიანთა ფსიქოლოგიაში, ამიტომ მისი „ანტიციკლური“ რეცეპტებიც პირველ რიგში ადამიანთა ფსიქოლოგიასა და განწყობას ეხება. „ძირითადი ფსიქოლოგიური კანონი, — წერს ჯ. მ. კეინსი, — რომელზეც ჩვენ შეგვიძლია დაყრდნობა, ადამიანის ბუნების შესახებ ჩვენი ცოდნიდან გამომდინარე არა მხოლოდ a priori-ს, არამედ გამოცდილების დეტალურად შესწავლის საფუძველზე, მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანებს აქვთ მიდრეკილება, როგორც წესი, შემოსავლების ზრდასთან ერთად თავიანთი მოხმარების გადიდებისა, მაგრამ არა იმ ზომით. რა ზომითაც იზრდება შემოსავალი“¹⁷⁶.

ასეთია კეინსის „ძირითადი ფსიქოლოგიური კანონის“ ბუნება. რომელსაც ჩვენ აქ აღარ განვიხილავთ. იგი გაანალიზებულია კრიტიკულად ჩვენს შრომაში¹⁷⁷. აქ მოვიხსენიეთ მხოლოდ იმისათვის, რომ გვეჩვენებინა, თუ რას ემყარება კრიზისების ფსიქოლოგიური თეორიები.

კეინსური „ფსიქოლოგიური კატეგორიები“ ფართოდაა გამოყენებული გ. ჰაბერლერის წიგნშიც. ასეთებია: „პერსპექტიული ხელსაყრელობა“, „მიდრეკილება მოთხოვნისაკენ“, „მოხმარებისაგან თავშეკავება“ და მრავალი სხვა.

„ფასი“ და „ხარჯები“. — აღნიშნავს გ. ჰაბერლერი, — ეკონომ-

¹⁷⁵ სტოკჰოლმის სკოლა პოპულარობით სარგებლობს ფინეთშიც. ჰელსინკის უნივერსიტეტში ეკონომიური ფაკულტეტის პროფესორებთან შეხვედრისას (1968 წ. ნოემბერი) ერთ-ერთმა მათგანმა განმიცხადა, რომ გ. მიურდალის შრომებს იყენებენ როგორც სახელმძღვანელოს.

¹⁷⁶ Дж. М. Кейнс, Общая теория занятости, процента и денег, гл. 90.

¹⁷⁷ იხ. გ. ჰანუცვაძე, ვულგარული ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. I, 1962, გვ. 166 — 171.

მიუჩი ტერმინებია, მაგრამ ეკონომისტიანათვის უმეტეს შემთხვევაში, ზოგიერთი მცირემნიშვნელოვანი გამოხატვის გარდა, მნიშვნელობა აქვს ფასისა და ხარჯების მომავალ მოლოდინს, პესიმიზმსა და ოპტიმიზმს. თავის გადაწყვეტილებებში მეწარმე მხედველობაში იღებს მოსალოდნელ ცვლილებებს და მათზე დაყრდნობით აგებს საკუთარ საქმიანობას. პროგნოზები და ვარაუდები, მოლოდინი, — აღნიშნავს გ. ჰაბერლერი, — შეიძლება არ გამართლდეს. მაშასადამე, მას მოჰყვება კრიზისი. „ამიტომ ძირითადად, სახელდობრ აქ, — წერს გ. ჰაბერლერი, — „ფსიქოლოგიურ“ თეორიებს შეაქვთ არსებითი წვლილი. დამატებითი გადამწყვეტი ფაქტორების მნიშვნელობით (დეტერმინანტები) შემოდის ოპტიმიზმი და პესიმიზმი. ოპტიმიზმის მდგომარეობა აყვავების ფაზის დამახასიათებელი ნიშანია, ხოლო პესიმიზმის მდგომარეობა — დეპრესიისა. ციკლის შემობრუნების წერტილის ნიშნად გამოდის ის, რომ ოპტიმიზმის აღვილს იკავებს პესიმიზმი და, პირიქით (vice versa)“¹⁷⁸.

აი, ეკონომიური კრიზისების კიდევ ერთი ახალი მიზეზი — ოპტიმიზმი და პესიმიზმი. კრიზისების ფსიქოლოგიური თეორიების დამცველები მეწარმეთა, მუშათა და საერთოდ მოსახლეობის ოპტიმიზმითა და პესიმიზმით ხსნიან კაპიტალდამანდებათა, მოხმარების გადიდებას თუ შემცირებას. ოპტიმიზმი და პესიმიზმი მათ წარმოუდგენიათ როგორც ეკონომიური კრიზისების წარმოშობის მიზეზობრივი ფაქტორები.

გ. ჰაბერლერიც ხედავს, რომ ისეთი დეტერმინანტები, როგორცაა: „ოპტიმიზმი“, „ოპტიმიზმის შეცდომები“, „ოპტიმიზმის ხარისხი“, ანუ „ოპტიმიზმის ცვალებადობა“, „პესიმიზმი“ და სხვ., ვერ ახსნის ციკლის ბუნებას და ვერც ეკონომიურ კრიზისებს მოსპობს. იგი აღნიშნავს, რომ ოპტიმიზმის შეცდომები წარმოშობს პესიმიზმის შეცდომებს, რასაც მოჰყვება წარმოების შეკეცა და კრიზისი. „თეორეტიკოსები, რომლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ფსიქოლოგიურ ფაქტორს, განსაკუთრებით პიგუ და კენსი, გარდა ამისა მიუთითებენ, რომ ოპტიმიზმის შეცდომათა გამოყვანება წარმოშობს საპირისპირო ხასიათის შეცდომას — პესიმიზმის შეცდომას. პიგუ ლაპარაკობს „ოპტიმიზმისა და პესიმიზმის შეცდომათა ურთიერთწარმოშობის“ შესახებ“¹⁷⁹ — აღნიშნავს გ. ჰაბერლერი.

ეკონომიური კრიზისების ფსიქოლოგიური თეორიების საყრდენ-

¹⁷⁸ Г. Хаберлер. Цветение и депрессия, гл. 168.

¹⁷⁹ იქვე, გვ. 171.

ნი ყოფილა „ოპტიმიზმი და პესიმიზმი“, მაგრამ იბადება კითხვა: რა არის თვით ამათი წარმოშობის მიზეზი? გ. ჰაბერლერის წიგნის მიხედვით მათი მიზეზი ადამიანთა ფსიქოლოგიურ განწყობაშია. სინამდვილეში კი ციებ-ცხელებას, პანიკას კაპიტალისტურ წარმოებასა და მიმოქცევაში წარმოშობს არა ადამიანის განწყობა, არამედ თვითმატერიალური წარმოების პირობები, წარმოების კაპიტალისტური წესი, რომელიც ანარქიულად და ციკლურად ვითარდება. პანიკა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, თავის მხრივ, რა თქმა უნდა, აძლიერებს ეკონომიური კრიზისების დამანგრეველ მოქმედებას, მაგრამ თვით ეს პანიკა, რასაც აძლიერებს პესიმიზმი, წარმოებული ფაქტორია. ამიტომაც, რომ ეკონომიური კრიზისების თავიდან აცილება პესიმისტურ განწყობათა ტალღის დაძლევით შეუძლებელი ხდება.

კრიზისების ფსიქოლოგიური თეორიების მომხრეები აცხადებენ, რომ საჭიროა ადამიანის განწყობაზე ზემოქმედება და პესიმიზმი ოპტიმიზმით შეიცვლება, ხოლო დეპრესია—აღმავლობითო. მათი აზრით, ბურჟუაზიული საზოგადოების „სტრუქტურა ჯანმრთელია, ბოროტება მხოლოდ თავებშია“¹⁸⁰.

ფსიქოლოგიური თეორიების პროპაგანდისტები მოითხოვენ ადამიანის განწყობაზე ზემოქმედებას, რათა ხელოვნურად გადიდდეს ერთობლივი მოთხოვნა და მოხმარება. ამ მიზნით ისინი დიდ იმედებს ამყარებენ რეკლამაზე. „საჭიროა მყიდველის შეგნებაზე კონტროლის დაუფლება და, როცა ეს კონტროლი მოპოვებულია, დამატებით ხარჯებს მოაქვთ შემოსავლის გადიდება“¹⁸¹ — წერს ამერიკელი ბურჟუაზიული ეკონომისტი ე. ჩემბერლინი. მას მხედველობაში აქვს ხარჯების გადიდება რეკლამაზე, რათა ამით მოხდეს მყიდველთა განწყობაზე ზემოქმედება და მოხმარების გადიდება. რეკლამა, — აცხადებს ე. ჩემბერლინი, — ადიდებს მოთხოვნას. მას თავის წიგნში მოტანილი აქვს ციტატა ვ. ატკინსონის შრომიდან, რომელშიც ნათქვამია: მყიდველის ტვინი დაფაა, რომელზედაც მიმდინარეობს თამაში. პაიკები ფსიქოლოგიური მიდრეკილებაა. კომივოიაჟორი ამოძრავებს და წარმართავს მიდრეკილებებს დაფაზე პაიკების მსგავსად¹⁸². „ადამიანები მუდამ ხარჯავენ ფულს, მაგრამ არა ყოველთვის გონივრულად“¹⁸³ — წერს პ. სამუელსონი.

¹⁸⁰ И. Г. Блюмин, Кризис современной буржуазной политической экономии, гл. 233.

¹⁸¹ Э. Чемберлин, Теория монополистической конкуренции, ИЛ, 1959, гл. 200.

¹⁸² გ. კანუყუაძე, ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. I, 1962, გვ. 363.

¹⁸³ П. Самуэльсон, Экономика, гл. 147.

წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების პირობებში სხვაგვარად შეუძლებელია. კაპიტალის უკმარობა, ჭარბდაგროვება, ნაკლებმოხმარება, ნაკლებმოთხოვნა, ჰორიზონტალური და ვერტიკალური დისპროპორციები, ნაკლებკაპიტალიზაცია, ჭარბკაპიტალიზაცია და სხვა „კატეგორიები“, რომელთა შესახებ ასე ბევრს წერენ ბურჟუაზიული ეკონომისტები, ფსიქოლოგიური შეცდომების (ოპტიმისტური და პესიმისტური შეცდომების) შედეგად კი არ არის, არამედ ისინი შედეგია თვით კაპიტალისტური წარმოების წესის ძირითადი წინააღმდეგობისა. „პესიმისტურ და ოპტიმისტურ შეცდომათა“ ლიკვიდაციისათვის აუცილებელია თვით კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობების მოსპობა.

კრიზისების ფსიქოლოგიური თეორია სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დაცვისა და „მკურნალობის“ ერთ-ერთი მოდური საშუალებაა, რომელიც ასე დაახასიათა პროფ. ი. ბლუმინმა: „კრიზისების ფსიქოლოგიური თეორია ეკონომიურ დარგში აღადგენს კუეის ყბადაღებულ სამედიცინო თეორიას, რომლის დედაარსი მდგომარეობს იმაში, რომ ავადმყოფის მკურნალობა საქირთა შთაგონების გზით, რომ იგი ჯანმრთელია“¹⁸⁴.

კაპიტალისტური კვლავწარმოების მანკიერებათა მოსპობას ვერ შევლის ვერავითარი რეცეპტები და ნარკოტიკები. თვით ბურჟუაზიულ-რეფორმისტულ პრესაში¹⁸⁵ გაისმის ხმები იმის შესახებ, რომ ნეოლიბერალური „ეკონომიური სასწაული“ ავსტრიაში, გფრ-ში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში წარსულს ჩაბარდა.

§ 7. ეკონომიური კრიზისებისა და ციკლის კოსმოსურ-სოფლისმეურნეობრივი თეორია

ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია ეკონომიური კრიზისების მიზეზს დაეძებს აგრეთვე ციური სხეულების მოძრაობაში. იმდენად მწვავედ დგას ციკლისა და ეკონომიური კრიზისების პრობლემა ბურჟუაზიულ ეკონომისტთა მოძღვრებაში, რომ ისინი იძულებული ხდებიან კაპიტალისტური კვლავწარმოების ციკლური განვითარება მიაწერონ არა მარტო ადამიანის ფსიქიკურ განწყობას, არამედ პლანეტების მოძრაობასაც. ამ კონცეფციამ მიიღო კრიზი-

¹⁸⁴ И. Б л ю м и н, Кризис современной буржуазной политической экономии, 1959, гл. 234.

¹⁸⁵ C. A. Andreae, Neoliberalismus nach dem Wirtschaftswunder.—„Der Volkswirt“, Hf. 1, 1968, гл. 26—27.

სების კოსმოსურ-მეტეოროლოგიური თეორიის სახელწოდება, რომლის მიმართ სამი სხვადასხვა თვალსაზრისია წარმოდგენილი:

1. ცვლისა და პერიოდული ეკონომიური კრიზისების კოსმოსურ-მეტეოროლოგიურ და სოფლისმეურნეობრივ თეორიას საფუძველი ჩაუყარა ინგლისელმა ბურჟუაზიულმა ეკონომისტმა, მარჩინალიზმის თეორეტიკოსმა უილიამ სტენლი ჯევონსმა (1835 — 1882). მან მრავალი გამოკვლევა მიუძღვნა ჭარბწარმოების ეკონომიური კრიზისების პერიოდულობის საკითხს. ჯევონსმა 1862 წ. ბრიტანეთის ასოციაციაში (კემბრიჯი) გააკეთა მოხსენება, რომელშიც 1836 — 1839, 1847 და 1857 წლების კრიზისებს საფუძვლად დაუდო მეტეოროლოგიური მიზეზები. 1866 წელს კი მან „ლონდონის სტატისტიკური საზოგადოების ჟურნალში“ გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით „ხშირად განმეორებადი სიძნელენი ფულის ბაზარზე“, რომელშიც განაცხადა, რომ „დიდი არარეგულარული რხევები“ აღმოცენდებიან როგორც არასაკმარისი ან ჭარბი მოსავლის შედეგი. ჯევონსის განცხადებით, როცა მოსავალი დიდია, მაშინ მიწოდებაც მაღალია, ხოლო მოთხოვნა ჩამორჩება, რაც ეკონომიური კრიზისების მიზეზია.

ჭარბწარმოების ეკონომიური კრიზისების პერიოდულობაც კოსმოსურ-სოფლისმეურნეობრივი მიზეზებით ახსნა ჯევონსმა. მან წამოაყენა კონცეფცია, რომ „უნხვი მოსავლის წლები“ მეორდება ყოველ 10 ან 11 წელიწადში, რასაც ამინდის პერიოდული ცვლილება იწვევს, ხოლო ამ უკანასკნელს — მზიური სისტემისაგან მიღებული სითბოს ტალღებიო. ეს კონცეფცია საბოლოოდ ჯევონსმა წამოაყალიბა „დასრულებული თეორიის“ სახით. მან აღნიშნა: „უნდა წარმოვიდგინოთ, რომ სავაჭრო კრიზისები დაკავშირებულია ამინდის პერიოდულ ცვლილებასთან, რასაც ადგილი აქვს მსოფლიოს ყველა კუთხეში. ეს ცვლილებები, ალბათ, წარმოიშობიან სითბოს ტალღების გაძლიერების შედეგად, რომელიც მზისგან მიიღება საშუალოდ ყოველ 10-ზე მეტ წელიწადში“¹⁸⁶. ამ კონცეფციას თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტი პ. სამუელსონი ღიხსენიებს ასეთი სახელწოდებით: „მზის ლაქების — ამინდისა და მოსავლის თეორია“¹⁸⁷.

¹⁸⁶ Э. Хансен, Экономические циклы и национальный доход, гв. 292.

¹⁸⁷ П. Самуэльсон, Экономика, гв. 296.

„მზის სითბოს შემცირება განაპირობებს ცულ მოსავალს და მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში ბევრი საწარმოს მოშლას; იწვევს ციებ-ციხლების დასარქულსა და სავაჭრო კრიზისის დაწყებას“ (У. Джевонс, Политическая экономия, СПб, 1905, გვ. 69).

ციკლისა და ეკონომიური კრიზისების კოსმოსურ-მეტეოროლოგიური კონცეფცია ემყარება „მოსავლის პერიოდული ცვლილების თეორიას“, რომლის განხილვითაც იწყება გ. ჰაბერლერის წიგნის მეშვიდე თავი: „თეორიები, რომლებიც აკავშირებენ ეკონომიურ ციკლს მოსავალთან, სოფლის მეურნეობა და ეკონომიური ციკლი“ (გვ. 173 — 189). „კავშირი სოფლის მეურნეობის მდგომარეობის ცვლილებებსა და სამრეწველო წარმოების რხევებს შორის,—წერს გ. ჰაბერლერი,—ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ზოგიერთს წარმოუდგენია“¹⁸⁸. როგორც ვხედავთ, გ. ჰაბერლერი აღნიშნულ კონცეფციასაც სიმპათიურად ეპყრობა.

მეტეოციკლი იგი იზიარებს აღნიშნული კონცეფციის მომხრეთა მსჯელობას, მაგალითებს და ბოლოს, იწონებს კიდევაც. „ამიტომ,—აღნიშნავს გ. ჰაბერლერი,—არ შეიძლება უიმედოდ ჩაითვალოს ცდა იმისა, რომ ეკონომიურ ციკლთა ცვალებადი პერიოდულობის მიზეზი ვიპოვოთ სოფლის მეურნეობაში“¹⁸⁹.

გ. ჰაბერლერი ციკლისა და ეკონომიური კრიზისების კოსმოსურ-სოფლისმეურნეობრივ თეორეტიკოსთა რამდენიმე ჯგუფს განიხილავს, რომელთაგან პირველ რიგში აყენებს უილიამ სტენლი ჯევონსს, პ. ს. ჯევონსს, პ. ლ. მორსა და მათ შრომებს. ეს ჯგუფი „ეკონომიურ ციკლთა პერიოდულობის ახსნისათვის ცდილობს ანალოგიური პერიოდულობის არსებობის დადგენას სოფლისმეურნეობრივ წარმოებაში. მიზეზობრივი დამოკიდებულების ჯაჭვს მიეყვართ კოსმოსური ზემოქმედებიდან ამინდის პირობებისაყენ, ამინდის პირობებიდან მოსავლისაყენ სოფლის მეურნეობაში და, ბოლოს, მოსავლიდან ეკონომიკისაყენ მალიანად“¹⁹⁰.

აღნიშნული თეორიის დამცველები ყურადღების ცენტრში აყენებენ ამინდისა და მასთან ერთად მოსავლიანობის ცვლილებას. მათი აზრით, ეკონომიური კრიზისები ბუნების კანონების მოქმედების შედეგია და არა თვით კაპიტალისტური წარმოების წესისა. „უკრიზისო“ ციკლი, კრიზისების კოსმოსურ-მეტეოროლოგიური თეორიის მომხრეთა განცხადებით, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ზეგავლენას მოახდენენ მოსავლის ოდენობაზე.

კრიზისების მეტეოროლოგიურ-კლიმატური თეორიის დამცველთა ამ პირველი ჯგუფის წევრებს შორისაც არაა აზრთა ერთიანობა. უ. ს. ჯევონსის აზრით, სოფლისმეურნეობრივი ციკლის ხანგრძლი-

¹⁸⁸ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гв. 173.

¹⁸⁹ იქვე, გვ. 174.

¹⁹⁰ იქვე, გვ. 173.

ვობა 10.5 წელს შეადგენს, ხოლო პროფ. ჰ. ს. ჯევონის მიხედვით — 3.5 წელს. შუა ხაზი უკავია ჰ. ლ. მორს, რომელიც იცავს რეაქციონი ციკლის იდეას.

2. გ. ჰაბერლერი ცალკე გამოყოფს ბურჟუაზიულ ეკონომისტთა იმ ჯგუფს (ა. შპიტჰოფი, ა. პიგუ, დ. რობერტსონი), რომელიც ითვალისწინებს კოსმოსურ-მეტეოროლოგიური მომენტების გაელენას სოფლის მეურნეობაზე, მაგრამ მთლიანად არ იზიარებს სავაჭრო-სამრეწველო ციკლის „სოფლისმეურნეობრივ თეორიას“. ეს ავტორები — აღნიშნავს გ. ჰაბერლერი, — „სოფლისმეურნეობრივ ფაქტორს არ უგულებელყოფენ, მაგრამ ამას აკავშირებენ სხვა ფაქტორებთან მთლიან მოქნილ სქემად, რომელიც მხედველობაში იღებს სხვადასხვა ურთიერთმოქმედ ფულად, ფსიქოლოგიურ და ტექნიკურ პროცესებს“¹⁹¹.

3. „არსებობს მესამე თვალსაზრისი, — წერს გ. ჰაბერლერი, — მას მხარს უჭერენ ძირითადად ამერიკელი ეკონომისტები, როგორცაა, მაგალითად, ჰანსენი და ჯ. მ. კლარკი, რომელიც სავაჭრო-სამრეწველო მოღვაწეობის ციკლური რხევის მიზეზთა რიცხვიდან გამორიცხავს სოფლისმეურნეობრივი წარმოების რხევას. ამ ავტორთა აზრით, სოფლის მეურნეობა წარმოადგენს არა აქტიურ, არამედ პასიურ ფაქტორს“¹⁹².

ბურჟუაზიულ ეკონომისტთა ეს ჯგუფი, რომელიც წარმოდგენილია ჰანსენ-კლარკის სახით, უპირატესობას ანიჭებს სხვა ფაქტორებს. ამაზე ზემოთ გვეყონდა ლაპარაკი, ამიტომ აქ აღარ გავიმეორებთ.

ე. ჰანსენი არის ციკლის „ინტეგრალური“ თეორიის დამცველი. თავდაპირველად იგი იცავდა ძირითადად ციკლის მონეტარულ თეორიას, ე. ი. ციკლურობის მიზეზს დაეძებდა ფულის მიმოქცევის პროცესში, ხოლო შემდეგ გადავიდა კეინსიზმის პოზიციებზე და შეიმუშავა „ციკლის ინვესტიციური თეორია“, რომელიც შეადგენს ნისი წიგნის „ეკონომიური ციკლები და ეროვნული შემოსავალი“ საფუძველს. ამ წიგნში ე. ჰანსენი იხსენიებს ჯევონის კონცეფციას კრიზისების პერიოდულობის თაობაზე და ცდილობს, რომ მარტო კოსმოსურ-მეტეოროლოგიური ფაქტორებითა და მოსავლიანობით სოფლის მეურნეობაში არ შემოიფარგლოს ციკლის გამომწვევი ფაქტორები. „მიუხედავად იმისა, — წერს ე. ჰანსენი, — რომ ჯევონსი განიხილავდა რეალურ ფაქტორებს, განსაკუთრებით მაღალ მო-

¹⁹¹ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гл. 175.

¹⁹² იქვე, გვ. 175.

სავალს, მას უყურადღებოდ არც მეურნეობრივი საქმიანობის ფსიქოლოგიური მოტივები დაუტოვებია“¹⁹³.

ე. ჰანსენი, გ. ჰაბერლერის აზრით, სოფლისმეურნეობრივ წარმოებას პასიურ როლს მიუჩენს. „ჰანსენის გამოთქმით, — წერს გ. ჰაბერლერი, — სოფლის მეურნეობა წარმოადგენს „ბიზნესის სათამაშო ბურთს“¹⁹⁴. თანამედროვე ამერიკელი ბურჟუაზიული ეკონომისტი პ. სამუელსონი კი თავის წიგნში „ეკონომიკა“ სოფლის მეურნეობას ასე განსაზღვრავს: „სოფლის მეურნეობა არის, შეიძლება ითქვას, ბუნების უბედური გერი, მაგრამ ამავე დროს იგი წშირად წარმოადგენს მთავრობის საყვარელ შვილს“¹⁹⁵.

ჩვენ ვხედავთ, რომ კრიზისებისა და ციკლის ბურჟუაზიულ თეორეტიკოსებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა. მათ აერთიანებთ ის, რომ ყველანი, როგორც წესი, უარყოფენ ეკონომიური კრიზისებისა და კაპიტალისტური კვლავწარმოების ციკლური განვითარების ნამდვილ ბუნებას და, მასშალადმე, არასწორად ხსნიან კრიზისების მიზეზს.

ეკონომიური კრიზისების კოსმოსურ-მეტეოროლოგიური და სოფლისმეურნეობრივი „თეორიებიც“ განსხვავდებიან ერთმეორესაგან. ამ ფაქტს ვერც გ. ჰაბერლერი უარყოფს. „ამ „სოფლისმეურნეობრივი“ თეორიების უფრო სერიოზული ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ მათ შორის არაა აზრთა ერთიანობა უმნიშვნელოვანეს საკითხში იმის თაობაზე — შეესაბამება თუ არა უხვ მოსავალს აყვავება, ხოლო ცუდ მოსავალს — დეპრესია, თუ სხვა რომელიმე დამოკიდებულება არსებობს“¹⁹⁶. — სინანულით დასძენს თვით გ. ჰაბერლერი. ამის შემდეგ გ. ჰაბერლერი ცდილობს ციკლისა და ეკონომიური კრიზისების კოსმოსურ-სოფლისმეურნეობრივი თეორიების შერიგებას და ეკლექტიკურ არევას.

საერთოდ, როგორც სჩვევია გ. ჰაბერლერს, აქაც იგივე შეორდება. გ. ჰაბერლერი ხედავს, რომ კრიზისების ახსნა კოსმოსურ-მეტეოროლოგიური მომენტებით შეუძლებელია. მას, როგორც ეკლექტიკოსს, არც „სოფლისმეურნეობრივი თეორიების“ გადაგდება შეუძლია. ამიტომ დღის წესრიგში დგება კვლავ ეკლექტიციზმი, კრიზისების კოსმოსურ-სოფლისმეურნეობრივი კონცეფცია თავის ადგილს იჭერს გ. ჰაბერლერის ციკლთა თეორიაში. გ. ჰაბერლერი

¹⁹³ Э. Хансен, Экономические циклы и национальный доход, 33. 292—293.

¹⁹⁴ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гв. 176.

¹⁹⁵ П. Самуэльсон, Экономика, ИЛ, 1964, гв. 479.

¹⁹⁶ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гв. 176.

წერს: „ციკლის არავითარი „სოფლისმეურნეობრივი თეორია“ არ შეიძლება ყოფილიყო ალტერნატივა, ვთქვათ, მონეტარული თეორიის ან ჭარბდაგროვების თეორიისა. ეს ისევე შეუძლებელია, როგორც არ შეიძლება ციკლის განხილვა „გამოგონებათა თეორიის“ ან „მიწისძვრათა თეორიის“ სახით. ყველაფერი, რაც კი შეიძლება გაკეთდეს ამ მიმართულებით, მდგომარეობს იმის ცდაში, რომ გამოვლინდეს სოფლისმეურნეობის რხევების მნიშვნელობა. როგორც ფაქტორისა, რომელიც შევიდოდა ეკონომიური სისტემის პოტენციურ სტიმულთა რიცხვში“¹⁹⁷.

ამრიგად, გ. ჰაბერლერი ეკონომიური კრიზისებისა და ციკლის კოსმოსურ-სოფლისმეურნეობრივი თეორიის მიმართაც სიმპათიურადაა განწყობილი. იგი ამ შემთხვევაშიც არ დალატობს „ნეოკლასიკური სინთეზის“ მეთოდოლოგიას. გ. ჰაბერლერის მთელი ნეოლიბერალური მოძღვრება ეკონომიური კრიზისებისა და კაპიტალისტური ციკლის შესახებ წარმოადგენს ეკლექტიზმის ნიმუშს.

ციკლისა და ჭარბწარმოების ეკონომიური კრიზისების ბურჟუაზიულ ეკონომისტთა (ჯევონსი, ჰაბერლერი, ჰანსენი და სხვები) თეორიები კრიტიკას ვერ უძლებენ. თვით ამერიკელი ბურჟუაზიული ეკონომისტი ბ. სელიგმენი წერს: „ციკლის ჯევონსისეული თეორია საინტერესო მონაჭორს წარმოადგენს“¹⁹⁸.

თვით უ. ჯევონსიც ხედავდა ციკლის კოსმოსურ-კლიმატური და სოფლისმეურნეობრივი თეორიის უნიადაგობას. ამის დადასტურებას შეადგენს ის, რომ იგი იზიარებდა აგრეთვე ციკლისა და ეკონომიური კრიზისების ფსიქოლოგიურ კონცეფციასაც. მაგალითად, თავის წიგნში „გამოკვლევანი ფულის მიმოქცევისა და ფინანსების დარგში“ წერდა, რომ ეკონომიური კრიზისი შეიძლება ატარებდეს ფსიქოლოგიურ ხასიათს და დამოკიდებული იყოს გულგატეხილობის, იმედის, აღზნების, განცვიფრებისა და პანიკის თანმიმდევრულ ცვლაზე¹⁹⁹.

§ 8. ფრიც მახლუმის „სავალუტო სისტემის თეორია“ და მისი კრიტიკა

ფ. მახლუმი (დაიბადა 1903 წ.) „სოციალურ-რევიზიონისტული ნეოლიბერალიზმის“ მიმდინარეობას მიეკუთვნება. იგი „ემიგრირე-

¹⁹⁷ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гл. 186.

¹⁹⁸ Б. Селгмен, Основные течения современной экономической мысли, гл. 153.

¹⁹⁹ Jevons, Investigations, гл. 184.

ბული ვენის სკოლის“ წარმომადგენელია, მრავალი ათეული წლის მანძილზე მუშაობს აშშ-ში (ჯონ-პოპკინსის უნივერსიტეტში) და თანამშრომლობს ორდოლიბერალებთან. ხშირად ქვეყნდება მისი შრომები „ორდოწელიწდეულში“.

ფ. მახლუპის შეხედულებებზე დიდი გავლენა მოახდინა კეინსელობამ, განსაკუთრებით კი ნეოკეინსელობამ. მისი შეხედულებები ძალიან ახლოს დგას ამერიკელი ნეოკეინსელების ლიდერის ე. ჰანსენის მოძღვრებასთან. „მახლუპ-ჰანსენის მოდელები“ ძალიან ხშირად ერთად მოიხსენიება.

გავლენითა და ავტორიტეტით სარგებლობს ფ. მახლუპი საერთოდ მთელ „თაეისუფალ სამყაროში“, პირველ რიგში კი აშშ-ში, გერმანელ ნეოლიბერალებსა და გფრ-ში. საილუსტრაციოდ შეიძლება დაგვესახელებინა რამდენიმე ფაქტი. 1. მან „სოციალურ მეცნიერებათა ცნობარისათვის“, რომელიც ტიუბინგენში გამოდის, სპეციალურა დაკვეთით დაწერა სტატიები „შეჯიბრებისა“ და „პოლიპოლიის“ შესახებ; 2. ფ. მახლუპი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო სავალუტო სისტემის რეორგანიზაციის საკითხებზე. სწორედ ამ პრობლემას მიუძღვნა მან სპეციალური შრომა „Plans for Reform of the International Monetary System“, რომელიც პრინსტონის უნივერსიტეტმა გამოსცა 1962 (პირველი გამოცემა) — 1964 წწ. ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ სწორედ მახლუპის ამ წიგნის კრიტიკულ ანალიზზე.

ფ. მახლუპი მრავალი შრომის ავტორია²⁰⁰, რომლებშიც, გარდა სავალუტო სისტემის რეფორმის პრობლემებისა, განხილულია აგრეთვე მიკროეკონომიისა და მაკროეკონომიის თეორიები: ეკონომიური მოდელები, ხალხთმოსახლეობა, შეჯიბრება, პოლიპოლია, „შეჯიბრების წყობილება“, „დიდი ბიზნესის თეორია“, „იდეალური ტიპები“ და სხვ.

ფ. მახლუპი ხელმძღვანელობდა ბურკუაზიულ ეკონომისტთა ჯგუფს, რომელმაც შეადგინა ანგარიში მსოფლიო სავალუტო სისტემის პრობლემაზე²⁰¹. ამ ჯგუფის შემადგენლობაში იყო სხვადასხვა კაპიტალისტური ქვეყნის 32 ეკონომისტი: უ. ჯ. ფელნერი, რ. ტრიფინი, გ. ჰაბერლერი, რ. პაროდი, ე. რიუეფი, ა. ჰანი, ბ. მალკიელი და სხვ.

²⁰⁰ მაგ.: Börsenkredit, Industriekredit und Kapitalbildung, 1931; Weltstreit zwischen Mikro- und Makrotheorien in der Nationalökonomie, Tübingen, 1960; The Political Economy of Monopoly, Baltimore, 1955; International Payment, Debts and Gold, 1965 და სხვ.

²⁰¹ International Monetary Arrangements, N. Y., 1964.

ეკონომისტთა ამ ჯგუფმა, რომელიც 1963 წლის ბოლოს შეიქმნა, ჩაატარა 4 კონფერენცია. მიუხედავად ამისა, მისი მონაწილენი ვერ შეთანხმდნენ, წამოიჭრა აზრთა სხვადასხვაობა. უმცირესობაში აღმოჩნდა ფრანგი ნეოლიბერალების ლიდერი ეაკ რიუჟედი და ჰაილპერინი. უამრავი პროექტი იქნა წარმოდგენილი, მაგრამ ერთ საერთო დასკვნამდე ვერ მივიდნენ. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ კაპიტალისტური სამყაროს მთელი სავალუტო სისტემა, მისი თეორია და პოლიტიკა ღრმა კრიზისს განიცდის. ამას ვერც ბურჟუაზიული ეკონომისტები უარყოფენ. „ამჟამად არსებული წესი ან. უფრო სწორედ, უწესრიგობა საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობებში, — წერს ფ. მახლუპი, — უკმაყოფილების მზარდ გრძნობას იწვევს“²⁰².

თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის მოძღვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სავალუტო კურსის თეორიას. ნეომარქინალიზმისა და ნეოკეინსელობის გავრცელებასთან ერთად დიდი ადგილი დაიკავა „რეგულირებადი ვალუტის“ თანამედროვე კონცეფციებმა. ეს საკითხები დეტალურადაა განხილული ფ. მახლუპის წიგნში „საერთაშორისო სავალუტო სისტემის გარდაქმნის გეგმები“, ამიტომ ჩვენც ამ ნაწარმოების კრიტიკულ ანალიზს ვისახავთ მიზნად.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის დაწყება მოასწავებდა კაპიტალისტური სავალუტო სისტემის კრიზისის გაღრმავებას. ეს განსაკუთრებით გამოემჟღავნა 1929 — 1933 წლების ქარბწარმოების ეკონომიური კრიზისის პერიოდში. ამ კრიზისის შემდეგ ოქროსტანდარტმა სრული კრაზი განიცადა. ოქრო ამოღებულ იქნა კაპიტალისტური ქვეყნების შინაგანი მიმოქცევიდან. ჯერ კიდევ 1922 წელს გენუის საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციაზე კაპიტალისტური ქვეყნები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ოქროსთან ერთად საერთაშორისო ანგარიშგებაში გამოიყენებდნენ აშშ-ისა და ინგლისის ვალუტას. 20-იან წლებში არსებობდა ოქროდევოზური სტანდარტის სისტემა.

კაპიტალისტური ქვეყნები იძულებული გახდნენ შეეცვალათ ოქროს სტანდარტი. ვერც ამან შეარბილა კაპიტალისტური სავალუტო სისტემის კრიზისი. კეინსური „რეგულირებადი ვალუტის“ კონცეფცია მოითხოვდა ფულის ფუნქციების შესრულებას ოქროს შინაარსის გარეშე. კეინსმა მოითხოვა ოქროზე გადაუხურდავებე-

²⁰² Ф. Махлуп, Планы перестройки международной валютной системы, Москва, 1966, гл. 24.

ლი ქაღალდის ფულის შემოღება. „რეგულირებადი ვალუტის“ იდეები კეინსმა ჩამოაყალიბა ბროშურაში „მისტერ ჩერჩილის ეკონომიური შედეგები“, რომელიც 1925 წ. გამოაქვეყნა.

„რეგულირებადი ვალუტის“ თეორია უმწეო აღმოჩნდა კაპიტალიზმის ანტაგონისტური წინააღმდეგობების წინაშე. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე აშშ-ის ფინანსური კაპიტალის კარნახით 1944 წელს ბრეტონ-ვუდსში ჩატარდა საერთაშორისო სავალუტო-ფინანსური კონფერენცია. შეთანხმდნენ შექმნილიყო საერთაშორისო სავალუტო ფონდი და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი. ორივე ორგანიზაციამ თავისი საქმიანობა გაშალა 1946 წლიდან და ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დაისახა „ვალუტის რეგულირება“, სავალუტო-საფინანსო ანგარიშსწორების „მოწესრიგება“.

ბრეტონ-ვუდსის საერთაშორისო კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო გეგმის ორი პროექტი—აშშ-ის და ინგლისისა. ორივე პროექტი ითვალისწინებდა ფინანსური კაპიტალის სამსახურს. ამერიკული პროექტი წარმოდგენილი იყო იმგვარად, რომ შექმნილიყო „გაერთიანებული ერების სასტაბილიზაციო ფონდი“, ხოლო ინგლისური, რომელიც ჯ. მ. კეინსმა შეიმუშავა, ითვალისწინებდა ერთიანი საკრედიტო-საანგარიშსწორებო ცენტრის („საერთაშორისო კლირინგული კავშირის“) შექმნას. ორივე პროექტის ოფიციალური მიზნები ასე იქნა განსაზღვრული: ფონდის წევრ-სახელმწიფოებს შორის ვალუტის დარგში „მოწესრიგებული ურთიერთობის“ უზრუნველყოფა და ბრძოლა „ვალუტის კონკურენტული გაუფასურების“ წინააღმდეგ. ბრეტონ-ვუდსის კონფერენციაზე აშშ-ის პროექტი იქნა მიღებული.

ოქროდევნიზური, ანუ ოქროვალუტური სტანდარტი ამჟამად გამოორიციხავს ოქროს მიმოქცევას ქვეყნის შიგნით. თანამედროვე ეტაპზე ოქროს მიმოქცევა არც ერთ ქვეყანაში არაა. აშშ-ის ხაზინა საერთაშორისო ანგარიშსწორების დროს 1 უნცია (31, 1035 გრამი) ოქროში იხდის 35 დოლარს. ეს ოქროს ოფიციალური ფაია. მიუხედავად საერთაშორისო სავალუტო ორგანიზაციების „მომწესრიგებელი“ ოპერაციებისა და „რეგულირებადი ვალუტისა“, კვლავ ძლიერდება ქაოსი კაპიტალისტურ სამყაროში. თვით ბურჟუაზიული ეკონომისტებიც აღიარებენ კაპიტალისტური სავალუტო სისტემის კრიზისს და მისი გარდაქმნის აუცილებლობას. თანამედროვე ეტაპზე უფროა გაძლიერებული სავალუტო სისტემის კრიზისი, ვიდრე 20-იან წლებში ან კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მეორე ეტაპზე.

ამას იხიცი ადასტურებს, რომ ამჟამად უფრო მეტია სავალუტო სისტემის „რეგულირების“ პროექტი, მოდელი, კონცეფცია.

სავალუტო სისტემის რეორგანიზაციის გეგმები განხილულა აქვს ფ. მახლუპს, რა თქმა უნდა, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის პოზიციებიდან. მიუხედავად ამისა, მისი წიგნი იძლევა „ნედლ მასალას“ მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის სავალუტო სისტემის კრიტიკული ანალიზისათვის. ფ. მახლუპის წიგნში განხილულია კაპიტალისტური სავალუტო სისტემის ყველა ძირითადი გეგმა და მოდელი. როგორც „რეგულირებადი კაპიტალიზმის“, ასევე ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსებისა. პროფ. ნ. ლუბიმოვი თავის „შესავალ სტატიაში“ ფ. მახლუპის წიგნზე ყველა ბურჟუაზიული ეკონომისტის შეხედულებას სავალუტო თეორიის საკითხებზე ყოფს სამ ძირითად ჯგუფად:

1. „ტრადიციონალისტები“ (ამ ჯგუფის მთავარი წარმომადგენელია ფრანგი ნეოლიბერალი ჟაკ რიუფეფი, რომელსაც მხარს უჭერს პაილპერინი) მოითხოვენ დაბრუნებას უკან ოქროს „კლასიკური“ სტანდარტისაკენ. მათი იდეალია მარკინალური, ნაწილობრივ ნეომარკინალური იდეა ოქროს „თვითმარეგულირებელი მექანიზმის“ შესახებ:

2. „რევოლუციონისტები“ (მათ სათავეში დგას ცნობილი ამერიკელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, იელის უნივერსიტეტის პროფესორი რობერტ ტრიფონი) კეინსურ და ნეოკეინსურ პოზიციებზე დგანან, ისინი კვლავ აყენებენ დღის წესრიგში კეინსის მიერ ბრეტონ-უუდსში წამოყენებულ პროექტს: „საერთაშორისო კლირინგული კავშირის“ შექმნის შესახებ;

ამრიგად, „ტრადიციონისტები“ უფრო მეტად კონსერვატიულ და პალეოლიბერალურ პოზიციებზე დგანან, ხოლო „რევოლუციონისტები“ ნეოკეინსური „მსოფლიო რეგულირების“ პოზიციებიდან განიხილავენ სავალუტო სისტემას და მოითხოვენ მსოფლიო ზებანკის შექმნას.

3. მესამე ჯგუფი შუალედურ პოზიციებზე დგას და მოითხოვს უკვე არსებული ოქროდევოზური სტანდარტის შენარჩუნებას, ქვეყნებს შორის კრედიტის გაფართოებას.

ფ. მახლუპის წიგნში აშკარად ჩანს წინააღმდეგობანი და უთანხმოება ბურჟუაზიულ ეკონომისტებს შორის, თუმცა მთავარი — ამ წინააღმდეგობათა ნამდვილი მიზეზები და მათი დაძლევის გზები. აპოლოგეტურადაა განხილული.

საერთაშორისო სავალუტო სისტემის „მოწესრიგება-სტაბილიზაცია“- ფ. მახლუპი მოითხოვს კაპიტალისტური წარმოებითი ურ-

თერთობების შენარჩუნების პირობებში. ამისათვის, მისი აზრით, საკმარისია გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. ორვალუტოვანი სისტემიდან (დოლარი და გირვანქა სტერლინგი) მრავალვალუტოვან საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლა, ე. ი. ამ ორი ვალუტის გვერდით წამყვანი ვალუტების წრეში უნდა ჩაერთოს გფრ-ის, საფრანგეთის, შვეიცარიის ვალუტა;

2. სხვადასხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკების საქმიანობის ურთიერთდაკავშირება, მათი სავალუტო რესურსების გაერთიანება. ცენტრალურ ბანკთა ბანკის (ზეცენტრალური ბანკის) შექმნა, რომელსაც თავის განკარგულებაში ექნება უამრავი რესურსი;

3. სავალუტო რეზერვების ცენტრალიზაცია;

4. ოქროს ოფიციალური ფასის ამაღლება;

5. პირველ მსოფლიო ომამდე არსებული თავისუფალი სავალუტო კურსისაკენ უკან დაბრუნება, ე. ი. ფულის მსოფლიო ბაზრებზე მოთხოვნა-მიწოდების მარკინალური თეორიის პრინციპების გამოყენება.

ამრიგად, ფ. მახლუპის მიერ რეკომენდებული ღონისძიებები მოიცავენ დირიჟიზმის, პალეოლიბერალიზმისა და ნეოლიბერალიზმის დოგმების შერჩევით გამოყენებას. რა თქმა უნდა, ამ ღონისძიებებში ჰარბადაა წარმოდგენილი „რეგულირებადი ვალუტის“ დირიჟისტულ-ნეოლიბერალური პრინციპები.

ფ. მახლუპის წიგნი „საერთაშორისო სავალუტო სისტემის გარდაქმნის გეგმები“ შედგება ოთხი განყოფილებისაგან:

1. „არსებული სისტემა“ შედგება ორი ქვეგანყოფილებისაგან: ა) „სავალუტო რეზერვები, მათი ზრდა, შემადგენლობა და განაწილება“, ბ) „საერთაშორისო სავალუტო ფონდი“.

2. „თანამედროვე სისტემის ნაკლოვანებები“ თავის მხრივ დაყოფილია სამ ნაწილად: ა) „სიძნელენი, რომლებიც დაკავშირებულია საგადასახადო ბალანსებთან“, ბ) „საერთაშორისო რეზერვების უკმარობა“, გ) „კრაზის საშიშროება“.

3. „გეგმის არჩევა“ კი ხუთ პარაგრაფადაა დაყოფილი და მასში განხილულია შემდეგი საკითხები: ა) „ოქროსავალუტო სტანდარტის გაფართოება“, ბ) „ურთიერთკავშირი ცენტრალურ ბანკებს შორის“, გ) „სავალუტო რეზერვების ცენტრალიზაცია“, დ) „ოქროს ფასის ამაღლება“ და ე) „თავისუფლად ცვალებადი სავალუტო კურსები“.

ბოლო, მე-4 განყოფილება წარმოადგენს ფ. მახლუპის მიერ გაკეთებულ დასკვნით შენიშვნებს.

წიგნის სტრუქტურა თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ფ. მახლუ-
პი დასახელებულ ნაშრომში ეხება მხოლოდ სავალუტო სისტემას.
„ტერმინი „ვალუტა“, — წერს იგი, — ნიშნავს მონეტას, ქალაქის
ფულს. ბანკის ანგარიშებს, აქცეპტებსა და მთავრობის ვალდებულე-
ბებს, რომლებიც გამოქვეყნებულია არა უმეტეს 12 თვის ვადით
ანაზღაურებით“²⁰³.

ფ. მახლუპი დიდ იმედებს ამყარებს საერთაშორისო სავალუტო
ფონდზე. ამასთან ერთად იგი მიუთითებს იმ ნაკლოვანებებზე, რო-
მელთა დაძლევა ვერ შეძლო „ფონდმა“. იწუნებს სავალუტო სის-
ტემის მკურნალობის „ძველმოდურ“ ხერხებს და თანამედროვე
ბურჟუაზიული ეკონომისტების წინაშე აყენებს ამოცანას „ჯანსა-
ლი (ჯანმრთელი)“ სავალუტო სისტემის შექმნის შესახებ. მას სჯე-
რა, რომ კაპიტალისტური ქვეყნების სავალუტო სისტემის „ექიმე-
ბი“ (ე. ი. ბურჟუაზიული ეკონომისტები) გამოძებნიან საშუალებას
საერთაშორისო სავალუტო სისტემის რეორგანიზაციისათვის. წი-
ნააღმდეგ შემთხვევაში, — აცხადებს ფ. მახლუპი, კრაჩის საშიშ-
როება მოახლოებულია.

„ამრიგად. — წერს ფ. მახლუპი, — რამდენადაც უფრო სერიო-
ზული ხდება საშიშროება იმის თაობაზე, რომ ოქროსავალუტო
სტანდარტმა ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება კატასტროფა განიცა-
დოს (როგორც ეს მოხდა 1931 წელს, როცა ინგლისმა მიატოვა ოქ-
როს სტანდარტი), იმდენად უფრო რეალური ხდება ოქროსავალუ-
ტო სტანდარტის ნამდვილი კრაჩი“²⁰⁴. აი რატომ არის ასე აფორია-
ქებული ფ. მახლუპი და მთელი თანამედროვე ბურჟუაზიული პო-
ლიტიკური ეკონომია.

კაპიტალისტური სავალუტო სისტემის კრაჩის თავიდან აცილე-
ბის მიზნით ფ. მახლუპი იძლევა შემდეგ „სამკურნალო“ რეცეპტებს:

ა) ოქროსავალუტო სტანდარტის გაფართოება: 1. დოლარისა
და სტერლინგის რეზერვების გაძლიერებული გადიდებისას; 2. და-
ნატებითი მთავარი ვალუტის გამოყენებისას;

ბ) ცენტრალური ბანკების ურთიერთკავშირი: 1. ექსპანსიონის-
ტურ საკრედიტო და საფინანსო პოლიტიკასთან ფრთხილად მისე-
ლის დროს; 2. შინაგანი კრედიტისა და ხარჯების გაფართოებისას.

გ) სავალუტო რეზერვების ცენტრალიზაცია და რეზერვების
წარმოქმნა.

²⁰³ Ф. Махлуп, Планы перестройки международной валютной сис-
темы, гл. 36.

²⁰⁴ იქვე, გვ. 4.

დ) ოქროს ფასების ამაღლება.

ე) თავისუფლად მერყევი სავალუტო კურსების დაწესება²⁰⁶.

ამის შემდეგ ფ. მახლუპი განიხილავს საერთაშორისო სავალუტო სისტემის რეორგანიზაციის სხვადასხვა გეგმებს, რომელთა არსი ერთია — მონოპოლისტური კაპიტალიზმის ფულად-საკრედიტო სისტემის „გაჯანსაღება“ და სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის აპოლოგია.

აშშ-ის ფინანსთა მინისტრის მოადგილემ რობერტ ვ. როოზამ შეიმუშავა საერთაშორისო სავალუტო სისტემის რეორგანიზაციის საკუთარი პროექტი, რომელიც ცნობილია „როოზას გეგმის“ სახელწოდებით. რ. ვ. როოზა, რა თქმა უნდა, პირველ რიგში იცავს აშშ-ის ფინანსური ოლიგარქიის ინტერესებს. ეს სრულიად ბუნებრივია. აშშ-ის ყოფილი ფინანსთა მინისტრი რ. როოზა ნიუ-იორკის ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკის წარმომადგენელია, ამიტომ მისი გეგმა, უპირველესად ყოვლისა, ამერიკის ფინანსური მაგნატების ინტერესებს შეესაბამება. „როოზას გეგმა“ მოითხოვს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ურთიერთდაკრედიტების გაფართოებას.

ს. პოსტპუმის გეგმის თანახმად საერთაშორისო სავალუტო სისტემის გაჯანსაღებაში უნდა მონაწილეობდეს „ეკონომიური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ ყველა წევრი ქვეყანა. ს. პოსტპუმის გეგმა იმათ განსხვავდება როოზასა და ლუტცის. აგრეთვე ზოლოტასის (საბერძნეთის ბანკის მმართველი ქსენოფონ ზოლოტასი) გეგმებისაგან. რომ პოსტპუმის გეგმა შესაძლებლად ივლის ისეთი საერთაშორისო სავალუტო სისტემის შექმნას, სადაც მთავარი ვალუტის როლში გამოვიდოდა 15 ან 20 სარეზერვო ვალუტა. ზოლოტასი, როოზა და ლუტცი კი საკმარისად მიიჩნევენ 5 ან 6 ძირითად ვალუტას.

ზოლოტასის გეგმასთან ახლოსაა საერთაშორისო სავალუტო ფონდის სამეცნიერო-კვლევითი განყოფილების ყოფილი დირექტორის ე. მ. ბერნშტაინისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოფილი დირექტორ-განმკარგულებლის პერ იაკობსონის გეგმები.

პერ იაკობსონის (1894 — 1963) გამოკვლევის თემას წარმოადგენს საერთაშორისო ფინანსები და სავალუტო სისტემა. ამ საკითხებს მან სპეციალური წიგნი „საბაზრო მეურნეობა მსოფლიოში დღეს“ მიუძღვნა, რომელშიც ნეოლიბერალური „თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“ ასპექტით განიხილავს საერთაშორისო სავალუტო სისტემას. დასახელებული წიგნის სტრუქტურა ასეთია:

²⁰⁶ ფ. М а х л у п, Планы перестройки международной валютной системы, გვ. 52—53.

I. „საბაზრო მეურნეობის საერთო სტრუქტურა“; II. „მონეტარული სისტემა“. III. „კონიუნქტურული რხევადობა“ და IV. „საერთაშორისო ფინანსები“²⁰⁶.

3. იაკობსონიც აღიარებს წინააღმდეგობებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ჩარჩოებში (დოლარის ზონა, სტერლინგის ზონა, დასავლეთგერმანული მარკა და ა. შ.). ამ წინააღმდეგობათა დაძლევა იაკობსონის გეგმის თანახმად შეიძლება მაშინ, თუ გატარდება კომპრომისული სავალუტო პოლიტიკა. რომელშიც გამოყენებული იქნება დირიჟისტულ-ნეოლიბერალური პრინციპები. იაკობსონის გეგმა ითვალისწინებს სესხის მიცემას ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების მხრივ (საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეშვეობით) სხვა ქვეყნებისათვის ვალუტის სტაბილიზაციის მიზნით.

თვით ფ. მახლუპი წინა პლანზე აყენებს ტრიფინის გეგმას. რომელიც ემყარება კეინსურ-დირიჟისტულ კონცეფციას „რეგულირებადი ვალუტის“ შესახებ. „ამ მხრივ, — წერს ფ. მახლუპი, — ტრიფინის გეგმა წარმოადგენს მხოლოდ კეინსის გეგმის მეორე ნაირსახეობას“²⁰⁷.

ჯ. მ. კეინსმა ჯერ კიდევ ბრეტონ-ვუდსის კონფერენციაზე წარადგინა პროექტი საერთაშორისო კლირინგული კავშირის შექმნის თაობაზე. რ. ტრიფინმა შემდგომ „განავითარა“ ჯ. მ. კეინსის აპოლოგეტური კონცეფცია „რეგულირებადი ვალუტისა და ფინანსების“ შესახებ და წამოაყენა საკუთარი გეგმა.

ტრიფინის გეგმა მოითხოვს საერთაშორისო სავალუტო ფონდის გარდაქმნას საერთაშორისო ცენტრალურ-სარეზერვო ბანკად. ტრიფინის გეგმას მხარს უჭერდა ო. ფრენკი და ჰაროლდ მაკმილანი. ტრიფინის გეგმა ითვალისწინებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის გარდაქმნას ზეცენტრალურ ბანკად. იგი ძალიან ახლოს დგას კეინსის გეგმასთან. „ორივე გეგმის შედარებისას, — წერს ფ. მახლუპი, — ბევრი თვლის, რომ კეინსის გეგმა უფრო მეტადაა გამსჭვალული ინფლაციის საშიშროებით, ვიდრე ტრიფინის გეგმა“²⁰⁸. აქ ახალი არაფერი არ აღმოუჩენია ფ. მახლუპს. საერთოდ ცნობილია, რომ კეინსის მოძღვრებისათვის დამახასიათებელია ინფლაციონიზმი, რამაც თავი იჩინა აგრეთვე „რეგულირებადი ვალუტის“

²⁰⁶ P. Jacobson, Die Marktwirtschaft in der Welt heute, Tübingen, 1962.

²⁰⁷ Ф. Махлуп, Планы перестройки межд. валютной системы, гл. 93.

²⁰⁸ იქვე, გვ. 94.

კეინსურ თეორიაში. ტრიფინის გეგმაშიცაა გამოყენებული კეინსური ინფლაციონიზმი, ოღონდ, შედარებით მცირე დოზით.

ტრიფინის გეგმას ენათესავება მაქსუელ სტემპის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს აგრეთვე საერთაშორისო სავალუტო ფონდის გაფართოებას. მ. სტემპი მოითხოვს რეზერვების გადიდებას. ამ მიზნით იგი შესაძლებლად მიიჩნევს, რომ „გაფართოებული საერთაშორისო სავალუტო ფონდი“ სარგებლობდეს სერტიფიკატების გამოშვების უფლებით.

ენჯელის გეგმის თანახმად კი „გაფართოებული საერთაშორისო სავალუტო ფონდი“ მიჩნეულია „ცენტრალურ ბანკთა ცენტრალურ ბანკად“.

ფ. მახლუპი შემდეგ განიხილავს კიდევ ოთხი გეგმის პროექტს. რომლებიც, მისი აზრით, თანამედროვე ინგლისელ ბურჟუაზიულ ეკონომისტს, ეკონომურა დინამიკის თეორეტიკოს რ. ფ. ჰაროდს ეკუთვნის. რ. ჰაროდის გეგმის (სულ განიღვლია „ა“, „ბ“ „გ“, „დ“, გეგმის ოთხივე პროექტი) პროექტები არსით ერთი და იგივეა. განსხვავება მხოლოდ ნიუანსებს ეხება. მაგალითად, ჰაროდის გეგმის პირველი („ა“) ვარიანტის მიხედვით უნდა შექმნას „გაფართოებული საერთაშორისო სავალუტო ფონდის“ ერთეული — გადახდის ახალი საერთაშორისო საშუალება. „ბ“ ვარიანტი კი არ ითვალისწინებს გადახდის ასეთი ერთეულის შექმნას. მაგრამ აწესებს ყველა ბანკისათვის დაკრედიტების ლიმიტებს.

ჰაროდის გეგმის „გ“ ვარიანტი საჭიროდ მიიჩნევს ახალი სავალუტო რეზერვების წარმოქმნას ღია ბაზარზე ფონდის მიერ მთავრობათა ვალდებულებების შესყიდვის გზით. ჰაროდის გეგმის მეოთხე „დ“ ვარიანტი ითვალისწინებს ფონდის სავალუტო რეზერვების წარმოქმნას სანედლეულო საქონლის ბუფერულ მარაგთა დაფინანსების პროცესში. ამრიგად, ეს ვარიანტი მოითხოვს იმას, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი აწარმოებდეს ნედლეულის შესყიდვას, რათა ამით შეინარჩუნოს ფასები. ეს პროექტი შეიძლება მივამსგავსოთ კეინსისა და ჰანსენის მულტიპლიკაციისა და სტაბილიზაციის ფონდის შექმნის გეგმებს.

წიგნში განხილულია აგრეთვე ბერნშტაინის, რიუფფის, ჰაილპერინის, ჰანის, დალბერგისა და სხვათა გეგმები, რომლებიც არსებობდა არ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან, ამიტომ მათზე აქ არც კი ღირს შეჩერება. თვით ფ. მახლუპიც მიუთითებს იმაზე, რომ „შეიძლება გავლებულ იქნეს პარალელი, ერთი მხრივ. ტრიფინისა

და ენჯელისა და, მეორე მხრივ, რიუეფისა და ჰაილბერინის გეგმებს შორის²⁰⁹.

ფ. მახლუპმა, რომელიც, ჩვენი აზრით, თვით არის ნეოლიბერალურ-მარქინალური მიმდინარეობის მომხრე, ფინანსებისა და სავალუტო თეორიის დარგში ნეომარქინალურ მიმდინარეობას მიაკუთვნა შემდეგი თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტები: მილტონ ფრიდმანი, ფრიდრიხ ა. ლუტცი, გოტფრიდ ჰაბერლერი, ჯეიმს ე. მიიდი, ალფრედ ამონი, ლ. ალბერტ ჰანი, ჰანს-იოახიმ რიუსტოვი, ფრიც ვ. მაიერი. ჩვენი აზრით, ყველა დასახელებული ბურჟუაზიული ეკონომისტი მიეკუთვნება ნეოლიბერალიზმისა და ნეომარქინალიზმის სხვადასხვა სკოლებსა და განშტოებებს (შვეიცარიულს, ინგლისურს, ამერიკულს, ორდოლიბერალურს, ფრანგულ ნეოლიბერალურ დირიჟიზმსა და ა. შ.).

ფ. მახლუპის წიგნში „თავისუფლად ცვალებად ვალუტის კურსის“ მომხრეთა შორის დასახელებულია აგრეთვე სხვა ბურჟუაზიული ეკონომისტებიც.²¹⁰ ფრანკ დ. გრეპეში (პრინსტონი, აშშ.), ჩარლზ რ. უიტლიზი (ნიუ-იორკი), ლოიდ უ. მინტსი (ნიუ-იორკი), როჯერ დეეში (აშშ), ალფრედ ბოშარდტი (ბერნი, შვეიცარია), ჰანს ბახმანი (გფრ), ჯონ ბურ უილიამსი (ამსტერდამი), ერიკ ლუნდბერგი, ემილ კორნერი (გფრ), უ. მ. სკემელი (ლონდონი), ემილ კიუნგი (ციურიხი), ეგონ სომენი (ჩიკაგო), ჯორჯ ჰალმი (ვაშინგტონი), იაროსლავ განეკი (ვენევა), რიჩარდ კეივსი (ვაშინგტონი), ჰარი ჯ. ჯონსონი (ვაშინგტონი) და სხვ. დასახელებული ავტორები ჩვენთვის ნაკლებ ცნობილი ან სრულიად უცნობი არიან, შესაძლებელია, ისინი პრაქტიკული მუშაეები არიან ვალუტისა და ფინანსების დარგში. ყოველ შემთხვევაში, მათ შესახებ ლიტერატურა ძალზე მცირე რაოდენობით მოგვეპოვებოდა, ამიტომ აქ მათი უბრალო ჩამოთვლით დაკმაყოფილდით. ამას ისიც უნდა დავმატოს, რომ თვით ფ. მახლუპის წიგნშიც ამ ავტორების შესახებ ძალიან მცირე ან სრულიად არაფერია ნათქვამი.

ახლა რამდენიმე სიტყვა თვით ფ. მახლუპის „პლატფორმის“ შესახებ. იგი, ჩვენი აზრით, არის ნეოავსტრიული სკოლის („ემიგრირებული ვენის სკოლის“) წარმომადგენელი და, მაშასადამე, ნეოლიბერალური მარქინალიზმის დამცველი. ამის თაობაზე ჩვენ საკუთარი მოსაზრება უკვე გამოვთქვით და კვლავ ამ თვალსაზრის-

²⁰⁹ Ф. Махлуп, Планы перестройки международной валютной системы, гл. 126.

²¹⁰ იქვე, გვ. 143—144.

ზე ვიმყოფებით²¹¹. ჩვენ მიერ რეცენზირებული წიგნის ავტორი ფ. მახლუპი წერს: „ამ წიგნის ავტორს, ეტყობა, შეუძლია დაარწმუნოს ოქროს მომხრეები, რომ იგი თვითონ არის ორთოდოქსალური ოქროს სტანდარტის ძველი და ერთგული მიმდევარი მთელი თავისი სიწმინდით, იმ სახით, როგორც ეს აღწერილია მოძველებული სახელმძღვანელოების უმეტესობაში. იგი ახლაც ხმას მისცემდა ასპროცენტრიანი წმინდა ოქროს სტანდარტს, რომლის დროს ოქრო ნამდვილად იქნებოდა „სტანდარტი“ და არა უბრალო საქონელი, რომლის ფასი შეინარჩუნება ხელოვნური გზით“²¹². აა ფ. მახლუპის „კრედო“ არა მარტო სავალუტო თეორიის, არამედ მთელი თანამედროვე მარჩინალური მოძღვრების დარგში.

ფ. მახლუპი კვლავ თვლის თავს პალეოლიბერალური ორთოდოქსიის მომხრედ, მაგრამ პირობითად. იგი კარგად ხედავს, რომ კაპიტალისტური სავალუტო სისტემა, და არა მარტო ეს, არამედ მთელი კაპიტალიზმი, ღრმა კრიზისს განიცდის. ამიტომ იგი კითხვის ქვეშ აყენებს პალეოლიბერალურ მარჩინალიზმს და მოითხოვს კაპიტალისტური ფინანსების „გაჯანსაღებას“, რა თქმა უნდა, ნეომარჩინალური ზომიერი ნარკოტიკებით. იგი იმასაც აღიარებს, რომ სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის მკურნალობა, პაციენტის მძიმე ავადმყოფობისა და დაავადების გამო, მეტად ძნელი საქმეა.

ფ. მახლუპი გვერდს ვერ უვლის იმ გარემოებას, რომ მის პაციენტს აწუხებს არა მარტო ერთი რომელიმე ნაწილი ორგანიზმისა, არამედ მთელი ორგანიზმია დაავადებული. ფ. მახლუპი წერს: „ფულად-საკრედიტო, ფინანსური და სავაჭრო პოლიტიკა, აგრეთვე პოლიტიკა ხელფასის, კაპიტალდაბანდებათა, ეკონომიური ზრდისა, დასაქმებისა, ანტიციკლური ღონისძიებისა და ა. შ. საკითხები იმდენად მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული, რომ შეუძლებელია რაციონალური პოლიტიკის ჩამოყალიბება საერთაშორისო სავალუტო სისტემის მიმართ ყველა სხვა დარგთან დამოკიდებულების გარეშე“²¹³.

კვლავ გრძელდება თეორიული დუელი საერთაშორისო სავალუტო სისტემის პრობლემებზე. ჟურნალმა „დერ ფოლკსვირტ“ გამოაქვეყნა კ. ბინერტის სტატია სახელწოდებით „მომავალი ოქროს

²¹¹ გ. ვან უვადე, ბუჩუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. 11, თბ., 1967, გვ. 196—197.

²¹² Ф. Махлуп, Планы перестройки международной валютной системы, გვ. 157.

²¹³ იქვე, გვ. 158—159.

გარეშე?“, რომელშიც ფაქტიურად გამოკვეთილია ორი ძირითადი მიმართულება: ოქროს სტანდარტის მომხრეთა (შ. დე გოლი, ჟ. რიუფი) და მოწინააღმდეგეთა (ფ. მახლუბი, გ. შმელდერსი)²¹⁴. ბოლო არ უჩანს უშედეგო საერთაშორისო კონფერენციებსა და კოლოკვიუმებს²¹⁵. მსოფლიო კაპიტალისტური სავალუტო-საქრედიტო, საფინანსო სისტემა ღრმა კრიზისს განიცდის²¹⁶.

ცხადია, ფ. მახლუბი შორსაა იმისაგან, რომ აღიაროს კაპიტალიზმის საერთო კრიზისი, მაგრამ ის, რასაც იგი სინამდვილეში ხედავს და ამბობს, ადასტურებს, რომ განუკუჩრნავი სენით დაავადებულია არა მარტო კაპიტალიზმის საერთაშორისო სავალუტო სისტემა. არამედ მისი ფულად-საქრედიტო, ფინანსურ-სავაჭრო პოლიტიკა, წარმოება და მიმოქცევა, ეკონომიკა და პოლიტიკა, რასაც ვერ უშველის დირიჟისტულ-ნეოლიბერალური „ანტიციკლური და ანტიკრიზისული“ ღონისძიებები. „სინამდვილეში თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარება ადასტურებს, რომ სწორია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგობებისა და ანტაგონიზმების ზრდის შესახებ, ამ საზოგადოებაში კლასობრივი ბრძოლის გამწვავების შესახებ“²¹⁷.

²¹⁴ K. Bienert, Zukunft ohne Gold? „Der Volkswirt“, Hf. 9, 1968, 33. 28—29.

²¹⁵ „Was brachte die Stokholmer Währungskonferenz?—„Der Volkswirt“, Hf. 14, 1968, 33. 26—27.

²¹⁶ Krise des kapitalistischen Währungssystems. DWI Berichte“, Hf. 5. 1968, 33. 1; „Volkswirt—Frage an Eritz Machlup: Soll die Bandbreite des DM-Wechselkurses verbreitert werden? „Der Volkswirt“, Hf. 26, 1968.

²¹⁷ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, გვ. 58.

იოზეფ შუმპეტერის „ეკონომიური დინამიკის თეორია“.
შუმპეტერიანელოგის ანტიკომუნისტური არსი

**§ 1. ი. შუმპეტერი — ნეოავსტრიული (ემიგრირებული)
 სკოლის ერთ-ერთი მთავარი თეორეტიკოსი**

იოზეფ ალოის შუმპეტერი (დაიბადა 1883 წ. ავსტრიაში, გარდაიცვალა 1950 წ. აშშ-ში) ნეოავსტრიული სკოლის ემიგრირებულ ფრთას ეკუთვნის. სოციალურ-ეკონომიურ ლიტერატურაში მას მოიხსენიებენ, როგორც ავსტრო-გერმანულ-ამერიკული პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელს. ეს გამოწვეულია იმით, რომ ი. შუმპეტერი სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა როგორც ავსტრიაში, ასევე გერმანიასა და აშშ-ში. თავდაპირველად იგი თითქოს ავსტრიული სკოლისაგან განზე იდგა, შემდეგ კი აქტიურად მონაწილეობდა ნეო-მარქინალიზმის ჩამოყალიბებაში და, როგორც უკვე აღინიშნა, ავსტრიის ფინანსთა მინისტრადაც იყო 1919 წელს. იგი ბემ-ბავერკის მოწაფედ ითვლება¹. მისი მასწავლებლები იყვნენ აგრეთვე ვიზერი და ფილიპოვიჩი. იგი სწავლობდა ვენის უნივერსიტეტში. მასთან ერთად სწავლობდნენ და სემინარულ მუშაობაში მონაწილეობდნენ: ლ. მიზესი, ფ. სომალი, ო. ბაუერი და რ. ჰილფერდინგი.

ვენის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ი. შუმპეტერმა მიიღო სამართლის დოქტორის ხარისხი და დიდხანს მოღვაწეობდა ქაიროში. 1909 წ. დაბრუნდა ავსტრიაში და მუშაობა დაიწყო გრაცის უნივერსიტეტში. იგი ხელმძღვანელობდა აგრეთვე პატარა ბანკს. რომელიც გაკოტრდა 1924 წ. სხვადასხვა დროს პროფ. ი. შუმპეტერი ლექციებს კითხულობდა ჩერნოვიცისა და ბონის, აგრეთვე

¹ Ökonomische Lexikon, Berlin, 1966, Bd. 2, გვ. 608.

აკონიის უნივერსიტეტებში, ხოლო 1927 — 1930 წლებში — აშშ-ში.

1932 წ. იგი საბოლოოდ გადასახლდა აშშ-ში და ლექციებს კითხულობდა ჰარვარდის უნივერსიტეტში. აშშ-ში მოღვაწეობდა იგი გარდაცვალებამდე².

ი. შუმპეტერის სახელი ფართოდაა ცნობილი მთელ თანამედროვე ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიკასა და სოციოლოგიაში. მისი შეხედულებებისა და მოძღვრების სისტემა — შუმპეტერიანელობა გავრცელდა როგორც ბურჟუაზიულ, ასევე რეფორმისტულ სოციალ-ეკონომიურ ლიტერატურაში. მაგალითად, შუმპეტერიანელობას დიდი პატივისცემით მოიხსენიებენ კაპიტალისტური ქვეყნების უნივერსიტეტებში³.

ი. შუმპეტერის მოძღვრებაში უხვადაა გამოყენებული მახიზმი. იგი უარყოფს მიზნობრიობის კატეგორიას და პოლიტიკური ეკონომიის ძირითად ამოცანად მიიჩნევს ცალკეულ ეკონომიურ მოვლენებს შორის ფუნქციონალური ურთიერთდამოკიდებულების გამოკვლევას. შუმპეტერიანელობაში გამოყენებულია ამერიკელი ბურჟუაზიული ეკონომისტის ჯ. ბ. კლარკისა და ლოზანის სკოლის თეორეტიკოსის ლ. ვალრასის იდეები. ი. შუმპეტერი იყენებს ანტიისტორიზმსა და ინტუიტივიზმს, ირაციონალისტურ, ანტიმეცნიერულ პოსტულატებს. „შუმპეტერის ლიტერატურული მოღვაწეობა, განსაზღვრული აზრით, წარმოადგენს ეკონომიური თეორიის დაშლის მწვერვალს. მისი ანტიისტორიზმი ინტუიტივიზმთან შეხამებით უგულვებელყოფს ყოველგვარ ეკონომიურ აზროვნებას. ამ გაგებით შეიძლება ითქვას, რომ შუმპეტერმა უარყო პოლიტიკური ეკონომია როგორც მეცნიერება“⁴.

ი. შუმპეტერი, პ. კროსერის დახასიათებით, სიურრეალისტია. სიურრეალიზმი კი XX საუკუნის ერთ-ერთი უკიდურესი ფორმა-

² Б. Селигмен, Основные течения современной экономической мысли, гл. 471 — 471.

³ 1968 წლის ნოემბერში ტურისტულ ჯგუფთან ერთად ვიმოგზაურე ფინეთში. გავეცანი ჰელსინკის, ტამპერესა და ტურკუს უმაღლესი სასწავლებლების მუშაობას. ჰელსინკის უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის პროფესორებმა საუბრის დროს განაცხადეს, რომ ი. შუმპეტერის წიგნები რეკომენდებულია როგორც სახელმძღვანელო ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორიაში.

ფინეთის უმაღლეს სასწავლებლებში ფართოდაა ცნობილი და პოპულარობით სარგებლობს აგრეთვე ჯ. მ. კეინსის, პ. სამუელსონის, ბ. სელიგმენის, თ. მალთუსის, კ. ვიქსელის, გ. კასელის, გ. მიურდალის წიგნები და კონცეფციები.

⁴ П. Кроссер, Экономические фикции, ИЛ, 1962, гл. 41.

ლისტური მიმართულებაა, რომელიც უარყოფს გონებისა და ცდის როლს. იგი შემოქმედების წყაროს დაქებებს ქვეცნობიერების სფეროში (სიზმრებში, ჰალუცინაციებში, ინსტინქტებში). ამიტომაც, რომ შემპეტერის კონცეფციების უფორმოება მისი ირაციონალიზმის შედეგია⁵.

ი. შემპეტერს მიიჩნევენ აგრეთვე თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენლად.

ი. შემპეტერი (ჟ. ბ. კლარკის მსგავსად) პოლიტიკურ ეკონომიას ყოფდა სტატიკად და დინამიკად. სტატიკა, ი. შემპეტერის აზრით, სწავლობს სახალხო მეურნეობის წონასწორობას, ხოლო დინამიკა — წონასწორობის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლას. ე. ჟამის მტკიცებით, ი. შემპეტერი არის პირველი ავსტრიელი ეკონომისტი, რომელიც ცდილობდა ეკონომიური ცხოვრებისათვის დინამიკური ხასიათის მიცემას⁶.

ი. შემპეტერი მრავალი შრომის ავტორია. მისი შრომები გამოქვეყნებულია გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ და სხვა ენებზეც⁷. მისი მთავარი ნაწარმოებებია: „ეკონომიური განვითარების თეორია“, „ეკონომიური ციკლები“, „კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია“ (პირველად ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა ნიუ-იორკში 1942 წ., გერმანულად ითარგმნა 1946 წ. და გამოქვეყნდა ბერნში, ხოლო გერმანიაში, მიუნხენში, გამოვიდა 1950 წ.), „ეკონომიური ანალიზის ისტორია“ ორ ტომად 1953 წ. გამოვიდა ნიუ-იორკსა და ლონდონში, ხოლო გერმანულად — გეტინგენში 1953 წ.

ი. შემპეტერის შრომებში გამოყენებულია არა მარტო ე. მახის იდეები, არამედ ბერგსონის ეპისტემოლოგია და ანტიინტელექტუალიზმი.

⁵ П. Кроссер, Экономические функции, ИЛ, 1962, стр. 43.

⁶ Г. Беккер и А. Босков, Современная социологическая теория, ИЛ, 1961, стр. 760—761, 764, 771, 780.

⁷ იხ. J. A. Schumpeter: Das Wesen und der Hauptinhalt der Theoretischen Nationalökonomie, 1903; Theorie der wirtschaftlichen Entwicklung, 1912; Der Unternehmer, 1928; Business Cycles. A theoretical-historical and statistical Analysis of the capitalist process, v. 1—2, N. Y.—L. 1933; Kapitalismus, Sozialismus und Demokratie, Bern, 1946; History of Economic Analysis, N. Y. 1954; Geschichte der Ökonomischen Analyse., 2 Bde., Göttingen, 1953; Imperialism and Social Classes, N. Y. 1951; Aufsätze zum ökonomischen Theorie, Tübingen, 1952; Dogmenhistorische und biographische Aufsätze, Tübingen, 1954; Wissenschaft und Ideologie.—„Hamburger Jahrbuch“, Bd. 3, 1958; Epochen der Dogmen und Methodengeschichte, 1912.

ი. შუმპეტერის წიგნები და კონცეფციები დიდი რეპუტაციით სარგებლობს თანამედროვე ბურჟუაზიულ-რეფორმისტულ პოლიტიკურ ეკონომიაში. „ახლა,—წერს ე. ჟამსი, — კეინსთან ერთად მას (ი. შუმპეტერს — გ. კ.) აქვს ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი ეკონომისტის რეპუტაცია“⁸. განსაკუთრებით დიდი ხმაური ატყდა დასავლეთში ი. შუმპეტერის ანტიმარქსისტული წიგნის „კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია“ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. იგი ითარგმნა მრავალ ენაზე და გამოიცა დიდი ტირაჟით. მაღალი შეფასება მისცა შუმპეტერიანელობას ბ. სელიგმენმა⁹.

კეინსის გვერდით მოიხსენიებს ი. შუმპეტერს ამერიკელი ეკონომისტი და ფილოსოფოსი პ. კროსერი. მან თავისი წიგნის „ეკონომიური ფიქციები (სუბიექტივისტური ეკონომიური თეორიის კრიტიკა)“ მესამე ნაწილში „ეკონომიური სუბიექტივიზმის დაცემა“¹⁰ კრიტიკულად განიხილა ი. შუმპეტერის „ეკონომიური განვითარების თეორია“ და ჯ. მ. კეინსის „დასაქმების, სარგებლის და ფულის ზოგადი თეორია“.

ი. შუმპეტერს მიმდევრები გაუჩნდა არა მარტო აშშ-ში, არამედ სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც (საფრანგეთი, ავსტრია, სკანდინავიის ქვეყნები, ინგლისი და სხვ.). განსაკუთრებით დიდი სახელით სარგებლობდა და სარგებლობს იგი აშშ-ში. „შუმპეტერის კულტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, — წერს პ. კროსერი, — გრძელდებოდა ისევე დიდხანს, როგორც კეინსის კულტი“¹¹. შეიძლება ითქვას, რომ შუმპეტერიანელობა იქცა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდის ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთ ცნობილ განშტოებად და დიდი სახელი მოიხვეჭა კეინსელობის გვერდით. რ. კლეიმენსმა და ფ. დოოდიმ სპეციალური გამოკვლევა („შუმპეტერიანელობის სისტემა“) მიუძღვნა შუმპეტერიანელობის დახასიათებას¹². ბურჟუაზიულმა ეკონომისტმა, ე. ჰანსენის თანამოაზრემ ს. ჰარისმაც სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ი. შუმპეტერის მოძღვრების დახასიათებასა და შუმპეტერიანელობის პოპულარიზაციას. წიგნის სახელწოდებაც საგულისხმა: „შუმპეტერი — სოციალურ მეცნიერებათა დამსახურებული

⁸ Э. Жамс, История экономической мысли XX в., гл. 74.

⁹ Б. Селгмен, Основные течения современной экономической мысли, гл. 470.

¹⁰ П. Кроссер, Экономические фикции, гл. 247—324.

¹¹ იქვე, გვ. 366.

¹² R. V. Klemence, F. S. Doody, The Schumpeterian System, 1950.

ზოღვაწე¹³. დიდი ადგილი ეთმობა შუმპეტერიანელობას ა. ამონის¹⁴, გ. ჰაბერლერის¹⁵ და ბ. სელოგმენის¹⁶ შრომებშიც.

შუმპეტერიანელობის შესახებ ჩვენ მიერ მითითებული წყაროები სრულად ვერ ამოწურავს ამ პრობლემაზე დაწერილ ბურჟუაზიულ ლიტერატურას, მაგრამ დასახელებული მასალაც იძლევა იმის საშუალებას, რომ გაკეთდეს დასკვნა შუმპეტერიანელობის გავრცელების შესახებ.

შუმპეტერიანელობას მოწინააღმდეგენიც გაუჩნდა თვით ბურჟუაზიულ-რეფორმისტულ ლიტერატურაში, მაგრამ ძირითადად იგი მოიწონეს და მას პატივისცემით ჰოიხსენიებენ. ამიტომ, ბუნებრივია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება შუმპეტერიანელობის მარქსისტულ-ლენინურ კრიტიკას.

უნგრელმა ეკონომისტმა ა. მათიაშმა (ბერლინის საერთაშორისო კონფერენციაზე 1960 წ. ოქტომბერში) ი. შუმპეტერი დახასიათა, როგორც XX საუკუნის ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი უდიდესი ავტორიტეტი¹⁷.

ი. შუმპეტერის შეხედულებები — შუმპეტერიანელობა გავრცელებულია არა მარტო ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში, არამედ რეფორმისტულ სოციალურ-ეკონომიურ მოძღვრებაშიც. მაგალითად, ი. შუმპეტერის ნაშრომი „კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია“ მემარჯვენე სოციალისტთა მაგიდის წიგნი გახდა. ამ წიგნს იყენებენ ისინი „დემოკრატიული სოციალიზმისა“ და სოციალიზმში კაპიტალიზმის მშვიდობიანი შეზრდის თეორიებში¹⁸.

დიდი ყურადღება ექცევა ი. შუმპეტერის კონცეფციებს გერმანიის რეფორმისტულ სოციალ-ეკონომიურ ლიტერატურაში. მაგალითად, გერმანიის მემარჯვენე სოციალისტების ორგანომ „ჰამბურგის წელიწადეულმა“, რომელსაც პროფ. ჰ. ორტლიბი და ბრ. მოლიტორი რედაქტორობენ, გამოაქვეყნა ი. შუმპეტერის შრომა სა-

¹³ S. A. Harris, Schumpeter. Social Scientist, Cambridge, 1950.

¹⁴ A. Amonn, Objekt und Grundbegriffe der Theoretischen Nationalökonomie, Leipzig und Wien, 1927. გვ. 110 — 125.

¹⁵ Г. Хаберлер: Процентание и депрессия, 1960; Schumpeter, Social Scientist, Cambridge, 1951.

¹⁶ Ben B. Seligman, The Economics of Joseph Schumpeter, 1954.

¹⁷ Новые явления в современной буржуазной политэкономии, т. I,

ხელწოდებით „მეცნიერება და იდეოლოგია“¹⁹. ანტიკომუნისმის თეორეტიკოსები ცდილობენ ი. შუმპეტერის დახატვას კ. მარქსის მოძღვრების გამგრძელებლად²⁰. რეფორმისტი ეკონომისტი კ. კიუნე, რომელმაც სტატიების. სერია გამოაქვეყნა გსდპ თეორიულ ორგანოში საერთო სახელწოდებით „მარქსი და თანამედროვე პოლიტიკური ეკონომია“, აცხადებს, რომ ი. შუმპეტერის კონცეფცია ენათესავება“ კ. მარქსისას²¹. სინამდვილეში ი. შუმპეტერი არის გერმანელი ბურჟუაზიული ეკონომისტის ვ. ზომბარტის მოწაფე. იგი აგრძელებს ავსტრიული სკოლისა და კათედერ-სოციალიზმის თეორეტიკოსთა ლაშქრობას რევოლუციური მარქსიზმის წინააღმდეგ. ძალიან ბევრი აქვს საერთო ვ. ზომბარტის „გერმანულ სოციალიზმსა“ და ი. შუმპეტერის ანტიმარქსისტულ წიგნს „კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია“. საგულისხმოა ისიც, რომ თვით ი. შუმპეტერი ჯ.მ. კეინსსაც მიიჩნევს კ. მარქსის ეკონომიური მოძღვრების გამგრძელებლად.

ი. შუმპეტერი, ე. ჰოსიი, ჯ. რობინსონი, ე. ბაუმგარტენი, ი. ჰომესი და მათი თანამოაზრენი ყველა ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ შუმპეტერიანელობა და კეინსელობა „დაუახლოვონ“ მარქსიზმს. ამ შემთხვევაში მათი მიზანია „მარქსის რეაბილიტაცია“, ე. ი. მარქსიზმის ეკონომიური მოძღვრების შეცვლა შუმპეტერიანელობით. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ამერიკელი ბ. სელიგმენის შრომაც²².

ი. შუმპეტერი და მისი თანამოაზრენი აღიარებენ კაპიტალიზმის დამსხვრევას, მაგრამ არა კ. მარქსის რევოლუციური მოძღვრების შესაბამისად, არამედ „კაპიტალიზმის ავტომატური ტრანსფორმაციის თეორიის“ მიხედვით. ისინი აღნიშნავენ, რომ ბურჟუაზიული საზოგადოების ადგილი უნდა დაიკავოს ახალმა საზოგადოებამ, მაგრამ არა კომუნისტურმა, არამედ „ინდუსტრიულმა საზოგადოებამ“. ი. შუმპეტერი უარყოფს კაპიტალიზმის არსებობას თანამედროვე პირობებში. იგი განასხვავებს თანამედროვე საზოგადოების ორ ტიპს: 1. „კომერციული საზოგადოება“ და 2. სოციალისტური საზოგადოება²³. „კომერციული საზოგადოების“ ქვეშ იგულისხმება

¹⁹ „Hamburger Jahrbuch“, Bd. 3, S. 11 — 24.

²⁰ E. Heuss, Allgemeine Markttheorie, Tübingen — Zürich, 1965, გვ. 262 — 263.

²¹ „Die neue Gesellschaft“, Nr. 1, 2, 3, 4, 1965.

²² Б. Селигмен, Основные течения современной экономической мысли, გვ. 477—479.

²³ J. Schumpeter, Kapitalismus, Sozialismus und Demokratie, გვ. 267.

სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი. ი. შუმპეტერის განცხადებით კი „კომერციული საზოგადოება არაა კაპიტალისტური საზოგადოების იდენტური“²⁴.

ი. შუმპეტერი აყენებს კითხვას: „შეუძლია თუ არა კაპიტალიზმს არსებობა? — და თვითონვე უპასუხებს, — არა, ჩემი აზრით, არ შეუძლია“²⁵. ამ კითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ იგი წერს: „მე მიმაჩნია, რომ კაპიტალიზმის დაღუპვა გარდუვალია; კაპიტალისტური სისტემა ისეა აგებული, რომ მისი დაღუპვა ხორციელდება არა მძიმე ეკონომიური წარუმატებლობით, არამედ მისი წარმატებებით, რომლებიც ძირს უთხრიან თვით კაპიტალისტური სისტემის დამცველ სოციალურ ინსტიტუტებს“²⁶.

ერთი შეხედვით ი. შუმპეტერიც აღიარებს კაპიტალიზმის დაღუპვას²⁷, მაგრამ იგი ემყარება სუბიექტურ თეორიას და საზოგადოების მომავალს ხედავს „დემოკრატიულ სოციალიზმში“. შუმპეტერიანელობა უარყოფს კაპიტალის დაგროვების საყოველთაო კანონის მოქმედებას და აცხადებს, რომ კაპიტალიზმის დაღუპვის მიზეზია თვით მისი წარმატებები, სახელდობრ, საზოგადოების ყველა წევრის ცხოვრების მაღალი დონე. ე. ი. „საყოველთაო კეთილდღეობა“, რომელსაც თურმე კაპიტალისტური წარმოების წესი ქმნის.

ამ შემთხვევაში ი. შუმპეტერი გამოდის კაპიტალიზმის „ტრანსფორმაციისა“ და სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიური სისტემების „კონვერგენცია-ამალგამაციის“ დამცველის როლში. სიტყვებით კი აცხადებს, რომ თითქოს შუმპეტერიანელობასა და მარქსიზმს შორის საერთო უფრო მეტია, ვიდრე განსხვავება. აი რატომ არის საშიში შუმპეტერიანელობა მუშათა რევოლუციური მოძრაობისათვის.

ი. შუმპეტერი ამახინჯებს კ. მარქსის მოძღვრებას. იგი უარყოფს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას კლასობრივი ბრძოლისა და სოციალური რევოლუციის, პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ და კმაყოფილდება ტექნიკური პროგრესის კვალობაზე „კაპიტალიზმის თვითლიკვიდაციის“ კონცეფციას დაცვით. „კაპიტალიზმი, — წერს იგი, — თვით ანგრევს იმ საყრდენებს, რომლებიც ხელს უშ-

²⁴ J. Schumpeter, Kapitalismus, Sozialismus und Demokratie, 83. 105.

²⁵ იქვე, 83. 267.

²⁶ იქვე, 83. 552.

²⁷ Б. Селгмен, Основные течения современной экономической мысли, 83. 482.

ლიდნენ კაპიტალიზმის დამსხვრევას²⁸. აი რატომ გავრცელდა შუშპეტერის მოძღვრება — შუშპეტერიანელობა ბურჟუაზიულ-რეფორმისტულ წრეებში.

ი. შუშპეტერი და მისი მიმდევრები აკეთებენ დასკვნას, რომ კ. მარქსმა დიაგნოზი დაუსვა კაპიტალისტურ სისტემას, ხოლო ეინსმა გამოიკვლია კაპიტალისტური ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების მიზეზები და შეიმუშავა რეცეპტები ბურჟუაზიული საზოგადოების გაჯანსაღებისათვის. ლ. ციმერმანი თავის წიგნში „თეორიული სახალხომეურნეობრივ მოძღვრების ისტორია“ წერს, რომ „თანამედროვე ეკონომისტებმა, რომლებიც არა მარტო აღგენენ დიაგნოზს, არამედ უჩვენებენ აგრეთვე მკურნალობის წესებს, შეიცვალეს დამოკიდებულება მარქსისადმი, რომელიც მხოლოდ დიაგნოსტიკით იფარგლებოდაო“²⁹. აი. კიდევ ერთი ცილისწამება კ. მარქსისადმი. კ. მარქსმა გამოიკვლია არა მარტო კაპიტალიზმის წარმოშობისა და განვითარების. არამედ დაღუპვის კანონებიც და მეცნიერულად დაასაბუთა კომუნისტური წარმოების წესის გამარჯვების გარდუვალობა.

ი. შუშპეტერი, შუშპეტერიანელობა გვევლინება მარქსის კეინსიფიციერებისა და კეინსის მარქსიფიციერების, მარქსიზმისა და კეინსელობის „დაახლოების“ მოთავედ. რა თქმა უნდა, ი. შუშპეტერი მალა აყენებს კეინსელობას, ხოლო კ. მარქსის „წმინდა პოლიტიკური ეკონომია“, მისი აზრით, მოძველებულია. მარქსიზმისა და კეინსელობის „დაახლოების“. „კონვერგენცია-პიბრიდიზაციის“ პროცესში იგი განასხვავებს ორ მიმდინარეობას:

პირველი მიმდინარეობის მომხრენი, ი. შუშპეტერის აზრით. „ეკონომიური სოციოლოგიის“ საკითხებში მარქსისტებად რჩებიან, მაგრამ აღიარებენ კ. მარქსის „წმინდა პოლიტიკური ეკონომიის“ მოძველებას. ეკონომიური საკითხების ანალიზის დროს ეს მიმდინარეობა რჩება არამარქსისტულ მიმდინარეობად. აქ, ცხადია, იგულისხმება შემარჯვენე სოციალისტები და რევიზიონისტები;

მეორე მიმდინარეობას. ი. შუშპეტერის განმარტებით, მიეკუთვნება ბურჟუაზიული ეკონომისტები, რომლებიც ცდილობენ კ. მარქსის „წმინდა პოლიტიკური ეკონომიის“ გაცოცხლებას და მარქსისტულ პოზიციებზე დგებიან, მაგრამ არ იზიარებენ კ. მარქსის პოლიტიკურ და სოციალურ მოძღვრებას.

²⁸ J. Schumpeter, Kapitalismus, Sozialismus und Demokratie, გვ. 220.

²⁹ L. Zimmerman, Geschichte der theoretischen Volkswirtschaftslehre, Köln, 1954, გვ. 107.

ბერლინის საერთაშორისო კონფერენციაზე (1960 წ. ოქტომბერი) აღინიშნა, რომ ახალი და უახლესი ანტიმარქსისტული თეორიები სათავეს შუმპეტერიანელობიდან იღებენ. თვით ი. შუმპეტერი კი დახასიათებულ იქნა, როგორც თანამედროვე ბურჟუაზიული და რეფორმისტულ-რევოლუციონისტული თეორიებს იღეური მამა³⁰.

ი. შუმპეტერი ისტორიკოს-დოგმატიკოსებისა და ეკლექტიზმის წარმომადგენელია. მართალია, იგი დოგმატიკოსაა, მაგრამ ამავე დროს აღიარებს ბურჟუაზიული პოლიტიკონომიის ძველი დოგმების დამარცხებასა და გაკოტრებას. თავის უკანასკნელ შრომაში „ეკონომიურ ანალიზთა ისტორია“³¹, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა, აღიარებს ტრადიციული ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის უპერსპექტივობას. ამ მხრივ საგულიანბნოა მისი შემდეგი განცხადება: „ბევრია ახალი მეთოდი, მაგრამ არ არს არაერთარი ახალი იდეები“. აი, ამიტომ მიმართავს იგი „ახალი ეკონომიისა“ და მარქსის ეკონომიური მოძღვრების „პატრიდოზაცია“-ამლგამაციას“.

შუმპეტერიანელობა წარმოდგენს ბურჟუაზიულ-რეფორმისტული ეკონომიური იდეოლოგიისა და მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის „სინთეზის“ ცდას. ი. შუმპეტერი, უპირველეს ყოვლისა, ცდილობს ხილის გადებას მარქინალიზმსა და კ.მარქსის ეკონომიურ მოძღვრებას შორის. ცხადია, კ. მარქსის შრომითი ღრებულების მეცნიერულ თეორიას იგი მკვდრად აცხადებს და წინა პლანზე აყენებს ავსტრიული სკოლის მარქინალიზმის პრინციპებსა და მეთოდს. „მარქინალისტურა პრინციპი, — წერს ი. შუმპეტერი, — თავისთავად ანალიზის ინსტრუმენტია. მისი გამოყენება გარდუვალი ხდება, როგორც კი ანალიზი შედის მომწიფებულ ასაკში. მარქსი, რა თქმა უნდა, გამოიყენებდა მას 50 წლათ გვიან რომ დაბადებულყო“³². ი. შუმპეტერის მიზანია: ჯერ ერთი. პალეომარქინალიზმის შეცვლა ნეომარქინალიზმით, მეორე, შრომითი ღრებულების მარქსისტული თეორიისა — ახალგაზრდა ავსტრიული სკოლის ეკონომიური ნეომარქინალიზმით. „ი. შუმპეტერის სათაყვანო კერპი იყო ლეონ ვალრასი“³³.

³⁰ Новые явления в современной буржуазной политэкономии, т. I, 83 175.

³¹ J. Schumpeter, Geschichte der ökonomischen Analyse, Güttingen, 1953; Epochen der Dogmen und Methodengeschichte, 1912.

³² J. A. Schumpeter, History of Economic Analysis, გვ. 869.

³³ Б. Селигмен, Основные течения современной экономической мысли, 83. 479.

ი. შუმპეტერი აცხადებს, რომ მარკინალიზმის პრინციპებს კ. მარქსი აუცილებლად გამოიყენებდა, რომ სცოდნოდა ისინიო. ამ შემთხვევაშიც ეწინააღმდეგება ი. შუმპეტერი ისტორიულ ფაქტებს, სინამდვილეს. საილუსტრაციოდ დავასახელებთ ერთ-ერთ ფაქტს. კ. მარქსი იცნობდა მარკინალიზმის პრინციპებზე აგებულ ი. ტიუნენის კონცეფციას და მკაცრად აკრიტიკებდა მას. ამ საკითხებზე ჩვენ მსჯელობა უკვე გვქონდა წინა თავში და აქ აღარ გავიმეორებთ. ამ შემთხვევაში დავკმაყოფილდებით იმ დახასიათების გადმოცემით, რომელიც კ. მარქსმა მისცა ტიუნენს.

კ. მარქსი 1868 წ. ი. ტიუნენისა და მისი წიგნის შესახებ ლ. კუ-გელმანს სწერდა: „აი მიზეზი ჩემი დუმილისა და აი რატომ არ შეგატყობინეთ ტიუნენის წიგნის მიღებაც კი. ამ უკანასკნელში არის რაღაც ამაღელვებელი. იგი მეკლენბურგელი იუნკერია (გერმანული აზროვნების უნარით), რომელიც თავის მამულ ტელოვს სთელის სოფლის მეურნეობის ნიმუშად, ხოლო მეკლენბურგ-შვეიცრინს—საერთოდ ქალაქის ნიმუშად და, ამ წანამძღვრებიდან გამოსული, დაკვირვების, დიფერენციალური აღრიცხვის, პრაქტიკული ანგარიშწარმოების დახმარებით და სხვ. თვითონ აგებს დამოუკიდებლად რიკარდოს მიწის რენტის თეორიას. ეს ერთსა და იმავე დროს პატივისცემის ღირსიცაა და სასაცილოც“³⁴.

გამოდის, რომ კ. მარქსი კარგად იცნობდა ი. ტიუნენის მოძღვრებას და არა თუ იზიარებდა მის მარკინალიზმს, არამედ მკაცრად ამთარახებდა ტიუნენს.

ი. შუმპეტერი საერთოს დაეძებს მარქსის მეთოდსა და შუმპეტერიანელობა-კეინსელობას შორის. მისი მსჯელობით, კ. მარქსი ისეთივე სუბიექტური იდეალისტია, როგორიც კეინსი. ე. ი. იგი თავდაყირა აყენებს მარქსიზმს, რადგან შუმპეტერიანელობა განმსაზღვრელად მიიჩნევს არა ყოფიერებას, არამედ ცნობიერებას. ი. შუმპეტერი კ. მარქსის შესახებ წერს: „სანამ იგი შეუდგებოდა თავის სერიოზულ ანალიტიკურ მუშაობას, მისმა წარმოდგენამ კაპიტალიზმის განვითარებაზე უკვე მიიღო მკაფიო ფორმები, ხოლო მეცნიერული მუშაობა მისთვის წარმოდგენდა მხოლოდ ამ ფორმების დამატებასა და არა შესწორებათა საშუალებას“³⁵.

³⁴ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, გვ. 210 — 211.

³⁵ „Hamburger Jahrbuch für Wirtschafts-und Gesellschaftspolitik“. Herausgegeben von Heinz-Dietrich Ortlieb und Bruno Molitor, Tübingen, Bd. 3, გვ. 20.

ი. შუმპეტერის ანტიმარქსისტული კონცეფცია ერთგვარად განსხვავდება ლ. მიზესის მოძღვრებისაგან. იგი ზოგჯერ კიდევაც აკრიტიკებს ლ. მიზესის ნიპილისტურ პოზიციას, რა თქმა უნდა, ანტიკომუნისტური პოზიციებიდან. ლ. მიზესისაგან განსხვავებით ი. შუმპეტერი აღიარებს კაპიტალიზმის კრახსა და სოციალიზმის შესაძლებლობას (იგულისხმება „კეინსური სოციალიზმი“ — „დემოკრატიული სოციალიზმი“), ხოლო სოციალიზმის ეკონომიური თეორიის შემქმნელებად აცხადებს ვიზერს, პარეტოსა და ბარონეს (აქ იგულისხმება „სოციალიზმი“ უმარქსოდ). შუმპეტერიანელობა აღიარებს ეკონომიური კანონების მოქმედებას, მაგრამ, შუმპეტერის აზრით, ეკონომიური კანონები სოციალისტურ საზოგადოებაში ისეთივეა, როგორც კაპიტალიზმის დროს.

ი. შუმპეტერი პრეტენზიას აცხადებს იმაზე, რომ იგი კაპიტალიზმის „კრიტიკოსი“ და სოციალიზმის (კეინსური) მომხრეა. ის ილაშქრებს აგრეთვე „ცენტრალისტური სოციალიზმის“ წინააღმდეგ და იცავს „კომერციულ საზოგადოებას“ — „სავაჭრო სოციალიზმს“³⁶. შუმპეტერიანელობას მართლაც იყენებენ სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე თეორეტიკოსები. ი. შუმპეტერს, როგორც უკვე ითქვა, მიმღევეები ჰყავს არა მარტო ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლებიდან, არამედ რეფორმისტებს შორისაც. მაგალითად: საფრანგეთის სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი და თეორეტიკოსი გი მოლე, რ. ვ. კლემანსი, ფ. ს. დოიდი და სხვ.

გი მოლემ ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი ი. შუმპეტერის მოწაფეა და ყველა ზომა მიიღო საფრანგეთის მუშათა კლასში შუმპეტერიანელობის გასავრცელებლად. დიდის ზარ-ზეიმით შეხვდნენ ფრანგი მემარჯვენე სოციალისტები ი. შუმპეტერის წიგნის „კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია“ ფრანგულ ენაზე გამოცემას. საფრანგეთის სოციალისტური პარტიის თეორეტიკოსმა ვ. რაუნალმა ამ წიგნის საფუძველზე სპეციალური ბროშურა დაწერა. გი მოლემ კი ამ ბროშურაში საკუთარი სტატია მიუძღვნა ი. შუმპეტერის შეხედულებათა პოპულარიზაციას, ხოლო ანტიმარქსისტული წიგნი „კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია“ დაახასიათა, როგორც „სოციალიზმის ძირითადი ნაწარმოები“ და თითოეული სოციალისტის მოღვაწეობის საფუძველი.

შუმპეტერიანელობას იყენებენ ინგლისელი ლეიბორისტების

³⁶ J. Schumpeter, Kapitalismus, Sozialismus und Demokratie, გვ. 268.

ლიდერები და სოციალ-დემოკრატიული პარტიის სხვა თეორეტიკოსები.

ამიტომ შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ მარქსისტთა ბერლინისა და სოფიის კონფერენციებმა დიდი ადგილი დაუთმო შემპეტერიანელობის კრიტიკას. თავისი გამოსვლა გ. მიტმა (დრეზდენი) მთლიანად დაუთმო საკითხს „რამდენიმე შენიშვნა სოციალიზმისადმი შემპეტერის დამოკიდებულების შესახებ“. სოფიის კონფერენციაზე კი (1964 წ. მაისი) მოხსენება („ი. ა. შემპეტერის გავლენა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის თანამედროვე აპოლოგეტიკაზე“) გააკეთა ლ. კორჩეკმა.

სოციალიზმის საკითხები ი. შემპეტერს განხილული აქვს უმთავრესად წიგნში „კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია“. იგი მოქნილად, სოციალიზმის დაცვის ნიღბით ეწევა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის აპოლოგიას და „დემოკრატიული სოციალიზმის“ ილუზიებს თესავს მასებში.

შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ორი ძირითადი მიმართულების — 1. „რეგულირებადი კაპიტალიზმისა“ და 2. ნეოლიბერალიზმის — მთავარ განშტოებას წარმოადგენს კეინსელობა („რეგულირებადი კაპიტალიზმის“ მომხრეთა მთავარი მიმდინარეობა) და შემპეტერიანელობა („თავისუფალი მეწარმეობის“ — ეკონომიური მარჩინალიზმის თანამედროვე მომხრეთა განშტოება). შემპეტერიანელობა და კეინსელობა ავსებს ერთიმეორეს და წარმოადგენს სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დაცვას. მათ შორის განსხვავებაა, მაგრამ არაარსებითი.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში შემპეტერიანელობა ძალიან გავრცელდა ბურჟუაზიულ-რეფორმისტულ ეკონომიურ მოძღვრებებში. მიუხედავად ამისა, შემპეტერიანელობას 30-იან წლებში გაუსწრო კეინსელობამ. ი. შემპეტერის მოწაფეები ამას ხსნიან იმით, რომ შემპეტერიანელობას არ მოუცია კონკრეტული ეკონომიური პოლიტიკის არავითარი პოზიტიური პროგრამა. თვით ი. შემპეტერი წერდა: „მე არავითარი პოლიტიკის რეკომენდაციას არ ვიძლევი, არ გთავაზობთ არავითარ გეგმას“²¹. მეტიც, ი. შემპეტერი აკრიტიკებდა კეინსელობის ზოგიერთ მომენტს, მაგალითად. კეინსურ-დირიჟისტულ იდეას სახელმწიფოს ეკონომიური როლის თაობაზე. მან კეინსელობა დაახასიათა, როგორც მეურნეობრივი

²¹ J. Schumpeter, Business Cycles, გვ. VI.

პრაქტიკის რეცეპტი და არა ბურჟუაზიული ეკონომიური მეცნიერებებს „განვითარება“.

კეინსელობის შეფასების საკითხში შუმპეტერიანელობა ემყარება ნეოლიბერალურ საბაზრო ავტომატიზმს. კეინსი კი თავს ესხმოდა Laissez faire დოქტრინას და უგულვებელყოფდა საბაზრო ავტომატიზმის მექანიზმის მოქმედებას. ი. შუმპეტერი იცავდა ნეოლიბერალურ ინტერვენციონიზმს (დირიჟიზმს) და აცხადებდა, რომ კეინსმა საბაზრო ავტომატიზმის უკუგდებით „ბურჟუაზიული არგუმენტაციის უკანასკნელი ბურჯი“ გაანადგურაო.

ცხადია, Laissez faire კაპიტალიზმი ი. შუმპეტერმაც გააკრიტიკა და აღიარა ასეთი კაპიტალიზმის დაღუპვა, მაგრამ ამას იგი აკეთებდა ნეომარქინალიზმის თვალთახედვის ფარგლებში. ი. შუმპეტერი გამოდიოდა ცენტრალურ-დირიჟისტული სისტემის წინააღმდეგ და მაინც სჯეროდა საბაზრო ავტომატიზმის ქმედითუნარიანობისა. იგი დამატებით მოითხოვდა: გადასახადთა სისტემის გადასინჯვას მეწარმეობის განვითარების უზრუნველსაყოფად; სახელმწიფო ხარჯების ეფექტურობის ამაღლებას; უარის თქმას ხელფასისა და გადარიცხვების დარგში სახელმწიფო ჩარევაზე; ინფლაციის თავიდან აცილების აუცილებლობას ყოველგვარი ღონისძიებების გატარებითაც კი. კეინსური პროგრამა კი უფრო მრავალფეროვან და კონკრეტულ ღონისძიებათა სისტემას წარმოადგენდა. კეინსელობა იმიტომ გახდა მთავარი მიმდინარეობა, რომ იგი წარმოადგენდა 1929 — 1933 წლების კატასტროფის ანტიკრიზისულ ღონისძიებათა ვრცელ სისტემასო — აცხადებენ შუმპეტერიანელები.

სოფიის საერთაშორისო კონფერენციაზე 1964 წლის მაისში ლ. კორჩეკმა ასე ჩამოაყალიბა თავისი თვალსაზრისი შუმპეტერიანელობაზე:

„1. ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის წამყვან წარმომადგენელთა შორის შუმპეტერმა ადგილი დაიკავა უკვე ჩვენი საუკუნის დასაწყისში“²⁸. თავდაპირველად ი. შუმპეტერი გამოდიოდა ტრადიციული ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის იდეების დაცვით. თავის შრომაში „ეკონომიური განვითარების თეორია“ (1912 წ.) მან სცადა სტატიკური თეორიიდან დინამიკურზე გადასვლა. ი. შუმპეტერმა კაპიტალიზმის ანალიზი დაიწყო დინამიკურ,

²⁸ Л. Корчек, Влияние И. А. Шумпетера на современную апологетику государственно-монополистического капитализма. — «Новые тенденции в современной буржуазной политической экономии», ИЛ, София, 1965, гл. 548—560.

მაკროეკონომიურ ასპექტში და ასე სცადა მონოპოლისტური კაპიტალიზმის დაცვა.

30-იან წლებში ი. შუმპეტერმა მაკროეკონომიური მეთოდის გამოყენებით დაამუშავა ეკონომიურ ციკლთა პრობლემები და წამოაყენა ნოვატორისა და „ახალ შემოღებულ წესის“³⁹ კონცეფცია. ციკლური განვითარება და ეკონომიური კრიზისები, როგორც უკვე აღინიშნა, მან ტექნიკური პროგრესითა და ახალი გამოგონებებით ახსნა. თავის წიგნში „ეკონომიური ციკლები“ (1939 წ.) კაპიტალისტური წარმოებისა და კვლავწარმოების საკითხები მან განიხილა „თეორიულ-ისტორიულ და სტატისტიკურ ასპექტში“.

40-იან წლებში ი. შუმპეტერმა თავისი „ეკონომიური დინამიკის თეორია“ შეავსო ე. წ. გარეშეეკონომიური ფაქტორებით. მან გააკეთა დასკვნა, რომ გარეშეეკონომიური ფაქტორები არა მარტო ახდენენ გავლენას ეკონომიკაზე, არამედ გადამწყვეტ როლს ასრულებენ კაპიტალიზმის შემდგომი ბედის საქმეში. ეს იდეები მან ჩამოაყალიბა წიგნში „კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია“. სწორედ ეს წიგნი წარმოადგენს ი. შუმპეტერის თეორიის „სოციალიზმში კაპიტალიზმის ტრანსფორმაციის“ („კაპიტალიზმის თვითლიკვიდაციის“) დასრულებულად გამოცემას. ამ წიგნს ბურჟუაზიული ეკონომისტები პირველად არ შეხვდნენ სიმპათიით, რადგან მასში გამოითქვა აზრი კაპიტალიზმის დაღუპვისა და სოციალიზმის შესაძლებლობის შესახებ. სამაგიეროდ დიდი სიხარული გამოიწვია ამ წიგნმა რეფორმისტულ-რევოიუციონისტულ აკადემიურ წრეებში.

რაკი დარწმუნდა თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკონომია, რომ შუმპეტერიანელობა წარმოადგენდა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის მოხერხებულ და შენიღბულ დაცვას, მაშინვე იწყო ი. შუმპეტერის კონცეფციების გამოყენება და პროპაგანდა. განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა შუმპეტერიანელობამ „სახალხო კაპიტალიზმის“ თეორიების შექმნის საქმეში.

2. ლ. კორჩევი აღნიშნავს, რომ ი. შუმპეტერმა XX საუკუნის დასაწყისშივე დაიკავა ადგილი მონოპოლიების დამცველებს შორის. ი. შუმპეტერის აზრით, მონოპოლიები წარმოადგენს ტექნიკური პროგრესის ინსტრუმენტს. ამრიგად, ი. შუმპეტერი იცავდა მონო-

³⁹ Neuerung — innovation, нововведение — ახალშემონაღები, ახალშემოღებული წესი, რომელსაც ახორციელებს ი. შუმპეტერის „ნოვატორი“, განსხვავდება გამოგონებისაგან — აღნიშნავს ბ. სელიგმენი. „გამოგონება, — წერს იგი, — ტექნოლოგიური ფაქტორია, ხოლო ახალშემონაღები წესი წარმოადგენს ეკონომიურ და სოციალურ მოვლენას“ (об. Б. Селигмен, Основные течения современной экономической мысли, გვ. 475).

პოლიებს და ილაშქრებდა ანტიმონოპოლისტურ ღონისძიებათა წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში იგი არ ეთანხმება ეკონომიური მარეინალიზმისა და ნეომარეინალიზმის (ნეოლიბერალიზმის) თეორეტიკოსთა ფორმალურ ანტიმონოპოლიზმსაც კი. მაგალითად, იგი გამოვიდა აშშ-ში გატარებული ანტიტრესტული კანონის წინააღმდეგ. მან არ მოიწონა არც ნეოლიბერალური ანტიკარტელიზმი და გააკრიტიკა იგი თავის წიგნში „კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია“.

ამრიგად, ი. შუმპეტერის კონცეფცია მონოპოლიების შესახებ ერთგვარად განსხვავდება ნეოლიბერალური კრედოსაგან⁴⁰. ამ შემთხვევაში იგი გვევლინება როგორც „მემარჯვენე ნეოლიბერალი“.

3. ე. შუმპეტერის კონცეფციას ნოვატორის, ტექნიკური პროგრესისა და დინამიკის შესახებ ხარბად იყენებს თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ტექნოლოგიური და ტექნოკრატიული მიმართულება („ფურასტიერაზმი, კიბერნეტიკული წყობილება, მეორე სამრეწველო რევოლუცია, სამადი რევოლუცია, წარმოების ოთხი ფაქტორის თეორია, ეკონომიური ზრდის თეორიები“ და სხვ.) და მისი თეორეტიკოსები (ჟ. დიბოლდი, უ. როსტოვი, გ. მონსაროვი ე. ფურასტიე, ფრ. შტერნბერგი, კ. კლარკი, ჯოლიტი და სხვ.).

4. შუმპეტერიანელობა კაპიტალიზმის ზოგიერთ მანკიერებას იმიტომ აღიარებს, რომ მობილიზაცია გაუკეთოს პროკაპიტალისტურ ძალებს და გააჯანსაღოს ბურჟუაზიული საზოგადოების საყრდენი ინსტიტუტები. ამას იგი აკეთებს კაპიტალიზმის „თვითლიკვიდაციისა და სოციალიზმში კაპიტალიზმის შეზრდის“ კონცეფციის საფარით, ე. ი. ჩქმალაუც სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ნაშედეგად ბუნებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება შუმპეტერიანელობაზე დაფუძნებული თანამედროვე ბურჟუაზიულ-რეფორმისტული თეორიები, რომლებიც ქვემოთ იქნება განხილული.

5. ლ. კორჩეკი აღნიშნავს, რომ ი. შუმპეტერის კონცეფციას გარეშეეკონომიური ფაქტორების შესახებ ბევრი თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტი იზიარებს. იგი ცალკე პუნქტად გამოყოფს შუმპეტერიანელობის გავლენას უ. როსტოვის „სტადიათა თეორიაზე“. რა თქმა უნდა, ეს დოქტრინაც იქნება განხილული წინამდებარე შრომაში.

6. თავისი მოხსენების შედეგსე თეზისში ლ. კორჩეკი აღნიშნავს, რომ ი. შუმპეტერი თავისი ტრანსფორმაციის კონცეფციით

⁴⁰ იხ. Современная буржуазная идеология в США, 1967, გვ. 15.

ასრულებს სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დამცველის როლს. ი. შუმპეტერი აცხადებს *Laissez faire* კაპიტალიზმის დაღუპვას და თანამედროვე სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი წარმოუდგენია სოციალიზმად. იგი ერთიმეორეში ურევს სოციალისტურ და ბურჟუაზიულ ნაციონალიზაციას. ბურჟუაზიული ნაციონალიზაცია მას მიაჩნია კაპიტალიზმის სოციალიზმად „ტრანსფორმაცია“.

7. შუმპეტერიანელობა სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს იცავს აგრეთვე იმით, რომ წინა პლანზე აყენებს კაპიტალისტური წარმოების წესის წარმატებებს, მიღწევებს, ხოლო ანტაგონისტურ წინააღმდეგობებს—ჩქმალავს. ასეთია ი. შუმპეტერის მოძღვრების არსი. შუმპეტერიანელობის ერთ-ერთი მთავარი თეზისია კაპიტალისტური ინსტიტუტების დეზინტეგრაცია და კაპიტალიზმის თვითლიკვიდაცია, კაპიტალიზმის „ტრანსფორმაცია“ სოციალიზმში. ამ თეზისის ერთგული დარჩა ი. შუმპეტერი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. ამას ადასტურებს სტატია „*Ultima Verba*“, რომელშიც მოცემულია „გზა სოციალიზმისაკენ“.

ი. შუმპეტერის აზრით, ავსტრიული სკოლის თეორეტიკოსი ვიზერია მეცნიერული სოციალიზმის „შემქმნელი“. „შუმპეტერული სოციალიზმი“ ემყარება ეკონომიური მარჟინალიზმის თეორიას. თავის წიგნში „ეკონომიური ანალიზის ისტორია“ ი. შუმპეტერი აცხადებს, რომ ზღვრული სარგებლიანობის თეორია „საყოველთაო ეკონომიური ლოგიკის როლს“ ასრულებს და „სოციალიზმის ეკონომიურ დასაბუთებას“ წარმოადგენსო.

ამრიგად, ი. შუმპეტერის მოძღვრება — შუმპეტერიანელობა „ასახავს კრიზისს თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტისა და სოციოლოგის შეგნებაში“⁴¹. „შუმპეტერული სოციალიზმი“ კი ემყარება ეკონომიური მარჟინალიზმის სუბიექტურ თეორიას, ეკონომიურ სუბიექტივიზმს. შუმპეტერიანელობას იყენებენ ბურჟუაზიული და რეფორმისტული სოციოლოგიის თეორეტიკოსებიც. „შუმპეტერი ცნობილია არა მარტო როგორც ეკონომისტი, არამედ როგორც სოციოლოგი“⁴².

შუმპეტერიანელობა წინა პლანზეა წამოწეული ე. წ. ახალ მეტოდოლოგიურ ლიტერატურაშიც. შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ ცნობილმა ბურჟუაზიულმა ეკონომისტმა ა. ამონმა თავისი

⁴¹ Новые тенденции в современной буржуазной политической экономии, გვ. 579.

⁴² Б. Селигмен, Основные течения современной экономической мысли, გვ. 482.

სქელტანიანი წიგნის—„თეორიული ნაციონალეკონომიის საგანი და ძირითადი ცნება“ V თავი „საგნის განსაზღვრა ახალ მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში“ დაუთმო ფ. გოტლის. ო. შპანისა და ი. შუმპეტერის დახასიათებას. შუმპეტერი გამოყვანილია „სწორი გზის“ აღმოჩენ ეკონომისტად. „შუმპეტერულ ცდას,—წერს ა. ამონი, — მიყვავართ ჩვენ წინ, უშუალოდ სწორ გზაზე“⁴³.

თუ როგორია ი. შუმპეტერის მიერ დასახული „სწორი გზა“ პოლიტეკონომიაში. ამას ნათლად დავინახავთ შუმპეტერიანული კონცეფციების განხილვის დროს.

დავიწყოთ ი. შუმპეტერის „ეკონომიური განვითარების“ თეორიის ანალიზით.

§ 2. ი. შუმპეტერის „ეკონომიური დინამიკის“ თეორია

„ეკონომიური დინამიკის“ თეორიას ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი სათავეს შუმპეტერიანელობაში იღებს. ეკონომიური დინამიკის, ანუ ზრდის თეორიას ი. შუმპეტერი განიხილავს თავის წიგნში „ეკონომიური განვითარების თეორია“⁴⁴. იგი მიზნად ისახავს დინამიზმის ელემენტის შეტანას სტატიკურ თეორიაში⁴⁵.

ი. შუმპეტერის ეკონომიური დინამიზმის მოძღვრება ემყარება მენგერისა და ვიზერის მარკინალისტურ კონცეფციებს. იგი საფუძვლად იყენებს ავსტრიული და ისტორიული სკოლების მოძღვრებას სამი სოციალურ-ეკონომიური სისტემის (გვაროვნული წყობილება, ხელოსნური წარმოება, თანამედროვე სამრეწველო წარმოება) შესახებ. ყოველგვარი ეკონომიური განვითარების ფაქტორად კი იგი ასახელებს „კვალიფიციურ ეკონომიურ ხელმძღვანელობას“, პიროვნებებს, რომლებსაც უნარი შესწევთ გამოგონებათა და აღმოჩენათა პრაქტიკული გამოყენებისა.

ი. შუმპეტერისათვის მთავარია მართვის საკითხი, ე. ი. ვინ, როგორი პიროვნება მართავს, ხელმძღვანელობს წარმოებას. იგი უგულებელყოფს საკუთრებისა და წარმოებით ურთიერთობათა როლს

⁴³ A. Amonn, Objekt und Grundbegriffe der Theoretischen Nationalökonomie, Leipzig und Wien, 33-125.

⁴⁴ J. Schumpeter, Theorie der wirtschaftlichen Entwicklung, 1912.

⁴⁵ Б. Селигмен, Новые течения современной экономической мысли, 33-473.

და ნეოლიბერალური პოზიციებიდან განიხილავს საზოგადოების ეკონომიური განვითარების პროცესს.

ი. შუმპეტერი გადამწყვეტ როლს ანიჭებს საწარმოს ისეთ შმართველს, რომელსაც სიახლე და დინამიზმი შეაქვს წარმოებაში და აშკარად დგას ეკონომიური სუბიექტივიზმის პოზიციებზე. ი. შუმპეტერის ეკონომიური სუბიექტივიზმი აქ იმაში მდგომარეობს, რომ იგი მთელ ეკონომიურ ანალიზს აგებს დინამიკური ინდივიდის — ნოვატორის (ისეთი პირის, რომელიც დაჯილდოებულია დინამიზმით) თვისებებზე.

ი. შუმპეტერის დახასიათებით დინამიკური ინდივიდიცაა ის: ა) ვინც არასოდეს არ კმაყოფილდება მიღწეულით; ბ) პირი, რომელიც არასოდეს არაა თავისი საკუთარი თავის კმაყოფილი და ყოველთვის ამწვანებს დინამიზმს, ზუსტად იცის საით უნდა წავიდეს.

ამრიგად, ძნელი გამოსაცნობი არაა ის გარემოება, რომ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიურ განვითარებას ი. შუმპეტერი ხსნის სუბიექტივიზმის პოზიციებიდან. „შუმპეტერის მეთოდი ამ შემთხვევაში, — წერს პ. კროსერი, — ხასიათდება იმით, რომ იგი მიკროსკოპულ სფეროზე დაკვირვებას ახდენს მიკროსკოპით ისე, რომ სრულიად სცდება მიკროსკოპულ პერსპექტივას. ამ შემთხვევაში იგი ჭიუტად უარყოფს ზოგადს კერძოს გვერდით“⁴⁶.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ი. შუმპეტერი საერთოდ უარყოფს პოლიტეკონომიას როგორც მეცნიერებას. თავის წიგნში „ეკონომიური ანალიზის ისტორია“ იგი აყენებს კითხვას: „კი მაგრამ ეკონომია არის მეცნიერება?“ ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით ი. შუმპეტერი იძლევა მეცნიერების განმარტების რამდენიმე ბუნდოვან განმარტებას. აი ერთ-ერთი მათგანი: „მეცნიერება, — წერს ი. შუმპეტერი, — ეს გაზომეა“. ამასთან იგი მეცნიერებას ყოფს ორ ჯგუფად: 1. „ზუსტი მეცნიერება“ და 2. „გამოყენებითი მეცნიერებანი“.

მეცნიერების განმარტებისას ი. შუმპეტერი აშკარად დგას ნეოლიბერალურ პოზიციებზე და პოლიტეკონომიის საგნად მეურნეობის მართვასა და მეთოდებს აცხადებს. იგი ემყარება თეზისს „მეცნიერება შეიარაღებული ცოდნაა“. მისთვის მეცნიერების მთელი ისტორია არის მეთოდების განუწყვეტელი შერჩევა. ამ შემთხვევაში ი. შუმპეტერი კვლავ წინა პლანზე აყენებს ტექნიკური წესებისა და მეთოდების გამოყენების ფორმებს, მართვის ფორმებს. საბო-

⁴⁶ П. Кроссер, Экономические фикции, гл. 257.

ლოდ კი იგი მიდის იქამდე, რომ უარყოფს საერთოდ ეკონომიური მეცნიერების არსებობას.

პოლიტეკონომია, ი. შუმპეტერის აზრით, წარმოადგენს არა მეცნიერებას, არამედ ცუდად კოორდინირებულ გამოკვლევათა აგლომერატს. აქ ი. შუმპეტერი ერთში აუცილებლად სწორია. სახელდობრ, ვულგარეკონომია მართლაც სხვადასხვა აპოლოგეტურ დოგმათა შენარევი, ანუ აგლომერატია და, ამრიგად, არ წარმოადგენს მეცნიერებას.

ცხადია, აქ ი. შუმპეტერი გულისხმობს საერთოდ ეკონომიურ მეცნიერებას. იგი ცდილობს მარქსისტულ-ლენინური ეკონომიური მოძღვრების დაკნინებას, ის ხომ მონოპოლისტური ბურჟუაზიის იდეოლოგია⁴⁷. ი. შუმპეტერის ეკონომიური დინამიკის თეორია მინართულია კვლავწარმოების მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების წინააღმდეგ. ი. შუმპეტერი უარყოფს კ. მარქსის მოძღვრებას ბაზისისა და ზედნაშენის შესახებ, უგულვებელყოფს წარმოებით ურთიერთობათა როლს და სიმძიმის ცენტრი გადააქვს „დინამიკური ეკონომიური თეორიის“ შექმნაზე.

ი. შუმპეტერის ეკონომიური დინამიკის დოქტრინაში მთავარია მმართველობითი მოღვაწეობის ფორმები. მას არ უნდა დაინახოს, რომ წარმოების მართვისა და მმართველობის ფორმებს განსაზღვრავს თვით წარმოების წესი.

ხელმძღვანელობის ფუნქცია და მმართველობის ფორმები განისაზღვრება თვით საზოგადოებრივი შრომის ბუნებით, ხოლო ეს უკანასკნელი — საკუთრების ფორმებითა და წარმოებითი ურთიერთობებით.

ი. შუმპეტერისათვის მთავარია „დინამიზმით დაჯილდოებული ინდივიდი“, რომელიც წინ სწევს საზოგადოებას, ე. ი. წარმოადგენს ეკონომიური დინამიკის საფუძველს. დინამიკური ინდივიდი უნდა გამოდიოდეს სტატიკური მდგომარეობის წინააღმდეგ და მიილტვოდეს დინამიზმისაკენ. დინამიზმი აქცევს მეწარმეს ეკონომიურ ხელმძღვანელად — ასეთია ი. შუმპეტერის დასკვნა.

ი. შუმპეტერის ეკონომიური დინამიზმი მიმართულია მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობის პალეოლიბერალური კონცეფციის წინააღმდეგ. ი. შუმპეტერი ქადაგებს ეკონომიური დინამიზმის იდეას და ილაშქრებს სტატიკური ეკონომიური წონასწორობის თეორიის წინააღმდეგ. ი. შუმპეტერი ერთიმეორეს უპირისპირებს სტატიკასა და დინამიკას, სტატიკურ და დინამიკურ თეორიას, სტა-

⁴⁷ Н. Каратаев, Economics — буржуазная политэкономия, 1966, 33. 157.

ტიკურ და დინამიკურ ინდივიდს. რა თქმა უნდა, მისი იდეალია დინამიკური ინდივიდი, დინამიზმი და დინამიკური თეორია.

ი. შუმპეტერი დინამიკური ინდივიდის სანიმუშო მაგალითად ასახელებს ბანკირს, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს „ეკონომიური განვითარების თეორიაში“. დინამიკური ინდივიდის სუბიექტური თეორიის შუქზე განიხილავს იგი ეკონომიურ კატეგორიებს (კაპიტალი, ფული, მოგება, ხელფასი, რენტა, შემოსავალი, სარგებელი და სხვ.).

ი. შუმპეტერის დინამიკურ თეორიაში არ ჩანს ზედმეტი ღირებულება. მოგების წყაროდ გამოცხადებულია ეკონომიური ინდივიდის დინამიზმი. მისი აზრით, დინამიზმი აქცევს ცალკეულ მეწარმეს „ილბლიან ინდივიდად“, „ილბლიან საქმოსნად“, „დინამიკური ილბლიანი საქმოსანი“, — წერს ი. შუმპეტერი. — ყველაფერს აღწევს, ხოლო „სტატიკურად მოაზროვნე — ზარმაცი საქმოსანი“ — განწირულია („ინდივიდუალური ეგოიზმის“ კონცეფცია⁴⁸).

ი. შუმპეტერის მტკიცებიდან გამოდის, რომ მოგებას იღებს მხოლოდ დინამიკურად მოაზროვნე საქმოსანი — ნოვატორი, ხოლო საწარმო, რომელსაც სტატიკურად მოაზროვნე საქმოსანი ხელმძღვანელობს, მოგებისათვის არ მუშაობს. შუმპეტერიანელობაში საერთოდ დიდი ადგილი უკავია კონცეფციას „ნოვატორის“⁴⁹ შესახებ.

ი. შუმპეტერი მოგებას, სარგებელს, რენტას, ხელფასსა და სხვა კატეგორიებს განიხილავს მარკინალიზმის პოზიციებიდან. „შუმპეტერის „ეკონომიური განვითარების თეორიის“ მთლიანი შეფასებისას საკიროა აღიარებულ იქნეს, რომ მისი თეორია წარმოადგენს სუბიექტივიზმს, რომელიც დამანგრეველად ესხმის თავს კლასიკურ პოლიტეკონომიას“⁵⁰ — წერს პ. კროსერი.

ი. შუმპეტერმა შეუტია პალეოლიბერალების მარკინალურ დოქტრინას და მიზნად დაისახა დინამიკური თეორიის შექმნა. „არსებითად ზრდის ბურჟუაზიული თეორიის შექმნა იოზეფ ა. შუმპეტერით დაიწყო“⁵¹. ამ თეორიის ჩამოყალიბება მან სცადა შრომაში⁵²

⁴⁸ იხ. С. Хавина, Критика буржуазных взглядов на закономерности социалистического хозяйствования, 1968, გვ. 62.

⁴⁹ Б. Селлгмен, Основные течения современной экономической мысли, გვ. 470—482.

⁵⁰ П. Кроссер, Экономические фикции, გვ. 285.

⁵¹ Новые явления в современной буржуазной политэкономии, т. 2, გვ. 28.

⁵² J. A. Schumpeter, Theorie der wirtschaftlichen Entwicklung, 5. Auflage, Berlin, 1952.

„ეკონომიური განვითარების თეორია“, რომელიც მეხუთეჯერ 1952 წ. გამოიცა დასავლეთ ბერლინში. სწორედ ამ წიგნშია მოცემული ეკონომიური ზრდის ბურჟუაზიული თეორიის პოსტულატები: „დინამიკური მეწარმე“, „დინამიკურად მოაზროვნე ილბლიანი საქმოსანი“, „ეკონომიური დინამიზმი“, „დინამიკური წონასწორობა“ და სხვ.

ი. შუმპეტერმა შეიმუშავა კონცეფტუალიზაციის თეორია ორი ფორმით: ირაციონალური და რაციონალური კონცეფტუალიზაცია და უძლიერესი დარტყმა მიაყენა ტრადიციული ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის სოციალურ-ეკონომიურ კონცეფტუალიზაციას⁵³. ფაქტიურად მან დეკონცეფტუალიზაციასაც მიმართა იმ გზებით, რომ ხელი მოჰკიდა პალეოლიბერალური ზოგადი ცნებების დანაწევრებას. ი. შუმპეტერის ეკონომიური ზრდის ეკლექტიკურ თეორიაში გამოყენებულია როგორც კონცეფტუალიზაცია, ასევე დეკონცეფტუალიზაცია, კონცეფტუალური კორელატი⁵⁴, კვანტიფიკაცია⁵⁵, აზროვნების ფრაგმენტაცია⁵⁶ და სუბიექტური სკოლის სხვა ხერხები.

ი. შუმპეტერის მოძღვრება ეკონომიური ზრდის შესახებ გავრცელდა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდის ბურჟუაზიულ პოლიტიკური ეკონომიის სკოლებში სხვადასხვა ვარიაციით. ამერიკელი ეკონომისტი ე. ჩემბერლინი პირდაპირ აღნიშნავს, რომ შუმპეტერიანელობის გავლენა ერთობ დიდი იყო. განსაკუთრებით ფართოდაა გამოყენებული ი. შუმპეტერის ეკონომიური დინამიკის დოქტრინა მონოპოლისტური კონკურენციის თეორიაში⁵⁷.

შუმპეტერიანელობა უდევს საფუძვლად ეკონომიური დინამიკის თანამედროვე თეორიებსა და მაკრომოდელებს. ეკონომიური ზრდის (დინამიკის) თეორია ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თეორიაა. მისი წარმომოხება დაკავშირებულია ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ევოლუციასთან.

ჯერ რამდენიმე სიტყვით შევეხოთ თვით ეკონომიური ზრდის თეორიის ევოლუციას.

⁵³ Conceptualization — ზოგადი ცნებების შექმნის გზით შექმენების ხერხი.

⁵⁴ Conceptual correlat — ზოგადი ცნება, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა ზოგად ცნებასთან, მაგალითად: კაპიტალი — წარმოება — შემოსავალი.

⁵⁵ Quantification — მოვლენის რაოდენობრივი გაზომვა, განსაზღვრა.

⁵⁶ Fragmentation of thought — ხერხი, რომელსაც იყენებენ სუბიექტური სკოლის წარმომადგენლები. ისინი აღიარებენ ცნების ამა თუ იმ არაძირითად ნიშანს, მაგრამ უარყოფენ არსებით თვისებას და ამით უგულვებელყოფენ ეკონომიური კატეგორიების ძირითად შინაარსს.

⁵⁷ Э. Чемберлин, Теория монополистической конкуренции, 33. 382—383.

უკვე დავინახეთ, თუ როგორ შეიტანა დინამიზმის ელემენტები ი. შუმპეტერმა სტატიკურ თეორიაში. სწორედ მან შეიმუშავა დებულებები „დინამიკური მეწარმის“, „დინამიკური ინდივიდის“, „დინამიკურად მოაზროვნე სუბიექტის“, „დინამიკური მმართველობისა“ და სხვათა შესახებ.

ფრანგმა ბურჟუაზიულმა ეკონომისტმა ალბერტ აფტალიონმა (1874—1939) დაამუშავა თეორიული ინსტრუმენტი, რომელიც შემდეგ ეკონომიური ზრდის თეორიის ერთ-ერთი ქვაკუთხედი გახდა. ეკონომიური ზრდის თეორია შემდგომ განავითარა თანამედროვე ამერიკელმა ეკონომისტმა ჯ. მ. კლარკმა, რომელმაც დასრულებული სახე მისცა ა. აფტალიონის წამოწყებას.

ეკონომიური ზრდის თეორიის შემდგომი დამუშავება და სრულყოფა დაკავშირებულია შვედი გუსტავ კასელის (1886 — 1944) სახელთან. მან თავის შრომაში „თეორიული სოციალური ეკონომია“ პირველმა სისტემატიზებული სახით ჩამოაყალიბა ბურჟუაზიული მოძღვრება „დინამიკური წონასწორობის“ შესახებ (იგულისხმება კაპიტალისტური სახალხო მეურნეობის „გეგმავზომიერი“ განვითარება). გ. კასელმა თავისი შეხედულება დაზოგვასა და ინვესტიციებს შორის ტოლობის შესახებ გამოხატა ფორმულით $s=i$. ეს ფორმულა შემდგომში გამოიყენა ჯ. მ. კეინსმა, აგრეთვე რ. ჰაროდმა, გ. კასელის ტოლობა იდეიტურია „ზრდის გარანტირებული ტემპის“ პაროდისეული ფორმულისა $Cw.Cr=S$.

რ. ფ. კანმა 1931 წ. შექმნა ეკონომიური ზრდის თეორიის კიდევ ერთი ინსტრუმენტი — მულტიპლიკატორი. მულტიპლიკატორის მექანიზმი კი ეკონომიური ზრდის თეორიის ყოველგვარი მოდელის ძირითადი ელემენტია. ეკონომიური ზრდის თეორიაში მულტიპლიკატორ-აქსელერატორის მექანიზმის გამოყენება დაკავშირებულია ჰაროდის, სამუელსონის, ჰიკსის სახელთან. „ამრიგად, — წერს პ. მაისნერი, — ზრდის თანამედროვე თეორიის ძირეული პრინციპები დამუშავდა დიდი ხნით ადრე ამ თეორიის წარმომადგენელთა ჰაროდისა და დომარის შრომების გამოჩენამდე. მართლაც ეჭვი არაა იმაში, რომ კასელთან ლაპარაკი იყო ცალკეულ, ზოგჯერ ერთობ მომწიფებულ თეზისებზე, ხოლო ჰაროდმა და დომარმა ააშენეს ზრდის თეორიის მთელი შენობა“⁵⁸.

ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ მარქინალიზმის ადგილი დაიკავა ნეომარქინალიზმმა, სტატიკური თეორიისა —

⁵⁸ Новые явления в современной буржуазной политэкономии. т. 2, гл. 30; Bürgerliche Ökonomie im modernen Kapitalismus, Berlin, 1967, гл. 376 — 411.

დინამიკურმა თეორიებმა, მიკროეკონომიისა — მაკროეკონომიამ, პალეოლიბერალიზმისა — კეინსელობამ და შუმპეტერიანელობამ.

პროფ. ლ. ალტერმა (1907—1968) საკავშირო სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც მოსკოვში ჩატარდა 1966 წლის იანვარ-თებერვალში და ბურჟუაზიული ეკონომიური თეორიების კრიტიკას მიჰქმნა, სამ მთავარ ეტაპად დაყო მთელი ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის უახლესი ევოლუცია:

1. გადასვლა ეგრეთწოდებული კლასიციზმიდან კეინსელობისაკენ; 2. გადასვლა ნეოკეინსელობისაკენ — ეკონომიური დინამიკისა და ეკონომიური ზრდის თეორიებზე; 3. თვით ეკონომიური ზრდის თეორიის ევოლუცია, ამ თეორიის შეიარაღება ეკონომეტრიკული კონცეფციებითა და კაპიტალისტური ეკონომიკის რეგულირების ახალი მოდელებითა და დაპროგრამებით. „ამავე დროს, — წერს ლ. ალტერი, — ნეოკეინსური კონცეფციებისა და მოდელების გვერდით ყალიბდება ეკონომიური ზრდის „ნეოკლასიკური“ თეორიაც, რომელიც ახალ საფუძველზე აღადგენს წარმოდგენას კაპიტალისტური ეკონომიკის თვითრეგულირებისა და მისი მყარი წონასწორობის შესაძლებლობის შესახებ“⁹⁹

ჩვენც სწორედ ასეთი თანმიმდევრობით განვიხილავთ ეკონომიური დინამიკის თეორიას. ამასთან ერთად მიგვიჩნია, რომ ეკონომიური ზრდის თეორიას იზიარებენ და ქადაგებენ როგორც პალეოლიბერალები, ასევე ნეოლიბერალები, კეინსელები, ნეოკეინსელები, დინამისტები. მართლაც, ეკონომიური ზრდის პრობლემას ცენტრალური ადგილი უკავია მთელ თანამედროვე ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში. განსაკუთრებით აქტუალური გახდა ეკონომიური ზრდის პრობლემა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მეორე და მესამე ეტაპზე.

უკანასკნელ წლებში ბურჟუაზიულ სოციალურ-ეკონომიურ ლიტერატურაში წინა პლანზეა წამოყენებული სამი ძირითადი და აქტუალური პრობლემა: 1. კაპიტალისტური და სოციალისტური ეკონომიკის შედარებითი ანალიზი და მათი ეკონომიური შეჯიბრების გამოკვლევა; 2. ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების განვითარების გზები; 3. მეურნეობის მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის მაკროეკონომიური პროგრამისა და მოდელის შემუშავე-

⁹⁹ Современный капитализм и буржуазная политическая экономия, гл. 34; Bürgerliche Ökonomie im modernen Kapitalismus, гл. 390 — 399; H. Riese, Gleichgewichtswachstum und optimales Wachstum in der neoklassischen Wachstumstheorie.— „Kyklos“, Hf. XVIII, 1965.

ბის ცდები რათა გაუძღოს კაპიტალიზმმა მეურნეობის მსოფლიო სოციალისტურ სისტემასთან შეჯიბრებას.

განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა ეკონომიური ზრდის პრობლემას ამერიკელ ეკონომისტთა შრომებში. ეკონომიური ზრდა და მეურნეობის განვითარების ტემპები ბურჟუაზიულ ეკონომისტთა კვლევის ერთ-ერთი მთავარი ობიექტია. ამ მხრივ აშშ-ში კვლევა მიმდინარეობს სამი ძირითადი მიმართულებით: 1. არის ცდები, რომ წინასწარ იქნეს განსაზღვრული ეკონომიური ზრდისა და მისი პარამეტრის საჭირო და სასურველი ტემპები; 2. ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების, ეკონომეტრიკისა და მათემატიკური ეკონომიის გამოყენებით ადგენენ ცალკეული კაპიტალისტური ქვეყნისა და მთელი კაპიტალისტური სამყაროს ეკონომიური ზრდის პოტენციურ შესაძლებლობებს, მაკროეკონომიურ მოდელებს, დაეძებენ დაპროგრამების ოპტიმალურ ვარიანტებს; 3. დიდი ყურადღება და ადგილი ეთმობა აქტიური ეკონომიური პოლიტიკის გზებისა და მეთოდების გამოძებნასა და განსაზღვრას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ეკონომიური ზრდის სასურველი ტემპი.

სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ეკონომიური ზრდის პრობლემა ბურჟუაზიულ ეკონომისტთა ყურადღების ცენტრში დგას. კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში სპეციალური კურსები იკითხება ეკონომიური ზრდის საკითხებზე, ხშირად ტარდება სამეცნიერო კონფერენციები, სიმპოზიუმები და კოლოკვიუმები, ქვეყნდება უამრავი წიგნი, კრებული, ცნობარი, სქემა, ტიპური მაკრო-მოდელი და სხვ.

ეკონომიური ზრდის პრობლემებს მიეძღვნა: საერთაშორისო ეკონომიური ასოციაციის კონფერენცია (ჩატარდა იტალიაში 1953 წ., რომელშიც მონაწილეობდა 20 ქვეყნის 60 ეკონომისტი); ამერიკის ეკონომიური ასოციაციის 68-ე ყოველწლიური სესია (ჩატარდა 1955 წ.); „სოციალური პოლიტიკის გაერთიანებამ“ (გფრ) 1958 წ. სპეციალური სხდომა მიუძღვნა საკითხს — „ფინანსური და სავალუტო პოლიტიკის დახმარებით პირობების შექმნა მუდმივი ეკონომიური ზრდისათვის“ და მრავალი სხვა.

„თავისუფალი მეწარმეობის“ პალეოლიბერალი მომხრენი ეკონომიური ზრდის მთავარ მამოძრავებელ ძალად აცხადებენ კერძო მეწარმეობას და თვითმარეგულირებელ ავტომატიზმს. მათი აზრით, აშშ-ისათვის ეკონომიური ზრდის ყველაზე უფრო სასურველი ტემპია 5 % წელიწადში.

კეინსელები, ნეოკეინსელები (დინამისტები) — „რეგულირებადი კაპიტალიზმის“ თეორეტიკოსები, ნაწილობრივ ნეოლიბერალებიც

უარყოფენ საბაზრო ავტომატიზმს და ეკონომიური ზრდის მაღალი ტემპისა და სრული დასაქმების უზრუნველსაყოფად მოითხოვენ სახელმწიფოებრივ ინტერვენციონიზმს (დირიჟიზმს).

თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ამ ორი ძირითად მიმართულებას შორის ეკონომიური ზრდის პრობლემებზე აზრთა უთანხმოება ეხება იმას, თუ, რა უნდა ჩაითვალოს კაპიტალისტური კვლავწარმოების მაღალი ტემპით განვითარების განმსაზღვრელად (წარმოებითი რესურსების მიწოდება, დაზოგვა თუ მოთხოვნა პროდუქციაზე, რეალური ინვესტიციები და ა. შ). მაგალითად, ამერიკელ ნეოკეინსელთა ლიდერმა ე. პანსენმა თავის შრომაში „60-იანი წლების ეკონომიური პრობლემები“ ეკონომიური ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველსაყოფად მოითხოვა სახელმწიფო ინვესტიციებისა და ვალების გადიდება.

ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსები უპირატესობას ანიჭებენ ნეოლიბერალურ დირიჟიზმს, ე. ი. ზომიერ სახელმწიფოებრივ ინტერვენციონიზმს, ხოლო პალეოლიბერალები კვლავ სტატიკური ეკონომიური წონასწორობის (თვითმარეგულირებელი საბაზრო ავტომატიზმი) დაცვის პოზიციებზე დგანან. რა თქმა უნდა, სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში უპირატესობა ნეოკეინსურ პროგრამას ენიჭება.

სავსებით სწორად შენიშნავს ლ. ალტერი, რომ კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში ბურჟუაზიულმა პოლიტეკონომიამ თვითუარყოფის სამი საფეხური განვლო:

1. პალეოლიბერალიზმის Laissez faire კლასიკური კონცეფციიდან მოხდა გადასვლა „ახალი ეკონომიისაკენ“ (კეინსელობა, შუმპეტერიანელობა);

2. კეინსელობასაც გამოუჩინდნენ „უარყოფელნი“. ბურჟუაზიული ეკონომისტების ერთმა ჯგუფმა, უმთავრესად შუმპეტერიანელობის მომხრეებმა და ნეოკეინსელებმა, დაუწყეს კრიტიკა კეინსურ სტატიკურ თეორიას. „კეინსის თეორია, — აღნიშნავს, გ. პაბერლერი, — არსებითად სტატიკური თეორიაა“. სტატიკური წონასწორობის თეორიას კი მან უსაფუძვლო კონცეფცია უწოდა. ამრიგად, მოხდა გადასვლა კეინსური სტატიკური მაკროთეორიიდან ეკონომიური დინამიკისაკენ. აშშ-ში კენედის მთავრობა ეკონომიური ზრდის პროგრამის განხორციელებისათვის იყენებდა კეინსურ სტატიკურ მაკროთეორიას. ჯონსონის მთავრობამ კი იწყო კეინსური მოძღვრებიდან ერთგვარი გადახვევა ნეოკეინსური ეკონომიური დინამიკისაკენ.

3. ეკონომიური დინამიკის თეორიაც ვერ შევლის საქმეს. არის

ცდები იმისა, რომ მოხდეს გადასვლა ეკონომიური დინამიკიდან ზრდის უახლეს ნეოკლასიკურ (ნეოკეინსურ) მოდელზე, „ეკონომიური ზრდის თეორია კაპიტალიზმის გადარჩენის ბურჟუაზიული აბოლოგეტიკის მორიგი ცდაა, ამჯერად ორი მსოფლიო სისტემის რეალური ეკონომიური შეჯიბრების პირობებში“⁸⁰.

ეკონომიური ზრდის თეორიას ქადაგებს თანამედროვე ბურჟუაზიულ-რეფორმისტული პოლიტიკური ეკონომია. ყველა სკოლასა და მიმართულებას აქვს საკუთარი ვარიანტი, რომელთა მიზანია კაპიტალიზმის გაჯანსაღება, „უკრიზისო“ კაპიტალისტური კვლავ-წარმოების მაკროეკონომიური მოდელის შექმნა. ეკონომიური ზრდის ბურჟუაზიულ-რეფორმისტული მოძღვრება თავისი არსით ეკლექტიკური დოქტრინაა, რომელიც რამდენიმე ერთტიპური ვარიანტით გამოდის. ეკონომიური ზრდის ყველა ბურჟუაზიულ-რეფორმისტული თეორია ერთტიპურია იმიტომ, რომ ისინი საათვეს იღებენ შუმპეტერიანელობიდან. ეკონომიური ზრდის ბურჟუაზიულ თეორიას საფუძველი ჩაუყარა ი. შუმპეტერმა. ამ საკითხზე ვრცელი მოხსენება აქვს გაკეთებული ჰ. მაისნერს ბერლინის 1960 წ. სამეცნიერო კონფერენციაზე.

3. მაისნერი თავის მოხსენებაში „ეკონომიური ზრდის ბურჟუაზიული თეორიის კრიტიკა“ დეტალურად განიხილავს ამ თეორიის გენეზისს, ჩამოყალიბებასა და გავრცელებას. „უკვე 30-იან წლებში, — წერს იგი, — და განსაკუთრებით ომისშემდგომ პერიოდში, აღმოცენდა გამოკვლევათა ახალი დარგი, რომელიც შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ზრდის კვლევა, ანუ ზრდის თეორია“⁸¹.

ეკონომიური ზრდის ბურჟუაზიული თეორია გვევლინება სამი ძირითადი მიმართულების სახით: 1. ზრდის საკუთრივ ეკონომიური თეორია, რომელიც იკვლევს კვლავწარმოების პრობლემებს (რ. ჰაროდი, ე. დომარი), 2. ზრდის ინსტიტუციონალური თეორია, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ისტორიული განვითარების ტენდენციებზე. ეს მიმართულება ცნობილია აგრეთვე ზრდის თეორიის სოციოლოგიურ-ინსტიტუციონალურ მიმდინარეობად (უ. როსტოვი, ლუსი), 3. „დინამიკის თეორია“, რომელიც გვევლინება, როგორც „ეკონომიური ზრდის“ დანართი ციკლის პრობლემების განხილვისას (რ. ჰაროდი, ე. ჰანსენი, ჰუდვინი, პ. სამუელსონი).

ეკონომიური ზრდის თეორიის მომხრეთა ამ სამ მიმართულებას

⁸⁰ Л. Альтер, Буржуазная политэкономия США, гл. 717.

⁸¹ Г. Мейснер, Критика буржуазной теории экономического роста. — «Новые явления в современной буржуазной политэкономии», т. 2, гл. 24.

შორის არის ერთგვარი განსხვავება, რომელიც ეხება ნიუანსებს. მათ აერთიანებს ერთი ამოცანა და ძიზანი — კაპიტალისტური ეკონომიკის გაჩანსაღება, გაახალგაზრდაეება. ყველა ამ თეორიაში ცენტრალური ადგილი უკავია კვლავწარმოების ტემპების პრობლემას.

ბურჟუაზიული ეკონომისტები სხვადასხვაგვარად განმარტავენ თვით ეკონომიური ზრდის ცნებას. მაგალითად, ეკლი და ღერნბურგი აღნიშნავენ, რომ ეკონომიური ზრდა ნიშნავს მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის მუღდმივად გაღდიდებას. ე. ჰანსენის აზრით, ეკონომიური ზრდა არის წარმოების გაფართოების განსაზღვრული ტემპების შენარჩუნება. რ. პაროღი კი „ბუნებრივი“ ეკონომიური ზრდის ქვეშ გულისხმობს ეკონომიკის განვითარების ისეთ ტემპს, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა და რესურსების სრულ დასაქმებას.

პ. მაისნერი თავს უყრის ეკონომიური ზრდის ყველა განმარტებას და აღნიშნავს, რომ ეკონომიური ზრდის ქვეშ იგულისხმება მოსახლეობის ერთ სულზე ეროვნული შემოსავლის გაღდიდება. ეკონომიური ზრდის თეორია ცდილობს იმ ფაქტორების დაღგენას, რომლებიც განსაზღვრავენ ასეთ ეკონომიურ ზრდას.

ეკონომიური ზრდის მიზანი, ნ. კაღღორის აზრით, „მღგვობა იბაში, რომ აჩვენოს გარეშეეკონომიურ ცვლაღდა არსი, რომლებიც საბოლოო ანგარიშით განსაზღვრავენ სახალხო მეურნეობაში წარმოების საერთო ღონის ზრდის ტემპს და ამით მიუახლოვდეს საკითხის გადაწყვეტას იმის შესახებ, თუ რატომ იზრდება ზოგიერთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია სხვებზე უფრო სწრაფად“⁶².

ეკონომიური ზრდის პრობლემას ეთმობა პ. სამუელსონის წიგნის „ეკონომიკა“ 35 — 36-ე თავები. „ძიუხეღაღად იმისა, რომ ეკონომიური ზრდა წარმოშობს პრობლემებს, ის, — წერს პ. სამუელსონი, — არსებითად დამაღმედებელია“⁶³. ამის შემღდეგ პ. სამუელსონი იძლევა ეკონომიური ზრდის საზომის განსაზღვრას. მისი აზრით, „ეკონომიური ზრდის უკეთეს მზომს წარმოადგენს რეალური საერთო ეროვნული პროღდუქტი“⁶⁴.

ვ. პოღმანი და სხვა „ღინამისტები“ წინა პღანზე აყენებენ „ღინამიკურ წონასწორობას“. ამ ცნების ქვეშ ისინი გულისხმობენ სხვა-

⁶² Новые явления в современной буржуазной политэкономии, т. 2, гл. 25.

⁶³ П. Самуэльсон, Экономика, ИЛ, 1964, гл. 793.

⁶⁴ იქვე, გვ. 792.

დასხვა სახალხომეურნეობრივი სიდიდეების თანაბარზომიერ ზრდას. „დინამისტი“ ე. დომარი „დინამიკური წონასწორობის“ ქვეშ გულისხმობს კაპიტალისტური კვლავწარმოების ჰარმონიულ და აღმაველ პროცესს, რა თქმა უნდა, ეკონომიური კრიზისებისა და დეპრესიების გარეშე, დროის ხანგრძლივ მონაკვეთში. „ეკონომიური ზრდის კვლევის ძირეულ პრობლემას, — წერს ე. ჰოფმანი, — წარმოადგენს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მიღწეულ იქნეს ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ეკონომიკის მაქსიმალურად სწრაფი და მუდმივი ზრდა; ან უფრო ზუსტად, მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით რეალური სოციალური პროდუქციის მაღალი და თავისი ტენდენციით მუდმივი ზრდის ტემპი“⁶⁵.

ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა, სოციოლოგებმა, ეკონომეტრიკოსებმა შეიმუშავეს ეკონომიური ზრდის მრავალი მოდელი და ფორმულა. ტემპის, ანუ ზრდის ნორმის ქვეშ⁶⁶ ლონდონის უნივერსიტეტის ეკონომიური სტატისტიკის პროფესორ რ. ალენს ესმის წარმოებულის შეფარდება ფუნქციასთან. თავის წიგნში „მათემატიკური ეკონომია“ რ. ალენი იძლევა „ზრდის შეფარდებით სიჩქარეს“. აქ იგი იშველიებს აქსელერატორისა და მულტიპლიკატორის თეორიებს. „მულტიპლიკატორისა და აქსელერატორის ერთობლივ მოქმედება წარმოშობს პროდუქციის გამოშვების და შემოსავლის განუწყვეტელ და პროგრესირებულ ზრდას. ეს დებულება, — წერს რ. ალენი, — დადგენილ იქნა ლუნდბერგის მიერ, ხოლო განავითარა ჰაროდმა და დომარმა“⁶⁷.

ეკონომიური ზრდის ფორმულა, დინამისტების აზრით, უპასუხებს კითხვაზე: როგორ შეიძლება კაპიტალისტური ეკონომიკის განუწყვეტელი, უკრიზისო განვითარება და დინამიკური წონასწორობა (წონასწორობა მოძრაობა-განვითარებაში)? „ამისათვის ვქმნით ჩვენ საუკუნოვანი ეკონომიური ზრდის თეორიას, რომელსაც ყურადღება გადააქვს მოკლევადიანი აღმავლობის განმსაზღვრელი ურთიერთობებიდან, — წერს დუპრიცი.... უპირველეს ყოვლისა, — განაგრძობს იგი, — საჭიროა საბოლოოდ ჩამოყალიბდეს ძირითადი კანონი: ეკონომიურ ზრდას აქვს უზარმაზარი გაქანება; იგი დამოკიდებულია საუკუნეობრივ ურთიერთობებზე, მაგრამ თვითონ იწვევს და საუკეთესო უნარი აქვს გადალახოს ყველა ის გარდამავალი შეუსაბამობა, რომელთა შესახებ ასე ბევრს ფიქრო-

⁶⁵ W. G. Hoffmann, *Wachstumsprobleme der Wirtschaft*, გვ. 55.

⁶⁶ rate of Growth.

⁶⁷ P. A. Лейн, *Математическая экономия*, ИЛ, 1963, გვ. 75.

ბენ ადამიანები. ჩვენ ვსწავლობთ მხოლოდ საუკუნოვან ურთიერთობებს, რომლებიც შეიძლება გაგებულ იქნეს განვითარების მხოლოდ ძლიერ ხანგრძლივი პერიოდის ფარგლებში“⁶⁶.

მიუხედავად ასეთი რიხიანი განცხადებისა, კაპიტალისტური წარმოება კვლავ ციკლურად ვითარდება და სტაგნაციურ მდგომარეობაშია, რომელსაც თვით დინამისტებიც (მაგალითად ე. ჰანსენი) ვერ უარყოფენ. კაპიტალისტური კვლავწარმოებისა და დაგროვების ბუნებას განსაზღვრავს თვით კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობანი. ამაზე ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი და აქ აღარ გავიმეორებთ.

თვით დირიჟისტი ე. ჟამსი სინანულით დასძენს, რომ, მართალია, სტატიკური წონასწორობა დაძლეულია, მაგრამ დინამიკური წონასწორობის დამყარება და განუწყვეტელი ეკონომიური ზრდის მოდელის შექმნა ყველაზე უფრო ძნელ ამოცანად იქცაო.

ბურჟუაზიული ეკონომისტი კ. ბოულდინგი ყველა ზომას იღებს იმისათვის, რომ სტატიკური წონასწორობიდან პრაქტიკულად მოხდეს გადასვლა „დინამიკურ წონასწორობაზე“. იგი წერს: „ეკონომიური სისტემა შეიძლება მიგვეჩინა დინამიკურად გაწონასწორებულად მაშინ, თუ მისი საერთო სიმდინდრენი (აღამიანებიც და მატერიალური რესურსები) შეიცვლებოდნენ მუდმივი სიდიდით (ამდენი და ამდენი პროცენტით წელიწადში) და თუ წარმოებისა და მოხმარების ნორმა იმ საგნებზე, რომლებიც ამ რესურსებში შედიან, გაიზრდებოდა პარალელურად“⁶⁷.

კ. ბოულდინგის იდეა კაპიტალისტური კვლავწარმოებისა და მოხმარების ჰარმონიულობის შესახებ მიუღწეველი ოცნებაა. თვითონაც ატყობს ამას და მიუთითებს, რომ მისი დებულება დინამიკური წონასწორობის შესახებ სრულყოფილი არაა. გ. ჰაბერლერი წერს: „კეინსის სისტემა სრულიად სტატიკურია, პაროდის სისტემას ჯერ კიდევ არა აქვს სრულყოფილად დინამიკური ხასიათი: მას შემოაქვს აქსელერაციის დინამიკური პრინციპი“⁶⁸.

კ. ბოულდინგმა, ე. ჟამსმა, ი. შუმპეტერმა, გ. ჰაბერლერმა და მათმა თანამოაზრეებმა კარგად იციან, რომ მთელი კაპიტალისტური სისტემის „ჰარმონიული, პროპორციული და დინამიკური ეკონომიური ზრდის“ უზრუნველყოფა შეუძლებელია. ყოველ შემთხ-

⁶⁶ „Zeitschrift für Nationalökonomie“, Bd. XV, Hf. 1—2, 1955, გვ. 181.

⁶⁷ K. E. Boulding, *Economic Analysis*, London, 1940, გვ. 769.

⁶⁸ Г. Хаберлер, *Прцветание и депрессия*, гв. 475.

ვეკაში, გ. ჰაბერლერის განცხადებით, მთელი კაპიტალისტური სისტემის დინამიკური ეკონომიური ზრდის უზრუნველყოფა შორეული წარსულის იდეალია. „საერთო დინამიკური თეორია, — წერს გ. ჰაბერლერი, — რომელიც მოიცავს ეკონომიური სისტემის მრავალ დეტალს როგორც ერთიან მთელს, მოგვაგონებს სამყაროს წარმოშობის ლაპლასის ცნობილ ფორმულას. ასეთ ფორმულას, რომელსაც ხელთ აქვს მონაცემები სამყაროს ეკონომიკის მდგომარეობის შესახებ რომელიმე ცალკეული მომენტისათვის (ან დროის მოკლე მონაკვეთში), ადამიანის გონებისათვის შეეძლო მიეცა შორეული წარსულის ეკონომიურ მოვლენათა მსვლელობის აღდგენისა და შორეულ მომავალში მისი ევოლუციის წინასწარხედვის შესაძლებლობა; ასეთი თეორიით შეიარაღებული გონებისათვის „არაფერი არ იქნებოდა განუსაზღვრელი და, როგორც მომავალი, ასევე წარსული წარსდგებოდა მისი ხედვის წინაშე“ (ლაპლასი).

მაგრამ ყველა აღიარებს, — განაგრძობს გ. ჰაბერლერი, — რომ ეს არის შორეული, მიუღწეველი იდეალი⁷¹.

ეკონომიური ზრდის პრობლემებსა და თეორიას დიდი ადგილი უკავია თანამედროვე სოციალ-ეკონომიურ ლიტერატურაში და ეკონომიურ მოძღვრებებს შორის. გამოთქმულია მრავალი მოსაზრება და შექმნილია უამრავი კონცეფცია, მაგრამ ისინი რჩებიან ქალაღზე. ამ თეორიის პრაქტიკული გამოყენება, მისი გავლენა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური პოლიტიკისა და პროგრამების შედგენაზე ერთობ უმნიშვნელოა. ცხადია, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს ამ თეორიას არავითარი დანიშნულება არ აქვს. ეკონომიური ზრდის თეორია უმთავრესად ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის იდეოლოგიური ფუნქციის შესრულებას ემსახურება. ეს სრულიად ბუნებრივია.

ეკონომიური ზრდის დოქტრინას იდეური ნათესაობა აქვს სხვადასხვა ბურჟუაზიულ-რეფორმისტულ თეორიებთან, პირველ რიგში კი კონიუნქტურათმცოდნეობასთან. ამასთან დაკავშირებით დასავლეთგერმანელი ეკონომისტი ე. პრაიზერი წერდა, რომ კონიუნქტურათმცოდნეობის პრობლემები, რომლებიც წინათ „განკერძობულად არსებობდნენ, დღეს ეკონომიური ზრდის თეორიას ერწყმინან“⁷².

თანამედროვე ბურჟუაზიულ-რეფორმისტულ ეკონომიურ ლი-

⁷¹ Г. Хаберлер, Процветание и депрессия, гл. 480.

⁷² E. Preisner, Nationalökonomie heute, S. 118.

ტერატურაში⁷³ არის იმის ცდები, რომ ი. შუმპეტერის, რ. ჰაროდის, ე. ღომარის, უ. როსტოვისა და სხვათა ეკონომიური ზრდის კონცეფცია დაუახლოვონ კ. მარქსის გაფართოებული კვლავწარმოების თეორიას. ზოგიერთი ბურჟუაზიული ეკონომისტი საერთოს დაუძებს კ. მარქსის მოძღვრებასა და ეკონომიური ზრდის ბურჟუაზიულ თეორეტიკოსებს შორის საზოგადოებრივი კვლავწარმოების საკითხებზე. „თანამედროვე ეკონომისტები, არამარქსისტები: კი. — წერს ე. ჟამსი, — განიხილავენ მარქსის მიერ გასულ საუკუნეში ან უფრო ადრე კლასიკური სკოლის ფუძემდებლების მიერ დასმულ პრობლემებს“⁷⁴. სწორედ აქ ცდილობს ე. ჟამსი ხილვას გადებას კვლავწარმოების მარქსისტულ მოძღვრებასა და ეკონომიური ზრდის თანამედროვე ბურჟუაზიულ თეორიას შორის, შეუერივებლად შერიგებას.

ეკონომიური დინამიკის ზოგიერთი თეორეტიკოსი პირდაპირ აცხადებს, რომ თითქოს ეკონომიური ზრდის ბურჟუაზიულ-რეფორმისტული თეორიის იდეური მამა კ. მარქსია. აშკარა დემაგოგიასა და დიფამაციასთან გვაქვს საქმე. ბურჟუაზიული ეკონომისტი ფ. ჰოლი ტოლობის ნიშანს სვამს კ. მარქსის კვლავწარმოების მოძღვრებასა და ეკონომიური ზრდის თეორიას შორის. მისი აზრით, კ. მარქსი არის დინამისტთა (ი. შუმპეტერის, რ. ჰაროდის, ე. ღომარის და სხვ.) წინამორბედი და იდეური მამამთავარი⁷⁵.

ეკონომიური ზრდის ბურჟუაზიული თეორია სათავეს იღებს არა კ. მარქსიდან, არამედ ი. შუმპეტერის მოძღვრებიდან, შუმპეტერიანელობიდან. ამრიგად, კვლავწარმოების მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას არავითარი საერთო არ აქვს ეკონომიური ზრდის ბურჟუაზიულ-რეფორმისტულ თეორიასთან. ბურჟუაზიულ ეკონომისტთა ცდა კ. მარქსის გაფართოებული კვლავწარმოების თეორიასა და ეკონომიური ზრდის ბურჟუაზიულ დოქტრინას შორის იდეური შემკვიდრებობითობის დამტკიცების შესახებ მოცლებულია მეცნიერულ საფუძველს. იგი მიზნად ისახავს თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის „დუზაპოლოგეტიზაციისა“ და „გამეცნიერულების“ იდეის დამტკიცებას.

ეკონომიური ზრდის ბურჟუაზიული თეორია წარმოიშვა, ჩამოყალიბდა და გავრცელდა ი. შუმპეტერის, ჯ. მ. კლარკის, გ. კასელის,

⁷³ Б. Селигмен, Основные течения современной экономической мысли, гл. 478.

⁷⁴ Э. Жамс, История экономической мысли XX в., гл. 497.

⁷⁵ V. L. Holy, Über die Zeitgebundenheit der Kreislauftheorien von Quesnau, Marx und Keynes. Zürich, 1957, гл. 151.

რ. კანის, რ. ჰაროდის, ე. დომარის, უ. როსტოვის, კ. კლარკის, ჯ. რობინსონისა და სხვ. შრომებში ჩამოყალიბებული დებულებების საფუძველზე¹⁶.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირველ ეტაპზე მთავარი ყურადღება ექცეოდა ეკონომიური ზრდის თეორიის შენობის აგებას. ამ შენობის აგება დასრულდა ჰაროდ-დომარ-ჰანსენის შრომებში. 40 — 50-იან წლებში კი ეკონომიური ზრდის თეორიაზე დაყრდნობა იწყეს ეკონომიური ზრდის მიკრო- და მაკრომოდელების შექმნა. ამ საქმეში აქტიურად ჩაებნენ მათემატიკოსები, ინჟინრები და კიბერნეტიკოსები.

ამრიგად, ეკონომიური ზრდის ბურჟუაზიულ-რეფორმისტულმა თეორიამ თავისი განვითარების ორი ეტაპი განვლო. მეორე ეტაპზე ყურადღების ცენტრი გადატანილია ზრდის თეორიის პრაქტიკულ გამოყენებაზე, ეკონომიური ზრდის მოდელების შექმნაზე. როგორც ყოველთვის, ამჟამადაც ეკონომიური ზრდის თეორია ემსახურება თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის იდეოლოგიური და პრაქტიკული ფუნქციის განხორციელებას. რა თქმა უნდა, წინა პლანზეა წამოწეული მისი იდეოლოგიური დანიშნულება — ერთი მხრივ, სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის აპოლოგია და, მეორე მხრივ, ანტიკომუნისმი.

ეკონომიური ზრდის თეორეტიკოსთა (ი. შუმპეტერი, რ. ჰაროდი, ე. დომარი, უ. როსტოვი და სხვ.) კონცეფციების მანკი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ემყარებიან სუბიექტივიზმს, იდეალისტურ ფილოსოფიას და უგულვებელყოფენ ობიექტური ეკონომიური კანონების მოთხოვნებს. მართალია, ეკონომიური ზრდის თეორიის ცენტრალური ადგილი უკავია თანამედროვე ბურჟუაზიულ ეკონომიურ იდეოლოგიაში, მაგრამ მისი პოსტულატები უნიადაგოა. უნიადაგო და უსაფუძვლოა იმიტომ, რომ ეკონომიური ზრდის თეორია, ერთი მხრივ, უარყოფს წარმოების ანარქიისა და კონკურენციის, ეკონომიური კრიზისების კანონების მოქმედებას ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, ხოლო, მეორე მხრივ, უგულვებელყოფს სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერ განვითარებას, როგორც სოციალიზმის ეკონომიური კანონების მოთხოვნას.

ეკონომიური ზრდის თეორია მიზნად ისახავს კეინსელობის („რეგულირებადი კაპიტალიზმის“) გამოყენებას კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მეორე და მესამე ეტაპზე. იგი „რეგულირებადი კაპიტალიზმის“ კეინსური სტატიკური თეორიის თანამედროვე მო-

¹⁶ Bürgerliche Ökonomie im modernen Kapitalismus, გვ. 376 — 377.

დღეიკაციაა და წარმოდგენს ნეოკეინსურ დინამიკურ მაკროეკონომიას. მას აქვს ანტიკომუნისტური მიმართულება. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ბურჟუაზიული ეკონომისტი (მაგალითად, ბ. სელიგმენი) საერთოს დაეძებს კლავწარმოების მარქსისტულ სქემებსა და ეკონომიური ზრდის ბურჟუაზიულ კონცეფციებს შორის. „მარქსისა და შუმპეტერის მიერ დამუშავებული პირველი მოდელები, — წერს ბ. სელიგმენი, — მარტივი კლავწარმოება და წრიული ნაკადი — ერთობ მსგავსია. ორივე სტატიკურ ხასიათს ატარებს: ერთში არაა დაგროვება, ხოლო მეორეში — ნოვატორი“⁷⁷.

ბ. სელიგმენი არასრულად და არასწორად წარმოგვიდგენს კლავწარმოების მარქსისტულ სქემებს.

§ 3. „ეკონომიური ზრდის“ შუმპეტერიანული თეორიის სხვადასხვა ვარიანტები

ეკონომიური ზრდის, ანუ ეკონომიური დინამიკის თეორიამ კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპზე ცენტრალური ადგილი დაიკავა. თანამედროვე ბურჟუაზიულ ეკონომიურ მოძღვრებებში გამოკვეთილად ჩამოყალიბდა „ზრდის პოლიტიკური ეკონომია“, რომლის მთავარი წარმომადგენლები არიან დინამისტები.

ეკონომიური ზრდის, ანუ განვითარების თეორია არაა ერთფეროვანი. მას მრავალი ვარიანტი და შესაბამისი მოდელი აქვს. ბურჟუაზიულ ეკონომისტთა აზრით, ეკონომიური ზრდის ყველა თეორიას საქმე აქვს ოთხი ჯგუფის (ეკონომიური, სოციალური, სულიერი და მორალური) ფაქტებთან, მოვლენებთან.

ფრანგი ბურჟუაზიული ეკონომისტი⁷⁸ა და სოციოლოგის ე. ფურასტიეს განმარტებით ეკონომიურ ზრდას აქვს სამი ფაქტორი: 1. კაპიტალის დაგროვება, ანუ ინვესტიციები, 2. ტექნიკური პროგრესი და 3. მოსახლეობის ზრდა.

უ. ტაიხმანი თავის წიგნში „მოსახლეობისა და მეურნეობის ზრდა“ თავისებურად განიხილავს ეკონომიური განვითარების პრობლემას. იგი ამტკიცებს, რომ არსებობს ალტერნატივა: ან მოსახლეობის, ან ეკონომიური ზრდა⁷⁹. ტაიხმანის თანამოაზრენი ზრდის, ანუ განვი-

⁷⁷ Б. Селигмен, Основные течения современной экономической мысли, гл. 478.

⁷⁸ U. Teichmann, Bevölkerungs- und Wirtschaftswachstum, Köln, 1957, гл. 22.

თარების ბურჟუაზიულ თეორიას ორ სახედ ყოფენ. მაგალითად, ეკლი მიუთითებს, რომ ეკონომიური ზრდის, ანუ განვითარების პირველი ტიპი (სახე) გულისხმობს გადასვლას განუვითარებელი ეკონომიიდან განვითარებულზე. მეორე სახედ კი იგი ასახელებს საკუთრ-ვე განვითარებული ეკონომიკის ზრდას. ასეთი დაყოფის არსი იმაშია, რომ ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნები, როგორც პირველი ტიპი ეკონომიური ზრდისა, კვლავ დარჩენ „მსოფლიო სოფლის“ მდგომარეობაში დიდი ხნით, ე. ი. მიზანი: ნეოკოლონიალიზმის თეორიული დასაბუთება. ეკონომიური ზრდის მეორე ტიპის ქვეშ დინამისტები გულისხმობენ მხოლოდ ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების ეკონომიურ ზრდას.

ეკონომიური ზრდის თეორეტიკოსები — დინამისტები იყენებენ სხვადასხვა ბრკეცებსა და კონცეფციებს: სტაბილიზატორი, აქსელერატორი, მულტიპლიკატორი და სხვ. აქვე საჭიროა მოვიხსენიოთ „ქსელისებური (ობობასებრი) თეორია“⁷⁹, რომელიც უარყოფს ეკონომიკის თვითმარეგულირებელ საბაზრო ავტომატიზმს და აცხადებს, რომ წონასწორობა მოთხოვნა-მიწოდებას შორის შეუძლებელია დამყარდეს ავტომატურად. ამ თეორიის მომხრეთა აზრით, ეს წონასწორობა შეუძლებელია აღდგენილ იქნეს თავისთავად. დინამიკური წონასწორობა (ე. ი. წონასწორობა ეკონომიკის გაფართოებული კვლავწარმოების პირობებში) მოითხოვს და ამართლებს გარედან ჩარევას (ეკონომიურ ინტერვენციონიზმს), ე. ი. უარყოფს პალეოლიბერალურ სტატიკურ (ავტომატურ) წონასწორობას.

„დინამიკური წონასწორობა“ გულისხმობს როგორც მიწოდების, ასევე მოთხოვნის ჰარმონიულ, პროპორციულ ზრდას, მაგრამ ეს შეუძლებელია, ამიტომ დინამისტები თვითონვე აღნიშნავენ დინამიკური წონასწორობის უმყარობას. „ქსელისებური თეორემის“ ეკონომიური აზრი, — წერს ი. ბლუმინი, — მდგომარეობს შემდეგში: თუ მოთხოვნის მრუდი მკვეთრია, ე. ი. თუ ფასების აწევის მოთხოვნა ძლიერ ეცემა, მაშინ გაზრდილი პროდუქციის რეალიზაციისათვის საჭიროა ფასების მნიშვნელოვანი დაწევა“⁸⁰.

„ქსელისებურ თეორემას“ კავშირი აქვს ე. ჰანსენის სტაგნაციისა და ნახევრად სტაგნაციის თეორიასთან. იგი კვლავწარმოების მარქსისტულ-ლენინური თეორიის საწინააღმდეგო მოძღვრებაა და

⁷⁹ Cobweb theorem, აგრეთვე მონტე-კარლოს მეთოდი, თამაშთა თეორია და სხვ. (იხ. М. Старр, Управление производством, 1968).

⁸⁰ И. Блюмин, Кризис современной буржуазной политической экономии, 1959, გვ. 407.

წარმოადგენს „ეკონომიური ზრდის თეორიის“ დამატებას, შეესებას.

ეკონომიური დინამიკის, ანუ ეკონომიური ზრდის თეორიის მრავალი ვარიანტი არსებობს. მათი საფუძველია თეზისი კაპიტალიზმის „ტრანსფორმაციისა“ და „ტრანსფორმირებული — დინამიკური“ კაპიტალიზმის შესახებ. დინამიკური კაპიტალიზმის მოდელის შექმნა — ასეთია ეკონომიური დინამიკის თეორეტიკოსთა (კეინსელების, ნეოკეინსელების, დირიჟისტების, ნეოლიბერალების, დინამისტების) ოცნება. ისინი მხედველობაში იღებენ სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ზრდას და საჭიროდ თვლიან სახელმწიფოებრივი დირიჟიზმის გაძლიერებას.

ეკონომიური დინამიკის თეორეტიკოსები დინამიკური წონასწორობისა და განუწყვეტელი ზრდისათვის აუცილებლად თვლიან გარედან ჩარევას, ბიძგის, იმპულსის მიცემას⁸¹. სწორედ ამ მიზნითაა შემუშავებული ეკონომიური ზრდის მრავალი კონცეფცია და მოდელი: იმპულსის თეორია, ტინბერგენის ქსელისებური თეორემა, სამუელსონის, ჰოუტრის, ჰაროდის, დომარის, პანსენის, ლონტიევის, პაბერლერის, ალენის, სოლოუსა და სხვ. რა თქმა უნდა, ყველა ვარიანტს ჩვენ ვერ განვიხილავთ აქ შევხებით უფრო მთავარსა და ტიპურს, რომლებიც სათავეს უწყუალოდ კეინსელობა-შუმპეტერიანელობიდან იღებენ. ი. ოლსევიჩის განმარტებით, ცალკე (მესამე) მიმართულებას შეადგენს ეკონომიური ზრდის თეორეტიკოსთა ჯგუფი (დომარი, პერუ, ჰაროდი), რომელსაც შუალედური პოზიცია უკავია. ამ ჯგუფიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ჰაროდი, რომელმაც მიზნად დაისახა „დინამიკური კეინსელობის“ შექმნა.

ა) როი ფორბს ჰაროდი (დაიბადა 1900 წ.) — ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ინგლისის სამეფო ეკონომიური საზოგადოების ყოფილი პრეზიდენტი და „ეკონომიური ეურნალის“ რედაქტორი, ეკონომიური დინამიკის გამოჩენილი თეორეტიკოსია. მან მიზნად დაისახა თავისი მასწავლებლის კეინსის სტატიკური თეორიისათვის დინამიკური ხასიათის მიცემა. 1947 — 1950 წლებში ჰაროდი იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დასაქმებისა და ეკონომიური სტაბილურობის საკითხთა კომიტეტის წევრი, 1952 — 1953 წლებში კი საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეკონომიური მრჩეველის თანამდებობა ეკავა.

⁸¹ ამ საკითხზე იხ. გ. კანუცვაძე, ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, თბილისი, 1967, გვ. 122 — 123, 135 — 143, 147 — 163.

რ. ჰაროდი კემბრიჯის სკოლიდანაა გამოსული და შუბლმაგარ კონსერვატორთა ფრთას მიეკუთვნება. იგი ემყარება სუბიექტურ-იდეალისტურ სოციალ-ფილოსოფიას. თავის მეთოდს ჰაროდი ასე განმარტავს: „ეკონომისტის საქმეა მოქმედებასა და მიზნებს შორის კავშირის კვლევა, ხოლო მიზნების განსაზღვრა უნდა ხდებოდეს თვითანალიზის დადგენით“⁸².

ჰაროდის ეკონომიური დინამიკის კონცეფცია „მონეტარიზმის“ ნიმუშს წარმოადგენს. იგი წინა პლანზე აყენებს ფულად-საკრედიტო ფაქტორებს, მიმოქცევის სფეროს. ჰაროდი დიდ ადგილს უთმობს ზრდის პრობლემას. „ზრდის პოლიტიკა, — წერს იგი თავის ბოლო შრომაში „მსოფლიო ფულადი სისტემის რეფორმა“, — თანაშემწეობა პრობლემათა ცენტრში იმყოფება“⁸³. აქვე მიუთითებს იმ კავშირზე, რომელიც, მისი აზრით, არსებობს ეკონომიური ზრდისა და საერთაშორისო სავალუტო სისტემის პრობლემებს შორის. ეკონომიური ზრდის პოლიტიკა, — წერს ჰაროდი, — „მჭიდროდაა დაკავშირებული საერთაშორისო ლიკვიდობის პრობლემასთან. თუ ეს უკანასკნელი არ გადაწყდა, თავისუფალი სამყაროს ენერჯია შეიარყევა“⁸⁴.

თავისი კონცეფცია ეკონომიური დინამიკის შესახებ ჰაროდმა ჩამოაყალიბა შემდეგ შრომებში: „სავაჭრო ციკლი“ (1936), „ეკონომიური დინამიკის თეორიისათვის“ (1948), „დინამიკური ეკონომიკა“ (1949), „ჯონ მენარდ კეინსის ცხოვრება“ (1951), „ეკონომიური ნარკვევები“ (1952), „მსოფლიო ფულადი სისტემის რეფორმა“ (1965). ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ იმ წიგნზე, რომელიც უშუალოდ ეთმობა ეკონომიური ზრდის პრობლემას.

რ. ჰ. ჰაროდის წიგნი „ეკონომიური დინამიკის თეორიისათვის“, რომელსაც ქვესათაურად აქვს „ეკონომიური თეორიის ახალი დასკვნები და მათი გამოყენება ეკონომიურ პოლიტიკაში“, წარმოადგენს ლექციების კურსს. იგი ლონდონის უნივერსიტეტში მოუშადადებია ჰაროდს 1946 — 1947 წლებში, საბოლოო რედაქცია კი 1948 წ. გაუკეთებია. აღნიშნული „ლექციები“ ცალკე წიგნად ლონდონში გამოვიდა 1956 წელს.

წიგნი შედგება ხუთი განყოფილებისაგან (ლექციისაგან): ლექცია პირველი — „ეკონომიური დინამიკის თეორიის აუცილებლო-

⁸² P. Φ. Харрод, К теории экономической динамики, гл. 79.

⁸³ R. Harrod, Reforming the World's Money, London, Macmillan, 1935, гл. 178; O. Morgenштерн, О точности экономико-статистических наблюдений, 1968, гл. 265—291.

⁸⁴ P. Харрод, К теории экономической динамики, гл. 178.

ბა“, ლექცია მეორე — „დაზოგვათა ზომა“, ლექცია მესამე — „დინამიკის ძირითადი თეორემები“, ლექცია მეოთხე: „ა) საგარეო სავაჭრო ბალანსი, ბ) ციკლსაწინააღმდეგო პოლიტიკა“, ლექცია მეხუთე — „აუცილებელია სარგებელი?“ წიგნს დანართის სახით თან ერთვის ჰაროდის სტატიები, რომლებიც გაზეთმა „ტიმსმა“ გამოაქვეყნა 1946 წლის 7 — 8 თებერვალს.

ამ წიგნში გატარებულია აზრი იმის შესახებ, რომ შეიძლება დაძლეულ იქნეს ეკონომიურა სტაგნაცია და სტატიკური მდგომარეობა, თუ შეიქმნება ეკონომიური დინამიკის სრულყოფილი თეორია. ჰაროდი, ჰანსენის მსგავსად, აღიარებს კაპიტალისტური ეკონომიკის სტაგნაციას. მათი ეკონომიური დინამიკის თეორიაც სტაგნაციის ნეგაციისათვისაა გამიზნული. „ამ ლექციებს, — წერს ჰაროდი, — საფუძვლად უდევს აზრი იმის შესახებ, რომ ადრე თუ გვიან ჩვენ უნდა შევეჭახნოთ სტაგნაციის პრობლემას და ეკონომისტებს სახელდობრ ამაზე მოუხდებათ მთავარი ყურადღების მიქცევა“⁴⁵.

ჰაროდის ეკონომიურა დინამიკის თეორია არ უარყოფს თავისუფალ მეწარმეობას. მეტიც. მისა აზრით, კერძო კაპიტალისტური მეწარმეობა თვით ადამიანის არსებიდან გამომდინარეობს. ადამიანი „თავისი ბუნებით ინდივიდუალიატა“ — აღნიშნავს ჰაროდი. მართალია, იგი ქადაგებს ეკონომიური დინამიკის თეორიას, მაშასადამე, სახელმწიფოებრივ დირიჟიზმსაც, მაგრამ გამოდის ტოტალიტარული დირიჟიზმის წინააღმდეგ, ის თავის თავს უწოდებს ანტი-ტოტალიტარისტსა და დემოკრატიის დამცველს. მისი აზრით, კერძო მეწარმეობა ნიშნავს დემოკრატიას, ხოლო ტოტალიტარიზმი — თავისუფლების ლიკვიდაციას.

ამრიგად, ჰაროდის ეკონომიური დინამიკის თეორიის სოციალურ დანიშნულებას შეადგენს კაპიტალისტური წარმოების დაცვა და ანტიკომუნისმი (ანტიტოტალიტარიზმი).

ჰაროდი აკრიტიკებს კეინსური თეორიის სტატიკურობას, მაგრამ იყენებს კეინსელობის კატეგორიებს („დაზოგვა“, „თავშეკავება“, „ერთობლივი მოთხოვნა“, „საერთო დასაქმება“ და სხვ.) და ფსიქოლოგიურ მეთოდს. მთელ ეკონომიურ თეორიას იგი ყოფს სტატიკად (მარტივი კვლავწარმოება) და დინამიკად. ამ უკანასკნელის ქვეშ იგი გულისხმობს წარმოების მყარ და ჰარმონიულ გაფართოებას ხანგრძლივი პერიოდისათვის (გაფართოებული კვლავწარმოება). ჰაროდის წიგნში ლაპარაკია სტატიკური და დინამიკუ-

⁴⁵ P. Харрод, К теории экономической динамики, гл. 37.

რი წონასწორობის შესახებ. იგი მახვილს აკეთებს დინამიკურ წონასწორობაზე, თუმცა არც სტატიკურ წონასწორობას უგულებელყოფს. „სტატიკური წონასწორობა, — წერს ჰაროდი, — სრულიადაც არ ნიშნავს უქმად ყოფნის მდგომარეობას, პირიქით, იგი გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, როცა წარმოება გრძელდება ყოველდღე. ყოველწლიურად, მაგრამ მისი მოცულობა არც ფართოდება და არც მცირდება“⁸⁶.

ანრიგად, სტატიკური წონასწორობის ქვეშ ჰაროდი გულისხმობს მართაც კვლავწარმოებას, ხოლო დინამიკური წონასწორობის ქვეშ — გაფართოებულ კვლავწარმოებას. „დინამიკაში კი, — წერს ჰაროდი, — პირიქით, თვით ძირითადი პირობები იცვლებიან“⁸⁷.

ეკონომიური ზრდის კეინსური კონცეფცია, ჰაროდის განმარტებით, სტატიკურია, ხოლო მისი საკუთარი — „დინამიკური თეორიაა“. თვით ჰაროდის ეკონომიური დინამიკის თეორიაც სუბიექტივისტური ბუნებისაა. ჰაროდის ეკონომიური დინამიკის თეორიის მიხედვით ეკონომიურ განვითარებას საფუძვლად უდევს ორი ძირითადი ფაქტორი: 1. მოსახლეობის ზრდა და 2. მოსახლეობის ერთ სულზე პროდუქციის წარმოების გადიდება. მესამე ფაქტორად იგი აახელებს დაგროვილი კაპიტალის ოდენობას.

ჰაროდის ეკონომიური დინამიკის თეორიაში თითქმის უგულებელყოფილია კვლავწარმოების ელემენტების კავშირი კაპიტალისტური წარმოებისა და განაწილების რეალურ სტრუქტურასთან. მიუხედავად ამისა, ჰაროდის ეკონომიური ზრდის თეორია საინტერესოა იმიტომაც კი, რომ იგი აღიარებს კაპიტალისტური კვლავწარმოების სტაგნაციურ მდგომარეობას, ზრდის ტემპების დაცემას, შეუსაბამობას საწარმოო ძალთა განვითარების შესაძლებლობასა და ფაქტიურ ზრდას შორის. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ჰაროდი განასხვავებს ზრდის ფაქტიურ ტემპსა (g) და ბუნებრივ ტემპს (gn). მას შემოაქვს აგრეთვე ახალი ფსიქოლოგიური კატეგორია — ზრდის გარანტირებული ტემპი (gw), ანუ მეწარმეობრივი წონასწორობის (დინამიკური წონასწორობის) ტემპი.

ჰაროდის დინამიკური წონასწორობა გულისხმობს წარმოების ზრდის მყარ ტემპს, განუწყვეტელ გაფართოებულ კვლავწარმოებას (ე. წ. „ზრდის მყარი ტემპი“), მაგრამ ფაქტები უარყოფენ ჰაროდის კონცეფციის ობიექტურ რეალობას. თვით ჰაროდიც აღიარებს ამას ნაწილობრივ. იგი მიუთითებს, რომ ეკონომიური დინა-

⁸⁶ P. Харрод, К теории экономической динамики, гл. 41.

⁸⁷ იქვე, გვ. 42.

შიკის თეორია ჯერ კიდევ არაა შემუშავებული და დასრულებული. „ჩემი რწმენით, — წერს ის, — ეკონომიური თეორიის პროგრესი შეიძლება განხორციელდეს იმ ზომით, რა ზომითაც იგი გადაიქცევა ეკონომეტრიკად. მაგრამ ეკონომეტრიკას უნდა ჰქონდეს კვლევის სათანადო იარაღები. კეინსური ცნებები მისთვის არაა საკმარისი. ამიტომ წარმოიშობა დინამიკის ცნებათა ფორმულირებისა და დინამიკის ზოგადი პრინციპების მინიმუმის დადგენის მკვეთრი საჭიროება“⁸⁸.

ცხადია, ეკონომიური ზრდის ჰარონდისეული თეორია ძირფესვიანად არ უარყოფს კეინსელობასა და შემუშავებულია პირიქით, მასში გამოყენებულია ეკონომიური მარკინალიზმისა და კეინსიზმის იდეები. მაგალითად, ჰარონდი წერს: „დინამიკის თეორია კვალდაკვალ მიჰყვება სარგებლის დონის განუწყვეტელი დაცემის კონცეფციას“⁸⁹. სწორედ ამიტომ ის მოითხოვს სარგებლის ნორმის გეგმაზომიურ შემცირებას და ამას მიიჩნევს უმნიშვნელოვანეს დონისძიებად. თავისი წიგნის ბოლოში ჰარონდი ჩამოთვლის ციკლსაწინააღმდეგო საშუალებებს (სარგებლის ნორმის დაწვევა, ბუფერულ მარაგთა შექმნა, საზოგადოებრივი სამუშაოები, რევოლუცია აზროვნებაში და სხვ.). აქ წინა პლანზე კვლავ სარგებლის დონის დაწვევის კეინსური რეცეპტია, თუმცა მას შენიშვნის გარეშე არ ღებულობს. „მე ვეჭვობ იმაში, — წერს იგი, — რომ სარგებლის ნულოვან დონეს შეუძლია გადატრიალება მოახდინოს წარმოების ჩვენა მეთოდებში“⁹⁰.

ჰარონდი დიდ როლს ანიჭებს აგრეთვე მეცნიერებას საერთოდ, განსაკუთრებით კი მათემატიკას, კომპერენტეიკას, ეკონომეტრიკას. იგი მოითხოვს იმას, რომ გონებრივი შრომით დასაქმებული იყოს მხოლოდ მდრდარი ადამიანები, რადგან „მდიდარ ადამიანს უფრო მეტი გონებრივი ენერჯია შეუძლია მიუძღვნას აზრებს მომავლის შესახებ“⁹¹.

ამრიგად, ჰარონდის ეკონომიური დინამიკის თეორია წარმოადგენს კეინსიზმის გაგრძელებას. იგი აკრიტიკებს კეინსის მოძღვრებას მხოლოდ იმისათვის, რომ კეინსის „თეორიას აკლია დინამიკის პრინციპი“⁹². დინამიკის პრინციპები ეკონომიურ თეორიაში შეი-

⁸⁸ P. Харрод, К теории экономической динамики, гл. 53.

⁸⁹ იქვე, გვ. 102.

⁹⁰ იქვე, გვ. 174.

⁹¹ იქვე, გვ. 95.

⁹² იქვე, გვ. 115.

ტანა შუშპეტერმა⁹³ და. ბუნებრივია, ამას იწონებს ჰაროდი. მისი ეკონომიური დინამიკის თეორია მიმართულია სოციალისტური კვლავწარმოების თეორიის წინააღმდეგ, შუშპეტერის მსგავსად, იგი რჩევას აძლევს სოციალისტებს, რომ უარი თქვან თავიანთ „მომაბეზრებელ ტოტალიტარიზმზე“.

ბ) ევსეი დავიდ დომარი (წარმოშობით პოლონელი) გამოჩენილი ამერიკელი ეკონომეტრიკოსია. ჰაროდთან ერთად იგი ითვლება ეკონომიური დინამიკის თეორიის შენობის შემქმნელად. თავისი კონცეფცია ეკონომიური ზრდის შესახებ მან ჩამოაყალიბა წიგნში „ნარკვევები ეკონომიური ზრდის შესახებ“⁹⁴, რომელიც ნიუ-იორკში გამოქვეყნდა 1957 წელს. იგი მიუთითებს, რომ მისი კონცეფცია ემყარება კეინსელობას. ამასთან ერთად დომარიც აკრიტიკებს კეინსელობას. კეინსის თეორია, დომარის აზრით, კვლავწარმოების, დაგროვებისა და ზრდის პრობლემას ცალმხრივად განიხილავს. ეს მართლაც ასეა. ამ შემთხვევაში დომარი საინტერესო მოსაზრებასაც გამოთქვამს დასახელებულ წიგნში. მაგალითად, იგი აღნიშნავს, რომ კაპიტალის დაგროვების, ანუ ინვესტირების პროცესს „ორგვარი (ორადი) ეფექტი“ აქვს. „ინვესტირების პროცესის ამ ორადი ხასიათის მნიშვნელობის ხაზგასმა, — წერს დომარი, — დასაქმების პრობლემისადმი ამ შრომაში გამოყენებული მიდგომის არსს შეადგენს“⁹⁵.

მართლაც, — წერს ლ. ალტერი, — ინვესტიციების ზრდა იწვევს საწარმოო სიმძლავრეთა გადიდებას და ხელს უწყობს წმინდა პროდუქციის გადიდებასაც, რომელიც შემოსავლად გარდაიქმნება. ეს კი წარმოქმნის მოთხოვნის წყაროს.

მიუხედავად ამისა, თვით დომარის ეკონომიური ზრდის თეორიაც არაა სრულყოფილი, რადგან იგი ფორმალურად აკრიტიკებს კეინსელობას. ჰაროდის მსგავსად, მას არ მოსწონს კეინსის სტატიკური წონასწორობა და ცდილობს დინამიკური წონასწორობის დამყარებას. დომარი ცდილობს დინამიზმის პრინციპების შეტანას ეკონომიური ზრდის თეორიაში პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების გაწონასწორებით.

დომარი წინა პლანზე აყენებს დინამიკური წონასწორობის, ეკონომიური ზრდისა და დასაქმების პრობლემას. იგი წერს: „ახ-

⁹³ Bürgerliche Ökonomie im modernen Kapitalismus, გვ. 376.

⁹⁴ E. D. D o m a r, Essays in the theory of Economic Growth, 1957.

⁹⁵ P. X. X ა ფ ი з о в, Критика теорий государственного регулирования капиталистической экономики, 1961, გვ. 94.

ლანდელი ინტერესი ზრდის პრობლემებისადმი შემთხვევითი არაა: ერთი მხრივ, ის უპასუხებს იმის შეგნებას, რომ ჩვენს მეურნეობაში სრული დასაქმება შეუძლებელია ზრდის გარეშე; ხოლო, მეორე მხრივ, გამომდინარეობს თანამედროვე საერთაშორისო კონფლიქტიდან, რომელმაც ზრდა გადააქცია შემდგომი არსებობის პირობად⁹⁶.

დომარი და სხვა მისი თანამოაზრე დინამისტები დიდ იმედებს ამყარებდნენ ეკონომიური ზრდის თეორიაზე, რომელშიც რეალ-ზაციისა და დაგროვების პრობლემა დაყვანილია წარმოების ზრდის საკითხებამდე. პროდუქციის ზრდა, დომარის აზრით, უდრის ინვესტიციების ჯამს გამრავლებულს ამ ინვესტიციათა საშუალო საზოგადოებრივ ნაყოფიერებაზე. დომარმა და ჰაროდმა ეს დებულება წარმოადგინა მათემატიკური განტოლების სახით. მათ კონცეფციაში სიმძიმის ცენტრი გადატანილია მათემატიკურ მეთოდებზე, ხოლო წარმოებისა და კვლავწარმოების ეკონომიური ანალიზი მეორეხარისხოვან როლს ასრულებს. დომარის განმარტებით, კაპიტალისტური კვლავწარმოების პარმონიულობისათვის საჭიროა ინვესტიციათა და შემოსავლების თანაბარზომიერი გადიდება.

დომარის ეკონომიური დინამიკის თეორიაში გამოსავალ პრინციპად აღებულია ინვესტიციები, ხოლო ჰაროდის კონცეფციაში — შემოსავალი. ჰაროდისათვის ძირითად კატეგორიას შეადგენს შემოსავალი და მიდრეკილება დაზოგვისაკენ⁹⁷. ეკონომიური ზრდის თეორიის ორივე ვარიანტი ერთტიპურია და უმეტესად იდეოლოგიურ ფუნქციას ასრულებს. მათ დანიშნულებას შეადგენს აგრეთვე „უკრიზისო“ კაპიტალისტური კვლავწარმოების მოდელის შექმნა.

გ) უ. როსტოვის „ეკონომიური ზრდის სტადიების თეორია“ წარმოადგენს ეკონომიური დინამიკის მოძღვრების სოციოლოგიურ-ინსტიტუციონალურ მიმართულებას.

უ. როსტოვის მოძღვრებას ეკონომიური ზრდის შესახებ აქვს ინსტიტუციონისტური ფესვები. ზრდის თეორიის სოციოლოგიურ მიმართულებას სათავეში ჩაუდგა თანამედროვე ამერიკელი ბურჟუაზიული ეკონომისტი და სოციოლოგი უოლტ უიტმენ როსტოვი. მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ეკონომიური ისტორიის პროფ. როსტოვი იყო პრეზიდენტ კენედის მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში. იგი დიდ როლს ასრულებს აშშ-ის მმართველი წრეების საქმიანობაში. 1961 წ. ბოლოს დაინიშნა აშშ-

⁹⁶ Новые явления в современной буржуазной политэкономии, т. 2; 33. 33.

⁹⁷ იხ. R. Harrod, Dynamische Wirtschaft, Wien, Stuttgart, 1949.

ის სახელმწიფო დეპარტამენტის პოლიტიკის დაგეგმვის საბჭოს მეთაურად. თავისი მოძღვრება „ეკონომიური ზრდის სტადიების“ შესახებ ჩამოაყალიბა შემდეგ შრომებში: „ეკონომიური ზრდის სტადიები, არაკომუნისტური მანიფესტი“⁸⁸, „საბჭოთა გამოწვევა და ამერიკის შეერთებული შტატები“⁸⁹ და სხვ.

როსტოვის კონცეფციას აქვს ანტიკომუნისტური მიმართულება. მისთვის დამახასიათებელია ეკლექტიზმი და სუბიექტივიზმი. ეკონომიური ზრდის სოციოლოგიური ვარიანტიც მიმართულია კვლავწარმოების მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების წინააღმდეგ. ეკონომიური ზრდის მიზეზებსა და ფაქტორებს როსტოვი ხსნის სუბიექტივიზმის პოზიციებიდან. მისი მოძღვრება მკიდრო იდეურ ნათესაობაშია შუმპეტერიანელობა-ფურასტიერიზმთან და, რა თქმა უნდა, ეკონომიური დინამიკის თეორიის სხვა ვარიანტებთან.

ეკონომიური ზრდის როსტოვისებურ სოციოლოგიურ კონცეფციაში გამოყენებულ კატეგორიებს აქვს სუბიექტივისტური არსი. ეკონომიური ზრდის სტადიათა თეორიაში უგულვებელყოფილია წარმოებით ურთიერთობათა როლი და მას აქვს აშკარა ანტიმარქსისტული ბუნება. ამასთანავე როსტოვის კონცეფციაში მოცემულია საზოგადოების ეკონომიური განვითარების ისეთი სქემა, რომელიც პრეტენზიას აცხადებს ზეკლასობრიობასა და ზეისტორიულობაზე. ეკონომიური ზრდის სოციოლოგიური ვარიანტი, რომელსაც როსტოვი ქადაგებს, ჩქმალავს პრინციპულ განსხვავებას კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის და ემსახურება ნეოკოლონიალიზმს. იგი იდეურ საზრდოს აძლევს აგრეთვე „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ ბურჟუაზიულ-რეფორმისტულ დოქტრინას. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ეკონომიური ზრდის სტადიების სოციოლოგიური თეორია ერთობ გავრცელდა და ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი დაიკავა თანამედროვე ბურჟუაზიულ-რეფორმისტულ იდეოლოგიაში. ეკონომიური ზრდის სოციოლოგიური მიმართულების სათავეში დგას აგრეთვე ლუსი.

ამ მიმართულების მეთოდოლოგიას დაწვრილებით აქ აღარ განვიხილავთ, რადგან იგი წარმოადგენს გერმანული ისტორიული სკოლისა და ამერიკული ინსტიტუციონალიზმის „ისტორიული მეო.ოდის“ განვითარებასა და გამოყენებას კაპიტალიზმის საერთო კრი-

⁸⁸ W. Rostow, The Stages of Economic Growth. A non-Communist Manifesto, Cambridge, 1961.

⁸⁹ W. Rostow, Die sowjetische Herausforderung und die Vereinigten Staaten von Amerika. — „Europa-Archiv“, Hf. 11, 1960.

ზისის მესამე ეტაპზე¹⁰⁰. „თუ ეკონომიური ზრდის პირველი ფორმა, პაროდისა და დომარის მოდელები, არსებითად წარმოადგენენ, მართალია, ზოგიერთი ცვლილებითა და შესწორებით, კეინსის თეორიის გაგრძელებას, როსტოვისა და ლუსის შრომები, თუ განვიხილავთ მათ მეთოდოლოგიურ პოზიციებს, წარმოადგენს შმოლერის, ზომბარტის და ამერიკული ინსტიტუციონალიზმის სკოლების „ისტორიული მეთოდის“ მრავალი ელემენტის განვითარებას“¹⁰¹.

სინამდვილეში მართლაც ადვილია იმ თეორიული და მეთოდოლოგიური კავშირის დადგენა, რომელიც არსებობს ინსტიტუციონალურ-ისტორიული სკოლისა და როსტოვის ეკონომიური ზრდის სტადიების ანტიმარქსისტულ სქემებს შორის. ორივეში უგულვებელყოფილია მარქსისტული მოძღვრება საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების განვითარების შესახებ.

ამრიგად, ეკონომიური ზრდის სოციოლოგიური ვარიანტიც ადასტურებს იმას, რომ აბსურდულია მტკიცება „მემკვიდრეობით“ კავშირის შესახებ კ. მარქსის კვლავწარმოების თეორიასა და ეკონომიური ზრდის თანამედროვე ბურჟუაზიულ კონცეფციებს შორის. ეს თვალნათლივ გამოაშკარავა ბერლინის საერთაშორისო კონფერენციაზე შევდმა ეკონომისტმა ბ. გ. გუსტაფსონმა თავის მოხსენებაში „მარქსი, როსტოვი და ეკონომიური განვითარების თეორია“.

გუსტაფსონი „ეკონომიური ზრდის სტადიათა“ თეორიას ოთხ მთავარ ნაწილად ყოფს: 1. ეკონომიური განვითარების ხუთ სტადიად დაყოფა, 2. აშშ-სა და სსრ კავშირის ინდუსტრიული ზრდის შედარება, 3. იმპერიალიზმის ანალიზი და 4. საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების გადმოცემა და კრიტიკა.

რომელი „მემკვიდრეობითი“ კავშირის შესახებ შეიძლება ლაპარაკი, როცა თვით როსტოვი განიხილავს თავის „არაკომუნისტურ მანიფესტს, როგორც მარქსიზმის ალტერნატივას“.

¹⁰⁰ ეკონომიური ისტორიის მეოფოლოგიის საკითხზე ვრცელი მოხსენება («Критика современных экономических «теорий» и «школ» в курсе экономической истории») გაეკეთათ საკავშირო სასენციერო კონფერენციაზე, რომელიც თბილისის უნივერსიტეტში ჩატარდა 1966 წლის დეკემბერში. იხ. „Приглашительный билет и протпр:мва Всесоюзного научно-методического совещания по экономической истории“, Издательство Тбилисского университета, Тбилиси, 1966.

¹⁰¹ Новые явления в современной буржуазной политэкономии, ტ. 2, გვ. 456.

ეკონომიური ზრდის სტადიათა თეორეტიკოსები სუბიექტური იდეალიზმის პოზიციებიდან ხსნიან საზოგადოების ეკონომიურ განვითარებას. ამ განვითარების მიზეზებს, საფუძველს ისინი დაეძებენ ადამიანთა თავებში, იდეებში. „ისინი უნდა ვეძებოთ არა სათანადო ეპოქის ფილოსოფიაში, — წერდა ფ. ენგელსი, — არამედ მის ეკონომიკაში“¹⁰².

ისტორიული სკოლის წარმომადგენლები (კ. ბიუხერი, ვ. როშერი, გ. შმოლერი, კ. მენგერი, ვ. ზომბარტი და სხვ.) აპოლოგეტურად ხსნიდნენ საზოგადოების ეკონომიური განვითარების ისტორიას. მაგალითად, მთელ ეკონომიურ განვითარებას კ. ბიუხერი ყოფდა სამ საფეხურად: 1. ჩაკეტილი შინამეურნეობის საფეხური (მეურნეობა გაცვლის გარეშე), 2. საქალაქო მეურნეობის საფეხური (წარმოება მომხმარებლისთვის, ანუ უშუალო გაცვლის საფეხური) და 3. სახალხო მეურნეობის საფეხური (საქონელწარმოება, საქონელგაცვლის საფეხური)¹⁰³.

კ. ბიუხერის ეკონომიური განვითარების კონცეფციამ მიიღო საფეხურების თეორიის¹⁰⁴ სახელწოდება. რომელშიც უგულვებელყოფილია წარმოებით ურთიერთობათა როლი და ადგილი, წაშლილია ზღვარი სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციებ შორის. კ. ბიუხერის საფეხურების თეორიაში ეკონომიური განვითარების განმსაზღვრელაა კრიტერიუმი გაცვლა, გაცვლის წესი.

ფ. ლისტმა (1789 — 1846) კი როსტოვზე დაახლოებით ერთ საუკუნის წინათ წამოაყენა მოძღვრება ეკონომიური განვითარების სტადიების შესახებ. ეკონომიურ ისტორიაში მან დაადგინა განვითარების ხუთი სტადია, თითოეული ამ სტადიის განმსაზღვრელ მომენტად კი გამოაცხადა მეურნეობის ამა თუ იმ დარგის (ან მ-მართულების) განვითარება. მაგალითად ფ. ლისტი აღნიშნავდა საზოგადოების განვითარების ხუთ ისტორიულ სტადიას: 1. ველურობის, ანუ მონადირეობის, 2. მომთაბარე-მესაქონლეობის, 3. მიწათმოქმედების, 4. სამიწათმოქმედო-მანუფაქტურულის და 5. სამიწათმოქმედო-მანუფაქტურულ და კომერციულ სტადიას¹⁰⁵.

ფ. ლისტის მოძღვრება შეითვისა და გააგრძელა ბრ. ჰილდებრანდმა (1812 — 1878). მან ძირითადად მიიღო ფ. ლისტის „ისტორიული მეთოდოლოგია“, თუმცა თავისებურად მოახდინა საზო-

¹⁰² ფ. ენგელსი, ანტი-დიურიზმი, გვ. 316.

¹⁰³ К. Бюхер, Возникновение народного хозяйства, გვ. 71.

¹⁰⁴ Stufentheorie.

¹⁰⁵ გ. კანუ ყვამე, ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწილი 1, 1962, გვ. 54 — 69.

გადოების სამეურნეო განვითარების პერიოდიზაცია. ჰილდებრანდი სამი ფაზის დადგენით დაკმაყოფილდა: 1. ბუნებრივი მეურნეობა (იგულისხმება საშუალო საუკუნეების ნატურალური მეურნეობა). 2. ფულადი მეურნეობა და 3. საკრედიტო მეურნეობა.

ვ. ზომბარტი (1863 — 1941) განასხვავებდა მეურნეობის სამ სისტემას და ამის შესაბამისად მეურნეობის სამ ეპოქას: 1. მოძპოვებელი მეურნეობა (Eigenwirtschaft), 2. ხელოსნობა და 3. კაპიტალიზმი. „მეურნეობის ამ სამ სისტემას, — წერს იგი, — შეესაბამება სამი მეურნეობრივი ეპოქა, რომლებიც ერთიმეორეს მიჰყვებიან ევროპაში უკანასკნელი ათასწლეულის მანძილზე“¹⁰⁶.

ამერიკელმა ბურჟუაზიულმა ეკონომისტმა ჯ. ბ. კლარკმა კიდევ უფრო „გაამარტივა“ მდგომარეობა, — საზოგადოების განვითარება მან ორ პერიოდად დაყო: 1. პირველყოფილი, არაორგანიზებული ინდივიდუალური მეურნეობა და 2. ორგანიზებული წარმოება. რომლის ქვეშ იგი კაპიტალიზმს გულისხმობდა. ნაცვლად საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის მარქსისტული ცნებისა, მაქსველერმა შემოიღო ცნება „იდეალური ტიპები“, ო. შპენგლერმა — „კულტურა“, კ. ტოინბიმ კი — „ცივილიზაცია“.

ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსებმა (ვ. იოკენი, ვ. რეპკე-ფ. ბემი, ა. რიუსტოვი, ლ. აინაუდი და სხვ.) კიდევ უფრო „დააკონკრეტეს“ ისტორიული სკოლის ეკონომიური განვითარების კლასიფიკაცია. მათი აზრით, ყოველთვის არსებობდა ან არსებობს მეურნეობის ორი იდეალური ტიპი: 1. საბაზრო მეურნეობა (თავისუფალი საქონელწარმოება, უმონოპოლიო საქონელწარმოება) და 2. ცენტრალურ-მართული მეურნეობა (ტოტალიტარიზმი, ტრიბალიზმი, პლანიზმი). მეურნეობის პირველი იდეალური ტიპის ქვეშ ნეოლიბერალები გულისხმობენ მონოპოლისტურამდელი ეპოქის საქონელწარმოებას, ხოლო ცენტრალურ-მართული მეურნეობის ქვეშ — მონათმფლობელურ ლატიფუნდიებს, ფეოდალურ მეურნეობას, ნაციისტურ ტოტალიტარიზმსა და გეგმიან სოციალისტურ ეკონომიკას.

ვენის უნივერსიტეტის პროფესორმა მ. კრელმა „სული ჩაუდგა“ კ. ბიუხერის „საფეხურების თეორიას“ და სცადა მისი შეგუება სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის თანამედროვე პირობებთან. მ. კრელის აზრით, არსებობს მეურნეობრივი განვითარების ოთხი საფეხური (ფორმა): 1. შინამეურნეობა 2. საქალაქო

¹⁰⁶ В. З о м б а р т, Современный капитализм, т. I (первый полум), Ленинград, 1924, гл. 13.

მეურნეობა, 3. სახალხო მეურნეობა და 4. მსოფლიო მეურნეობა¹⁰⁷.

„ნაციონალური ეკონომიის“ პროფესორმა ალფრედ ვებერმა წარმოადგინა კიდევ ერთი ახალი კლასიფიკაცია (პერიოდიზაცია): 1. ლოკალურად გადაჯაჭვული სახალხო მეურნეობა, 2. სახელმწიფოებრივად გადაჯაჭვული ეროვნული მეურნეობა, 3. სახელმწიფოებრივად გადაჯაჭვული მსოფლიო მეურნეობა და 4. თავისუფალი მსოფლიო მეურნეობა¹⁰⁸.

შეიძლება კიდევ მრავალი მაგალითის დასახელება, მაგრამ ესეც საკმარისია. ეკონომიურ განვითარებას (ზრდას) ბურჟუაზიული ეკონომისტები, ისტორიკოსები და სოციოლოგები განიხილავენ იდეალიზმის პოზიციებიდან. ამ მხრივ ყველას გაუსწრო როსტოვმა, რომელმაც დაასრულა ეკონომიური ზრდის თეორიის სოციოლოგიური ვარიანტის შენობის აგება. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ როსტოვის ეკონომიური ზრდის სტადიათა თეორიაში ეკონომიური დინამიკის პრობლემა განხილულია ყველაზე უფრო სისტემატიზებულ და მომეცნიერებულ ფორმებში, ეკონომიურ და სოციოლოგიურ-ფილოსოფიურ ასპექტში. როსტოვი ითვლება „განვითარების სოციოლოგიის“ ერთ-ერთ მთავარ თეორეტიკოსად.

კაცობრიობის ისტორიას როსტოვი ყოფს განვითარების ხუთ სტადიად: 1. ტრადიციული საზოგადოება, 2. გარდამავალი საზოგადოება, 3. „ნახტომის“ საზოგადოება, 4. მომწიფებული საზოგადოება და 5. მასობრივი მოხმარების საზოგადოება.

როსტოვის „ხუთი სტადია“ წარმოადგენს საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების მარქსისტული მოძღვრების „გაბათილების“ კიდევ ერთ ახალ ცდას. ეს რომ თვალნათლივ დავინახოთ, ამისათვის საჭირო იქნება მოკლედ მაინც განვიხილოთ ეს „სტადიები“:

1. „ეკონომიური ზრდის პირველი სტადია“, ანუ „ტრადიციული საზოგადოება“ როსტოვის ენაზე არის ფეოდალური საზოგადოება. ამ სტადიის ქვეშ იგი გულისხმობს აგრარულ საზოგადოებას, სადაც უპირატესად განვითარებულია სოფლის მეურნეობა. „ფეოდალური საზოგადოებები, — წერს როსტოვი, — ჩვენს ტერმინოლოგიით არის ტრადიციული საზოგადოებანი“.

სხვას რომ თავი დავანებოთ, როსტოვი თანამიმდევრულ მსჯელობასაც არღვევს. საქმე ისაა, რომ მან მიზნად დასახა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების „გაბათილება“. მაგრამ მარქსიზმი

¹⁰⁷ M. Kröll, Gesellschaft und Staat, Berlin, 1961, 33-273.

¹⁰⁸ A. Weber, Allgemeine Volkswirtschaftslehre, Berlin, 1959, 33-273.

გვასწავლის, რომ ფეოდალიზმამდე არსებობდა პირველყოფილი თემური წყობილება. და მონათმფლობელობაც. ეს კარგად იცის ჩოსტოვმა. აქ „გამოსაველს“ იმაში პოულობს, რომ იშველიებს ნეოლიბერალურ „იდეალურ ტიპებს“ და აცხადებს, რომ „ტრადიციული საზოგადოება“ მოიცავს არა მარტო ფეოდალიზმს, არამედ საერთოდ კაპიტალიზმამდე ისტორიას. ამრიგად, როსტოვის „ტრადიციული საზოგადოება“ აერთიანებს სამ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციას.

„ტრადიციული საზოგადოების“ კრიტერიუმად იგი აცხადებს კაპიტალდაბანდებათა დაბალ დონეს (ეროვნული შემოსავლის 5 პროცენტი) მოსახლეობის ზრდასთან შედარებით.

2. ეკონომიური ზრდის მეორე სტადიას წარმოადგენს გარდაქმვითი საზოგადოება, რომელიც ამზადებს პირობებს ტრადიციული საზოგადოებიდან გამოსვლისათვის. იგი აგრეთვე განსხვავდება ტრადიციული საზოგადოებისაგან კაპიტალდაბანდებათა დონით.

3. ზრდის „მესამე სტადიაზე“ როსტოვი აცხადებს ნახტოკის პერიოდს, რომლის დროს კაპიტალდაბანდება მკვეთრად მატულობს და ეროვნული შემოსავლის 5 პროცენტადან 10 პროცენტამდე იზრდება. „მესამე სტადია“ გრძელდება ორი-სამი ათწლეულის მანძილზე.

4. „ზრდის მეოთხე სტადია“ წარმოადგენს „მომწიფების პერიოდს“, როცა კაპიტალდაბანდებათა ოდენობა ეროვნული შემოსავლის 10 — 20 პროცენტს აღწევს. მეოთხე სტადია როსტოვის გაანგარიშებით დაახლოებით 60 წელიწადს გრძელდება. ასე წარმოიქმნება „მომწიფებული საზოგადოება“, რომლის შემდეგ იწყება მეხუთე სტადია.

5. „ეკონომიური ზრდის მეხუთე სტადიას“ წარმოადგენს „მასობრივი მოხმარების საზოგადოება“. აქ კრიტერიუმად როსტოვი იღებს მოხმარების გადიდებას. მეხუთე სტადიაში აწმ-ი გადასვლას მიმდინარე საუკუნის 20-იან წლებში, დასავლეთ ევროპის ქვეყნები და იაპონია — 50-იან წლებში, ხოლო სსრ კავშირი — 60-იანი წლების დასაწყისში.

ამ „ხუთი სტადიის“ დახასიათებით არ კმაყოფილდება როსტოვი. იგი უფრო „შორს“ მიდის და აყენებს პრობლემას, თუ რა იქნება მეხუთე სტადიის გავლის შემდეგ. როსტოვმა მონაწილეობა მიიღო პრობლემის „როგორი მომავალი ელოდება კაცობრიობას?“ განხილვაში. ამ კითხვას მან უპასუხა კიდევ ერთი ახალი სტადიის, „ეკონომიური ზრდის მეექვსე სტადიის“ აღმოჩენით.

როსტოვმა განაცხადა, რომ მეხუთე სტადიაზე აწმ-ში შემცირ-

დება ინტერესი მასობრივი მოხმარების საგნების შექმნაზე, სამაგეროდ გაიზრდება შობადობის კოეფიციენტი, შეილოსნობა. აი, სწორედ „ზრდის მეექვსე სტადიად“ მან გამოაცხადა „შვილოსნობის პუბის“ პერიოდი. პ. სამუელსონის გაანგარიშების თანახმად, აშშ-სა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში თანამედროვე ეტაპზე არის „ორ-შვილიანი სისტემა“. მეექვსე სტადიაზე კი იგი უნდა შეცვალოს როსტოვის მიერ ნაწინასწარმეტყველებმა „შვილოსნობის პროსპეროტიკა“.

როსტოვის „ეკონომიური ზრდის სტადიათა თეორია“ ემყარება ვულგარულ ეკონომიზმს. მასში უგულვებელყოფილია ძირფესვიანი განსხვავება, რომელიც არსებობს მეურნეობის კაპიტალისტურ და სოციალისტურ სისტემებს შორის. როსტოვის კონცეფცია წარმოადგენს „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ დოქტრინის დამატებასა და შევსებას. სხვათა შორის, სწორედ აქ იმალება კლასობრივი არსი როსტოვის „სტადიათა თეორიისა“, რომელიც მოწოდებულია იმისათვის, რომ კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ქვეყნებს შორის განსხვავების წაშლის გზით დაამტკიცოს, რომ როგორც სოციალისტურ, ასევე კაპიტალისტურ ქვეყნებსაც აქვთ პროგრესული განვითარების პერსპექტივა და, მასთანადამე, კაპიტალიზმი არ წარმოადგენს დრომოკმულ სოციალურ სისტემას¹⁰⁹.

როსტოვის „ეკონომიური ზრდის სტადიათა თეორია“ უსაფუძვლო მეთოდოლოგიურ საყრდენებზე დგას. ამ თეორიის დამახასიათებელი ნიშნები ვ. ს. კაპარინმა ასე ჩამოაყალიბა:

1. „სტადიათა თეორია“ საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების შესახებ მარქსისტული მოძღვრების გაბათილების ერთ-ერთი უახლესი ცდაა.

2. როსტოვის კონცეფციაში მთელი კაცობრიული ისტორია წარმოდგენილია, როგორც „ზრდის ხუთი სტადიის“ გავლის პროცესი;

3. როსტოვის კონცეფციის მეთოდოლოგიური მანიკერების მაჩვენებელია ვულგარული ეკონომიზმი;

4. „ეკონომიური ზრდის სტადიათა თეორიაში“ საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელ კრიტერიუმად აღებულია ინვესტიციათა (კაპიტალდაბანდებათა) დონე;

5. როსტოვი ბურჟუაზიული სოციოლოგიის პოზიციებიდან განიხილავს საზოგადოებრივი პროგრესის მამოძრავებელ ძალებს, მას

¹⁰⁹ В. С. Капурин, Процесс общественного развития и «теория стадий» Уолта Ростоу, 1967, гл. 61; В. И. Михеев, Капитализм или «индустриальное общество»? 1968.

არ ესმის საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა დიალექტიკური კავშირურთიერთობა;

6. „ეკონომიური ზრდის სტადიათა თეორია“, რომელიც როსტოვმა ჩამოაყალიბა, წარმოადგენს „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ დოქტრინის შევსებას. როსტოვი გამოდის როგორც ი. შუმპეტერის, ფ. პერუს, რ. არონის, ე. ფურასტიეს თანამოაზრე. ამას აღასტურებს ის, რომ როსტოვიც დგება კაპიტალიზმის „თვით-ლიკვიდაციის“, კაპიტალიზმისა და სოციალიზმის პიბრიდიზაცია-კონვერგენციის, ეკონომიურ იდეოლოგიათა ინტეგრაციის¹¹⁰ პოზიციებზე;

7. როსტოვის „ეკონომიური ზრდის სტადიათა თეორიის“ არსს შეადგენს „თავისუფალი ინდუსტრიული სამყაროს“ აპოლოგეტიზმი და ანტიკომუნისმი.

დ) კოლინ კლარკი (დაიბადა 1905 წ.) ითვლება ეკონომიური განვითარების ისეთ ბურჟუაზიულ თეორეტიკოსად, რომელიც კეინსიზმის კრიტიკითაც კი გამოდის. იგი კემბრიჯის სკოლის წარმომადგენელია, ამიტომ აკრიტიკებს კეინსელობის ცალკეულ მხარეს.

ცნობილია, რომ კეინსიცი კემბრიჯის სკოლას ეყუთვნოდა. მიუხედავად ამისა, იგი გამოვიდა თავისი მასწავლებლის ა. მარშალისა და ა. პიგუს კრიტიკით. კ. კლარკი ა. პიგუს მოწაფედ ითვლება. მან ა. პიგუსთან ერთად 1936 წ. გამოაქვეყნა წიგნი „დიდი ბრიტანეთის ეკონომიური მდგომარეობა“. კეინსი აკრიტიკებდა პიგუს, მაგრამ პიგუს დაცვითა და კეინსის კრიტიკით გამოვიდა კ. კლარკი, რომელიც თავის თავს კემბრიჯის სკოლის ორთოდოქსიის დამცველად და გამგრძელებლად თვლის. ი. ოლსევიჩი წერს: „საქიროა აღინიშნოს, რომ ვულგარული ბურჟუაზიული ორთოდოქსიის წარმომადგენელი ა. პიგუ იყო ცნობილი კემბრიჯის სკოლის დამაარსებლუს ა. მარშალის პირდაპირი მემკვიდრე. ა. მარშალის მოწაფეა ჯ. კეინსიცი, რომელმაც გაილაშქრა ამ „ორთოდოქსიის“ წინააღმდეგ, რაც წარმოადგენდა კემბრიჯის სკოლის დაშლის გარეგნულ მიზეზს. ამასთანავე უინტერესო არ იქნებოდა იმის აღნიშვნა, რომ თავდასხმის მთავარ ობიექტად კეინსმა სწორედ პიგუ აირჩია“¹¹¹.

ამრიგად, ეკონომიური ზრდის (განვითარების) კლარკისეული რენტერპრეტაცია განსხვავდება ეკონომიური დინამიკის თეორიის იმ

¹¹⁰ об. Н. Мейснер, *Marxismus und Konvergenztheorie*. — „Wirtschaftswissenschaft“, Hf. 5, 1963, зб. 708 — 726.

¹¹¹ Критика теорий современных буржуазных экономистов, 1963,

ვარიანტებისაგან, რომლებსაც კეინსელები და ნეოკეინსელები იცავენ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ კემბრიჯის სკოლის თეორეტიკოსი კ. კლარკი თავისი შეხედულებებით უფრო ახლოს დგას შუშპეტერიანელობასთან. „ეკონომიური ზრდის კეინსურ თეორიებსა და კ. კლარკის კონცეფციას შორის პრინციპული განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ პირველნი ყურადღების ცენტრში აყენებენ „რესურსების დასაქმების“ პრობლემასა და მასთან დაკავშირებულ რეალიზაციის პრობლემას, ხოლო კლარკი — ეროვნული შემოსავლის ზრდისა და განაწილების პრობლემას“¹¹².

კ. კლარკი ოქსფორდის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1928 — 1929 წლებში მუშაობდა ბურჟუაზიული ეკონომისტის ა. იანგის ასისტენტად, 1931 — 1937 წლებში სტატისტიკას ასწავლიდა კემბრიჯში, 1938 — 1952 წლებში იგი ასწავლიდა მეღებურნისა და სიღნეის უმაღლეს სასწავლებლებში, 1958 წლიდან მუშაობდა დარწყო სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად ოქსფორდში. იგი ეკონომიური საზოგადოების გამგეობის წევრია, აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც, 20—30-იან წლებში თავიაი კანდიდატურა წამოაყენა პარლამენტის არჩევნებში, როგორც ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელმა. კ. კლარკს ხელმძღვანელი პოსტი ეკავა ავსტრალიის მთავრობის სხვადასხვა ორგანოებში.

კ. კლარკს მიმდევრებიც ჰყავს, რა თქმა უნდა, კეინსელობის მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან. ეკონომიური ზრდის პრობლემას იგი განიხილავს კეინსელებისაგან (დომარი, ჰაროდი,) განსხვავებით და ძალიან ახლოს დგას ფურასტიერიზმთან. კ. კლარკი მთავარ ყურადღებას აქცევს ეკონომიური ზრდის უზრუნველყოფას ხანგრძლივი პერიოდისათვის. მან ზოგიერთი საინტერესო მოსაზრებაც გამოთქვა კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების საკითხებზე. მართალია, იგი აკრიტიკებს კეინსურ დირიჟიზმს, მაგრამ არ უარყოფს სახელმწიფოებრივი ინტერვენციონიზმის როლსა და მნიშვნელობას: ამ შემთხვევაში მას უკავია ბურჟუაზიული ეკონომეტრიის პოზიციები.

კ. კლარკი ეკონომიური ზრდის უზრუნველსაყოფად დიდ როლს ანიჭებს ტექნოლოგიურ ფაქტორებს და უარყოფს კაპიტალისტური კელავწარმოების ანტაგონისტურ წინააღმდეგობათა გამწვავებას.

კ. კლარკმა წამოაყენა ეკონომიური განვითარების „სტრუქტურული“ კონცეფცია, რომელიც, ჩვენი აზრით, ახლოს დგას როსტო-

¹¹² Критика теорий современных буржуазных экономистов, 1963, гл. 131; C. Clark, Conditions of Economic Progress, 1957.

ვის „ეკონომიური ზრდის სტადიათა“ თეორიასთან. კ. კლარკის განცხადებით, მთელი წარმოება იყოფა სამ სექტორად: 1. სოფლის მეურნეობა, 2. მრეწველობა და 3. მომსახურება. ამის შესაბამისად კ. კლარკი ფიქრობს, რომ თითოეული ქვეყანა გაივლის განვითარების სამ სტადიას: 1. აგრარულს (შრომის ნაყოფიერება ნელა იზრდება ქვეყანაში), 2. სამრეწველოსა (შრომის ნაყოფიერების ზრდა მაქსიმუმს აღწევს) და 3. მომსახურების სფეროს უპირატესი ზრდის სტადიას (შრომის ნაყოფიერების ზრდა კვლავ ნელდება).

კ. კლარკის „სტრუქტურულმა“ კონცეფციამ მიიღო აგრეთვე „ეკონომიური პროგრესის“ დოქტრინის სახელწოდება. ამ კონცეფციის თანახმად ეკონომიური ზრდის ძირითადი მაჩვენებელია რეალური შემოსავლის მატება მოსახლეობის ერთ სულზე.

ეკონომიური ზრდის კლარკისეულ კონცეფციაში ერთიმეორისაგან განსხვავებულია აგრეთვე მოღვაწეობის სამი სფერო: 1. „პირველადი წარმოება“ (მიწათმოქმედება, სატყეო მეურნეობა, თევზჭერა და ა. შ., ე. ი. ის დარგები, რომლებიც დამოკიდებულია ბუნებრივი რესურსების პირდაპირ და უშუალო გამოყენებაზე).

2. კ. კლარკის კონცეფციის შესაბამისად მეორე სფეროს წარმოადგენს სამრეწველო წარმოება, რომლის ქვეშ იგი გულისხმობს წარმოების ხანგრძლივ პროცესს, წარმოებას დიდი მასშტაბით, როცა მიიღება „ტრანსპორტაბელური პროდუქცია“. წარმოების ამ მეორე სფეროს კ. კლარკი განსაზღვრავს როგორც ისეთ პროცესს, როცა ბუნების რესურსები უშუალოდ არ გამოიყენება.

3. „მომსახურების სფეროს“ კ. კლარკი განსაზღვრავს ისე, როგორც ეს მიღებულია საერთოდ თანამედროვე ბუჩქუაზიულ სოციალ-ეკონომიურ ლიტერატურაში. მომსახურება მას მიაჩნია ეროვნული შემოსავლის შემადგენელ ნაწილად, ხოლო მომსახურების სფერო — ეროვნული შემოსავლის შემქმნელ დარგად.

„პროდუქცია, — წერს ფრანგი ეკონომისტი ეან მარშალი, — შედგება მატერიალური დოვლათისა და მომსახურებათაგან, რომლებიც ჩვეულებრივ ბაზარზე გაიცვლებიან“¹¹³. მომსახურების სფეროს გაფართოება, სამმართველო აპარატის მეტისმეტი გაბერვა კ. კლარკს, ე. მარშალსა და საერთოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკას მიაჩნია ეროვნული შემოსავლის გადიდებისა და საერთოდ ეკონომიური ზრდის მაჩვენებლად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის თანახმად

¹¹³ Жан Маршалль, Новые элементы французской системы национальных счетов, Москва, 1967, гл. 115; об. П. Студенский, Доход наций, 1963, гл. 255—285.

ეროვნული შემოსავალი იქმნება „ეკონომიური აქტივობის 11 დარგში“:

1. სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, თევზჭერა, 2. სამთო მოპოვებითი მრეწველობა და ქვისტეხის სამუშაოები, 3. გადამამუშავებელი მრეწველობა, 4. მშენებლობა, 5. ელექტრობა, გაზი, წყალი და სანიტარიის საშუალებანი, 6. ტრანსპორტი, სასაწყობო მეურნეობა, კავშირგაბმულობა, 7. საბითუმო და საცალო ვაჭრობა, 8. ბანკები, დაზღვევა, შემოსავლები უძრავი ქონებიდან, 9. საკუთრება საცხოვრებელზე, 10. სახელმწიფოებრივი მართვა და თავდაცვა, 11. სხვა მომსახურებანი: შინამოსამსახურე, თავისუფალი პროფესიები, სასტუმროები, რესტორნები და ა. შ.

ჟ. კლარკის კონცეფცია ხელოვნურად აღიღებს კაპიტალისტური წარმოების ზრდის ტემპებს. საზოგადოებრივი წარმოების მაღალ ტემპს სოციალისტურ ქვეყნებში და დაბალ ტემპს კაპიტალისტურ ქვეყნებში მისი კონცეფცია ხსნის იმით, რომ სოციალისტური ქვეყნები ეკონომიური განვითარების მეორე სტადიაზე („სამრეწველო განვითარების სტადია“) იმყოფებიან, ხოლო მთავარმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა უკვე გაიარეს ეს სტადია და ამჟამად იმყოფებიან მომსახურების უპირველესი განვითარების (მესამე) სტადიაზე.

ამრიგად, ჟ. კლარკის კონცეფცია ტენდენციურად ხსნის სოციალისტური და კაპიტალისტური კვლავწარმოების პრობლემას და ამართლებს ნეოკოლონიალიზმს.

ეკონომიური ზრდის თეორიის საკუთარი ვარიანტი (ნეოკაპიტალიზმი პლუს „დემოკრატიული სოციალიზმი“) აქვს თანამედროვე რეფორმიზმსა და რევიზიონიზმს, რომელიც ემყარება შუმპეტერის კონცეფციას კაპიტალიზმის „თვითლიკვიდაციისა“ და ნეოკაპიტალიზმის შესახებ.

ე) რობინსონის (დაიბადა 1903 წ.) შემარცხენე კეინსური „ზრდის თეორია“ წარმოადგენს ეკონომიური დინამიკის დოქტრინის რეფორმისტულ ვარიანტს. მასში გამოყენებულია, როგორც კეინსიზმი, ასევე შუმპეტერიანელობა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ შუმპეტერიანელობას იყენებს რეფორმიზმი და რევიზიონიზმი. შუმპეტერიანელობა-კეინსელობის შეხამებას ცდას წარმოადგენს კემბრიჯის უნივერსიტეტის ბურჟუაზიულ-რეფორმისტი ეკონომისტის ჟ. რობინსონის კონცეფცია. იგი აცხადებს, რომ არის კეინსურ-შუმპეტერიანული სოციალიზმის („დემოკრატიული სოციალიზმის“ ნაირსახეობა) მომხრე.

ჟ. რობინსონი შემარცხენე კეინსელთა ფრთას ეკუთვნის. ამიტომ

ბუნებრივია ისიც, რომ ეკონომიური ზრდის საკუთარ კონცეფციას მან საფუძვლად დაუდო „ეფექტური მოთხოვნის“ კეინსური კატეგორია. ცხადია, ეკონომიური ზრდის თეორიის რობინსონისეული ვარიანტიც იგივეა, რაც ზემოაღნიშნული კონცეფციებისა, თუმცა მათ შორის განსხვავებაცაა.

ჟ. რობინსონი დინამიკური წონასწორობის დამრღვევ ფაქტორად მიიჩნევს მონოპოლიების ბატონობას, აგრეთვე ეროვნული შემოსავლის განაწილებაში უთანასწორობას. ამ პოზიციებიდან განიხილავს იგი ეკონომიური ზრდის პრობლემას. შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად, მისი აზრით, უნდა მატულობდეს ხელფაიც და სხვ.

ამრიგად, ჟ. რობინსონის კონცეფცია ეკონომიური ზრდის საკითხებზე ერთგვარად განსხვავდება სხვებისაგან. შეიძლება იმის თქმაც, რომ ეკონომიური ზრდის თეორიის რობინსონისეულ ვარიანტს აქვს ანტიმონოპოლისტური მიმართულება, თუმცა თავისი ბუნებით ისიც ბურჟუაზიულ-რეფორმისტულა ხასიათისაა.

ვ) დინამიკური მოდელის შექმნის პირველი იდეაც ი. შუმპეტერის ეკუთვნის. სწორედ მან „ეკონომიური განვითარების თეორიაში“ წამოაყენა ეს იდეა, ხოლო შემდგომ დაამუშავა თავის „ეკონომიური ციკლებში“. „ყოველგვარი ეკონომიური სისტემის ძირეული პრობლემა — განაცხადა ი. შუმპეტერმა — მდგომარეობს წონასწორობის მოღწევასა და მხარდაჭერაში“¹¹⁴.

მაკროანალიზისა და მაკროეკონომიის შექმნის შემდეგ ყურადღების ცენტრში დადგა ეკონომიური ზრდის თეორიის პრაქტიკული გამოყენების საკითხები, ამ დოქტრინის პრაქტიკული ფუნქციის რეალიზაციის პრობლემა. შეიქმნა და იქმნება უამრავი „ზრდის დინამიკური მოდელი“ (პაროდი, დომარი, სამუელსონი, ჰიკსი, კაბა-დუგლასი, ლეონტიევი, ტინბერგენი, ჰანსენი და სხვ.).

დინამისტები იყენებენ რთულ მათემატიკურ მანიპულაციებს, განტოლებებსა და სქემებს, რათა უზრუნველყონ კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების მაღალი და მყარი ტემპები. ზრდის დინამიკური მოდელები ემყარება კეინსურ კატეგორიებსა და დებულებებს (აქსელერატორი, მულტიპლიკატორი, სტაბილიზატორი და ა. შ.). ყველა მოდელის გამოსავალი განტოლებაა $y=c+i$, სადაც y შემოსავალია, c —მოხმარება, i —ინვესტიციები.

ამ განტოლებაში არ ჩანს ეროვნული შემოსავლის განაწილების

¹¹⁴ Б. Селигмен, Основные течения современной экономической мысли, гл. 473.

ნამდვილი სურათი: $y=c+v+m$. m -ის მიჩქმალვის მიზნით ეროვნული შემოსავალი წარმოდგენილია როგორც მოხმარებისა, რომელიც დაყვანილია ხელფასამდე (L), და მოგების (Q) ჯამი; $y=L+Q$. სადაც L არის ხელფასების ჯამი, ხოლო Q მოგებათა მასაა; $Q=y-L$ —ამ განტოლების დეტალიზაციას ახდენს ა. შტილერი¹¹ და ღებულობს ასეთ განტოლებას: $y=Cu+Cnu+i$. ამ უკანასკნელის მიხედვით სახალხო შემოსავალი,—წერს შტილერი—ტოლია მეწარმეთა მოხმარების (Cu), არამეწარმეთა მოხმარების (Cnu) და ინვესტიციების ჯამისა (i). აქ იკარგება შტილერის განტოლებაში დაქირავებული მუშა და მილიონერი. მათ ადგილს იკავებს „მეწარმე“ და „არამეწარმე“.

მთელი მოგება (Q) აქ გატოლებულია მეწარმეთა მოხმარებისა (Cu) და მეწარმეთა დაზოგვის (Su) ჯამთან: $Q=Cu+Su$. ანალოგიურადაა გაანგარიშებული ხელფასიც: $L=Cnu+i+Snu$, სადაც Cnu არის არამეწარმეთა მოხმარება, ხოლო Snu — არამეწარმეთა დაზოგვა. ამის შემდეგ კეთდება მორიგი მანიპულაცია: ფორმულაში $Q=y-L$ ისმება y -სა ($Cu+Cnu+I$) და L -ის ($Cnu+Snu$) მნიშვნელობები, $Q=Cu+Cnu-I-Cnu+Snu=Cu+i-Snu$.

გამოყენებულია აგრეთვე კეინსური განტოლება $i=s$ (ინვესტიციებისა და დაზოგვის ტოლობა) და სხვ. ამგვარ განტოლებებზე ემყარება დინამიკური მოდელები.

ზრდის დინამიკური მოდელები წარმოადგენს კეინსელობის „სრულყოფის“ ამოცანებს. განსაკუთრებით აქტიურობენ ნეოკეინსელები, რომლებიც წინა პლანზე აყენებენ ეკონომიური ზრდის მაკროეკონომიურ მოდელებს. მაკროეკონომიური მოდელები შეიძლება დაჯგუფდეს სამ ძირითად ტიპად: 1. ციკლის მოდელები, რომლებიც მულტიპლიკატორ-აქსელერატორის სქემებს ემყარებიან (სამუელსონი, ჰიკსი, ჰანსენი, ჰუდვინი), 2. ყიდვა-გაყიდვის ბალანსის მოდელები („ეროვნული ანგარიშების“ ტიპისა), 3. input (დანახარჯები) და output (გამოშვება) ტიპის ბალანსები (ვ. ლეონტიევი, ჰ. ჩენერი, კ. კლარკი და სხვ.).

ასეთი დაჯგუფება, რა თქმა უნდა, პირობითია. თანამედროვე ბურჟუაზიულ ეკონომიურ მოძღვრებებში გვხვდება მრავალი სახის მოდელი (სტატიკური და დინამიკური, ნეოლიბერალური და ტოტალური, ნახევრად ტოტალური, შერეული სახისა და ა.შ.). „ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია განასხვავებს ნაწილობრივ და ტო-

¹¹ A. Stiller, Problemo einer Investivlohnregelung. „Gewerkschaftliche Monatshefte“, Hf. 3, 1965, გვ. 133—139.

ტალურ, სტატიკურ და დინამიკურ, მიკროეკონომიურ და მაკროეკონომიურ მოდელებს. დასაქმების მოკლევადიანი რხევის ანალიზის კინესური მოდელი ხასიათდება როგორც სტატიკური, მაკროეკონომიური ტოტალური მოდელი. მოდელები სხვადასხვა განტოლებები-საგან შედგება. არსებობს დეფინიციური განტოლებები (ეროვნული შემოსავალი უდრის მოხმარება პლუს ინვესტიციები), ტექნიკური განტოლებანი (წარმოების ფუნქცია), ყოფაქცევის განტოლებები (მოხმარების ფუნქცია) და წონასწორობის განტოლებები (მოთხოვნა უდრის მიწოდებას) ¹¹⁶.

დინამისტები უპირატესობას ანიჭებენ მაკროეკონომიურ მოდელს, მაგრამ აღიარებენ, რომ ზრდის მაკროეკონომიური მოდელის შექმნა და ფუნქციონირება ერთობ რთული საქმეა და ბევრ სიძნელეს აწყდება, ვიდრე მიკროეკონომიური მოდელის შემუშავება. თანამედროვე ამერიკელი ეკონომისტი ე. ჩემბერლინი იძლევა საინტერესო ანალოგიას სამხედრო საქმიდან. იგი წერს: „ოცეულის მეთაურის შეცდომა საჭიროებს მხოლოდ და მხოლოდ სწრაფ ბრძანებას „არ ვარაგა!“ არმიის სარდლის შეცდომის გასწორებისათვის ხანგრძლივი მუშაობაა საჭირო“ ¹¹⁷.

არც თუ ცუდი ანალოგიაა. მიკროეკონომიური მოდელი მოიცავს ერთ საწარმოს, ფორმას ან რამდენიმე ერთტიპურ საწარმოს (გაერთიანებას). მაკროეკონომიური მოდელი კი დგება მთელი ქვეყნის ან რამდენიმე ქვეყნის (მაგალითად, „ექვსეულის“) მასშტაბით და მოიცავს აგრეგატულ, გლობალურ სიდიდეებს. შეცდომა და უზუსტობა მაკროეკონომისტის მიერ შედგენილი მოდელის რომელიმე დეტალში გამოიწვევს მთელი მოდელის მოშლას და, რა თქმა უნდა, მასზე აგებული დაპროგრამება და რეგულირება ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდება.

მიუხედავად ამისა, მოქმედებს მაკროეკონომიური მოდელების შექმნის ლაბორატორიები, ინსტიტუტები, „ტენის ტრესტება“. ამ მოდელებიდან გამოყოფენ აქსელერატორ-მულტიპლაკატორის ურთიერთმოქმედებაზე შექმნილ მაკროეკონომიურ მოდელებს. ეს პრინციპი გამოიყენა პ. სამუელსონმა, შემდგომ განავითარა ე. ჰანსენმა, ხოლო „სრულყო“ ჯ. ჰიკსმა ¹¹⁸.

ჯონ რიჩარდ ჰიკსი (დაიბადა 1904 წ.) ოქსფორდის უნი-

¹¹⁶ Новые тенденции в современной буржуазной политической экономии, София, 1965, гл. 80.

¹¹⁷ Э. Чемберлин, теория монополистической конкуренции, ИЛ, 1959, гл. 335.

¹¹⁸ Р. Аллен, Математическая экономия, ИЛ, 1963, гл. 73.

ვერსიტეტის პოლიტეკონომიის პროფესორია. 1926 — 1935 წლებში ლონდონის ეკონომიური სკოლის დოცენტად მუშაობდა, შემდეგ გახდა მანჩესტერის უნივერსიტეტის პროფესორი, სადაც 1946 წლამდე მოღვაწეობდა. 1950 წ. იგი იყო ნიგერიის ბიუჯეტის საკითხთა კომისიის წევრი, ხოლო 1951 წ. მონაწილეობდა ინგლისში შემოსავლებისა და მოგების დაბეგვრის კომისიაში. გამოქვეყნებული აქვს შემდეგი შრომები: „ხელფასის თეორია“ (1932), „ღირებულება და კაპიტალი“ (1939), „წვლილი სავაჭრო ციკლის თეორიაში“ (1950), „მოთხოვნის თეორიის გადასინჯვა“ (1956), „სახალხო მეურნეობის თეორიის შესავალი“ და სხვ. ეს ბოლო შრომა პამბურგში გამოვიდა გერმანულ ენაზე 1962 წ. დასავლეთგერმანელი ნეოლიბერალის პროფ. გ. შმელდერსის რედაქციით. ამ წიგნში ჯ. ჰიკსი იცავს ეკონომიური ზრდის თეორიას და იძლევა საკუთარი მოდელების დახასიათებას.

ჯ. ჰიკსის მოდელებში გამართლებულია „სიდატაკის ჯადოსნური წრის“ ნეოკოლონიალისტური კონცეფცია¹¹⁹. იგი ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებს სთავაზობს ისეთ რეცეპტებს, რომ „მსოფლიო სოფლის“ როლში ტოვებს ახალგაზრდა სუვერენულ ქვეყნებს, რომლებმაც პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვეს.

ჯ. ჰიკსის ეკონომიური ზრდის მოდელი ფარულ ფორმებში ამართლებს ნეოკოლონიალიზმს¹²⁰. ჯ. ჰიკსთან ერთად გამოდიან და „ბალანსირებული ზრდის თეორიას“ იცავენ როსტოვი, ნურქსე, როზენშტაინი და სხვ.

დინამისტებმა შექმნეს სუსტად განვითარებული ქვეყნების ზრდის მრავალი მოდელი, რომლებიც ცნობილია „ბალანსირებული ზრდის მოდელის“ სახელწოდებით. ეკონომიური ზრდის მოდელებიდან შეიძლება დავასახელოთ აგრეთვე სოლოუს მოდელი. ეს უკანასკნელი ემყარება ეილერის ფორმულას და მიზნად ისახავს კაბა-დუგლასის წარმოების ფუნქციის დინამიზაციას. კაბა-დუგლასის წარმოების ფუნქცია ადგენს ფუნქციონალურ კავშირს პროდუქტის რაოდენობასა და წარმოების ფაქტორთა რაოდენობას შორის, რომლებიც საჭიროა ამ პროდუქციის დასამზადებლად. ამ შემთხვევაში ცენტრალური ადგილი უკავია მეთოდს input-output.

¹¹⁹ ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიური ზრდის ბურჟუაზიულ თეორიებს აქ აზ განვიხილავთ. ამ საკითხზე იხ.: გ. ჰიკსი უკვამდე, ვულგარული ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. მესამე, 1964, გვ. 348 — 457, 563 — 582.

¹²⁰ იხ. J. R. Hicks, Einführung in die Volkswirtschaftslehre, 33-71.

საქმეს ვერ შევლის მაკროეკონომიური დინამიკური მოდელები-
სა და სხვადასხვა განტოლებების შექმნა. კაპიტალისტური ეკონომი-
კა კვლავ ციკლურად ვითარდება, ადგილი აქვს ქარბწარმოების ეკო-
ნომიურ კრიზისებს, ნახევრად სტაგნაციასა და სტაგნაციას (ე. ჰან-
სენი).

თანამედროვე ინგლისელმა ეკონომისტმა ა. მედისონმა სპეცია-
ლური გამოკვლევა „ეკონომიური ზრდა დასავლეთის ქვეყნებში“¹²¹.
მიუძღვნა აღნიშნულ პრობლემას.

ამ საკითხებს ეძღვნება აგრეთვე დ. პეიჯის, ფ. ბლეკებისა და
ს. ფროინდის გამოკვლევა „ეკონომიური ზრდა უკანასკნელი ათი
წლის მანძილზე“.

ა. მედისონმა ერთ-ერთ ინგლისურ ჟურნალში 1959 წ. მარტში
გამოაქვეყნა სტატია „ეკონომიური ზრდა დასავლეთ ევროპის ქვეყ-
ნებში“. ა. მედისონმა დაწვრილებით შეისწავლა 12 კაპიტალისტური
ქვეყნის ეკონომიური განვითარება და სცადა მაკროეკონომიური მო-
დელების პრაქტიკული შემოწმება. ა. მედისონმაც აღიარა განვითარ-
ებული კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური განვითარების
სტაგნაციური მდგომარეობა. „ღია ეკონომიური სისტემა, — წერს
ის, — ქმნის ეკონომიური ზრდის როგორც შესაძლებლობებს, ასევე
სიძნელეებს“¹²². აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ა. მედისონი არას-
წორად ხსნის ეკონომიური ზრდის მიზეზებსა და კაპიტალისტური
ეკონომიკის ციკლურ განვითარებას.

ეკონომიური ზრდის პრობლემა არ შეიძლება გადაწყდეს დადე-
ბითად კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობების პირობებში.
მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიური ზრდის თეორია, რომელსაც
საფუძველი ჩაუყარა ი. შუმპეტერმა (და არა რ. ჰაროდმა, როგორც
ამას ამტკიცებს ი. ოსაღჩაია)¹²³, რამდენიმე ათეული წელია არსე-
ბობს, ეს პრობლემა ბურჟუაზიული ეკონომიური იდეოლოგიის ურ-
თულეს პრობლემად რჩება. ეკონომიური დინამიკის პრობლემის
წინა პლანზე წამოწევის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს მეცნიერ-
ულ-ტექნიკური რევოლუცია¹²⁴.

¹²¹ A. Maddison, *Economic Growth in the West*, 1964.

¹²² A. Мэддисон, *Экономическое развитие в странах Запада*, 1967,
გვ. 29.

¹²³ Современный капитализм и буржуазная политическая экономия,
1967, გვ. 155.

¹²⁴ იქვე, გვ. 58.

§ 4. თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და ეკონომიური ზრდის პრობლემები

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ გავლენა მოახდინა მთელ ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაზე, რაც გამოიხატა ზოგიერთი ბურჟუაზიული ეკონომიური მოძღვრებისა და სკოლის აშკარა გაქრობასა და ახალი თეორიების, აგრეთვე მიმართულებათა წარმოშობაში.

ომისშემდგომი პერიოდი ხასიათდება ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით. ადგილი ჰქონდა და აქვს ახალ-ახალ აღმოჩენებსა და გამოგონებას. „კაცობრიობა შედის მეცნიერულ-ტექნიკური გადატრიალების პერიოდში, რაც დაკავშირებულია ატომგულის ენერჯის ათვისებასთან, კოსმოსის ათვისებასთან, ქიმიის, წარმოების ავტომატიზაციის განვითარებასთან და მეცნიერებისა და ტექნიკის სხვა უდიდეს მიღწევებთან“¹²⁵. ამ ფაქტს თავისებურად ხსნის თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკონომია.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ გადატრიალებას თან მოჰყვა „ეკონომიური ზრდის პოლიტიკური ეკონომიის“, „ტექნოლოგიური ეკონომიური მოძღვრების“ და სხვა მიმართულებათა წარმოშობა. ბურჟუაზიულ ეკონომისტთა დიდი ნაწილი ცდილობდა და ცდილობს თანამედროვე კაპიტალიზმის პრობლემების ახსნას მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პოზიციებიდან.

კაპიტალიზმის კანონზომიერებათა ახსნა ტექნიკისა და ტექნიკური პროგრესის ანალიზზე დაყრდნობით პირველად ი. შუმპეტერმა სცადა. სწორედ მან მიზნად დაისაჯა კ. მარქსის ზედმეტი ღირებულების თეორიის „გაბათილება“ მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის მოშველიებით. ცნობილია, რომ მოგების წყაროდ ი. შუმპეტერი აცხადებდა არა დაქირავებული შრომის ექსპლუატაციით შექმნილ ზედმეტ ღირებულებას, არამედ ახალი ტექნიკის შემოღებას, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს.

ამრიგად, ი. შუმპეტერი „ტექნოლოგიურად“ განიხილავდა არა მარტო ზრდის, არამედ ეკონომიური კატეგორიების ბუნებასაც. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ კაპიტალიზმის განვითარების „გრძელ ტალღებს“ იგი ხსნიდა ტექნიკური გამოგონებებით. თითოეული „გრძელი ტალღა“, ი. შუმპეტერის აზრით, შედგება „სამრეწველო რევოლუციისა“ და „მისი მოქმედების შთანთქმის“ პერიოდისაგან. „გრძელი ტალღების“ შუმპეტერიანული თეორია მიმართულია არა მარ-

¹²⁵ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, გვ. 30.

ტო კ. მარქსის კვლავწარმოების თეორიის, არამედ იმპერიალიზმის ლენინური მოძღვრების წინააღმდეგაც. კაპიტალისტური წარმოებისა და კვლავწარმოების „ტექნიკური“ (ტექნოლოგიური) ახლა და წარმოებით ურთიერთობათა უგულვებელყოფა — ასეთია შუმპეტერიანელობის დამახასიათებელი ნიშანი.

კაპიტალისტური წარმოების მამოძრავებელ ძალად ი. შუმპეტერი აცხადებდა ორ ფაქტორს: 1. კერძო მეწარმეობა და 2. ტექნიკური სიახლენი. ტექნიკურ პროგრესში იგი განასხეავებდა გამოგონებასა და ახალ გამოგონებათა წარმოებაში დანერგვას.

ჩერ კიდევ კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირველ ეტაპზე აშშ-ში გავრცელდა ინსტიტუციონალისტ ტ ვებლენის უტოპისტურ-რეაქციული კონცეფცია „ტექნიკოსთა საბჭოს“, სამეცნიერო-ტექნიკურ ინტელიგენციის მეოხებით კაპიტალიზმის ტრანსფორმაციის შესახებ. 20-იან წლებში ჩამოყალიბდა ე. წ. ტექნოკრატიული სკოლა (პოვარდ სკოტი და სტიუარტ ჩეიზი აშშ-ში, ჟიულ ბენდა საფრანგეთში), რომელიც დიდ იმედებს ამყარებდა ტექნიკურ ინტელიგენციაზე.

ი. შუმპეტერი, ტ. ვებლენი, ტექნოკრატიული სკოლა კაპიტალისტური წარმოებისა და კვლავწარმოების პრობლემებს განიხილავდნენ თვით ტექნიკის მოძრაობის ანალიზის საფუძველზე. ცხოვრებამ, ისტორიულმა სინამდვილემ თავდაყირა დააყენა ტექნოკრატიული სკოლების პროგნოზები.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ კვლავ გამოაცოცხლა ტექნოკრატიული მოძღვრებანი, ცხადია, ახალ ფორმებში. ბურჟუაზიულ სოციალ-ეკონომიურ ლიტერატურაში ჩამოყალიბდა „ტექნოლოგიური“ მიმართულება, რომელიც შუმპეტერიანელობის საყრდენებზე დგას. ტექნოლოგიური მიმდინარეობის მომხრეები აცხადებენ, რომ ტექნიკურმა პროგრესმა, მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ გამოიწვია „ეკონომიურ რევოლუცია“, რასაც შედეგად „ახალი ეკონომიური სისტემის“ წარმოშობა მოჰყვა.

ამრიგად, ტექნოლოგიური მიმართულება იმეორებს ი. შუმპეტერისა და მისი თანამოაზრეების კონცეფციას „კაპიტალიზმის ავტომატური ლიკვიდაციის“ შესახებ. ტექნოლოგიური თეორიები აცხადებენ, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია არის „უსისხლო რევოლუცია“, რომელმაც თურმე „XIX საუკუნის მოკლევადიანი კაპიტალიზმი შეცვალა ხანგრძლივი კაპიტალიზმით“. „თანამედროვე კაპიტალიზმი, ფურასტიეს თანახმად, გარდამავალ პერიოდში იმყოფ-

ფება. ესაა არა ეკონომიური და პოლიტიკური, არამედ ტექნიკური გარდამავალი პერიოდი“¹²⁶.

ტექნოლოგიური მოძღვრების დამცველნი აიგივებენ მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციასა და სოციალურ რევოლუციას. ისინი აცხადებენ, რომ აშშ შევიდა „სამადი (სამმაგი) რევოლუციის“ ეპოქაში. თანამედროვე ეპოქას ისინი უწოდებენ სამი ერთდროული რევოლუციის (1. კიბერნეტიკული, 2. რევოლუცია სამხედრო საქმეში და 3. ადამიანთა (ზანგთა) უფლებების რევოლუცია) საუკუნეს.

ტექნოლოგიური მიმართულების დამცველთა აზრით, „სამმაგი რევოლუციის“ გულს შეადგენს ავტომატიზაცია და კიბერნეტიკა. ტექნოლოგიური მიმართულება არაა ერთგვაროვანი. მასში შეიძლება ცალკე გამოვეყოთ მემარცხენე განშტოება, რომელიც ზოგიერთ პროგრესულ, ანტიმონოპოლისტურ და ანტიიმპერიალისტურ მოსაზრებას გამოთქვამს. ტექნოლოგიური მიმართულების ეს მემარცხენე ფრთა აშშ-ში წარმოდგენილია „სამმაგი რევოლუციის სპეციალური კომიტეტის მანიფესტის“ სახით. „უქანასკნელ დროს, — წერს ი. დვორკინი, — ტექნიკური რევოლუციის შედეგად კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გამწვავების გავლენით ამერიკის ეკონომიურ აზრში იწყებს ჩამოყალიბებას ახალი, წერილობურყუაზიული მიმდინარეობა, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში ატარებს პროგრესულ ნიშნებს. იგი წარმოადგენს ტექნოლოგიური თეორიების მემარცხენე ფრთას. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს „სამმაგი რევოლუციის სპეციალური კომიტეტის მანიფესტი“, რომელსაც ხელს აწერენ აშშ-ის რიგი ეკონომისტები და მეცნიერები, რომლებიც თვლიან, რომ „კიბერნეტიკულ რევოლუციას“, საკუთრებრივი ურთიერთობების ცვლილებათა გარეშე, სახელმწიფოებრივი დაგეგმვის შესაბამისი განვითარებისა და დემოკრატიული მეთოდების პირობებში შეუძლია სიღარიბის მოსპობა და „სიუხვის საუკუნის“ მოსვლის უზრუნველყოფა“¹²⁷.

ტექნოლოგიური თეორიების დამცველთა მიმართულების ძირითადი დებულებები ი. დვორკინმა ასე ჩამოაყალიბა:

1. საზოგადოებრივი წყობილების ხასიათს უშუალოდ განსაზღვრავს ტექნიკა. ამიტომ ეს მიმართულება პოლიტიკონომიის კატეგორიებს ტექნიკის უშუალო მოძრაობით განსაზღვრავს, აკეთებს დასკვნას, რომ ტექნიკური პროგრესი იწვევს კაპიტალიზმის თვითლიკვი-

¹²⁶ И. Н. Дворкин, Научно-технический переворот и буржуазная политическая экономия, гл. 93.

¹²⁷ იქვე, გვ. 135.

დაცვის (ავტომატურ ლიკვიდაციას) და ქმნის „ახალ კიბერნეტიკულ საზოგადოებრივ წყობილებას“;

2. ტექნოლოგიური მიმართულება თვლის, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა კაპიტალიზმსა და საწარმოო ძალთა მოძრაობას წორის. ტექნოლოგიური თეორია კაპიტალიზმს განიხილავს მის დიმიკაში;

3. ტექნოლოგიური მოძღვრება აცხადებს, რომ ტექნიკისა და მეცნიერების განვითარება იწვევს: კაპიტალიზმის ტრანსფორმაციას, მისი წინააღმდეგობების აღმოფხვრას, კლასებისა და კლასობრივ ბრძოლის, უმუშევრობის, სიღარიბის, ექსპლოატაციის ლიკვიდაციას;

4. თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტეკონომიის ტექნოლოგიური მიმართულება ემყარება ტექნიკური ფეტიშიზმისა და ტექნიკური ფატალიზმის პოზიციებს. მისი მიმდევრები აცხადებენ, რომ ყველაფერს განსაზღვრავს ტექნიკა, მისი თვითმოძრაობა.

„ამრიგად, — წერს ი. დვორკინი, — ტექნოლოგიურ თეორიას მეთოდოლოგია, მიუხედავად შენაღბვისა, ძირფევიანად განსაზღვრავს მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის მეთოდოლოგიისაგან“¹²⁸. აქ იხიცი უნდა აღინიშნოს, რომ ტექნოლოგიური მართულების მეთოდოლოგია ერთგვარად განსხვავდება ბურჟუაზიული პოლიტეკონომიის სხვა სკოლებისა და მიმართულებათა მეთოდოლოგიისაგან. მართალია, მას კავშირი აქვს შუმპეტერიანელობასთან და ემყარება ამ უკანააქნელს, მაგრამ ამასთანავე უარს აცხადებს სუბიექტური იდეალიზმის მთელ რიგ დებულებებზე და ტექნოლოგიური თეორიების საფუძვლად იღებს მექანიციკურ, მეტაფიზიკურ მატერიალიზმს.

ჩვენ ვერ დავეთანხმებით ი. ნ. დვორკინს იმაში, რომ იგი ერთი-მეორისაგან თიშავს „ეკონომიური ზრდის“, „კაპიტალიზმის ტრანსფორმაციის“, „ტექნოკრატიულ“ და „ტექნოლოგიურ“ (ტექნიკურ) თეორიებს. იგი აცხადებს, რომ ტექნოლოგიური თეორიები არ შექმნის მიეკუთვნოს „ეკონომიური ზრდის“ ან „მათემატიკურ-დინამიკური“ თეორიების რიგს“¹²⁹.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ტექნოლოგიური თეორიები წარმოადგენს შუმპეტერიანელობის გაგრძელებას. შუმპეტერი კი აღიარებულია ეკონომიური ზრდის (დინამიკის) თეორიის ფუძემდებლად.

¹²⁸ И. Н. Дворкин, Научно-технический переворот и буржуазная политическая экономия. გვ. 217

¹²⁹ იქვე, გვ. 238 — 239.

შემდგომი მსჯელობაც დაგვანახებს, რომ ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის ი. ნ. დვორკინის თვალსაზრისი ამ საკითხში საეჭვოა.

რა თქმა უნდა, თვით ტექნოლოგიური მიმართულება, ისევე როგორც საკუთრივ ეკონომიური დინამიკის მომხრეთა მიმდინარეობა, არაა ერთგვაროვანი. თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტეკონომიის „ტექნოლოგიზაციის“ საკითხებზე მუშაობენ კიბერნეტიკოსები, სოციოლოგები, ინჟინრები, სტატისტიკოსები, მათემატიკოსები და ა. შ.

1962 წლის მარტში ნიუ-იორკში ჩატარდა X X I საერთაშორიკული ასამბლეა, რომლის დამაარსებლები არიან ეიზენშაუერი და ჰარისპანი. ხოლო თავმჯდომარეა პ. რისტონი. ასამბლეის მთავარი საკითხი იყო პოლიტეკონომიის „ტექნოლოგიზაციის“ პრობლემა.

ტექნოლოგიურ მიმართულებას მრავალი მიმდევარი ჰყავს. (ე. ფურასტიე, პ. დრუკერი, ფ. პოლოკი, ე. ჩეიზი, ბ. მონსაროვი და ახვ). მისი დამაარსებელია ე. ფურასტიე. ზოგჯერ სოციალ-ეკონომიურ ლიტერატურაში ტექნოლოგიურ მიმართულებას „ფურასტიერაზმადაც“ მოიხსენიებენ. ტექნოლოგიური მიმართულების ნაირსახეობად გვევლინება: „ფურასტიერიზმი“, „მონსაროვის თეორია“, „მეორე სამრეწველო რევოლუციის თეორია“, „ავტომატიზებული ეკონომიკის თეორია“, „კიბერნეტიკული პოლიტეკონომია“, თანამედროვე კაპიტალიზმის კლასებისა და კლასობრივი სტრუქტურის ტექნოლოგიური თეორიები („დებროლეტარიზაცია“, „სტრატეფიკაცია“, „ორი მუშათა კლასის თეორია“ და სხვ.)¹³⁰.

ა) „ფურასტიერიზმი“ ტექნოლოგიური მიმართულების მთავარი მიმდინარეობაა. მისი წარმოშობა და გავრცელება დაკავშირებულია ე. ფურასტიეს სახელთან. ფრანგი ბურჟუაზიული ეკონომისტი და სოციოლოგი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი. პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და საფრანგეთის ეროვნული უმაღლესი სახელოსნო სასწავლებლის პროფესორი ჟან ჟოზეფ ფურასტიე მთავრობის მრჩეველია ეკონომიურ საკითხებზე. იგი არის საფრანგეთის დაგეგმვის მთავარი კომისარიატის ეკონომიური მრჩეველი, 1959 წლიდან თავმჯდომარეობდა დაგეგმვის კომისარიატთან არსებულ სამუშაო ძალის კომისიას.

ჟან ფურასტიე ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტის კოლინ კლარკის თანამოაზრეა. „საფრანგეთში, — წერს ე. ჟამსი, — არავინ არ ეწევა კოლინ კლარკის იდეების პროპაგანდას ისე ფართოდ, როგორც ჟან ფურასტიე“¹³¹.

¹³⁰ И. Н. Дворкин, Научно-технический переворот и буржуазная политическая экономия. გვ. 239.

¹³¹ Э. Жамс, История экономической мысли XX в., გვ. 492.

ბულგარელი ფილოსოფოსი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული ჟურნალის „ნოვო ვრემეს“ მთავარი რედაქტორი ნ. ირიბაჯაკოვი ვრცლად განიხილავს ფურასტიერაზმს თავის შრომაში „მარქსიზმის თანამედროვე კრტიკისებო“. ფურასტიე, — წერს ნ. ირიბაჯაკოვი, — რომელიც პრეტენზიას აცხადებს იმაზე, თითქოს მან შექმნა საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარების ახალი და ამავე დროს პირველი მეცნიერული თეორია, არსებობდა იმეორებს მიანისასა და ბერლის იდეას ე. წ. „ტექნოკრატის შეახებ“¹³².

ამრიგად, ნ. ირიბაჯაკოვის აზრით, ფურასტიერაზმი ბერლას, მინისა და ვებლენის ტექნოკრატიულ დოქტრინას იმეორებს ახალი ვარიაციით და. მაშასადამე, ანლოს დგას სხვა თანამედროვე ბურჟუაზულ ეკონომიურ მოძღვრებასთან. ი. დვორკანი კი, როგორც აღვნიშნეთ, სხვა მოსაზრებით გამოდის. ფურასტიერაზმის წარმოშობა 50-იან წლებში იგი განიხილავს განყენებულად.

ე. ფურასტიეს მრავალი შრომა აქვს გამოქვეყნებული. იგი მიზნად ისახავს „ახალი პოლიტეკონომიის“ შექმნას. ეკონომიურ კატეგორიები მას გამოჰყავს ტექნიკიდან, ტექნოლოგიიდან. თავისი მოძღვრება ეკონომიური ზრდის შესახებ მას გადმოცემული აქვს წიგნში „XX საუკუნის დიდი იმედი“. ამ შრომის თაობაზე ე. ჟამსი წერა: „მთელი მისი წიგნი წარმოადგენს პიპნს ტექნიკური პროგრესისადმი, რომელსაც უკავშირებს იგი ახალი „ოქროს საუკუნის“ დაწყებას. ამ დროს „ას გონებრივ მუშაკზე მოვა მხოლოდ ერთი მუშა“. ე. ფურასტიემ დახატა ბრწყინვალე პერსპექტივა „მესამეული ცივილიზაციისა“, რომლის დროს კაპიტალიზმის ღრმა მანკიერებანი ლიკვიდირებული იქნება: აბსოლუტური რენტა გაქრება, ხოლო მოხმარების ზრდა მნიშვნელოვნად გაძლიერდება“¹³³.

ასე აგებს თავის ახალ ტექნოლოგიურ მოძღვრებას ე. ფურასტიე, რომლის დოქტრინა მეთოდოლოგიური თვალსაზრისითაც განსხვავდება სხვა ბურჟუაზიული თეორიებისაგან. ე. ფურასტიე მიჰყვება ი. შუმპეტერის გზას, ისიც აღიარებს კაპიტალისტური სისტემის კრიზისს, მაგრამ სჯერა კაპიტალიზმის გაჯანსაღება. „იგი ოპტიმისტია და მთავარი ამოცანა, რომელიც დასმულია მის წიგნში, ესაა ამ კრიზისის დაძლევის საშუალებათა მითითება და მასთან დაკავშირებული უიმედობის, დაბნეულობისა და პესიმიზმის გაფანტვა, ადამიანებში „მეოცე საუკუნის დიდი იმედის“ შთაბერვა“¹³⁴.

¹³² Н. Ирб а д ж а к о в, Современные критики марксизма, ИЛ, 1962, 83-864.

¹³³ Э. Ж а м с, История экономической мысли XX в., гл. 493.

¹³⁴ Н. Ирб а д ж а к о в, Современные критики марксизма, гл. 556.

ე. ფურასტიეს წიგნი „მეოცე საუკუნის დიდი იმედი“ გადაითარგმნა გერმანულ ენაზე და გამოქვეყნდა 1954 წელს¹²⁵. ამ წიგნში ეკონომიური ზრდის ფაქტორებს ე. ფურასტიე ყოფს ოთხ ჯგუფად: 1. ეკონომიური, 2. სოციალური, 3. სულიერი (აღზრდა, კულტურა ა. შ.) და 4. მორალური მოვლენები¹²⁶. იგი იზიარებს კ. კლარკის რუქტურულ კონცეფციას და ამ პოზიციებიდან განიხილავს ეკონომიური ზრდის პრობლემას. ეან ფურასტიე, უპირველეს ყოვლიაა, შრომის ნაყოფიერებას თვლის სამ სექტორს შორის არსებულ განპასხვავებელ უმთავრეს კრიტერიუმად: „პირველადი“ სექტორი განახვადება შრომის ნაყოფიერების დაწვეით, „მეორეული“ სექტორი — შრომის ნაყოფიერების ამალეებით, ხოლო „მესამეული“ სექტორი — საერთოდ ნაყოფიერების არარაბობით“¹²⁷.

ე. ფურასტიეს აზრით, პოლიტიკური ეკონომიის ამოცანას შეადგენს ის, რომ იყოს იგი „პრაქტიკული მოღვაწეობის ყოველდღიური სახელმძღვანელო“. ამ პოზიციებიდან (მექანიცისტური მატერიალიზმის) განიხილავს და აკრიტიკებს ე. ფურასტიე სხვადასხვა ბურჟუაზიულ მოძღვრებებს. ერთი შეხედვით რჩება შთაბეჭდილება, რომ სოციალისტების განვითარების პროცესს ფურასტიე განიხილავს რეალისტურად. იგი აკრიტიკებს ტრადიციულ სოციალ-ეკონომიურ მოძღვრებებს და აცხადებს, რომ პოლიტეკონომია ძალიან ჩამორჩა. „ეკონომიურ და სოციალურ მეცნიერებათა ახლანდელი მდგომარეობა — წერს ე. ფურასტიე, — შეესაბამება გალილეის დროის ფიზიკისა და ლაეუაზიეს დროინდელი ქიმიის მდგომარეობას“¹²⁸.

ე. ფურასტიე მიზნად ისახავს სოციალ-ეკონომიურ მეცნიერებათა ჩამორჩენის დაძლევის და აყალიბებს საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების „ახალ თეორიას — ახალ პოლიტეკონომიას“. ე. ფურასტიეს ტექნოლოგიური თეორია იმდენად სქემატურია, რომ მას კრიტიკოსები გამოუჩნდნენ თვით ბურჟუაზიული ეკონომისტების ბანაკიდანაც. მაგალითად, მისი თანამემამულე, დირიჟისტი ე. ჯამსი ფურასტიერიზმის ოპტიმისტურ განწყობილებათა შესახებ წერს: „ამ დიდი დაიმედებით შეიძლება მხოლოდ აღფრთოვანება, მაგრამ ე. ფურასტიეს თეორია ყველა პრობლემას როდი წყვეტს. სამართლიანი იქნებოდა მიგვეცა მისთვის კითხვა: ტექნიკური ზრდის

¹²⁵ J. Fourastié, Die grosse Hoffnung des zwanzigsten Jahrhunderts, 1954.

¹²⁶ იხ. „Zeitschrift für Nationalökonomie“, Bd XV Hf. 1—2 S. 22.

¹²⁷ Э. Жамс, История экономической мысли XX в., гл. 493.

¹²⁸ J. Fourastié, Die grosse Hoffnung des zwanzigsten Jahrhunderts, S. 26.

პროცესს. შეუძლია თუ არა ეკონომიურ სტრუქტურათა ცვლილები-
სა და აგრეთვე ინსტიტუციონალური ფორმების გარდაქმნათა გა-
რეშე განვითარება¹³⁹.

ჟ. ფურასტიეს განსაკუთრებული ადგილი უკავია თანამედროვე
ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში. ეს განსაკუთრებულობა,
ა. პოკროვსკის დახასიათებით, მდგომარეობს იმაში, რომ ჟ. ფურას-
ტიე პოლიტეკონომიის ცრუ ნოვატორია. ფურასტიერიზმიც იდეა-
ლისტურ პოზიციებს ემყარება, მაგრამ ჟ. ფურასტიე თავის იდეა-
ლიზმს ფარავს ვულგარულ-მატერიალისტური ფრაზეოლოგიით. სი-
ნამდვილეში იგი პოზიტივიზმის ნომხრეა. ჟ. ფურასტიე ილაშქრებს
მეცნიერული აბსტრაქციის მეთოდის წინააღმდეგ და ამ უკანასკნელს
უპირისპირებს „ეკონომიური პოზიტივიზმის მეთოდს“. თავისი მე-
თოდის დახასიათება მოცემული აქვს შრომაში „ტექნიკური პროგრე-
სი და ეკონომიური ევოლუცია“.

ჟ. ფურასტიე ეკონომიური პოზიტივიზმის პოზიციებიდან განი-
ზილავს ღირებულებას, ზედმეტ ღირებულებას, მოგებას, ზღვრულ
სარგებლიანობასა და სხვა კატეგორიებს. „ჟ. ფურასტიეს პოზიტი-
ვისტური კონცეფციის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ, ერთი მხრივ,
თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია წაიყვანოს
კაპიტალისტური წარმოების არსებით წინააღმდეგობათა მიღმა, ხო-
ლო, მეორე მხრავ, მოხსნას საკითხი კაპიტალისტური მოგების წარ-
მოშობის შესახებ, აგრეთვე იმაში, რომ ბურჟუაზიული ეკონომის-
ტები გაათავისუფლოს მათთვის დაუძლეველი შრომისაგან, გაა-
ბათილოა მარქსისტულ-ლენინური თეორია“¹⁴⁰.

ჟ. ფურასტიე, ა. პოკროვსკის დახასიათებით, „რეალისტური მი-
მართულებების“ მომხრეა. ამ მიმართულებას მიეკუთვნებიან აგრეთ-
ვე ე. ჟამსი, ფ. პერუ, ჟ. ანტუანი, ა. სოვი და სხვ. ეკონომისტთა ეს
ჯგუფი გამოდის პალეოლიბერალური დოქტრინის, აგრეთვე კეინსე-
ლობისა და ნაწილობრივ ნეოლიბერალიზმის წინააღმდეგაც. რეა-
ლისტური მიმართულება იყენებს ვულგარულ-მატერიალისტურ მე-
თოდს და ასე ხსნის სოციალ-ეკონომიურ მოვლენებს.

ჟ. ფურასტიე იყენებს არა მარტო ი. შუმპეტერის, არამედ ა. აფ-
ტალიონის შეხედულებებსაც. იგი მარქსიზმსაც ელაჭუცება. „საზო-
გადოებრივი პროგრესი, — წერს იგი, — წარმოადგენს არა მიზეზს,

¹³⁹ Э. Ж а м с, История экономической мысли XX в., гл. 493.

¹⁴⁰ А. И. Покровский, Французская буржуазная политическая
экономика, 1961, гл. 51.

არამედ ეკონომიურა პროგრესის შედეგს. კარლ მარქსმა პირველმა გახსნა ეს პრინციპი და ხაზი გაუსვა მის მოშლილობას¹⁴¹.

საზოგადოების სოციალ-ეკონომიური განვითარების განმსაზღვრელ ძალად ფურასტიერიზმში გამოცხადებულია ტექნიკური პროგრესი. „ტექნიკური პროგრესი, — წერს ე. ფურასტიე, — გადატრიალებებს იწვევს თანამედროვე მსოფლიოში ან, უკიდურეს შემთხვევაში, წარმოადგენს ამ გადატრიალებათა უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ძალას“¹⁴².

ე. ფურასტიეს მსჯელობა ერთი შეხედვით მატერიალისტურია, მაგრამ ფურასტიერიზმში უგულვებელყოფილია წარმოებით ურთიერთობათა, კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის, სოციალური რევოლუციის როლი. ამრიგად, უნიადაგოა ტექნოლოგიური მიმართულების ზოგადი წარმომადგენლის ცდა — იდეური ნათესაობა იპოვოს ფურასტიერიზმსა და ისტორიულ მატერიალიზმს შორის. ე. ფურასტიე გამოდის მარქსიზმის წინააღმდეგ. ტექნიკურ პროგრესს იგი განიხილავს ცალმხრივად. მისთვის უცხოა მარქსისტული მოძღვრება წარმოების წესის შესახებ.

ამრიგად, ე. ფურასტიეს მოძღვრება — ფურასტიერიზმი ენათესავება შუშპეტერიანელობას და იცავს კაპიტალიზმის თვითლიკვიდაციის თეორიას, ე. ი. უგულვებელყოფს მარქსისტულ მოძღვრებას სოციალური რევოლუციის შესახებ. იგი იმეორებს ი. შუშპეტერის თვალსაზრისს კაპიტალიზმისა და სოციალიზმის შესახებ. „კაპიტალიზმი, — წერს ე. ფურასტიე, — მთლიანად მოისპობა ტექნიკური პროგრესის შედეგად“¹⁴³. მაშასადამე, ფურასტიერიზმი უარყოფს კლასობრივი ბრძოლის როლსა და მნიშვნელობას და შუშპეტერიანელობის მსგავსად რეფორმისტულ ილუზიებს თესავს საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში. „მონოპოლისტური კაპიტალის ბატონობის პირობებში ტექნიკური პროგრესი მუშათა კლასის წინააღმდეგ წარიმართება. მონოპოლიები იყენებენ ახალ ფორმებს და აძლიერებენ მუშათა კლასის ექსპლოატაციას. კაპიტალისტური ავტომატიზაცია ლუკმაპურს ართმევს მუშას — იზრდება უმუშევრობა და ქვეითდება ცხოვრების დონე“¹⁴⁴.

ე. ფურასტიე ილაშქრებს კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ. იგი უკმაყოფილოა მუშათა გაფიც-

¹⁴¹ J. Fourastié, Die grosse Hoffnung des zwanzigsten Jahrhunderts, გვ. 284.

¹⁴² იქვე, გვ. 291.

¹⁴³ იქვე, გვ. 302.

¹⁴⁴ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, გვ. 30.

ვებით და აცხადებს, რომ მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ ტექნიკური პროგრესის ბაზაზე. პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიებსაც (ღირებულება, მოგება, რენტა, სარგებელი, ფასი და სხვ.) ტექნოლოგიზაციის ტექნიციზმისა და მექანიციზმის პოზიციებიდან განიხილავს. რა თქმა უნდა, ე. ფურასტიე გამოდის წრომითი ღირებულების თეორიის წინააღმდეგ და ამტკიცებს, რომ ღირებულების გაზომვა შეუძლებელიაო. „დასადახია და გაიზომება მხოლოდ ფასები“ — დაასკვნის იგი. „თავის გაანგარიშებებში ფურასტიე უგულებელყოფს ზედმეტ ღირებულებასა და მის როლს ფაქტარპოქმანში“¹⁴⁵.

ე. ფურასტიემ გაუწრო წარმოების სამი ფაქტორის ვულგარული თეორიის დამცველებსაც. მისი მტკიცებით, მოგებას ქმნის ტექნიკური პროგრესი. მეტიც, ტექნიკური პროგრესი მონოპოლიებსაც სპოპსო — აცხადებს ე. ფურასტიე. გამოდის, რომ ფურასტიერიზში უარყოფს იმპერიალიზმის ლენინურ თეორიასაც და საზოგადოებას სთავაზობს საკუთარ „ტექნოლოგიურ ახალ პოლიტიკონომიას“.

ე. ფურასტიე იცავს არა მარტო კაპიტალიზმის, არამედ იმპერიალიზმის „თვითლიკვიდაციის“ კონცეფციასაც. იგი აცხადებს, რომ აშშ-ის მრეწველობამ თავისი განვითარების სამი სტადია განვლო: 1. პერიოდი, როცა მეწარმენა (ფორდა და სხვ.) იყვნენ პიონერება. 2. „ტრესტების ეპოქა“ და 3. „ფინანსური ტრესტების გაქრობა“. აქ იგი იშველიებს კ. კლარკის „სამი სექტორის თეორიას“. „ფურასტიემ ეს დაყოფა გახადა პოლიტიკური ეკონომიის თავისებური „გარდაქმნის“ ერთ პუნქტად, თუმცა იგი აკრიტიკებს კ. კლარკს ამ დაყოფის დამუშავების დროს არათანმიმდევრულობაში. ფურასტიე უსაყვედურებს კლარკს იმაში, რომ იგი სამ სექტორად დაყოფას განიხილავს როგორც სტატისტიკურ-ეკონომიურ დაყოფას, მაშინ როცა საჭირო იყო ტექნიკური პროგრესის თვალსაზრისით მიდგომა“¹⁴⁶.

მიუხედავად იმისა, რომ ე. ფურასტიე უსაყვედურებს კ. კლარკს, მისი კონცეფციაც არაა სწორი, რადგან აქაც განმსაზღვრელ კრიტერიუმად აღებულია მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკური პროგრესი. „ფურასტიეს თეორია შეზღუდული, ერთმხრივი და არამეცნიერულია. რადგან იგი ხედავს საწარმოო ძალთა მხოლოდ ერთ შემადგენელ ნაწილს — წარმოების ტექნიკასა და მის განვითარებას. ამავე

¹⁴⁵ Современный капитализм и буржуазная политическая экономия,

დროს იგი აზვიადებს ტექნიკის როლს საზოგადოებრივ ისტორიულ განვითარებაში იქამდე, რომ უარყოფს თავის თავს¹⁴⁷.

ჟ. ფურასტიეს კონცეფციის მიხედვით თანამედროვე კაპიტალიზმში იმყოფება გარდამავალ პერიოდში, რომელსაც „ტექნიკურ გარდამავალ პერიოდს“ უწოდებს. ამ პერიოდს იგი სამ სტადიად ყოფს: 1. პირველ—ამოსავალ სტადიაზე მატულობს „მეორად სექტორში“ დასაქმებულთა რიცხვი, აშშ-ში ეს სტადია დაწყებულია 1920 წელს, 2. მეორე სტადია, ანუ მრეწველობაში სამუშაო ძალის რაოდენობის „სტაგნაციის პერიოდი“, 3. მესამე, ანუ „დამთავრების სტადიაზე“ მრეწველობასა და ტრანსპორტზე დასაქმებულთა რიცხვი მნიშვნელოვნად მცირდება.

ჟ. ფურასტიეს სქემის მიხედვით „ტექნიკური გარდამავალი პერიოდის“ შემდეგ იწყება „მესამეული ცივილიზაცია“ — საზოგადოება, რომელშიც შრომისუნარიანი მოსახლეობის 10 % კვებავს, აცმევს, ახურავს ყველა დანარჩენ არამწარმოებლურ მოსახლეობას. ასეთია ჟ. ფურასტიეს „სამსექტოროვანი თეორია“ და „მესამეული ცივილიზებული საზოგადოება“. „მესამეულ ცივილიზაციაში, — წერს ჟ. ფურასტიე, — რამდენიმე ასეული სპეციალისტი იბატონებს ადამიანთა მილიონებზე“¹⁴⁸.

ჟ. ფურასტიეს პრეტენზიები დიდი აქვს. მან მიზნად დაისახა „ახალი პოლიტიკური ეკონომიის“ შექმნა და ამ მიზნით მარქსიზმსაც დაუწყო ლაქუცი. სინამდვილეში ფურასტიერიზმი საზოგადოების სოციალ-ეკონომიური განვითარების შესახებ ანტიმარქსისტულ დებულებათა და კონცეფციების კონგლომერატია. „ფურასტიეს მტკიცება, რომ ტექნიკის განვითარება, ანუ, როგორც თვითონ ამბობს, „ტექნიკური პროგრესი“, საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარების უმნიშვნელოვანესი მამოძრავებელი ძალაა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ფურასტიეს მატერიალისტური პოზიციები უკავია. მისი პრეტენზიის—თითქოს მან პირველმა შექმნა საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარების თანამედროვე მეცნიერული თეორია —საწინააღმდეგოდ, სინამდვილეში ფურასტიეს თეორია—ესაა დიდი ხანია ცნობილი მეტაფიზიკური ვულგარულ-მატერიალისტური და ზუსტად ასეთივე საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარების ვულგარული იდეების ნარევი“¹⁴⁹.

¹⁴⁷ Н. Ирибаджак ов, *Современные критики марксизма*, გვ. 559.

¹⁴⁸ J. Fourastié, *Die grosse Hoffnung des zwanzigsten Jahrhunderts*, გვ. 311.

¹⁴⁹ Н. Ирибаджак ов, *Современные критики марксизма*, გვ. 559 — 559.

ბ) ბ. მონსაროვიც ფურასტიერიზმის წარმომადგენელია. პროფესიით ინჟინერ-ქიმიკოსი. კანადელი ბ. მონსაროვი იზიარებს ფურასტიეს შეხედულებას ეკონომიური განვითარების საკითხებზე, მაგრამ ამავე დროს არ უარყოფს ეკონომიური მარჯინალიზმის პრინციპებს. ბ. მონსაროვიც აკრიტიკებს ტრადიციულ ბურჟუაზიულ ეკონომიურ მოძღვრებებს და ცდილობს პოლიტეკონომიის „ტექნოლოგიზაციას“, ე. ი. აცლის მას სოციალ-ეკონომიურ შინაარსს და მთავარ მომენტად აცხადებს ტექნიკურ პროგრესს.

ბ. მონსაროვი აღიარებს ზღვრული სარგებლიანობის თეორიას, და გამოდის კეინსიზმის წინააღმდეგ. მას არც ეკონომიური ზრდის კეინსური დოქტრინა მოსწონს და კეინსური ეკონომიური მოძღვრების რევიზიას ახდენს. მან „უარყო“ (შეასწორა) სეის სამი ფაქტორის თეორია. იგი აცხადებს, რომ სამი ფაქტორის თეორიაში მხედველობიდან გამორჩენილია მეცნიერება და მისი ტექნოლოგიური გამოყენება.

ბ. მონსაროვის კონცეფციაში მეცნიერება განხილულია, როგორც „წარმოების მეოთხე დამოუკიდებელი და ძირითადი ფაქტორი“. „ეკონომიური თეორია, — წერს იგი, — არ შეიძლება ჩაითვალოს დასრულებულად, თუ ის არ განიხილავს მეცნიერებას წარმოების ძირითად ფაქტორად“¹⁵⁰.

ბ. მონსაროვთან, ნაცვლად წარმოების სამი ფაქტორისა (მიწა, კაპიტალი, შრომა) არის ოთხწევრიანი ფორმულა: 1. მეცნიერება, 2. კაპიტალი, 3. მიწა, 4. შრომა. ამრიგად, ნაცვლად წარმოების სამი ფაქტორის ვულგარული თეორიისა, ბ. მონსაროვი იძლევა „წარმოების ოთხი ფაქტორის თეორიას“ და გადამწყვეტ როლს აკისრებს მეცნიერებას, ტექნიკის განვითარებას. ამ თვალსაზრისით განიხილავს იგი ღირებულებას, მოგებას, ხელფასს, კრიზისებს, ფასს. მაგალითად, ნაცვლად სამი ძირითადი კლასისა, ბ. მონსაროვის ფორმულაში გამოდის ოთხი კლასი. მეოთხე კლასი. მისი აზრით. არის წარმოების მეოთხე ფაქტორის — მეცნიერებისა და ტექნოლოგიის შესაბამისი „ახალი კლასი მეცნიერებისა“ („თეთრსაყელოიანთა კლასი“).

ჟ. ფურასტიე ყველა იმედს ტექნიკურ პროგრესზე ამყარებს. მოგების, რენტის, სარგებლის ლიკვიდაცია მას შესაძლებლად მიაჩნდა ტექნიკური პროგრესის კვალობაზე. ბ. მონსაროვი კი თვლის, რომ ტექნიკური პროგრესი იწვევს ერთდროულად ხელფასისა და მოგე-

¹⁵⁰ И. Н. Дворкин, Научно-технический переворот и буржуазная политическая экономия, гл. 100.

ბის ზრდას. მას მიაჩნია, რომ „წარმოების მეოთხე ძირითადი ფაქტორის“ მეცნიერების განვითარების ზაზაზე მოხდება შემოსაჯლების გათანაბრება, „დეპროლეტარიზაცია“ და წარმოიქმნება „საშუალო კლასი“.

ბ. მონსაროვი იზიარებს ა. აფტალიონის შეხედულებას კარბწარმოების ეკონომიური კრიზისების გარდუვალობის შესახებ, თუმცა ისიც არასწორად განსაზღვრავს კრიზისების მიზეზს. კვლავწარმოებისა და ეკონომიური კრიზისების პრობლემას იგი განიხილავს „წარმოების ოთხი ფაქტორის“ პოზიციებიდან. კრიზისები გარდუვალია — აცხადებს ბ. მონსაროვი, მაგრამ ეკონომიური კრიზისების მიზეზად აცხადებს მეცნიერების, ტექნიკის განვითარებას, ე. ი. დგას შეუმტერებელ პოზიციებზე. „გამოგონებანი და აღმოჩენები, — წერს ბ. მონსაროვი, — საქმიანი ცაკლების მიზეზია“¹⁵¹.

ამრიგად, — ბ. მონსაროვისათვის უცხოა კვლავწარმოებისა და ეკონომიური კრიზისების ნამდვილი ბუნება. იგი არაფერს ამბობს კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის, როგორც კარბწარმოების ეკონომიური კრიზისების მიზეზის, შესახებ. რაკი ასე იქცევა, შესაძლებლად მიაჩნია ეკონომიური კრიზისების თავიდან აცილებაც ისევე ტექნიკური პროგრესისა და მეცნიერების განვითარების მეშვეობით. იგი აღნიშნავს, რომ ავტომატიზაციით შესაძლებელია ეკონომიური კრიზისების თავიდან აცილება.

გ) „მეორე სამრეწველო (ინდუსტრიული) რევოლუციის თეორია“¹⁵² მიმდინარე საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში წარმოიშვა. იგი კაპიტალიზმის თვითლიკვიდაციის (ავტომატური ტრანსფორმაციის) უახლესი სოციალ-დემოკრატიული თეორიაა, რომელიც თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური გადატრიალების შედეგების რეფორმისტულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს.

„მეორე ინდუსტრიული რევოლუციის თეორიაც“ ტექნოლოგიური მიმართულების მოძღვრებათა შემადგენელი ნაწილია. იგი რეფორმისტულ-ბურჟუაზიულ თეორიას წარმოადგენს. განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა „მეორე ინდუსტრიული რევოლუციის“ თეორია გსდმ მემარჯვენე ლიდერებში. იგი წარმოადგენს „დემოკრატიული სოციალიზმის“ რეფორმისტული თეორიის უახლეს საყრდენს. დასავლეთის სოციალ-რეფორმისტმა ეს კონცეფცია ოციფიალური პარტიული და სახელმწიფოებრივი დოქტრინის რანგში აიყვანა.

¹⁵¹ И. Н. Дворкин, Научно-технический переворот и буржуазная политическая экономия, გვ. 145.

¹⁵² ეს საკითხი ნაწილობრივ განხილულია შრიმაში: გ. კანუცვაძე, ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. 1, გვ. 299 — 303.

ამ კონცეფციის თანახმად ინდუსტრიულად განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები იმყოფებიან XVIII — XIX საუკუნის მსგავს სამრეწველო რევოლუციის ეპოქაში. „მეორე ინდუსტრიული რევოლუციის“ თეორეტიკოსები ანალოგიას აკეთებენ XVIII — XIX საუკუნის სამრეწველო რევოლუციასა და თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ გადატრიალებას შორის. მათი განცხადებით, წარმოების ავტომატიზაცია, ატომური ენერჯის გამოყენება სპობს კაპიტალისტური წარმოების ანტაგონისტურ წინააღმდეგობებს და იძლევა დინამიკური განვითარების შესაძლებლობას.

მეცნიერულ-ტექნიკური გადატრიალების სოციალურ რევოლუციასთან გაიგივების ცდებს აღგილი ჰქონდა მეორე მსოფლიო ომამდეც, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირველ ეტაპზე. ეენის სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „არბაიტერ ცაიტუნგი“ ჯერ კიდევ 1928 წ. აღნიშნავდა, რომ დაიწყო „მეორე სამრეწველო რევოლუცია“ დასავლეთის სოციალ-დემოკრატიის აგვარ მტკიცებებს განაჩენი გამოუტანა 1923 — 1933 წლების ჰარბჭარმოების კრიზისმა. მხოლოდ 20 — 25 წლის შემდეგ, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური გადატრიალების კვალობაზე კვლავ იწყეს აღნიშნული კონცეფციის არგუმენტირება და პროპაგანდა.

„მეორე ინდუსტრიული რევოლუციის“ ერთ-ერთი თეორეტიკოსი დიბოლდი 1955 წ. ამბობდა, რომ „ახალი სამრეწველო რევოლუცია იმყოფება დადგომის პროცესში, იგი ფაქტიურად დაწყებულია. მეორე სამრეწველო რევოლუცია ატარებს სახელწოდებას: ავტომატიზაცია. „ჩვენ ვიმყოფებით სამრეწველო რევოლუციის პერიოდში“¹⁵³ — განაცხადა როჯერსმა.

სოციალისტური ინტერნაციონალის პარტიებიდან გერმანიის სოციალ-დემოკრატია იყო პირველი, რომელმაც დაიწყო „მეორე ინდუსტრიული რევოლუციის“ პროპაგანდა. „გსდპ იყო პირველი პარტია საერთოდ, რომელმაც თავის ყრილობაზე ხელი მოჰკიდა საგანგებოდ აქტუალურ თემას — „მეორე სამრეწველო რევოლუცია“, — წერდა გაზეთი „ფორვერტსი“ 1956 წლის ივნისში.

„მეორე ინდუსტრიული რევოლუციის“ თეორიის მთავარი დებულებები ო. რაინჰოლდმა ასე ჩამოაყალიბა:

1. „მეორე სამრეწველო რევოლუციის“ თეორეტიკოსთა აზრით, კაპიტალისტურ ქვეყნებში ტექნიკური პროგრესის შედეგად ქრებიან

¹⁵³ И. Н. Дворкин, Научно-технический переворот и буржуазная политическая экономия, гл. 115.

ან უკვე გაქრენ კლასები, ანტაგონისტური კლასობრივი წინააღმდეგობანი და კლასობრივი ბრძოლა, ძლიერდება სხვადასხვა კლასთა მდგომარეობისა და შემოსავლების გათანაბრების პროცესი;

2. ამ თეორიის თანახმად კაპიტალიზმის ნაშთების მოსასპობად არაა საჭირო კაპიტალისტური საკუთრების ლიკვიდაცია;

3. ისინი ემყარებიან ბირთვული ენერჯიის გამოყენებას, ავტომატიზაციას და ელექტრონიკის განვითარებას და ამტკიცებენ, რომ ატომური ენერჯიის გამოყენება და ავტომატიზაცია გამოიწვევს კაპიტალიზმის შეცვლას „ახალი, თავისუფალი ინდუსტრიული საზოგადოებით“¹⁵⁴.

„მეორე სამრეწველო რევოლუციის“ თეორეტიკოსები უგულვებელყოფენ იმ ფაქტს, რომ XVIII — XIX საუკუნის სამრეწველო რევოლუციასა და თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ გადატრიალებას შორის არსებობს მსგავსება მხოლოდ გარეგნულად, რომელიც ეხება მხოლოდ ტექნიკურ მხარეს. თანამედროვე ტექნიკური პროგრესი კაპიტალისტურ ქვეყნებში კი არ სპობს, არამედ აძლიერებს კაპიტალიზმის ანტაგონისტურ წინააღმდეგობებს. არ შეიძლება ტოლობის ნიშნის დასმა ტექნიკურ რევოლუციასა და სოციალურ რევოლუციას შორის.

XVIII — XIX საუკუნის სამრეწველო რევოლუციის გამოსავალ პუნქტად „მეორე ინდუსტრიული რევოლუციის“ თეორეტიკოსები თვლიან ორთქლის მანქანას, ხოლო თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა—ატომურ ენერჯიას. არც ესაა სწორი, რადგან კ. მარქსი გამოსავალ პუნქტად თვლიდა არა ორთქლის მანქანას საერთოდ, არამედ სამუშაო მანქანას. „მანქანის სწორედ ეს ნაწილი, სამუშაო მანქანა, მე-18 საუკუნის სამრეწველო რევოლუციის ამოსავალი პუნქტია“¹⁵⁵.

ცხადია, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოების განვითარებაზე. კოლოსალურია მეცნიერულ-ტექნიკური გადატრიალების შედეგები, მაგრამ მისი აღრევა სოციალურ რევოლუციაში შეუძლებელია. თვით მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები აღნიშნავენ, რომ XVIII საუკუნის სამრეწველო რევოლუციის მატერიალურ-ტექნიკურ საფუძველს შეადგენდა მანქანა. ახალი ტექნიკა რევოლუციურ როლს ასრულებდა და ასრულებს საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების საქმეში. კ. მარქსი 1856 წ. წერდა: „ორთქლი, ელექტრობა და სელფაქტორი

¹⁵⁴ О. Рейнхольд, Свободное хозяйство? ИЛ, 1961, стр. 169—170.

¹⁵⁵ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, გვ. 472.

შეუდარებლად უფრო საშიში რევოლუციონერები იყვნენ, ვიდრე მოქალაქე ბარბესი, რასპაილი და ბლანკი“¹⁵⁶. „ორთქლმა და ახალმა სამუშაო მანქანებმა მანუფაქტურა გადააქციეს თანამედროვე მსხვილ მრეწველობად და ამით აგრეთვე გაარევოლუციურეს ბურჟუაზიული საზოგადოების მთელი საფუძველი“¹⁵⁷.

„მეორე სამრეწველო რევოლუციის“ თეორეტიკოსები პარალელს ავლებენ და აკეთებენ დასკვნას „მეორე ინდუსტრიული რევოლუციის“ არსებობის შესახებ. ისინი ამტკიცებენ, რომ „მეორე ინდუსტრიულმა რევოლუციამ“ უკვე შეუცვალა მსოფლიოს სახე ისე, როგორც პირველმა სამრეწველო რევოლუციამ. ლ. ბრანდტის განცხადებით კი, უფრო მეტად შეუცვალა სახე მსოფლიოს „მეორე ინდუსტრიულმა რევოლუციამ — ვიდრე პირველმა“¹⁵⁸.

„მეორე სამრეწველო რევოლუციის“ თეორეტიკოსები აცხადებენ, რომ „მეორე ინდუსტრიულ რევოლუციას“ თან მოჰყვა „სოციალური რევოლუცია“ აშშ-ში, გფრ-ში, ავსტრიაში, სკანდინავიის ქვეყნებში და ა. შ. და შეიქმნა „ახალი ინდუსტრიული საზოგადოება“.

„მეორე ინდუსტრიული რევოლუციის“ ბურჟუაზიულ და რეფორმისტ იდეოლოგიებს კვალდაკვალ მიჰყვებიან რევიზიონისტებიც. ისინი ერთხმად აიგივებენ ტექნიკაში მომხდარ რევოლუციურ ცვლილებებს სოციალურ რევოლუციასთან. აშშ-ის კომპარტიის ყოფილი გენერალური მდივანი ე. ბრაუდერი, გერმანელი რეფორმისტები ფ. შტერნბერგი, ლ. ბრანდტი და სხვ. გაიძახიან, რომ მოხდა „მეორე ინდუსტრიული რევოლუცია“ და კაპიტალიზმი „ტრანსფორმირდა“. „გადატრიალებას ტექნიკაში, — წერს ლეო ბრანდტი, — რომელიც მსოფლიოში ხდება, შეიძლება ეწოდოს მეორე ინდუსტრიული რევოლუცია ან სამრეწველო რევოლუციის სოციალური ფაზა“¹⁵⁹.

ჟ. ფურასტიეს მსგავსად მსჯელობენ ბრაუდერი, შტერნბერგი, ბრანდტი და მათი თანამოაზრენი, რომლებსაც „ავიწყდებათ“, რომ „ინდუსტრიული რევოლუცია არის ეკონომიური და არა სამხედრო ან ტექნიკური მოვლენა. პირველი სამრეწველო რევოლუცია იყო ეკონომიურად აუცილებელი“¹⁶⁰.

ბულგარელი ფილოსოფოსი ნ. ირიბაჯაკოვი წერს, რომ პირველი

156 К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 12, гл. 3.

157 К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 19, гл. 197.

158 L. Brandt, Die zweite industrielle Revolution. 1957.

159 იქვე, გვ. 170.

160 Н. Иррибаджакков, Современные критики марксизма, гл. 590.

სამრეწველო რევოლუციის შემდეგ შესაძლებელია მეორე ინდუსტრიული რევოლუციაც. მეორე სამრეწველო რევოლუცია — ესაა კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. „პირველი სამრეწველო რევოლუციის მსგავსად, მეორე სამრეწველო რევოლუცია არის აგრეთვე ეკონომიური მოვლენა, ობიექტური ეკონომიური აუცილებლობა“¹⁶¹.

მეცნიერულ-ტექნიკური გადატრიალება ობიექტურ რეალობას წარმოადგენს, მაგრამ კაპიტალიზმის წარმოებითი ურთიერთობა მეტად ვიწროა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისათვის. ამ რევოლუციის განხორციელება და საზოგადოების ინტერესებისათვის მისი ნაყოფის გამოყენება მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია“¹⁶².

„მეორე ინდუსტრიული რევოლუცია“ ბურჟუაზიულ-რეფორმისტული თეორიაა, მაგრამ მისი თეორეტიკოსები და პროპაგანდისტები უმთავრესად სოციალ-რეფორმისმის წარმომადგენლები არიან. „მეორე ინდუსტრიული რევოლუცია“ წარმოადგენს სოციალიზმში კაპიტალიზმის „შეზრდის“ ოპორტუნისტული თეორიის თანამედროვე ვარიანტს. ამ დოქტრინის არქიტექტორები არიან გსდპ ლიდერები. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე 1958 წ. კარლო შმიდმა განაცხადა: „ჩვენს წინაშეა რევოლუცია, ნახტომი. აქ იცვლება არა მარტო წარმოების მეთოდები, არამედ იქმნება სტიქიურად, წარსულთან მემკვიდრეობითი კავშირის გარეშე, ტექნიკა, რომელიც ძირფესვიანად ცვლის ჩვენს საზოგადოებრივ წყობილებას, პოლიტიკური ცხოვრების ჩვენს ფორმებს, კაცობრიული არსებობის თვით ფორმებსაც“.

„მეორე ინდუსტრიული რევოლუციის“ რეფორმისტული ვარიანტის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა ფ. შტერნბერგის წიგნმა „მილიტარისტული და ინდუსტრიული რევოლუცია“, რომელიც 1957 წ. გამოქვეყნდა და ითარგმნა 15 ენაზე. დიდი „დამსახურება“ მიუძღვის აგრეთვე ლეო ბრანდტის წიგნსაც „მეორე ინდუსტრიული რევოლუცია“. ამ წიგნებში გატარებულია ანტიკომუნისტური ხაზი.

ფ. შტერნბერგის მტკიცებით, ატომური, წყალბადისა და რაკეტული იარაღის წარმოება არის „მილიტარისტული რევოლუცია“, რომელიც, თავის მხრივ, „მეორე ინდუსტრიული რევოლუციის“ მიზეზი და მამოძრავებელი ძალაა. ფ. შტერნბერგი იცავს კაპიტალიზმის „ტრანსფორმაციისა“ და „სოციალიზმში კაპიტალიზმის შეზრდის“,

¹⁶¹ И. И р и б а д ж а к о в, Современные критики марксизма, გვ. 590.

¹⁶² საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, გვ. 30.

„დემოკრატიული სოციალიზმის“ ოპორტუნისტულ თეორიას. იგი წერს, რომ „თუ ჩვენი საუკუნის მეოთხე მეოთხედის დასაწყისამდე არ იფეთქა კრიზისმა, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ეს გარდაქმნა აუცილებლობად იქცევა“¹⁶³.

ფ. შტერნბერგი, პ. დაისტი, კ. შმიდი, ფ. ერლერი და მათი თანამოაზრენი „მეორე ინდუსტრიული რევოლუციის“ პროპაგანდით იცავენ სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს, რადგან ამ უკანასკნელთან აიგივებენ სოციალიზმს. ისინი ფაქტიურად დგებიან თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ტექნოლოგიური მიმართულების წარმომადგენელთა რიგებში. „მეორე ინდუსტრიული რევოლუციის“ სოციალ-დემოკრატი თეორეტიკოსები იყენებენ შუმპეტერიანელობასა და ფურასტიერიზმს, იმეორებენ ეკონომიური ზრდის დოქტრინის დებულებებს.

დ) „ს ა მ ა დ ი (სამმაგი) რ ე ვ ო ლ უ ც ი ის“, — „კ ი ბ ე რ ნ ე ტ ი კ უ ლ ი პ ო ლ ი ტ ე კ ო ნ ო მ ი ი ს“, ანუ „კიბერნეტიკული რევოლუციის თეორიის“ მთავარი თეორეტიკოსია ამერიკელი ობერტ თიბოლდი. იგი ინდოეთში დაიბადა, ეკონომიურ მეცნიერებებს სწავლობდა კემბრიჯისა და ჰარვარდის უნივერსიტეტში. მუშაობდა პარიზში ევროპის ეკონომიური თანამშრომლობის ორგანიზაციის ეკონომისტად, იყო აშშ-ის უმსხვილესი მონოპოლიის „ჩენერალ ელექტრიკის“ ეკონომიური საკითხებისა და საგარეო პოლიტიკის ასოციაციის კონსულტანტი, პოლიტიკურ ეკონომიას ასწავლის ნიუ-იორკის უნივერსიტეტში.

რ. თიბოლდი მრავალი შრომის ავტორია. მისმა შრომებმა, რომლებიც 60-იან წლებში დაიწერა, დიდი გამოხმაურება პოვა. „კიბერნეტიკული პოლიტეკონომიის“ საფუძვლები მოცემულია რ. თიბოლდის შრომებში: „მდიდრები და ღარიბები“ (1960), „სიუხვის გამოწვევა“ (1961), „თავისუფალი ადამიანები და თავისუფალი ბაზრები“ (1962)¹⁶⁴.

„კიბერნეტიკული პოლიტეკონომიაც“ ტექნოლოგიურ მოძღვრებებს მიეკუთვნება. ამ მიმდინარეობის („ტექნოლოგიური პოლიტეკონომიის“) თეორეტიკოსები ეკონომიკის დემიურგად მიიჩნევენ ტექნიკას, პოლიტეკონომიის ყველა კატეგორიასა და საკითხს განიხილავენ „ტექნოლოგიურად“.

„კიბერნეტიკული პოლიტეკონომიის“ წარმომადგენლებიც თა-

¹⁶³ F. Sternberg, Die militärische und die industrielle Revolution, გვ. 257.

¹⁶⁴ იხ. R. Theobald: The Rich and the Poor, N. Y. 1960; The challenge of Abundance, N. Y. 1961; Free Men and Free Markets, 1962.

ვიანთი გამოკვლევების საფუძვლად იღებენ ტექნიკურ პროგრესს. მიუხედავად ამისა, ი. დვორკინის შეფასებით, ამ მიმართულების მოძღვრებაში გვხვდება პროგრესული ელემენტებიც. მისი აზრით, ესაა ტექნოლოგიური მიმდინარეობის მემარცხენე ფრთა, რომელიც ცნობილია „სამმაგი რევოლუციის სპეციალური კომიტეტის მანიფესტისა“ და „კიბერნეტიკული რევოლუციის“ სახელწოდებით.

„კიბერნეტიკული რევოლუციისა და პოლიტეკონომიის“ თეორეტიკოსები იცავენ იდეას „სამმაგი რევოლუციის“¹⁶⁵ შესახებ. მათი აზრით, აშშ უკვე შევიდა „სამი (სამადი) რევოლუციის“ საუკუნეში. მათი აზრით, შეიქმნა „პოლიტიკური ეკონომიის ახალი მეცნიერება“ — „ახალი, ანუ კიბერნეტიკული პოლიტეკონომია“, რომელიც ემყარება კიბერნეტიკის განვითარებასა და გამოყენებას.

„კიბერნეტიკული პოლიტეკონომიის“ წარმომადგენლები იცავენ „სამადი რევოლუციის“ (კიბერნეტიკული რევოლუცია. რევოლუცია სამხედრო საქმეში, ადამიანთა უფლებების რევოლუცია, ანუ „ზანგთა რევოლუცია“) კონცეფციას და აცხადებენ, რომ ამ „სამი, ერთობლივი რევოლუციის“ სულსა და გულს წარმოადგენს ავტომატიზაცია და კიბერნეტიკა.

„კიბერნეტიკული რევოლუციის“ მთავარ თეორეტიკოსს თიბოლდს ეს უახლესი ტექნოლოგიური თეორია განხილული აქვს წიგნში „თავისუფალი ადამიანები და თავისუფალი ბაზრები“. რ. თიბოლდის ეს შრომა პირველად 1962 წ. დაიბეჭდა (მიმოგრაფზე) უმნიშვნელო ტირაჟით, ხოლო შემდეგ გამოიცა ორჯერ — 1963 და 1965 წლებში.

„კიბერნეტიკული რევოლუციისა და პოლიტეკონომიის“ საკითხები განხილულია აგრეთვე „სამადი რევოლუციის მანიფესტში“, რომელიც 1964 წ. გამოქვეყნდა. „მანიფესტს“ საფუძვლად უდევს რ. თიბოლდის „კიბერნეტიკული პოლიტეკონომია“. „კიბერნეტიკული რევოლუციის“ გამოსავალ პუნქტად რ. თიბოლდი მიიჩნევს კიბერნეტიზაციას. ამ უკანასკნელს იგი განასხვავებს ავტომატიზაციისაგან და შესწორება შეაქვს ავტომატიზაციის ცნების განსაზღვრაში, რაც რაციონალურ მარცვალს წარმოადგენს¹⁶⁶.

რ. თიბოლდი ამტკიცებს, რომ ავტომატიზაცია და კიბერნეტიზაცია ტექნიკის განვითარების ორი თანმიმდევრული საფეხურია. კიბერნეტიზაცია, რ. თიბოლდის აზრით, ავტომატიზებული წარმოე-

¹⁶⁵ The triple Revolution.

¹⁶⁶ იხ. Критика теорий современных буржуазных экономистов, 1966.

ბაა, რომელსაც კონტროლს უწევს და მართავს ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები.

ამრიგად, რ. თიბოლდის მტკიცებით კიბერნეტიზაცია არის ავტომატიზაციის ახალი, უმაღლესი საფეხური, რომელსაც შეიძლება ეწოდოს კომპლექსური ავტომატიზაცია. „ეს ნამდვილად კიბერნეტიკული რევოლუციაა, რამდენადაც ამ ეპოქის საფუძველს შეადგენს კიბერნეტიკული მანქანა“¹⁶⁷.

შეიძლება თუ არა სარწმუნოდ ჩაითვალოს რ. თიბოლდის თეზისი აშშ-ში კიბერნეტიკული რევოლუციის 60-იან წლებში დაწყების შესახებ. ამ კითხვაზე უარყოფითად უპასუხებს ი. დვორკინი¹⁶⁸. ლაპარაკი აშშ-ში კომპლექსური ავტომატიზაციის სტადიის დაწყების შესახებ ნაადრევია — დაასკვნის იგი. აშშ-ის ქარხნებში 8.000 დაზღვა მუშაობდა ციფრობრივი მართვის ქვეშე — აღნიშნავს ი. დვორკინი.

საერთოდ მიუღებელია რ. თიბოლდის „კიბერნეტიკული პოლიტეკონომიის“ მეორე მხარე, სახელდობრ, დებულება იმის შესახებ, რომ „სამადი რევოლუციის“ შედეგად აშშ-ში დამყარდა „კიბერნეტიკული სოციალ-ეკონომიური წყობილება“ — „საყოველთაო სიუხვის წყობილება“.

ახლა რამდენიმე სიტყვა თვით კიბერნეტიკის¹⁶⁹ შესახებ. კიბერნეტიკა მეცნიერებაა რთულ დინამიკურ სისტემებში მართვის შესახებ. კიბერნეტიკა, როგორც მეცნიერება მართვის ზოგადი კანონების შესახებ, ჩამოყალიბდა ნ. ვინერის შრომებში.

ამერიკელი მეცნიერი — მათემატიკოსი მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი ნორბერტ ვინერი ცნობილი გაბდა თავისი შრომებით: „კიბერნეტიკა“ (1948), „ყოფილი ვუნდერკინდი“ (1951), „მე მათემატიკოსი ვარ“ (1956), „კიბერნეტიკა და საზოგადოება“ (1958).

¹⁶⁷ Критика теорий современных буржуазных экономистов, 1966 гв. 19.

¹⁶⁸ И. Н. Дворкин, Теория «кибернетической революции» Роберта Тиболда. — «Критика теорий современных буржуазных экономистов», Москва, 1966 гв. 6—63.

¹⁶⁹ Kybernetiké — ბერძული სიტყვაა და ნიშნავს მართვის ხელოვნებას. „ბოლო დრომდე არ არსებობდა იდეების ამ კომპლექსის გამოხატველი სიტყვა, — წერს ნ. ვინერი, — და ვისწრაფოდი რა, მომეცა მთელი დარგი ერთი ტერმინით, ვიგრძენი აუცილებლობა — მომეგონა იგი. აქედანაა ტერმინი „კიბერნეტიკა“, რომელიც წარმოვქმენი ბერძნული სიტყვიდან kubernētēs, ანუ „მესაქე“-ეს იგივე ბერძნული სიტყვაა, რომლიდანაც საბოლოო ანგარიშში ჩვენ წარმოვქმინით სიტყვას „governor“ (მმართველი)“. იხ. ნ. ვინერი, კიბერნეტიკა და საზოგადოება, 1961, გვ. 34; G. Klaus, Wörterbuch der Kybernetik, 1968.

კიბერნეტიკა, როგორც მეცნიერება მმართველ მოწყობილობათა, ამ მოწყობილობებში ინფორმაციის გადაცემისა და გადამუშავების შესახებ, ერთბაშად არ ჩამოყალიბებულა. კიბერნეტიკა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ მეცნიერულ დისციპლინად. მისი ფუძემდებლებია ამერიკელი მათემატიკოსი ნ. ვინერი და მისი მეგობარი მექსიკელი ფიზიოლოგი არტურ როზენბლუტი.

ნ. ვინერის შრომებში განხილულია ალბათობის თეორიისა და სტატისტიკის საკითხები, ფურიეს მწკრივები, ბანახის წრფივი სივრცე, ავტომატური ქარხნები, სოციოლოგიისა და ეკონომიურ მოძღვრებათა პრობლემები. იგი დგას იდეალისტურ პოზიციებზე და იცავს „მეორე ინდუსტრიული რევოლუციის“ თეორიას.

კიბერნეტიკა შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე, როგორც მეცნიერება, რომელიც სწავლობს ინფორმაციის გარდაქმნის ზოგად ალგორითმებს. კიბერნეტიკას მართლაც შეიძლება ეწოდოს ავტომატიზაციის თეორიული საფუძველი. კიბერნეტიკა ავტომატიზაციის უმაღლესი საფეხურია.

„კიბერნეტიკის წარმოშობა,—წერს ა. კოლმოგოროვი,—იძლევა ახალ მასალას ისეთ ცნებათა ფილოსოფიური ანალიზისათვის, როგორცაა „მართვა“, „რეგულირება“ და ა. შ. გარდა ამისა, მან არაფილოსოფიური ხასიათის ზოგიერთი დამხმარე სპეციალური დისციპლინა („ინფორმაციის თეორია“, „ალგორითმთა თეორია“, „ავტომატების თეორია“) წარმოშვა“¹⁷⁰.

ამრიგად, კიბერნეტიკის როლი დიდია და იგი თანდათან ძლიერდება, მაგრამ თიბოლდისეული მტკიცება „კიბერნეტიკული რევოლუციის, პოლიტეკონომიისა და სოციალ-ეკონომიური წყობილების“ შესახებ უსაფუძვლოა. რ. თიბოლდი წერს: „ჩვენ შევდივართ ახალ სოციალ-ეკონომიურ წყობილებაში — კიბერნეტიკულ რევოლუციაში“¹⁷¹. მაშაადამე, რ. თიბოლდიც ტოლობის ნიშანს სევამს მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციასა და სოციალურ რევოლუციას შორის.

რ. თიბოლდის აზრით, „კიბერნეტიკული რევოლუცია“ სპობს ბურჟუაზიული საზოგადოების სოციალ-ეკონომიურ მანკიერებებს და ქმნის „ცენტრალიზებულ ტექნოლოგიურ დიქტატურას“, „ტექნოლოგიურ საზოგადოებას“, ანუ „კიბერნეტიკულ საზოგადოებრივ ეკონომიურ წყობილებას“. რ. თიბოლდს მიმდევრებიც გაუჩნდნენ. კიბერნეტიკულ გამოკვლევათა ამერიკის ინსტიტუტის დირექტორ-

¹⁷⁰ У. Роос Эшби, Введение в кибернетику, ИЛ, 1959, гл. 6—7.

¹⁷¹ Критика теорий современных буржуазных экономистов, гл. 6—7.

მა აღისა ჰილტონმა განაცხადა, რომ წარმოებოდა და განაწილებოდა „სრული კიბერნეტიზაცია“ უკვე დაიწყო, იგი მთელი ძალით განვი-
თარდება უახლოეს 10—15 წელიწადში და დამთავრდება XX საუკუნე-
ნის ბოლოსათვის.

5. ვინერი თავის წიგნში „კიბერნეტიკა და საზოგადოება“ წერდა:
„თუ არ მოხდა რომელიმე ნაძალადევი პოლიტიკური ცვლილებები
ან ახალი დადი ომი, მაშინ ჩემი უბეში გაანვარდებოდა მიხედვით თ
ახალ მანქანებს დასჭირდებოდათ ათიდან ოც წლამდე. რათა მათ დაიკა-
ვონ თავისი ჯეროვანი ადგილი. ომი ყველაფერ ამას ებრძოდა წე-
ცვლიდა“¹⁷².

6. ვინერი იცავს იდეას კიბერნეტიზაციის კვალობაზე „მეოლე
ინდუსტრიული რევოლუციის“ შესახებ. ამასთანავე იგი აცხადებს სა-
ფუძვლიან დასკვნას. „მეორე ინდუსტრიული რევოლუცია“ და კი-
ბერნეტიკული რევოლუცია მას წარმოდგენილი აქვს, როგორც „ორ-
ღესული მანვლი“. ამ რევოლუციას, მისი აზრით, მოჰყვება უმუ-
შევრობა და ისეთი ეკონომიური კრიზისი, რომელიც ჯერ არ ახილვა
ესტორიას. „საქსებით ნათელია, რომ ავტომატური მანქანების და-
ნერგვა გამოიწვევს უმუშევრობას, რომელთანაც შედარებით წარ-
მოების თანამედროვე დაცემა და თვით 30-იანი წლების კრიზისიც
კი სასიამოვნო ხუმრობად მოგვეჩვენება...“

ამრიგად, ახალი სამრეწველო რევოლუცია წარმოადგენს ორღე-
სულ მანვლს, იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კაცობრიობის სა-
კეთილდღეოდ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კაცობრიობა
იარსებებს საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რათა მიად-
წიოს იმ პერიოდს, როცა შესაძლებელი იქნება ასეთი კეთილდღეო-
ბანი. იგი შეიძლება აგრეთვე გამოვიყენოთ კაცობრიობის მოსასპო-
ბად“¹⁷³.

რ. თიბოლდიც აღიარებს იმას, რომ სრული კიბერნეტიზაცია გა-
მოიწვევს უმუშევრობას და მოსალოდნელია მსოფლიო ეკონომიური
კრიზისი. იგი აკრიტიკებს ეკონომიური ზრდას კეინსურ თეორიას და
სიმპათიურადაა განწყობილი ჯ. გოლბრეისის მოძღვრებისადმი,
თუმცა ამ უკანასკნელსაც უსაყვედურებს კონსერვატიზმის გამო.

„კიბერნეტიკული პოლიტიკონომიის“ წარმომადგენლები (რ. თი-
ბოლდი, ა. ჰილტონი და სხვ.) ეკონომიური განვითარების მთავარ
მამოძრავებელ ძალად აცხადებენ კიბერნეტიზაციას, „კიბერნეტი-
კულ რევოლუციას“. ისინი იცავენ ეკონომიური ევოლუციონიზმის

¹⁷² ნ. ვინერი, კიბერნეტიკა და საზოგადოება, გვ. 199.

¹⁷³ იქვე, გვ. 201 — 202.

კონცეფციას და სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ გამო-
დიან. ნაცვლად სოციალიზმისა, ისინი ქადაგებენ „კიბერნეტიზებუ-
ლი საზოგადოების“ შექმნას.

„ახალი, კიბერნეტიკული სოციალ-ეკონომიური წყობილება“
წარმოდგენილია როგორც ოქროს საუკუნე, სადაც აღარ იქნება
ექსპლუატაცია, სოციალური უთანასწორობა, სიღარიბე. ამ „ახალ
საზოგადოებაში“, — წერს ა. ჰილტონი, — აღარ იქნება ექსპლუატა-
ცია, რადგან, ანტიკური სამყაროსაგან განსხვავებით, სადაც სიმდიდ-
რე მონათა შრომით იქმნებოდა, „კიბერნეტიკულ საზოგადოებაში“
სიმდიდრე და უქმად ყოფნა უზრუნველყოფილი იქნება ელექტრონი-
კითა და მექანიზმებით და არა მონა ადამიანებით.

ამ ფაქტს სხვაგვარ ინტერპრეტაციას აძლევს ნ. ვინერი. მართა-
ლია, იგი აღიარებს ტექნიკური პროგრესის დიდ და გადამწყვეტ
როლს, მაგრამ იცავს „თერმული სიკვდილის“ კონცეფციას. „ღროთა
მსვლელობაში, — წერს იგი, — აღმოჩნდა, რომ ამერიკის სასაბილო
მაგიდა გამოუღვევლი არ არის... რაც უფრო მეტს ვიღებთ ბუნები-
საგან, მით უფრო ნაკლებს ვუბრუნებთ მას, და საბოლოო ჯამში
ჩვენ იძულებული ვიქნებით გადავიხადოთ ვალები სწორედ იმ მო-
მენტში, რომელიც არახელსაყრელი იქნება ჩვენი სიცოცხლის გაგრ-
ძელების უზრუნველყოფისათვის. ჩვენ მონები ვართ ჩვენივე ტექ-
ნიკური გაუმჯობესებისა... ჩვენ გვეყოფა სიმამაცე შეუდრეკლად
შევხვდეთ ჩვენი ცივილიზაციის დაღუპვას, ისევე, როგორც გვეყოფ-
ნის გამბედაობა უშიშრად ვუპზერდეთ ჩვენი პირადი დაღუპვის
უეპველ ფაქტს. პროგრესისადმი უბრალო რწმენა ნიშნავს არა ძა-
ლის რწმენას, არამედ მორჩილებას და, მაშასადამე, სისუსტე-
საც“¹⁷⁵.

„კიბერნეტიკული პოლიტეკონომიის“ განშტოებას წარმოადგენს
„ავტომატიზებული ეკონომიკის თეორია“, რომ-
ლის მთავარი წარმომადგენლები არიან: ჯ. დიბოლდი, გულდმენი, ბი-
ტორფი, აინციგი და სხვ. „ავტომატიზებული ეკონომიკის“ თეო-
რიის მეთოდოლოგია იგივეა, რაც ფურასტიერიზმისა და რ. თი-
ბოლდის „კიბერნეტიკული პოლიტეკონომიისა“. ამ კონცეფციის
თეორეტიკოსებიც მიზნად ისახავენ ეკონომიურ მოძღვრებათა „ტექ-
ნოლოგიზაციასა და ავტომატიზაციას“.

„ავტომატიზებული ეკონომიკის“ თეორეტიკოსებიც აცხადებენ,
რომ მოხდა „რობოტების რევოლუცია“ („კიბერნეტიკული რევო-
ლუცია“) და შეიქმნა „ავტომატიზებული ეკონომიკა“, „რობოტების
საზოგადოება“ („კიბერნეტიკული საზოგადოება“). ჯ. დიბოლდმა

¹⁷⁵ ნ. ვინერი, კიბერნეტიკა და საზოგადოება, გვ. 68 — 69 — 70.

1952 წელს გამოაქვეყნა წიგნი „ავტომატური ფაბრიკის მოსკლა“, რომელშიც იცავს „ავტომატიზებული ეკონომიკის თეორიას“.

„ავტომატიზებული ეკონომიკის“ დოქტრინის დამცველები მიზნად ისახავენ კაპიტალისტური ეკონომიკის მექანიზმის სრულყოფას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს განუწყვეტელი და სტაბილური ეკონომიური განვითარება. კაპიტალისტური ეკონომიკის მექანიზმის სრულყოფის თეორია ორი ძირითადი ფორმით გვხვდება¹⁷⁶: 1. თავისუფალი მეწარმეობის დაცვის და 2. სახელმწიფოებრივი ღირიყიზმის ფორმით. პირველი მიმართულება კმაყოფილდება მიღწეული დონით, ხოლო მეორე—აღიარებს კაპიტალისტური ეკონომიკის მექანიზმის დეფექტებს და მოითხოვს მის სრულყოფას.

დ) კლასების „ტექნოლოგიური თეორიებიც“ არსებობს. ტექნოლოგიური მიმართულების მოძღვრებათა წარმომადგენლები თანამედროვეობის არა მარტო აქტუალურ ეკონომიურ პრობლემებს (ეკონომიური ზრდა, კრიზისები, უმუშევრობა, ხელფასი და სხვ.), არამედ კაპიტალისტური საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში მომხდარი ძვრების საკითხებსაც განიხილავენ „ტექნოლოგიური“ პოზიციებიდან. ი. ნ. დვორკინი წერს: „რა თქმა უნდა, „კლასების ტექნოლოგიური თეორიები“ ისევე არაჩვეულებრივად ედერს, როგორც ცნება „ტექნოლოგიური ეკონომიური თეორიები“. თუმცა ფაქტს წარმოადგენს ამ თეორიების არსებობა და მისგან გამომდინარე მათი კრიტიკული განხილვის აუცილებლობა“¹⁷⁷.

თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგია თავს ესხმის კ. მარქსს, რადგან მარქსიზმში არაა ადგილი „სოციალური ინჟინერიისა“ და „სოციალური ტექნოლოგიისათვის“. „სოციალური ინჟინერიის“ კონცეფცია, რომელსაც კ. პოპერი იცავს, მიმართულია სოციალისტური მშენებლობის მარქსისტულ-ლენინური თეორიის წინააღმდეგ. საზოგადოების გარდამქმნელ ძალად კ. პოპერი აცხადებს „სოციალურ ინჟინერს“, რომელიც უნდა ხელმძღვანელობდეს არა ტექნიკურ, არამედ საზოგადოებრივ პროცესებს.

კ. პოპერის „სოციალური ინჟინრები და ტექნოლოგები“ ფაქ-

¹⁷⁶ Новые явления в современной буржуазной политэкономии, т. 2, 33. 90.

¹⁷⁷ Л. Н. Данилова, Антикоммунистическая сущность теории «открытого общества», 1967, 33. 32—43.

ტიურად არიან „ჭუმანური ურთიერთობის“ (ე. ი. კლასთა შორის სოციალური პარტნიორობის) გამტარებლები.

კლასებისა და საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის პრობლემებს თვალსაჩინოდ ადგილი უჭირავს საერთოდ ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში. თანამედროვე ბურჟუაზიულ-რეფორმისტულ ლიტერატურაში საკმაოდ დიდი ადგილი უკავია კლასების ტექნოლოგიურ თეორიას. ეს პირველ რიგში ეხება ტექნოლოგიურ მიმართულებას, რომლის თეორეტიკოსები აღნიშნავენ, რომ ტექნიკური პროგრესი და თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური გადატრიალება ძირფესვიანად ცვლის კლასების ბუნებას, საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურას და იწვევს კლასების გაქრობასო.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს საწარმოო ძალთა განვითარებაზე, მაგრამ იგი არ სპობს საზოგადოების კლასებად დაყოფასა და კლასობრივ ბრძოლას, ტექნიკური პროგრესი გავლენას ახდენს წარმოების ნივთობრივ ელემენტებზე, აგრეთვე ცვლის შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ფორმებს. ეს გავლენა შეიძლება თვით პროლეტარიატის შემადგენლობაზეც.

ტექნოლოგიური მიმართულების თეორეტიკოსები აცხადებენ, რომ ავტომატიზაცია და კიბერნეტიზაცია ახდენს როგორც პროლეტარიატის, ასევე მსხვილი ბურჟუაზიის ლიკვიდაციას და ქმნის „ტექნოტრონიული საუკუნის საშუალო ფენის ნიველირებულ საზოგადოებას“. სინაპდილეში კი ადგილი აქვს საწინააღმდეგოს. თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური გადატრიალება კი არ სპობს კლასებსა და კლასობრივ ბრძოლას, არამედ ამწვევებს კლასთა შორის ანტაგონიზმს. ტექნიკური პროგრესი აძლიერებს მსხვილი მონოპოლისტების ეკონომიურ და პოლიტიკურ ბატონობას და აჩანაგებს წვრილ მწარმოებლებს. „ტექნიკური პროგრესი წვრილ მწარმოებელთა სულ ახალ ფენებს ღუპავს, იმპერიალიზმი ტექნიკურ პროგრესს უმთავრესად სამხედრო მიზნებისათვის იყენებს. იგი ადამიანის გონების მიღწევებს თვით კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართავს“¹⁷⁸.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია გარკვეულ გავლენას ახდენს თვით მუშათა კლასზე, რომლის რიგებში აქცევს არა მარტო ფიზიკური შრომის, არამედ გონებრივი შრომის მუშაკთა ნაწილსაც. თანამედროვე ეტაპზე ძლიერდება შრომის ცვალებადობა, აგრეთვე სამრეწველო პროლეტარიატის დარგობრივი, ტერიტორიული, პროფესიულ-კვალიფიციური სტრუქტურის მოძრაობა.

¹⁷⁸ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, გვ. 30.

შეიძლება თქმა იმისა, რომ ადგილი აქვს ცვლილებებს სამრეწველო პროლეტარიატის სტრუქტურაშიც.

ფაქტები ადასტურებს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური გადატრიალება ამაღლებს ძველი პროფესიების „სიკვდილიანობასა“ და ახლების წარმოქმნას. მაგალითად, ავტომატიზაციამ წარმოქმნა უამრავი ახალი პროფესია და სპეციალობა. მაშასადამე, ტექნიკური პროგრესის კვალობაზე მცირდება მუშათა პროფესიების მორალური გაცვეთის დრო. ცნობილია, რომ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური გადატრიალების დაწყებამდე მუშის პროფესიის მორალური გაცვეთის დრო ხშირად თითქმის უტოლდება მუშის შრომითი საქმიანობის ოდენობას. თანამედროვე ეტაპზე კი იგი ერთობ შემცირდა და საშუალოდ 10 წელს შეადგენს.

ნ. დ. გაუზნერი თავის სადოქტორო შრომაში „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და აშშ-ის მუშათა კლასი“ (1967) აკეთებს დასკვნას, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ცვლილებებს იწვევს არა მარტო წარმოების საშუალებებში, არამედ შრომის ხარისხსა და შინაარსშიც, აგრეთვე კომბინირებული მუშა-პერსონალის შემადგენლობაში.

ავტომატიზაცია და კიბერნეტიზაცია აუცილებლად ქმნის ტექნიკურ პირობებს შრომის შემსუბუქებისათვის, მაგრამ მოგებისადმი გამოდევნება, სწრაფვა მონოპოლიური მოგების უზრუნველსაყოფად იწვევს შრომის ინტენსიფიკაციის უკიდურესად გაძლიერებას.

თანამედროვე ბუჩუაზიულ ეკონომიურ მოძღვრებებში განზიარდა ლაპარაკი მუშათა კლასის „დებროლეტარიზაციის“ (პროლეტარიატის „გაქრობის“) შესახებ. ტექნოლოგიური მიმართულების წარმომადგენლების აზრით, ავტომატიზაცია და კიბერნეტიზაცია არის გზა „დებროლეტარიზაციაკენ“. ამ კონცეფციასთან უშუალო კავშირშია აგრეთვე თანამედროვე საზოგადოებაში პროლეტარიატის „სტრატეფიკაციის“¹⁷⁹ თეორია, რომელიც გულისხმობს საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენების ან ჯგუფის განსაზღვრას.

მარქსიზმ-ლენინიზმი არ უარყოფს სხვადასხვა კლასებს შორის და თვით კლასის შიგნით სოციალური ჯგუფების ან ფენის არსებობას. ტექნოლოგიური მიმართულების წარმომადგენლები კი საერთოდ იღებენ ხმარებიდან ცნებას „კლასი“ და მის ადგილზე აყენებენ ფენას, მაშასადამე, უარყოფენ საზოგადოების კლასებად დაყოფას და, რა თქმა უნდა, კლასობრივ ბრძოლასაც. მათ მოძღვრებაში

¹⁷⁹ სტრატა არის გეოლოგიიდან ნასესხები ტერმინი და ნიშნავს ფენას.

საზოგადოების კლასებად დაყოფის ადგილს იკავებს პროფესიის მიხედვით ფენებად დაყოფა. მაგალითად, კლასობრივი აზრი არა აქვს ასეთ დაყოფას: კვალიფიციური, ანუ ნაწვავლი და არაკვალიფიციური, ანუ უსწავლელი მუშების ფენა, ნაკლებადკვალიფიციური მუშები და ა. შ. აქ უკვე აღარ ჩანს მუშათა კლასი, იგი „გაქრა“ მეცნიერულ-ტექნიკური გადატრიალების შედეგად.

პროლეტარიატის „გაქრობას“ ამტკიცებს აგრეთვე „ორი მუშათა კლასის“ თეორიაც. ამ კონცეფციის პროპაგანდისტები არ უარყოფენ მუშათა კლასის არსებობას. მეტიც, ისინი აცხადებენ, რომ არსებობს ორი სახის მუშათა კლასი: 1. „თეთრსაყელოიანი მუშების კლასი“ (მოსამსახურეები) და 2. „ცისფერსაყელოიანი მუშათა კლასი“ (პროლეტარიატი).

„ორი მუშათა კლასის“ თეორეტიკოსებმა (დიბოლდი, პოლოკი, დრუკერი და სხვ.) მუშათა კლასს დაუპირისპირეს მოსამსახურეები და დაიწყეს იმის მტკიცება, რომ ინჟინრები და ტექნიკოსები არ მიეკუთვნებიან მუშათა კლასს. „ამ თეორიის თანახმად, მაკონსტრუირებელ ნიშანს პროლეტარიატისას, ანუ „ცისფერსაყელოიანებისას“ (საწარმოს ფიზიკური შრომის მუშაკები), წარმოადგენს სანარდო ხელფასი. ხელფასის ამ ფორმის შეცვლა დროითი ხელფასით „ცისფერსაყელოიანებს“ გარდაქმნის „თეთრსაყელოიანებად“, ე. ი. მოსამსახურეებად, ანუ გონებრივი შრომის მუშაკებად და ამით „საშუალო კლასად“. ხდება მუშათა „დეპროლეტარიზაცია“¹⁸⁰.

ბურჟუაზიული იდეოლოგიის ზოგიერთი წარმომადგენელი (მაგალითად, კ. პოპერი) კიდევ უფრო „შორს“ მიდის და თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში პოულობს შეიდ კლასს: 1. ბურჟუაზია, 2. მსხვილი მიწათმფლობელები, 3. სხვა მიწათმფლობელები, 4. სოფლის მუშები, 5. ახალი საშუალო კლასი, 6. ინდუსტრიული მუშები და 7. ლემპენპროლეტარიატი.

„დეპროლეტარიზაციისა“ და „ორი მუშათა კლასის“ კონცეფცია უარყოფს პროლეტარიატის არსებობას. ნაცვლად პროლეტარიატისა, აქ ლაპარაკობენ „სტრატა“, „სალარიატი“ (ჯამაგირის მიმღები), „თეთრსაყელოიანი მუშათა კლასი“, „ლურჯსაყელოიანი მუშათა კლასი“ და ა. შ. ასე „გაქრა“ პროლეტარიატი ტექნოლოგიურ თეორიებში. ეს „გაქრობა“ გამოუწვევია ტექნიკურ პროგრესს, ავტომატიზაცია-კიბერნეტიზაციას, „მესამეული სექტორის“ (მოსამსახურების სფერო) უპირატეს განვითარებას.

¹⁸⁰ И. Н. Дворкин, Научно-технический переворот и буржуазная политическая экономия, гл. 271.

ფაქტები კი ადასტურებენ საწინააღმდეგოს. გაფიცვებში (მარტო ინდუსტრიულად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში) მონაწილეობდა: 1959 წელს — 16 მილიონი კაცი, 1965 წ.—19—20 მლნ. 1967 წ. — 30 — 31 მლნ, 1968 წ. — 43 მლნ კაცი; მთელ კაპიტალისტურ სამყაროში კი: 1956 წ. — 14 მლნ, 1958 წ. — 25—27 მლნ, 1960 წ.—54—58 მლნ, 1962 წ.—36—39 მლნ, 1967 წ.—46 მლნ, ხოლო 1968 წ. — 57 მლნ, კაცი. თვით ზოგიერთი ბურჟუაზიული ეკონომისტიც ვერ უარყოფს მუშათა კლასისა და კლასობრივი ანტაგონიზმის არსებობას. ე. ჰანსენმა აღიარა „სიუხვის საზოგადოების“ შიგნით „სოციალური დინამიტის“ არსებობა¹⁸¹. „სოციალური დინამიტის“ ქვეშ იგი გულისხმობს უქმშევიართა არმიებს. ნ. ვინერჰაუც გამოთქვა მოსაზრება, „ახალი ტექნოლოგიის სოციალური საშიშროების“ შესახებ¹⁸².

„ტექნოლოგიური თეორიების ზოგიერთი წარმომადგენელი კაპიტალიზმის სიძნელეებს ტექნიკურ პროგრესში დაეძებს და, რა თქმა უნდა, გამოსავლასაც ტექნიკურ პროგრესშივე ხედავს“¹⁸³.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია ახალი პრობლემების წინაშე აყენებს ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიას.

სულ უფრო დიდი ადგილი ეთმობა ბურჟუაზიულ სოციალ-ეკონომიურ ლიტერატურაში მსოფლიოს ორ სისტემას შორის ეკონომიური შეჯიბრების საქმეში მეურნეობრივი ზრდის პრობლემის გაშუქებას.

ეკონომიური დინამიკისა და ტექნოლოგიური მოძღვრების ბურჟუაზიული და რეფორმისტი თეორეტიკოსები (ჟ. დიბოლდი, დ. მაიკლი, ე. შილსი და სხვ.) ამტკიცებენ, რომ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ გადატრიალებას თან მოჰყვება „მსოფლიო ტექნიკური რევოლუცია“, რომელიც მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციას გამოირიცხავსო. მათ არ სურთ იმის გაგება, რომ სოციალისტური რევოლუცია გამოდის არა ტექნიკური გადატრიალების, არა-მედ კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

მსოფლიოს ორ სისტემას შორის მიმდინარეობს შეჯიბრება მეცნიერულ მიღწევათა და ტექნიკური პროგრესის დარგში. მეურნეობის მსოფლიო სოციალისტური სისტემა ახალ-ახალ წარმატებებს

¹⁸¹ Э. Хансен, Послевоенная экономика США, 1966, гл. 100.

¹⁸² ნ. ვინერჰაუცი, კიბერნეტიკა და საზოგადოება, გვ. 202.

¹⁸³ В. Г. Сарычев, Критика буржуазных теорий современного экономического развития США, 1967, гл. 93.

აღწევს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საქმეში. სოციალისტური ტექნიკური პოლიტიკა ემსახურება ხალხის კეთილდღეობას.

§ 5. ეკონომეტრია (ეკონომეტრიკა) და ეკონომიური განვითარების პრობლემები

ეკონომეტრიკა (ეკონომეტრია), როგორც კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდის ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი მიმართულება, აერთიანებს სხვადასხვა ეკონომიური მოძღვრებების წარმომადგენლებს. მისი წარმოშობა და ევოლუცია ასახავს თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტეკონომიის სოციალურ და პრაქტიკულ ფუნქციას. ეკონომეტრიის ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანია ი. შუმპეტერი.

ეკონომეტრიკას იდეური კავშირი აქვს ბურჟუაზიული პოლიტეკონომიის სხვადასხვა სკოლებთან. „ეკონომეტრიკის წარმოშობა ისტორიულადაა დაკავშირებული სწორედ ინსტიტუციონალიზმთან, თუმცა შემდგომ პერიოდში ეკონომეტრიკა ძლიერ უახლოვდება ლ. ვალრასის მიერ შექმნილ მათემატიკურ სკოლას“¹⁸⁴.

ეკონომეტრიკის, ანუ ეკონომეტრიის წარმოშობის ისტორია და შინაარსი ჯერ კიდევ არაა სრულყოფილად და საბოლოოდ დადგენილი და განსაზღვრული¹⁸⁵. მისი წარმოშობის თაობაზეც აზრთა სხვადასხვაობაა. „ცნება ეკონომეტრია, ანუ ეკონომეტრიკა ჩამოყალიბდა 10 — 15 წლის მანძილზე უმთავრესად აშშ-ში. ცხადია, თანამედროვე თავისი უშუალო წინამორბედები ჰყავს მას ბურჟუაზიული ეკონომიური აზრის ისტორიაში. ისინი ეგრეთწოდებული მათემატიკური სკოლის წარმომადგენლები არიან“¹⁸⁶ — აღნიშნა სოფიის საერთაშორისო კონფერენციაზე (1964) ბულგარელმა ეკონომისტმა ე. მატეევმა.

ამრიგად, ეკონომეტრიკას ფესვები შორს აქვს გადგმული, ბურჟუაზიული პოლიტეკონომიის მათემატიკური სკოლა ხომ 100 წლის

¹⁸⁴ В. Э. Шляпентох, Эконометрика и проблемы экономического роста, 1966, гл. 11.

¹⁸⁵ М. Никитин, Эконометрика и буржуазная политическая экономия — «Современный капитализм и буржуазная политическая экономия», 1967, гл. 78—96.

¹⁸⁶ Новые тенденции в современной буржуазной политической экономии, гл. 617.

წინათ წარმოიშვა, თუმცა არ შეიძლება ეკონომეტრიკისა და მათემატიკური ეკონომიის ურთიერთში აღრევა. „განსხვავებით მათემატიკური ეკონომიისაგან, რომლის ისტორია 100 წელზე მეტს მოიცავს, ეკონომეტრიკა ეკონომიური თეორიის ცალკეულ დარგთა ანალიზს მიმართავს“¹⁸⁷.

ი. დანჩო განასხვავებს ბურჟუაზიულ და მარქსისტულ ეკონომეტრიკას. იგი ბურჟუაზიული ეკონომეტრიკის უგულვებელყოფის წინააღმდეგია, რამდენადაც მათემატიკურ ეკონომიასა და ეკონომეტრიკაში ხედავს დადებით ელემენტებს. ეკონომეტრიკას შეუძლია ტექნო-ეკონომიური პრობლემის გადაწყვეტა.

ი. დანჩოს განმარტებით, არსებობს ეკონომეტრიკის (ეკონომეტრიის) ორი სახე: 1. ბურჟუაზიული ეკონომეტრიკა და 2. მარქსისტული ეკონომეტრიკა. ამ თვალსაზრისს იზიარებს ბულგარელი ეკონომისტი ი. სტეფანოვი. იგი წერს: „სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ზოგიერთი ეკონომისტი თვლის, რომ ეკონომეტრიკა კარგი საქმეა კაპიტალისტისათვის, ხოლო სოციალისტური მეურნეობისათვის, ეკონომიკისათვის ეკონომეტრიკა წარმოადგენს თითქმის მარქსიზმიდან გადახვევას. რატომ? იმიტომ, ამბობენ ეს ეკონომისტები, რომ ეკონომეტრიკა არის ზღვრული სარგებლიანობა პლუს მათემატიკა, პლუს სტატისტიკა. რაკი მისი საფუძველი მანკიერია, მაშასადამე, თვით ეკონომეტრიკაც მანკიერია“¹⁸⁸.

სოციალ-ეკონომიურ ლიტერატურაში ეკონომეტრიკას განიხილავენ, როგორც ერთობლიობას სამი შემდეგი დისციპლინისა: 1. ეკონომიური თეორიის, 2. მათემატიკისა და 3. სტატისტიკის.

ე. ჰანსენი აღნიშნავს, რომ რაგნარ ფრიშემ უურნალ „ეკონომეტრიკის“ 1933 წლის პირველ ნომერში ეკონომეტრიკა ასე დაახასიათა: „ეკონომეტრიკა არაა იგივე, რაც ეკონომიური სტატისტიკა, იგი აგრეთვე არ ემთხვევა იმას, რასაც ეწოდება ზოგადი ეკონომიური თეორია, თუმცა ამ თეორიის მნიშვნელოვან ნაწილს აქვს განსაზღვრულად რაოდენობრივი ხასიათი. არ წარმოადგენს ეკონომეტრიკა აგრეთვე ეკონომიკაში მათემატიკის გამოყენების სინონიმს. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თითოეული ამ სამი თვალსაზრისიდან — სტატისტიკის, ეკონომიური თეორიისა და მათემატიკის თვალსაზრისი — წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრებაში რაოდენ-

¹⁸⁷ Новые тенденции в современной буржуазной политической экономии, გვ. 137—138.

¹⁸⁸ იქვე, გვ. 593; იხ. О. Ланге, Введение в эконометрику, М., 1964 და სხვ.

ნობრივ დამოკიდებულებათა სწორი გაგების აუცილებელ პირობას. მაგრამ თავისთავად ცალკე აღებული თითოეული მათგანი საკმარისი არაა. მხოლოდ სამივე თვალსაზრისის გაერთიანებას შეუძლია კვლევის ძლიერი მეთოდის შექმნა. სწორედ ეს გაერთიანება ქმნის ეკონომეტრიკას¹⁸⁹.

არა მარტო ე. ჰანსენი, რ. ფრიში და რ. ალენი, არამედ სხვა ბურჟუაზიული ეკონომისტებიც აღნიშნავენ, რომ ეკონომეტრიკა წარმოადგენს სამი მეცნიერული დისციპლინის — პოლიტეკონომიის, მათემატიკისა და სტატისტიკის ერთობლიობას.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანს სტატისტიკის როლი ეკონომეტრიკაში კლებულობს. მეტიც, ზოგიერთი ეკონომეტრიკოსი გამოდის ეკონომეტრიკულ მოდელებში სტატისტიკის გამოყენების წინააღმდეგ. სამაგიეროდ განსაკუთრებით დიდ ადგილს იჭერს უმაღლესი მათემატიკა (დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებანი, ალბათობის თეორია, წრფივი ალგებრა და ა. შ.). ეკონომეტრიკოსები აცხადებენ, რომ უმაღლესი მათემატიკის გამოყენებით შეიძლება კაპიტალისტური ეკონომიკის ყველა აქტუალური მაკროპრობლემების გადაწყვეტა.

ი. სტეფანოვი ამტკიცებს, რომ არ შეიძლება მარტო იმ დასკვნის გაცემა, თითქოს ეკონომეტრიკა მხოლოდ ეკონომიურ მარყინალიზმს ემყარება და ბურჟუაზიული ეკონომიური მოძღვრებაა. ასეთი მსჯელობის შემდეგ მას მოაქვს შემდეგი მაგალითი:

ყველასათვის ცნობილია, რომ მათემატიკა, როგორც აღნიშნავდა რუსა მათემატიკოსი ჟუკოვსკი, ფორმალური მეცნიერებაა, მათემატიკა ზუსტად წისქვილის ქვებია, რომლებიც ფქვავენ ყოველ მასალას, რაც მათში მოხვდება. წისქვილზე ვერ მიიღებთ პურის ფქვილს თაბაშირის დაფქვით. შესაბამისად ამისა, განაგრძობს ი. სტეფანოვი, იგივე შეიძლება ითქვას ეკონომიკაში მათემატიკის გამოყენების მიმართ. მარქსისტულ ეკონომეტრიკაში, ნაცვლად ბურჟუაზიული ეკონომეტრიკისა, გამოყენებულ უნდა იქნეს მარქსისტულ-ლენინური ეკონომიური მოძღვრება — დასკვნის ი. სტეფანოვი.

აკად. ვ. ს. ნეჰინოვი (1894 — 1964) ამბობდა, რომ ეკონომისტები ჩამორჩნენ ტექნიკურ პროგრესს, მათი ვალია ამ ჩამორჩენის დაძლევა. ახლა მნიშვნელოვანია ის, რათა ეკონომისტები ხდებოდნენ სოციალურ ინჟინრებად. ამისათვის აუცილებელია ის, რომ ეკონომიური გამოკვლევები ემყარებოდეს არა ლიტერატურული წყა-

¹⁸⁹ Э. Хансен, Экономические циклы и национальный доход, 83, 517.

როების გადამუშავებას, არამედ ცოცხალი სინამდვილის ფაქტებსა და ციფრებს¹⁸⁰—დაასკვნის აკად. ვ. ს. ნემჩინოვი. იგი მოუწოდებდა ახალგაზრდობას, რომ დიდი ინტერესი გამოეჩინა ცოდნის ისეთი ახალი დარგებისადმი, როგორცაა: ეკონომიური კიბერნეტიკა, მათემატიკური დაპროგრამება, ეკონომეტრიკა, ელექტრონული ტექნიკა.

ამრიგად, აკად. ვ. ს. ნემჩინოვიც მიიჩნევს ეკონომეტრიკას მეცნიერების ახალ დარგად. ზოგიერთი შიშს გამოთქვამს იმაზე, რომ მათემატიკის გამოყენებამ ეკონომიურ მეცნიერებაში არ შეასრულოს „ტროას ცხენის“ როლი. აკად. ვ. ს. ნემჩინოვს აქ მხედველობაში ჰქონდა ბურჟუაზიულ-რეფორმისტული იდეოლოგიის შეღწევა მარქსიზმ-ლენინიზმში. „ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია ფართოდ იყენებს თავისი საჭიროებისათვის მათემატიკას. გამოქვეყნებულია მრავალი წიგნი, გამოდის სპეციალური ჟურნალები, ტარდება თათბირები და საერთაშორისო კონფერენციები, რომლებიც ეძღვნება ეკონომიურ გამოკვლევებში მათემატიკური მეთოდების გამოყენების საკითხებს. მიღებულია, რომ განასხვავებენ ამ მეთოდების ორ ჯგუფს: ეკონომეტრიასა და მათემატიკურ ეკონომიას. საზღვარგარეთულ ლიტერატურაში ეკონომეტრიად ჩვეულებრივ იწოდება ისეთი გამოკვლევები, რომლებშიც ეკონომიური თეორიის, სტატისტიკისა და მათემატიკის გაერთიანებული მეთოდია გამოყენებული“¹⁸¹.

საბჭოთა ეკონომისტების განმარტებით, ეკონომეტრიკა, რომელიც ეკონომიური მარკინალიზმის თეორიას ემყარება, წარმოადგენს თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის განსაზღვრულ სკოლას.

უნდა განვასხვაოთ ერთიმეორისაგან ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომია. რა თქმა უნდა, მათ შორის მჭიდრო კავშირიცაა. ე. ჟამსის აზრით, უკანასკნელ დროს ძლიერდება მათემატიკური ეკონომიისა და ეკონომეტრიკის დაახლოების ტენდენცია. ეკონომეტრიკა წარმოადგენს მათემატიკური ეკონომიის თავისებურ გაგრძელებას.

ა) მ ა თ ე მ ა ტ ი კ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი ა . რ . ა ლ ე ნ ი

მ ა თ ე მ ა ტ ი კ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი ა, თვით ბურჟუაზიულ ეკონომისტთა განმარტებით, — იგივე ეკონომეტრიკა, მხოლოდ ეკონომ-

¹⁸⁰ В. С. Немчинов, Экономико-математические методы и модели 1962, გვ. 5.

¹⁸¹ იქვე, გვ. 9.

მიურ პარამეტრთა სტატისტიკური კონკრეტიზაციის გარეშე. მათემატიკური ეკონომია წარმოადგენს პოლიტეკონომიის ინგლის-ამერიკული სკოლის თანამედროვე ნაირსახეობას. მათემატიკური ეკონომიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ლონდონის უნივერსიტეტის ეკონომიური სტატისტიკის პროფესორი ალენი.

მათემატიკური ეკონომიის სპეციალური კურსი იკითხება დასავლეთის მთელ რიგ უნივერსიტეტებში. მაგალითად, ლონდონის უნივერსიტეტში მას კითხულობს პროფ. რ. ალენი. მათემატიკური ეკონომიის შეფასებისას საჭიროა კრიტიკული მიდგომა. აკად. ვ. ს. ნემჩინოვი აღნიშნავდა, რომ მათემატიკურ ეკონომიასა და ბურჟუაზიულ ეკონომეტრიკას უნდა მიეუდგეთ კრიტიკულად. «ეკონომეტრიკისა და მათემატიკური ეკონომიის წარმომადგენელთა ძირითადი მანკი, — წერს ვ. ნემჩინოვი, — მდგომარეობს იმაში, რომ ისინი სოციალურ-ეკონომიურ ანალიზს ცვლიან კვლევის წმინდა მათემატიკური მეთოდებით, რის შედეგად «მატერია ქრება», რჩებიან მხოლოდ ერთნი—განტოლებანი»¹⁹².

ბურჟუაზიული ეკონომიური იდეოლოგიის თეორეტიკოსები მაღალ შეფასებას აძლევენ ეკონომეტრიკას და სურთ მისი აყვანა ზუსტ მეცნიერებათა რანგში. მათი აზრით, ბურჟუაზიული ეკონომეტრიკის შექმნა ნიშნავს ვულგარეკონომიის დეზაპოლოგეტიზაციას, ღრმა კრიზისული მდგომარეობიდან თავის დაღწევას. სინამდვილეში ბურჟუაზიული ეკონომეტრიკა ნიშნავს პოლიტეკონომიის ტექნოლოგიზაციასა და მათემატიზაციას. განსაკუთრებით ბევრი იწერება ეკონომიურ მოძღვრებათა მათემატიზაციისა და მათემატიკური ეკონომიის შესახებ.

ეკონომიურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენება კაპიტალისტურ ეკონომიკაში შეიძლება განხილულ იქნეს ორ ასპექტში: პოლიტეკონომიურ და გამოყენებით ასპექტში. ამ თვალსაზრისით განასხვავებენ ეკონომეტრიკასა და მათემატიკურ ეკონომიას. ახლა რამდენიმე სიტყვა მათემატიკური სკოლის შესახებ¹⁹³.

ბურჟუაზიული პოლიტეკონომიის მათემატიკური სკოლა ჩამოყალიბდა გასული საუკუნის 70-იან წლებში. ამ სკოლის მთავარი წარმომადგენლები არიან: ფრანგი ეკონომისტი და მათემატიკოსი ა. კურნო, ავსტრიელი კ. მენგერი და ი. შუმპეტერი, ინგლისელი უ. ჯევონსი,

¹⁹² В. С. Немчинов, Экономико-математические методы и модели, 1962, гл. 10.

¹⁹³ ეს საკითხი ვრცლად განხილული შრომაში: გ. ჯანუყვაძე, ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. 1, 1962, გვ. 90 — 109.

ლოზანის სკოლის მეთაური ლ. ვალრასი, იტალიელი ვ. პარეტო, გერმანელი ლაუნგარდტი, ამერიკელი ი. ფიშერი, შვედი გ. კასელი და სხვ.

სწორედ მათემატიკურმა სკოლამ დაიწყო პოლიტეკონომიის მათემატიზირება და მექანიზირება. უმაღლესი მათემატიკა კი გამოცხადდა ეკონომიურ მოვლენათა გამოკვლევის ერთადერთ სწორ მეთოდად. მათემატიკური სკოლის თეორიულ საფუძველს შეადგენდა ეკონომიური მარკინალიზმი. იგი განასხვავებდა „წმინდა“ და „გამოყენებით“ პოლიტეკონომიას. „წმინდა პოლიტეკონომიის“ დანიშნულებას შეადგენდა ეკონომიურ მოვლენათა შესწავლა განსაკუთრებით აბსტრაქტულ ფორმაში, ეკონომიური პროცესებისაგან განყენებულად. „გამოყენებით პოლიტეკონომიას“ კი მხედველობაში უნდა მიეღო ყველა მოვლენა. რომლებიც ეკონომიურ ცხოვრებაზე ახდენენ გავლენას.

მარქსიზმ-ლენინიზმი, რა თქმა უნდა, არ უარყოფს მათემატიკის გამოყენებას ეკონომიურ გამოკვლევებში, მაგრამ მას ანიჭებს დამხმარე როლს. კ. მარქსი მკაცრად აკრიტიკებდა ბურჟუაზიული პოლიტეკონომიის მათემატიკური სკოლის წარმომადგენლებს, რომლებიც გადამწყვეტ როლს უმაღლეს მათემატიკას ანიჭებდნენ.

სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ზრდამ და კაპიტალისტური ეკონომიკის „რეგულირების“ აუცილებლობამ დღის წესრიგში კვლავ დასვა საკითხი პოლიტეკონომიის მათემატიზირების შესახებ. განსაკუთრებით გაძლიერდა ეს პროცესი უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში, ჩამოყალიბდა ბურჟუაზიული პოლიტეკონომიის სპეციალური განშტოება მათემატიკური ეკონომიის სახით. მათემატიკური ეკონომიის აქტივიზაციას ხელი შეუწყო გამოთვლითი ცენტრების შექმნამ. ამ ცენტრებში წყდება სხვადასხვა ეკონომიური ამოცანები (ტრანსპორტის ქსელის, ტვირთების გადატანის ორგანიზაციის, ენერგეტიკული მრეწველობის გაადგილების, კლიენტურის მომსახურებისა და სხვ.). მათემატიკური ეკონომიის გამოყენებამ საფრანგეთში მიიღო „კაპიტალისტური ბაზრის სანქცია“.

ეკონომიურ და პოლიტიკურ ცოდნათა ლონდონის სკოლის წარმომადგენელმა როი ჯორჯ დუგლას ალენმა გამოაქვეყნა კაპიტალური შრომა სახელწოდებით „მათემატიკური ეკონომია“¹⁹⁴, რომელიც რამდენჯერმე გამოიცა. ჰერ კიდევ 1939 წელს რ. ალენმა გამოაქვეყნა წიგნი „მათემატიკური ანალიზი ეკონომისტათვის“. მას სხვა შრომებიც აქვს, რომლებსაც კარგად იცნობენ დასავლეთში. მისი

¹⁹⁴ Roy George Douglas Allen, *Mathematical Economics*, 1956.

წიგნი „მათემატიკური ეკონომია“ რუსულადაც ითარგმნა. ეს წიგნი წარმოადგენს ეკონომიურ გამოკვლევებში მათემატიკის გამოყენების თაობაზე საზღვარგარეთის ქვეყნებში დაგროვილი გამოცდილების პედაგოგიურ განზოგადებასა და სისტემატიზაციას.

თვით რ. ალენი არის სტატისტიკოს-მათემატიკოსებისა და ეკონომისტ-მათემატიკოსების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. მას ხელმძღვანელი თანამდებობა ეკავა ინგლისის ცენტრალურ სტატისტიკურ დაწესებულებებში. მეორე მსოფლიო ომის დროს ალენი იყო ინგლისის წარმომადგენელი წარმოებისა და რესურსების გაერთიანებული სამინისტროს ხელმძღვანელობაში (ვაშინგტონში). იგი წევრია: სამეფო სტატისტიკური საზოგადოებისა და ეკონომეტრიკული საზოგადოების საბჭოებისა, საერთაშორისო სტატისტიკური ინსტიტუტისა და სხვა ორგანიზაციებისა.

რ. ალენის „მათემატიკური ეკონომია“ მათემატიკის სახელმძღვანელო არაა. მასში განხილულია ეკონომისტებისათვის საინტერესო პრობლემები. თვით ალენი საკითხებს განიხილავს, როგორც ეკონომიურ ტექსტს მათემატიკურ გამოთქმებში. მიუხედავად ამისა, მისი წიგნი არც ეკონომიურ სახელმძღვანელოს წარმოადგენს. იგი არის სახელმძღვანელო ახალ ჰიბრიდულ დისციპლინაში (მათემატიკისა და ეკონომიური მეცნიერებისა)—მათემატიკურ ეკონომიაში. „ეს წიგნი,—წერს რ. ალენი,—არ წარმოადგენს მათემატიკის სახელმძღვანელოს ეკონომისტისათვის და არც ეკონომეტრიის სახელმძღვანელოს. მისი მიზანი მდგომარეობს მათემატიკური ეკონომიის ზოგიერთ უმთავრესად მნიშვნელოვანი და მარტივი განყოფილებების საკმაოდ სისტემატიზებულ გადმოცემაში“¹⁹⁵.

წიგნის შესავალში იგი წერს, რომ ესაა „ეკონომიკის და არა მათემატიკის სახელმძღვანელო... ეს წიგნი ეძღვნება ეკონომიურ თეორიას და არა გამოყენებით ეკონომიკას, ანუ ეკონომეტრიას“¹⁹⁶.

ამრიგად, რ. ალენის აზრით, მათემატიკური ეკონომია არის ეკონომიური თეორია, ხოლო გამოყენებითი ეკონომია — ეკონომეტრია.

რ. ალენის „მათემატიკურ ეკონომიაში“ განხილულია დარგთაშორისი კავშირების სისტემის საკითხები. ავტორი იყენებს წრფივ დაპროგრამებას ეკონომიური და წარმოებრივი ამოცანების გადასაწყვეტად, მოთხოვნა-მიწოდების გამოკვლევის მათემატიკურ მეთოდებს, „თამაშთა თეორიას“, მიკრო და მაკრომეთოდებს და ა. შ.

რ. ალენის წიგნის „მათემატიკური ეკონომიის“ რუსული თარგ-

¹⁹⁵ P. Аллен, Математическая экономия, стр. 13.

¹⁹⁶ იქვე: ...

შანი შედგება: ალბერტ ლ. ვაინშტეინის შესავალი სტატიის, ავტორის წინასიტყვაობის (პირველი და მეორე გამოცემისათვის), შესავლის, 19 თავისა და დანართისაგან.

წიგნში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა ეკონომიური ზრდის პრობლემებს. მაგალითად, რ. ალენი განიხილავს ქსელისებური და სხვა სახის დინამიკურ მოდელებს, კლასიკურ მოდელებს, მულტიპლიკატორისა და აქსელერაციის პრინციპს, სამუელსონის, პიკისის, ჰუდვინის, კალეკის, ფილიპისისა და სხვათა დინამიკურ მოდელებს. წიგნში ფართოდაა წარმოდგენილი ეკონომიური წონასწორობის, წრფივი დაპროგრამების, ლირებულებისა და სხვა საკითხთა ანალიზი.

ეკონომიურ პრობლემებს რ. ალენი განიხილავს ბურჟუაზიული ეკონომეტრიისა და მათემატიკური ეკონომიის პოზიციებიდან. თავისი წიგნის შესავალში იგი წერს, რომ ცვლილებები მოხდა ბურჟუაზიულ პოლიტეკონომიაში: ჯერ ერთი, „მათემატიკურ ეკონომიაში ფართოდ იყენებენ მატრიცულ ალგებრას, ვექტორულ ანალიზს, კომპლექსურ ცვლადებს, ოპერატორებსა და მსგავს მათემატიკურ ზეთოდებს“¹⁹⁷.

„ეკონომიური მეცნიერების განვითარების მეორე მიმართულებად უკანასკნელ 20 წელიწადში, — განაგრძობს რ. ალენი, — არის ეკონომეტრიკის ზრდა“. ეკონომეტრიისა და მათემატიკური ეკონომიის განვითარების საქმეში, რ. ალენის აზრით, დიდი როლი შეასრულა ჯ. კეინსის შრომებმა. თვით რ. ალენის „მათემატიკური ეკონომიის“ შექმნაზეც გარკვეული გავლენა მოახდინა კეინსელობამ და ეკონომიური ზრდის პრობლემის დასმამ, საბოლოოდ რ. ალენი იძლევა მათემატიკური ეკონომიის შემდეგნაირ განსაზღვრას: „დასასრულს, საჭიროა ხაზი გაესვას იმას, რომ მათემატიკური ეკონომია წარმოადგენს გამოყენებით მათემატიკას: იგი მოიცავს კავშირს მათემატიკასა და ეკონომიკას შორის“¹⁹⁸.

რ. ალენიც იზიარებს იმავე აზრს, რომ მათემატიკური ეკონომიის იგივე ეკონომეტრიისა, ოღონდ სტატისტიკის გარეშე. „ამიტომ, — წერს იგი, — მათემატიკური ეკონომია უმჯობესია განხილულ იქნეს როგორც ეკონომიური შინაარსის ერთობლივ აქსიომათა სპეციფიკური სისტემისაგან შედეგთა გამოყვანის პროცესი“¹⁹⁹.

მიუხედავად ასეთი მანიპულაციებისა, რ. ალენიც იზიარებს მათემატიკური სკოლის დებულებას ეკონომიურ გამოკვლევებში მათე-

¹⁹⁷ P. Аллен, Математическая экономия, гл. 13.

¹⁹⁸ იქვე, გვ. 13.

¹⁹⁹ იქვე, გვ. 19.

მატიკური მეთოდის გადამწყვეტი როლის შესახებ. იგი წერს, რომ მათემატიკა წარმოადგენს ლოგიკური აზროვნების „მექანიკურ ნი-ჩაბს“²⁰⁰.

რ. ალენი თავის „მათემატიკურ ეკონომიაში“ პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიების მათემატიზაციას ახდენს. საილუსტრაციოდ შეიძლება მრავალთაგან ერთი ასეთი მაგალითის მოტანა: „ეროვნული შემოსავალი, — წერს რ. ალენი, — ტოლია ეროვნული პროდუქტის, ანუ საბოლოო პროდუქციის გამოშვებისა და, ამგვარად, წარმოადგენს წმინდა პროდუქციის ფულად ერთობლიობას ყველა იმ დარგისა, რომლებიც აწარმოებენ საქონელს და ეწევიან მომსახურებას“²⁰¹.

ამრიგად, ეროვნულ შემოსავალში რ. ალენს შეჰყავს მომსახურებაც. ცხადია, აქ არ ჩანს ეროვნული შემოსავლის განაწილების კლასობრივი ხასიათი და მიჩქმალულია ზედმეტი ღირებულების წარმოებისა და განაწილების ნამდვილი სურათი.

მიუხედავად მათემატიკური ეკონომიის წარმომადგენელთა ამგვარი მსჯელობისა, თანამედროვე ბურჟუაზიულ სოციალ-ეკონომიურ ლიტერატურაში გვხვდება საკმაოდ ბევრი საკუთრად ეკონომიურ-მათემატიკური შრომები, რომლებიც საინტერესო და ზოგჯერ სასარგებლო მასალას იძლევიან.

ბ) ეკონომეტრიის (ეკონომეტრიკის) წარმოშობა

ეკონომიურ მოძღვრებათა მათემატიზაცია-ტექნოლოგიზაციის პროცესმა მოიცვა თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის თითქმის ყველა სკოლა და მიმართულება. მათ აერთიანებს ერთი საერთო დროშა — ეკონომეტრია. რა თქმა უნდა, ეკონომეტრია ერთგვაროვან დინებას როდი წარმოადგენს. იგი საკმაოდ ჰრეელი, მრავალგანშტოებიანი და მრავალშენაკადიანი მდინარეა, ამიტომ, ბუნებრივია, რომ ეკონომეტრიკოსებს შორის აზრთა სხვადასხვაობაცაა.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მათემატიკური ეკონომიის წინამორბედებია ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის მათემატიკური და ავსტრიული სკოლა. ეკონომეტრიის წარმოშობა კი ისტორიულად დაკავშირებულია ინსტიტუციონალიზმთანაც. ამრიგად, ბურჟუაზიული ეკონომეტრიის წარმოშობა კავშირშია როგორც ინსტიტუციონალიზმთან, ასევე მათემატიკურ ეკონომიასა და „სტატისტიკურ ეკონომიასთან“.

²⁰⁰ P. Аллен, Математическая экономия, гл. 20.

²⁰¹ იქვე, გვ. 48.

ცნობილია, რომ ამერიკული ინსტიტუციონალიზმის ჩარჩოებში ჩამოყალიბდა „სტატისტიკური ეკონომია“. ამერიკული ინსტიტუციონალიზმის იმ ნაწილმა, რომელსაც სათავეში ედგა უ. მიტჩელი, დიდი როლი შეასრულა პოლიტიკურ ეკონომიაში სტატისტიკის დანერგვის მიზნით. მიტჩელი და მისი მიმდევრები უარს აცხადებდნენ აბსტრაქტულ პოლიტიკონომიაზე და მოითხოვდნენ „სტატისტიკური ეკონომიის“ განვითარება-გამოყენებას. „სტატისტიკური ეკონომია განხილულ უნდა იქნეს, როგორც ეკონომეტრიკის დასაწყისი“²⁰² —წერს ვ. შლიაპენტოხი.

თვით ტერმინი „ეკონომეტრიკა“, როგორც ახალი მიმართულების მაჩვენებელი სახელწოდება, გავრცელდა მას შემდეგ, რაც რაგნარ ფრიშმა 1926 წელს გამოაქვეყნა სპეციალური სტატია ამ საკითხზე. ვ. შლიაპენტოხი წერს, რომ პირველად ტერმინი „ეკონომეტრიკა“ გამოიყენა პ. ჩიომპამ თავის წიგნში „ნარკვევი ეკონომეტრიკა და ბულალტერიის ბუნებრივი თეორიისა, რომელიც პოლიტიკურ ეკონომიას ემყარება“²⁰³. ეს წიგნი 1910 წელს გამოიცა ლვოვში რის შესახებ ლაპარაკობს თვით რ. ფრიში ეურნალ „ეკონომეტრიკის“ პირველ ნომერში²⁰⁴.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის დაწყებამ, 1929/33 წლებს შარბწარმოების ეკონომიურმა კრიზისმა გაკოტრების პირას მიიყვანა ამერიკული ინსტიტუციონალიზმი და „სტატისტიკური ეკონომია“.

30-იან წლებში იწყება ეკონომეტრიის მოდერნიზაცია. ეკონომეტრიკა, როგორც კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდის ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის მიმდინარეობა, ორგანიზაციულად ჩამოყალიბდა 1930 წლის ბოლოს და მიიღო სახელწოდება „ეკონომეტრიკული საზოგადოება“. ამავე წლიდან იწყება „საზოგადოების“ თეორიული პერიოდული ეურნალის „ეკონომეტრიკა“ მრავალ ენაზე (ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და სხვ.) გამოცემა. ეურნალმა იწყო ეკონომეტრიკის პროპაგანდა და ეკონომეტრიკული ხასიათის შრომების, აგრეთვე „ეკონომეტრიკული საზოგადოების“ კონგრესთა მასალების გამოქვეყნება. „ეკონომეტრიის გავლენა, — წერს ე. ჟამსი, — განსაკუთრებით დიდი გახდა მას შემდეგ, რაც 1930 წ. შეიქმნა საერთაშორისო ეკონომეტრიკული საზოგადოება და

²⁰² В. Э. Шляпентох, Эконометрика и проблемы экономического роста, 83- 12.

²⁰³ P. Ciompa, Grundriss einer Ökonometrie und die aufgebaute natürliche Theorie der Buchhaltung, 1910.

²⁰⁴ „Econometrica“, № 1, 1936, 83- 35.

ეურნალმა „ეკონომეტრიკამ“ მრავალ ენაზე იწყო რეგულარულად გამოქვეყნება საზოგადოების წევრთა მთავარი შრომებისა და საზოგადოების კონგრესთა მასალებისა“²⁰⁵

„საერთაშორისო ეკონომეტრიკული საზოგადოება“ შეიქმნა კლივლენდში 1930 წლის 29 დეკემბერს. დამფუძნებელი კონგრესის ინიციატორები იყვნენ: ი. ფიშერი, (1867—1947), რ. ფრიში, ჩ. რუზი (მომხსენებელი). დამფუძნებელ კონგრესს თავმჯდომარეობდა იოზეფ შუმპეტერი.

„საერთაშორისო ეკონომეტრიკული საზოგადოების“ ძველი წევრებიდან ე. ჟამსი ასახელებს უ. მიტჩელს, ა. ბერსსს, ჟ. ტინბერგენს, რ. ფრიშს, რ. როიას, ფ. დივიზიას. ი. ბლუმინის აზრით, ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან აგრეთვე: ვ. ლეონტიევი, ლ. კლეინი, ი. მარშაკი, ტ. კუპმანი და სხვ.

ე. ჟამსი სინანულით დასძენს, რომ ეკონომეტრია წინათ ვერ გავრცელდა ფართოდ, დიდი მასშტაბით და ვერც სათანადო ყურადღება დაიმსახურა. იგი წერს: „ჩვენი არასაკმარისი მათემატიკური კულტურის გამო ეკონომეტრიულმა შრომებმა ვერ დაიმსახურა დიდი ყურადღება“²⁰⁶.

ე. ჟამსის დახასიათებით, ეკონომეტრია, „სტატისტიკური პოლიტეკონომიის“ მსგავსად, გამოვიდა ტრადიციულ ეკონომიურ მოძღვრებათა რევიზიით. „ეკონომეტრიკაც თავისებურად იყო მეტისმეტი აბსტრაქტული ნეოკლასიკური ეკონომიკის საწინააღმდეგო პროტესტის ფორმა“²⁰⁷. ე. ჟამსი მაღალ შეფასებას აძლევს ბურჟუაზიულ ეკონომეტრიკას. იგი ცალკე გამოყოფს „სამეთვალყურო ეკონომეტრიკას“²⁰⁸, რომელმაც „სრულყო“ პოლიტეკონომია. ამასთანავე ე. ჟამსი ვერ უარყოფს იმ ფაქტს, რომ „ეკონომეტრიკა, შესაბამისად, ზურგს აქცევს არა აბსტრაქციას, არამედ კონკრეტულ სინამდვილეს“²⁰⁹. თუმცა იგი დიდადაა გახარებული იმით, რომ „უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ეკონომეტრიკა ძალიან ფართოდ გავრცელდა“²¹⁰.

თანამედროვე ბურჟუაზიულ ეკონომიურ ლიტერატურაში დიდი ზმავურია ატეხილი ეკონომეტრიის „ტრიუმფალური სვლის“ გარშემო. ი. აკერმანის დახასიათებით, თანამედროვე ბურჟუაზიულ ეკო-

²⁰⁵ Э. Жамс, История экономической мысли XX в., гл. 98.

²⁰⁶ იქვე, გვ. 33.

²⁰⁷ იქვე, გვ. 79.

²⁰⁸ იქვე, გვ. 285.

²⁰⁹ იქვე, გვ. 290.

²¹⁰ იქვე, გვ. 290.

ნომიურ მოძღვრებათა შორის ეკონომეტრიკა ყველაზე უფრო პროდუქტიული მიმდინარეობაა. ფრანგი ბურჟუაზიული ავტორი ე. გრანჟეც იზიარებს ამ თვალსაზრისს. მისი აზრით, ეკონომეტრიკის წარმოშობა და განვითარება ეკონომიური მეცნიერების „სიმწიფის“ გამოვლინებაა. მეორე ფრანგი ავტორი ანდრე მარშალი დიდ იმედებს ამყარებს ეკონომეტრიკაზე, იგი აღნიშნავს, რომ მომავალი ეკონომეტრიკის ეკუთვნის. ეკონომეტრიკა, — წერს პ. როზე, — „მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ხვალისდელი დღის ეკონომიურ მეცნიერებაში“. „ეკონომეტრიკა ხდება უფრო და უფრო აუცილებელი კონკრეტული ეკონომიკისათვის, განსაკუთრებით მაშინ, თუ მხედველობაში იქნება მიღებული ის, რომ XX საუკუნის ეკონომიურ თეორიებში გაბატონებულ ტენდენციას წარმოადგენს დაგეგმვის აუცილებლობის დასაბუთება“²¹¹. — წერს ე. ჟამსი.

ამრიგად, ბურჟუაზიული ეკონომეტრიკის გავრცელება აიხსნება სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ზრდით, „რეგულირებადი კაპიტალიზმის“ იდეების გაძლიერებით. ამიტომ შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ ეკონომეტრიკის წარმოშობა და გავრცელება მოხდა კეინსელობისა და „რეგულირებადი კაპიტალიზმის“ დოქტრინის აღმოცენების პარალელურად. ზოგიერთი ბურჟუაზიული ეკონომისტი (გ. ჰაბერლერი, რ. ალენი, გ. შტევე და სხვ.) ჯ. კეინსს მიიჩნევს ეკონომეტრიკის ერთ-ერთ ფუძემდებლად. მაგალითად, გ. ჰაბერლერის აზრით, ეკონომეტრიკა, როგორც მეცნიერება, წარმოიშვა ჯ. მ. კეინსის მთავარი თხზულების — „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია“ — გამოქვეყნების შემდეგ. ამ აზრს იზიარებს რ. ალენი და დასავლეთგერმანელი ეკონომისტი გ. შტევე²¹².

გ) ე კ ო ნ ო მ ე ტ რ ი კ ი ს ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ
კ ო ნ ც ე ფ ც ი ა თ ა ს ა ე რ თ ო
თ ე ო რ ი უ ლ-მ ე თ ო დ ო ლ ო გ ი უ რ ი ბ ა ზ ა

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მათემატიკური გაანგარიშებანი დადებით შედეგებს იძლევიან, მაგრამ თვით მათემატიკა დამხმარე როლს ასრულებს ეკონომიურ გამოკვლევებასა და დაგეგმვის საქმეში:

ბურჟუაზიული ეკონომეტრიკოსები კი დგანან ეკონომიური მარჟინალიზმის პოზიციებზე. ამიტომ მათი ეკონომეტრიული მოდელე-

²¹¹ Э. Жамс, История экономической мысли XX в., гл. 291.

²¹² G. Stöwe, Ökonometrie und makroökonomische Theorie, Stuttgart, 1959, гл. 8.

ბი და მათემატიკურ-ეკონომიური განტოლებანი პროგნოზებად რჩება. ხოლო ბურჟუაზიული ეკონომეტრია — მეცნიერებისმაგვარ ფორმას ატარებს. სხვაგვარად არც შეიძლება, რადგან ეკონომეტრიის თეორიული ბაზა და მეთოდოლოგია არც კი განსხვავდება თავისი ბუნებით მათემატიკური და ავსტრიული სკოლებისაგან.

ცხადია, ეკონომეტრიული შრომები არაა ერთგვაროვანი, ე. ი. არც ერთიანი მეთოდოლოგიური ხაზია მათში გატარებული. ეკონომეტრიკოსებს შორის აზრთა უთანხმოებაცაა. ეს ბუნებრივია. რადგან ეკონომეტრიული მიმართულების მომხრეთა შორის არიან აშკარა კეინსელებიც (თვით კეინსის ჩათვლით): ე. ჰანსენი, ლ. კლეინი. ა. ლერნერი, კეინსელობის ნაწილობრივ მიმდევრებიც (მაგალითად გ. ჰაბერლერი) და ანტიკეინსელებიც (მ. ალფ, ვ. ჰაიეკი და სხვ.). მათ აერთიანებს უმაღლესი მათემატიკის (უმაღლესი ალგებრა, ალბათობის თეორია, დიფერენციული და ინტეგრალური განტოლებანი და სხვ.) ფართოდ გამოყენება. ეკონომეტრიკოსები თავდაპირველად ალბათობის თეორიაში ხედავდნენ მათ მიერ შედგენილ განტოლებებში პარამეტრთა გამოთვლის მხოლოდ ტექნიკურ საშუალებას, ხოლო შემდეგ გააზვიადეს მისი როლი.

ფრანგმა ბურჟუაზიულმა ეკონომისტმა მ. ალფმ დაახასიათა ეკონომეტრიკის მეთოდი. ამ დახასიათებაში ადგილი აქვს მათემატიკური მეთოდის ფეტიშიზაციას. ეკონომიურ მოვლენათა „სტოქასტიკური“ კონცეფციის წარმოშობა თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიისათვის სიმპტომატურია. ეკონომეტრიკოსებიც იცავენ სტოქასტიკურ²¹³ კონცეფციას, მაშასადამე, ფაქტიურად უარყოფენ ძირითადი, მეორეხარისხოვანი მიზეზობრივ-შედგებობრივი კავშირების არსებობას. სტოქასტიკური კონცეფცია ემყარება ალბათობის თეორიას. ეკონომიური მოვლენების სტოქასტიკური მეთოდოლოგიით შესწავლა უგულვებელყოფს მიზეზობრივ კავშირს, იგი მიმართულია აგრეთვე დეტერმინიზმის წინააღმდეგ.

ამერიკელი პ. კროსერი წერს, რომ მათემატიკურ სკოლას კეინსთან აერთიანებს ის, რასაც შეიძლება ეწოდოს ნეოპოზიტივისტური აზროვნება. „ნეოპოზიტივიზმი აერთიანებს მკაცრ ფორმალურ-ლოგიკურ მსჯელობას, სადაც სრულიად არაა სოციალური და ეკონომიური შინაარსი“²¹⁴. მათემატიკურ ეკონომისტთა პლეადა, განაგრძობს პ. კროსერი, რომელსაც აშშ-ში სათავეში ედგა მათემატიკოსი ჯონ ფონ ნოიმანი და ეკონომისტი ოსკარ მორგენშტერნი, წინა

²¹³ იხ.: Р. Белман, Динамическое программирование, 1960; О. Моргенштерн, О точности экономико-статистических наблюдений, 1968.

²¹⁴ П. Кроссер, Экономические фикции, гл. 367.

პლანზე აყენებდა სტოქასტიკურ-ნეოპოზიტივისტურ კონცეფციას. იგი ემყარებოდა „თამაშის თეორიას“. ნოიმანმა და მორგენშტერნმა ჯერ კიდევ 1944 წელს გამოაქვეყნეს წიგნი „თამაშთა თეორია და ეკონომიური ყოფაქცევა“.

ამ წიგნს მაღალი შეფასება მისცა ნ. ვინერმა. „ფონ ნოიმანისა და მორგენშტერნის შესანიშნავმა წიგნმა „თამაშთა თეორიის“ შესახებ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მთელ მსოფლიოზე და არანაკლები ვაშინგტონზე“²¹⁵.

„თამაშთა თეორია“ მიზნად ისახავს ეკონომიური პრობლემებს გადაწყვეტას, მაგრამ ეკონომიური ანალიზის გარეშე. სტოქასტიკური კონცეფციის საფუძველზე. „თამაშთა თეორია, რომელსაც ნოიმანი და მორგენშტერნი უწევენ პროპაგანდას,—წერს პ. კროსერი, სინამდვილეში წარმოადგენს ალბათობის თეორიის დაშლის შედეგს, თეორიისა, რომელიც თავისი თავდაპირველი ფორმით საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს მიმოქცევაში გაუშვა ლაპლასმა. ლაპლასის ალბათობის თეორია ეყრდნობოდა განსაზღვრულობასა და განუსაზღვრელობას შორის განსხვავებულ ალრიცხვას“²¹⁶.

პ. კროსერის აზრით. ალბათობის თეორიის სუბიექტივიზაცია მოახდინა რ. მიზესმა. ვ. ლეონტიევის მეთოდი, განაგრძობს პ. კროსერი. ოპერაციონალიზმია, ხოლო ეს უკანასკნელი — პრაგმატიზმი: განშტოება.

ეკონომეტრიკის მეთოდოლოგიურ-თეორიული ბაზის შემადგენელი ნაწილია სტოქასტიკური კონცეფცია, ალბათობის თეორია, ნეოპოზიტივიზმი, აგნოსტიციზმი და კვანტიფიკაცია. მაშასადამე, ეკონომეტრიკოსები დგებიან სუბიექტური იდეალიზმის პოზიციებზე. „ეკონომეტრიკოსთა თეორიული არსენალი მთლიანად ყალიბდება ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის ზოგადი დოგმებიდან. მთელი არსებობის განმავლობაში ეკონომეტრიკოსები თავიანთ შრომებში ემყარებოდნენ თეორიებს, რომლებიც გარედანაა შემოტანილი ეკონომეტრიკაში“²¹⁷.

ი. ბლუმინის დახასიათებით, ეკონომეტრიკოსთა თეორიულ აპარატში განსაკუთრებით უდიდეს როლს ასრულებენ:

1. მარკინალიზმის თეორია სხვადასხვა ნაირსახეობებით;
2. ვულგარეკონომიის წარმოების ხარჯებისა და მოთხოვნა-მიწოდების თეორიები და სხვ.;

²¹⁵ ნ. ვინერი, კიბერნეტიკა და საზოგადოება, გვ. 220.

²¹⁶ П. Кроссер, Экономические функции, გვ. 367.

²¹⁷ И. Г. Блюмин, Кризис современной буржуазной политической экономии, გვ. 491.

3. ციკლთა სხვადასხვა თანამედროვე თეორიები;
ამრიგად, ი. ბლუმინის აზრით, ეკონომეტრიის კონცეფციათა
საერთო თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზა ვულგარეკონომიას ემ-
ყარება.

დ) თანამედროვე ბურჟუაზიული
ეკონომეტრიკის უმნიშვნელოვანეს
მიმართულებათა მოკლე დახასიათება

პროფ. ი. ბლუმინის შრომებში გამოყოფილია ბურჟუაზიული
ეკონომეტრიკის ორი ძირითადი მიმართულება: 1. პოლიტი-
კურ-ეკონომიური ხასიათის ეკონომეტრიკული
შრომები და 2. გამოყენებითი ხასიათის ეკონო-
მეტრიკული შრომები. „ეკონომეტრიკოსები იკვლევენ, ერ-
თი მხრივ, ეკონომიური ციკლის პრობლემებსა და ზოგიერთ სხვა
პოლიტიკურ-ეკონომიურ საკითხს, მეორე მხრივ, მატულობს გამო-
ყენებითი ხასიათის ეკონომეტრიკული შრომების ხედრი წონა. ამ
შრომებში ისმება ამოცანა, რათა პრაქტიკული დახმარება გაეწიოს
კაპიტალისტურ საწარმოთა ხელმძღვანელებსა და ბურჟუაზიულ
სახელმწიფოს ორგანოებს“²¹⁸.

საბჭოთა ეკონომისტთა მეორე ჯგუფი (გ. შლიაპენტონი, ს. ნი-
კიტინი და სხვ.) განასხვავებს აგრეთვე ეკონომეტრიკულ ნაწარ-
მოებთა და მოდელების ორ სახეს: 1. თეორიული ხასიათის ეკონო-
მეტრიკული შრომები და 2. გამოყენებითი ხასიათის ეკონომეტრი-
კული შრომები.

პირველი სახის შრომებს მიეკუთვნება უმთავრესად ის ნაწარმო-
ებები, რომლებიც ეძღვნება მოთხოვნის ანალიზსა და ციკლის მო-
დელთა შექმნას.

გამოყენებითი ხასიათის ეკონომეტრიკულ შრომებში განხილუ-
ლია კაპიტალდაბანდებათა თანმიმდევრობის საკითხი, წარმოებაში
პარტიის გაშვების წესი და სხვ. „ეკონომეტრიკული შრომების ორი-
ვე ტიპს შორის, — წერს მ. რინდინა, — მჭიდრო კავშირია. გამოყე-
ნებითი ხასიათის შრომები (მაგალითად, ეკონომეტრიკული ანალიზი
დანახარჯებისა და პროდუქციის გამოშვების ბალანსის მეთოდის მი-
ხედვით) შეიცავენ ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის განსაზღვ-
რულ თეორიულ დებულებებს. ამასთანავე თეორიულ შრომებში

²¹⁸ И. Г. Б л ю м и н, Кризис современной буржуазной политической
экономики, გვ. 437.

არც თუ იშვიათად მოიპოვება წმინდა გამოყენებითი ხასიათის ელემენტები“²¹⁹.

მ. ნიკიტინი ეკონომეტრიკას ფართო გაგებით ყოფს სამ განყოფილებადაც: „მათემატიკურ ეკონომიად (ეკონომიკად), საკუთრივ ეკონომეტრიკად და გამოყენებითი ხასიათის მქონე შრომებად“²²⁰.

ასეთი დაყოფაც პირობითია, რადგან ეკონომეტრიკის სხვადასხვა ძირითადი მიმართულება სოციალ-ეკონომიური პრობლემების შესწავლისათვის იყენებს უმადლეს მათემატიკასა და მათემატიკურ-სტატისტიკურ მეთოდებს. მიუხედავად ამისა, მათ შორის მანცაა განსხვავება. ეს რომ თვალსაჩინო გახდეს, ამისათვის საჭირო იქნება განვიხილოთ ეკონომეტრიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებანი:

1. პოლიტიკურ-ეკონომიური ხასიათის ეკონომეტრიკულ შრომებში არის: ა) „თამაშთა თეორია“, როგორც ეკონომიური მეცნიერების საფუძველი, ბ) ციკლის ეკონომეტრიკული მოდელები, გ) ეკონომიური ზრდის მოდელები: 1. ჰაველმოს 2. კალდორის, ბომოლის, ლუსისა და სხვ. 3. ჰანსენ-სამუელსონის, დომარის, სმიზისის, კურიხარას, 4. ჰაროდის, სოლოუს, კაბაღუგლასისა და სხვ., დ) ეკონომეტრიკული შრომები, რომლებიც მოთხოვნის ანალიზს ეძღვნება.

2. გამოყენებითი ხასიათის ეკონომეტრიკული შრომებიდან ძირითადია: ლეონტიევის მეთოდი და წრფივი დაპროგრამება.

განვიხილოთ მოკლედ ზოგიერთი მათგანი.

„თამაშთა თეორიას“ ჩვენ ნაწილობრივ შევვებით. სახელდობრ, აღვნიშნეთ, რომ ამ თეორიის მთავარი წარმომადგენელია ამერიკელი მათემატიკოსი ჯ. ნოიმანი და ავსტრიული სკოლის თეორეტიკოსი ო. მორგენშტერნი. ეს ავტორები ეკონომიური მეცნიერების საფუძველად აცხადებდნენ მათემატიკურ ანალიზს, სწორედ ამ მიზნით იწყეს მათ „თამაშთა თეორიის“ გამოყენება.

„თამაშთა თეორიას“ იყენებენ სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემუშავების პროცესშიც. „თავისი არსით თამაშთა თეორია ემყარება მოთამაშეთა ან მოთამაშეთა ჯგუფების შეთანხმებას, რომელთაგან თითოეული ცდილობს სტრატეგიის შემუშავებას თავისი მიზნების მისაღწევად. იმ დაშვებიდან გამომდინარე, რომ მოწინააღმდეგეები მასავეთ გამოიყენებენ მოქმედების საუკეთესო ხაზს გამარჯვე-

²¹⁹ М. Рындина, Критика основных направлений современной буржуазной политической экономии, гл. 110.

²²⁰ Современный капитализм и буржуазная политическая экономия, гл. 80.

ბის მისაღწევად. ეს დიდი თამაში უკვე წარმოებს მექანიკურად და კოლოსალური მასშტაბით. თუმცა ფილოსოფია, რომელზეც დაფუძნებულია ეს თეორია. ალბათ მიუღებელია ჩვენი თანამედროვე ოპონენტების — კომუნისტებისათვის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არსებობენ იმის ცხადი ნიშნები, რომ ამ თეორიის შესაძლებლობა უკვე შეისწავლება როგორც რუსეთში, ისევე შეერთებულ შტატებში.²²¹ — წერს ნ. ვინერი.

„თამაშთა თეორია“ თანამედროვე მათემატიკურ მეცნიერებაში არსებული ახალი მიმართულებაა, რომლის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ უნარი შესწევთ სოციალ-ეკონომიურ პრობლემათა გადაწყვეტისა, მაგრამ ფაქტიურად ამას ვერ აკეთებენ, რადგან საამისო საშუალებები ჯერ კიდევ არ აქვთ, ეკონომიური პროცესების ახსნას დაეძებენ ფსიქოლოგიურ ფაქტორებში.

„თამაშთა თეორია“, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ნოიმანმა და მორგენშტერნმა, წარმოადგენს ალბათობის თეორიის დაშლის შედეგს. ეკონომეტრიკული „თამაშთა თეორია“, ეკონომეტრიკოსების და კიბერნეტიკოსების აზრით, წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, „მათემატიკურ ტექნიკას“. „თამაშთა თეორია“ წარმოადგენს კონკურენციული ბრძოლის, მასთან დაკავშირებული საბირჟო სპეკულაციისა და ბურჟუაზიული საქონელწარმოების კოსმოსში არსებულ მოვლენათა იდეოლოგიურ ასახვას. „თამაშის“ პროცესში მონაწილეობენ „ეკონომიური სუბიექტები“, რომელთა შორისაც კონკურენციული ბრძოლაა გაჩაღებული, აგრეთვე სახელმწიფო — „ყველა ცალკეული გადაწყვეტილების კოორდინატორი“.

„თამაშთა თეორიის“, აგრეთვე მონტე-კარლოს პროცედურის პრობაგანდისტების აზრით, ეკონომიურ საქმიანობას და პოკერის თამაშს ერთი და იგივე ხასიათი აქვს, რადგან ორივე შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები წაგების რისკი. მსგავსებას აგრეთვე იმაში ხედავენ, რომ ეკონომიური სუბიექტები, ისევე როგორც ბანქოს მოთამაშენი, ერთმანეთს უპირისპირებენ მოქმედების საკუთარ გეგმას. თამაშის საკუთარ სტრატეგიას, ამის მეოხებით თითოეული ცდილობს თავისი მოგების გადიდებას, და მოწინააღმდეგის მოგების შემცირებას.

თითოეული მოთამაშის წარმატება, ნოიმანისა და მორგენშტერნის აზრით, განისაზღვრება სამი ფაქტორით: 1. მოთამაშის უნარით, 2. მის ხელთ არსებული ინფორმაციის ხარისხითა და 3. შემთხვევით.

²²¹ ნ. ვინერი, კიბერნეტიკა და საზოგადოება, გვ. 224; იხ. Организация производства на промышленных предприятиях США, 1969, გვ. 385.

ასეთი თამაშია გაჩაღებული საფონდო ბირჟაზეც. ბირჟის მოხელეთა საქმიანობა ატარებს იმ სპეკულანტებს შორის გაჩაღებული თამაშის ხასიათს, რომელთა ერთი ნაწილი თავის თამაშს წარმართავს აქციებისა და ობლიგაციების კურსის დაწვევაზე, ხოლო მეორე ნაწილი — აწვევაზე. „თამაშთა თეორია“, წერს რ. ალენი, — იკვლევს ამგვარ მათემატიკურ პრობლემებს. თუ თამაშში მონაწილეობს ორი მოთამაშე, მაშინ თითოეულ მათგანს აქვს მისთვის ხელმისაწვდომი, თამაშის წესებით განსაზღვრული, სტრატეგია და ცდილობს თავისი მოგების მაქსიმიზაციას (გაზომილს, მაგალითად, ფულში) მრავალ პარტიაში ან ელოდება მოგებას ერთ პარტიაში. აქვს თუ არა თამაშს რომელიმე ოპტიმალური თუ მყარი დასასრული (stable outcome) დამოკიდებულია იმაზე, ემთხვევა თუ არა მინიმალური მდგომარეობა, რომლისკენაც მიილტვის ერთ-ერთი მოთამაშეთაგანი, მეორე მოთამაშისათვის ამავე მდგომარეობას.

ამრიგად, თამაშთა თეორიას დამოკიდებულება აქვს ეკონომიური პრობლემების განხილვასთან. მაგრამ თეორია შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ მათემატიკურ არამარტივ ტერმინებში, და, შესაძლოა, არცაა აუცილებელი ასეთი „მჭედლის უროს“ გამოყენება იმისათვის, რომ დუოპოლიის პრობლემის „კაკალი დაიმტკრეს“²²².

თ ა მ ა შ ი, რ. ალენის განსაზღვრით, ესაა წესებისა და პროცედურათა ერთობლიობა, რომლებიც პარტიას ეხება და რომლებსაც ემორჩილება მისი ყველა მონაწილე; თამაშის კონკრეტულ რეალიზაციას იგი უწოდებს პ ა რ ტ ი ა ს — პრაქტიკული გამოყენება წესებისა, რომლებსაც მოაქვს განსაზღვრული შედეგი; ს ვ ლ ა — მომენტია თამაშში. გადახდა ხდება თითოეული პარტიის დასასრულს. თუ თამაშში ორი სუბიექტი მონაწილეობს, მაშინ ერთის მოგება უდრის მეორის წაგებას შესაბამისად. გადახდის ჯამი ყოველთვის ნულის ტოლია.

მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ ეკონომეტრიკოსების „თამაშთა თეორიის“ გამოყენება სოციალ-ეკონომიურ გამოკვლევებში შეუძლებელია, მიუხედავად ნ. ვინერის კატეგორიული განცხადებისა, „რომ საზოგადოებრივი პროცესები ემსგავსებიან ბოლომდე განუსაზღვრელი წესის მქონე თამაშებს“²²³ აქ უგულვებელყოფილია ბურჟუაზიული საზოგადოების კლასებად დაყოფა, კონკურენციული ბრძოლის ფორმები და შედეგები; პროლეტარიატის ბრძოლა და სხვ. მთელი ბურჟუაზიული საზოგადოება გამოყვანილია, როგორც თანასწორუფლებიან მოთამაშეთა კაზინო.

²²² P. Аллен, Математическая экономия, გვ. 404—405.

²²³ ნ. ვინერი, კიბერნეტიკა და საზოგადოება, გვ. 222.

„თამამთა თეორიაში“ კაპიტალისტი და მუშა გამოყვანილია, როგორც ტოლფასოვანი მოთამაშე და პარტნიორი. სინამდვილეში კი წარმოების საშუალებებს მოკლებული მუშა ყოველთვის წამგების როლში გამოდის, ხოლო მსხვილი მესაკუთრენი — პირიქით, განუწყვეტლივ ადიდებენ თავიანთ მოგებასა და სიმდიდრეს.

განვიხილოთ ციკლის ეკონომეტრიკული მოდელები. განსაკუთრებით დიდი ადგილი უკავია ეკონომეტრიკულ მოდელებს კაპიტალისტური „რეგულირების“. პროგრამებისა და მეთოდთა დაქუჩავების საქმეში. ციკლის ეკონომეტრიკული მოდელების ბაზას შეადგენს „რეგულირებადი კაპიტალიზმის“ დოქტრინა. მაკროეკონომეტრიკული მოდელები მოიცავს როგორც მეურნეობის ცალკეულ დარგებს (დარგობრივი ხასიათის ეკონომეტრიკული მოდელები). ასევე კაპიტალისტურ კვლავწარმოებას მთლიანად (კაპიტალისტური კვლავწარმოების ეკონომეტრიკული მოდელები).

სოფიის საერთაშორისო კონფერენციაზე ბ. ისაევმა (ბულგარეთი) ერთიმეორისაგან განასხვავა ორი ტიპის ეკონომეტრიკული მოდელები:

1. მაკროეკონომიური მოდელები, რომლებიც კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელ ყველაზე უფრო არსებით მოვლენებს ასახავენ; ამ ტიპის მოდელები ურთიერთაკავშირებს იმეთ სახალხომეურნეობრივ მაჩვენებლებს, როგორცაა ეროვნული შემოსავალი, საერთო მოხმარება, დაზოგვა, ინვესტიციები, ფულის მიმოქცევა და სხვ. მაკროეკონომეტრიკულ მოდელებში გამოყენებულია კეინსური კატეგორიები, მულტიპლიკატორ-აქსელერატორი და სხვ.

2. მოდელები „დანახარჯებისა და პროდუქციის გაშვების“ ცხრილების სახით. მოდელების მეორე ტიპი დაკავშირებულია ეკონომიური სისტემის მოდელირებასთან. ამგვარ მოდელებს იყენებენ დარგთაშორის მიმდინარე კავშირურთიერთობის, კაპიტალური და შრომითი დანახარჯების, რაიონთაშორისი კავშირების ანალიზისათვის. მოდელების ეს მეორე ტიპი მიეკუთვნება დინამიკურ მატრიცულ მოდელებს²²⁴.

ეკონომიური დაპროექტების დარგში, — აღნიშნავს ი. დანჩო, — ჩვენ ვხვდებით ორ მეთოდს: 1. გლობალური მოდელების მეთოდი და 2. დარგთაშორისი ანალიზის მეთოდი²²⁵. გლობალური, ანუ სახალხომეურნეობრივი მოდელების შედგენაზე მუშაობენ

²²⁴ Новые тенденции в современной буржуазной политической экономии, гл. 130—131.

²²⁵ იქვე, გვ. 142.

მაკროეკონომისტები, რომელთა ამოცანას შეადგენს სხვა სპეციალისტთა მიერ შესრულებული სამუშაოების კოორდინაცია²²⁶.

ეკონომეტრიკული მოდელების სუსტი მხარე განსაკუთრებით აშკარად ვლინდება მთელი კაპიტალისტური კვლავწარმოების სქემის მოდელირების დროს.

თანამედროვე ეკონომეტრიკულ მოდელებში დიდი გავლენით სარგებლობს ლ. ვალრასის იდეები. სწორედ მან სცადა მთელი კაპიტალისტური მეურნეობის სქემის შექმნა მათემატიკური განტოლებების სახით.

ეკონომეტრიკულ მოდელებში გამოყენებულია აგრეთვე ს. კუზნეცის, ჯ. კეინსის, ა. კანის, პირსონისა და სხვათა იდეები და ფორმულები. მაკროეკონომეტრიკულ სახალხო მეურნეობრივ მოდელებში გადამწყვეტი ადგილი უკავია აგრეგატულ (გლობალურ) მაჩვენებლებს (ეროვნული შემოსავალი, ერთობლივი მოთხოვნა, საერთო ინვესტიციები და სხვ.).

მოდელებში გამოიყენება ორი სახის განტოლებანი: 1. განმსაზღვრელი (იგულისხმება ისეთი განტოლებები, რომლებიც ამყარებენ ტოლობას შესასწავლ მოვლენათა რიცხობრივ მნიშვნელობებს შორის) და 2. სტრუქტურული (სხვადასხვა სახის მოვლენათა შორის კავშირის მაჩვენებელი განტოლებანი). ეკონომეტრიკული მოდელები შედგება სხვადასხვა განტოლებათაგან, მაგალითად, დეფინიციური განტოლებები ($y=c+i$), ტექნიკური განტოლებები (წარმოების ფუნქცია), ქცევის განტოლებანი (მოხმარების ფუნქცია); წონასწორობის განტოლებები. (მოთხოვნა უდრის მიწოდებას, $s=j$ და სხვ.)²²⁷.

ეკონომეტრიკულ მოდელებში გამოყენებული განტოლებები მოიცავენ ცვლად სიდიდეებსა და პარამეტრებს (მუდმივ სიდიდეებს). ეკონომეტრიკულ მოდელებში გამოყენებულია ეკზოგენური (გადასახადები, ბიუჯეტი და სხვ.) და ენდოგენური (წმინდა ეკონომიური მოვლენების დამახასიათებელი) ცვლადი სიდიდეები.

თანამედროვე ბურჟუაზიულ ეკონომეტრიკაში გვხვდება უამრავი ეკონომიური მოდელი. ამ დარგის პიონერად ითვლება ე. ტინბერგენი, შემდეგ მოიხსენიებენ კალეცკის, კ. კლარკის, ჰაროდის, პუდვინის, კლეინის, ჰააველმოს, დომარის, კურხიხარას. ჰიკისა და სხვა მოდელებს („ეკონომიკური მოდელები“).

ეკონომეტრიკული მოდელების შექმნელნი მიზნად ისახავენ

²²⁶ Я. Тинбергэн, Х. Бос, Математические модели экономического роста, гл. 21.

²²⁷ იქვე, გვ. 80.

ორ ამოცანას — თეორიულსა და პრაქტიკულს. პირველი ამოცანა დაკავშირებულია ეკონომიური რხევის („ფლუქტუაცია“) გამოწვევ მიზეზთა შესწავლასთან. მეორე, ანუ პრაქტიკული ამოცანა კი ეკონომიური პროგნოზების განხორციელებასთანაა დაკავშირებული.

ეკონომეტრიკული მოდელების პრაქტიკული გამოყენება დიდ სიძნელეებს აწყდება²²⁸. არის ცდები ცალკეულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ეკონომეტრიკული მოდელების გამოყენებისა.

ეკონომიური ზრდის (დინამიკის) ბურჟუაზიული კონცეფციები და შესაბამისი მოდელები ნაწილობრივ ჩვენ უკვე განვიხილეთ. აქ გაკვირვებებით კიდევ რამდენიმე (ეკონომეტრიკულ) მოდელს.

ეკონომიური ზრდის ეკონომეტრიკული მოდელებიდან ყურადღებას იპყრობს ნორვეგიელი ეკონომისტის — ტ. ჰაველმოს მოდელი. იგი თვლის, რომ რეგიონალური ხასიათის მოდელის ასაგებად საკმარისია ოთხი ცვლადი: 1. წარმოების მოცულობა, 2. მოსახლეობის ოდენობა, 3. კაპიტალის საერთო დაგროვების მოცულობა, 4. განათლებისა და ტექნიკურ ცოდნათა დაგროვილი დონე. ამ ოთხი მომენტის ვითარებაში ტ. ჰაველმო შესაძლებლად მიიჩნევს მსოფლიოს ნებისმიერი ტერიტორიული რაიონის ეკონომიური ზრდის ეკონომეტრიკული მოდელის აგებას. ერთია მოდელის შექმნა და მეორე, მთავარი და მნიშვნელოვანი, ამ მოდელის პრაქტიკული გამოყენებისა და ფუნქციონირების საკითხი. ტ. ჰაველმოს თეორია და მოდელი გვერდს უვლის კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის არსებულ ანტაგონისტურ წინააღმდეგობებს. საკმარისია ითქვას, რომ ამგვარი ჰარმონიული ეკონომეტრიკული მოდელი შეუძლებელია თვით დასავლეთ ევროპის „საერთო ბაზარშიც“ კი, რომ არაფერი ვთქვათ სხვა ურთიერთსაწინააღმდეგო, კარდახშულ სავაჭრო-ეკონომიურ ბლოკებზე.

ახლა რამდენიმე სიტყვა ი. ტინბერგენისა და ჰ. ბოსის ეკონომიური ზრდის მოდელის შესახებ. დასახელებული მოდელიც მაკროეკონომიურ ეკონომეტრიკულ მოდელთა რიცხვს მიეკუთვნება. ცნობილი ჰოლანდიელი ეკონომეტრიკოსები ი. ტინბერგენი და ჰ. ბოსი მუშაობდნენ ეკონომიური ზრდის მოდელის შექმნაზე. ამ მიზნით მათ გამოაქვეყნეს კოლექტიური შრომა „ეკონომიური ზრდის მათემატიკური მოდელი“²²⁹. ეს წიგნი ითარგმნა რუსულ

²²⁸ იხ. R. Darendorf, *Wie schlecht ist unsere Verwaltung?* — „Der Volkswirt“, Hf. 45, 1968, 33-16.

²²⁹ იხ. J. Tinbergen, H. Bos, *Mathematical of Economic Growth*, N. Y., London, 1962.

ენაზეც. წიგნი წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს ეკონომიური ზრდის მათემატიკური მოდელის აგებისა და გამოყენების დარგში. იგი მიეკუთვნება დანახარჯების და პროდუქციის გამოშვების, წრფივი და დინამიკური დაპროგრამების მაკროეკონომიური მოდელების ტიპს.

წიგნი საინტერესოაა შედგენილი. მას შეუძლია სარგებლობის მოტანა როგორც ეკონომისტების, ასევე მათემატიკოსებისა და ყველასათვის, ვინც დაინტერესებულია ეკონომიკაში მათემატიკის გამოყენების საკითხებით. მიუხედავად ამისა, ეკონომიური ზრდის ტინბერგენისეული მოდელი ემყარება ეკონომეტრიკულ მეთოდოლოგიას, დაგეგმვის საკითხები მასში განხილულია სუბიექტური იდეალიზმის პოზიციებიდან. ტინბერგენ-ბოსის მოდელში გაიგივებულია სახალხო მეურნეობრივი დაგეგმვა და ბუჩქუაზიული დაპროგრამება.

ი. ტინბერგენი იცავს „დაგეგმვის უნივერსალიზაციის“ კონცეფციას და დგას კონვერგენციის (მეურნეობის ორი სისტემის — კაპიტალისტურის და სოციალისტურის ურთიერთშერწყმის, სინთეზის) თეორიის პოზიციებზე²³⁰.

კონვერგენციის თეორეტიკოსები — კონვერგენტები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: 1. ბუჩქუაზიული სოციალური ლიბერალიზმის მომხრენი (მთავარი წარმომადგენელია ჯ. გოლბრეისი) და 2. „დემოკრატიული სოციალიზმის“ („ოცდაათპროცენტიანი სოციალიზმის“) რეფორმისტული ფრთა, რომელსაც სათავეში უდგას ი. ტინბერგენი.

ი. ტინბერგენისა და ჰ. ბოსის აზრით, „დაგეგმვა, ანუ სამეურნეო განვითარების დაპროგრამება... გვეხმარება, ნაწილობრივ მაინც, დასპროპორციების თავიდან აცალღებაში“²³¹. დასპროპორციებისა და ეკონომიური კრიზისების თავიდან ასაცილებლად არ კმარა არც კაპიტალისტური რეგულირება და არც დაპროგრამება. მთელი სახალხო მეურნეობის ერთიანი გეგმის მიხედვით განვითარებისათვის საჭიროა მოქმედებდეს სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების კანონი. წარმოების ანარქიისა და კონკურენციული ბრძოლის პირობებში კი შეუძლებელია სახალხო მეურნეობის დაგეგმვა. ტინბერგენ-ბოსის მოდელი მხედველობაში აზრ იღებს ობიექტური ეკონომიური კანონების მოქმედებას. მათ მო-

²³⁰ იხ. „Wirtschaftswissenschaft“, Hf. 5, 1968; „Вопросы экономики“, № 2, 1968.

²³¹ Я. Тинбергген, Х. Бос, Математические модели экономического роста, Москва, 1967, გვ. 19.

დელში დაპროგრამებისა და დაგეგმვის საფუძვლად აღებულია მათემატიკური მეთოდი. მათი აზრით, „მათემატიკური მოდელები დაპროგრამების საფუძველია. თითქმის იგივეს იმეორებს ვ. ლეონტიევიც³²².

ტინბერგენისა და ბოსის ეკონომიური ზრდის მოდელი წარმოადგენს ეკონომეტრიკული მეთოდების გამოყენების კიდევ ერთ ცდას კაპიტალისტური ეკონომიკის პროგნოზირებისა და დაპროგრამების საქმეში.

ეკონომეტრიკული შრომების ერთი ნაწილი ეთმობა მოთხოვნის შესწავლას. ეკონომეტრიკოსთა ამ ხასიათის შრომები ეყრდნობიან ავსტრიული და მათემატიკური სკოლების მოთხოვნა-მიწოდების კონცეფციებს. ამ ტიპის შრომათა ავტორები მოთხოვნას სწავლობენ ეკონომიური მარკინალიზმისა და კენისური ძირითადი ფსიქოლოგიური კანონის გამოყენების საფუძველზე. მოთხოვნის ეკონომეტრიკულ მოდელებში პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიები განხილულია ზღვრული სარგებლიანობის კონცეფციის პოზიციებიდან.

ახლა განვიხილოთ გამოყენებითი ხასიათის ეკონომეტრიკული შრომები. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სადემარკაციო ხაზის გავლება სხვადასხვა ხაზის ეკონომეტრიკულ შრომებსა და ავტორებს შორის შეუძლებელია. დაყოფაც—„გამოყენებითი ხასიათის ეკონომეტრიკული შრომები“ პირობითია.

ამ ხასიათის შრომების დიდი უმეტესობა მთლიანად ეთმობა დანახარჯებისა და პროდუქციის გამოშვების ბალანსის პრობლემებს. გამოყენებითი ხასიათის ეკონომეტრიკული შრომებიც შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: 1. ბალანსთა შედგენა ვ. ლეონტიევის მეთოდის მიხედვით და 2. გამოკვლევები, რომლებიც წრფივი დაპროგრამების საფუძველზეა აგებული.

ამერიკელი ეკონომეტრიკოსის ვასილ ლეონტიევის მეთოდი, ანუ input-output Analysis (ანალიზი დანახარჯებისა და პროდუქციის გამოშვების ბალანსის მეთოდის მიხედვით)³²³ მიზნად ისახავს ეკონომიკის სხვადასხვა დარგებს შორის წარმოებრივ-ეკონომიური კავშირთა თვითობის შესწავლას.

ვ. ლეონტიევი იყენებს ეკონომეტრიკას თავისებურად, თუმცა ემყარება ლ. ვალრასის ეკონომიური წონასწორობის თეორიას.

³²² იხ. W. Leontief, *Anatomie der Planung*.—*Hamburger Jahrbuch*, Bd. 9, 1964, გვ. 53—60.

³²³ „დანახარჯები — პროდუქცია“, „რესურსები — პროდუქცია“ (იხ. M. Старр, *Управление производством*, გვ. 13; П. Студенский, *Доход наций*, გვ. 236, 334).

ვ. ლეონტიევის მეთოდს საფუძვლად უდევს ჰადრაკული ცხრილი (ქვემდებარეს წარმოდგენს სახალხო მეურნეობის დარგები, რომლებიც პროდუქციას აწარმოებენ, ხოლო პროდუქციის მომხმარებელი დარგები — შემასმენელია).

ვ. ლეონტიევის მოდელში გატარებულია აზრი იმის შესახებ, რომ ტექნიკური განვითარების მოცემულ დონეზე განსაზღვრული კავშირია სხვადასხვა წარმოებრივ დანახარჯებსა და აღებული დარგის მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობას შორის. ეს ურთიერთდამოკიდებულება ფიქსირებულია როგორც ტექნიკური კოეფიციენტები, რომლებიც ვ. ლეონტიევის ეკონომეტრიკული მოდელის ძირითად შინაარსს შეადგენს.

ერთი შეხედვით კარგ იდეას იძლევა ეს მოდელი, მაგრამ მისი ფუნქციონირება მოითხოვს სათანადო სოციალ-ეკონომიურ წინაპირობებს. ვ. ლეონტიევის „მეთოდი input-output“ წარმოდგენს აგრეთვე ეკონომეტრიკული მოდელის გამოყენების ერთ-ერთ პოპულარულ ცდას კაპიტალისტური ეკონომიკის ჰარმონიული განვითარების უზრუნველყოფის საქმეში.

ვ. ლეონტიევის მეთოდის პრაქტიკული გამოყენება სცადეს ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში. განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია მან აშშ-ში. ვ. ლეონტიევის მეთოდის გამოყენებით სცადეს აშშ-ის 1919, 1929, 1939, და 1947 წლების ეკონომიკის სტრუქტურული კავშირების შესწავლა. ამ საქმეში ჩაბმული იყო უახლესი ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები.

უნდა აღინიშნოს, რომ ბალანსურა მეთოდი პირველად დასაბუთეს და დაამუშავეს საბჭოთა ეკონომისტებმა.

წ რ ფ ი ვ ი და პ რ ო გ რ ა მ ე ბ ა თვალსაჩინო როლს ასრულებს ეკონომეტრიკაში. წრფივი დაპროგრამების მეთოდი ენათესავება ვ. ლეონტიევის მეთოდს. განსხვავება იმაშია, რომ წრფივი დაპროგრამების მეთოდი ნაკლებად გამოიყენება პოლიტიკური ეკონომიის თეორიული პრობლემის განხილვის დროს.

წრფივი დაპროგრამების ქვეშ იგულისხმება ისეთი სამეურნეო პროგრამის შედგენა, რომელიც (არსებული რესურსებისა და ფასების პირობებში) ყველაზე უფრო ოპტიმალურ შედეგებს იძლევა. „წრფივი დაპროგრამება ოპერაციათა გამოკვლევის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ფართოდ გამოყენებული მეთოდია. იგი მათემატიკური დაპროგრამების მხოლოდ ერთ-ერთი განშტოებაა“²³⁴. მის ფუძემდებ-

²³⁴ Организация производства на промышленных предприятиях США, 1969, гл. 307.

ლად დასავლეთში ითვლება ცნობილი ამერიკელი მათემატიკოსი
ჯ. ბ. დანციგი.

ჯ. ბ. დ ა ნ ც ი გ ი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სამხედ-
რო საქმის, ეკონომიკის და გამოყენებითი სხვა დარგის საქიროებათა
ოპერაციებისათვის მათემატიკური პრობლემების დამუშავებაში.

წრფივი დაპროგრამების განვითარება აშშ-ში ფაქტიურად დაი-
წყო 40-იანი წლების დამლევს, როცა დანციგმა შეიმუშავა წრფივი
დაპროგრამების ძირითადი ამოცანის რიცხობრივი გადაწყვეტისა-
თვის ცნობილი სიმპლექს-მეთოდი. მან გამოაქვეყნა მონოგრაფია²³⁵,
რომელიც გამოიყენება სახელმძღვანელოდ წრფივი დაპროგრამე-
ბის დარგში. იგი თარგმნილია რუსულ ენაზეც. დიდ ინტერესს იწ-
ვევს ამ წიგნში მოტანილი ამოცანები და მაგალითები.

ჯ. ბ. დანციგის წიგნში შეკრებილია უამრავი მათემატიკური მო-
დელი. „ეს წიგნი,—წერს ავტორი,—ეძღვნება წრფივი უტოლობე-
ბის სისტემათა თეორიას და მათ გადაწყვეტას... ჩვენი უშუალო
მიზანია საერთოდ მათემატიკური დაპროგრამებისა და კერძოდ
წრფივი დაპროგრამების განსაზღვრა“²³⁶.

ჯ. ბ. დანციგი აღნიშნავს, რომ 1949 წლის ზაფხულში ჩიკაგოს
უნივერსიტეტში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც
მოიწვია ეკონომიურ გამოკვლევათა კოულსის კომისიამ. ამ კონფე-
რენციაზე მათემატიკოსებმა, ეკონომისტებმა და სტატისტიკოსებმა
ფართოდ განიხილეს გამოკვლევანი წრფივი დაპროგრამების აპარა-
ტის პრაქტიკული გამოყენების თაობაზე.

ჯ. ბ. დანციგის კაპიტალურ წიგნში „წრფივი დაპროგრამება“
განხილულია მრავალი საკითხი. წიგნი შედგება 28 თავისაგან
(წიგნს თან ერთვის ბიბლიოგრაფია, საერთო მაჩვენებელი, ლიტერა-
ტურა ცალკეული თავების მიხედვით, საგნობრივი მაჩვენებელი),
თითოეული თავის ბოლოს მოცემულია ამოცანები და სავარჯი-
შოები წრფივი დაპროგრამებიდან. წიგნში მრავალ საინტერესო და
სასარგებლო მასალას, მოსაზრებას, მოდელს იპოვის დაინტერესე-
ბული მკითხველი, (სიმპლექს-მეთოდი, სიმპლექს-ალგორითმი და
მისი ვარიანტები, წრფივი დაპროგრამების გეომეტრია, თვალ-
საჩინო დაპროგრამება, ამოცანები სატრანსპორტო გადაზიდვებზე,
თვითმფრინავების განაწილება ხაზებზე, ექსტრემული ამოცანები
და სხვ.).

წიგნი იწყება წრფივი დაპროგრამების ცნების განმარტებით.

²³⁵ იხ. „Linear Programming and Extensions“, 1963.

²³⁶ Дж. Б. Данциг, Линейное программирование. Его применение и обобщения, Москва, 1966, гл. 7, 9.

ამის შემდეგ მოცემულია წრფივი დაპროგრამების ტიპური ამოცანები. ამათგან საილუსტრაციოდ შეიძლებაოდა ერთის მოტანა.

ჯ. ბ. დანციგის ერთ-ერთი ამოცანის შინაარსი ასეთია: ხუთი სულსაგან შემდგარი ოჯახი ცხოვრობს ოჯახის უფროსის მცირე (მოკრძალებულ) ხელფასზე. მუდმივ ამოცანას წარმოადგენს ყოველკვირეული მენიუს შედგენა ისე, რომ სათანადოდ იყოს განხილული ოჯახის მრთხოვნილებანი და გემოვნება, ფასები პროდუქტებზე. ქმარმა უნდა მიიღოს დღეში 3000 კალორია, ცოლმა 1500 (დიეტა გახდომისათვის). ბავშვებმა კი (3 ბავშვი) ასაკის შესაბამისად 3000, 2700 და 2500 კალორია.

ამოცანა: პროდუქტებზე ხუთშაბათის ფასებზე დაყრდნობით შედგეს მენიუ მინიმალური დანახარჯებით. „ეს ამოცანა, — წერს ჯ. დანციგი, — წრფივი დაპროგრამების ტიპურ ამოცანას წარმოადგენს. დასაშვები პროცესები შედგება სხვადასხვა სახის პროდუქტთა ყიდვაში; პროგრამას შეადგენს სხვადასხვა პროდუქტების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება იყიდონ; შეზღუდვას ამოცანაში წარმოადგენს ოჯახის წევრთა მრთხოვნილებანი კალორიებსა და ვიტამინებში, აგრეთვე ექიმის მიერ გამოწერილი ნახშირწყლების, ცილებისა და ცხიმების რაოდენობათა ზედა და ქვედა ზღვარი, რომლებიც შეიძლება მოიხმაროს ოჯახის თითოეულმა წევრმა. ამ შეზღუდვათა დამაკმაყოფილებელ საკვებ პროდუქტთა კომბინაციის რაოდენობა ღიღია. მაგრამ დასაშვები გეგმებიდან ზოგიერთი დაკავშირებულია უფრო მაღალ ხარჯებთან, ვიდრე სხვები. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მოიძებნოს ისეთი კომბინაცია, რომელსაც ექნებოდა მინიმალური სრული ღირებულება“²³⁷.

ასეთი მარტივი მაგალითით წრფივი დაპროგრამების გავრცელება მთელ კაპიტალისტურ ეკონომიკაზე, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. უკიდურეს შემთხვევაში მისი მიყენება შეიძლება ცალკე საწარმოს, ფირმის საქმიანობაზე.

ამ მხრივ წრფივ დაპროგრამებაზე უფრო მოხერხებულია დინამიკური დაპროგრამება, რომელიც განკუთვნილია სწორედ კაპიტალისტური საწარმოს საქმიანობის დაგეგმარებისათვის. მიუხედავად ამისა, დინამიკური დაპროგრამება მნიშვნელოვნად ჩამორჩება წრფივ დაპროგრამებას.

წრფივი დაპროგრამების ეკონომეტრიკული მოდელის ეფექტურობა კაპიტალისტური ეკონომიკის მასშტაბით ერთობ შეზღუდუ-

²³⁷ Дж. Б. Данциг, Линейное программирование, гл. 11; см. аგრეთ-
во: Р. Аллен, Математическая экономика, гл. 440—466.

ლია. ეს იმიტომ, რომ იგი მოითხოვს გარკვეულ წანამძღვრებს (მყარი ფასები, ინფლაციის არარსებობა, უმუშევრობის ლიკვიდაცია, კონკურენციული ბრძოლის გამორიცხვა და სხვ.). „იმისათვის, რომ წრფივი დაპროგრამების მოდელი გახდეს, — წერს ჯ. დანციგი, — სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს წრფივობის (პროპორციულობის), უარყოფითობისა და ადითივობის განსაზღვრულ მოცუვნებს“²³⁸.

იბადება კითხვა: ამ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს ანარქიული წარმოება? ცხადია, არა. მაშასადამე, წრფივ დაპროგრამებაზე აგებული მაკროეკონომეტრიკული მოდელი მოითხოვს იდეალური პირობების არსებობას. აჰას ჯ. დანციგიც ხედავს, ამიტომ თავისი პოზიციების გასამაგრებლად წრფივი დაპროგრამების უმარტივეს მოდელს იგი დაეძებს და პოულობს კიდევაც ფ. კენეს „ეკონომიურ ცხრილში“. შემდეგ იგი მოიხსენიებს ლ. ვალრასს, ნოიმანს, პირსონს, ფიშერს, კანტოროვიჩს, ლეონტიევს.

ინტერესმოკლებული არაა წრფივი დაპროგრამების მოკლე ისტორია. რომელსაც ჯ. დანციგი გადმოგვცემს დასახელებულ წიგნში. ამ ისტორიის სქემა ასეა გადმოცემული: 1. ისტორია 1947 წლამდე (მოცკინი, ფურიე, კანტოროვიჩი, ნოიმანი, შორგენშტერნი);

2. ომისშემდგომი პერიოდის შრომები (1947 — 1956 წლები), ლ. გურვიცი, ტ. კუპმანსი (სიმპლექს-მეთოდი): ა) გაითვლითი მეთოდების დამუშავება (1947 — 1956), ბ) პროგრამები ელექტრონული გამოთვლელი მანქანებისათვის (1947 — 1956);

3. წრფივი დაპროგრამების განვითარება: ა) ქსელთა (ბადური) თეორია, ბ) თვალსაჩინო დაპროგრამება, გ) მთელიცხოვრივი დაპროგრამება, დ) დაპროგრამება განუსაზღვრელობის პირობებში. გვხვდება აგრეთვე არაწრფივი, პარამეტრული, სტოქასტიკური დაპროგრამება და სხვ.

* * *

საზოგადოებრივი მეცნიერებებიდან მათემატიკა ყველაზე უფრო მეტად ეკონომიკაში გამოიყენება. საილუსტრაციოდ შეიძლება დავაახელოთ კ. მარქსის „კაპიტალი“, აგრეთვე მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა სხვა შრომები. საკმარისია მოვიგონოთ თუნდაც

²³⁸ Дж. Б. Данциг, Линейное программирование, гл. 13; см. Р. Белман, Динамическое программирование, ИЛ, 1960.

კვლავწარმოების მარქსისტულ-ლენინური თეორიის სქემები და სხვ.

მათემატიკის როლი საბჭოთა ეკონომიურ მეცნიერებაში იზრდება. მარქსისტული ეკონომეტრიკა არ უგულებელყოფს ეკონომეტრიკის განვითარების გამოცდილებას კაპიტალისტურ სამყაროში. მეტიც, ადგილი აქვს მარქსისტულ-ლენინურ ეკონომიურ მეცნიერებაში ეკონომიურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენების გაძლიერებას.

მარქსისტული ეკონომეტრიკის საფუძველს შეადგენს სოციალიზმის ეკონომიური კანონების შეცნობა და გამოყენება, ეკონომიურ გამოკვლევებში გადაწყვეტ. როლს უნდა ასრულებდეს მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომია, ხოლო დაქმნარე როლს — მათემატიკა. ამის უარყოფა სოციალურ ბურჟუაზიულ ეკონომისტსაც არ ძალუძა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ამერიკელი ვ. ჩემბერლინი, რომელიც წერს, რომ მათემატიკოსის კონსულტაცია ფირმას ღირსად ვერაფრით დაეზმარება, თუ არაა ეკონომისტის სათანადო ახსნა-განმარტება. „მაოლოდ მას შემდეგ, რაც ეკონომისტისაგან მოიღებს ახსნა-განმარტებას. მათემატიკოსს შეეძლება აკეთოს თავისი საქმე, ჩვენი პრობლემაა ეკონომიკის და არა მათემატიკის საკითხი“²³⁹.

ბურჟუაზიული ეკონომეტრიკოსები გადაწყვეტ. როლს აკეთებენ მათემატიკას, მათემატიკოსს, ხოლო პოლიტიკონომიის მნიშვნელობას უგულებელყოფენ. ამან განაპირობა ის, რომ ეკონომეტრიკამ ვერ შეძლო „სიცოცხლისუნარიანი მოდელის“ შექმნა, ვერ შეძლო იმიტომ. რომ იგი ემყარება მარკინალურ თეორიულ-მეთოდოლოგიურ ბაზას.

ისიც ცნობილია, რომ ეკონომეტრიკამ ვერ გადაწყვიტა აქტუალური ეკონომიური პრობლემები და ვერ უზრუნველყო „პარპონიული ზრდა“ (ფ. პერუ). იგი უძლური აღმოჩნდა ეკონომიური ზრდის პრობლემის წინაშეც.

დიდი პერსპექტივები ისახება მარქსისტული ეკონომეტრიკის წინაშე. „ეკონომიური პროცესებისა და სისტემათა მოდელირება წარმოადგენს რთულ სახალხომეურნეობრივ პრობლემათა შესწავლის მძლავრ ინსტრუმენტს“²⁴⁰. მარქსისტულ-ლენინური ეკონომიური მეცნიერება დიდ ასპარეზს უხსნის ეკონომიურ გამოკვლე-

239 Э. Чемберлин, Теория монополистической конкуренции, гл. 392.

240 Н. П. Федоренко, Экономика и математика, 1967, гл. 10.

ვებში მათემატიკის გამოყენებას. ამ უბანზე ზოგიერთი რამ უკვე გაკეთდა²⁴¹. კვლევის ეს დარგი აღარ წარმოადგენს „ეკონომიურ ყაზმირს“ (ამ პრობლემას მიუძღვნეს თავიანთი გამოკვლევები: ლ. კანტოროვიჩმა, ა. აღანბეგიანმა, ა. ბოიარსკიმ, ი. ბირმანმა, ა. ვაინშტეინმა, ვ. ნემჩინოვმა, ნ. ფედორენკომ, ვ. ჩერნიავესკიმ და სხვ.). ამის დადასტურებას შეადგენს აგრეთვე მარქსისტ-ეკონომისტთა ბერლინისა (1960 წ.) და სოფიის (1964 წ.) საერთაშორისო კონფერენციები, რომლებმაც დიდი ადგილი დაუთმეს ეკონომიური ზრდის, ეკონომეტრიკისა, და მთელი თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომიური იდეოლოგიის კრიტიკას.

²⁴¹ იხ. *Применение математики и электронной техники в планировании*, 1961; *Межотраслевой баланс экономического района*, 1967; *А. Боярский, Математико-экономические очерки*, 1962; *В. Дадаян, Экономико-математическое моделирование социалистического воспроизводства*, 1963; *Л. Канторович, Экономический расчет наилучшего использования ресурсов*, 1960; *В. Немчинов, Экономико-математические методы и модели*, 1962; *В. В. Коссов, Межотраслевой баланс*, 1966; *З. Павловский, Введение в математическую статистику*, 1967; *И. Бирман, Оптимальное программирование*, Москва, 1968; *В. Чернявский, Эффективная экономика*, Москва, 1968; *Ökonomische Modelle Grundfragen des modellierens, kybernetische und mathematische Probleme*, Berlin, 1967 და სხვა.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	5
თ ა ვ ი 1. ავსტრიის სოციალურ-ეკონომიური ვითარება კაპიტალიზმის ხაერთო კრიზისის პერიოდში. ნეოავსტრიული სკოლა	7
§ 1. ავსტრიის თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ზოგადი დახასიათება. ნეოავსტრიული სკოლის ეკონომიურ მოძღვრებათა წარმოშობა	7
§ 2. „კლაგენფურტის მანუფესტის“ კრიტიკა	19
§ 3. ნეოავსტრიული სკოლის—„ახალგაზრდა ავსტრიული სკოლის“ მეთოდოლოგია. მიკროეკონომია და მაკროეკონომია, ეკონომიური მარქინალიზმი და ნეომარქინალიზმი	26
თ ა ვ ი II. მარქსისტულ-ლენინური ეკონომიური მოძღვრების ბურჟუაზიული ფალსიფიკაცია, თანამედროვე ანტიმარქსიზმი და ანტიკომუნიზმი	51
§ 1. თანამედროვე ანტიმარქსიზმი და ანტიკომუნიზმი	51
§ 2. ახალგაზრდა ავსტრიული სკოლის ბრძოლა კ. მარქსის ეკონომიური მოძღვრების წინააღმდეგ	65
§ 3. „სოვეტოლოგია“, „ოსტფორშენგი“ და „კრემლინოლოგია“ ანტიკომუნიზმის სამსახურში	74
§ 4. „ტოტალიტარიზმის“ დოქტრინა, როგორც თანამედროვე ანტიკომუნიზმის ნეოლიბერალური ვარიანტი	104
§ 5. „ნეოკომუნიზმი“, „ლდა (დემოკრატიული) საზოგადოება“ და „ფორმირებული საზოგადოება“—„ტოტალიტარიზმის კონტრპროგრამა“	117
თ ა ვ ი III. გოტფრიდ ჰაბერლერის „ციკლთა თეორია“. ციკლისა და ეკონომიური კრიზისების ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა	139
§ 1. გ. ჰაბერლერი—„ნეოავსტრიული სკოლის“ ერთ-ერთი მთავარი თეორეტიკოსი	142
§ 2. კარბდაგროვების თეორიები:	151
ა) კარბდაგროვების მონეტარული თეორიები	151
ბ) კარბდაგროვების არამონეტარული თეორიები	162
§ 3. აქსელერაციის პრინციპი და აქსელერატორის თეორია	164
§ 4. მულტიპლიკატორის თეორია	173
§ 5. ნაკლებმოხმარების თეორიები	182

§ 6. ციკლისა და ეკონომიური კრიზისების ფსიქოლოგიური თეორიები („პესიმიზმი-ოპტიმიზმი“, „განწყობა“, „ნდობის კრიზისი“ და სხვ.)	192
§ 7. ეკონომიური კრიზისებისა და ციკლის კოსმოსურ-სოფლისმეურ-ნეობრივი თეორია	197
§ 8. ფრიც შახლუპის „სავალუტო სისტემის თეორია“ და მისი კრიტიკა	202
თავი IV. იოზეფ შუმპეტერის „ეკონომიური დინამიკის თეორია“. შუმპეტერიაწილის ანტიკომუნისტური არსი	215
§ 1. ი. შუმპეტერი — ნეოაესტრიული (ემიგრირებული) სკოლის ერთ-ერთი მთავარი თეორეტიკოსი	215
§ 2. ი. შუმპეტერის „ეკონომიური დინამიკის თეორია“	231
§ 3. „ეკონომიური ზრდის“ შუმპეტერიაწილი თეორიის სხვადასხვა ვარიანტები.	247
ა) რ. ფ. პაროდი	249
ბ) ე. დ. ლომარი	254
გ) უ. როსტოვის „ეკონომიური ზრდის სტადიების თეორია“	255
დ) კოლინ კლარკის „სტრუქტურული“ კონცეფცია	263
ე) ჯონ რობინსონის „მემარცხენე კეინსური ზრდის თეორია“	266
ვ) ჯ. რ. პიკსის „ზოდის დანამიკური მოდელი“	269
§ 4. თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და ეკონომიური ზრდის პრობლემები	272
ა) „ფურასტიერიზმი“	276
ბ) ბ. მონსაროვი	283
გ) „მეორე სამრეწველო (ინდუსტრიული) რევოლუციის თეორია“	284
დ) „სამადი (სამწავი) რევოლუციის“, „კიბერნეტიკული პოლიტეკონომიის“, ანუ „კიბერნეტიკული რევოლუციის თეორია“	289
ე) კლასების „ტექნოლოგიური თეორიები“ („დებოლუტარიზაცია“, „პროლეტარიატის გაქრობა“, „ორი მუშათა კლასის თეორია“ და სხვ.)	295
§ 5. ეკონომეტრია (ეკონომეტრიკა) და ეკონომიური განვითარების პრობლემება	300
ა) მათემატიკური ეკონომია. რ. ალენი	303
ბ) ეკონომეტრიის (ეკონომეტრიკის) წარმოშობა	308
გ) ეკონომეტრიკის ბურჟუაზიულ კონცეფციათა საერთო თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზა	311
დ) თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომეტრიკის უმნიშვნელოვანეს მიმართულებათა მოკლე დახასიათება	314

СОДЕРЖАНИЕ

Введение	5
Глава I. Социально-экономическое положение Австрии в период общего кризиса капитализма. Неоавстрийская школа	7
§ 1. Общая характеристика современной буржуазной политической экономии Австрии. Возникновение экономических учений неоавстрийской школы	7
§ 2. Критика «Клагенфюртского манифеста»	19
§ 3. Методология молодой австрийской школы — «неоавстрийской школы». Микроэкономика и макроэкономика, экономический маржинализм и неомаржинализм	26
Глава II. Буржуазная фальсификация марксистско-ленинского экономического учения, современный антимарксизм и антикоммунизм	51
§ 1. Современный антимарксизм и антикоммунизм	51
§ 2. Борьба молодой австрийской школы против экономического учения К. Маркса	65
§ 3. «Советология», «остфоршунг» и «кремлюнология» на службе антикоммунизма	74
§ 4. Доктрина «тоталитаризма» как неолиберальный вариант современного антикоммунизма	104
§ 5. «Неогуманизм», «открытое (демократическое) общество» и «сформировавшееся общество» — контрпрограмма тоталитаризма	117
Глава III. «Теория циклов» Готфрида Хаберлера. Критика буржуазных и мелкобуржуазных теорий цикла и экономических кризисов	139
§ 1. Г. Хаберлер — один из главных теоретиков «неоавстрийской школы»	142
§ 2. Теория перенакопления:	151
а) монетарные теории перенакопления	151
б) немонетарные теории перенакопления	162
§ 3. Принцип акселерации и теория акселератора	164
§ 4. Теория мультипликатора	173
§ 5. Теории недопотребления	182

§ 6. Психологические теории цикла и экономических кризисов («пессимизм - оптимизм», «установка», «кризис доверия» и др.)	192
§ 7. Космическая - сельскохозяйственная теория экономических кризисов и цикла	197
§ 8. «Теория валютной системы» Фрица Махлупа и ее критика	202

Глава IV. «Теория экономической динамики» И. Шумпетера. Антикоммунистическая сущность шумпетерианства 215

§ 1. И. Шумпетер — один из главных теоретиков неонавстрийской (эмигрированной) школы	215
§ 2. «Теория экономической динамики» И. Шумпетера	231
§ 3. Различные варианты шумпетерианской теории «экономического роста»	247
а) Р. Ф. Харрод	249
б) Е. Д. Домар	254
в) У. Ростов и его «теория стадий экономического роста»	255
г) «Структурная» концепция Колина Кларка	263
д) Левокейпсанская «теория роста» Джоана Робинсона	266
е) Динамические модели роста Дж. Р. Хикса	269
§ 4. Современная научно-техническая революция и проблемы экономического роста	272
а) «Фурастьеризм»	276
б) Б. Монсаров	283
в) «Теория второй промышленной (индустриальной) революции»	284
г) «Тройственная революция», «кибернетическая политэкономия» или «теория кибернетической революции»	289
д) «Технологические теории» классов («депролетаризация», «исчезновение пролетариата», «теория двух рабочих классов» и др.)	295
§ 5. Эконометрия (эконометрика) и проблемы экономического развития	300
а) Математическая экономия. Р. Аллеп	303
б) Возникновение эконометрии (эконометрики)	308
в) Общая теоретическая методологическая база буржуазных концепций эконометрики	311
г) Краткая характеристика важнейших направлений современной буржуазной эконометрики	314

რედაქტორი ვ. ა დ ვ ა ძ ე
გამომცემლობის რედაქტორი ლ. კობიაშვილი
ტექნორედაქტორი ი. ხუციშვილი
კორექტორი ა. კაკაბაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/IX-69
ქალაქის ფორმატი 60*90^{1/16}
ნაბეჭდი თაბახი 20,75
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 18,82
შეკვეთა 581 უფ 07255 ტირაჟი 2000
ფასი 1 ზან.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 1.